ეკურამ ფარაძე

ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე

უორდროპები და საქართველო

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი — 1984

8Г+81 (Англ)
833Гр+83 3 Англ.
899.962.1 (09)+82.(09)
Ш 254

წიგნში მიმოხილულია ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობის ისტორიული ფესვები, ქართველოლოგიის აღმოცენება ინგლისში და და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების—ინგლისური ქართველოლოგიის ფუძემდებლების — უდიდესი ღვაწლი ინგლისში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

ნაშრომში მთავარი ადგილი ეთმობა ქართული კულტურის იმ პირველხარისხოვან მასალებს, რომლებიც ავტორმა გამოავლინა ლონდონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის სიძველეთსაცავებში 1981 წელს, სამეცნიერო მივლინებით იქ ყოფნის დროს.

ამ მასალებიდან ძირითადად აღსანიშნავია ახალი საარქივო დოკუმენტები და დიდმნიშვნელოვანი მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც შუქს ფენენ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლისა და XIX—XX საუკუნეების სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შემოქმედების უცნობ მხარეებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ძიებანი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერული მემკვიდრეობიდან, რომელიც ინგლისშია დაცული.

რედაქტორი გიორგი ბედინეიშვილი

4603000000—133
Ш————————243—84
М 601(08)—84

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984

თავი პირველი

ინგლის-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ფესვები და ქართველოლოგიის აღმოცენება ინგლისში

შუა საუკუნეების ეპოქის ინგლისში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში, საქართველოზე წარმოდგენა მეტწილად ანტიკური წყაროების მიხედვით უნდა ყოფილიყო შემუშავებული, რადგან ის სახელგანთქმული ბერძენი და რომაელი ავტორები, რომლებიც თავიანთ კლასიკურ თხზულებებში საქართველოს არაერთხელ მოიხსენიებენ, ინგლისურ ენაზედაც იყვნენ გადათარგმნილნი: მარტო მედეას, პრომეთესა და მითრიდატე პონტოელის სახელები კმაროდა, ალბიონის კუნძულებზე ძველი კოლხიდის, კავკასიონის ქედისა და იბერიის მიმართ ინტერესი რომ გაღვივებულიყო.

ჯვაროსანთა ლაშქრობების მონაწილენი, სახელდობრ, რიჩარდ ლომგულის რაინდები, იმდროინდელი აღმოსავლეთის უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფოსა და მის შემქმნელთა — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელების მიმართაც არ უნდა დარჩენილიყვნენ გულგრილნი[1]; ამას მოწმობს თუნდაც სულ უკანასკნელ ხანს გამოვლენილი მე-13 ს.-ის ინგლისელი ავტორების — ბართლომე ინგლისელის (დაახლ. 1190—1250), მათე პარიზელისა (დაახლ. 1200—1259) და როჯერ ბეკონის (დაახლ. 1214—1292) ქრონიკები „იბერიაზე", „კავკასიონზე — თეთრ მთაზე", „საქართველოს სატახტო ქალაქ ტფილისზე", ამასთან, „იბერებსა და ლაზებზე", რომლებიც იმდროინდელი მსოფლიოს „მრავალ დიდ ხალხთა" და

---

[1] შდრ. ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯვაროსანთა დროიდან, ბარიზი, 1929.

„ძლიერთა“ შორის მოიხსენიებიან,[2] ხოლო უფრო მოგვიანებით ჩვენში მოსულმა კათოლიკე მისიონერებმა, დიპლომატებმა და მოგზაურებმა არაერთი საგულისხმო ცნობა მოჰფინეს დასავლეთ ევროპას საქართველოს, მისი ისტორიისა და კულტურის შესახებ. მე-16 საუკუნიდან ინგლისელმა მოგზაურებმაც თავიანთი ინტერესის საგნად გაიხადეს ამიერკავკასია, კერძოდ, საქართველო. როგორც ვიცით, ამ დროს, ესპანეთის დამარცხების შემდეგ, ინგლისელები ჩემულობენ ზღვაზე პირველობას და ინდოეთისაკენ მიმავალი უმოკლესი გზების ძიებაში, მათ ჯერ საქართველოს სანაპიროზე უნდა დაედგათ ფეხი, შემდეგ ჩვენი მიწა-წყლის გავლით შეეღწიათ ირანსა და ინდოეთში. ამას გარდა, იყო მოსკოვის სამეფოდან კასპიის ზღვით აღმოსავლეთში შეღწევის ცდებიც. ამიტომაც არის, რომ ამდროინდელმა ინგლისელმა მოგზაურებმა და კულტურის მოღვაწეებმა — ა. ჯენკინსონმა, ა. ედვარდსმა, ლ. ჩეპმენმა, ჯ. სანდისმა, უ. რალმა და სხვებმა არაერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახეს საქართველოზე, ქართული კულტურის უცხოურ კერებზე (მაგ., სინას მთა), ქართველ წარჩინებულ-დიდებულებთან თუ ვაჭრებთან შესვედრებზე[3]. ერთი ცნობით, დადასტურებულია მე-16 საუკუნეში კახელი ვაჭრების ურთიერთობა ინგლისელ ვაჭრებთან[4], ხოლო მეორე ცნობით, ქართველ ვაჭარს ინგლისური საქონელი შეუძენია თავისი მეფისათვის, რომელიც გ. ჟორდანიას განმარტებით, კახეთის მეფე ლევან II უნდა ყოფილიყო[5]. საინტერესოა აგ-

[2] შდრ. В. Матузова, Английские средневековые источники IX-XIII вв., Москва, 1979;

გ. კუტალია, XIII საუკუნის ინგლისელი ქრონისტების ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1981, № 2, გვ. 86—93.

[3] ამის შესახებ იხ. М. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935; ვ. სურგულაძე, ინგლისური ცნობები საქართველოს შესახებ XII საუკუნიდან XIX ს.-ის შუა წლებამდე, თსუ შრომები, ტ. 184, თბ., 1977, გვ. 170—188.

[4] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI—XVII სს.), მსკი, ნაკვ. 31, თბ., 1954.

[5] გ. ჟორდანია, უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში, „მნათობი“, 1962, № 8.

რეთვე, შაჰ-თამაზის კარზე ქართველ უფლისწულსა (დაუთ-ხანი) და ინგლისელ მოგზაურს შორის გამართული საუბარი სარწმუნოებრივ-აღმსარებლობით საკითხებზე, რომელიც ა. ჯენ-კინსონს აქვს მოთხრობილი[6].

1611 წელს ლონდონში პირველად დაიდგა მე-17 საუკუნის დასაწყისის ინგლისური დრამატურგიის თვალსაჩინო წარმო-მადგენლების — ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეჩერის პიე-სა „მეფე და არამეფე", რომლის მოქმედება გადატანილია აღმოსავლეთში, ხოლო ნაწარმოების მთავარი გმირი არბასი-სი — იბერიის მეფეა. პიესის დასაწყისიდანვე ვიგებთ, რომ არბასისმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება და დაამარცხა სომეხთა მეფე — ტიგრანი. შემდეგ მოქმედება იბერიაში გრძელდება, სამშობლოში დაბრუნებულმა არბასისმა თან წა-მოიყვანა სომხეთში დატყვევებული მეფე ტიგრანი. ამის შემ-დეგ არბასისსა და პანთეას შორის ინასკვება მწვავე სასიყვა-რულო ისტორია, რომელიც ბედნიერად მთავრდება. მკვლე-ვართა შეხედულებით, პიესის ავტორთა მხატვრული ფანტა-ზიის გარდა, აქ გამოყენებული უნდა იყოს ანტიკური წყაროე-ბი იბერიის მეფის — არტაგისა და სომხეთის მეფის — ტიგრან მეორისა, ასევე იბერიის მეფეების — ბაკურისა და ფარსმან I-ის შესახებ, თუმცა, ამ წყაროებს ბომონტი და ფლეჩერი ისე თვითნებურად ეპყრობიან, რომ ისტორიული სინამდვილის ანარეკლზედაც კი ძნელია საუბარი[7]. მაგრამ რაოგან თავის-თავად ეს ტრაგიკომედია მომასწავებელია ისტორიული იბე-რიით შექსპირისდროინდელი დრამატურგების დაინტერესები-სა, ამ მხრივ, იგი მეტად საყურადღებოა.

აქვე ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ შექსპირო-ლოგიურ ლიტერატურაში (ვ. დიბელიუსი და სხვ.) იყო ცდა შექსპირის „ტიტუს ანდრონიკუსის" ერთ-ერთი მთავარი პერ-სონაჟის — გუთების დედოფლის — ტამორას თამარ მეფეს-

---

[6] ჯ. სტეფნაძე, ანტონ ჯენკინსონის მიერ მოხსენიებული ქართველი უფლისწულის ვინაობისათვის, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1968.

[7] ნ. ორლოვსკაია, ბომონტისა და ფლეჩერის პიესა იბერიის შე-სახებ, „ქართული შექსპირიანა", ტ. 5, თბ., 1978, გვ. 11—23.

თან იდენტიფიკაციისა, თუმცა, მას სავსებით არ იზიარებენ ქართველი მკვლევარები[8].

მე-17 ს.-ის 30-იანი წლებიდან უკვე ჩნდება ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის დამადასტურებელი უშუალო ფაქტი: ესაა ქეთევან დედოფლის წამებაზე 1633 წელს ოქსფორდში ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც ჩვენში პირველად ა. გაწერელიამ მიაქცია ყურადღება[9], ხოლო შემდეგ ქართულადაც ითარგმნა[10]. როგორც ცნობილია, თეიმურაზ I-ის დედა — ქეთევან დედოფალი — 1624 წლის სექტემბერში შაჰ-აბას I-მა აწამებინა ქ. შირაზში. რაოდენ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ამბიდან სულ რაღაც 8-9 წლის შემდეგ, 1633 წელს, ოქსფორდში უკვე გამოსულა წიგნი, რომელშიც აღწერილია ქართველი დედოფლის მიერ ბრისხანე შაჰ-აბასის წინაშე გამოჩენილი გმირობა და მისი ლეგენდარული მოწამებრივი აღსასრული!

საქართველოსადმი ინგლისის საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესის გამოხატულებად უნდა იქნეს მიჩნეული ტავერნიეს „ექვსი მოგზაურობისა“ და ჟან შარდენის სახელგანთქმული „მოგზაურობის“ წიგნის ზედიზედ რამდენიმე ინგლისური თარგმანის გამოცემა, ყველა მე-17 საუკუნეში რომ განხორციელდა და, რომლებშიც უხვად არის წარმოდგენილი ცნობები საქართველოს შესახებ. თავის მხრივ, შარდენის წიგნი ბევრი ინგლისელი ავტორისთვის (მაგ., თომას სალმონი და სხვ.) პირველწყაროდ იქცა საქართველოზე მსჯელობისას[11]. უფრო ადრე (1665 წ.) კი, ინგლისურ ენაზე ითარგმნა პიეტრო დე ლა ვალეს ცნობები საქართველოს შესახებ და ირანელთა ტყვეობიდან გამოსყიდული მისი ქართველი მეუღლის —

---

[8] იხ. შ. ბადრიძე, ი. კენჭოშვილი, „ტიტუს ანდრონიკუსი“ — თამარი თუ ტამორა, „ქართული შექსპირიანა“, ტ. 3, თბ., 1972, გვ. 88—103.

[9] ა. გაწერელია, უცნობი „წერილი“ ქეთევან დედოფალზე, „ლიტ. წერილები“, თბ., 1954, გვ. 126—129; დამატებითი შენიშვნებით გადაბეჭდილია: ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, თბ., 1962, გვ. 458—461; შდრ. ზ. ავალიშვილი, წამება ქეთევან დედოფლისა, პარიზი, 1937.

[10] ი. კენჭოშვილი, ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე, „მნათობი“, 1961, № 1.

[11] Н. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII вв., Тбилиси, 1965, с. 147.

თინათინ დე ციბას თავგადასავალი, რომელიც 1627 წელს რომში იყო გამოქვეყნებული[12].

ქართული თემატიკა აისახა მე-18 ს.-ის გამოჩენილი ინგლისელი პოეტი-სენტიმენტალისტის უილიამ კოლინსის „აღმოსავლური ეკლოგების“ მესამე ეკლოგაში, რომელიც პირველად 1742 წელს გამოქვეყნდა. უ. კოლინსის ეკლოგაში ნახსენებია თბილისი და მოთხრობილია ახალგაზრდა ქართველ მწყემს ქალზე, რომელიც ერთხელ ჯოგს აძოვებდა, მინდვრის ყვავილებისგან გვირგვინს წნავდა და თან შესანიშნავად მღეროდა. ამ დროს ნადირობისას გზააბნეულმა დიდმა შაჰ-აბასმა თურმე ყური მოჰკრა ქართველი ქალის მომაჯადოებელ ხმას და მისი სილამაზით დატყვევებულმა იგი თან წაიყვანა, გაადედოფლა, სიმდიდრესა და ძალაუფლებას აზიარა. მაგრამ სასახლის ბრწყინვალებასა და დიდებაში მყოფი ქართველი ქალი მაინც ვერ ივიწყებს სამშობლოს და თავისი ქვეყნის ბუნების მშვენიერებას. მეოთხე ეკლოგაში კი ინგლისელი პოეტი გვიამბობს თათრებისაგან შევიწროებულ და აოხრებულ ჩერქეზებზე, რომელთაც სამშობლოს განთავისუფლების იმედიანი თვალი მოძმე საქართველოზე აქვთ მიპყრობილი[13].

მე-19 ს.-ის დამდეგის ინგლისური რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელს, სახელგანთქმული „ირლანდიური მელოდიების“ ავტორს — თომას მურს (1779—1852) აღმოსავლურ თემაზე დაწერილ თავის ვრცელ პოემაში „ლალა რუქ“ გამოყვანილი ჰყავს მომხიბვლელი ქართველი ქალიშვილი, რომელიც უმღერის სამყაროს სილამაზისა და სიხარულის საგალობელს. თ. მური ხოტბას ასხამს მის შავ თვალებს, აღმაფრთოვანებელი სიტყვებით ამკობს მის მშვენიერებას: „იგი ისეთივე ნორჩია და ვარდისფერღაწვიანი, როგორც ყველა ასულნი მისი ქვეყნისა, ტფილისური ცხელი წყაროებიდან გამოსვლის ჟამს“. ეტყობა, თომას მური სარგებლობს მე-10 ს.-ის ცნობილი არაბი მოგზაურისა და გეოგრაფის — იბნ-ხაუკა-

---

[12] დ უ დ ა გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ქართული თემა ბაირონის შემოქმედებაში, „ლიტ. საქართველო“, 1973 წ., 23 ნოემბერი, № 46.

[13] Н. О р л о в с к а я, დას. ნაშრ., გვ. 102—105; მ ი ს ი ვ ე, Грузия в «Восточных эклогах» Вильяма Коллинса, თსუ შრომები, ტ. 115, თბ., 1965, გვ. 63—72.

ლის ცნობებით საქართველოზე, კერძოდ, თბილისზე[14]. თ. მურის ეს პოემა პირველად 1817 წელს დაბეჭდილა. სხვათა შორის, ეს ის თომას მურია, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო პატრიოტული ლექსი „ირლანდიისადმი" 1872 წელს თარგმნა ილია ჭავჭავაძემ.

როგორც ჩანს, ანტიკური და ევროპული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მეშვეობით, საქართველოსა და ქართველებზე გარკვეული წარმოდგენა და საკუთარი შეხედულებანი ჰქონია დიდ ინგლისელ პოეტს ჯორჯ გორდონ ბაირონს (1788—1824). ეს ირკვევა მისი „დონ-ჟუანიდან", რომლის ზოგ ადგილას ნახსენებია კავკასიონის ყინულოვანი მწვერვალები, სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე გასაყიდი ქართველი, ხოლო „საქართველოს" პოეტი განმარტავს მე-18 ს.-ის გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსის ედუარდ გიბონის (1737—1794) შემდეგი სიტყვების დამოწმებით: „საქართველოს, სამეგრელოს და ჩერქეზეთის ჰავამ შექმნა ჩვენს წარმოდგენაში მშვენიერების მოდელი — ფიგურის, კანის ფერისა, ნაკვთების სიმეტრიისა და თავშეკავების გამოხატვისა: კაცები გაჩენილნი არიან მოქმედებისათვის, ქალები — სიყვარულისათვის. გიბონი". ამას გარდა, სულთნის სერალში დონ-ჟუანი იხიბლება „ქართველი კატინკას" ანუ ქეთევანის სილამაზით: იგი თეთრვარდისფერია, დიდი ლაჟვარდოვანი თვალები აქვს, ჩამოსხმულ-მხრებიანია და თავისი კოხტა ფეხებით თითქოს ჰაეროვანი სიმსუბუქით დასრიალებს. ქართველთა სილამაზე ბაირონს ხაზგასმული აქვს აგრეთვე თავის სხვა პოემაში — „გიაური"[15].

მართალია, გაკვრით, მაგრამ ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ მაინც ნათქვამი აქვს ცნობილ ინგლისელ აღმოსავლეთმცოდნეს თომას ჰაიდს 1700 წელს გამოქვეყნებულ წიგნში სპარსული რელიგიის შესახებ. წყაროდ მას გამოუყენებია მაჯოს ცნობილი „ქართული გრამატიკა" (რომი, 1643),

---

[14] ნ. ორლოვსკაია, ქართველი ქალი თომას მურის პოემაში, ჟ. „საქართველოს ქალი", 1969, № 5, გვ. 19, დ. გაწერელია, დას. წერილი.

[15] დ. გაწერელია, ქართული თემა ბაირონის შემოქმედებაში, „ლიტ. საქართველო", 1973 წ., 23 ნოემბერი, № 46.

საიდანაც მოყვანილია ქართული წერის ნიმუშები[16]. ქართული ენის შესახებ საუბარია აგრეთვე 1700 წელს ლონდონში დაბეჭდილ „მამაო ჩვენოს“ მრავალენოვან გამოცემაშიც[17].

ჯონ პერის მიერ 1716 წელს ლონდონში რუსეთზე გამოცემულ წიგნში შეტანილი აქვს ცნობები რუსეთში მოღვაწე არჩილ მეფისა და მისი ვაჟის, პეტრე I-ის უახლოესი თანამებრძოლის, რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერის, ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ[18].

1720 წელს, ლონდონის ახლად გახსნილ მუსიკალურ აკადემიაში დაუდგამთ ფ. ჰენდელის ოპერა „რადამისტი“, რომლის სიუჟეტი აგებულია I საუკუნის (ჩვ. წ.-ამდე) იბერიის უფლისწულის, ფარსმან პირველის ძის — რადამისტისა და მისი მეუღლის — ზენობიას ტრაგიკულ ისტორიაზე. თავის მხრივ, ჰენდელის ოპერის ლიბრეტო დამყარებულია ტაციტუსის „ანალებზე“. ეს ფაქტი ქართულ ლიტერატურაში პირველად 1947 წელს ა. გაწერელიამ აღნიშნა: „ჰენდელის დიადი მუსიკის ხმები... ორასოცდახუთი წლის წინათ აღელვებდა ინგლისელ საზოგადოებას, რომელიც მცხეთისაკენ ლტოლვილი იბერიელი უფლისწულისა და მისი მეუღლის მოთქმას ისმენდა ლონდონის იტალიურ ოპერაში“[19].

ინგლისელი მკითხველი ასევე ბევრ საინტერესო ცნობას იპოვიდა საქართველოსა და ირანის შაჰის კარზე მყოფ ქართველებზე ჯ. ჰანვეის წიგნში, რომელიც 1753 წელს გამო-

---

[16] Н. Орловская, დას. ნაშრ., გვ. 222.

[17] Н. Орловская, დას. ნაშრ., გვ. 270.

[18] შ. ხანთაძე, ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან (XIX საუკუნის 20-იან წლებამდე), კრებულში: „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968, გვ. 125.

[19] ა. გაწერელია, ტაციტი, ჰენდელი და საქართველო, „სახალხო განათლება“, 1947, 1 იანვარი, № 1; გადაბეჭდილია დამატებითი შენიშვნებით: ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1962, გვ. 401—405; შდრ. ვ. გვახარია, ჰენდელის ოპერა ქართულ სიუჟეტზე, „საბჭოთა ხელოვნება“, 1955, № 4, გვ. 57—60. მეტ-ნაკლები სისრულით დაიბეჭდა გერმანულად და ფრანგულადაც: „ჰენდელ იარბუხ“, ლაიფციგი, 1960. გვ. 163—174; „რევიუ დე ქართველოლოჟი“, პარიზი, 1968. ტ. 25, გვ. 226—227; ჰალეს უნივერსიტეტის შრომები, ჰალე, 1979, გვ. 59—65; მისივე, კრებიონის ტრაგედია ქართულ სიუჟეტზე, „ლიტ. საქართველო“, 1955, № 36, გვ. 3.

ქვეყნდა ლონდონში და სხვა ევროპელმა ავტორებმაც (მაგ., მარმონ დიუ ოშანი) გამოიყენეს იგი. მაგალითად, ჰანვეი თავის წიგნში მაღალ შეფასებას აძლევდა ერეკლე II-ს, ამასთან გატაცებით ჰყვებოდა ამბავს ერთი უცნობი ქართველი ქალისას, რომელიც დაღუპული ქმრის სისხლის ასაღებად სპარსეთს მიეშურებოდა[20].

ინტერესს იწვევს 1788 წელს ლონდონში ჯ. ედვარდსის მიერ გამოცემული ნაშრომი: „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა, კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით", რომელშიც გარკვეული ადგილი ეთმობა საქართველოს. აქვეა ხშირად სახმარ ქართულ სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც 140 ერთეულს შეიცავს. ცალკეა წარმოდგენილი მეგრული და სვანური ლექსიკა[21].

მე-18 ს.-ის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-19 ს.-ის დასაწყისში სამი დიდი სახელმწიფო — ინგლისი, რუსეთი და საფრანგეთი ერთმანეთს დაუპირისპირდა ამიერკავკასიაში გასაბატონებლად. თავიანთ დამპყრობლურ ზრახვებს არც ძველი მოქიშპენი — ირანი და ოსმალეთი მალავდნენ. ასეთ გართულებულ ვითარებაში, ზ. ჭიჭინაძის ცნობებს თუ ვერწმუნებით, ერთხანს ერეკლე მეორეს თავისი პოლიტიკური ორიენტაცია ინგლისისაკენ ჰქონია მიმართული.

მართალია, ზ. ჭიჭინაძის ცნობებს. ზოგჯერ ზღაპრული ელფერი დაჰკრავს, მაგრამ არც ს. იორდანიშვილის მიერ ზ. ჭიჭინაძის მისამართით ნათქვამი სიტყვები უნდა დაგვავიწყდეს: „ამ თვითნასწავლმა დიდმა მწიგნობარმა თავის სიცოცხლეში, როგორც ჩანს, ბევრი საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული თუ ზეპირი ცნობა გადაგვირჩინა განადგურებისაგან"[22].

---

[20] ამის შესახებ იხ. მ. ხუბუა, ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, „ენიმკის მოამბე", ტ. V—VI, თბ., 1940; Н. Орловская, დას. ნაშრ., გვ. 44, 127, 144; შ. ხანთაძე, დას. ნაშრ. გვ. 109—110, 127.

[21] ნ. ყიასაშვილი, ერთი უნიკალური წიგნის შესახებ, „ლიტ. საქართველო", 26. VII. 1963; იხ. აგრეთვე, Н. Орловская, დას. ნაშრ., გვ. 223—225.

[22] რაფიელ დანიბეგაშვილი, მოგზაურობა ინდოეთში, თარგმნა, წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1950, გვ. IX.

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად[23], ერეკლე მეორეს მე-18 ს.-ის 70-იან წლებში კავშირი გაუბამს ინდოეთის ქ. მადრასში მცხოვრებ მდიდარ სომეხ ვაჭართან — იაკობ შაჰამირიანცთან, იგივე, შამირ-აღასთან (1723—1797) და მისი საშუალებით ოსტ-ინდოეთის კომპანიის ინგლისელ მმართველებთანაც უცდია ურთიერთობის დამყარება. შამირ-აღას, თავის მხრივ, საკუთარი პატრიოტული მოსაზრებანიც ამოძრავებდა: იგი იბრძოდა ერეკლე მეორის მფარველობის ქვეშ სომხეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. უკანასკნელად, ამ მიზნით, ერეკლე მეორეს შამირ-აღასთან, თითქოს, ცნობილი ქართველი მოგზაური და დიპლომატი რაფიელ დანიბეგაშვილიც უნდა გაეგზავნა 1795 წელს, მაგრამ როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ინდოეთში ჩასულ რ. დანიბეგაშვილს შამირ-აღა უკვე გარდაცვლილი დახვედრია, ხოლო უკან მობრუნებულმა ქართველმა მოგზაურმა ვეღარც ერეკლე II-ს მოუსწრო ცოცხალს[24].

ჯ. კეკელიძის გამოკვლევით, ქართულ მწერლობაში „ბრეტანიაი, დიდი იგი ჭალაკი“ და „ბრეტანელნი“ მოხსენიებული აქვს ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის სახელგანთქმულ მოღვაწესა

---

[23] იხ. საქართველოს შესახებ ევროპიელთ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები: ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან; მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი, გამოცემა ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა, ტფ., 1900; ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მეფე ერეკლეს მიმართვა ინგლისის მთავრობასთან 1780 წ., თბ., 1920; იგივე ადრე დაბეჭდა გაზეთ „ხალართველოს რესპუბლიკაში“, 1919 წ., № 201, 9 სექტემბერი.

[24] შდრ. რ ა ფ ი ე ლ დ ა ნ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა ინდოეთში, ს ო ლ. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1950; თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში — რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა (ქართულ-რუსული ტექსტები), ლ. შ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1963; ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში — ქართველი ბზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობანი, გრ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1971; არსებობს რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობის“ ადრინდელი რუსული გამოცემა (მოსკოვი, 1815), ხოლო ჩვენს დროში იგივე ძეგლი ლ. მარუაშვილმა გამოსცა რუსულ, ჰინდი და ინგლისურ ენებზედაც (მოსკოვი, 1961, 1971). იხ. აგრეთვე, ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 110 შმდ.

და მთარგმნელს ექვთიმე ათონელს[25], ხოლო საერთოდ, ძველ ქართულ მწერლობაში ინგლის-შოტლანდიისა და ინგლისური მწერლობის გამოძახილი თავმოყრილი აქვს ტრ. რუხაძეს: „ინგლის-შოტლანდიას ახსენებენ აღორძინების ხანის ქართველი მწერლები. შოტლანდია, მაგალითად, იცის გაბრიელ გელოვანმა (S—1743, გვ. 48). დავით რექტორის მიერ შევსებულ სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში მოხსენიებულია „იოანე შკოთა“ (შოტლანდიელი), მისტიკოსი, რომელსაც მოუვლია „მთელი ევროპა“ (Q—401). XVIII საუკუნის ინგლისის პროგრესული იდეების გამოძახილს ვამჩნევთ, უთუოდ, [გერმანელი დრამატურგის] ბრავეს „ათეისტის ტრაღედიაში“, რომელიც ქართულად გადმოიღო მირიან ბატონიშვილმა. დასახელებული საუკუნის ბოლოსათვის ქართულად ცნობილი იყო უილიამ შექსპირის სახელი: ახსენებს მას დავით ბატონიშვილი ანსილონის „ესთეტური განსჯანის“ ქართულ თარგმანში (H—2181, გვ. 92, 208). აქ ნათქვამია: „რაისა შესაძლო არს შეთანასწორებად იულოსისა და რომეოსისა თანა შექსპირისასა...“. არის აგრეთვე შექსპირის უფრო გვიანდელი თარგმანები („ტყუილ-უბრალოდ ვაი-ვაგლახი“, H—721). რუსული გზით ქართველებმა გადმოიღეს ტომას მურის (1779—1852) ლექსი „მწუხრის ზარი“, ამავე გზით ნაწილობრივ ითარგმნა თომას გრეის (1716—1771) განთქმული ელეგია „სოფლის სასაფლაო“, ჯონ მილტონის (1608—1674) „დაკარგული სამოთხე“ (S—92, S—1441, S—252, S—1452, S—1453, S—1441 (Ꝑ) და ფილოსოფოს ადამ ფერგუისონის (1724—1846) „ზნეობითი ფილოსოფია“ (მთარგმნელია იოანე ბატონიშვილი, H—214, H—2202). საინტერესოა, რომ ძველი ქართული მწერლობის დასასრულს ქართველებმა ყურადღება მიაქციეს შოტლანდიურ თხზულებებს თუ შოტლანდიელ მწერლებს. ჩნდება ქართულში შოტლანდიელი კომედიოგრაფი იაკობ კრიტჩონი, რომელიც „იშვა შოტლანდიასა წელსა ჩფნზ“, ე. ი. 1557 წელს.

---

[25] კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში, თსუ შრომები, ტ. VII, თბ., 1938. გადაბეჭდილია: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 172.

უცნობ მთარგმნელს გადმოუღია მესამე საუკუნის მგოსნის ოსიანის სიმღერები, შეკრებილი ჯ. მაკფერსონის (1736—1796) მიერ (ხელნაწერი ემყარება კოსტროვისა (1750—1796) და დმიტრიევის რუსულ თარგმანებს (1792). „შოტლანდიური საუფლო სიმღერები“ უთარგმნია გიორგი ავალიშვილს (S—303, გვ. რნგ-რნდ). უცნობ ავტორს გადმოუღია ფრიად საინტერესო ალეგორიულ-სიმბოლური თხზულება „თვის შოტლანდიური ვაშტისა ანუ სალდათის მოსწრაფოებისა“ (S—1517; H—1098; გვ. 6, H—2818, გვ. 1; საქ. საისტ. არქ. № 233 (8), № 231)... უკანასკნელი თარგმანი იოანე ბატონიშვილის „ყალმასობის“ წყარო გამხდარა“[26].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც ვხედავთ, ქართული კულტურა, რუსეთის გზით, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლეთ ევროპულ და, კერძოდ, ინგლისურ კულტურას. პეტერბურგში მყოფ თეიმურაზ ბაგრატიონს ქართულად უთარგმნია (ფრაგმენტულად) ცნობილი ინგლისელი დიპლომატის, მოგზაურისა და მწერლის — ჯეიმს მორიერის (1780—1849) სახელგანთქმული თხზულება „ჰაჯი-ბაბა ისპაანელის თავგადასავალი“[27]. თავის მხრივ, ჯ. მორიერს ირანში ყოფნისას შეუგროვებია ცნობები საქართველოს შესახებ, კერძოდ, კახეთის 1812 წლის აჯანყებაზე და სხვ.[28] აქ მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ ამ ეპოქის სხვა ინგლისელ მოგზაურთა (ოლკოკი, არმსტრონგი, კლარკი, ლაილი, მონტისი, ალექსანდერი, ჯონსონი, კეპელი, ჰენდერსონი და

---

[26] ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 245—246; იხ. აგრეთვე, მ ი ს ი ვ ე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949, გვ. 166; მ ი ს ი ვ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 292-293.

[27] დაწვრილებით იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, „ჰაჯი-ბაბა ისპაანელის“ ქართული თარგმანის გამო, „საიუბილეო კრებული ალ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე“, თბ., 1974, გვ. 243—250.

[28] М. П о л и е в к т о в, Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг., Тб., 1946, с. 126—128; იხ. აგრეთვე ნ. ო რ ლ ო ვ ს კ ა ი ა, ინგლისელი მოგზაური [ჯონსონი] თბილისის შესახებ, „დროშა“, 1970, № 6, გვ. 16.

სხვ.) მიერ საქართველოს გარშემო სხვადასხვა მიზნით შეკრებილ ცნობებზე, რომლებიც საფუძვლიანად აქვს მიმოხილული მ. პოლიევქტოვს ზემოთ დასახელებულ ცნობილ ორტომიან ნაშრომში (ტ. 1, თბ., 1935; ტ. 2, თბ., 1946, რუსულ ენაზე), ხოლო ინგლისის პოლიტიკას კავკასიაში საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ა. ჩხეიძემ[29].

XIX საუკუნის 30-იანი წლების დამლევს ქართული ხელნაწერები ჩნდება უკვე ბრიტანეთის მუზეუმში, რომლებიც ალექსანდრიაში შეუძენიათ,[30] ხოლო თამარ მეფის ეპოქის ქართული მონეტების აღწერილობას შეიცავდა 1823 წელს ლონდონში გამოქვეყნებული უ. მარსდენის კაპიტალური ნუმიზმატიკური ნაშრომი[31].

1804 წელს ლონდონში დაარსდა ბიბლიური საზოგადოება, რომელიც სხვა ქრისტიან ხალხთა მწერლობასთან ერთად, ქართული ქრისტიანული ლიტერატურითაც დაინტერესდა.

ამ საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი პინკერტონი, შ. ხანთაძის სიტყვებით: „ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს ეცნობოდა. ამ მიზნით მან იმოგზაურა ათონზე, იყო რუსეთშიც და შეკრიბა ცნობები ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლებზე. პეტერბურგში მას ცნობები მიაწოდა ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ დოსითეოზ ფიცხელაურმა. ათონზე პინკერტონმა 39 ქართული ხელნაწერი აღწერა (ბიბლია, ოთხთავი, ბასილ დიდის ნაწერები, იოანე ხრისტოსტომის კომენტარები და სხვ.). ქართული ძეგლების ეს მიმოხილვა მან გამოაქვეყნა თავის ორ პატაკში ბიბლიური საზოგადოებისადმი. პირველი დაიბეჭდა 1816 წელს, მეორე — 1820 წელს“[32].

როგორც ირკვევა, საბოლოოდ ამავე საზოგადოებას შეუ-

---

[29] ა. ჩ ხ ე ი ძ ე, ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, თბ., 1973.

[30] А. Х а х а н о в, Грузинские рукописи в европейских книгохранилищах, «Древности Восточные», IV, М. 1913, с. 15—16; შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, დას. ნაშრ. გვ. 132.

[31] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 134.

[32] ი ქ ვ ე, გვ. 148.

ქენია თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ 1820-იან წლებში თურქულ და სპარსულ ენებზე თარგმნილი „დავითნი“, რომელიც მუსლიმანურ აღმოსავლეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად ყოფილა გამიზნული და დღეს ოქსფორდშია დაცული[33].

პარიზის მსგავსად, 1823 წელს ლონდონშიაც დაარსდა სააზიო საზოგადოება, რომელმაც ხელი შეუწყო ინგლისში ქართველთმცოდნეობით დაინტერესებას. თავდაპირველად, ამ საზოგადოებამ ფრანგულიდან ინგლისურ ენაზე გადათარგმნა და თავის ჟურნალში პარიზის სააზიო საზოგადოების ჟურნალიდან გადაბეჭდა ევროპული ქართველოლოგიის ფუძემდებლის — მარი ბროსეს ზოგიერთი ნაშრომი და ამით ნიადაგი მოუმზადა ინგლისში ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებას,[34] რასაც დაწვრილებით შევეხებით ქვემოთ.

ამასობაში საქართველოში კიდევ უფრო ღრმავდება ქართული კულტურის ევროპეიზაციისა და ინგლისურ კულტურასთან დაახლოების პროცესი[35]. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ქართული და ინგლისური რომანტიზმის ურთიერთმიმართება: პატრიოტიზმის, სიყვარულისა და ბუნების თემის რომანტიკული გააზრებითა და მხატვრული გამოსახვის ხერხებით ქართველი (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) და ინგლისელი (უორდსვორთი, შელი, კიტსი, ბაირონი) რომანტიკოსების სიახლოვე უკვე აღარავისთვისაა საეჭ-

---

[33] იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 163 — 169; მ. თ ო დ უ ა, თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ სპარსულად და თურქულად თარგმნილი „ფსალმუნნი“, წიგნში: „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, II, თბ., 1975, გვ. 221—224.

[34] იხ. დ. ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ე. „ოქსფორდის სლავური გამოკვლევები“ (ინგლისურ ენაზე), ტ. VI, ოქსფორდი, 1956, გვ. 115—143.

დ ე ვ ი დ მ ა რ შ ა ლ ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, თარგმანი ა ლ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს ა, „ცისკარი“, 1957, №4, გვ. 139.

[35] დ. ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.

ვო,[36] ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ბაირონის სულიერი ნათესაობა ერთ-ერთმა პირველმა ილია ჭავჭავაძემ შენიშნა:

„გასწი... მერანო, გარდამატარე ბედის საზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მზედარი.

აშკარაა, საზღვარ-დაღებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურია ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ჭროლა“[37]. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ჩნდება ბაირონის თხზულებათა პირველი ქართული თარგმანები (სარდიონ ალექსიმესხიშვილისა და მიხეილ თუმანიშვილისა), აგრეთვე, მიბაძვები, მაგრამ ბაირონით გატაცება მარტო ქართველი რომანტიკოსებით არ ამოწურულა: დიდი ინგლისელი რომანტიკოსის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართველ სამოციანელთა, ე. წ. თერგდალეულთა მიერ გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო გახდა.

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1858 წელს ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ თარგმნა „სტიროდეთ“, რომელიც გამსჭვალულია ეროვნული თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ღრმა სევდით:

„ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა,
მათ, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან...
ვისიც მამული სამშობლოისა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!..
ტომო, ფეხითა — სვლით მოწყლულითა,
ტომო, გულითა დაღალულითა,
ვით აღფრინდები სამშვიდო ადგილს?..“

---

[36] მ. კაკაბაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა და ევროპული რომანტიზმის გმირი (საკანდ. დისერტ.), თბ., 1974; მ. კუპუხიძე, ბაირონი XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და თარგმანებში (საკანდ. დისერტ.), თბ., 1977; თ. ნუცუბიძე, ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიის საკითხები, თბ., 1981.

[37] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 215-216.

შემონახულია აგრეთვე ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ ილიასეული ფრაგმენტული ქართული თარგმანები, შესრულებული 1860 წელს. აკაკი წერეთელსაც ამავე წლებში უთარგმნია ორი ლექსი ბაირონის ლირიკული ციკლიდან: „ებრაული მელოდიები“, რომლებიც თავისი პატრიოტული მგზნებარეებით იზიდავდა ქართველ პოეტს. აი, ერთი ნაწყვეტი „იეფთაის ასულის“ აკაკისეული თარგმანიდან:

„თუ ჩემს გამჩენსა და ჩვენს ხალხსაცა
ჰსურს, მამაჩემო, ჩემი სიკვდილი.
რადგან მისგამო დღეს ჩვენ მოგვეცა
მტერზედა ძლევა — ჰა, ჩემი გული!
გაეპე, სავსე ის სიყვარულით
მამულისადმი, მე არ ვინაღვლი:
შესრულებული საყვარლის ხელით
ვერ შემაშინებს მწარე სიკვდილი...“

ილიასა და აკაკის გარდა, XIX საუკუნის II ნახევარში ბაირონის მთარგმნელებად გვეელინებიან გრ. ორბელიანი, ან. ფურცელაძე, მ. გურიელი, ი. ბაკრაძე, ნ. ლომოური, მ. ყიფიანი, რ. ჩიკვაიძე, ბ. ნიკარაძე... მათ მიერ შესრულებულ ზოვიერთ თარგმანს, მართალია, დღეს შეიძლება მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობაღა ჰქონდეს, მაგრამ ამასთან იმის უტყუარ მოწმედაც გვეელინება, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობდა უდიდესი ინგლისელი პოეტი საქართველოში და რა როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ეროვნული გამოფხიზლების საქმეში[33]. ამ მხრივ, აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის სახელგანთქმული „ორიოდე სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმნაზედა“, რომელშიც მოცემულია უბრწყინვალესი დახასიათება „ბაირონის გენიისა“, იმის „საკვირველი ძლიერი სულისა“:

„ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა: არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია მბაძავნი იმოდენა, რამოდენაც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში... თითონ პუშკინიც მთელ თავის გენიით ვერ გადურჩა ემაგ ჭირსა, მთელი

[33] მ. კუჭუხიძე, დას. ნაშრ.; ნ. უბილავა, ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კრებ. „ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, თბ., 1979, გვ. 21—46.

ერთი პერიოდი პუშკინის წერისა, „კავკასიის ტყვიდგან“ დაწყებული „ევგენი ონეგინამდინ“, და თვით „ევგენი ონეგინიც“, თითქმის იყო ბაირონის გავლენის ქვეშა. ლერმონტოვიც ჰბაძავდა ბაირონსა; მთელ მის პოეზიას ეტყობა, როგორც ზემოხსენებულს პერიოდს პუშკინისას, ბეჭედი მომხიბლავ ბაირონის გენიისა, თუმცა კი ლერმონტოვი, როგორც მბაძავი ბაირონისა, მაღლა დგას თვით პუშკინზედაც. აი, ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა და, ამათ გარდა, რამდენი სხვა ბაწაწკინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის ქვეშა!.. ბაირონის გმირები... არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმეს; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეკვის ღრღნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ, ისინი არ მირბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან, არამედ თავიანთსავე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ სასოწარკვეთილების წამალსა. ბაირონს... ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი...[39].

ამასვე მოწმობს ილია ჭავჭავაძის უკვდავი სიტყვები „მგზავრის წერილებიდან“:

„მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო, იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ...“[40]

რადგან საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით შექსპირის პიესების მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიაში. ვიტყვით მხოლოდ, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული შექსპირის დრამატურგიის

---

[39] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 9-10.
[40] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1950, გვ. 21.

უკვნობი ძეგლები „რომეო და ჯულიეტა“, „იულიუს კეისარი“, „ორი ვერონელი აზნაური“, „ჰამლეტი“, „ვენეციელი ვაჭარი“... სისტემატურად ითარგმნებოდა ქართულ ენაზე დ. ყიფიანის, ლ. არდაზიანის, ბ. ფურცელაძისა და სხვათა მიერ, მაგრამ ჯერ „მეფე ლირის“ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ შესრულებულმა ერთობლივმა თარგმანმა, ხოლო შემდეგ შექსპირის თხზულებათა ივანე მაჩაბლისეულმა თარგმანებმა („ჰამლეტი“, „ოტელო“, „რიჩარდ მესამე“, „იულიუს კეისარი“, „ანტონიუს და კლეოპატრა“, „კორიოლანუს“) მთელი ეპოქა შექმნა ქართული ლიტერატურისა და ქართული თეატრის მატიანეში[41].

ამავე პერიოდში ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ინგლისური ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებანი თომას მურის, ვალტერ სკოტის, ჯონათან სვიფტის, რობერტ ბერნსის, დიკენსის, შელის, ჯერომ ჯერომის, დანიელ დეფოსი, მარკ ტვენისა და სხვ., რომელთა მთარგმნელებად გვევლინებიან ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, მამია გურიელი, გიორგი ჭალადიდელი...[42].

XIX საუკუნის საქართველოში ინგლისისადმი ინტერესი მარტო ინგლისური ლიტერატურის ძეგლების თარგმნით როდი ამოიწურებოდა. ქართული საზოგადოებრიობა ასევე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („ცისკარი“, „დროება“, „ივერია“...) გამოქვეყნებულ ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მესხის, დ. მიქელა-

---

[41] შექსპირზე არსებულ დიდძალი ქართული ლიტერატურიდან დაეასახელებთ ნ. ყიასაშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართული შექსპირიანას“ I—V ტომებს (თბ., 1959—1978 წწ.), რომლებშიც სხვა სპეციალურ წერილებსა თუ გამოკვლევებთან ერთად, თავმოყრილია საქართველოში შექსპირის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული მასალები (ი. გრიშაშვილისა, ბ. ოთაროვასი და სხვ.).

[42] მათ შესახებ იხ. გ. ლეონიძე, რობერტ ბიორნსი და მამია გურიელი, „ლიტ. შემკვიდრეობა“, 1, ტფ. 1935, გვ. 641—646; ნ. ორლოვსკაია, „რობინზონ კრუზოს“ ქართული თარგმანები, „ცისკარი“, 1961, № 1, გვ. 118—121; ნ. ორლოვსკაია, დიკენსი რეპოლუციამდელ ქართულ პრესაში, „უცხოური ენები სკოლაში“, 1970, № 4, გვ. 71—76; ი. კენჭოშვილი, მარკ ტვენის მოთხრობები ქართულად, „ლიტ. საქართველო“, 1965, 12 ნოემბერი; ლ. ასათიანი, ინგლისი და საქართველო, „ლიტერატურული წერილები, ნარკვევები“, თბ., 1974, გვ. 57—70; ნ. უხილავა, დას. ნაშრომი და სხვ.

ძისა (მეველის) და სხვათა წერილებსა თუ კორესპონდენციებს ინგლისის მიმდინარე ლიტერატურულ-კულტურულსა თუ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე[13].

მათ შორის, მაინც გამორჩეულია ნ. ნიკოლაძის „დიკენსი და ტეკერეი" (1870 წ.) და ი. ჭავჭავაძის „ირლანდია და ინგლისი" (1886 წ.), რომელშიც დიდი ინწერლის სიმპათია აშკარად ირლანდიელი ხალხის მხარეზე ისრება.

ეს, ასევე ორმხრივ, ინგლისურ-ქართულ და ქართულ-ინგლისურ გაცხოველებულ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა პროცესებში XIX საუკუნის შუა ხანებიდან ინგლისში თანდათან აღმოცენდა და განვითარდა ქართველოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა.

ამას, პირველ რიგში, როგორც ვთქვით, ხელი შეუწყო ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის აკადემიკოს მარი ბროსეს ინგლისურ ენაზე გადათარგმნილმა ქართველოლოგიურმა შრომებმა, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ინგლისელებს, დ. ლანგის აღიარებით, ქართველოლოგიის პიონერი ინგლისში არის წარმოშობით შვეიცარიელი პასტორის ვაჟი — სოლომონ სიზარ მალანი (1812-1894), შემდეგში ოქსფორდში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი-პოლიგლოტი, რომელსაც დ. ლანგი „თავისი დროის ყველაზე უფრო უნივერსალურ ლინგვისტს" უწოდებს. საჭელგანთქმულ პოლიგლოტს აღმოსავლურ და დასავლურ ენებთან ერთად ქართულიც შეუსწავლია და, იმავე დ. ლანგის სიტყვებით, თურმე განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებით. მან 1866 წელს გამოაქვეყნა პლატონ ეოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის" თარგმანი და თანაც დაურთო იმდენი სასარგებლო შენიშვნა, რომ იგი დღევანდლამდე ძვირფას საცნობარო წიგნად რჩება. იგი ამასაც არ დასჯერებია და 1867 წელს უთარგმნია გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) „ქადაგებანი", ხოლო 1872 წლის მაისში ქუთაისშიც ჩამოსულა, პირადად გაუცვნია

---

[13] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973; მ. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი ინგლისის შესახებ (XIX—XX სს. რევოლუციამდელი პერიოდი), „ცისკარი", 1976, № 12, გვ. 131—144.

გაბრიელ ეპისკოპოსი და ქუთაისის კათედრალურ ტაძარში — გელათში წირვა და ქადაგებაც კი ჩაუტარებია ქართულ ენაზე[44].

პირველი ცნობა პლ. იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“ (სპბ., 1843, რუსულ ენაზე) ინგლისური თარგმანის თაობაზე ქართულ პრესაში 1870 წელს გამოქვეყნდა, კერძოდ, გაზეთი „დროება“ თავის მკითხველს აუწყებდა:

„ამ უკანასკნელ ჟამს ანგლიაში და ამერიკაში გამოჩნდნენ იმისთანა სამღვდელო პირები, რომ შესაძლოთა ხედვენ და დაიწყეს კიდეც მეცადინეობა შეერთებისათვის ორი ეკკლესიისა აღმოსავლეთის და ანგლიკანისა. ეს პირნი აცნობებენ აღმოსავლეთის ეკკლესიის მდგომარეობას და საფუძველს ანგლიელ და ამერიკელ ღვთისნიერ ხალხს. სხვათა შორის ქართული ეკკლესიის შესახებ ანგლიურად არის ნათარგმნი პლატონ იოსელიანის „ისტორია ქართველთ ეკკლესიისა“. მეორე წიგნი არის გაბრიელ ეპისკოპოზის 15 ქადაგებების თარგმანი ანგლიურად ქართულიდამ და დაბეჭდილი ლონდონში 1867 წ. ეს ორივე წიგნი გადათარგმნილია ანგლიის ეკკლესიის მღვდლისაგან სოლომონ მალანისაგან“[45].

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ოქსფორდში სოლომონ სიზარ მალანს მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა შეუქმნია, რის თაობაზეც 1888 წლის 20 ნოემბერს (№ 245) გაზეთი „იბერიაც“ იუწყებოდა:

„ინგლისში, ქალაქს ოქსფორდში, ბ-ნს მალანს შეუდგენია ქართული ბიბლიოთეკა, სადაც თითქმის ყველა ქართული წიგ-

---

[44] „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 140; იხ. აგრეთვე, დ. ლ ა ნ გ ი, ქართული ხელნაწერები ოქსფორდში (ინგლისურ ენაზე), ე. „ბედი ქართლისა“, პარიზი, ტ. II—III, შდრ. გვ 71-78. უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული (ისტორია), ტ. 6, თბ., 1978, გვ. 72; ზ. ს უ რ ბ უ ლ ა ძ ე, ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდის ისტორიიდან, „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 10, გვ. 95-97; გ. შ ა რ ა ძ ე, პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 41—44.

[45] „დროება“, 1870, № 2.

ნი მოიპოვება. ამ ბიბლიოთეკაში ზოგიერთი იშვიათად საშოვნი წიგნიც არის თურმე"[46].

1894 წლის 11 დეკემბერს „ივერიამ" ინგლისურ გაზეთ „ტაიმსიდან" გადმობეჭდა ნეკროლოგი „სოლომონ კეისარი მალანი", რომელსაც ახლდა რედაქტორის — ილია ჭავჭავაძის შენიშვნა: „ეს ის მალანია, რომელმაც გადათარგმნა და დაბეჭდა ინგლისურ ენაზედ გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და პლატონ იოსელიანის ქართული ეკკლესიის ისტორია" („ივერია", 1894.11.XII... № 262). მალანის ამ თარგმანის შესახებ ჩვენში სცოდნია კირიონსაც (იხ. „საისტორიო მოამბე", თბ., 1973, საბუთი № 210).

ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძის ცნობით, „სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მალანი მუშაობდა შრომაზე: „შენიშვნები ივავებზე", სადაც ბიბლიური ტექსტები ილუსტრირებულია აღმოსავლური წყაროებიდან და, კერძოდ, ქართულიდან აღებული ბევრი მაგალითით"[47].

თ. ბეგიაშვილმა სოლომონ სიზარ მალანი ქართველ მეცნიერად — მალანიად გამოაცხადა[48]. მაგრამ უკვე ლ. თამარაშვილის [მენაბდის] რეპლიკაში ნაჩვენები იყო ამ მოსაზრების უნიადაგობა[49], რომელიც შემდეგ კიდევ უფრო გაამაგრა ა. ცამციშვილმა[50]. დაინტერესებული მკითხველი სოლომონ სიზარ მალანისა და მისი წინაპრების შესახებ საკმაო ცნობებს იპოვის აგრეთვე უცხოურ საცნობარო ლიტერატურაშიც[51].

---

[46] დღეს მალანისეული ქართული წიგნები დაცულია ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ინდოეთის ინსტიტუტის ფონდებში, რომელიც გავსინჯეთ 1981 წლის ოქტომბერში ინგლისში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას.

[47] ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-ურ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 20.

[48] თ. ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართველი მეცნიერი უცხოეთში, „სახალხო განათლება", 17.V.1967, № 20.

[49] ლ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი [მენაბდე], ქართველი მეცნიერი?! გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 27. V, 1967, № 19.

[50] ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, მალანი თუ მალანია? გაზ. „სამშობლო", 9. IV. 1971, № 7.

[51] „ბრიტანეთის ენციკლოპედია" (ინგლ. ენაზე), ტ. 14, გვ. 705, ლარუსის დიდი ენციკლოპედია (ფრ. ენაზე), ტ. 6, პარიზი, 1962.

ინგლისური ქართველოლოგიის სათავეებთან ვხედავთ მეორე გამოჩენილ ოქსფორდელ მეცნიერს — პროფესორ უილიამ რიჩარდ მორფილს (1834—1909), რომელმაც აგრეთვე ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო ქართული ენის შესწავლა და ქართული კულტურის — ენის, ლიტერატურისა და ისტორიის პროპაგანდა ინგლისში. განსაკუთრებული მეცნიერული დამსახურებისათვის იგი 1903 წელს ბრიტანეთის აკადემიის წევრად აირჩიეს.

უ. მორფილი, მართალია, სპეციალობით სლავისტი იყო, მაგრამ მისი ფართო მეცნიერული ინტერესების სფეროში ქართული მწერლობაც იმთავითვე მოექცა. გასული საუკუნის 80-იან წლებში, პროფ. ალ. ცაგარლის წიგნების გაცნობით წაქეზებული მორფილი, დამოუკიდებლად შეუდგა ქართული ენის შესწავლას ოქსფორდში, ხოლო 1888 წელს ჩამოვიდა საქართველოში და აქ დაჰყო ცხრა დღე — 22 აპრილიდან 1 მაისამდე[52]. თბილისში მორფილი ეწვია ქალაქის მუზეუმს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, გაზეთ „ივერიის" რედაქციას; გარდა ამისა, შინ ესტუმრა ილია ჭავჭავაძეს, გაეცნო მრავალ გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მათ შორის: აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელს, რაფიელ ერისთავსა და სხვებს, ამასთან შეიძინა მრავალი ქართული წიგნი...

სამშობლოში დაბრუნებულმა მორფილმა მალე, ყოველკვირეულ ჟურნალ „აკადემიაში", 1888 წლის 21-ივლისს, გამოაქვეყნა თავისი პირველი ქართველოლოგიური ხასიათის წერილი: „ქართული ენა და მწერლობა", რომელიც დაუყოვნებლივ, იმავე წლის 14 აგვისტოს, გაზეთ „ივერიაში" (№ 171) გამოქვეყნდა (სტეფანე ჭრელაშვილის მიერაა ინგლისურიდან თარგმნილი). დ. ლანგის შეფასებით, „ეს ნარკვევი წარმოადგენდა პირველ ცდას ინგლისელი მკითხველისათვის ქართული ლიტერატურის ზოგადი სურათის გასათვალისწინებლად". წერილში მორფილი, პირველ რიგში, ასახელებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", „ვისრამიანის" სარგის თმოგველისეულ ქართულ რედაქციას, მნიშვნელოვნად მიიჩნევს „შაჰ-

[52] „Кавказ", 24. IV. 1888, № 110; „ივერია", 1888 წ., 3 მაისი, № 91.

ნამეს“ ქართულ ვერსიებს, ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ თარგმნილ „ქილილა და დამანას“, მაღალ შეფასებას აძლევს საბას „ქართულ ლექსიკონს“ და „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას“, ხოლო ახალი ქართული მწერლობიდან მოიხსენიებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, აგრეთვე გიორგი ერისთავს, ვახტანგ ორბელიანსა და რაფიელ ერისთავს; მორფილი ხოტბას ასხამს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობასა და მის უმდიდრეს წიგნთსაცავს, რომელშიც მრავალი ძვირფასი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნია დაცული. ასევე ქებით მოიხსენიებს მ. ბროსესა და ალ. ცაგარელს, რომელთაც ქართველოლოგიის საკვლევი ასპარეზი გადაუშალეს ევროპელ მეცნიერებსო.

საქართველოში შემდეგშიაც არ შეწყვეტილა უ. მორფილის წერილების, რეცენზიებისა და გამოხმაურებების ბეჭდვა, რომელთაც ინგლისელი მეცნიერი ქართული კულტურის შესახებ აქვეყნებდა თავის სამშობლოში მეტად ავტორიტეტულ სამეცნიერო ორგანოებში, მეტწილად ჟურნალ „აკადემიაში“, და „სანეფო საზიო საზოგადოების ჟურნალში“[53].

მათ შორის, აღსანიშნავია 1891 წელს გამოქვეყნებული უ. მორფილის წერილი „ქართული ეროვნული ეპოსი“, რომელშიც განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ არტურ ლაისტისეული გერმანული თარგმანი (დრეზდენ-ლაიფციგი, 1889) და გამოთქმულია მისი შეხედულებანი რუსთაველსა და მის პოემაზე. ინგლისელი მეცნიერი კმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ლაისტის „შრომის წყალობით დასავლეთის სამყაროც შეძლებს გაეცნოს ქართული ლიტერატურის ამ ქმნილებას“.

---

[53] იხ. „ივერია“, 3. VII. 1888, № 128, „ივერია“, 5. VII. 1888, № 139; „თეატრი“, 1888, № 26, გვ. 2; „ივერია“, 28. VII. 1888, № 157; „ივერია“, 27. XI. 1888, № 250; „ივერია“, 5. IX. 1889, № 187; „ივერია“, 2. VI. 1891, № 115; „ივერია“, 17. VI. 1892, № 125, „ცნობის ფურცელი“, 22. VIII. 1898, № 612; „ივერია“, 25. VIII. 1898, № 182; „ცნობის ფურცელი“, 30. IX. 1898, № 642; „ივერია“, 29. IX. 1898, № 208; „ივერია“, 16. I. 1899, № 10; „ივერია“, 24. III. 1900, № 66; „ივერია“, 6. X. 1900, № 217; „ივერია“, 11. X. 1900, № 221.

საყურადღებოა აგრეთვე უ. მორფილის მიერ სხვადასხვა დროს დაბეჭდილი გამოხმაურებანი და რეცენზიები არტურ ლაისტის, მოსე ჯანაშვილის, ალექსანდრე ცაგარლის, ალექსანდრე ხახანაშვილის, მარჯორი და ოლივერ უორდროპების ნაშრომებზე, რომლებიც მიძღვნილი იყო ქართული კულტურის საკითხებისადმი.

ნ. ორლოვსკაიას შეფასებით, „მორფილს ვერ ჩავთვლით ქართული ლიტერატურის სპეციალისტად, მკვლევარად, და მის ნაშრომებს არცა აქვს ქართული ფილოლოგიის საკითხებზე ახლის თქმის პრეტენზია. მაგრამ ამ დროისათვის, როცა საქართველოს კულტურას ჯერ ნაკლებ იცნობდნენ ინგლისში, მორფილის ნაშრომები, დაწერილი ჭეშმარიტი მეცნიერი ფილოლოგის გამჭრიახობითა და სიფართოვით, უდავოდ ძალზე დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო... მორფილი თავისი ნაშრომებით ბევრ ახალ ცნობასა და მასალას აწვდიდა ინგლისს საქართველოს შესახებ, შეჰყავდა ინგლისელი მკითხველი იმ ახლის სფეროში, რაც მუშავდებოდა და იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურისა და ფილოლოგიის საკითხებზე. ამით ის უფართოებდა ლიტერატურულ ცოდნას თავის თანამემამულეებს, აწვდიდა მრავალ ახალ და ძვირფას ცნობას და აღუძრავდა საქართველოს კულტურული წარსულის, ენისა და ლიტერატურის ინტერესს"[54].

ცალკე აღნიშვნის ღირსია უ. მორფილის პირადი ნაცნობობა და მიწერ-მოწერა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ივანე მაჩაბელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, ალექსანდრე ცაგარელთან, მოსე ჯანაშვილთან...

---

[54] ნ. ორლოვსკაია, მორფილის ნაშრომები ქართული ფილოლოგიის დარგში, „ცისკარი", 1964, № 6, გვ. 139—140; უ. მორფილის ქართველოლოგიური ღვაწლის შესახებ დაწვრილებით იხ. დ. ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ოქსფორდი, 1956; არსებობს მისი ქართული თარგმანი ალ. გამყრელიძისა: „ცისკარი", 1957, № 4, გვ. 141—142; Н. Орловская, Первые сведения о Руставели в Англии. «Лит. Грузия», 1966, №9—10, с. 188—191; შ. გოზალიშვილი, უილიამ მორფილი, „ახალგაზრდა კომუნისტი", 15. III. 1966, № 32; კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", 1, თბ., 1976, გვ. 301—303, 320—321, 326—331, 448—449.

განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდა ინგლისელი მეცნიერი ილია ჭავჭავაძეს. საქართველოში მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებული უ. მორფილი 1888 წლის 10 ივლისს აღფრთოვანებულ წერილს უგზავნის დიდ ქართველ პოეტს:

„ოქსფორდი, 10 ივლისი, 1888.

მოწყალეო ხელმწიფევ, თავადო ილია გრიგოლის ძევ!

მე ახლა დავბრუნდი ინგლისს და ვჩქარობ მადლობა გადაგიხადოთ კნეინა ოლგას და თქვენ თქვენი სიკეთისათვის ჩემი თბილისში ყოფნის დროს. არასოდეს არ დავივიწყებ თქვენს სტუმართმოყვარეობას.

მადლობას გიძღვნით აგრეთვე გაზეთ „ივერიისათვის", რომელსაც ვღებულობ. პატივი მექნება მალე გამოგიგზავნოთ პატარა ნარკვევი, — რომელიც მე დავწერე ერთ-ერთი ჩვენი ლიტერატურული ჟურნალის — „აკადემიისათვის". ეს გამოცემა ჩვენში ფართო გავრცელებას პოულობს. მე კიდევ ვამზადებ დიდ სტატიას ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ენის შესახებ ერთ-ერთი ინგლისური მიმომხილველისათვის...

ეხლა ყოველდღიურად ვკითხულობ ქართულ წიგნებს, რომლებიც თქვენმა [წერა-კითხვის გამავრცელებელმა] საზოგადოებამ კეთილგანწყობით გადმომცა. ვიმედოვნებ, სრულიად დავეუფლო ამ ძნელ ენას.

გაუმარჯოს თქვენს თვალწარმტაც და კეთილშობილ საქართველოს!..

უ. რ. მ ო რ ფ ი ლ ი.

P.S. მე ახლა ყველა ქართული წიგნი მომეპოვება. ძველი ბიბლია ჩემთვის ერთი უდიდესი განძთაგანია"[55].

1900 წელს ოქსფორდში გამოქვეყნებულ ერთ წერილში უ. მორფილი ასე ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს: „ყველაზე უშესანიშნავესი, მგონია, აწინდელი დროის პოეტთაგანი თავადი ილია ჭავჭავაძეა, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგში. იგი ერთი სახელგანთქმულთაგანი მოქალაქეა ტფილისისა, ფრიად სტუმრის მოყვარე კაცი. იგი ჰბეჭდავს „ივერიას", რომლის ფურცლებზეც ხშირად წაიკითხავთ ვრცელს ცნობებს

[55] იხ. შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1973, გვ. 52-53.

ქართველთა ტომის ზნე-ჩვეულების შესახებ... ჰეშმარიტის სამშობლოს მოყვარეობით გამსჭვალულია სტრიქონები მისის ლექსისა „მტკვრის პირას“:

„კვლავ ჩემ-წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვგრძნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავ წუხილით
შეჰკვნესს მღვრიე ზეირთთ მღერითა დენას“[56].

უ. მორფილი უფრო ადრეც ამასვე წერდა: „ილია ჭავჭავაძე არის ჰეშმარიტი პატრიოტი, რომელმაც თავისი ქვეყნის ლიტერატურაში მაღალ-საპატიო ადგილი დაიმკვიდრა“[57], ან კიდევ: „...თავადი ილია ჭავჭავაძე, დიდად განათლებული კაცი, განთქმული და ღირსეული პოეტი და დღეს დიდად ცნობილი ლიტერატორი თბილისში, — იმას აქვს საკუთარი დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“. იმისს სტუმართმოყვარე სახლის წყალობით მე მომეცა შემთხვევა და გავიცანი რამდენიმე საინტერესო კაცი იმ ქალაქისა. სხვა შესანიშნავი ქართველი მწერლები არიან აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ და გიორგი ერისთავნი. ქართული მწერლობა უფრო საინტერესოა ევროპისათვის“[58], ხოლო ივანე მაჩაბლის შესახებ ამბობს, რომ „ის, როგორც შექსპირის ქართულად მთარგმნელი, ინგლისელთაგან განსაკუთრებულ სიმპათიას იმსახურებს“[59].

ინგლისურ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების ღირსშესანიშნავი ფაქტია ინგლის-რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების პრეზიდენტის — ე. კაზალეტის მიერ 1897 წლის 3 სექტემბერს გამოგზავნილი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი:

„თქვენო ბრწყინვალებავ!

წავიკითხე რა „ნივაში“ ვ. ველიჩკოს ხელმოწერით სტატია თქვენზე და თავად რ. დ. ერისთავზე, ვბედავ მოგმართოთ თქვენ ორივეს თხოვნით, უარი არ გვითხრათ, მოგვაწოდოთ ცნობები თქვენს ცხოვრებაზე და ლექსებზე.

---

[56] შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 56-57.
[57] ნ. ო რ ლ ო ვ ს კ ა ი ა, დას. ნაშრ., გვ. 139.
[58] შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 55-56.
[59] ნ. ო რ ლ ო ვ ს კ ა ი ა, დას. ნაშრ., გვ. 139.

ჩვენი სურვილია დავბეჭდოთ ისინი ინგლისურ ენაზე ჩვენს მომავალ ბროშურაში.

დღევანდელი ფოსტით გიგზავნით თქვენი ბრწყინვალების სახელზე, ჩვენს ორ უკანასკნელ ბროშურას № 17 და № 18, რომელშიაც დაბეჭდილია შევჩენკოს ლექსები თარგმნილი ინგლისურ ენაზე — რუსულიდან.

ამგვარადვე ჩვენ ვფიქრობდით თარგმნილიყო თქვენი და თავად ერისთავის ლექსები, რადგან ჩვენ არ ვიცით ქართული ენა.

თუმცა მე ინგლისელი ვარ, მე ვიცი რუსული ენა, დაბადებული ვარ რუსეთში. იმედი მაქვს, რომ თქვენ ორივე უარს არ გვეტყვით და აგრეთვე ნებას მოგვცემთ აგირჩიოთ ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად.

ჩვენი მიზანია დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობა თქვენსა და ინგლისელებს შორის.

თუ შემიძლია რამე სარგებლობა მოგიტანოთ, მზად ვარ გემსახუროთ.

ღრმა პატივისცემით თქვენი ბრწყინვალების მორჩილი მსახური

ე. ა. კაზალეტი,
პრეზიდენტი.

P.S. მე ვმოგზაურობდი ამიერკავკასიის მხარეში 1858 და 1859 წლებში"[60].

ე. კაზალეტის მიერ აქ დამოწმებულ ვ. ველიჩკოს წერილში ივულისხმება: В. Величко. Грузинские поэты кн. Р. Д. Эристов и кн. И. Г. Чавчавадзе. «Нива», еженед. илл. журнал, 1897, № 35, с. 834—835, სადაც იგი ი. ჭავჭავაძეს უწოდებს „ქართველ გოგოლს" და ბეჭდავს მის პორტრეტს[61].

შ. გოზალიშვილის შენიშვნით, ამ წერილიდან ირკვევა, რომ

---

[60] შ. გოზალიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 77-78; ჯ. დადიანი, რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი წერილი „ნივაში", „ლიტ. საქართველო", 4. IX. 1964, გვ. 4.

[61] შდრ. თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია, ილია ჭავჭავაძე (ბიობიბლიოგრაფია), თბ., 1966, გვ. 415, № 1496.

ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი „ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების“ წევრებად ყოფილან არჩეულნი. ამასთანავე, მეტად საგულისხმოა, რომ იმავე საზოგადოების ინგლისურ გამოცემებში დაბეჭდილია ამ ჩვენი ორი სასიქადულო ქართველი მწერლის შემოქმედებითი ნიმუშები“[62].

ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ფრედერიკ კორნუალ კონიბირმა (1856—1924).

ფ. კონიბირი, მართალია, სპეციალობით არმენისტი იყო, მაგრამ სომხურთან ერთად შეისწავლა ძველი ქართული ენა და ქართული სასულიერო მწერლობის ავტორიტეტული მკვლევარი გახდა, რაშიაც დიდი როლი ითამაშეს მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა: „ქართველოლოგიური კვლევა-ძიების საერთო ინტერესებმა უორდროპები და კონიბირი დააახლოვა და XIX ს.-ის 90-იანი წლებიდან მათ საერთო ძალით ბევრი ძვირფასი საქმე განახორციელეს“[63].

ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ცნობით, ფ. კონიბირი ჯერ კიდევ 1888 წლის აპრილში ჩამოსულა თბილისში: „ეხლა ტფილისში იმყოფება ინგლისელი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბ-ნ ფრიდრიკოს კონებიარი“[64]. კონიბირი მაშინ უმეტესად არისტოტელეს თხზულებათა სომხური თარგმანების შესწავლით ყოფილა გატაცებული, მაგრამ, ჯერ ერთი, საქართველოში ყოფნამ და ქართველ მოღვაწეებთან დაახლოებამ, ხოლო შემდგომ მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან ერთობლივმა მუშაობამ მკვეთრად გააღრმავა და განაპირობა მისი ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ინტერესები.

1896 წელს ინგლისურ ჟურნალებში — „აკადემიაში“ და „ფოლკლორში“ ფ. კონიბირმა ზედიზედ გამოაქვეყნა ორი შრომა, რომლებშიც შეეხო ახალი აღთქმისა და „სიბრძნე ბალავარის“ ქართულ თარგმანებს.

პირველი შრომის შესახებ 1896 წლის 6 მარტს ილიასეულ

---

[62] შ. გოზალიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 78.

[63] მ. სურგულაძე, ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდის ისტორიიდან, „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 10, გვ. 104.

[64] „ივერია“, 10. IV. 1888, № 77.

„ივერიაში“ (№ 5) გამოქვეყნებულ ვრცელ ბიბლიოგრაფიულ ანოტაციაში ვკითხულობთ:

„ინგლისურმა ჟურნალმა „ეკედემიმ“ დასტამბა ერთი ჩვენთვის საყურადღებო წერილი პროფესორის კონებირისა...

პროფ. კონებირის აზრით, მარტო სომხური საღმრთო წერილის თარგმანს როდი ატყვია ძველი სირიული ტექსტის კვალი, არამედ ქართულსაც. პროფესორმა შეადარა ქართული სახარება და ეპისტოლენი ძველ სირიულ დედანს და თავისი აზრის დასამტკიცებლად საკმაო საბუთები მოჰყავს და ამბობს, ჯერ ჩვენში ნაკლებად ცნობილ ქართულ საღმრთო წერილს რომ გაეცნოთ, კიდევ ბევრ საბუთებს ნახავთ ამ აზრის დასამტკიცებლად. ყველა ეს მოწმობს, რომ ქართული თარგმანი, სომხურ თარგმანსავით, ძველ სირიულიდგან არის და მხოლოდ შემდეგ არის გადაკეთებულ-შეთანხმებული ბერძნულ საღმრთო წერილთანაო. ხოლო სომხური თარგმანის გადაკეთება მეხუთე საუკუნეში მოხდა საჰაკისა და მესროფისაგან, ქართულისა კი, როგორც სჩანს, წმიდა ევთიმის დროსა (გარდაიცვალა 1026 წ.) (!), რომელმაც შეასწორა და შეიმუშავა ქართული დაბადება ათონის მთაზე, სადაც ის წინამძღვრად იყო. პროფესორი კონებირი იმედოვნებს, რომ სადმე, ათონში ან სინას, იერუსალიმში ან ტფილისში მოინახება ქართული სახარების ხელნაწერი უფრო წინა დროისა, ვიდრე წმინდა ევთიმესაგან შემუშავებული სახარება არს. თუ აღმოჩნდა ამისთანა სახარება, ამბობს პროფესორი, მით ძველ სირიულ ტექსტის მნიშვნელობასაც მოეფინება ნათელიო. სირიული დედანი უფრო ნათლად სჩანს ქართულ თარგმანში, ვიდრე სომხურშიო“[65].

სხვათა შორის, ფ. კონიბირმა თავისი მოსაზრება, რომ ქართული ბიბილია გადმოთარგმნილია სირიულიდან და მერე შესწორებულია ბერძნულის მიხედვით, გამოთქვა აგრეთვე 1910 წელს გამოქვეყნებულ საგანგებო ნაშრომშიც[66].

---

[65] ფ. კ ო ნ ი ბ ი რ ი, ახალი აღთქმის სომხური ვერსია, ჟ. „ეკედემი“ (ინგლ. ენაზე), იხ. „ივერია“, 6. III. 1896, № 52, გვ. 4.

[66] ფ. კ ო ნ ი ბ ი რ ი, ახალი აღთქმის ქართული ვერსია, ჟ. „ახალი აღთქმის მეცნიერების ჟურნალი“, გიზენი, 1910, გვ. 161—166 (ინგლ. ენაზე). ქართული ბიბლიის წარმომავლობის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 421—425.

ახლა რაც შეეხება „სიბრძნე ბალავარის“ თაობაზე 1896 წლის ივლისში ფ. კონიბირის მიერ ჟურნალ „ფოლკლორში“ დაბეჭდილ წერილს, რომელსაც „ცნობის ფურცელი“ გვამცნობს:

„ინგლისურ ჟურნალ „ფოლკლორის“ ამ წლის ნომერში დაბეჭდილია ლექცია, წაკითხული ბ. ფრედერიკ კონობიარის მიერ „სიბრძნე ბალავარის“ შესახებ. ბ. კონობიარს ხელთ არა ჰქონია მთელი გამოცემა „სიბრძნე ბალავარისა“ და უსარგებლნია მხოლოდ იმ რამდენიმე ადგილით, რომელიც გადათარგმნა პროფესორმა მარმა. ლექტორს მოჰყავს ქართული და სომხური ვარიანტები, ადარებს მათ ერთმანეთს და პოულობს ქართულს უძველესად, ამტკიცებს აგრეთვე, რომ ბერძნულად გადაუთარგმნია ქართულიდამ ათონელ ქართველ ბერს წმ. ეფთიმეს, რადგანაცო, როგორც სჩანს, წმ. ეფთიმეს ზედმიწევნით სცოდნია ბერძნული ენა და ბევრი სხვაც უთარგმნია ბერძნულად და თვითონაც უწერია. ლექციის დასასრულ კიდევ იმეორებს, რომ „სიბრძნე ბალავარის“ გადათარგმნილია ქართული ენიდამ ბერძნულად და ბერძნულიდამ კიდევ სხვა ენებზედ, რომელზედაც კი არის ნათარგმნი“[67].

აქ იგულისხმება ფ. კონიბირის შრომა: ბარლაამისა და იოსაფატის ლეგენდები ძველ ქართულ და სომხურ ლიტერატურაში, ჟ. „ფოლკლორი“, ტ. VII, ლონდონი, 1896 (ინგლ. ენაზე), რომელსაც 1897 წელს თავისი რეცენზია მიუძღვნა ნ. მარმა: იხ. ЖМНП, 1897 г., апрель, стр. 483—490, ხოლო მალე სპეციალური ნაშრომიც გამოაქვეყნა: „Армянско-грузинские материалы для истории душеполезной повести о Варлааме и Иоасафе“, ЗВОРАО, т. XI, 1899, с. 49—78.

უნდა აღინიშნოს, რომ „სიბრძნე ბალავარის“ შესახებ 1896 წელს კონიბირის მიერ გამოტანილი ძირითადი დასკვნები დღემდე არ შეცვლილა[68].

1900 წელს, ოქსფორდში გამოქვეყნდა „წმ. ნინოს ცხოვრების“ მარჯორი და ოლივერ უორდროპებისეული ინგლისური

---

[67] „ცნობის ფურცელი“, 15. XI. 1896, № 27.

[68] შდრ. კ. კეკელიძე, ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში, „ლიტ. ძიებანი“, XI, თბ., 1958, გვ. 145—172; ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1957 და სხვ.

თარგმანი,[69] (ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი), რომელსაც დართული ჰქონდა: „ჯუანშერის მატიანის სომხური ვერსია, თარგმანი ფ. კონიბირისა", (გვ. 67—88). გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ რეცენზიაში ალ. ხახანაშვილი ასე აფასებდა ფ. კონიბირის შრომას: „...წიგნს დართული აქვს ცნობილი არმენისტის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, კონებირის წერილიც. პატივცემული მეცნიერი უზიარებს მკითხველებს ესრედ წოდებულს „სომხურ ვერსიას" წმ. ნინოზედ. ეს ვერსია გადათარგმნილია ქართულიდგან სომხურად და რადგან ქართული დედანი დაკარგულია, მისგან სომხურად ნათარგმნს მნიშვნელობა აქვს სადავო კითხვის გადასაწყვეტად, რა დროს უნდა ეკუთვნოდეს წმ. ნინოს შესახებ მოღწეულს წყაროებს. პროფ. კონებირის მოსაზრებანი ჯუანშერის ისტორიაზედ, რომელიც გახდა საფუძვლად სომხურად ნათარგმნის ქართულ ისტორიულ წერილისა, ნათელს ჰფენს ქრისტიანობის ჩვენში გავრცელების დროს. და-ძმის ნაწერი და პროფ. კონებირის წერილი დაკავშირებულია ერთმანეთთან და შეადგენენ ძვირფასს საშობაო საჩუქარს ქართველის საზოგადოებისათვის"[70].

„წმ. ნინოს ცხოვრების" ინგლისურ გამოცემას 1901 წელს თავისი რეცენზია მიუძღვნა აგრეთვე ნ. მარმა[71].

ფ. კონიბირი კვლავ დაუღალავად აგრძელებდა ქართველოლოგიურ მუშაობას, რასაც მოწმობს „თეოლოგიური კვლევაძიების ჟურნალში" გამოქვეყნებული მისი წერილი ძველ ქართულ, კერძოდ, ათონურ ხელნაწერებსა და დასავლურ მეცნიერებისათვის მათ მნიშვნელობაზე, რის შესახებაც 1901 წლის 27 ივლისის „ცნობის ფურცელი" გვაუწყებს:

„ჩვენ მოგვივიდა ერთი ინგლისური „საღმრთო ჟურნალი", რომელშიც ქართულ ძველ ხელნაწერებზეა ლაპარაკი. სხვათა შორის, ათონის მონასტრის ხელნაწერებსაც იხსენიებენ. ჟურნალი ევროპის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებაზე, რომ

---

[69] წმინდა ნინოს ცხოვრება, ინგლისური თარგმანი მარჯორი და ოლივერ უორდროპებისა, ოქსფორდი, 1900.

[70] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქ.-ნ უორდროპისა და ბ-ნ უორდროპის ახალი შრომის შესახებ, „ივერია", 24. XII. 1900, № 280.

[71] იხ. ЗВОРАО, т. XIII, 1901, с. 0134—0139; აგრეთვე, ТР, кн. V, 1903.

ქართული ხელნაწერები დიდის ყურადღების ღირსნი არიან, მხოლოდ ისინი ძალიან ცუდათ ინახებიან ათონზეო. წერილის ავტორი ბ. კონიბირი ამბობს: „ქართულ ხელნაწერების შენახვის მდგომარეობა ათონის მთაზე შეუწყნარებელია. ისინი ისე პირდაპირ იატაკზე ჰყრიან ივერიის მონასტერში და სინესტისა და ჩრჩილის მსხვერპლად გამხდარან. ამ ხელნაწერებში ბევრი უძველეს ხანას ეკუთვნის და როგორც ცაგარლის [იხ. А. Цагарели, Сведения, вып. I, СПб., 1886, გ. შ.] და მარის [იხ. Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ЗВОРАО, Т. XIII. 1901, გ. შ.] კატალოგშიაც არის ნაჩვენები, მშვენიერის ხელით არის დაწერილი. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ხელნაწერთაგან აღარა დარჩება-რა. სრული იმედი გვაქვს, რომ ის ინტერესი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში იჩენს ევროპა ამ წიგნების გაცნობაში, წააქეზებს ბერებს და შეანახვინებს ძვირფას ხელთნაწერებს“[72].

როგორც ვიცით, მე-10 საუკუნეში არაბულიდან ქართულად გადმოუთარგმნიათ საბაწმიდის მოღვაწის, ანტიოქე სტრატიგის თხზულება „წარტყუენვაი იერუსალიმისაი“, რომელშიც მოთხრობილია სპარსთა მიერ 614 წელს იერუსალიმისა და წმ. ადგილების აღების ამბავი. მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში დაწერილი ბერძნული დედანი მე-8-9 საუკუნეებში ჯერ არაბულად უთარგმნიათ საბას ლავრაში, შემდეგ, მე-10 საუკუნეში, არაბულიდან ქართულად გადმოულიათ[73]. ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის ომიანობის ამ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს ქართული ვერსია, რომელიც ამ ამბის თანამედროვე ავტორის მიერ არის დაწერილი, 1909 წელს გამოსცა ნ. მარმა,[74] ხოლო 1910 წელს ინგლისურად გადაუთარგმნია ფ. კონიბირს[75].

---

[72] „ცნობის ფურცელი“, 27. VII. 1901, № 1536, გვ. 3-4.

[73] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 498-499.

[74] Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами в 614 г., грузинский текст исследовал, издал, перевел и арабское извлечение приложил Н. Я. Марр, ТР, кн. IX, СПб., 1909.

[75] ანტიოქ სტრატიგი, წარტყუენვა იერუსალიმისა სპარსელების მიერ 614 წელს, ქართული ვერსიის ინგლისური თარგმანი ფ. კონიბირისა, ლონდონი, 1910.

იგი ამითაც არ დაკმაყოფილებულა და 1915 წელს ოლივერ უორდროპთან ერთად ქართულიდან ინგლისურად უთარგმნია წმ. იაკობის ჟამისწირვა,[76] რომელსაც დაწვრილებით ქვემოთ შეეხებით[77].

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველოლოგია ინგლისში თანდათან იწყებს აღმოცენებას, რაც ინგლისური ქართველოლოგიის ფუძემდებლების — და-ძმის — მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელებთანაა დაკავშირებული.

---

[76] წმ. იაკობის ჟამისწირვის ქართული ვერსია, ინგლისური თარგმანი ფ. კ ო ნ ი ბ ი რ ი ს ა და ოლ. უ ო რ დ რ ო პ ი ს ა, პარიზი, 1915.

[77] ფ. კონიბირის ქართველოლოგიური ღვაწლის შესახებ იხ. აგრეთვე, დ. ლ ო ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი", 1957, № 4, გვ. 146-147.

თავი მეოთხე

მარჯორი და ოლივერ უორდროპები — ინგლისური ძართველოლოგიის ფუძემდებლები

უორდროპი წარჩინებული ინგლისური არისტოკრატიული გვარია: მათი საგვარეულო მამული და საძვალე ლონდონთან ახლოს, სევენოუქსში (ქართულად „შვიდმუხას“ ნიშნავს) მდებარეობს.

ამ გვარის ღირსეული წარმომადგენლები არიან თომას უორდროპი (25. II. 1836—22. VIII. 1903) და მისი მეუღლე მარჯორი (12. IV. 1839—1. IX. 1918), რომელთაც სამი შვილი ჰყავდათ: ოლივერი (10. X. 1864 — 19. X. 1948), თომასი (25. XI. 1867 — 22. V. 1932) და მარჯორი (26. XI. 1869 — 7. XII. 1909). როგორც ვხედავთ, უმცროსი ქალ-ვაჟისათვის მშობლებს თავიანთი სახელები დაურქმევიათ.

უფროსმა ვაჟმა, ოლივერ უორდროპმა, საუნივერსიტეტო განათლება ოქსფორდში მიიღო და იგი ჭაბუკობიდანვე მოგზაურობით ყოფილა გატაცებული. მას მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ჰქონია მოვლილი. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, 1887 წლის აპრილში, 22 წლის ოლივერ უორდროპმა პირველად დადგა ფეხი საქართველოს მიწაზე და მოიარა ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხე. ყოფილა: ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, დაწვრილებით მოუხილავს კახეთი და ხევშიც კი ასულა. ჭაბუკ ინგლისელ სტუმარს საქართველოში მასპინძლობას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილები, კერძოდ, ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. მათ ისეთი თვალით დაანახვეს ოლივერ უორდროპს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო, ისე შეაყვარეს მისი წარსული და აწმყო, ქართული კულტურის ისეთი უსაზღვრო ერთგულება ჩაუნერგეს, რომ წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსე ოლივერ უორ-

დროპს ინგლისში დაბრუნებისთანავე დაუწერია შესანიშნავი წიგნი — „საქართველოს სამეფო“, ოდნავ ეგზოტიკური ქვესათაურით: „მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“, რომელიც 1888 წლის შემოდგომაზე უკვე დაიბეჭდა ლონდონში[1].

წიგნი მიძღვნილია ოქსფორდის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის პროფესორის — ჯეიმზ ბრაისისადმი, რომელიც 1876 წელს ნამყოფი იყო კავკასიაში და საგანგებო ნაშრომიც ჰქონდა ლონდონში 1877 წელს გამოქვეყნებული[2].

ოლივერ უორდროპის წიგნი შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას, ქართული ენისა და მწერლობის მიმოხილვასა და იმდროინდელი ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა-დახასიათებას.

საკმაოდ მოზრდილი, ორასზე მეტგვერდიანი წიგნი მდიდრულად არის გამოცემული, ყდასა და სატიტულო ფურცელზე ბაგრატიონთა ღერბია გამოხატული, ხოლო შიგ ჩართულია სხვადასხვა ილუსტრაცია: ხედები თბილისისა, ანანურისა, სიღნაღისა, თელავისა, დარიალის ხეობისა და სხვ., დახატულია ქართული ურემი, ჩვენებური მოჭიდავე, აგრეთვე, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი მამაკაცი; აქვე ვხვდებით ჩვენი ქვეყნის ისტორიულ პირთა (წმინდა ნინო, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ერეკლე მეორე) პორტრეტებს, თანამედროვეთაგან კი დაბეჭდილია გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის), ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის სურათები; წიგნს თავში დართული აქვს საქართველოს ფერადი რუკა, ბოლოში — მოგზაურობის მარშრუტი. ავტორს ლონდონში საგანგებოდ ჩამოუსხამს და თავისი წიგნის 137-ე გვერდზე ჩაურთავს ქართული მხედრული ანბანი.

ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფომ“ ინგლისელი მკითხველის ცხოველი ინტერესი გამოიწვია და-მათი მოწო-

---

[1] ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი, საქართველოს სამეფო: შენიშვნები ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში მოგზაურობაზე, ლონდონი, 1888.

[2] ჯ. ბ რ ა ი ს ი, ამიერკავკასია და პარიზი, ლონდონი, 1877; შდრ. დ. ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 143.

ნება და აღტაცება იმდენად დიდი ყოფილა, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ეს წიგნი თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1977 წელს ფოტოტიპურად ხელახლა გამოუციათ ლონდონში, ამჯერად უკვე ოლივერის ვაჟის — ანდრო უორდროპის წინასიტყვაობით[3].

წიგნის ღირსებას ერთიორად ზრდიდა ბოლოში დართული ოცდაექვსგვერდიანი ბიბლიოგრაფია ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულსა და რუსულ ენებზე საქართველოს შესახებ არსებული პირველწყაროებისა; მათ მოსდევს სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობასა და ეკონომიკაზე, აგრეთვე, ნოტებზე გადაღებული ქართული ხალხური სიმღერები („მრავალჟამიერ", „მორბის არაგვი" და სხვ.).

მიუხედავად ამისა, ოლივერ უორდროპი მაინც ბოდიშს იხდიდა მკითხველთა წინაშე: „მე კარგად ვგრძნობ, რომ ჩემი თხზულება არ არის სრული და ნაწყვეტ-ნაწყვეტია. დიდად მოხარული ვიქნები, თუკი გამოჩნდებიან სხვა მწერლები, რომელთაც ჩემი წიგნი გამოადგებათ გზის მაჩვენებლად და რომელნიც უფრო შეავსებენ და სისწორეში მოიყვანენ ჩვენს ცნობებს".

აკი, მართლაც გამოჩნდა ეს „სხვა მწერალი", რომლისთვისაც ოლივერ უორდროპის წიგნი გახდა გზის მაჩვენებელი და რომელმაც ინგლისურენოვან სამყაროს ახალი თვალით დააანახვა ჩვენი სამშობლო, ინგლისელი მკითხველის წინაშე ახალი ფერებით დახატა საქართველოს, ქართული კულტურისა და მისი შემქმნელი ხალხის ათასწლოვანი ისტორია.

და ეს „სხვა მწერალი" იყო თვით ოლივერ უორდროპის უმცროსი და — მარჯორი სკოტ უორდროპი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1894 წელს, ლონდონში გამოცემულ თავის „ქართული ხალხური ზღაპრების" ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში გულახდილად წერდა: „ჩემი ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა რამდენისამე წლის წინათ პირველად მიიზიდა ჩემი ცნობისმოყვარეობა და აღმიძრა გულში

---

[3] ოლივერ უორდროპი, საქართველოს სამეფო, ლონდონი, 1977.

ინტერესი საქართველოს (კავკასიის) და იმისი მხნე და მშვენიერი ერისა"[4].

მართლაც, კატკოვებისა და პატკანოვების ეპოქაში, არ შეიძლება კაცი გულგრილი დარჩენილიყო ოლივერ უორდროპის ამ წიგნის გაცნობისას, უბრალოდ, ვერ შეძლებდა აუღელვებლად წაეკითხა მისი, თუნდაც, შემდეგი ადგილები:

„საქართველო სულაც ისე შორს არ არის აქედან, როგორც ჰგონია ჩვენს ხალხს — ლონდონიდან თბილისამდე ხმელეთით ერთ კვირაში ჩახვალთ. საქართველო, რაც უნდა სთქვათ, სიტურფით არც ნორვეგიას ჩამოუვარდება, არც შვეიცარიას და იმისი მიმზიდველი უპირატესობა კიდევ ის არის, რომ უცნობი ქვეყანაა ჩვენებურ მოგზაურთათვის. იქ არც ისეთი უსირცხვილო ძარცვა-ყვლეფა იციან, როგორც ჩვენს ახლო-მახლოებში... ბოტანიკოსი იქნება თუ გეოლოგი, არქეოლოგი თუ ფილოლოგი, ყველასთვის საქართველოში ზღვა მასალაა, რომელიც ჯერ ხელუხლებელია თავ-თავიანთი მეცნიერებით: მთების მოყვარენი უკვე გააცნო ამ ქვეყანას მისტერ ფ რ ე შ ფ ი ლ დ მ ა თავისი ჩინებული წიგნით,[5] თამაშობა-გართობის მოყვარენი მისტერ უ ო ლ ი მ. მხატვრებისთვის საქართველო არის სრულებით ახალი ასპარეზი... მაგრამ ყველა ამას აღემატება საქართველოს უმთავრესი მიმზიდველი ძალა და ეს ძალა ქართველების ღირსებაა! ქართველი მარტო სახით კი არ არის სასიამოვნო სანახავი, ეს ხალხი მართლა საყვარელი რამ ხალხია... ვისაც უნდა გულიდან გადაიყაროს ჯავრი, დაღვრემილება, მელანქოლია და მიზანთროპია, იმაზე უკეთეს წამალს ვერ იშოვნის, რომ წავიდეს და იცხოვროს ამ მხიარულ, გულგახსნილ, ხელ-გაშლილ, პატიოსან და გულუბრყვილო ხალხს შორის!"

ოლივერი პირველად ბათუმის ნაესადგურს მოადგა გემით და აღტაცებული ამბობს: „ამ ქალაქს დიდი მერმისი მოელის და ქიშპობას გაუწევს თვით ოდესას და აგრეთვე ყირიმის აბანოებიან ქალაქებს". ბათუმიდან მომავალ ოლივერს თვალს

---

[4] ქართული ხალხური ზღაპრები, თარგმანი მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი ს ი, ლონდონი, 1894, გვ. VII.

[5] იგულისხმება დ. ფ რ ე შ ფ ი ლ დ ი, მოგზაურობა ცენტრალურ კავკასიაში, ლონდონი, 1869 (ინგლ. ენაზე).

სტაცებს გურიის მშვენიერება და მისი მცენარეულობის სიმ-
დიდრე, მოჯადოებული შემოდის ქუთაისში, იხიბლება უწინ-
დელი დიდების ნგრეული ნაშთით — ბაგრატის ტაძრით, გე-
ლათის სიდიადითა და იმერეთის სატახტო ქალაქს ტოვებს
შემდეგი სიტყვებით: „მგზავრი, რომელსაც სურს გაიგოს, თუ
როგორ ცხოვრობს ქართველი კაცი ქალაქებში, უნდა ერთი
ან ორი თვე მაინც ჩამოხდეს ქუთაისში“. აქვე იგი დიდი სიმ-
პათიით იხსენებს სვანეთს, გზადაგზა — ყვირილას, ჭიათურას,
კორტოხს, სურამს, უფლისციხეს, გორს და შემოდის ჩვენს
დედაქალაქ თბილისში, რომელსაც ასე უხატავს ინგლისელ
მკითხველს: „თბილისის ნახვა ერთსა და იმავე შთაბეჭდილებას
ტოვებს ყოველ უცხოელზე. მდებარეობა ამ ქალაქისა, მისი
მიდამო, ყოველი ქუჩის საკუთარი, განსხვავებული ცხოვრება,
მხიარულება და სიმარტივე საზოგადო ცხოვრებისა, ყოველი-
ვე ესე ერთად მოქმედებს მაყურებელზე საკვირველი ძლიე-
რებით და სასიამოვნოდ გრჩებათ ნახული. თუ მკითხველი
მოინდომებს გონების თვალით გამომყვეს თან, მე დავანახვებ
უფრო საინტერესო ადგილებს თბილისისას, რომ ცოტათი
მაინც წარმოიდგინოს ეს ადგილი, უწინარეს ყოვლისა, გავია-
როთ რამდენიმე ქუჩა მორთულისა და კოხტა სოლოლაკისა.
მერე ავცოცდეთ მთიან ბილიკზე, რომელსაც მივყევართ ცი-
ხის ნანგრევებთან და იქიდამ გადავხედოთ საუცხოო სანახებს
ქალაქისას. უკეთესი დრო საღამოა, თუ გინდათ უფრო მეტად
ასიამოვნოთ თქვენი თვალი მაინც ზაფხულობით. არავის არ
მოუვა აზრად, თუ არ საღამოს, სხვა დროს შეუდგეს ამ მძიმე
გზას. ნარიყალას ციხის დანგრეულ კედლებიდან თქვენს თვალ-
წინ გადაშლილია უთვალავი ბანები სახლებისა და გუმბათები
ეკლესიებისა და ამათ შორის მოჩანს დაკლაკნილი და მღვრიე
მდინარე მტკვარი. იქვე თქვენს ქვემოთ მიკრულია ძველი ქა-
ლაქი, მთელი ლაბირინთი ვიწრო და მრუდე ქუჩებისა, რო-
მელნიც თავ-თავქვე მიექანებიან გარეთუბნის მოედნიდან
მტკვრისაკენ. აქა დგას სიონის ტაძარი. სწორედ ამ ადგილას
მდინარე თანდათან ვიწროდ მიდის და ხალხსაც გამოუყენებია
ეს სივიწროვე იმითი, რომ ხიდი გაუდვია ზედ. ამ ხიდს აჰყევ-
ხართ მეტეხის სიმაგრეში, რომელიც დღეს საპყრობილედ არის
გარდაქმნილი, და ქალაქის აზიურ ნაწილში, რომელსაც ავლა-

ბარი ჰქვია. მარცხნივ რომ გააყოლოთ თვალი იმ ქედს, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ, დაინახავთ აყუდებულს მთას, სახელად მთაწმინდას. ამ მთის შუა ნაწილზე ზევით მოსჩანს სპეტაკი ეკლესია წმინდა დავითისა, რომლის უკან აღმართულია კედლის მსგავსად, მაღალი, გახრიოკებული შავი კლდიანი მთა. ეკლესიისა და მტკვრის შუა მანძილი რომ აიღოთ და შუა გაჰყოთ, სწორედ ამ ნახევარზე, გოლოვინის პროსპექტის დასაწყისში, გადაშიმულია სასახლე მთავარმართებელისა, თავისი მოზრდილი ბაღით. ბულვარსა და მტკვრის შუა გაშენებულია ქალაქის ბაღი ალექსანდრეს სახელობისა. ახლა თუ გაჰხედავთ მდინარის იქითა ნაპირს, ავლაბრის ზემოთკენ, მთაწმინდის პირდაპირ, თქვენ დაინახავთ სხვადასხვა სამხედრო უწყების შენობებს, არსენალსა და კარვებს. იმის აქეთ, მდინარის პირ-პირ ჰხედავთ დიდს ამწვანებულს ნაწილს ქალაქისას, რომელიც აკრელებულია მიხეილის ქუჩის ბაღებით. მიხეილის ქუჩას ბოლო მიუბჯენია უწარჩინებულეს ბაღისთვის და ამ ბაღს ჰქვია მუშტაიდი. შევაყოლოთ თვალი მთებამდის, მერე მოვტრიალდეთ, შევუშვიროთ ზურგი ქალაქს და ახლა გადავიხედოთ ბოტანიკური ბაღისაკენ, რომელიც ჩასაფრებულია დაფარულ გამოქვაბულ კლდეში. საუცხოო ადგილია სეირნობისა საღამოობით. ბაღს იქით მოჩანს თათრის სასაფლაო".

ძველი თბილისის, უფრო ზუსტად, მე-19 ს.-ის 80-იანი წლების თბილისის უკეთესი აღწერა, მართლაც ძნელი წარმოსადგენია!

მთაწმინდაზე ოლივერ უორდროპის ყურადღება მიუქცევია საფლავის წარწერას: „ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი დაიბადა 4 იანვარს 1795 წელს, მოკლულ იქმნა თეირანში 30 იანვარს 1829 წელს" და განთქმულ სიტყვებს ნინო ჭავჭავაძისას: „ხსენება შენი და საქმენი შენნი არასოდეს არ დაავიწყდება რუსეთს, მაგრამ .რად-ღა ვარ ცოცხალი მე, შენი დამკარგველი?". ოლივერი რუსული ლიტერატურის კარგ ცოდნას ამჟღავნებს, დაწვრილებით მოგვითხრობს გრიბოედოვის ღვაწლსა და მის თავგადასავალზე, საქართველოში მის ყოფნასა და ადრე დაქვრივებულ ნინო ჭავჭავაძის ლეგენდად ქცეულ სიყვარულზე:

„გრიბოედოვის სურვილი იყო, რომ სიკვდილის შემდეგ

საქართველოში დაემარხნათ. ჭირისუფლებმაც ამოარჩიეს რომანტიული ადგილი მთაწმინდისა, რომელიც ასე მოსწონდა გრიბოედოვს, როცა თბილისში იყო. მშვენიერმა ნინო ჭავჭავაძემ არ უღალატა თავისი ქმრის სახელს და გლოვობდა ოცდარვა წელი, ვიდრე თვით ამისი გვამიც არ აატარეს მთაწმინდის ბილიკზე და არ ჩაასვენეს ქმრის გვერდით".

თბილისიდან ოლივერ უორდროპი საქართველოს სამხედრო გზით მიემართება ვლადიკავკაზისაკენ და, აგერ, მოსულა მცხეთას:

„თუ დავერწმუნებით იქაურს თქმულებას, მცხეთა უძველესი ქალაქია დედამიწის ზურგზედ, რადგან ამბობენ, ვითომც მცხეთა აეშენებინოს პატრიარქ ნოეს შვილიშვილს... მცხეთა არის რომაელთა აკროსტოპოლისი, უმთავრესი სადგური პომპეისა, როდესაც ამან დაამარცხა მითრიდატი და დაიმორჩილა ივერია და ალბანია. უკეთესს ადგილს ვერც ამოირჩევდა პომპეი, რადგან იგი სძევს არაგვისა და მტკვრის შესართავში, ჰმფლობელობს ამ ქვეყნის ორ დიდ გზას და ამიტომ სწორედ გასაღებია ამიერკავკასიისა. მცხეთას, უწინდელს სატახტო ქალაქს საქართველოსას, ყოველთვის დიდი ადგილი სჭერია ამ სახელმწიფოს მატიანეებში... აქ იყო, რომ წმინდა ნინომ დაიწყო თავისი ღვაწლი საქართველოს ერის გაქრისტიანებისა..."

ინგლისელი მოგზაური საგანგებოდ ჩერდება ანანურის აღწერაზე: „ანანური სძევს ჩინებულს ღელეში, გარს ახვევია ტყით დაბურული სერები. სოფლის სამხრეთ ნაწილის ბოლოში, ამაღლებულ ადგილას, ჩვენ ვხედავთ ნახევრად დანგრეულს გალავანს ბურჯებიანს და სათოფიანს. გალავნის შუაზე მოსჩანს ორი ეკლესია. ერთში დღესაც წირვა-ლოცვას აღასრულებენ, ხოლო მეორე — წარმოგიდგენთ გროვას დანგრეულისა და ხავსმოკიდებულ ქვებისას... ჩვენ ავბობღდით ციხეზე. ასვლისთანავე უეჭველად უნდა წარმოგიდგეთ თვალწინ სურათი სისხლის ღვრისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი აქ ერთ დროს, ამ ერთნახევარ საუკუნის წინ, როდესაც გიორგი ერისთავი არაგველი იბრძოდა წინააღმდეგ ქსნის ერისთვისა. ქსნის ერისთავმა აჯობა, დაიჭირა ციხე და ამოსწყვიტა გიორგის ჯარი. გიორგი გაიქცა თავისის სახლობით და შეეფარა ძველს ეკლე-

სიას იმ იმედით, რომ არც ერთი ქრისტიანი არ დააქცევს სისხლს ეკლესიის მფარველობის ქვეშ, მაგრამ გამარჯვებულმა ქსნის ერისთავმა მიაყარა გარშემო ეკლესიას ხმელი ხე და ფიჩხი, მოუკიდა ცეცხლი და ძირს დაამხო მთელი შენობა. ამ უბედურ ოჯახობიდან მხოლოდ ერთადერთი ადამიანიღა გადარჩა ცოცხალი... ციხის ასავლიდან, იქვე მარცხნივ, არის ნასახლარი გიორგი ერისთავისა, ასავლის პირდაპირ კარგა შენახულა კოშკი და ამ კოშკის მარცხენა მხარეზე შეამჩნევთ ნანგრევებს ძველის ეკლესიისას, მარჯვნივ კი ახალი ეკლესიაა. ძველი საყდარი, რასაკვირველია, სრულიად დანგრეულია, სიგრძით იქნება მხოლოდ ოცდახუთი ნაბიჯი, სიგანით კი — თხუთმეტი. აქ კიდეც შენახულა ნაწილ-ნაწილ მხატვრობა და ჩუქურთმა, რომელსაც დიდი ინტერესი უნდა ჰქონდეს იმისთვის, ვინც იცის ისტორია ბიზანტიურ ხელოვნებისა. შენობა, როგორც ამბობენ, მეოთხე საუკუნეს ეკუთვნისო. აქვე არის პატარა სალოცავი შიგ მიწაში და ძალიან კარგადაც შენახულა.

მეორე, უფრო დიდი ეკლესია, აუშენებია გიორგი ერისთავს 1704 წელს. იმას ექნება ოცდაათი ნაბიჯი სიგრძე და ოცი — სიგანე და არის განდიდებულად გადაღებული ასლი უძველესი ეკლესიისა. მოყვითანო ქვისაგან არის ნაშენი. იგი საუკეთესო ნიმუშია ქართულ ხუროთმოძღვრებისა. შენობის ორივე მხარეზე ქვაში ამოჭრილია ჯვარი, ვაზის შტოს მსგავსი, ჯვარი წმინდა ნინოსი[6].

ანანურსაც უძევს წილი საქართველოს უკანასკნელი ისტორიის სამწუხაროსა და შავს ბედში. სპარსელებმა აიღეს თბილისი 1795 წელს, გადაწვეს და მიანგრ-მოანგრიეს. მეფე ერეკლე რამდენისამე მოყმით საოცრად გადურჩა მტერს და შეაფარა თავი ანანურის მთიან სიმაგრეებში... ავადმყოფი ჯანით და დაღლილი სულით სამოცდაჩვიდმეტი წლის მოხუცი ისეთს საცოდავს ყოფაში იყო, რომ თვით ანგელოზთაც კი ცრემლს მოჰგვრიდა მისი სანახაობა... ეს კაცი, თავის დროს მეხი და

---

[6] შდრ. პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1958; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 176.

მედგარი მთელი ამიერკავკასიისა, იყო ერეკლე მეორე... მაგის სახელი გავარდნილი იყო მთელს აზიაში. მაგის ხალხს თავის დღეში არა ჰყოლია მაგისი ცალი და ბადალი მეფე. იგი მამასავით იღვწოდა მათის კეთილდღეობისათვის და ორმოცი წელიწადი ერთად შეერთებული ეპყრა თავისი ერი...".

1795 წელს, აღა-მაჰმად ხანისაგან აკლებული თბილისიდან ანანურს ლტოლვილი მოხუცი ქართველი მეფის აქ დახატული უორდროპისეული სურათი საოცრად ეხმიანება „ბედი ქართლისას" უკვდავ სტრიქონებს:

...აღა-მაჰმად-ხან კვლავ თავმომწონე
შემოეპარა ციხისა კართა
და მოუვლინა მსწრაფელ ქართველთ ჯართა.
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა ჰერანის ტახტს, ხელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა.
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!
. . . . . .
მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გარდმოჰყურებს.
მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გარდმომზირალი,
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა...
დიდხანს უქვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ..."[7]

ფაქიზი ლირიზმით აღწერს ოლივერ უორდროპი ანანურ-ფასანაურის გზას:

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის სიამოვნება, რომელიც გამოვიარე ანანურსა და ფასანაურს შუა მგზავრობის დროს. თუმცა უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ვარსკვლავები ჰფენდნენ შუქს არემარეს, რომელიც უცნობია ჩრდილოელთათვის, და ანათებდნენ საკვირველის მშვენიერების ადგილებს: ცალ მხა-

---

[7] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 71—73.

რეზე თოვლით შემოსილი მთის წვერები, მეორეზე ვერცხლივით ბრჭყვიალა მდინარე, ხასხასა ტყე და განმარტოვებული ნანგრევები საკვირველ სანახაობას აძლევდნენ სურათს".

არც ამ ადგილთა მკვიდრნი ავიწყდება ინგლისელ სტუმარს:

„ფასანაურიდან აღმოსავლეთისაკენ ცხოვრობენ ხევსურნი, ფშავნი და თუშნი... იმათი სოფლები ისეა მიკრული კლდეებზე, თითქოს არწივის ბუდეები იყოსო. ხევსურნი უმთავრესად ცხოვრობენ იმით, რასაც აძლევს ღარიბი ხვნა-თესვა. ფშავნი და თუშნი მწყემსობით ცხოვრობენ, ზამთარში მიუდით თავიანთი საქონელი დაბლა, კახეთში და რაკი თოვლს აიღებს, ისევ თავიანთ სამშობლო მთებისაკენ მიეშურებიან. ეს სამივ თემი... მეტად გულადი და გამბედავი ხალხია. დიდის ხნიდანვე იგინი შეადგენენ ნაწილს საქართველოს სამეფოსას და განთქმული აქვთ სახელი მრავალი ომებით წინაალმდეგ ურწმუნოთა. თამარ დედოფალი უღიარებიათ წმიდათა შორის..."

ხევში ყოფნისას ოლივერ უორდროპი, ბუნებრივია, მყინვარის სიმშვენიერესა და სიდიადესაც ძალზე მოუხიბლავს:

„ქართველები ამ მთას ეძახიან მყინვარს და ოსები კი — ქრისტეს მთას. ყაზბეგი გვარია იმ ოჯახისა, ვისაც ეკუთვნის ეს ადგილები, და ცუდადაც გადაუტანიათ მათი გვარი ამ მთის სახელწოდებად. მყინვარი არარატის მთასავით აუვალ მთად არის ცნობილი და ამიტომ არა სჯეროდათ, როდესაც თავიანთ მოგზაურობის ამბავსა სწერდნენ ჩვენი თანამემამულენი — ფრეშფილდი, მური და ტუკერი, რომელ ნიც დიდის გაჭირვებით ავიდნენ მყინვარზე ივნისს 1868 წელს".

ამის შემდეგ ოლივერ უორდროპს მოჰყავს ლეგენდა კავკასიონის ამ ბუმბერაზის შესახებ, „ვითომც ამ მთის წვერზე იდგეს კარავი პატრიარქის აბრაამისა. ვითომც კარავში ჩამოკიდებულია აკვანი და უჭირავს ვიღაცის უხილავ ხელს. აკვანში სძინავს ყმაწვილ იესოს. კარავის გარეთ სთესია პურის ყანა, რომლის ხორბალიც უშველებელი სიდიდისაა. აკვნის გარშემო მოგროვილია და ზვინებად აწყვია უთვალავი თვალ-მარგალიტი..."

ეს ფაქტი ორმხრივ არის ჩვენთვის საინტერესო: ჯერ ერთი, იგი საგულისხმოა, როგორც ოლივერ უორდროპის მიერ გასულ საუკუნეში ჩაწერილი ქართული ლეგენდის უცნობი ვა-

რიანტი, და მეორეც: ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია ივსება ინგლისურ ენაზე ქართული ფოლკლორული ძეგლების გამოქვეყნების ახალი ფურცლით[8]. ამას გარდა, ამირან-პრომეთეს პრობლემაზე მომუშავეთათვის საყურადღებოა ო. უორდროპის მონათხრობი იმაზე, თუ რა კავშირი უნდა ჰქონდეს მყინვარის მთას პრომეთეს მითთან. ჩვენ ქვემოთ შემთხვევა მოგვეცემა მოვიყვანოთ აგრეთვე ოლივერ უორდროპის მიერ ჩაწერილი ასევე საინტერესო თქმულებები თამარ მეფესა და შოთა რუსთაველზე.

ვლადიკავკაზიდან ო. უორდროპი კვლავ თბილისს მობრუნებულა და კახეთისაკენ აუღია გეზი.

აქ მისი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, სიღნაღს მიუქცევია თავისი ბუნებრივი მდებარეობითა და გადასახედით. ინგლისელი ჭაბუკის თვალს იტაცებს კავკასიონის ქედი, ალაზნის ველი, რომელიც მარცხნივ მორთულია თვალუწვდენელი ტყეებით და ერთი სული აქვს, დაიაროს მთელი კახეთი, რომელსაც ის უწოდებს „საქართველოს ბაღს". ბოდბეში წმ. ნინოს საფლავის მონახულების შემდეგ, გზად — ქოდალოსა და ბაკურციხეში მას გაუცვნია ქართველი თავადები — ანდრონიკაშვილები და ვაჩნაძეები, რომელთაც უქებს დახვედრას და სტუმართმოყვარეობას:

„რომ მოვიგონებ ამ მოგზაურობას, დღესაც სიამოვნებით ამევსება ხოლმე გული: ჩვენი გზა ბაკურციხეზე იყო, ცხენებზე ვისხედით და ერთ პატარა სოფელთან, რომელიც ბაკურციხისა და სიღნაღის შუა გზაზე სძევს, ორნი ჩვენთაგანი დავწინაურდით და ვკარით ქუსლი ცხენებსა. კარგა ხანს ჩვენი ცხენები მხარდამხარ მიჭენობდნენ, ვიდრე ჩემი თანამგზავრის ცხენს ნალი არ გაუტყდა. ის დავტოვე იქვე სამჭედურში და მე მარტოკამ მივანებე თავი ცხენს. ზაფხულის ცხარე მზე მაღლა იყო წამოსული ლურჯი ცის კამარაზე; მარცხნივ გამწკრივებულიყო ვაზით მორთული ფერდობები; მარჯვნივ, ალაზნის იქით, აყუდებულიყვნენ თეთრნი მთის წვერნი იმ მთიან კედლისა, რომელიც გაჭიმულიყო ჩემსა და ევროპას შორის. მე

---

[8] შდრ. ზ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1, თბ., 1975.

აღარ მახსოვდა არც ჩემი ჩამომავლობა, არც ჩემი ქვეყანა, არც კაცობრიობა და არც არაფერი. მე და ჩემი მერანი გარდავიქმენით ერთ არსებად და შევერიენით იმ დიდს, ცოცხალ ოკეანეში, რომელსაც ჰქვია სიცოცხლე! ჩემი მაჯა სცემდა თანახმად თვით ბუნების გულის ცემისა, მესმოდა გულის პასუხი ჩხრიალა წყაროებისა, მესმოდა თვით ის სიტყვები, რომელსაც ჩასჩურჩულებდა მოძრავი ჰაერი ხის შრიალა ფოთლებს. მე შევიქმენ ნაწილი კურთხეულ ნირვანასი, რომელშიაც კაცს აღარ ახსოვს თავისი ვინაობა და ჰგრძნობს მხოლოდ ქვეყნიერების სულის მოძრაობას".

ასეთი თავდავიწყებული აღტაცებითა და მაღალი პოეტური ნიჭიერებით დაწერილი სიტყვები იშვიათად თუ მოიძებნება საქართველოს ამ მართლაცდა ულამაზესი კუთხის მიმართ თქმულ სიტყვათა შორის!

ამის შემდეგ ოლივერ უორდროპი აღწერს მის პატივსაცემად გამართულ ნადიმსა და კახურ გულუხვ მასპინძლობას:

„როდესაც სტუმართმოყვარეობას ვამბობ, ამ სიტყვას ისე კი არ ვხმარობ, როგორც საზოგადოდ არის მიღებული. ქართველი კაცი ისე თავაზიანად და ისეთი სიყვარულით ეკიდება თავის სტუმარს, რომ ევროპიელთ არც კი დაგვესიზმრება. შუადღის იქით სამი საათი იქნებოდა, რომ ბექობზე ხეების ჩრდილქვეშ დავსხედით სადილად. სადილი სწორეთ აღმოსავლეთ ქვეყნისა იყო: მდიდრული ფლავი გაკეთებული ნუშით, კაკლით და სხვა ხილით, მწვადები სუკისა და სხვა საუცხოო საჭმელები, რომელთა მოგონებაზე ეხლაც კი ნერწყვი მომივა ხოლმე პირში. ღვინო ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა: კახეთის მიწა მთელს დედამიწაზე საუკეთესო ნიადაგია ვაზის მოსაშენებლად და იქ კაცი მოიყვანს ყველანაირ ღვინოს, თვით შამპანურსაც... ამისთანა ღვინოები ძლიერ იყიდება პეტერბურგსა და მოსკოვში, მაგრამ მაინც ამ ღვინოების სახელი ჯერ ისე არ გავარდნილა, როგორც მათ ეკადრებათ... მაგრამ მოვა დრო, როდესაც კავკასიის მეღვინეობა გაითქვამს სახელს და ფასში ჩავარდება".

ამ წინასწარმეტყველური სიტყვების შემდეგ, ოლივერ უორდროპი აღწერს ქართული სუფრის ტრადიციას: „უთუოდ უნდა აირჩიონ სუფრაზე ტოლუმბაში, რომლის მოვალეობაც არის

რიგ-რიგით ყველა მონადიმეთა სადღეგრძელო ჩამოატაროს. ვინც მეორე სადღეგრძელომდის არ გამოსცლის თავის ჭიქას, ტოლუმბაში შეუძახებს „ალავერდიო“, რაზედაც მოგვიანებული მსმელი უპასუხებს — „იახშიოლიო“! და მაშინვე გამოსცლის ჭიქას, თორემ ვაი იმისი ბრალი, იმ წამსვე დასჯიან და უსუნთქებლივ გადააკვრევინებენ სავსე ყანწს. „ალავერდი“ და „იახშიოლ“ თათრული სიტყვებია მოსაგონებლად ერთი მამაცის ალავერდისა, რომელიც ქართველებთან ერთად ეომებოდა სპარსელებს და მოკლულ იქნა ამ ომში. ჭიქაში ჩაეტევა ერთი მერვედი კვარტისა, და უცხოელს მეგობრები ჩააგონებენ ხოლმე პირობებს, როცა შეუძლია დაანებოს თავი სუფრას. კარგი ის არის, რომ ღვინო ნამდვილი წვენია ყურძნისა და ვისაც საკმაოდ მაგარი თავი აქვს, შეუძლია ორი ან სამი კვარტი დალიოს და ცუდად არ შეიქნეს. ყოველ სადღეგრძელოზედ იმღერებენ ხოლმე გრძელსა და ძველს სიმღერას — „მრავალ-ჟამიერ ღმერთმა ინებოს!“, რაზედაც ასე პატივნაცემი დღეგრძელებული პასუხად იმღერის — „მადლობელი ვარო“. ეს სიმღერა ამ წიგნის დამატებაში გადმოვიღე ნოტებზე. ქალები სუფრაზე ჰსმენ ცოტათი ღვინით დაფერილ წყალს. ღამდებოდა, რომ ჩვენ ყველანი, დიდი და პატარა, ვთამაშობდით „თაგოთაგოობას“ და „კეკემალულობას“.

უცხოელ სტუმარს არც ჩვენებური მისალმება გამორჩენია მხედველობიდან:

„გზაში სიარულის დროს ჩვენ შემოგვხვდებოდნენ ხოლმე პატივსაცემი კაცნი, უმეტესად ჩერქეზულ ტანისამოსში მორთულნი, თუმცა ბევრთ, უფრო, მოხუცებულთ, ეცვათ ნამდვილი ქართული ტანისამოსი — მოკლე ჩოხა გრძელი გადმოყრილ ყურთმაჯებით... ყველა მათგანი მოიხდიდა ტყავის ფაფახს, დიდის პატივისცემით დაგვიკრავდა თავს და თანაც ქართველურად გვეტყოდა „გამარჯობაო“, რაზედაც ჩვენ ვუპასუხებდით — „გაგიმარჯოსო“. ეს სალამი თითქმის იმდენსავე ეუბნება კაცს, რის თქმაც შეუძლია თორმეტს ტომს ისტორიულის თხზულებისას. ეს სიტყვები ერთხელაც არ მომისმენია ისე, რომ არ ჩავფიქრებულიყავ საქართველოს მწარე, მაგრამ დიდებულს წარსულზე, როდესაც ქართველ ხალხს ხელში ეჭირა თავისი ბედ-იღ-

ბალი, დაუხმარებლივ, მარტოდ-მარტო ემსახურებოდა ქრისტეს და იმის წმინდა ჯვარს მაჰმადიანთა წინააღმდეგ. საქართველოს წარსული ღვაწლი ისეთი ღირსებისაა, რომ შეუძლია დაამშვენოს დიდება თვით რომისა და საბერძნეთისა. ღმერთმა მოგანიჭოს გამარჯვება, გულადო საქართველოვ!"

ოლივერ უორდროპს თელავიც მოუნახულებია. ამ მაზრის ადგილებზეც მოჰყავს ცნობისმოყვარე ინგლისელი მკითხველისათვის უამრავი საინტერესო ისტორიული და თანამედროვე ცნობა. თელავიდან იგი გომბორის გზით დაბრუნებულა თბილისს და ამის შემდეგ გადადის უკვე საქართველოს ისტორიული წარსულის წარმოჩენაზე:

„უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ისტორია იწყება ფარნაოზიდან, რომელიც იყო პირველი მეფე ამ ქვეყნისა და ცხოვრობდა მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ. ეს ის მეფეა, რომელსაც შემოულია საქართველოში მხედრული ანბანი. იმ უძველეს დროიდან მოყოლებული დღემდე ჩვენ ვპოულობთ თითქმის განუწყვეტლივ მოთხრობას მატიანისას, რომლის სიმართლე მტკიცდება მისი თანხმობით სხვა ქვეყნების მატიანეებთან. ვინც მოიწადინებს განსაკუთრებით შეისწავლოს საქართველოს უძველესი ისტორია, იმათთვის დამატებაში ჩამოთვლილი მაქვს ყოველი თხზულება ამის შესახებ და ეს თხზულებანი ადვილად დააკმაყოფილებს იმათს ცნობისმოყვარეობას. ეს ჩემი წერილი კი შეეხება უფრო ახალ დროებას მეთერთმეტე საუკუნიდან".

ასეთი შესავლის შემდეგ ოლივერ უორდროპი პირდაპირ გადადის დავით აღმაშენებელზე, რომელიც 1089 წელს გამეფდა: „დავით აღმაშენებლის წინამორბედთა მეფობის დროს შეუბრალებლივ იყო საქართველო აოხრებული თურქ-სელჯუკების მიერ. მაგრამ ჯვაროსანთა გამარჯვებამ და აღმოსავლეთში მაჰმადიანთა დამარცხებამ ხელი შეუწყო დავით აღმაშენებელს და ამანაც ძლიერ მაღლა ასწია დიდება თავისი ქვეყნისა. ვაჟკაცურად გაუმკლავდა თურქებს და სულერთიან განაძევა იგინი თავისი სახელმწიფოს ყოველ ადგილიდან, შემდეგ მოჰყვა და განაახლა საქართველოს ქალაქები, ციხესიმაგრენი და ეკლესიები, განდევნა მრავალი ბიწიერება სამოქალაქო და საეკლესიო, ამასთანავე, მკვიდრი საძირკველი დაუდო ხალხის

სწავლა-განათლებას. ამ ღვაწლმა შესძინა დავით მეფეს სახელი აღმაშენებლისა. ამის შემდეგ მთელი ერთი საუკუნე წარმატებაში იყო საქართველო და ამ წარმატებას მოჰყვა უმაღლესი ხარისხი ეროვნული დიდებისა და სახელისა".

ბუნებრივია, ინგლისელი მწერალი საგანგებოდ ჩერდება თამარ მეფესა და მის ეპოქაზე:

„1184 წელს თავის მამის ტახტზე ავიდა თამარ დედოფალი და მეფობდა ოცდარვა წელი. ეს დრო შეადგენს ყველაზე ბედნიერსა და სადიდებელ ხანას საქართველოს ისტორიისას. ბედმა ხელი შეუწყო თამარ დედოფალს და არგუნა უწარჩინებულესი ნაზირ-ვეზირნი და სახელოვანი სარდლები, მაგრამ მაინც ყოველ წარმატებას მიაწერენ თვით თამარ დედოფლის სიკვთესა და ღირსებას. სამხედრო საქმეებმა და ომებმა დიდად გაუთქვეს სახელი თამარ დედოფალს მთელს აზიაში... არც შინაურ საქმეებს არიდებდა თვალს თამარ დედოფალი. იგი იყო დედა—ობოლთა, მფარველი ქვრივ-ოხერთა. მცნებანი სარწმუნოებისანი ამოქმედებდა იმას ყოველისფერში. როცა კი სადმე აიღებდა დავლას, ერთი ნაწილი უნდა გადაედო ღვთისმშობლის სახელობაზე, რის გამოც ეკლესიები შენდებოდა ყოველ სოფელში. ძლივრ ღვთისმოსავი იყო თამარი და მომეტებულ დროს ატარებდა ლოცვაში. თავის საკუთარ ხელით ჰკერავდა თამარ დედოფალი ტანსაცმელს ღარიბთათვის. თქმულებაა, ვითომც ყოველ დღე დედოფალი იმოდენა ხელსაქმეს აკეთებდა, რომ თავისი საჭმელ-სასმელის ხარჯი გამოსულიყოო. გინდაც რომ ეს თქმულება ნამეტნავად გადაჭარბებული იყოს, მაინც იგი გვიჩვენებს, თუ რა ხასიათისა ყოფილა დედოფალი".

ამის შემდეგ, „საქართველოს სამეფოს" ავტორი მოგვითხრობს მტერთა გაძლიერებასა და განუწყვეტელ შემოსევაზე საქართველოში, იმ ტანჯულ დროზე, როდესაც საქართველოს სული და გული ჰქონდა შეღონებული გაუთავებელი ომებით. ინგლისის საზოგადოებას ატყობინებს, თუ რამდენი ქარცეცხლი დაატყდა თავს ჩვენს პატარა ქვეყანას მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მე-18 საუკუნემდე. აქ იგი ნათლად წარმოაჩენს მეფე ერეკლეს ღვაწლს საქართველოს გაძლიერებისათვის, ლაპარაკობს იმ მტრულ მაპმადიანურ გარემოცვაზე,

რომელთაც შეასუსტეს ჩვენი სამშობლო და დაუკავშირეს ერთმორწმუნე ძლიერ ჩრდილოელ მეზობელს — რუსეთს; აფასებს რა ამ ისტორიულ აქტს, ავტორი იმდროინდელი უკანასკნელი ოცდაათი წლის შესახებ ამბობს, რომ „საქართველოს მიეცა ცოტაოდენი ფერი... თანდათან ათავისუფლებენ გლეხებს ბატონყმობისაგან, გაიმართა რკინიგზა, დაარსდა რამდენიმე ბანკი, სკოლები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი, — ყოველივე ეს გარემოება ისეთის ღირსებისანი არიან, რომ უყურადღებოდ ვერ დატოვებს კავკასიის მემატიანესო“, ან კიდევ: „ქართველი ერი თანდათან იღვიძებს, ფეხს იდგამს, თვალდახუჭული აღარ შეჰყურებს თავის ღირსებას, თუ ნაკლოვანებას. აქამდე განცალკავებული კუთხეები ხელახლა აძლიერებენ ურთიერთობას, არასასურველი მტრობა ერთმანეთში ქართლელთა, კახელთა და იმერელთა უკვე გაჰქრა, დავიწყებას მიეცა, ყველანი გრძნობენ თავიანთს ქართველობას და თვით ენაც, მწერლობის წყალობით, თანდათან სუფთავდება, საყოველთაო ხდება მათთვის და ამავე დროს, პროვინციული განსხვავება სუსტდება... მრავლდება რიცხვი სკოლებისა და მოსწავლეებისა, ქართველებს აქვთ დღეს თავიანთი საკუთარი საზოგადოება, რომელიც ავრცელებს სწავლა-განათლებას გლეხთა შორის [აქ იგულისხმება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა, — გ. შ.]. ყოველივე ეს ხელს უწყობს ქართველის გამოფხიზლებას და აღონივრებს ეროვნულ თვითშეგნებას, რომელიც დღეს გაცილებით ძლიერია, ვიდრე ყოფილა საქართველოში ოდესმე მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, როცა ასე უბედურად დაიქსაქსა ეს ხალხი... ახლა, საქართველოს ზურგი შეუქცევია აზიისთვის და გაუხსნია თავისი მკერდი ევროპისათვის“-ო — დასძენს ო. უორდროპი და აქვე გულისტკივილს გამოთქვამს, რომ „დღემდე ჯერ არ არის შედგენილი საქართველოს სრული ისტორია იმ ღირსებისა, როგორც ჩვენ გვესმის სიტყვა „ისტორია“. თხზულებანი, რომელნიც ხსენების ღირსნი არიან, წარმოადგენენ მხოლოდ ცოტად თუ ბევრად სარწმუნო მასალას. ამ მასალას მხოლოდ განცვიფრებასა და საკვირველებაში მოჰყავს მკითხველი. იმედი გვაქვს, რომ გამოჩნდება კაცი, რომელიც ღირ-

სი იქნება ამ მასალისა, ჯეროვნად მოჰკიდებს ხელს თავის სამშობლოს მატიანეებს და წარუდგენს მთელს ქვეყანას უფრო გარკვევით. ამასთანავე, ჩვენს გულს ათბობს იმედი, რომ იგი კაცი უიმისოდ არ გაათავებს საქართველოს ისტორიას, რომ არ აღნიშნოს ახლად დაბადება ძლიერისა და თავისუფალი ერისა, რომელიც ღირსეულად გააცოცხლებს სახელსა და დიდებას ერეკლესი და თამარ დედოფლისა".

ოლივერ უორდროპი „საქართველოს სამეფოში" ცალკე თავს უძღვნის ქართულ მწერლობას. ჯერ იწყებს იმის აღნიშვნით, რომ მე-11 საუკუნემდელ ქართულ მწერლობაში უმეტესად გვხვდება საღმრთო წერილის ანუ ბიბლიური წიგნების თარგმანები და სასულიერო თხზულებანი, ხოლო მე-11 საუკუნიდან უკვე ვხედავთ სამოქალაქო (საისტორიო) და საერო მწერლობის ნიმუშებს, რომელნიც მოწმობენ ქართველთა აზრის აღორძინებასა და გაძლიერებასო. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „მე-11 და მე-12 საუკუნეებში მკვიდრი კავშირი და ურთიერთობა დამყარდა საბერძნეთსა და საქართველოს შორის. დავით აღმაშენებლისა და იმის ახლო მემკვიდრეთა დროს მაღალი საზოგადოება და კარისკაცნი გზავნიდნენ თავიანთ შვილებს ათენის სკოლებში სასწავლებლად. ისინი ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყანაში და თან მოჰქონდათ პლატონისა და არისტოტელეს სწავლა-მოძღვრება, რომელსაც დიდი და ძალუმი გავლენა ჰქონდა მაშინდელ გონებისა და საზოგადო ცხოვრების ავკარგიანობაზე. ამ ნასწავლმა კაცებმა გაჰკვერეს გზა საქართველოს მწერლობის ოქროს ხანისაკენ, რომელიც დადგა თამარ დედოფლის ტახტზე ასვლისთანავე. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონის წინასიტყვაობაში, რომელიც შეადგინა წარსულ საუკუნის დასაწყისში, ამბობს, რომ თავისი ლექსიკონის სიტყვები შეამოწმა პროკლეს, პლატონის, ნემესიოსის, არისტოტელეს, პორფირის და სხვა ბერძნულ თხზულებათა ქართული თარგმანებით. თუ აღმოჩნდა ეს თარგმანები, დიდ სამსახურს გაუწევს ძველი მსოფლიოს მწერლობის მცოდნეთ... შფოთიან დროთა განმავლობაში, რომელიც მოჰყვა თამარ დედოფლის გარდაცვალებას, დაიკარგა უთვალავი რიცხვი ლირიკულ თხზულებათანი. გადარჩა მხოლოდ ეპიკური თხზულება, რომელიც ქართულ მწერლობაში ითვლება უდი-

დეს ნაწარმოებად. ამ თხზულებას ჰქვია „ვეფხისტყაოსანი“ და დაწერილია შოთა რუსთაველის მიერ“.

აქვე ოლივერ უორდროპი გვაწვდის ძირითადად ხალხურ გადმოცემებზე დამყარებულ ბიოგრაფიულ ვერსიებს შოთა რუსთაველის შესახებ, გვაძლევს „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრულ ანალიზს და მოქმედ გმირთა დახასიათებას, გვიხატავს პოემის ეროვნულ ფესვებზე აღმოცენებულ ისტორიულ გარემოს:

„ისტორია ძლიერ ცოტა რასმეს გვეუბნება შოთა რუსთაველზე. ვიცით მხოლოდ, რომ იგი დაიბადა სოფელ რუსთავში, ახალციხის მახლობლად; რომ მიიღო განათლება ათენში, იქიდან დაბრუნდა თავის სამშობლო ქვეყანაში, სადაც დაწერა თავისი დიდებული თხზულება, იყო მდივანი თამარ დედოფლის, შედგა მერე ბერად და გარდაიცვალა იერუსალიმს, წმინდა ჯვარის მონასტერში, სადაც მისი სურათი დღესაც შეგიძლიათ ნახოთ. თქმულებაა, ვითომ პოეტს გაგიჟებით უყვარდა თავისი მბრძანებელი თამარ დედოფალიო, და ამ თქმულების საფუძველს ნახავთ თვით თხზულების ზოგიერთ ადგილებშიაც.

თითქმის მთელი შვიდი საუკუნე განუწყვეტლად იბრძოდა საქართველო თავისი დამოუკიდებლობის დაცვისათვის და ამისთანა დროს ქართველმა ხალხმა წმინდად შეინახა თავის გულში ეს შესანიშნავი თხზულება. იგი ამხნევებდა ქართველობას და აძლევდა ნუგეშს უბედურებაში, და დღესაც „ვეფხისტყაოსანი“ ისეთივე საყვარელი წიგნია ქართველთათვის, როგორც ყოფილა ოდესმე. ამ თხზულების მრავალი ლექსი ამშვენებს საშინაო საუბარს როგორც დიდკაცის სახლში, აგრეთვე გლეხის ქოხმახშიაც. ამასთანავე შეხვდებით ბევრ ქართველს, მეტადრე ქალთა შორის, რომელთაც მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იციან. ყოფილა დრო, როდესაც ქართველი ქალი ვერ გათხოვდებოდა, თუ ზეპირად ვერ გადმოგცემდათ მთელს ამ პოემას. მიზეზი უმაგალითო სიყვარულისა, რომელიც მოუბოვებია რუსთველის წიგნს ქართველის გულში, უნდა ვეძებოთ მხოლოდ იმ გარემოებაში, რომ ეს პოემა თავიდან ბოლომდე, ძირიან-ფესვიანად ეროვნულია, ქართულია. თუმცა ამ პოემაში აწერილი კაცი და ქალი ნახსენებია ზოგი არაბად, ზოგი ჩინელად, ზოგიც ინდოელად, მაგრამ ყველა ისინი თავი-

დან ფეხამდე ქართველები ყრიან, ქართული სული უდგათ პირში".

ო. უორდროპი მოკლედ გადმოსცემს „ვეფხისტყაოსნის" შინაარსს და ავლებს რა პარალელს „ვეფხისტყაოსანსა" და შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპულ სარაინდო რომანს შორის, ამბობს: „ავთანდილი წარმოგვიდგენს აღმოსავლეთის ქრისტიან რაინდს, რომელიც ჰგავს ჩვენს როლანდს და რაინდებს წითელის ჯვრისას, ხოლო ტარიელი წარმოგვიდგენს ნამდვილ მუსლიმანს, რომელიც სრულიად შეუბოჭავს გრძნობას... კითხვის ინტერესი საკვირველად არის დაცული მთელ პოემაში და მისი დრამატული ერთიანობა არ გეკარგებათ თვალიდან. ხოლო რაც უნდა საინტერესო იყოს ამბავი, „ვეფხისტყაოსანი" უმთავრესად ამითია ძვირფასი, რომ იგი წარმოგვიდგენს სურათს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქართველები თამარ დედოფლის დროს.

თინათინი, რომელიც არის თვითონ თამარ დედოფალი, ამგვარად ჰყავს აწერილი რუსთაველს:

„One daughter only had the aged king,
And she was fair as is the Eastern sun.
He upon whom her gaze but once did rest
Was ravish'd of his heart and soul and thought".

(„სხვა ძე არ ესვა მეფესა...").

თინათინი მშვენიერი ტიპია ქალისა, რომელიც უნდა ეძებოთ დასავლეთ ევროპის მწერლობაში, და ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ტიპი მოიპოვებოდეს ერთ პატარა ქვეყანაში, რომელიც შემოზღუდული იყო აზიელთა განადირებულ ურდოთი. მისი გონიერება, მისი სიმტკიცე ხასიათისა, სიწმინდე და კანონიერება მისი სიყვარულისა შეიქმნა ნიმუშად რუსთაველის სამშობლოს ქალთა მრავალ თაობისათვის, რომელთაც კეთილშობილად ეჭირათ თავი სიხარულსა თუ მწუხარებაში.

ი, სურათი ავთანდილისა:

„A prince's son was Avtandil, the very first
Mong all the bravest warriors of the aged king
His form was slender as the cypress-tree,
And clear and beauteous was his piercing glance.
Though young, his soul was true and strong
As adamant is hard.
The fire from Tinatina's eyes had long

Set his yung heart aflame with strong desire,
And stricken him with wounds that never heal'd,
Many a day he hid his burning love,
And sunder'd from his mistress, all the red
Fled from his roselike, tender cheeks;
But soon as fate did bring him near to her again,
The widly beating heart crimson'd his face,
And all his aching wounds did gape afresh.
Thus hidden love doth torture youthful breasts.

(„ავთანდილ იყო სპასპეტი...").

როგორც „ვეფხისტყაოსნიდან" ვხედავთ, რუსთაველის დროში მოსაწონი გმირი უნდა ყოფილიყო განთქმული მამაცობით, მართლმოყვარეობით, დანაპირების შესრულებით, თავგანწირულებით, სიუხვითა და ცხოველი სიყვარულით:

„Falsehood's the root of all the thousand ills
That curse our race. Lying and faithlessness twin sisters are.
Why should I try to cheat my fellow-man?
Is this the use to which my learning should be put?
Ah, no! far other aims our hearts inspire,
We learn, that we may near the angelic choir".

(„რადგან თავია სიცრუვე...").

უფრო შესანიშნავი სტრიქონი მთელ ამ პოემისა მგონი ის უნდა იყოს, რომელშიც გამოთქმულია:

„A glorious death is better than a life of shame".

(„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი").

და, ვინ იცის, რამდენ ქართველ მეომარს უნახავს სიკვდილი დამარცხების დროს და სიკვდილს დახვედრია ამ სიტყვებით.

აი, მეორე სტრიქონი, რომელიც მუდამ ხმარებაშია:

„That which thou dost on other's wants bestow, is thine,
While that thou hoardest is all lost to thee".

(„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია").

იდეა სიყვარულისა, გამოთქმული რუსთაველის მიერ, ზოგში ოვიდიუსისებურია, თუმცა, ამ ლათინების პოეტის უწმაწურობას სრულებით ვერ შეხვდებით „ვეფხისტყაოსანში", ამასთანავე, ტყუილად როდი შეუსწავლია რუსთაველს პლატონი. იმის თხზულებაში ჩვენ ვხედავთ კვალს იმ მეტაფიზიკური აზრებისას, რომელთაც ჰპოულობენ ქრისტიანობაში ბო-

ნავენტურა, დანტე და სხვა მრავალი თანამედროვენი რუსთაველისა.

ამ თხზულების ბოლოში რუსთაველი თითქოს წინასწარმეტყველებს, რომ საცაა დადგება ჟამი უბედურებისაო:

„Their deeds are ended, like a dream at night.
With them their golden age has ended too.
Far other days have dawn'd.
Such is that old deceiver Time; he makes
That which at first did everlasting seem
As short as is the twinkling of an eye".

(„გასრულდა მათი ამბავი...").

რაიცა შეეხება წერის ჰანგს, სტილს, ჩვენი აზრით, რუსთაველი საკვირველად ჰგავს თავის თანამედროვე ევროპელ მწერლებს — ტრუბადურებს, და ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მისი ხელობა ჰგავდა ხელობას ამ ტკბილ მომღერლებისას, რომელთაც მოწყალის თვალით უყურებდნენ დიდკაცთა ცოლნი საფრანგეთისა და იტალიისა. ევროპის დიდებულ პოეტთა შორის იქნება მხოლოდ არისტო და ტასსო ჰგვანდნენ რუსთაველს. მეორე საბუთი ამ პოეტთა მსგავსებისა არის ის გარემოება, რომ რუსთაველიც მიმდევარი იყო პლატონის ფილოსოფიისა...

რამდენადაც მე ვიცი, რუსთაველის პოემა არ არის გადათარგმნილი არც ერთ ევროპულ ენაზე, თუმცა კი ზოგიერთი ადგილი და აგრეთვე შინაარსი იყო დაბეჭდილი რუსულსა და პოლონურ ჟურნალებში. მე შემხვედრია რუსთაველის სახელი ჯიობერტის ერთ-ერთ თხზულებაში. ამ ცოტა ხნის წინ ქართველებმა გამოსცეს კარგად განწმენდილი და შემოწმებული ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა" და ამით გაუკვერეს გზა იმათ, ვინც მოინდომებს და გააცნობს ევროპელ მკითხველს ამ ეპიკურ თხზულებას"[9]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ო. უორდროპი გულისხმობს „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის, ე. წ. ქართველიშვილისეულ მდიდრულ გამოცემას მ. ზიჩის ილუსტრაციებით, ხოლო პოემიდან მის მიერ ზემოთ მოყვანილ ადგილთა

---

[9] შდრ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", 1, თბ., 1976, გვ. 331—334; ჩვენ მიერ დამოწმებული თარგმანი სტ. ჭ ე ლ ა შ ვ ი ლ ს ეკუთვნის (იხ. „ივერია", 1888, №№ 257 შმდ.).

ინგლისური პოეტური თარგმანი, ჩვენი აზრით, ოლივერ უორ-დროპს შესრულებული უნდა ჰქონდეს ივანე მაჩაბლის დახმა-რებით, რომელსაც იგი დაუახლოვდა საქართველოში ყოფნი-სას.

მეტად საყურადღებოა ოლივერ უორდროპის ამ წიგნში მოწოდებული ცნობა: „მე შემსვედრია რუსთაველის სახელი ჯიობერტის ერთ-ერთ თხზულებაში".

ვინ არის ჯიობერტი? რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ეს მეტად საინტერესო ფაქტი დღემდე დაუდგენელია[10]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი უნდა იყოს ვინჩენცო ჯიობერტი (დაი-ბადა 1801 წლის 5 აპრილს, ტურინში, გარდაიცვალა 1852 წლის 26 ოქტომბერს, პარიზში) — მე-19 საუკუნის 1 ნახევრის ცნობილი იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე. მან თავისი შრომებით მნიშვნელო-ვანი წვლილი შეიტანა ლიბერალური იდეოლოგიის — რისორ-ჯიმენტოს განვითარებაში, ხოლო ლიტერატურულ-ესთეტიკუ-რი მრწამსით იგი ახლოა იტალიელ რომანტიკოსებთან. აღსა-ნიშნავია მისი ტრაქტატი „მშვენიერის შესახებ" (1841 წ.), გან-საკუთრებით კი ნარკვევი იტალიური ლიტერატურის განვითა-რებაზე შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე, რომელშიც შეფასებულია დანტეს, არიოსტოსა და სხვათა შემოქმედება. რუსთაველიც, ყველა ნიშნით, აღბათ, ამ ნარკვევში აქვს ჯიო-ბერტის მოხსენიებული.

ოლივერ უორდროპი ქებით მოიხსენიებს რუსთაველის ეპო-ქის ქართველ მწერლებს, შემდეგ მოგვითხრობს ჯერ დაცემის, მე-17-18 საუკუნეებიდან კი ქართული კლასიკური მწერლო-ბის გამოცოცხლების ამბავს:

„ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე ს, ავტორს „თამარიანისას", ეს გრძელი ბოემა დაუწერია თამარ დედოფლის საქებ-სადიდებლად და თხზულება მთლად შედგება ზედშესრულ სახელებისაგან:

„თამარ-წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მტკნარი, მომდინარი"

შ ა ვ თ ე ლ ს თითქმის უფრო მაღლა აყენებდნენ ქართვე-

---

10 შდრ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", I, თბ., 1976, გვ. 450.

ლები, ვიდრე რუსთაველს, მაგრამ მისი დიდებული თხზულება ღაკარგულა.

ხ ო ნ ე ლ მ ა და თ მ ო გ ვ ე ლ მ ა დაწერეს „დარეჯანიანი", „ვისრამიანი" და „დილარიანი". ეს რომანები რაინდობისა დღესაც გასაკვირველი ღირსებისანი არიან და ღირსეულად დაიჭერენ ადგილს მხარდამხარ ევროპულ ლიტერატურის ამგვარ ნაწერებთან. იმავე დროს იწერებოდა საქართველოს მატიანეები — „ქართლის ცხოვრება".

ის ხანა ლიტერატურის ძლიერებისა უცებ შეწყვიტა ჩინგისხანის საშინელმა შემოსევამ და თითქმის ოთხი საუკუნის განუწყვეტელმა ომიანობამ, რომელსაც ეწეოდა ეს ხალხი, მრავალი შემთხვევა მისცა ქართველებს სარომანო ცხოვრებისათვის, ხოლო აღარ მისცა დრო, რომ ეწერათ ეს რომანები.

მე-17 საუკუნის გასულს თავადმა ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა აღწერა თავისი „მოგზაურობა ევროპაში" და შეადგინა „სიბრძნე სიცრუის წიგნი", რომელიც ამ ხანებში რუსულად დაიბეჭდა (იგულისხმება პროფ. ალ. ცაგარლისეული რუსული თარგმანი „Книга мудрости и лжи, СПб., 1878, — გ. შ.). ს. ორბელიანი ცხოვრობდა ლუდოვიკო XIV-ის სასახლეში და დიდი მეგობრობა ჰქონდა ლაფონტენთან, რომელმაც ქართველი თავადიშვილისაგან გაიგონა არაერთი იგავ-არაკი და გამოიყენა თავის თხზულებაში. ორბელიანის უდიდესი ღვაწლი არის მისი „ქართული ლექსიკონი", რომელიც შეიცავს 25 000 სიტყვას და არის დედაბოძი ყველა სალექსიკონო თხზულებათათვის ქართულ ენაზე.

1712 წელს მეფე ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე მ გამართა თბილისს სტამბა და დააბეჭდვინა უმთავრესი რომანები და პოემები (!?) თამარისდროისანი ისე იაფად, რომ ყველა იმის ქვეშევრდომს შეძლებოდა მათი შეძენა. ე რ ე კ ლ ე მ ე ო რ ე მ ნეტარხსენებულმა იქველმოქმედა როგორადაც ავგუსტმა საქართველოს ლიტერატურისამ; ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ხომ სწორედ მეცენატი იგივე პოლლიოსი იყო ქართული მწიგნობრობისა. უდიდესნი მწერალნი მე-18 საუკუნისა იყვნენ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, ძე ვახტანგ მეექვსისა, რომელმაც შეადგინა „საქართველოს ისტორია" და „საქართველოს გეოგრაფია", და ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი, რომელმაც და-

წერა მრავალი სამეცნიერო და საეკლესიო წიგნები. დ. გ ურ ა მ ი შ ვ ი ლ ი და ს ა ა თ ნ ო ვ ა მშვენიერი ლექსებით ამკობდნენ ერეკლე მეფის დიდებასა და გამარჯვებას“.

ზოგიერთი უზუსტობისა თუ შეუმოწმებელი ცნობის (მაგ., თითქოს ვახტანგისეულ თბილისის სტამბაში დაბეჭდილიყოს „თამარისდროინდელი უმთავრესი რომანები და პოემები“, ან კიდევ, დ. გურამიშვილს, თითქოს, საათნოვასთან ერთად „თავისი ლექსებით შეემკოს ერეკლე მეფის დიდება და გამარჯვება“) მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ საერთოდ, ო. უორდროპი კარგად ახერხებს ქართული კლასიკური მწერლობის მაგისტრალური ხაზის წარმოდგენას და მის უმთავრეს წარმომადგენელთა და ქმნილებათა სათანადო შეფასებას, ამასთან, გვთავაზობს ზოგიერთ უნიკალურ ცნობას, რომელსაც შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიება სჭირდება. კერძოდ, ყურადღების ღირსია ცნობა საბასა და ლაფონტენის მეგობრობისა და დიდი ფრანგი მეიგავის მიერ ქართველი მწერლისაგან ზოგიერთი იგავ-არაკის ნასესხობის თაობაზე.

ხერხდება ო. უორდროპის მიერ გამოყენებული ზოგიერთი წყაროს დადგენა. ასე, მაგალითად, ყველა ნიშნით, მას ხელთ ჰქონია მე-19 საუკუნის I ნახევრის ცნობილი რუსი მეცნიერის — ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომი „Историческое изображение Грузии...“ (СПб., 1802), უფრო, მისი ფ. შმიდტისეული გერმანული თარგმანი (Riga und Leipzig, 1804). ამას მოწმობს, თუნდაც ო. უორდროპის წიგნს დართულ ბიბლიოგრაფიას რომ თავი დავანებოთ (იხ. გვ. 195), ე. ბოლხოვიტინოვის შრომის ერთი ფრაზა: «...сею счастливою эпохою одолжена Грузия царю Ираклию и поконному преосвященному католикосу Антонию. Первый был Августом, а последний Меценатом и Поллионом своего века»[11], რომელიც თითქმის უცვლელად მეორდება ოლიერ უორდროპთანაც (იხ. გვ. 146).

ო. უორდროპი არც მის თანამედროვე ახალ ქართულ მწერლობას ტოვებს უყურადღებოდ:

„ახალმა მწერლობამ ფეხი აიდგა ამ სამოციოდე წლის წი-

---

[11] იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, ევგენი ბოლხოვიტინოვი — პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978, გვ. 94.

ნათ და აქ დიდი სამსახური გაუწია დასავლეთ ევროპის პოეტთა ზემოქმედებამ და ნამეტნავად ბაირონისამ, რომელსაც ქართველები გაეცვნენ პუშკინისა და ლერმონტოვის შემწეობით. ახალი მწერლობა დაიწყო თავადმა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ (1786—1846), რომელიც იყო მგოსანი ღვინისა და სიყვარულისა. ევროპული რომანტიკოსობა უფრო ცხადად ეტყობა ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს (1816—1846), რომელმაც იმდენი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ არ დამალა და აღიარა, რომ იგი მოტყუებული იყო ბაირონის „ბოროტი სულით“.

გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ მ ა ბევრი შრომა გასწია, რომ ქართველებისათვის გაეცნო ევროპელი პოეტები. იგი გადასახლებული იყო პოლონეთში და იქ შეისწავლა მიცკევიჩი, შილლერი, პეტრარკა და პუშკინი. ამათ ნაწერებიდან თარგმნიდა ქართულად და უზიარებდა თავის თანამემამულეთ. დაბრუნდა თუ არა თბილისში, დააარსა ქართული თეატრი და თითონაც წერდა პიესებს. გ. ერისთავთან ერთად გათავდა ქართული სენტიმენტალიზმი და მომდევნო თაობა პოეტებისა ეძიებდა საგანს თავიანთი აღფრთოვანებისას მხოლოდ პატრიოტულ აზრებში...

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (1801—1883) სასოწარკვეთილებით არიდებს თვალს დღევანდელ გარემოებას და თავის ნიჭს ანდომებს ქებასა და დიდებას ძველის დროებისას. მაშინ როდესაც გრ. ორბელიანის თვალი ნაღვლიანად შეჰყურებს წარსულს, ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი (დაიბადა 1840 წ.) და ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (დაიბადა 1837 წ.) იმედიანად იყურებიან მომავლისაკენ, ლაზათიანი და ძლიერი ლექსით იწვევენ თავიანთ თანამემამულეებს პროგრესისაკენ“.

აქ ო. უორდროპი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ილია ჭავჭავაძის პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით გამოჰყოფს მის „ქართვლის დედას“, „კაკო ყაჩაღს“, „კაციადამიანს?!“, „აჩრდილს“; დიდად აფასებს ილიას ჟურნალისტურ („ივერია“) და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ბეჭდავს მის პორტრეტს...

თავის წიგნში ო. უორდროპი მოიხსენიებს აგრეთვე ალ. ყაზბეგს, ა. ცაგარელს, თვალსაჩინო ადგილს უთმობს ივანე

მაჩაბელს, როგორც შექსპირის თხზულებათა ბრწყინვალე მთარგმნელსა და გაზეთ „დროების“ რედაქტორს, ამასთან გვაცნობს გაბრიელ ეპისკოპოს — ქიქოძესა და მის შესანიშნავ ქადაგებებს, რომლებიც ინგლისურად გადათარგმნა და 1867 წელს ლონდონში დაბეჭდა სოლომონ სიზარ მალანმა. აქვე აქვეყნებს ივანე მაჩაბლისა და გაბრიელ ქიქოძის პორტრეტებსაც. დაბოლოს, ო. უორდროპი მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ ფოლკლორს: „სახალხო მწერლობა საქართველოსი მდიდარია ზღაპრებით, ანდაზებით, ბალადებით, გამოცანებით და მათი შესწავლა საკმაოდ დააჯილდოებს მათ, ვინც კი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს“.

ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფოს“ იმთავითვე დიდი ყურადღებითა და მოწონებით შეხვდა როგორც ინგლისელი, ისე ქართველი საზოგადოებრიობა. ერთი ინგლისელი რეცენზენტი „ათენეუმში“ 1889 წლის 23 თებერვალს წერდა: „ბატონი უორდროპის ნაშრომი ეკუთვნის თანამედროვე მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გადმომცემ იმ მცირერიცხოვან წიგნთა რიცხვს, რომელნიც ღირსნი არიან თითქმის მხოლოდ ქებისა. ამ წიგნის წაკითხვა უნდა ვურჩიოთ ყველას, ვისაც სურს სანდო პირველწყაროდან შეიძინოს ცოდნა ფრიად საინტერესო და თითქმის უცნობი ქვეყნის შესახებ... ბატონ უორდროპს თავისი ნაშრომისათვის დაურთავს საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის მშვენიერი მიმოხილვა და ძვირფასი ბიბლიოგრაფია. პირველ მათგანს ის უპირატესობაც ახლავს, რომ გადასინჯულია ცნობილი მეცნიერის ბატონი უ. რ. მორფილის მიერ“[12]. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ უკვე 1888 წლის 20 ნოემბერს აუწყებდა მკითხველს:

„ამ დღეებში ინგლისში გამოსულა თხზულება ახალგაზრდა ავტორის, ბ.-ნის ვორდროპის, რომელიც წარსულს წელს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობდა. წიგნი განსაკუთრებით საქართველოს შეეხება და ჰქვიან: „საქართველო. მგზავრის შენიშვნები ქალებისა, ღვინისა და სიმღერის ქვეყნის შესახებ“. წიგნში რამდენიმე სურათიც არის ჩართული“, ხოლო 24 ნოემბერს გაზეთი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს: „ამ დღეებში ჩვენ

---

[12] იხ. ფ. ლ ა ნ გ ი, დას. ნაშრ., გვ. 143.

მოვიხსენიეთ, რომ ერთ ინგლისელს, ბ-ნს ვორდროპს, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად საქართველოში მოგზაურობდა, დაუწერია და დაუბეჭდია თხზულება საქართველოს შესახებ. ეს წიგნი ტფილისშიაც მიუღიათ ზოგიერთებს — ამ დღეებში ამ წიგნის შინაარსსაც ვუამბობთ მკითხველებს".

მართლაც, მალე, „ივერიამ" თავისი რამდენიმე ნომერი მიუძღვნა ს ა ნ ო ს ფსევდონიმით ხელმოწერილ სტეფანე ჭრელაშვილის წერილს, რომელშიც ვრცლად იყო გადმოცემული ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფოს" შინაარსი და რომელსაც ჩვენ ზემოთ ჭარბად დავესესხეთ, განსაკუთრებით, თარგმნილი ადგილების მოყვანისას[13]. საერთოდ კი, ქართველი მკითხველისათვის ო. უორდროპის „საქართველოს სამეფოს" სრული ქართული თარგმანის მიწოდება ჩვენი უპირველესი ვალია[14].

ასე გაიცნო ქართველმა ხალხმა უორდროპის გვარი პირველად, ოლივერ უორდროპმა კი ასე გაიცნო ქართველი ხალხი და ქართული კულტურა ინგლისელ მკითხველს და, უწინარეს ყოვლისა, თავის უმცროსსა და უსაყვარლეს დას — მარჯორი უორდროპს.

უკვე გასაკვირი აღარ არის ამ წიგნის გაცნობის შემდეგ მარჯორი უორდროპი რომ დაინტერესებულიყო საქართველოთი, მით უმეტეს, წიგნის ავტორი იყო მისი სათაყვანო უფროსი ძმა, რომელიც, ბუნებრივია, პირად საუბრებშიც არაერთი ახალი და საინტერესო დეტალით შეავსებდა თავის წიგნში მონათხრობს კავკასიის ამ ულამაზესსა და საოცნებო ქვეყნის შესახებ.

ყმაწვილ ინგლისელ ქალს მოსვენება დაეკარგა: მან მიზნად დაისახა ესწავლა და საკუთარი ხელით გამოეყვანა უცნობი ლამაზი ქართული ასოები, ენა გაეტეხა და ესაუბრა მისთვის უცნობი ხალხის ენაზე, საკუთარი თვალით ენახა ზღაპრული მხარე — საქართველო და აქ მცხოვრები სტუმართმოყვარე და

---

[13] შდრ. ს ა ნ ო [სტეფანე ჭრელაშვილი], მოგზაურობა უცხოელ კაცისა კავკასიაში, „ივერია", 1888, 6. XII. № 257; 11. XII. № 261; 31. XII. № 275; 1889 წ., 8. 1. № 5; 17. 1. № 11.

[14] ჩვენი რედაქციით თარგმანი მომზადებული აქვთ ახალგაზრდა სპეციალისტებს ნ ი ნ ო ც ი ნ ცა ძ ე ს ა და გ ი ა გ ო კ ი ე ლ ს.

გულღია ქართველი ხალხი, საკუთარი ყურით მოესმინა ცოცხალი ქართული მეტყველება... ამასთან, დიდი სურვილი გაუჩნდა, რომ მის მშობელ ინგლისელ ხალხს, მის სამშობლო ქვეყანას — ინგლისს უფრო მეტი სცოდნოდა საქართველოზე, მის ისტორიასა და მწერლობაზე, საერთოდ, ქართულ კულტურაზე... ამ მიზნის მისაღწევად კი საჭირო გახდა ერთი კეთილშობილი ინგლისელი ქალის, თუმცა, ხანმოკლე, მაგრამ არაჩვეულებრივად ლამაზი და ჩვენი ქვეყნისადმი გულწრფელი მეგობრული გრძნობებით გაბრწყინებული სიცოცხლე, რომელმაც, სანაცვლოდ, ყოველი დროის ქართველის გულში უკვე კარგა ხანია აიგო უკვდავების ძეგლი!

* * *

მარჯორი უორდროპი ქართული ენის შესწავლას 1880-იან წლების მიწურულს დამოუკიდებლად შესდგომია მ. ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებელისა“ (პარიზი, 1834 წ.) და სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით, რასაც გვიდასტურებს ცნობილი ქართველი ჟურნალისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ვაზიანის ფსევდონიმით ლონდონიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია:

„ამ ტანადს, ნარნარს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვს ყმაწვილ ქალს დიდი ცოდნა აქვს, ცოდნა საკუთარის შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი. მაგალითებრ, ქართული ენა ლიტოღრაფიაში დაბეჭდილ ბროსეს გრამატიკით ისწავლა ისე, რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ გაუგონია, მხოლოდ ქართულს სახარებასა კითხულობდა. წარმოიდგინეთ, რამდენი მეცადინეობა და გულმოდგინეობა უნდა გამოეჩინა, და ესეც მაშინ, როდესაც მას ახალგაზრდობის საუკეთესო დრო უდგა, როდესაც გარს ათასი საზოგადო გასართობი, თავ-შესაქცევარი და გასამხიარულებელი ახვევია...“[14].

ამას გარდა, ქართული ენის დასაუფლებლად ყმაწვილი ინგლისელი ქალის დამოუკიდებელი მეცადინეობის პირველ

---

[14] ვ. ვ ა ზ ი ა ნ ი [ვარლამ ჩერქეზიშვილი], ინგლისის ეხლანდელი დედაკაცი, III. მწერალნი და მასწავლებელნი-ქალნი, „ივერია“, 31. VII. 1894, № 163.

ეტაპს კარგად გვამცნობს ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, მარჯორი უორდროპისეულ წიგნებს შორის დაცული „ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ლონდონი, 1884), რომლის კიდეებზე მარჯორის ხელით მიწერილია ქართული შესატყვისები (იხ. Wardr. 5—29). ამდენად, იგი მარჯორის მიერ შედგენილ პირველ თავისებურ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

უორდროპისეულ წიგნების კოლექციას ოქსფორდში შემოუნახავს აგრეთვე პროფ. დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონები და ქართული ენის სახელმძღვანელოები: მაგ., „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი“ (სპბ., 1840), „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (სპბ., 1887), „ქართული გრამმატიკა“ (სპბ., 1887) და სხვ.[15]

არც ოლივერი დაკმაყოფილებულა მიღწეულითა და „საქართველოს სამეფოს“ გახმაურებული წარმატებით. დ. ლანგის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, 1888 წელს, უკვე ოცდაოთხი წლის ო. უორდროპი ბალიოლ-კოლეჯში შევიდა: ეს ნაბიჯი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მისი კარიერისა და ქართველთმცოდნეობის მომავალი განვითარებისათვის, გადადგმულ იქნა ოქსფორდის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის პროფესორის, შემდეგში პარლამენტის წევრის — ლორდ ჯეიმზ ბრაისის წაქეზებით. უორდროპი რუსულ ენაში მორფილთან მეცადინეობდა. 1889 წლის 2 მაისის წერილში მორფილი მას სწერს: „მე ყოველთვის ბედნიერი ვიქნები, გავაკეთო რაც კი შემიძლია თქვენი მეცადინეობის წინ წაწევისათვის. ვიცი, რომ თქვენ ბეჯითი მუშაკი ბრძანდებით“ (უორდროპისეული ხელნაწერები, C—27). ო. უორდროპმა პირველი ჯილდო მოიპოვა თანამედროვე ისტორიაში და სამ წელიწადს ზედიზედ იღებდა ტეილორის სტიპენდიას, ყოველთვის სხვადასხვა ენაში. ბოდლის ბიბლიოთეკაში ო. უორდროპის ხელნაწერთა შორის დაცული ბევრი წერილი მოწმობს, რომ ქართველთმცოდნეობის საკითხები კვლავ ინარჩუნებენ მისთვის მომხიბლაობას მაში-

---

[15] იხ. დ. ბ ა რ ე ტ ი, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა კოლექციის ქართულ წიგნთა და ხელნაწერთა კატალოგი, ოქსფორდი, 1973, გვ. 56 (ინგლ. ენაზე).

ნაც კი, როცა იგი ხარისხის მოსაპოვებლად მუშაობდა ანდა სტუდენტურ ცხოვრებაში იყო გართული. მაგალითად, 1888 წელს დაწერილ წერილში ივანე მაჩაბელს მოუთხრობს თავისი ახალი ცხოვრების ამბებს ოქსფორდში, მადლობას უხდის შექსპირის მისი ზოგი ქართული თარგმანის გაგზავნისათვის და დასძენს: „ბატონმა მორფილმა (ერთადერთმა ინგლისელმა, რომელიც სწავლობს თქვენს ლიტერატურას) დამარწმუნა, რომ თქვენი თარგმანი სანიმუშოა“ (C—27)[16].

მარჯორის კი, ოლივერისაგან განსხვავებით, განათლება, უმთავრესად, ოჯახში ჰქონია მიღებული: „მისს ვარდროპი და აგრეთვე აწინდელი თაობის ქალთა უმეტესობა თვისის შრომისმოყვარეობის, თვისის გულმოდგინე, წესიერი მუშაობის მადლობელი უნდა იყოს, თუ უნარი შესწევს რამე, თუ ცოდნა აქვს რისამე.

მისს ვარდროპი სასწავლებელში დადიოდა მხოლოდ თორმეტიდგან თოთხმეტ წლამდე, ხოლო შემდეგ-კი თავისთავად სწავლობდა სახლში. მოგზაურობითაც-კი ბევრი არ უმოგზავრია ამ ქალს — ერთხელ პარიჟში იყო და რამდენიმე თვეც ძმასთან ერთად იტალიაში. ეს ინგლისის შეძლებულ ოჯახის ყმაწვილის ქალისათვის ძალიან ცოტაა, საზოგადოდ, ისინი უფრო მრავალსა ჰმოგზაურობენ ხოლმე. მაგრამ საერთო ვითარებამ ოჯახისა, სასწავლებლისა და საზოგადოების ცხოვრებისამ, შესაძლებლად გაჰხადა ინგლისელი ნიჭის თავისებურობა, სითამამე, უნარი თავისით მოქმედებისა და სიმტკიცე ხასიათისა. ესევე ვითარებანი დასტყობია ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერ-ქალს. როდესაც იმათ საოჯახო წიგნთსაცავში ვიყავი, რომელშიაც ქართული ახალი წიგნები ვნახე, აგრეთვე, „მოამბე“, და „ივერიაც“ და ამათთან რუსეთის მწერლებისა — ამ მწერლობას მისი ძმა ადევნებს თვალყურს, და ევროპის ლიტერატურის საუკეთესო თხზულებანი, როდესაც მოვისმინე იმათი თავდაჭერილი და მშვიდობიანი ბაასი, ბაასი იმ ადამიანთა, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ცოდნა გვაქვს და უნარი შრომისაო, — ჩემდა უნებურად დავფიქრდი, რა ჰქმნისმეთქი ინგლისს პირველს და გავლენიანს მთელს დედამიწის

---

[16] დ. ლ ა ნ გ ი, დას. ნაშრ., გვ. 143-144.

ზურგზედ?“ — მოგვითხრობს ვ ა ზ ი ა ნ ი (ვარლამ ჩერქეზიშვილი) ზემოაღნიშნულ წერილში, რომელსაც პირადად გაუცვნია და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები ლონდონთან ახლო აგარაკზე — ჩიზლეჰორსტში.

მარჯორის ენების ათვისების არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონია. როგორც გადმოგვცემენ, „იგი თავისუფლად ფლობდა ექვს უცხო ენას: ფრანგულს, გერმანულს, რუსულს, რუმინულს, იტალიურს, ქართულს და ამასთან, მშობლიური ინგლისური ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა“[17].

აქ კვლავ დ. ლანგს დავიმოწმებთ: 1892 წელს ოლივერ უორდროპი დაინიშნა ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად პეტერბურგში. ასე დაიწყო მისი დიპლომატიური და საკონსულო კარიერა, რომელიც დროდადრო ავადმყოფობით გამოწვეული ინტერვალებით ოცდათხუთმეტ წელზე მეტს გაგრძელდა. მიუხედავად სამსახურით დატვირთულობისა, ო. უორდროპის ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი მაინც არ შესუსტებულა. მას ახლა ეხმარებოდა და ახალისებდა ხუთი წლით უმცროსი თავისი და მარჯორი, რომელიც თან ახლდა სხვადასხვა საკონსულო ადგილებში, რომელთა შორის იყო ყირიმი, პოლონეთი, ტუნისი, ჰაიტი და რუმინეთი. მალე მარჯორი გაუთანაბრდა, თუ სულაც არ გადაამეტა, ძმას ქართული ენისა და ქართველი ხალხის კულტურისა და ისტორიის ცოდნაში. მათმა ოცწლიანმა ერთად თანამშრომლობამ დიდი ღვაწლი დასდო ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეს დასავლეთში[18].

როგორც ოქსფორდში 1981 წელს ჩვენ მიერ ახლად გამოვლენილი მასალიდან ირკვევა, 1892 წელს, პეტერბურგში ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად ყოფნისას, ოლივერ უორდროპსა და მასთან მყოფ მარჯორის პირადად გაუცვნიათ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი, რომელთანაც ინგლისელ ქართველოლოგ და-ძმას გაუღრმავებიათ თავიანთი ცოდნა ქართულ ენასა და მწერლობაში.

---

[17] ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-უ რ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 24.

[18] დ. ლ ა ნ გ ი, დას. ნაშრ., გვ. 144.

პირველი ცნობა, ინგლისელი და-ძმის ერთობლივი ქართველოლოგიური მუშაობის შესახებ, საქართველოში გაზეთმა „კავკაზმა“ გამოაქვეყნა 1894 წლის 14 იანვარს,[19] რის საფუძველზეც, ორიოდე დღის შემდეგ, 16 იანვარს, ილია ჭავჭავაძის „ივერია“ ქართველ საზოგადოებას აუწყებდა:

„გაზ. „კავკაზს“ ცნობა მოსვლია ინგლისიდგან, რომ საქართველოს ცნობილ მცოდნის ოლივერ ვარდროპის დაი ქ-ნი ვარდროპი, თავის ძმასავით, შეუდგა ქართულის ენის შესწავლას, რათა ინგლისის საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, რომელსაც დასავლეთი ევროპა, მეტადრე ინგლისი, კარგად ვერ იცნობს. ეს ქალი ისე გულმოდგინედ ჰშრომობს და შედარებით მცირე ხნის განმავლობაში იმდენად შეითვისა ქართული ენა, რომელსაც ევროპიელები ადვილად ვერ სწავლობენ, — რომ უკვე გადათარგმნა ინგლისურს ენაზედ „ქართული სახალხო არაკები“ ვლ. აღნიაშვილისა, ცალკე წიგნად გამოცემული 1891 წელს. ეს არაკები ამ ახლო ხანში დაიბეჭდება ინგლისურს ენაზედ. ამავე ქალს გადათარგმნილი აქვს თითქმის ერთი მესამედი XII საუკ. ქართველთა უკვდავ პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნისა“[20]. გაზაფხულზე „კვალის“ კორესპონდენტმა შვეიცარიიდან მოიწერა უფრო დაწვრილებითი წერილი, რომელიც სასწრაფოდ გადმობეჭდა „ივერიამ“:

„...ამას წინად შვეიცარიაში მისულა ლონდონიდან ერთი ინგლისელი მეცნიერი ოლივერ ვორდროპი, რომელსაც ამ ექვსი წლის წინად საქართველოში უმოგზავრნია და ინგლისურად დაუსტამბავს წიგნი ჩვენი ქვეყნის შესახებ. მას შეუტყვია ლონდონში ადრესი შვეიცარიაში მცხოვრები ზოგიერთ ახალ-

---

[19] Литературные новости: Перевод грузинских произведений на английский язык, «Кавказ», 14. I. 1894, № 12, с. 3.

[20] ახალი ამბავი, „ივერია“, 16. 1. 1894, № 11; როგორც ოლივერ უორდროპისადმი 1894 წლის 17/29 იანვარს ივანე მაჩაბლის მიერ გაგზავნილი ფრანგული წერილიდან (იხ. ლიტ. მუზეუმი: 13797-ბ) ირკვევა, „კავკაზში“ გამოქვეყნებული ეს ცნობები ივანე მაჩაბლის ნაამბობზე ყოფილა დამყარებული. თვითონ ივანე მაჩაბელს მარჯორი უორდროპის ქართველოლოგიური მუშაობის ამბავი გაუგია ოლივერ უორდროპის 1894 წლის 3 იანვრის წერილიდან, რომელიც დღეს ლიტერატურულ მუზეუმში არის დაცული: 14219-ბ.

გაზრდა ქართველთა და სხვათა შორის იმათაც გაცნობია. ვორ-დროპს თურმე ჰყავს 24 წლის და. ამ ახალგაზრდა მანდილო-სანს ისე კარგად შეუსწავლია ქართული ენა, რომ თავისუფ-ლად კითხულობს და თარგმნის ქართულ თხზულებებს, წარ-მოიდგინეთ, ძველ ხუცურ ხელთ-ნაწერებსაც კი. მაგალ., ტფი-ლისიდან მიუღია ძველი ხელთნაწერი რომელიღაც წმინდანის ცხოვრება (მგონი, დიონისე არეოპაგელისა, დაბეჯითებით არ ახსოვს ოლივერს) და თარგმნას შეჰდგომია. აღნიაშვილის მიერ გამოცემული ზღაპრები უკვე გამოვიდა ინგლისურად. იბეჭ-დება და ჩქარა გამოვა „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“. თითო ცალი ღირს ოცი მანეთი (კარგათ წაიკითხეთ, ოცი მანეთი!). ნამე-ტანი მდიდრული გამოცემაა, რაღაც ფერადი ასოებით იბეჭ-დება. ამ ფასიანი გამოცემა იქნება მხოლოდ 250 ცალი. ესენი თითქმის ყველა წინდაწინ არის გაყიდული, ორ-სამ მინისტრებ-საც უთხოვიათ ოლივერისათვის, უთუოდ მოგვიტანეთ, რო-გორც კი გამოვიდესო.

ეს 250 ცალი უმაღლეს არისტოკრატიისათვის არის დანიშ-ნული. უბრალო მკითხველებისათვის გამოვა იაფ-ფასიანი. ამას გარდა, „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნის. ნახევარი გადაუთარგმ-ნია სიტყვა-სიტყვით, პროზად, შემდეგ ჰსურს გალექსვა. ოლი-ვერის აზრით, უეჭველად საჭიროა ლექსად დაიბეჭდოს, მხო-ლოდ მაშინ დააფასებს ინგლისის საზოგადოებაო, თუმცა გა-ლექსვა ძალიან უჭირს თურმე.

„სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ გადმოუთარგმნია რუსულიდან (ცაგარლის გამოცემა) ოლივერს; მხოლოდ მის დას ქართულ გამოცემასთან შეუდარებია და შეუსწორ-შემოუსწორებია. თვი-თონ ოლივერმა ქართული არ იცის. ამ ერთი კვირის წინად ყაზბეგის თხზულებები მიუღია ტფილისიდან, გადათარგმნას აპირებს. ეს ახალგაზრდა ქალი საქართველოს ცხოვრებას ძლი-ერ ადევნებს თვალ-ყურს, გამოწერილი აქვს „ივერია“ და „მოამბე“ და ნატრობს, როდის ვეღირსები საქართველოს ნახ-ვასო. ოლივერს თან ახლავს ახალგაზრდა სტუდენტი ოქსფორ-დის უნივერსიტეტისა, შვილი გერცოგის, დედოფლის ახლო ნათესავი. ამასაც აღძვრია სურვილი საქართველოს ნახვისა, სულ იმას მეკითხება: ქართული ენა ადვილად შესასწავლია, თუ ძნელიო? აქ დარჩებიან კიდევ სამ კვირას, შემდეგ უკან

დაბრუნდებიანო — იწერება ჩვენი შვეიცარიელი კორესპონ-
დენტი"[21].

ასე რომ, 1894 წლის დასაწყისში, უკვე მთელმა საქართვე-
ლომ იცოდა მარჯორი უორდროპის სახელი!

მართლაც, რამდენიმე წლის დაუღალავმა შრომამ პირველი
ნაყოფი უკვე 1894 წელს გამოიღო, როცა ლონდონში ზედი-
ზედ გამოიცა ჯერ „ქართული ხალხური ზღაპრების" მარჯორი-
სეული,[22] ხოლო შემდეგ — სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი
სიბრძნე-სიცრუისას" ოლივერისეული ინგლისური თარგმანი[23].

1894 წლის 24 ივნისის „ივერიაში" გამოქვეყნებულ ახალ
ამბებში ვკითხულობთ: „ქალბატონ ვარდროპის მიერ ინგლი-
სურად თარგმნილი „ქართული ზღაპრები" უკვე დაბეჭდილა
და ისყიდება ლონდონში"...,[24] ხოლო 1 ივლისს გაზეთი უკვე
აქვეყნებს ვრცელ ბიბლიოგრაფიულ ცნობას: „... ამ კრებულში
დაბეჭდილია თექვსმეტი ქართლ-კახური ზღაპარი, რვა — მეგ-
რული ზღაპარი, გურული — თოთხმეტი და ოცდარვაც — ან-
დაზა. წიგნი შეიცავს 175 გვერდს... პირველსავე გვერდზედ
ამ წიგნისა დაბეჭდილია საქართველოს გერბი"[25]. აქვე „ივე-
რიაში" დაბეჭდილი იყო კრებულისთვის წამძღვარებული მარ-
ჯორი უორდროპისეული წინასიტყვაობა, საიდანაც მოვიყვანთ
ერთ ადგილს:

„წარსულ ორი წლის განმავლობაში მრავალი დრო მოვან-
დომე ქართულ კლასიკურ ლიტერატურას და განსაკუთრებით,
მეთორმეტე საუკუნის ეპიკურ პოეტის შოთა რუსთაველის
შესწავლას, და იმედი მაქვს მალე გავუზიარო ჩემს თანამემა-
მულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ წიგნმა მაგრძნობინა.
სხვათა შორის, ამ ხნის განმავლობაში გადმოვიღე ინგლისურ
ენაზედ ზოგიერთი ქართული ზღაპრებიც, რომელსაც ახლა

---

21 საყურადღებო ამბავი, „კვალი", 22. V. 1894, № 22; ნარკვევი, „ივე-
რია", 23. V. 1894, № 108.

22 ქართული ხალხური ზღაპრები, ინგლისური თარგმანი მ ა რ ჯ ო რ ი
უ ო რ დ რ ო პ ი ს ა, ლონდონი, 1894.

23 სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ინგლისური
თარგმანი ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი ს ა, ლონდონი, 1894.

24 ახალი ამბავი, „ივერია", 24. VI. 1894, № 133.

25 ბიბლიოგრაფია, „ივერია", 1. VII. 1894, № 138; იხ. აგრეთვე „კვა-
ლი", 1894, № 28.

ვბეჭდავ. ეს ზღაპრები მე წავუკითხე დოქტორს ტაილორს, რომელმაც მითხრა, რომ ამ ზღაპრებში მრავალი სახალხო ლეგენდა იხატება, ფრიად საინტერესო, და მირჩია გამომეცა. ამითი აიხსნება, რომ მე ვუძღვენი ეს წიგნი შემქმნელს ახალის ანტროპოლოგიისას, რომელმაც თავაზიანად დამრთო ამისი ნება.

საქართველო გაზიდულია აღმოსავლეთიდგან დასავლეთს და წააგავს ხიდს, რომელზედაც გაჰქონდათ როგორც აზრები, ისე ყოველგვარი სავაჭრო საქონელი და ეს გარემოება ჰხდის საქართველოს მდიდარ ყანად ყოველგვარის სამეცნიერო გამოკვლევისათვის. რაკი პოლიტიკურად და სარწმუნოებით, ერთის მხრივ, კავშირი ჰქონდათ ბიზანტიასთან და მეორეს მხრით, სპარსეთთან, ამიტომ ივერიელებმა ბევრი რამ შეითვისეს ქრისტიანეთაგან, და აგრეთვე, მაჰმადიანთაგანაც, და საქართველოში კიდევ შესაძლოა იპოვოს და განაახლოს კაცმა ის რგოლები ისტორიულისა და ლიტერატურის ჯაჭვისა, რომელიც ჩამწყდარი და საძებნელია".

მარჯორი თავის წინასიტყვაობაში გვამცნობს მის მიერ ინგლისურ ენაზე გადათარგმნილ ქართული ხალხური ზღაპრების წყაროებსა[26] და იმ პირთ, რომლებიც დახმარებას უწევდნენ თარგმანზე მუშაობისას, ამასთან მადლობის გრძნობით მოიხსენიებს ივანე მაჩაბელს: „მადლობას ვუძღვნი თავადს ივანე მაჩაბელს, ტფილისელ მთარგმნელს შექსპირისას ქართულს ენაზედ, რომელმაც ეს ჩემი შრომა დასტამბვამდე გადაიკითხა, და ჩემს ძმას [ოლივერს], რომელმაც გადამითარგმნა ის ნაწილი ამა წიგნისა, რომელიც რუსულიდან არის ამოღებული".

ინგლისური პრესა მოწონებით შეხვდა ახალგაზრდა მთარგმნელი ქალის პირველ ნაშრომს, რასაც მოწმობს „ივერიის" ლონდონელი კორესპონდენტის — ვაზიანის (ვარლამ ჩერქეზიშვილის) შემდეგი სიტყვები:

„ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა დიდის თანაგრძნობით დაუხვდა ინგლისურს ენაზედ ნათარგმნ ქართულს საერო ზღაპრებს, გამოცემულს მისს ვარდროპის მიერ. მიხარიან, რომ ამ-

---

[26] ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ლ. აღნიაშვილის მიერ, ტფ., 1891; А. Цагарели, Мингрельские этюды, СПб., 1880; Грузинские народные сказки, собр. Бебур Б*..., СПб., 1884.

გვარად წაახალისეს და მოუწონეს შრომა ახალგაზრდა მეცნიერს ქალს; მიხარიან განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ამ გარემოებამ საზოგადოების ყურადღება თქვენის მშვენიერ ქვეყნისაკენ მოაქცია. მეტად გამახარა და მასიამოვნა ინგლისის ჟურნალ-გაზეთების აზრმა თვით წიგნისა და მთარგმნელის შესახებ გამოთქმულმა. მისს მ. ვარდროპს დიდად აქებენ ინგლისურის ენის ისე მშვენივრად ცოდნისათვის. ამბობენ, რომ იგი ბევრს ჩვენს იმედს განახორციელებსო, იგი კიდევ გვაღირსებს თავისს ნაშრომს, თავისს ნამოქმედარსო. მრავალად გამოთქმულ აზრთაგან დავასახელებ მხოლოდ ორ აზრს — ოქსფორდის უნივერსიტეტის სლავისტისა და ფოლკლორისტის პროფესორის მორფილისას და განსაკუთრებულ გამოცემას „შენიშვნებისა და საკითხებისას“. ამ ჟურნალის 11 სექტემბრის ნომერში სწერია:

„დაიწყო ბეჭდვა გრიმმის ბიბლიოთეკისა და პირველ წიგნად გამოვიდა კრებული ქართულ საერო ზღაპრებისა... დასაწყისი მშვენიერია, სულითა და გულით ვეგებებით და ვისურვებთ მისთვის სრულს წარმატებას. საუცხოო კრებულია — წავიკითხეთ ეს ზღაპრები; ისევ ჩვენი ძველი მეგობრები არიან და ქართლურს, მეგრულსა და გურულს ტანისამოსში გამოწყობილთ ისეთისავე სიამოვნებით წაიკითხავთ, ისევე აღტაცებაში მოგიყვანთ იგი... ეშმაკი მოტყუებულია, სული სხეულს ჰშორდება და სხვა, გარეშე საგანში იკეთებს ბინას, გმირნი ბედისწერით მათდა წილად ნახვედრს სიგმირესა სჩადიან, გმირნი-ქალნი დიდს განსაცდელს გამოივლიან და ეს ზღაპრების კრებული კვლავ გვახსენებს ერთს ძველ საკითხავს: საიდგან არის ეს ზღაპრები? სად აღმოცენებულა? რა მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის?.. ინგლისური ენა თარგმანისა დიდად სადაა, უკრიმანჭულო და ძალიან უხდება შინაარსს. მით უფრო დიდის სიამოვნებით მივეგებებით ამ კრებულს, რომ იგი პირველი მაგალითია ქართულიდგან გადმოთარგმნისა“.

„მრავალმა მოგზაურმა აგვიწერაო, — ამბობს პროფესორი მორფილი („ეკედემი“, 4 აგვისტო, 1894), — კავკასიისა და იმის მკვიდრთა მშვენიერება. მაგრამ ეხლაც კი იმ ეროვნებათა სხვადასხვა ენისა ჩვენში არა იციან — რა ბროსეს, ცაგარელისა და უსლარის შრომათა მიუხედავად; ამ ენათა შორის

მხოლოდ ქართულს ენას, და იმის შტოებს აქვს ლიტერატურა... ძ. ლიან ბედნიერი აზრი დაჰბადებია მისს ვარდროპს, მოუწადინებია რა ჩვენი ამ ნაკლებად ცნობილ ქვეყნის ფოლკლორთან, ზღაპრებთან და საერო ლიტერატურასთან გაცნობა. მამაცადაც შეუსრულებია თვისდა ნაკისრი საქმე. მამაცადაო, ვამბობთ, რადგან ქართული ენა სავსეა ათასის სიძნელით; ამ ენისთანა სიძნელეს ზმნების გარჩევის მხრივ მხოლოდ ბასკების (ბასკები რიცხვით მრავალნი არ არიან — 400.000, მთიელი ხალხია, სცხოვრობს ისპაანის ჩრდილოეთ მხარეს და ისპანიელებისაგან მოდგმით და ენით განირჩევა) ენაში თუ შეჰხვდებით. მართლაც, მსგავსება ამ ორ ენის ფორმებს შუა დიდია, თუმცა სიტყვებში საერთო არა არის-რა"[27].

ვაზიანის ლონდონიდან გამოგზავნილ ამ კორესპონდენციას ავსებს 1894 წლის 4 ნოემბრის გაზეთ „ივერიაში" (№ 234) გამოქვეყნებული ახალი ნარკვევი:

„აი, ამ წიგნის შესახებ რასა სწერს ლონდონის საისტორიო-საპოლიტიკო ჟურნალი „შაბათის მიმოხილვა": „ჯერ არც ერთხელ არ გამოცემულა წიგნი ასეთის მოხერხებით, როგორიც არის მისს მარჯორი ვარდროპის „ქართული არაკები", გამოცემული ალფრედ ნუტის (I) მიერ, რომლის გამოცემულ წიგნებსაც სწორედ რომ ლამაზად ეწოდება „გრიმების ბიბლიოთეკა". ეს არაფერი მონოგრაფიაა საერო სიტყვიერებისა, სრულიად ახალი მასალაა, არაკების სახით დაწერილი, კრიტიკულ გამოკვლევისათვის და დიდად სასიამოვნო და სახალისო საშრომი საქმეა. ამ წიგნს უფრო ისა ჰხდის ძვირფასად, რომ ბევრის მეცნიერისათვის უცნობ ენიდგან არის გადმოთარგმნილი, რის გამოც ეს წიგნი დიდად იზიდავს „გრიმების ბიბლიოთეკის" ინგლისელ მკითხველების ყურადღებას. მარჯორი ვარდროპს ქართულს საერო სიტყვიერებაში ძვირფასი საუნჯე უპოვნია და თვისს წიგნში მოუქცევია, რაც ერთადერთი ახალი ამბავია ინგლისელ მკითხველებისათვის. ამ მიმზიდველ და მომხიბვლელ არაკების კრებულის სამი ნაწილი — ქართლ-

---

[27] ვ. ვ ა ზ ი ა ნ ი, ინგლისის ჟურნალ-გაზეთების აზრი მისს ვარდროპის მიერ ნათარგმნ ქართულ საერო ზღაპრების შესახებ, „ივერია", 18. IX. 1894, № 198.

კახურ-მეგრულ-გურულ არაკებისა, — ერთმანეთისაგ ნ განსხვავდება ხასიათითაც და წერის კილოთიც. არსებითი განსხვავება თვით არაკებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს თვით მთარგმნელი, არაფერია, რის მიზეზიც გეოგრაფიული მდებარეობა უნდა იყოს იმ ადგილებისა, სადაც არაკებია გაგონილი. არაკები ძალიან საინტერესოა და ჰმოწმობს, რომ ბევრით ჰმსგავსებია ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერო სიტყვიერება"[28].

მალე, „ივერია" კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და იმოწმებს „კიდევ ერთი [თუმცა, არ უთითებს, სახელდობრ, რომელი] ინგლისური გაზეთის აზრს მარჯორი ვარდროპის მიერ ნათარგმნი ქართულის არაკების წიგნის შესახებ:

„მისს მარჯორი ვარდროპსაო, — სწერს გაზეთი, — მშვენიერი ენა აქვს, მისი ენა სწორედ ზღაპრებისათვის არის მოწყობილი. იგი სწერს ინგლისურის ძველის აღთქმის ენით, მაგრამ არა ჰხმარობს იმ ფრაზებს, რომელნიც საღმრთო წერილშია, რადგანაც ბევრს ეწყინებოდა იმ ფრაზების ამოკითხვა ზღაპრებში, რომელიც საღმრთო წერილშია. ზღაპრები ყველა თანასწორი ღირსების არ არის, უმეტესი ნაწილი ამ ზღაპრებისა ჩვენთვის მთლად ახალია, ხოლო რამდენიმე-კი იგივე ჩვენი სიყმაწვილის მეგობარია. ჩვენ ვფიქრობთ, მისს ვარდროპი ამას არ იკმარებს და გაგვაცნობს უფრო ღირსშესანიშნავს ქართველთა მწერლობიდგან.

ჩვენი აზრით, საუკეთესო ზღაპრებია: „მეფის ძე და ვაშლი", „ორი ძმა", „ჭრიჭინა და ჭიანჭველა". ეს უკანასკნელი ჰგავს ჩვენ ზღაპარს „სახლი, რომელიც ჯეკმა ააშენა", თუმცა, ქართული ზღაპარი სჯობია. საქართველო საოცნებო ქვეყანას ჰგავს და მის ყოველდღიურ ცხოვრების წვრილმანს ჩვენთვის რომანული ხასიათი აქვს. თარგმანის ენა ჰხდის სასიამოვნოდ ზღაპრებს ყველასათვის, რომელსაც-კი უყვარს ლიტერატურა ბავშვისა"[29].

საგულისხმო რეცენზიაა დაბეჭდილი ინგლისურ ჟურნალ „ათენეუმის" 1895 წლის 9 მარტის № 3515-ში, რომლის ქართულ თარგმანს ინმანის ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში"

---

28 ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან), „ივერია", 4. XI. 1894, № 234.

29 ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან), „ივერია", 20. XI. 1894, № 247.

გვთავაზობს ცნობილი ქართველი მთარგმნელი და ჟურნალისტი ივანე მაჭავარიანი:

„საინტერესო წიგნი დაიბეჭდა ამას წინად: „ქართული ზღაპრები, თარგმანი მისს ვარდროპისა“: ჩვენ არ გვქონდა არავითარი ცნობანი, რადგანაც ამ წიგნების დამწერებმა, თავისის ენის გარდა, სხვა არ იცოდნენ. ისინი ჰხედავდნენ მხოლოდ საქართველოს გადაშლილს მშვენიერს სურათს, თვალის დამატყვევებელ პანორამასავით და სხვა არაფერს.

არის მშვენიერი წიგნი ეტნოგრაფიულის რუკათი საქართველოს შესახებ ვეიდენბაუმისა (იგულისხმება: Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, გ. შ.] და ერკერტისა (რ. ერკერტი, კავკასია და მისი ხალხები, ლაიფციგი, 1888, გერმ. ენაზე). ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ ნახა მთები იმ მშვენიერ ქვეყნისა (იგულისხმება ფრეშფილდი, მური, ტუკერი, რომლებმაც 1868 წლის ივნისში დალაშქრეს მყინვარი. — გ. შ.]. მისს ვარდროპი პირველია, რომელმაც დაჰბადა აზრი, რომ სახალხო ზღაპრები დიდად საინტერესოა და იმისს წიგნს ვინც წაიკითხავს, მართლაც გულში მადლობა აღეძვრება მისდამი.

ქართული ენა ისეთი ძნელია, რომ ყოველს ლინგვისტს დაუკარგავს მადას შესწავლისას, მაგრამ იმ ენის შესწავლის შემდეგ გახსნილი გვექნება გზა არა მარტო ქართულ ლიტერატურისა, არამედ მეგრულისა და სხვა ენებისაკენ, რომელნიც იმავე ძირისანი არიან, როგორც ქართული. ვურჩევთ ჩვენს მკითხველებს, წაიკითხონ ესე ზღაპრები და დასტკბნენ, რადგან შიგ ჰნახავენ მდიდარს ფანტაზიას და ბევრს გადაკრულს სიტყვას ძველ ცრუ-მორწმუნეობის შესახებ, რომელიც ქრისტიანობამ წმინდა ნინოდგან — მეოთხე საუკუნიდგან დაწყებული, ვერ აღმოფხვრა ადამიანთა გულიდან.

არსებობა ფოლკლორისტების საზოგადოებისა იმედს გვაძლევს, რომ ამიერიდან უფრო მეტს ცოდნას შევიძენთ. კავკასიაში ბევრი ნაშთია სხვადასხვა გვარეულობისა, რომელთაც დასტოვეს კვალი თავისის არსებობისა. საქართველო შეადგენს ერთს ტომს, რომელიც ახლა აშკარად გვაჩვენებს ამ გვარეულობათა ერთობას.

ქართველებს, როგორც ისინი ეძახიან თავისს თავს, ხან

ოსმალნი იპყრობდნენ და ხან სპარსელნი. ხოლო ჩვენ ვიცით ისტორიიდგან, რომ ქართველებს დიდი მიწა-წყალი ეჭირათ და ერთს დროს დიდი სამეფო იყო. ახლაც ლაზებს — ქართველს ხალხს იპოვნით ისეთს ვრცელს მანძილზედ, როგორიც ტრაპიზონია, და განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე თავისს საინტერესო არხეოლოგიურს შრომაში გვიჩვენებს იმ ალაგს, სადაც მარტო თათრული ენა ისმის. მშვენიერს რუკას საქართველოს მდებარეობისას იპოვნით ვახუშტის „საქართველოს ისტორიაში", რომელიც გამოცემული იყო ბაქრაძის მიერ ქართულ საზოგადოებისათვის 1885 წ. შესაძლებელია და დიდად საფიქრებელიც არის, რომ ქართველთა ენაზედ მისის განვითარების პირველ ხალხს თავისი გაელენა ექმნება და ლურსმურს წარწერას „Lake Van"-ისას, რომლის კითხვასაც სცდილობენ ახლა მეცნიერნი.

კავკასიაში ქართველების გვერდით სცხოვრობენ ლეკები და რამდენიმე არიისა (ოსები და სომხები) და ურალ-ალტაიის მოდგმისა. ძალიან ძნელია ყოველ ამ ენათა გარჩევა და მათის თავ-თავისის ადგილის მიჩენა. მისს ვარდროპმა შეიძლო შედარება ამ ქვეყნის რამდენისამე ზღაპრისა სხვა ერთა ლიტერატურასთან"[30].

აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართული ხალხური ზღაპრების" მარჯორი უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანს გამოეხმაურნენ არა მარტო ინგლისში, არამედ რუსეთსა და ამერიკაშიაც კი.

„ივერია" 1894 წლის 31 დეკემბერს წერდა:

„Русск. мысль"-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ბიბლიოგრაფიული შენიშვნა მის ვარდროპის მიერ ნათარგმნის „ქართული ზღაპრების" შესახებ. წერილის ავტორი, სხვათა შორის, ამბობს, რომ ინგლისელებმა ამ უკანასკნელ დროს დიდი ყურადღება მიაქციეს ქართულს ლიტერატურას და ისტორიასო"[31].

ახლა ვნახოთ 1895 წლის 27 იანვრის იმავე გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა:

---

[30] ი ნ მ ა ნ [ივანე მაჰაარიანი], ინგლისის ჟურნალნი ქართულ ლიტერატურის შესახებ, „ივერია", 2. IV. 1895, № 70.

[31] ახალი ამბავი, „ივერია", 31. XII. 1894, № 277.

„...არა მარტო ინგლისელების ყურადღება მიიპყრო ამ ზღაპრებმა, არამედ ამერიკელებისაც. აი, მაგალითად: ნიუ-იორკის ერთს გაზეთში „Nation“ 27 ქრისტეშობისთვის წარსულის წლის №-ში დაბეჭდილია რეცენზია ამ წიგნზედ...“[32].

თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ მარჯორი უორდროპის „ქართული ხალხური ზღაპრები“ მიძღვნილია ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, „პირველყოფილი კულტურის“ საქვეყნოდ ცნობილი ავტორის — ედუარდ ტეილორისადმი (1832—1917), რომელსაც თვით გადაუკითხავს და მოუწონებია იგი, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ რა ღირსება და მნიშვნელობა ექნებოდა მარჯორი უორდროპის ამ პირველსავე ქართველოლოგიურ ნაშრომს ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის ინგლისურენოვან სამყაროში და, საერთოდ, მთელ მსოფლიოში.

1894 წლის შემოდგომაზე ლონდონში განხორციელდა სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას“ ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანის მდიდრული გამოცემა“,[33] რომელსაც მაშინვე გამოეხმაურა გაზეთი „ტაიმსი“:

„წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ ქართულ ზღაპრების წიგნია მეთვრამეტე საუკუნის მწერლის სულხან-საბა ორბელიანისა და გადმოთარგმნილია ინგლისურს ენაზედ შენიშვნებით ოლივერ ვარდროპის მიერ. ეს წიგნი სამაგალითო ქმნილებაა ხელოვნებისა. იმ მხრითაც არის საგულისხმო, რომ წიგნი გამოცემულია ვილიამ მორისისაგან. წიგნი იმ სახით არის გამოცემული, თითქოს ძველის-ძველად არის დაბეჭდილიო, მაგრამ ძალიან წმინდათ და მშვენიერად დასტამბულია. შენიშვნები, სათაურები და წიგნის ნაპირების წარწერანი წითელის მელნით არის დაწერილი. სათაურები ყვავილიანი ასოებით არის შემკული, რომელნიც ბ-ნ მორისის აზრისამებრ შეუდგენია. ხელით გაკეთებულ ქაღალდზედ დაბეჭდილია და მშვენიერი ყდა აქვს აბრეშუმის შესაკვრელებით. წიგნი სავსეა საინტერესო ამბებით და აგრეთვე დიდად საყურადღებო წინასიტყვაობაც აქვს დართული, რომელშიაც ბ-ნი ვარდროპი მოკლედ,

---

[32] ახალი ამბავი, „ივერია“, 27. 1. 1895. № 20.

[33] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ლონდონი, 1894.

მაგრამ საკმარისის სავსებით განმარტავს ს. ს. ორბელიანის ვინაობას და იმის შრომის მნიშვნელობას“[34].

ვინ არის ვილიამ მორისი, ვისი „აზრისამებრ“ არის ასე მდიდრულად და მაღალმხატვრული გემოვნებით გამოცემული დიდი ქართველი მწერლის შესანიშნავი იგავ-არაკების ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი?

ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვაზიანი ლონდონიდან გამოგზავნილ ერთ წერილში:

„საოცარი მრავალფეროვანი და თავისებური ნიჭი უდგამდა სულს ამ ადამიანსა. ევროპაში ჯერ არსად არ იცნობენ მორრისს. მაგრამ ადრე თუ გვიან იგი საპატიო ადგილს დაიჭერს ხელოვნებისა და საზოგადო რეფორმების მსოფლიო ისტორიაში: ნასწავლი არქეოლოგი, წარჩინებული პოეტი (ტენისონის სიკვდილის შემდეგ მორრისს სთხოვეს მიეღო საპატიო სახელი „დაფნის გვირგვინით დამშვენებულის“ სასახლის პოეტისა, მაგრამ უარი განაცხადა!), თამამი რეფორმატორი მორრისი ამავე დროს ოსტატიც იყო, როგორც ბანვენუტო ჩილანუსი და მაღალი ხელოვნება გვერდით ამოუყენა ხელობას... მორრისი მთელ თავის სიცოცხლეში სცდილობდა გამოეყენებინა საუკეთესო ფორმები ხელოვნებისა და ლამაზის ავეჯისა, სამკაულისა, წიგნებისა და სხვა ამგვარ ნივთების გამშვენიერებისათვის — მორრისისა და იმის მიმდევართა ნაწარმოები ძალიან ძვირადა ფასობს და მის მიერ გამოცემულს წიგნს „სიბრძნე-სიცრუისას“, ვარდროპის მიერ თარგმნილს, ძლიერ ძვირ ფასად იტაცებენ ლიტერატურის მოყვარულნი“[35].

1895 წლის 16 თებერვლის ჟურნალი „ათენეუმი“ კი წერდა:

„ქართული ზღაპრები ბ-ნ ვარდროპის მიერ მშვენიერად გამოცემულია. ეს პირველი თარგმანია ამ საკვირველის წიგნისა მათ შორის, რომელიც-კი ყოფილა ოდესმე რომელსამე ენაზედ დაბეჭდილი, რამდენისამე ზღაპრის გარდა, რომლებიც გადათარგმნილია ფრანგულად[36]. ეს წიგნი ძალიან ძვირ-

[34] ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან), „ივერია“, 18. XI. 1894, № 245.

[35] გ. ვ ა ზ ი ა ნ ი, წერილები ინგლისიდგან (საკუთარის კორრესპონდენტისა) — ინგლისის მხატვრობა, „ივერია“, 24. IX. 1898, № 205.

[36] აქ იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე იგავ-არაკის ფრანგული თარგმანი შესრულებული ჟ. მ ო რ ი ე ს მიერ (თბილისი, 1885; პარიზი, 1888).

ფასია ფოლკლორისტებისათვის. ამ ზღაპრების აზრი ჰგავს „ჰიტოპადეშა“ კრებულის ზღაპრებისასა და არაკებისას.

„სიბრძნე-სიცრუის“ წიგნში ბევრი მოქმედნი არიან გამოყვანილნი, ხოლო თავი და თავი აღმზრდელია ხელმწიფის ახალგაზრდა შვილის ჯუმბერისა, რადგანაც ამ საუცხოვო წიგნის ავტორს — სულხან-საბა ორბელიანს ძალიან ცოტას იცნობენ დასავლეთს ევროპაში, ამიტომ საყურადღებოა, რამდენიმე ცნობა გავუზიაროთ მკითხველებს იმის ბიოგრაფიიდან: „ის დაიბადა 1655 წ., ან 1658 წ. და გარდაიცვალა 1725 წ., ნამდვილი წელიწადი-კი იმის გარდაცვალებისა არ იციან. ყველაზედ უფრო საყურადღებო გარემოება იმისს სიცოცხლეში ის არის, რომ იგი გაგზავნილი იყო საქართველოს მეფის ვახტანგის მიერ ლუი XIV-თან ელჩად. გზად იმან გაიცნო აღმოსავლეთი და იმისი ლიტერატურა და, როგორც ამბობენ, კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღო.

კათოლიკეთა მისიონერები საქართველოში, როგორც აგვიწერს შარდენი, ბევრნი ყოფილან. ესენი არიან პირველნი, რომელთაც ქართული ენა გამოაქვეყნეს და განაცხადეს, რომ ამ ენაზედ ღვთისმეტყველების ქადაგება შესაძლებელიაო (იხ. გრამატიკა მაჯიოსი, დაბეჭდილი რომში 1643 წ.). მაგრამ მამა საქართველოს ფილოლოგიისა ევროპაში ბროსსე იყო. იმან დაიწყო ბეჭდვა 1827 წ. „ჟურნალ აზიატიკში“. იმ ჟურნალში დაბეჭდილი იყო წერილი ვახტანგ მეფისა ლუი XIV-თან. 1884 წ. ტფილისში დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ხელთნაწერად დარჩენილი. ლექსიკონს დართული აქვს სურათი ორბელიანისა, რომელსაც გრძელი სამღვდელო კაბა აცვია, სახე დინჯი და წყნარი აქვს და გრძელი, თეთრი წვერი უმშვენებს ამ სახეს. სათაური ორბელიანის სიბრძნე-სიცრუისა შეიცავს სასიამოვნო აღმოსავლეთურს ოხუნჯობასა და ავტორი ცრუ იგავებითა და არაკებით ბრძნულს აზრებს გვინერგავს, ჭეშმარიტების გზაზედ წარმართავს მკითხველს.

თუ თვალ-ყურს ადევნებთ ამ წიგნში მოქცეულს არაკების შინაარსს, ჰნახავთ, რომ იგი განსხვავებულის ხასიათის არაკებია ზოგან აღმოსავლეთურის გამჭრიახობით შემკული. ფოლკლორისტი დიდის სიამოვნებით ჰნახავს, რომ ზოგი აღმოსავლეთის კარგად ცნობილი ზღაპრები განმეორებულია. ზოგი-

ერთს ადგილას ბ-ნს ვარდროპს შენიშვნებით შეუმკია. მელა უმთავრესს როლს ასრულებს. აღმოსაელეთის აზრს უყვარს იარაღად ხერხისა და ცბიერების ხმარება, რომლის შემწეობითაც ის ხშირად იხსნის თავს საშინელის მტრისაგან. ეს არასასიამოვნო თვისება იმათის ხასიათის დესპოტიზმის შედეგია და მართლაც ყველგან შიშსა ჰნახავთ მეფეთა წინაშე. საზოგადოდ ენა მშვენიერია, სპარსულის სტილისაა და ზღაპართა უმეტესობა სპარსულისაგან უნდა იყოს აღებული. უნდა გავიხსენოთ, რომ ორბელიანი თანაშემწე იყო მეფე ვახტანგ VI-ისა, ეხმარებოდა „ანვარი-სუჰაილის" თარგმანში, რომელიც დაბეჭდილია ხელთნაწერიდგან ტფილისს 1886 წ. ზოგიერთი ზღაპრები-კი ევროპულია და ზოგიერთი ეზოპისას ჰგავს.

ზღაპრების გარდა, ჩვენ გვაქვს კარგი კრებული ძველთა თქმულებათა და აღმოსავლეთის ანდაზათა. ამ აფორიზმებში აღმოსავლური ოხუნჯობა გამოსჭვირს, მაგალითებრ, მე-92 ფურცელზე ჩვენ ვნახეთ არაბული ანდაზა, რომელიც ბურხარდტის კრებულშიც არის მოქცეული: „თუ გველს უყვარხარ, ატარე იგი როგორც ამბარჩა" (შეიძინე სიყვარული საშიშის კაცისა). ეს ანდაზა გვაგონებს ერთს იმ ზღაპარს, რომელიც დაბეჭდილია სერბიულად ვულკ სტეფანოვიჩის მიერ, — რომ ერთს კაცს ესმოდა პირუტყვებისა და ფრინველების ენაო. ზღაპრები მდევების შესახებ გულივერის მოგზაურობას ჰგავს. მხოლოდ აღსანიშნავია ისიც, რომ სვიფტის წიგნი დაიბეჭდა, დაახლოვებით რომ ვსთქვათ, ს. ს. ორბელიანის სიკვდილთან ერთად. ეს გარემოება რომ ნამდვილად არ ვიცოდეთ, გვეგონებოდა, რომ ორბელიანს სცნობიაო ეს წიგნი, როდესაც დასავლეთში ჰმოგზაურობდა, რადგან ამ წიგნის სახელი სწრაფად გავარდა ინგლისშიაცა და ინგლისს გარეშეც, შორეულს ქვეყნებში"[37].

როგორც „წინასიტყვაობიდან" ჩანს, „სიბრძნე-სიცრუისას" ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი შესრულე-

---

[37] ინმან [ივანე მაკაკარიანი], „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა": ქართულის ზღაპრების წიგნი მეთვრამეტე საუკუნისა, სულხან-საბა ორბელიანისა, გადათარგმნილი შენიშვნებითურთ ოლივერ ვარდროპის მიერ, „ივერია", 18. III. 1895, № 60.

ბულია პროფ. ალ. ცაგარლის რუსული თარგმანის მიხედვით,[38] მაგრამ მთარგმნელი იცნობს, აგრეთვე, თხზულების ნ. მთვარელიშვილისეულ 1892 წლის ქართულ გამოცემასაც[39]. ოღონდ „კვალის“ შვეიცარიელი კორესპონდენტისთვის ოლივერის მიერ მოწოდებული ცნობებიდან ვიგებთ, რომ „სიბრძნე-სიცრუისას“ ცაგარლისეული რუსული გამოცემიდან შესრულებული ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი „მის დას მარჯორის ქართულ გამოცემასთან შეუდარებია და შეუსწორ-შემოუსწორებია“[40]. ამით აიხსნება ინგლისური თარგმანის სიზუსტე და ამ მხრივ, ცნობილი ქართველი მთარგმნელის — ინმანის (ივანე მაჭავარიანის) სიტყვებიც სიმართლეს შეეფერება: „ჩვენ შევადარეთ ვარდროპის წიგნს დედანი, დაბეჭდილი ტფილისში 1881 წ. (იგულისხმება „სიბრძნე-სიცრუისას“ გრ. ჩარკვიანისეული გამოცემა — გ. შ.) და განცვიფრებული ვართ თარგმანის სისწორით და სინამდვილით“[41].

ახლა რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურის ოლივერისეულ გაგებას:

ამ მხრივ, ოლივერ უორდროპი უკრიტიკოდ იზიარებს ალ. ცაგარლისეული რუსული თარგმანის გააზრებას და ამის კვალობაზე ინგლისურად თარგმნის, როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ (შდრ. ალ. ცაგარლისეულ რუსულ თარგმანს: „Книга Мудрости и Лжи“). დიდი ქართველი მეიგავის წიგნის სათაურის ცაგარელ-უორდროპისეულ გაგებას მხარს უჭერენ გ. იმედაშვილი,[42] და განსაკუთრებით, დ. ლანგი,[43] მაგრამ ალ. ბარამიძის სპეციალურ ნარკვევში იგი გაზიარებული

---

[38] Книга Мудрости и Лжи, грузинские басни и сказки XVII—XVIII стол. перевод и объяснения А. Цагарели, СПб., 1878.

[39] წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა საბა-სულხან ორბელიანისა. სხვადასხვა ხელთნაწერებთან ახლად შედარებული და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ, ტფ., 1892.

[40] იხ. „კვალი“, 22. V. 1894, № 22; „ივერია“, 23. V. 1894, № 108.

[41] „ივერია“, 18. III. 1895, № 60.

[42] გ. იმედაშვილი, „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“-ს სათაურის გაგებისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954, გვ. 303—309.

[43] დ. ლანგი, „სიბრძნე-სიცრუისა“-ს სათაურისათვის (თარგმნა ალ. გამყრელიძემ), „მნათობი“, 1957, № 5, გვ. 159—167.

არ არის[44]. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო განმტკიცებულია სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურის ილია ჭავჭავაძისეული ახსნა: „საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია“, ოღონდ, „ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე — შიგ ჩასახული აზრია“, „საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს — კი გამცნებო“[45].

„ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ინგლისურად თარგმნის ფიქრს მარჯორი უორდროპი ადრიდანვე გაუტაცნია, რასაც ვიგებთ ლონდონიდან ვაზიანის (ვარლამ ჩერქეზიშვილის) მიერ გამოგზავნილი კორესპონდენციიდან, რომელიც გამოქვეყნებულია 1894 წლის 18 სექტემბრის „ივერიაში“:

„მისს ვარდროპი ძალიან გულმოდგინედ ჰმუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ თავის თარგმანისათვის, მაგრამ ამ პოემის გადათარგმნას დიდი შრომა და დრო უნდა. ამასობაში-კი, როდესაც მოიცლის ხოლმე, ეს ყმაწვილი ქალი თანამედროვე ქართულს ლიტერატურასაც სწავლობს. თუ არა ვსცდები, იგი დიდად აფასებს ილია ჭავჭავაძის პოეზიის მშვენიერებას და განსაკუთრებით-კი, მისი სიმართლითა და ღრმა პოეზიით ადამიანის მხიბლავი პოემა „განდეგილი“ მოსწონს.

კერძოდ, ძალიან მესიამოვნებოდა, უკვდავ შოთას პოემამდე რომ „განდეგილი“ დაიბეჭდოს ინგლისურს ენაზედ... რუსთაველი დიდებულია. მეცნიერება და მცოდნენი ღირსეულს მსჯავრს დასდებენ. მაგრამ ჩვეულებრივი მკითხველი, ჩვენთა დღეთა განათლებული ბრბო უფრო გაიგებს, უფრო გულმისახვდომად მიიჩნევს ამ განდეგილს, ამ გულმართალს დაყუდებულს ადამიანს, რომელიც წინააღმდეგობას ვერ უწევს

---

[44] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, სიბრძნე-სიცრუის გარშემო: 1. რა ეწოდებოდა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს და როგორ უნდა გავიგოთ მისი შინაარსი, „მნათობი“, 1957, № 12; გადაიბეჭდა: ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, IV, თბ., 1964, გვ. 119—130; იხ. აგრეთვე, ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, „სიბრძნე სიცრუის“ სათაურის შესახებ, „ლიტ. გაზეთი“, 26. VIII. 1954, № 34.

[45] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე, თხზულებანი, ტ. III, პ. ინგოროყვას რედ., თბ., 1953, გვ. 406-407.

ადამიანის აგებულების ძირეულ მოთხოვნილებათ, ყოვლის დამძლევსა და ყოვლის განმაცხოველებელს სიყვარულს. „განდეგილი“ დიდად მშვენიერი ნაწარმოებია, ვინაიდგან შიგ ჰქღერს ელლინიზმისა, ე. ი. ცხოველის ორგანიზმისა, იმის ჰარმონიით სავსე ცხოვრებისა და ამ ცხოვრებით სიტკბოების უფლებათა დაცვისა... იმის ჰარმონიულს ლექსში სცემს დატანჯული გული აწინდელის კაცობრიობისა, ასკეტიზმისა და იუდაიზმის (სიტყვებს „ელლინიზმსა“ და „იუდაიზმს“ იმ აზრით ვხმარობთ, რა აზრითაც ჰ. ჰეინე ამბობდა ხოლმე) სასტიკ ძალმომრეობისაგან ახლად განთავისუფლებულისა. და განათლებული კაცობრიობა ღირსეულად დააფასებს კიდეც დიდად მშვენიერს ნაწარმოებს ი. ჭავჭავაძისას. „განდეგილის“ შინაარსისა ბევრი რამ არის დაწერილი ყოველს ლიტერატურაში. საკმარისია დავასახელოთ ფლობერის „წმინდა ანტუანის ცდუნებანი“, ზოლას „აბატ მურიეს შეცოდებანი“, მაგრამ „განდეგილს“-კი თავისის სისადავით, მოკლესიტყვაობით და უმთავრესად-კი განდეგილისა და ყმაწვილის ქალის საუბრის მომხიბვლელ გულუბრყვილობით ხსენებულ მწერალთა ნაწერებს ვამჯობინებ.

აი, კიდეც ამიტომ მინდა, რომ ჯერ „განდეგილი“ გადმოითარგმნოს ინგლისურს ენაზედ. კაცობრიობის პოეზიის ძირეული შინაარსი სიყვარულია და ადამიანი დიდადაც აფასებს ამ სიყვარულის უფლებათა დაცვას და იმის ძლიერების შემკობასა და ქება-დიდებას. „განდეგილში“ — კი ისე ცხოვლად არის შემკობილი ეს გრძნობა, როგორც ცხოველმყოფელია წმინდა ჰაერი მყინვარისა; ისევე ლამაზად არის აწერილი, როგორც ლამაზია და მშვენიერი თვით მყინვარის ყინულად ქმნილნი წვიმა-თოვლნი, მაისის მზით გაბრწყინვებულნი“[46].

ვაზიანის ამ სიტყვების სიმართლეს ადასტურებს იმავე 1894 წლის სექტემბერში ილია ჭავჭავაძის მიერ ინგლისიდან მიღებული მარჯორი უორდროპის მართალია, ჯერ კიდევ გაუმართავი, მაგრამ მაინც მშვენიერი ქართულით დაწერილი ბარათი, რომელშიც იგი ილიას სთხოვდა მის მიერ

[46] ვ. ვ ა ზ ი ა ნ ი, ინგლისის ჟურნალ-გაზეთების აზრი მისს ვარდროპის მიერ ნათარგმნ ქართულ საერო ზღაპრების შესახებ, „ივერია“, 18. II. 1894, № 198.

ინგლისურად თარგმნილი „განდეგილის“ გამოქვეყნების ნებართვას:

„თავადი ილია ჭავჭავაძე,
ტფილისი,

მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხვე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის გჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვითი სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა, რაოდენიმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მე მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნობ, და სურვილი მაქვს, რომ მერე მე შევჰძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისთვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსთვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა.

თქვენი პატივსმცემელი
მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი“.

მარჯორის ეს წერილი მაშინვე გამოქვეყნდა „ივერიაში“, რომელსაც მეველემ (დავით მიქელაძემ) ასეთი სიტყვები წაუმძღვარა წინ:

„ქვეით ჩვენ ვბეჭდავთ ქალბატონის მარჯორი ვარდროპის წერილსა, რომელიც ამ საპატიო ინგლისელმა ახალგაზრდა მანდილოსანმა გამოუგზავნა „განდეგილის“ ავტორს.

ჩვენ ვერ ვნახეთ შესაძლებლად, რომ ეს მშვენიერი წერილი ინგლისელი ქალისა, რომელსაც ქართული წერა-კითხვა

შეუსწავლია ძველი წიგნების საშვალებით თავის კაბინეტში, დაგვემალა და არ გაგვეზიარებინა საზოგადოებისათვის ის ჭეშმარიტი სიამოვნება, რომელიც ჩვენ იმის წაკითხვის გამო ვიგრძენით.

ქალბატონი ვარდროპი კარგა ხანია ვიცოდით, რომ მოყვარული იყო ჩვენის ქვეყნისა. მაგრამ ეს საპატიო ქალი ახლა თვისის პირით აღიარებს ამ ძვირფასს ჩვენთვის გრძნობას, რომელსაც უეჭველია ყველა კარგი ქართველი ჩინებულად დააფასებს.

როგორც წერილიდან სჩანს, ეს დიდად ჩვენთვის სიმპატიური ასული დიდებულის ქვეყნისა, მალე გვესტუმრება და იმედია, დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხი არ არის უმადური და სიყვარულისა და მეგობრობის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ დაგვიმტკიცა ამ სამაგალითო ქალმა, ქართველს კარგად ესმის.

„ივერიის" მკითხველი, რასაკვირველია, საკმაოდ იცნობს ბ-ნის ვაზიან-ის წერილებიდან ქალბატონ მარჯორი ვარდროპს და მის საპატიო ოჯახს. მაგრამ შეცდომაა იმისი ფიქრი, რომ კაცმა შეიძლოს ღირსეულად დააფასოს და მისწვდეს ინგლისელის ოჯახის სიკეთეს და იმ ტიპების გონებრივსა და ზნეობრივ სიმხნევეს და სიმშვენიერეს, რომელთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს მისს მარჯორი ვარდროპი დაწერილისა და მოთხრობილის ამბით. ამისთვის საჭიროა თითონ ამ ოჯახების ნახვა და ამ ტიპების გაცნობა"[47].

თედო სახოკია 1894 წლის 8 სექტემბერს ილიასადმი გამოგზავნილ მარჯორის ამ წერილის „ივერიაში" გამოქვეყნების ამბავს ასე იგონებს:

„მაგონდება ის ტკბილი წუთიცა, რომელიც განვიცადეთ „ივერიის" რედაქციაში 1894 წ., როცა დათა მიქელაძემ (მეველემ) განსვენებულის წერილი შემოიტანა, ქართულად ლამაზის ხელით დაწერილი, და გვახარა: აი, უორდროპის ასულს ილიასათვის წერილი გამოუგზავნია და ნებართვას სთხოვს „განდეგილი" ინგლისურად სთარგმნოსო. ჩვენს თვალებს არ

---

[47] მ ე ვ ე ლ ე [დავით მიქელაძე], მისს მარჯორი ვარდროპი, „ივერია", 8. IX. 1894, № 191.

ვუჯერებდით, ამ წერილს რომ ვკითხულობდით. ძნელად წარმოგვედგინა, რომ ჩვენს ენას, უცხოელთათვის ძნელად სასწავლ ენად მიჩნეულს, ასე ისწავლიდა ინგლისელი ქალი, და ისიც საქართველოს უნახავად, ცოცხალის ენის გაუგონებლად!.. ყველანი გაგვამხნევა, იმედი მოგვფინა, სრულიად დავიწყებულად არ მივიჩნიეთ თავი... და ყველამ სარბიელი დავულოცეთ ასეთს არაჩვეულებრივს ასულს და თან გულწრფელი კურთხევა შევუთვალეთ იმ დედასა, რომელმაც მას ძუძუ აწოვა და იმ ქვეყანას, რომელმაც იგი წარმოშვა"[48].

მალე, ილია ჭავჭავაძემ საპასუხო მადლობისა და თანხმობის ბარათი გაუგზავნა ინგლისელ მთარგმნელ ქალს:

„მოწყალეო ხელმწიფავ!

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს" თქვენი ყურადღება მოუპოვებია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

სახელოვანმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დასდგომია განათლების მტრებს — ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით და გულისტკივილით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს და რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის. დიდებულმა და ძლიერმა ერმა ინგლისისამ სასურველია იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული ადამიანურად, რომ აქაცა აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ-დაჩხეული აქვს ჩვენს მწერლობას, რამოდენადაც-კი გაჭირვებული მდგომარეობა ნებას იძლევა. ამი-

---

[48] თ. სახოკია, „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული, „სახალხო გაზეთი", 27. VI. 1912 წ., № 635.

ტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულის-ცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით, თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ ღვაწლად მიჩნეულ იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი" მომირთმევია თქვენთვის და როგორც გენებოთ, ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას. სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ, — როდის და რა გზით ინებებთ მობრძანებას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენის მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.

P.S. თქვენს პატივცემულ ძმას ჩემი გულითადი სალამი და მოკითხვა მოახსენე.

მოწყალე ხელმწიფეს „მისს" ვარდროპს.

20 სექტემბერი, 1894, ტფილისი"[49].

მართლაც, ერთი წელიც არ გასულა, რომ 1895 წლის შემოდგომაზე, ლონდონში უკვე გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის „განდეგილის" მარჯორი უორდროპისეული ინგლისური პოეტური თარგმანი, შემკული ილიას სურათითა და მთარგმნელის

---

[49] ილიას ამ წერილის შავი პირი საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ინახება (№ 17.583) და იმის მიხედვით გამოსცა იგი თავის დროზე პ. ინგოროყვამ (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, თბ., 1961, გვ. 138-139), ხოლო დედანი ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაშია დაცული (Wardr. d. 20—15), რომლის მიხედვითაც დაუბეჭდეთ იგი ახლახან: იხ. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი სურათი და წერილები, „კომუნისტი", 29. III. 1981.

მოკლე წინასიტყვაობით, რომელშიც მოცემულია ილია ჭავ-ჭავაძის ცხოვრებისა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათება[50]. თავის წინასიტყვაობას მარჯორი უორდროპი ასე იწყებდა:

„მაშინ, როცა მრავალნი ინგლისელნი სპარსულ ლიტერა-ტურას ეტანებიან, ცოტას ნახავთ, რომ ვინმემ ქართული ლი-ტერატურის არსებობაც იცოდეს. საქართველო სწორედ ყუ-რადღების ღირსია. „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველისა, მე-XII საუკუნის ეპიკოსის პოეტისა, სულაც არ ჩამოუვარდება ფირ-დოუსის „შაჰნამეს“, ხოლო რომელ ეხლანდელ სპარსელ პოეტს შეუძლია შეედაროს ბარათაშვილს ან ჭავჭავაძეს?

საქრისტიანო სამეფომ კავკასიისამ [საქართველოსამ], თვით ბუნებისგან ნიჭით უხვად დაჯილდოებულმა, რომელმაც შეით-ვისა აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურა, მალე მიაღ-წია განათლების უმაღლეს საფეხურამდე და თუმც ბრძოლის საშინელი ქარიშხალი გამოიარა, მაინც ლამპარი მწერლობისა არ ჩაჰქრობია“[51].

1981 წელს, ინგლისში სამეცნიერო მივლინებით ყოფნი-სას, საშუალება მოგვეცა სხვა მასალებთან ერთად გავცნო-ბოდით ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულ ოლღა ჭავჭავაძის 50-მდე უცნობ წერილს, რომლებიც 1894—1912 წლებშია გაგზავნილი მარჯორი და ოლივერ უორდროპები-სადმი (მათ შესახებ დაწვრილებით ქვემოთ). აქ კი მოვიყვანთ ილიას ცხოვრების უერთგულესი მეგობრის 1896 წლის 12 თებერვლის წერილის მხოლოდ ერთ ადგილს, რომელიც ეხე-ბა „განდეგილის“ მარჯორისეულ ინგლისურ თარგმანს:

„ჩემთვის უძვირფასესო ტკბილო მარჯორე!

პირუთვნელად უნდა ვაღიარო თქვენ წინაშე, მას შემდეგ რაც გაგიცანით, თქვენ შეადგენთ ჩემ სათაყვანო და სადიდე-ბელ პირსთ... თქვენ დიდ ბრიტანის შვილმა, არ დაიზარეთ,

---

[50] განდეგილი, ლეგენდა თავად ილია ჭავჭავაძისა, თარგმანი ქართუ-ლიდან მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი ს ა, ლონდონი, 1895.

[51] ინმან [ივანე მაჭავარიანი], ბიბლიოგრაფია, „ივერია“, 17. 11. 1896, № 37. შდრ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1, თბ., 1976, გვ. 344-345; გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 186. იხ. აგრეთვე, „კვალი“, 3. III. 1896, № 10.

შეისწავლეთ ჩემი საყვარელი დედა-ენა იმ წერილობამდინ, რომ თქვენის ნათარგმნით გააცანით თქვენ განათლებულ ხალხს ჩემი პატარა დაეიწყებული სამშობლო... ამ წერილს ვათავებდი, რომ ილიამ მიიღო თქვენგან ბოძებული ჩინებული და ხელოვნებით ნათარგმნი „განდეგილი“. ილიას სურათმა აღტაცებაში მომიყვანა, ისე ცოცხლათ არის გამოყვანილი, თითქო საცაა დაილაპარაკებსო. ჩინებული განძი აჩუქეთ ჩემს ქმარს. ჩვენთან იყო კარგი მცოდნე ინგლისურის ენისა და განცვიფრებაში მოვიდა, ისე ჩინებული ოსტატობით გითარგმნიათ“[52].

ოლღა ჭავჭავაძის მიერ აქ დამოწმებული „კარგი მცოდნე ინგლისურის ენისა“, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ცნობილი ქართველი მთარგმნელი და ჟურნალისტი ივანე მაჭავარიანი, რომელიც ინმან-ის ფსევდონიმით „ივერიაში“ 1896 წლის 17 თებერვალს გამოქვეყნებულ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ასეთ შეფასებას აძლევდა „განდეგილის“ მარჯორისეულ ინგლისურ თარგმანს: „ჩვენ შევუდარეთ თარგმანი დედანს. თარგმანი ძალიან ახლოა დედანთან, ენა მშვენიერია და ჰარმონია დაცულ“[53].

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ მ. უორდროპისეული თარგმანისთვის მაღალი შეფასება მიუცია ინგლისურ პრესასაც. „ცნობის ფურცელი“ 1896 წლის 20 ოქტომბერს მკითხველს აუწყებდა:

„ქართველ საზოგადოებას, რასაკვირველია, ეხსომება, რომ ინგლისურს ენაზედ დაიბეჭდა და გამოვიდა თავ. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“, თარგმნილი ლექსად ქალბატონი მარჯორი უორდროპის მიერ. ამ პოემის შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგან ეს არის პირველი თარგმანი თითქმის სრულიად უცნობის ენიდგან ალბიონის შვილთათვის, ინგლისურმა გაზეთებმა თავისი აზრი გამოსთქვეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეხლა ხანს ხელთ არა გვაქვს ყველა ჟურნალ-გაზეთები, რომ მკითხველები გავაცნოთ მათს შინაარსს. მოგვყავს მხოლოდ ორის აზრი:

„სკოტსმან“ (თებერვლის 24, 1896 წ.) ამბობს: „ეს ბოემა

---

[52] ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი — d20.

[53] „ივერია“, 17. 11. 1896. № 37.

თარგმანია ქართულ ენიდგან. დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიმუში უცხო ქვეყნის მწერლისა. თავ. ჭავჭავაძე, უეჭველია, უნდა იყოს საუკეთესო პოეტი თავისს ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიადი ნიჭი და აღმაფრენელი ძლიერება პოეტურის ფანტაზიისა.

მეორე ძალიან კარგად ცნობილს ჟურნალს „ეკედემი" (აპრილის 4, 1896 წ.) ჩვეულებრივად მოჰყავს შინაარსი პოემისა და აღტაცებაში მოდის ამ უბრალო, მაგრამ ღრმად შემუშავებულის და სამაგალითოდ დასურათებულის აზრით. ჟურნალი არჩევს აგრეთვე თარგმანის ენას, მოსწონს იგი და მეტადრე დიდად აქებს წინასიტყვაობას ქბ-ნ უარდროპისას, „რომელიც სრულს საშუალებას გვაძლევს ქართველთ ნიჭიერი პოეტი, როგორიც არის თავ. ჭავჭავაძე, სავსებით გავითვალისწინოთ და პატივი ვსცეთ მის ღირსშესანიშნავ მოღვაწეობას"[54].

ქართული ლიტერატურის ღირსშესანიშნავი ძეგლების ინგლისურ ენაზე გადათარგმნისა და პოპულარიზაციის ფართო პროგრამაა დასახული მარჯორი უორდროპის მიერ 1895 წელს დაწერილ „საქართველოში მოგზაურობის შენიშვნებში":

„ქართველებს... ძლიერ უყვართ პოეზია. აქ შეუძლებელია მოვიხსენიოთ ყველა პოეტი და პოეტი ქალი, რომელთაც სახელი გაითქვეს საქართველოში, მაგრამ ვიმედოვნებ, ინგლისელი საზოგადოება მალე უფრო უკეთ გაეცნობა ამ ხალხის ძველსა და ახალ ლიტერატურას, რომელიც დასავლეთისთვის თითქმის სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ უფრო ისწრაფვოდა, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ"[55].

და აი, ილიას „განდეგილის" ინგლისურად თარგმნის შემ-

---

[54] „ცნობის ფურცელი", 20. X. 1896, № 1; „განდეგილის" მარჯორისეული ინგლისური თარგმანის შესახებ. იხ. აგრეთვე: ვ. ურუშაძე, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" და მარჯორი უორდროპი, „მნათობი", 1945, № 10, გვ. 100—110; ც. თოფურიძე, „განდეგილი" ინგლისურ ენაზე, „ცისკარი", 1957, № 5, გვ. 142—145; ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, „განდეგილის" ინგლისური თარგმანი, „ცისკარი", 1961, № 6, გვ. 145—148; მისივე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 79—87.

[55] მ. უორდროპი, შენიშვნები საქართველოში მოგზაურობაზე 1894—95 წლებში, ქართული თარგმანი ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძისა: მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 49.

დეგ მარჯორი უორდროპი თავის ძმასთან—ოლივერთან ერთად შედგომია ძველი ქართული სასულიერო მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლის — „წმინდა ნინოს ცხოვრების“ თარგმანზე მუშაობას და ძირითადად 1896 წლის ზაფხულისათვის დაუსრულებია კიდეც. ამის თაობაზე 1896 წლის 16 ივნისს „კვალი“ საქართველოში სტუმრად მყოფ მარჯორი უორდროპის შესახებ წერდა: „მას სხვადასხვა ქართული წყაროებიდან შეუდგენია „წმინდა ნინოს ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე და მზათ აქვს დასასტამბათ“[56].

მაგრამ, როგორც ირკვევა, თარგმანზე მუშაობის პროცესში ინგლისელი და-ძმის წინაშე გარკვეული სიძნელეები წამოჭრილა დედნისეული ტექსტის გაგების საქმეში. ამიტომ იყო, რომ 1896 წლის 3 იანვარს მარჯორი უორდროპი ილიას მეუღლეს — ოლღა ჭავჭავაძეს სწერდა: „წმინდა ნინოს ცხოვრება“ გადავსთარგმნე, მაგრამ არსად ვერ ვჰპოვე რას ნიშნავს „ვადაგი მეფეთა“ (ახალი ვარიანტი გვ. 13, სტ. 7) და „უორეს შენებულისა“ (საქართველოს სამოთხე — საბინინის, გვ. 123, სტ. 33). მე დიდათ მადლობელი ვიქნები, თუ შეგიძლიანთ ნიშანს მოთხრობა“[57].

აქ იგულისხმება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შემდეგი ადგილები: „და მიჯმნა დედისაგან ჩემისა, და მომცა ჯუარი მე, და კურთხევაჲ საგზლად, და წარვემართე დედაკაცისა მისთანა, და ოდეს მივედით სახიდ მისა, მუნ ეპოვეთ დედოფალ ვინმე, მეფეთა ვადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა იერუსალიმით ნათლისღებასა და ქრისტჱს აღსარების-თჳს სუროდა“[58], აგრეთვე, „მოიწივნეს ლტოლვილნი არითა და სანახებთა სომხითისათა, ადგილსა მას რომელსა ჰრქვიან ახალქალაქი უორეს შენებულსა რომელ არს ჯვნი“[59].

---

[56] „კვალი“, 16. VI. 1896, № 26.

[57] მარჯორი უორდროპის წერილები, წიგნში: ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი–უ რ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 133 (ქვემოთ: წერილები).

[58] ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა, ტფ., 1891, გვ. 13.

[59] საქართველოს სამოთხე, შეკრებილი... მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 123.

მაგრამ დღემდე უცნობი იყო, რა პასუხი გასცეს მარჯორის ამ თხოვნას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მარჯორისავე წერილის კიდეზე გაკეთებულ მინაწერს: „ვადაგი — ნათესავი ანუ ტომი“, რის გამოც ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე შენიშნავდა: „თუ როგორი განმარტება მისცა მთარგმნელს ოლღა ჭავჭავაძემ ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით“[60].

ახლა უკვე ჩვენს ხელთაა ოქსფორდში დაცული ოლღა ჭავჭავაძის უცნობი წერილები და, მათ შორის, 1896 წლის 24 თებერვლის საპასუხო ბარათი, რომელშიც იგი მარჯორი უორდროპს სწერს: „... ეხლა კიდე გითარგმნიათ ცხოვრება წმინდა ნინოსი, რომელმანც ჩვენი ერი გაანათლა და გააქრისტიანა (ა ი, ა ხ ს ნ ა ი მ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ც მ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ თ, ვ რ ც ე ლ ი ა ხ ს ნ ი ლ ი ა)“[61].

მართლაც, ცალკე ფურცელზე მოთავსებულია „წმ. ნინოს ცხოვრების“ უკვე აღნიშნულ და სხვა ძნელად გასაგებ ადგილთა განმარტებანი და ზოგიერთი ფრიად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა, რომელიც, როგორც ეს ხელის მიხედვითაც ირკვევა, ილიას ავტოგრაფია, (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ). ილია წერს: „...ვადაგი იხმარება „ნინოს ცხოვრებაში“ (ახალი ვარიანტი, გვ. 13), ხოლო „ქართლის მოქცევაში“ (იხილე სამი ხრონიკა, გვ. 13-14) ამ სიტყვის მაგიერ ნახმარია „ევადაგი“. მნიშვნელობა ამ სიტყვებისა ძნელი ასახსნელია. შინაარსის მიხედვით უნდა გადითარგმნოს ისე, როგორც სხვა ვარიანტებშია, ესე იგი „ნათესავი“, ანუ „ტომი“ მეფეთა. შეიძლება ორივე ადგილას ხელნაწერში შეცთომა იყოს და ორივე შემთხვევაში ეგ სიტყვა ნახმარი იყოს „დარგი“-ს მაგიერ“[62].

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე ინგლისელ მთარგმნელს დამატებით უთითებს ახალ წყაროს — „ქართლის მოქცევას“, რომელიც „სამ ხრონიკაში“ იყო ე. თაყაიშვილის მიერ გამო-

---

[60] ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-ურ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 88.

[61] ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი — d 20.

[62] ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი, d — 20, ფ. 149.

ცემული, სადაც „ვადაგის“ მაგიერ ნახმარია „ევადაგი“: „მით ჟამითგან მეათესა წელსა წარვიდა ელენე იერუსალიმად ძიებად პატიოსნისა ჯუარისა, და მეათოთხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომელსამე მიზეზისათჳს დედა მძუძითურთ“[63].

საბოლოოდ, ილია, როგორც ვრწმუნდებით, მაინც იმ განმარტებას უჭერს მხარს, რომელიც ე. თაყაიშვილს აქვს მოტანილი თავისი გამოცემის შენიშვნაში: „ეს სიტყვა [„ვადაგი“] არც ერთ სხვა ნინოს ცხოვრებაში არ მოიპოვება. მხოლოდ იმის მაგიერ ყველა ვარიანტებში სწერია: „ნათესავი და ტომი მეფეთა“[64].

1896 წლის 14 აპრილის წერილში მარჯორი მადლობას უხდის ოლღა ჭავჭავაძეს მიწოდებული ცნობისათვის: „გმადლობ ცნობისათვის ნინოს ცხოვრება შესახებ“,[65] ხოლო ილია ქუონიას მეუღლეს — ანეტა ჭყონიას 1896 წლის 4 იანვრის წერილში ეკითხება: „ხომ იცით სად არის ამბავი რომ ღვთისმშობელი მისცა ჯვარი წმინდა ნინოსთან? საბინინის საქართველოს სამოთხეში არ არის, არც ახალ ვარიანტში. ხომ მოთხრობაში არის ანუ ლეგენდა? შეიძლება ქართლის ცხოვრება ჰამბობს ესა. ჯვარი, მე ვიცი, თბილისში არის, და ნინოს თმით დაბმული არის“[66]. მარჯორი უორდროპი 1896 წლის 1 მარტს ტასო მაჩაბელსაც მსგავსი თხოვნით მიმართავს: „ჩვენ გადავთარგმნეთ ინგლისურს ენაზედ ცხოვრება წმინდა ნინოსი, და ახლა სხვა და სხვა ვარიანტებთან შევადარებთ. „ქართლის მოქცევაში“ არ მესმის რას ჰნიშნავს შემდეგი: გვ. 14. სტრ. 4: „რომლისა საქმე მისი გამოიძია ელენე დედოფალ-

---

[63] სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატის ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა), გამოცემული ვრცელის წინა-სიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ტფ., 1890, გვ. 13-14. შდრ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, მზ. შანიძის რედაქციით, თბ., 1979, გვ. 322.

[64] ახალი ვარიანტი, წმ. ნინოს ცხოვრებისა, გამოცემული ე. თაყაიშვილისა, ტფ., 1891, გვ. 13, შნშ. 1.

[65] წერილები, გვ. 131.

[66] წერილები, გვ. 128.

ზან“ და 14 სტრ. 15: „იგი“ ჰნიშნავს ნინო ანუ რიფსიმე? დიდი მადლობელი ვიქნებოდი თუ ეს სიტყვები ფრანგულად ანუ ინგლისურად შეგიძლიან გამოღება“[67].

აი, ტასო მაჩაბლის პასუხიც, რომელიც 1896 წლის 22 მარტს არის გაგზავნილი და დღეს ოქსფორდშია დაცული: „...დიდის სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გწერთ აზრს „ქართლის მოქცევის“ სტრიქონებისას: „რომლისა საქმეᲘ მისი გამოიძია“ signifie: la reine voulait connaître les circonstances de la vie de Nino. quant à „იგი“ il correspond à „რიფსიმე“. როგორც ვფიქრობ“[68].

თარგმანზე მუშაობისას უორდროპებს უსარგებლიათ აგრეთვე პროფ. ალ. ხახანაშვილის ნაშრომით: „Источники по введению Христианства в Грузии“, რასაც მარჯორის მიერ 1896 წლის 1 მარტს გამოგზავნილი წერილიდან ვიგებთ:

„პატივცემულო პროფესორო ხახანაშვილი!

...ჩვენ გადავთარგმნეთ ინგლისურ ენაზედ ცხოვრება წმინდა ნინოსი. და აწ შევადარებთ სხვა და სხვა ვარიანტებთან; თქვენმა წერილმა „ვოსტოჩნ დრევნოსტ“-ში დიდად მოგვიხმარე“[69].

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანის გამოცემა გაჭიანურებულა. 1897 წლის 1 დეკემბერს მარჯორი ანასტასია თუმანიშვილს სწერს: „კლარენდონ პრეს, ოქსფორდში, აპირებს დაიბეჭდოს ჩემი თარგმანი წმ. ნინოს ცხოვრება, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როდის გამოდის. ბატ. კონიბირ, რომელიც ყურადღებით ადევნებს საეკლესიო ისტორიას და იცის ქართული და სომხური ენები, მითხრა, რომ ცხოვრება ნინოსი ძალიან საინტერესოა და იმან ჰსწერს, იქნება წინასიტყვაობა თარგმნისთვის“[70]. ამასვე შესჩივის მარჯორი პროფ. ალ. ხახანაშვილს 1900 წლის 1 იანვარს: „...წმ. ნინოს ცხოვრება უკვე დიდი ხანია, რაც გამომცემელთა ხელშია, ოქსფორდის უნივერსიტეტის სტამბაში, და ვიმედოვნებ, რომ მალე

---

67 წერილები, გვ. 159.

68 ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი — d 20.

69 წერილები, გვ. 169.

70 წერილები, გვ. 150.

გამოვა. სიამოვნებით გამოგიგზავნით მას თუკი თქვენ ინებებთ“[71].

1900 წელს, ოქსფორდში მართლაც მალე გამოიცა და-ძმა უორდროპების მიერ შესრულებული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი,[72] რომელიც ასეთი თანმიმდევრობითაა შედგენილი:

I. წინასიტყვაობა მარჯორი და ოლივერ უორდროპებისა — გვ. 3—6.

II. წმ. ნინოს ცხოვრება (მ. საბინინის გამოცემის მიხედვით: საქართველოს სამოთხე, სპბ., 1882, გვ. 119 შმდ.) — გვ. 7—58.

III. ნაწყვეტი რუფინუსის „საეკლესიო ისტორიიდან“ ქართლის მოქცევის შესახებ (ლათინურად) — გვ. 58—61.

IV. წმ. ნინოს ცხოვრება (ე. თაყაიშვილის გამოცემების მიხედვით: სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ. 1890; ახალი ვარიანტი..., ტფ. 1891) — გვ. 61—64.

V. მოსე ხორენელის ცნობები წმ. ნინოს შესახებ — გვ. 65-66.

VI. ფ. კონიბირის შენიშვნები წმ. ნინოს ცხოვრების სომხურ ვერსიაზე — გვ. 67—70.

VII. წმ. ნინოს ცხოვრების ქართულიდან თარგმნილი სომხური ვერსია (ფ. კონიბირის ინგლისური თარგმანი) — გვ. 71—88.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისურ ენაზე გამოსვლას ჩვენში პირველი გამოეხმაურა „კვალი“:

„ჩვენ მივიღეთ ზემოთ ამოწერილი სათაურის ინგლისური წიგნი, რომელიც დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და შეიცავს 88 გვერდს. ავტორნი, ქალ. და ბატ. უორდროპები „წინასიტყვაობაში“ სწერენ:

„ამ თხზულების წყაროთ გვქონდა „საქართველოს სამოთხე“ გობრონ საბინინისა, „ქართლის მოქცევა“ და რუფინუსის და მოსე ხორენელის ზოგი ადგილები. ამას გარდა, თაყაი-

---

[71] წერილები, გვ. 171.

[72] წმინდა ნინოს ცხოვრება, ინგლისური თარგმანი მ ა რ ჯ ო რ ი და ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ე ბ ი ს ა, ოქსფორდი, 1900.

შვილის გამოცემა „ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის ცხოვრებისა“. სხვა ხელნაწერებს შორის საყურადღებოა: 1. „საქართველოს წმინდანთა ცხოვრება“ დაწერილი ქათალიკოზი არსენის მიერ მეათე საუკუნეში (დაცულია პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში)., 2. შიო-მღვიმის მონასტრის ხელთნაწერი, დაწერილი 1733 წ., 3. ნათლისმცემლის მონასტრის ხელთნაწერი, დაწერილი 1713 წ., 4. მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრება“, რომელიც არ იყო ჩართული ვახტანგ VI-ის გამოცემათა შორის, დაწერილია 1636—1646 წწ., 5. „ქართლის ცხოვრება“, გამოცემული მეფე ვახტანგ მე-VI-ის მიერ მე-XVIII ს., მაგრამ შეკრებილი წინა დროებებში, ფრანგული თარგმანი ბროსესი. ქრონოლოგია ქართლის მოქცევისა არეულია: ვახუშტი ასახელებს 317 წ., მარონიუსი — 327, ბროსე — 328, „ქართლის ცხოვრება“ — 338 წ., მირიან მეფე მოინათლა 332 წ., გარდაიცვალა 338 წ.“ ბოლოს ავტორნი ამბობენ: „შეიძლება საჭიროც არ იყოს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ როლს, რომელიც ურიებს და ქალებს უთამაშიათ ქრისტიანობის გავრცელებაში, გაცილებით უფრო საქართველოში, ვინემ სხვა ქვეყნებში. ებრაელთა უძველესი კოლონია აქ რიცხვით დიდი და მდიდარი ყოფილა და რაბინი აბიათარი, რომელიც თავის თავს უწოდებდა „ახალ პავლეს“, დიდ მონაწილეობას იღებს ამ ისტორიაში, დედოფალი ნანა კი მოგვაგონებს ბიზანტიის ჰელენას, საფრანგეთის კლოტილდას და სხვა გვირგვინოსან მფარველთ ქრისტიანობისას“[73].

საგანგებო რეცენზიები მიუძღვნეს მარჯორი და ოლივერ უორდროპების ამ ახალ შრომას ალ. ხახანაშვილმა და ნ. მარმა.

პროფ. ალ. ხახანაშვილის რეცენზია 1900 წლის 24 დეკემბრის „ივერიაში“ გამოქვეყნდა:

„რამდენჯელ თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, რომ საზღვარ-გარედ საქართველოს ნაკლებ იცნობენ და ბევრგან წარმოდგენაც არა აქვთ ჩვენს მხარეზედ. ამ უვიცობის მიზეზნი ჩვენ თითონ ვართ. ვერ მოვაქცევინეთ უცხოელებს ჩვენკენ ყურადღება და ვერ შევიძინეთ საკმარისი ძალა, რომ ჩვენ

---

[73] ბიბლიოგრაფია: წმინდა ნინოს ცხოვრება, „კვალი“, 1900, № 51.

თითონ უწინამძღვროთ პატიოსან აზრს საქართველოს ევროპასთან დაახლოვებისას. სამი-ოთხი კაცია ამ ჟამად უცხოელებში, რომელნიც შეიქმნენ ჩვენს მეგობრებათ და მიიღეს შრომა ჩვენი წარსულისა და აწმყოს გაცნობისა. ამ პატარა, მაგრამ მედგრად მუშაკთა წრეში, ქალბატონს მარჟორი უორდროპს და მისს ძმას ბატონს ოლივერ უორდროპს საპატიო ადგილი უჭირავთ. მოკლე ხანში შეერთებულის ძალით დაძმამ შეჰქმნეს ლიტერატურა საქართველოზედ ინგლისურს ენაზედ, იმ ენაზედ, რომელზედაც სხვა გავრცელებულ ენებთან შედარებით მეტად ნაკლები ცნობა იყო ჩვენს მწერლებს და კულტურაზედ. მათ გააცნეს ინგლისელებს „საქართველოს სამეფო", შემდეგ გადასთარგმნეს „ხალხური ზღაპრები", „სიბრძნე-სიცრუის წიგნი" ს. ს. ორბელიანისა, პოემა „განდეგილი" ილ. ჭავჭავაძისა და ამ უკანასკნელს დროს აღბეჭდეს სამეცნიერო შრომა „ცხოვრება წმ. ნინოსი" საყურადღებო წინასიტყვაობით და შეგნებულის შენიშვნებით. ამ ახალს თავიანთ თხზულებაში პატივცემულნი და-ძმა დაგვენახვნენ სრულიად ახალს მოღვაწეობის ფარგალში. მათ შეისწავლეს რამდენიმე საინტერესო წყარო წმ. ნინოს შესახებ და მეცნიერულის კრიტიკის თვალით დააფასეს იგი. ამათი შეხედულება ჩვენის ისტორიისა და განათლების უუძველეს ხანაზედ საყურადღებოდ მისაჩნევია შემდეგის გამოძიება-გამოკვლევისათვისაც. ქ-ნი უორდროპი და ბ-ნი უორდროპი მადლობის ღირსნი არიან არამც თუ თავიანთის შრომის გამოქვეყნებისათვის, რომელნიც მათ მიუღიათ, რათა ჩვენს ისტორიას სხვა მუშაკი შეუძინონ და საერთო ინტერესი აღძრან. ახალს მათ აღბეჭდილს წიგნს დართული აქვს ცნობილი არმენისტის ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის კონებირის წერილიც. პატივცემული მეცნიერი უზიარებს მკითხველებს ესრედ წოდებულს „სომხურს ვერსიას" წმ. ნინოზედ, ეს ვერსია გადათარგმნილია ქართულიდგან სომხურად და რადგან ქართული დედანი დაკარგულია, მისგან სომხურად ნათარგმნს მნიშვნელობა აქვს სადავო კითხვის გადასაწყვეტად, რა დროს უნდა ეკუთვნოდეს წმ. ნინოს შესახებ მოღწეულს წყაროებს. პროფ. კონებირის მოსაზრებანი ჯუანშერის ისტორიაზედ, რომელიც გახდა საფუძვლად სომხურად ნათარგმნის ქართულ ისტორიულ

წერილისა, ნათელს ჰფენს ქრისტიანობის ჩვენში გავრცელების დროს. და-ძმის ნაწერი და პროფ. კონებირის წერილი დაკავშირებულია ერთმანეთთან და შეადგენენ ძვირფასს საშობაო საჩუქარს ქართველი საზოგადოებისათვის"[74].

მიუხედავად კრიტიკული, და ზოგჯერ მკაცრი, შენიშვნებისა, აკად. ნ. მარი ასე იწყებდა თავის რეცენზიას უორდროპთა ნაშრომზე:

«Местные, грузинские и отчасти армянские материалы для истории обращения Грузии в христианство давно стали доступными европейским ученым, главным образом, благодаря трудам Броссе. Но после Броссе на грузинском языке были открыты новые источники, сделаны новые издания, и значение предлежащей книги именно в том и состоит, что основные грузинские и армянские источники по вопросу предложены вниманию интересующихся полностью в переводе на английский язык. Кроме того, стр. 58—61 отведены извлечению из Церковной истории Руфина об обращении Грузии в латинском подлиннике»[75].

ნ. მარი, საერთოდ, კმაყოფილებას გამოთქვამდა უორდროპების თარგმანის გამო და უმთავრესი კრიტიკული შენიშვნები ფ. კონიბირის თარგმანის მისამართით ჰქონდა მიმართული: «Переводы в общем сделаны удовлетворительно, хотя и не без неточностей местами»-ო და აქვე აღნუსხავდა ფ. კონიბირის მიერ სომხურიდან შესრულებული თარგმანის არაზუსტ ადგილებს.

1903 წელს, ნ. მარი კვლავ დაუბრუნდა „წმინდა ნინოს ცხოვრების" უორდროპთა მიერ შესრულებულ ინგლისურ თარგმანს ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ვადაგი//ევადაგი-სთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების" შესაბამისი ადგილი უორდროპებმა ასე თარგმნეს: „...a certain woman, E v a d a g i, by name Rip'hsime", რომელსაც შემდეგი შე-

---

[74] ალ. ხახანაშვილი, ქ-ნ უორდროპის და ბ-ნ უორდროპის ახალი შრომის შესახებ (წმინდა ნინოს ცხოვრება) „ივერია", 24. XII. 1900, № 280.

[75] ЗВОИРАО, т. XII, СПб., 1, 1901, с. 0134—0139.

ნიშვნა გაუკეთეს: „The word E v a d a g i has not been explained. The are many obscure passages in the MS"[76].

6. მარი, იმოწმებს რა უორდროპების თარგმანს, იზიარებს ვ ა დ ა გ ი ს ე. თაყაიშვილისეულ განმარტებას (ილია ჭავჭავაძის მოსაზრება მისთვის უცნობი იყო!) და უძებნის მას სპარსულ ეტიმოლოგიურ ახსნას, ე ვ ა დ ა გ ს კი ვ ა დ ა გ ი ს დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევს: «Такайшвили в своем издании Жития Св. Нины замечает (с. 13, прим. 1), что вм. ვადაგი მეფეთა «вадаг царей» в других версиях встречается «семя и род царей», т. е. царского происхождения. И это вполне правильно, так как в ვადაგი vadag-i (ევადაგი evadag-i — искажение) имеем иранское vadag в значении р о д а, п р о и с х о ж д е н и я. Оно сохранилось в ново-персидском в форме vadi — происхождение»[77].

როგორც ვხედავთ, საბოლოოდ ნიკო მარმაც ისე ახსნა ვ ა დ ა გ ი ს მნიშვნელობა, როგორც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ზემოთ უკვე მოვიყვანეთ: ვ ა დ ა გ ი//ე ვ ა დ ა გ ი „შინაარსის მიხედვით უნდა გადითარგმნოს ისე, როგორც სხვა ვარიანტებშია, ესე იგი „ნათესავი", ანუ „ტომი" მეფეთა" — წერდა ილია 1896 წლის თებერვალში მარჯორი უორდროპს.

1890-იან წლებშივე დაინტერესებულა ოლივერ უორდროპი ქართული „ვისრამიანით" და გადაუწყვეტია რუსთაველის ეპოქის ამ შესანიშნავი ძეგლის ინგლისურ ენაზე ამეტყველება. 1899 წლის დასაწყისისთვის ოლივერს „ვისრამიანი" უკვე სანახევროდ ჰქონია თარგმნილი, რასაც მარჯორის ოლლა ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ 1899 წლის 5 იანვრის წერილიდან ვიგებთ: „ოლივერმა თარგმანი ჰქმნა ნახევარს ვისრამიანს და წიგნი ფრიად მოსწონს. ყოველ დღე ჩვენ ერთად ვჰკითხულობთ ქართულად",[78] ხოლო ერთი წლის შემდეგ, საქმე თითქმის ბოლომდე მიუყვანია, რაც იქიდან ჩანს, რომ 1900

---

[76] წმინდა ნინოს ცხოვრება, ოქსფორდი, 1900, გვ. 61.

[77] Н. М а р р, Критика и мелкие статьи, ТР, кн. V, СПб., 1903, с. 66—67.

[78] წერილები, გვ. 134.

წლის 13 იანვარს მარჯორი პროფ. ალ. ხახანაშვილს ატყობინებს: „ჩემმა ძმამ თითქმის დაამთავრა ვისრამიანი“[79].

წინასწარი ცნობები ქართული „ვისრამიანის“ შესახებ და რამდენიმე თავის ფრაგმენტული ინგლისური თარგმანი პირველად ოლივერ უორდროპმა 1903 წელს გამოაქვეყნა ლონდონში, „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში“[80]. შენიშვნებიდან ჩანდა, რომ მთარგმნელს უსარგებლია „ვისრამიანის“ 1884 წლის გამოცემით, რომელიც თბილისში დაისტამბა ილია ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქტორობით. იგი იცნობს აგრეთვე უფრო ადრე პროფ. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ ქრისტომატიაში“ გამოქვეყნებულ „ვისრამიანის“ ნაწყვეტებს (1846 წლის გამოცემაში დაბეჭდილია ოთხი თავი, ხოლო 1863 წლის გამოცემაში — სამი, ო. უორდროპი ამ უკანასკნელს იცნობს). თამარის მეფობაში სარგის თმოგველის მიერ ქართულად ნათარგმნ „ვისრამიანთან“ შესადარებლად ო. უორდროპი ასახელებს ფახრუდდინ გორგანელის სპარსული ორიგინალის 1864—65 წწ.-ის კალკუტურ გამოცემას, აგრეთვე, კ. გრაფის ცნობილ გერმანულ ექსცერპტულ თარგმანს (ლაიპციგი, 1869), მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამისი ადგილები, სადაც ვისი და რამინია მოხსენიებული („იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა“, „ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“).

ოლივერ უორდროპს ამ შრომის გამოქვეყნებით მიზნად ჰქონია დასახული ირანისტების ყურადღება მიეპყრო „ვისრამიანის“ ქართული თარგმანისათვის, რათა გაერკვიათ სპარსულ ორიგინალთან მისი დამოკიდებულების საკითხი, მაგრამ მაშინ მის ამ მოწოდებას, სამწუხაროდ, არავინ გამოხმაურებია.

სამაგიეროდ, „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის ოლივერ უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანს ყურადღება არ მოჰკლებია მას შემდეგ, რაც იგი 1914 წელს, ლონდონში სრულად გამოიცა[81].

---

[79] წერილები, გვ. 171.

[80] ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი, ვისრამიანის ქართული ვერსია, „სამეფო საზიო საზოგადოების ჟურნალი“, ოქსფორდი, 1902, გვ. 493—507.

[81] ვისრამიანი, თარგმანი ქართულიდან ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი ს ა, ლონდონი, 1914.

თარგმანისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში (გვ.V—VII) ნათლად ჩანს ოლივერ უორდროპის გაღრმავებული კვლევა-ძიება როგორც ქართული თარგმანის, ისე სპარსული დედნის წყაროების ასათვისებლად; 1903 წელს გამოქვეყნებულ შრომაში დამოწმებულ ლიტერატურასთან ერთად, დამატებით მოხმობილია რ. შტაკელბერგის, ნ. ეთეს და, განსაკუთრებით, ნ. მარის სპეციალური ნაშრომები, აგრეთვე, ჟურნალ „მოამბის“ 1896 წლის ივნისის ნომერში დაბეჭდილი „ვისრამიანის“ ერთი ნაწყვეტი. დასასრულ, თარგმანზე მუშაობისას დახმარებისათვის ოლივერ უორდროპი მადლობას უცხადებს მიხეილ წერეთელსა და თედო სახოკიას, რომლებიც იმჟამად შესაბამისად, ჰაიდელბერგსა და ბრიუსელში იმყოფებოდნენ.

ქართული „ვისრამიანის“ ოლივერისეულ ინგლისურ თარგმანს გულთბილი რეცენზია მიუძღვნა თედო სახოკიამ, რომელიც 1915 წლის 9 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“:

„განსვენებულის მარჯორი უორდროპის ასულის მიერ „ვეფხის ტყაოსნის“ ინგლისურად თარგმანს მოჰყვა ჩვენის კლასიკურ მწერლობის საუკეთესო ნიმუშის „ვისრამიანის“ თარგმანი ინგლისურადვე მისის ძმისა და ქართულ მწერლობაენის ღრმა მცოდნისა და მოტრფიალის ბ.-ნი ოლივერ უორდროპისა. ბ-ნი ოლივერ უორდროპი თავისს სამშობლოში ინგლისური ენის მცოდნედ ითვლება და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ვისრამიანი“ იმგვარისავე სისწორით და ზედმიწევნილობითა აქვს თარგმნილი, რა გვარადაც „ვეფხის ტყაოსანი“ მიუძღვნა მისმა განსვენებულმა დამ ინგლისის საზოგადოებას (განსვენებულმა „ვეფხის ტყაოსანი“ პროზათ სთარგმნა. სიკვდილმა აღარ დააცალა, თორემ მერე გალექსვა უნდოდა თურმე თარგმანისა).

აუარებელი სხოლიოები, ამა თუ იმ სიტყვის მეცნიერულ განსამარტავ-ასახსნელად ჩართული, ჰმოწმობს მთარგმნელის დაუმაშვრალობას და გულმოდგინე ცდას: ინგლისელ მკითხველს სისწორით გადასცეს ავტორის აზრი და თან აღარც ინგლისურ ენის სილამაზე ანაცვალოს აზრის სისწორით გამოხატვას. „ვისრამიანის“ ენა ჩვენში სამართლიანად ითვლება

ქართულ ენამზეობის ნიმუშად, და, სასიხარულოთ, მისი ინგლისური თარგმანიც ამ ენის ასეთ სილამაზის ნიმუშია.

თარგმანისათვის ბ.-ნს უორდროპს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობის სახით გამოკვლევა თვით „ვისრამიანის“ შესახებ:

«„ვისრამიანი“, ეს ძვირფასი განძი ძველის სპარსეთის კულტურისა, პირველად დაწერილია ფახლავურ ენაზე. იმ დროისათვის პირველი მაგალითი იყო დაწერა ისეთის რომანისა, რომელშიაც ადამიანის უუდიდესი გრძნობათაგანი — სიყვარული ასეთის ხელოვნებით და დიდებით აღეწერა მწერლის კალამს. ასე რომ, ამ მხრით, მისი მნიშვნელობა აღმოსავლეთის მწერლობის მკვლევართათვის ფრიად დიდია. ამ ნაწარმოების ფასს ის გარემოებაც აორკეცებს, რომ დაწვრილებით აღწერილია შიგ უძველეს დროის ზნე და ჩვეულება სპარსთა.

როდის, ან ვის მიერ არის დაწერილი რომანი არ ვიცით, რადგან ამ შესანიშნავის ნაწარმოების დედანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. დარჩა მხოლოდ მისი თარგმანი ქართულ ენაზე. ქართულად „ვისრამიანის“ მთარგმნელად ითვლება სარგის თმოგველი, თანამედროვე მწერალი თამარ მეფისა, როგორც ამას ჰმოწმობს შოთა რუსთაველი თავისს უკვდავ „ვეფხის ტყაოსანში“.

როგორც ანარეკლი „ვისრამიანისა“ დარჩენილია პოემა... გამოცემული 1864—65 წლებში კალკუტაში (ინდოეთში) ამ სათაურით: „ვისი და რამინი, ძველი სპარსული პოემა ფაკრ-ალ-დინ, ასად ალ-ასტარაბადი, ალ-ფახრი, ალ-გურგანისა“ (დაბეჭდილი „ბიბლიოთეკა ინდიკას“ № 53-ში)».

ბ.-ნმა უორდროპმა ჯერ ისევ 1902 წელს დასტამბა წერილი ინგლისის „სამეფო საააზიო საზოგადოების ჟურნალში“ (ივლისის №-ში), სპარსულ ენის მკვლევართა ყურადღება მიაქცია ამ ნაწარმოებს და სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ზემოთ დასახელებულ თანამედროვე სპარსულ პოემის და ქართველთ თარგმნილ „ვისრამიანის“ შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, მის მოწოდებას არავინ გამოხმაურებია.

დედნათ ინგლისურ თარგმანისათვის ბ.-ნს უორდროპს უხმარია „ვისრამიანი“ ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და

პ. უმიკაშვილის რედაქტორობით გამოცემული 1884 წელს, ტფილისში. სხვა ხელ-ნაწერი, უკვე დაბეჭდილთან შესადარებლად და რაიმე სხვაობის აღმოსაჩენად და აღსანიშნავად, მთარგმნელს ვერ აღმოუჩენია. მისის აზრით, „ვისრამიანიც“, უეჭველია, ანტონ კათალიკოსის მიერ ზნეობის საწინააღმდეგო თხზულებათა რიცხვში უნდა მოქცეულიყო და, მაშასადამე, იმისი ხელნაწერებიც იმნაირადვე უნდა შემუსვრილიყო, როგორც შეიმუსრა არა ერთი და ორი ხელნაწერი „ვეფხის ტყაოსნისა“.

თარგმანი გამოცემულია ინგლისის „სამეფო სააზიო საზოგადოების“ საფასითა 1914 წ. და იმნაირისავე სიფაქიზითა, რა სიფაქიზით გამოცემული იყო „ვეფხისტყაოსანი“. შეიცავს in 8° I—XII+409 გვერდსა. უნდა ღირდეს (ფასი არ აწერია) 8 შილინგად (4 მან.)“[82].

ნ. მარის სპეციალურ ნაშრომში, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა, აღნუსხულია ქართული ტექსტის ზოგიერთი ადგილის გაუგებრობის გამო, „ვისრამიანის“ ოლივერ უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანში გაპარული უზუსტობანი[83].

მიუხედავად ამისა, მ. თოდუასა და ალ. გვახარიას შეფასებით, მან გარკვეული როლი შეასრულა არა მარტო ქართული თარგმანის გაცნობის, არამედ მისი მეცნიერული ღირებულების შეფასების საქმეში[84].

ასე, მაგალითად, „ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტის მეცნიერი-გამომცემელი მოჯთაბა მინოვი პირდაპირ აცხადებს (თეირანი, 1935 წ.), რომ „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი „დიდად გამოადგა სპარსული ტექსტის დასადგენად და გასასწორებლად“[85]. ასე რომ, კრიტიკას ვერ უძლებს „ვის ო რამინის“

---

[82] თ. სახოკია, ბ-ნ ოლივერ უორდროპის ახალი თარგმანები, 1. „ვისრამიანი“, „სახალხო ფურცელი“, 9. VI. 1915, № 302.

[83] Н. Марр, Из грузино-персидских литературных связей, «Записки Коллегии востоковедов», т. I. Л., 1925, с. 111—138.

[84] ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962, გვ. 27; შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 46; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, თბ., 1945; გვ. 75.

[85] იქვე, გვ. 27; იხ. აგრეთვე, А. Гвахария, М. Тодуа, О «Висрамиани», წიგნში: Висрамиани, перевод с древнегрузинского С. Иорданишвили, Тб., 1966, с. 283.

სპარსული ტექსტის ფრანგულ ენაზე მთარგმნელის ჰენრი მასსეს განცხადება, თითქოს, ოლივერისეული ინგლისური თარგმანის მიხედვით „ვისრამიანის“ ქართული ვერსია „მეტად თვითნებური და მხატვრულად უფერული“ იყოს[86].

* * *

საგანგებოდ უნდა შევეხოთ „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანისა და მისი გამოცემის ისტორიას.

ოლივერისა[87] და თვით მარჯორის[88] ცნობებით, რუსთაველის პოემის თარგმანზე მუშაობას მარჯორი უორდროპი ჯერ კიდევ 1891 წელს შესდგომია. ჩვენამდე მოღწეულმა პირველწყაროებმა შესაძლებლობა მოგვცა დაახლოებით მაინც აღგვედგინა ამ თარგმანზე მუშაობის მიმდინარეობის პროცესი:

1894 წლის დასაწყისისთვის, „კავკაზისა“ და „ივერიის“ ცნობით, მარჯორი უორდროპს უკვე „გადათარგმნილი აქვს თითქმის ერთი მესამედი მე-XII საუკ. ქართველთა უკვდავ პოეტის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“[89]. ოლივერის სიტყვებზე დამყარებით უფრო მეტს იტყობინებოდა „კვალის“ შვეიცარიელი კორესპონდენტი 1894 წლის 22 მაისს გამოქვეყნებულ წერილში: „ამ ახალგაზრდა მანდილოსანს ისე კარგად შეუსწავლია ქართული ენა, რომ თავისუფლად კითხულობს და თარგმნის ქართულ თხზულებებს, წარმოიდგინეთ ძველ ხუცურ ხელთ-ნაწერებსაც კი... ამას გარდა, „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნის. ნახევარი გადაუთარგმნია სიტყვასიტყვით, პროზად, შემდეგ ჰსურს გალექსვა. ოლივერის აზ-

---

[86] ვისრამიანი, ფრანგული თარგმანი ჰენრი მასსესი, პარიზი, 1959, გვ. 23. 1959, p. 23. იხ. ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მ. თ ო დ უ ა მ, თბ., 1962, გვ. 27, 309.

[87] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ინგლისური თარგმანი მ. უორდროპისა, ლონდონი, 1912, ოლ. უორდროპის წინასიტყვაობა, გვ. XIII.

[88] ქართული ხალხური ზღაპრები, ინგლისური თარგმანი მ. უორდროპისა, ლონდონი, 1894, მ. უორდროპის წინასიტყვაობა, გვ. VII—VIII.

[89] იხ. „Кавказ“, 14. 1. 1894, № 12; „ივერია“, 16. 1. 1894, № 11.

რით, უეჭველად საჭიროა ლექსად დაიბეჭდოს, მხოლოდ მაშინ დააფასებს ინგლისის საზოგადოებაო“,[90] ხოლო „ივერიის“ ლონდონელ კორესპონდენტს ვაზიანს (ვარლამ ჩერქეზიშვილს) იმავე 1894 წლის ზაფხულში ჩიზლეჰორსტის აგარაკზე პირადად გაუცნია უორდროპთა ოჯახი და მარჯორის შესახებ წერდა, რომ ქართველები „თითონვე დააფასებენ იმის მნიშვნელობას თავიანთი ქვეყნის ლიტერატურისათვის, მეტადრე მაშინ, როდესაც იგი დაჰბეჭდავს უკვდავ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“[91].

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე გადათარგმნის განზრახვა მარჯორი უორდროპმა პირველად 1894 წელს გაანდო ინგლისელ მკითხველს ლონდონში გამოცემულ „ქართული ხალხური ზღაპრების“ წინასიტყვაობაში: „უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდ დროს ვუთმობ ძველი ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი XII საუკუნის დიდი ეპიკოსის შოთა რუსთაველის მემკვიდრეობის შესწავლას. გადაწყვეტილი მაქვს, რაც შეიძლება მალე მივცე შესაძლებლობა ჩემს თანამემამულეებს, გაიზიარონ ის დიდი სიამოვნება, რაც პირადად, მე მომანიჭა მისმა პოემამ“[92].

ამ სიტყვებს აღტაცებით შეეგება პროფესორი უ. მორფილი: „იმედი გვაქვს და დიდი იმედიც, რომ მის ვარდროპი აღასრულებს დაპირებას, ამ ზღაპრების კრებულის წინასიტყვაობაში გამოთქმულს, და დაჰბეჭდავს „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანს, ამ მე-XII საუკ. პოემისას, რომელსაც ეხლაც აღტაცებით კითხულობენ ქართველები. ამ პოემისა ევროპაში სულ არა იციან-რა, თუ ანგარიშში არ ჩავაგდეთ გერმანულად შემოკლებული თარგმანი ლეისტისა“[93]. (იგულისხმება: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ქართულიდან თარგმნი-

---

[90] იხ. „ყვალი“, 22. V. 1894, № 22; „ივერია“, 23. V. 1894, № 108.

[91] „ივერია“, 31. VII. 1894, № 163; იხ. აგრეთვე, „ივერია“, 27. VII. 1894, № 183.

[92] ქართული ხალხური ზღაპრები, ლონდონი, 1894, გვ. VII—VIII; შდრ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1, თბ., 1976, გვ. 344.

[93] „ეკედემი“, 4. VIII. 1894, № 1161, გვ. 82, მოგვყავს „ივერიის“ მიხედვით: იხ. 18. IX, 1894, № 198; შდრ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1, თბ., 1976, გვ. 326, 448.

ლი გერმანულად არტურ ლაისტის მიერ, დრეზდენ-ლაიფციგი [1889].—გ. შ.).

ჟურნალი „The Athenaeum“ კი 1895 წლის 9 მარტს წერდა: „Miss ვარდროპი თავისს წინასიტყვაობაში გვპირდება, რომ იგი გაგვაცნობს შოთა რუსთაველს, მეთორმეტე საუკუნის პოეტს, რომელსაც ახლაც მოჰყავს აღტაცებაში ქართველები. ეს უთუოდ დიდი შრომაა და რომ მიიზიდავს კიდეც დიდს ყურადღებას, როგორც პირველი თარგმანი, მკითხველები პირველ თარგმანიდანაც ადვილად დარწმუნდებიან. რასაკვირველია, ყველას ადვილად დაატყვევებს და მოჰხიბლავს მშვენიერი ქვეყანა თვისის დიდებულის ადგილმდებარეობითა და მამაც მცხოვრებლებით, თვისის ლეგენდათა და გარდმოცემათა განუსაზღვრელის სიმდიდრით“[94].

ქართული პრესაც ყურადღებით ადევნებდა თვალს „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანზე მუშაობას: „ამ ჟამათ თბილისში გვეწვია ქალბატონი მარჯორი ვორდროპი... მას უკვე შავათ გადაუთარგმნია ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ და სურს ქართულის ზედმიწევნით მცოდნე კაცებთან ერთათ განმარტოს ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილების აზრი და შემდეგ მოამზადონ ინგლისურ ენაზე გამოსაცემათ“, — წერდა „კვალი“ 1896 წლის 16 ივნისს[95]. მეტად საგულისხმო აზრი აქვს გამოთქმული „ვეფხისტყაოსანზე“ მარჯორი უორდროპს ჯერ კიდევ 1895 წელს თავის „საქართველოში მოგზაურობის შენიშვნებში“:

„პოემა 6 000 სტრიქონზე მეტს შეიცავს. ესაა სიყვარულისა და თავგადასავალის დიდებული პოემა, სავსე აღმაფრთოვანებელი ადგილებით, და მით უფრო გასაოცარია, როცა ვიხსენებთ, თუ რა ადრეა ის დაწერილი დანტეს დაბადებამდე. თვით პოეტი ბევრ ადგილას ლაპარაკობს სქესთა თანას-

---

[94] „ათენეუმი“, 9. III. 1895, № 3515, გვ. 311; მოგვყავს „ივერიის“ მიხედვით: იხ. 2. IV. 1895, № 70; შდრ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1, თბ., 1976, გვ. 345, 452.

[95] ახალი ამბავი, „კვალი“, 16. VI. 1896, № 26.

წორობაზე. მაგალითად, ხშირად ხმარობს ციტატას „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“[96].

ქართველი საზოგადოებრიობა მარჯორის პირადი წერილებიდანაც კარგად იგებდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის დახვეწისა და სრულყოფის ამბებს, თვალნათლივ რწმუნდებოდა, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა ახალგაზრდა მთარგმნელი ქალი რუსთველის უკვდავი პოემის ტექსტის ინგლისურ ენაზე გადაღებას, რაც კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იგი რამდენჯერმე ხელახლა მიბრუნებია მას.

1897 წლის 13 დეკემბერს მარჯორი ანასტასია თუმანიშვილს ქერჩიდან ატყობინებს: „ვეფხის-ტყაოსანი“ კიდევ დასაწყისიდგან გადავთარგმნე, ამისთვის რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ეხლა ნახევარი ვაკეთე და სურვილი მაქვს რომ გაზაფხულის წინეთ დავასრულო. ეს მხოლოდ კვახი თარგმანი იქნება და დიდი ხანი, შრომა და მოთმინება უნდა წინეთ რომ დაიბეჭდოს. მე არ მინდა, რომ გლახათ ვჰქმენ, და სურვილი მაქვს რომ მშვენიერება რუსთაველისა დაიკარგოს ასეთი ცოტა, რომ შემიძლიან თარგმანში“[97].

ორი წლის შემდეგ მარჯორი მაინც უკმაყოფილოა თავისი თარგმანით. 1899 წლის 5 იანვარს მარჯორი ოლღა ჭავჭავაძეს სწერს: „რამთენიმე თვეა რომ გავათავე პირველი ჩემი თარგმანი რუსთაველისა. ჯერ ძალიან ცუდად არის ინგლისურ ენაზე, მაგრამ სურვილი მაქვს რომ წრეულს მეორეჯერ შევადარო დედანთან. მინდა ძალიან კარგი იყოს, წინეთ რომ გამოდის ინგლისურ ენაში“[98].

მარჯორი უორდროპს მჭიდრო ურთიერთობა აქვს პროფ. ალ. ხახანაშვილთანაც, რომელიც აწვდის თავის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს. გახარებული მარჯორი 1896 წლის 13 მარტს მადლობის ბარათს უგზავნის ქართველ მეცნიერს: „პა-

---

[96] მ. უ ო რ დ რ ო პ ი, შენიშვნები საქართველოში მოგზაურობაზე 1894—95 წლებში, დაცულია ოქსფორდის ბოდლის სახ. ბიბლიოთეკაში; ქართული თარგმანი ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ-უ რ უ შ ა ძ ი ს ა: იხ. მ ი ს ი, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 38.

[97] წერილები, გვ. 150.

[98] წერილები, გვ. 134.

ტივცემულო პროფესორო ხახანაშვილი! გუშინ მე მივიღე თქვენ მიერ დაწერილი ბარათი და წერილიც შოთა რუსთაველზედ. ამისთვის დიდს მადლობას გიძღვნით. უღრმესის სიამოვნებით წავიკითხე ამ წერილი, რომელიც არის ჩემთვის ძალიან საყურადღები",[99] ხოლო 1900 წლის 13 იანვრის წერილში უზიარებს თავის შეხედულებას: „ამ ბოლო დროს ბევრი არაფერი მითარგმნია. შავად დავამთავრე „ვეფხისტყაოსნის" თარგმანი. იმედი მაქვს, რომ ხელახლა ვიმუშავებ მასზე, შევასწორებ და გავაუმჯობესებ"[100].

მარჯორი 1900 წელსაც უკმაყოფილოა თავისი თარგმანით და ფიქრობს დედანთან მის მესამედ შედარებაზე, რასაც ვიგებთ ტასო მაჩაბლისადმი 1900 წლის 31 ოქტომბერს მოწერილი ბარათიდან: „ამ ზამთარს სურვილი მაქვს მესამედ შევადარო ჩემი თარგმანი რუსთაველს დედნით, და შეიძლება კიდევ ბევრი შეცდომა შევასწორო"[101].

კიდევ 9 წელი იმუშავა მარჯორიმ „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ თარგმანზე. მაგრამ მის გამოქვეყნებას მაინც ვერ ბედავდა და სიკვდილამდე (1909 წ. დეკემბერი) ხელი არ გაუშვია მისთვის: მარჯორის ფიქრით, სულ ცოტა 10 წელი მაინც იყო კიდევ საჭირო, რომ თარგმანს საბოლოო, დასრულებული სახე მიეღო.

ყოველივე ამას ოლივერ უორდროპი მის მიერ 1912 წელს ლონდონში გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის" მარჯორისეული ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში გვიამბობს:

„ინგლისურად მთარგმნელი ამ პოემისა ეცადა მკითხველისათვის გაეცნო ავტორის იდეა და მისი ენა, ამ იდეის გამოსათქმელად ნახმარი, ეცადა იმავე სისწორითა, რა სისწორითაც ქართველს მკითხველს შეუძლია თვით დედანში გაიგოს როგორც ერთი, ისე მეორე. ამის თარგმნას შეუდგა კენტში (ინგლისში) 1891 წელს და შავად თარგმნა დაასრულა ქერჩში

---

[99] წერილები, გვ. 169: აქ, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს ალ. ხახანაშვილის წერილი: «Грузинский поэт XII века Шота Руставели и его поэма «Барсова кожа», ЖМНП, 1895, XII, с. 200—223, რომელიც დღეს ოქსფორდში ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდშია დაცული: Wardr. 11. 156/15.

[100] წერილები, გვ. 162.

[101] წერილები, გვ. 162.

1898 წლის[102] 1 ნოემბერს; მას შემდეგ მრავალჯერ შეასწორა და შეავსო ეს თარგმანი, მუშაობა არ შეუწყვეტია 1909 წლის ქრისტეშობისთვემდე. ამდენი შრომა გასწია, გარნა კმაყოფილი მაინც არ იყო, თარგმანი უნაკლულოდ მაინც არ ეჩვენებოდა. მისი აზრით, ათი წელი მაინც დასჭირდებოდა, რომ თარგმანს საბოლოო სახე მიეღო"[103].

ოლივერ უორდროპმა დიდი შრომა გასწია განსვენებული დის ყველაზე სანუკვარი წიგნის სასტამბოდ მოსამზადებლად და 1912 წელს ლონდონში გამოსაცემად,[104] რომელსაც წინასიტყვაობად წაუმძღვარა შესანიშნავი რუსთველოლოგიური ნარკვევი (გვ. III—XV), ხოლო დამატებებად ბოლოში დაურთო ინგლისურად თარგმნილი ერთი ნაწილი აკად. ნ. მარის ცნობილი ნაშრომისა: „Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой шкуре Шоты из Рустава"[105] (გვ. 262—265), ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და რუსთველოლოგიური ლიტერატურის სია (გვ. 265—269), აგრეთვე, საძიებლები (გვ. 269—273).

ქართულ პრესაში „ვეფხისტყაოსნის" მარჯორი უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანს პირველი გამოეხმაურა ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილი), რომელიც „სახალხო გაზეთში" 1912 წლის 24 აპრილს წერდა:

„...თარგმანი ისე უახლოვდება ორიგინალს, ისეთნაირად

---

[102] ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობის უკანასკნელ ქართულ გამოცემებსა და რუსულ თარგმანში ყველგან 1898 წლის ნაცვლად შეცდომით გაპარულია 1891 წელი: იხ. „ცისკარი", 1966, № 3; „Лит. Грузия", 1966, № 9-10, с. 94; რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1, თბ., 1976, გვ. 343.

[103] თარგმანი თ ე ო დ ო ს ა ხ ო კ ი ა ს ი: იხ. „სახალხო გაზეთი", 1912 წ., № 633—635; ოღონდ, უკანასკნელი ფრაზის თარგმნისას თ. სახოკიას შეცდომა მოსვლია ტექსტის გაგებაში და ასე უთარგმნია იგი: „ყოველსავე შემთხვევაში, ათზე მეტის წლის შრომის შემდეგ გადასწყვიტა დასრულებულად მიეჩნია შრომა". ეს უკვე შენიშნა ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ მ ა-უ რ უ შ ა ძ ე მ: მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 93 და უკვე გასწორებულია ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობის ზემოდასახელებულ ქართულ და რუსულ თარგმანებში.

[104] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ქართულიდან ინგლისურად თარგმნა მ ა რ ჯ ო რ ი ს ყ ო ტ უ ო რ დ რ ო პ მ ა, ლონდონი, 1912.

[105] TP, кн. XII, СПб, 1910, с. 7—9.

არის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაღებული ინგლისურად, რომ იგი შეუდარებელია. აგრეთვე მკითხველის აღტაცებას იწვევს კეთილშობილება, სიკეკლუცე და უმაღლესი პოეტური სიმშვენიერე თარგმანისა ინგლისურად. დიად ქმნილების გადაცემა უცხო ენაზედ მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლიან, რომელსაც თვითონ აქვს მაღალი და უწმინდესი სული, ვისაც გონება გაბრწყინებული და სინათლით აღსავსე აქვს, ხოლო გული მოყვარული და ნაზი.

ქართულ ლიტერატურისა და თვით უკვდავ რუსთაველის საბედნიეროდ ყველა ეს თვისება მისს მარჯორი ვარდროპის არსებაში ჰარმონიულად იყო შეზავებული. მას ყოველმხრივი უმაღლესი განათლება ჰქონდა, მან ინგლისურსა და ქართულს გარდა, ფრანგული, იტალიური, გერმანული, რუსული და რუმინული ენები იცოდა. მან ზედ-მიწევნით იცოდა ამასთანავე მწერლობაც ამ ენათა. უდიდესნი წარმომადგენელნი მსოფლიო ლიტერატურისა ახლონი და ძვირფასნი იყვნენ მისთვის, მაგრამ მთელის თავისის მოყვარულისა და წმინდის გულით იგი რუსთაველის ქმნილებას დაუახლოვდა, იგი შეიყვარა, შემდეგ მთელს ჩვენს ლიტერატურაზე, ჩვენს ისტორიაზედა და ჩვენს ერზედაც გადმოიტანა ეს წმინდა სიყვარული. მთელი თვრამეტი წელიწადი იმუშავა განსვენებულმა ქართულ ისტორიაზედ და ჩვენ მწერალთა ნაწარმოებთა ინგლისურად თარგმნაზე. უკვე 1894 წელს მან სთარგმნა და გამოსცა „ქართული ხალხური ზღაპრები"; 1895 წელს გამოსცა ლექსად ნათარგმნი „განდეგილი" ილია ჭავჭავაძისა; 1900 წელს გამოვიდა მისი შრომა „ცხოვრება წმინდა ნინოსი", — მშვენიერის ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობითა. ამას გარდა, მისს მარჯორი ვარდროპმა დასტოვა სხვა შრომები — თარგმანებიცა, შეუსწორებელი, ან დაუმთავრებელი.

ხოლო მისი ცხოვრების უმთავრესი ნაღვაწი არის „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა. მან დაიწყო „ვეფხის-ტყაოსნის" თარგმნა 1891 წელს და დაამთავრა იგი 1898 წელს. მას შემდეგ იგი დაუღალავად შრომობდა, რომ თარგმანი ყოველი მხრით შეესწორებინა და გაეუმჯობესებინა. და მართლაც, თარგმანი შეუდარებელის ღირსებისა გამოვიდა. ვერც ერთი ცდა განათლებულ და თუ გინდ მეცნიერ ქართველ პროფესორთა, რუსუ-

ლად გადაეცათ რუსთაველის ქმნილება, ვერ შეედრება მისს მარჯორი ვარდროპის თარგმანს. ტყუილად კი არ მიმხვდარან მყისვე აზიურ საზოგადოების მეცნიერნი, თუ რა ღირსებისა იყო ეს თარგმანი: საზოგადოებას მისცეს წინადადება დაებეჭდა თავის ჟურნალში მხოლოდ რამდენიმე თავი „ვეფხისტყაოსნისა“, მან კი, წაიკითხა რა ეს თავები, სურვილი განაცხადა, გამოეცა თავის ხარჯით მთელი პოემა ცალკე წიგნად.

ეს კარგი ნიშანია ჩვენთვის მსგავსად ინგლისის აზიურ საზოგადოების მეცნიერთა, სხვა ქვეყნის მეცნიერნიც დაინტერესდებიან ჩვენის დიდის ეროვნულის პოემითა, რომელიც დასწერა მგოსანმა ვაჟკაცობისამ, გმირობისამ, სიკვდილამდის მეგობრობისამ, მგოსანმა სიყვარულისამ, რომელმაც ქალის ამაღლებული წმინდა სიყვარული და რაინდული გაღმერთება შეუდარებლად გამოსთქვა თავის უკვდავ ლექსებითა. ტყუილად კი არ არიან რუსთაველის მცოდნე ევროპიელები განცვიფრებულნი ჩვენის პოეტის გენიოსობითა, რომელიც გაიფურჩქნა სამი მეოთხედი საუკუნით დანტეს უწინარეს. საკმარისია მოვიხსენიოთ ბროსსე (მამა და შვილი), გულაკი და ლეისტი... თუმცა პროზით, მაგრამ უმაღლეს პოეტურად და შეუდარებელის სისწორით ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ მისს მარჯორი ვარდროპისა საშუალებას მისცემს ეხლა უმაღლეს პოეზიის მოტრფიალეთ, ლიტერატურის ისტორიკოსთ და მსწავლულ ორიენტალისტებს ღირსეულად დააფასონ რუსთაველის პოეზიის როგორც აზრთა, გრძნობათა სიმაღლე, ისე მე-12—13 საუკ. ეპოქა და კულტურა იმ ერისა, რომელმაც პოეტი წარმოშვა. მართლაც, სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ესენი აღტაცებაში მოვლენ, როდესაც გაიცნობენ პოემას. ამაში სრულიადაც არ გვეპარება ეჭვი. ამის თავდებია, თუმცა, პატარა, მაგრამ მშვენიერი შესავალი, რომელიც წინ უძღვის მისს მარჯორი ვარდროპის ინგლისურ თარგმანს...“[106].

„სახალხო გაზეთის სურათებიან დამატებაში“ 1912 წლის 6 მაისს გამოქვეყნდა მარჯორი უორდროპის ფოტოსურათი

---

[106] ვ. ვ ა ზ ი ა ნ ი (ვარლამ ჩერქეზიშვილი), „ვეფხის-ტყაოსანი“ ინგლისურად, „სახალხო გაზეთი“, 24. IV. 1912, № 582; სამწუხაროდ, ვაზიანის ამ წერილს თედო სახოკიას მიაწერენ: იხ. ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი — ი ო ნ ა ს ა ბ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 113.

წარწერით: „მარჯორი უორდროპ, ინგლისელი მწერალი ქალი, რომელმაც ინგლისურად „ვეფხის ტყაოსანი“ სთარგმნა“ და მარჯორის 1908 წლის 5 აპრილის უცნობი ქართული წერილი ილია აგლაძისადმი,[107] ხოლო 1912 წლის ივნისში „სახალხო გაზეთის“ რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით დაიბეჭდა თედო სახოკიას წერილი „ვეფხისტყაოსანი ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული“[108].

თედო სახოკია ასე იწყებდა თავის წერილს: „ჩვენის მწერლობის სადღესასწაულო ამბის შესახებ გვინდა მკითხველს გამოვეხმაუროთ და მასთან ერთად გავიზიაროთ საერთო სიხარული მთელის ჩვენის ერისა. ქართველთა გენიოსის და მთელ მსოფლიოს წინაშე თავმოსაწონებელ ადამიანის გონების ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად გამოვიდა და ევროპიელ მკითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს ჩვენის ერის უკვდავ შვილის თხზულება, გაიცნოს თვით ამ გენიოსის სამშობლო, მისი დიდებული წარსული.

ასეთი სიკეთე ქართულს მწერლობას ქართველთათვის მოჰირნახულემ, აწ განსვენებულმა მარჯორი უორდროპის ასულმა დასდო. უორდროპის ასული ეკუთვნის იმ მცირე რიცხვს ევროპიელთა, რომელთაც შეისწავლეს ჩვენი ენა, ლიტერატურა და ისტორია, იმ განსხვავებით კი, რომ განსვენებულმა არამც თუ შეისწავლა ენა, ლიტერატურა და ისტორია ქართველთა, არამედ ყოველსავე ამასთან ერთად უანგარო სიყვარულით შეიყვარა ჩვენი ყველასგან დავიწყებული ხალხი და ქვეყანაცა. უორდროპის ასულმა განათლებულ ევროპას გააცნო „განდეგილი“ ილ. ჭავჭავაძისა, „სიბრძნე-სიცრუვე“ საბასულხან ორბელიანისა, ქართული ხალხური ზღაპრები, „ვეფხისტყაოსანი“, მრავალი კიდევ სხვაცა სთარგმნა, რომელთა დასრულება და გამოქვეყნება ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა. განსვენებულს აღარ დისცალდა საბეჭდავიდან გამოსული ეხილნა თავისი უმთავრესი ნაშრომი — „ვეფხის-ტყა-

---

[107] ვეფხის ტყაოსნის ინგლისურ ენაზე გადათარგმნის გამო, „სახალხო გაზეთი, სურათებიანი დამატება“, 6. V. 1912, № 104.

[108] თ. ს ა ხ ო კ ი ა, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული, „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., № 633, 24 ივნისი; № 634, 26 ივნისი; № 635, 27 ივნისი.

ოსანის“ თარგმანი, და ამ წიგნის გამოცემისათვის ზრუნვა წილად ჰხვდა მის დაობლებულ ძმას ბ.-ნს ოლივერ უორდროპს, ცნობილ ლინგვისტსა და აღმოსავლეთის ლიტერატურის, და მათს შორის ქართულისაც, მცოდნეს, რომელიც ჩვენდამი იმავე სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალული, როგორიც იყო მისი განსვენებული და.

უეჭველია, იკითხავთ, თუ როგორ შესძლო ინგლისელმა მთარგმნელმა, „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნის დროს ეძლია ის სიძნელე, რომელსაც წარმოადგენს რუსთაველის ენის გაგება თანამედროვე ქართველთათვისაც-კი. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ მთარგმნელი, თვისდა სასახელოდ, მოჰრევია ხსენებულს სიძნელეს, მოჰრევია ისე, როგორც ეს შეეძლო მხოლოდ მხნე ასულს, რომლისათვისაც სიტყვა „შეუძლებელი“ არ არსებობს, რომლისათვისაც არსებობს „სიძნელე“, გარნა არა „უძლეველი“. ყოველთ უწინარეს, „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანს განსვენებულმა თითქმის ოცის წლის შრომა მოანდომა, ჰკრეფდა ყოველსავე, თუ რამე დაწერილა ან იწერებოდა ამ პოემისა და მის ავტორის შესახებ ქართულად, რუსულად, ფრანგულად, გერმანულად, იკვლევდა და იწვლილავდა ყოვლის სიტყვის მნიშვნელობას ცალ-ცალკე, იშველიებდა ყველას, ვისაც კი შეეძლო საეჭვო ადგილი ასე თუ ისე განემარტებინა; საგრძნობელი იყო მისთვის, რომ ქართულად არ მოგვეპოვებოდა, გარნა ორიოდ შრომისა, მეცნიერულნი გამოკვლევანი ჩვენის პოეტის და მისის ნაწარმოების შესახებ. გარნა დიდის რუდუნებისა და ხელნაწერის არა ერთგზის შესწორების შემდეგ შესაძლებლად სცნო შრომა დასრულებულად აღეარებინა. თარგმანი პროზადაა, მაგრამ ისეთის დახვეწილის პროზითა, რომელიც კარგს ლექსს არ ჩამოუვარდება. ყოველი სიტყვა ზედმიწევნის სისწორითაა ინგლისურად გადმოღებული, ხოლო მეტად გაუგებარს და საეჭვო სიტყვებს, რომლის ნამდვილი მნიშვნელობა სადავოდ არის აღიარებული თვით ქართველ მკვლევართა მიერვე, სხოლიოებში დართული აქვს განმარტება ყველა ავტორისა, ვისაც კი რამე უთქვამს ხსენებულ სადავო სიტყვის გინა ადგილის შესახებ, და ყოველივე ეს იმ გულდადებითა და პუნქტუალობითაა ნაკეთები, რომელიც ესდენ ახასიათებს ევროპიელ მკვლევარს. იქნება, ინგ-

ლისელის მიერ გაწეულმა ამ უებრო შრომამ გულისხმაში ჩაგვაგდოს ქართველობა და ჩვენს გონებრივს საუნჯეს უფრო მეტის ყურადღებით და ზრუნვით მოვეპყრათ, ვიდრე აქამდე გამოგვიჩენია ეს ზრუნვა და ყურადღება. იქნება ჩვენც დავიარსოთ რუსთაველის პოემის და ენის შესასწავლი საზოგადოება (თუ საზოგადოებანი არა), მსგავსად იტალიელთა, რომელთაც თითქმის ყოველ ქალაქში აქვსთ დაარსებული ეგრედწოდებული „დანტეს საზოგადოება“, სადაც მათის უკვდავის პოეტის და შოთას თითქმის თანამედროვე გენიოსის „ღვთაებრივ კომედიას“ მცოდნე პროფესორების ხელმძღვანელობითა სწავლობენ, იკვლევენ და ფართო მასისათვის ხელმისაწვდომად ხდიან მისს შინაარსსა და შიგ დაცულ საუნჯეს ენისას...“.

„ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანი ჩვენს დროში სამჯერ გამოქვეყნდა: შევსებული და შესწორებული ტექსტი ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშილის მიერ მოსკოვში (1938 წ.),[109] ხოლო 1912 წლის პირველი გამოცემის ტექსტი განმეორდა თბილისსა (1966 წ.)[110] და ლონდონში (1966 წ.)[111]. მას თავიანთი გამოკვლევები მიუძღვნეს ს. იორდანიშვილმა,[112] ლ. თაქთაქიშვილმა-ურუშაძემ,[113] ს. სერებრიაკოვმა,[114] ზ. გამსახურდიამ[115] და სხვებმა.

დავიმოწმებთ ს. იორდანიშვილის სიტყვებს დასახელებული გამოკვლევიდან: „მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ, რომე-

---

[109] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ინგლისური თარგმანი მ. უორდროპისა, შევსებული და შესწორებული ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის მიერ, მოსკოვი, 1938.

[110] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ინგლისური თარგმანი მ. უორდროპისა, თბილისი, 1966.

[111] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ინგლისური თარგმანი მ. უორდროპისა, ლონდონი, 1966.

[112] ს. იორდანიშვილი, ვეფხის-ტყაოსანის თარგმანები ევროპულ ენებზე, „რუსთაველის კრებული“, ტფ., 1938, გვ. 248—250.

[113] ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 90—120.

[114] С. Серебряков, Английский перевод поэмы Руставели, выполненный Марджори Уордроп (ხელნ.), თბ., 1965.

[115] ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, „მაცნე“, 1972, № 2, 4.

ლიც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო არაბეთის, ირანის და ინდოეთის ცნობილ პოეტების ევროპულ ენებზე თარგმნისა და მონოგრაფიული შესწავლის საქმეში, — ისე გაიარა, რომ რუსთაველის პოემას არ ეღირსა ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი თარგმანი არც რუსულსა და არც ევროპულ ენებზე... რუსთაველს არ აღმოაჩნდა სწორი შემსწავლელი, რომ აღმოსავლელ თანამოძმეებთან ერთად მასაც ფეხი შეედგა ევროპაში. იმ დროის არც რუსსა და არც ქართველ მეცნიერებს თითქმის არა მიუწვდიათ რა დასავლეთ ევროპის ლიტერატურათმცოდნეთათვის რუსთაველისა და მის პოემის შესასწავლად. ეს ხარვეზი ნაწილობრივ შევსებულ იქმნა მხოლოდ მეოცე საუკუნის პირველ ათეულში. 1912 წელს ლონდონში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი.

ამ შესანიშნავ ინგლისელ ქალს „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანი 1891 წელს დაუწყია და მას შემდეგ სიკვდილის დღეებამდის (1909) არ აუღია ხელი თარგმნის შესწორება-შევსებაზე. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თარგმანი შესრულებულია დიდის კეთილსინდისიერებით, და თუ გვხვდება ალაგ-ალაგ არასწორი სტრიქონები და შეცდომები, ეს ნაწილობრივ აიხსნება იმ დროისათვის „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის არასაკმარისი შესწავლილობით თვით იმ ქართველთა მიერ, რომელთაც მიმართავდა დახმარებისათვის, როგორც მთარგმნელი თვის სიცოცხლეში, ისე მისი ძმა ოლივერი (დის გარდაცვალების შემდეგ), რომელსაც წილად ხვდა თარგმანის საბოლოო რედაქცია და წინასიტყვაობის დაწერა.

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის ქართულ ტექსტთან დეტალურმა შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ეს თარგმანი იმ სახითაც, როგორც ეს დაგვიტოვა რუსთაველის სიყვარულით ამაღლებულმა გონებამ, წარმოადგენს ძვირფას განძს უცხოელების მიერ ქართული ლიტერატურის შესწავლის საგანძურში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარჯორი სკოტ უორდროპმა თავის პროზულ თარგმანით უფრო მეტი მასალა მისცა ევროპელ ორიენტალისტებს, ვიდრე ყველა მის წინადროის მთარგმნელ-მკვლევარმა“ (გვ. 248—250).

ნ. მარის შეფასებაშიც, რომელიც მან მისწერა ოლივერ

უორდროპს 1912 წლის 18 იანვარს, ვკითხულობთ: „...могу засвидетельствовать, что в общем по точности это лучший перевод, а мелочи могут быть со временем улучшены"[116]. ამასვე უსვამს ხაზს ალ. ბარამიძეც: „შინაარსობრივად და აზრობრივად დედანთან შესატყვისობის მხრით გამოირჩევა მარჯორი უორდროპის ინგლისური პროზაული თარგმანი. ინგლისელი ქალი კარგად დაეუფლა ქართულ ენას, იგი წლების მანძილზე სიყვარულით და გატაცებით მუშაობდა თარგმანზე"[117].

ამას გარდა, ახლახან ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ ფონდში გამოვლენილი მასალებიც მოწმობენ, თუ როგორ მოუთმენლად ელოდნენ და შეხვდნენ „ვეფხისტყაოსნის" მარჯორისეულ ინგლისურ თარგმანს ქართველი მოღვაწენი და მეცნიერები.

ოლღა ჭავჭავაძე 1911 წლის 26 სექტემბერს ოლივერ უორდროპს სწერს: „...ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოველი ჩემ სულმნათ მარჯორის თარგმანს. როგორც რუსთაველია დიდებული და დაუვიწყარი, ისე ჩემი სათნოებით სავსე მარჯორია. სასოებით ავიღებ ხელში იმის ნათარგმნს, როდესაც მიბოძებთ" (Wardr. d—20/№ 46). პროფ. ალ. ცაგარლის მიერ ბერლინიდან 1912 წლის 17 იანვარს ოლივერისადმი გაგზავნილ ბარათშიც ამასვე ვკითხულობთ:

«...С нетерпением жду получить английский перевод Руставели, сделанный незабвенной Вашей сестрой. Если можно, желал бы получить два экземпляра...» (Wardr. d—38/6 (2).

ახლა ვნახოთ, როგორ შეფასებას აძლევენ ალ. ცაგარელი და ე. თაყაიშვილი „ვეფხისტყაოსნის" მარჯორისეული ინგლისური თარგმანის გამოცემას:

«Получил я экземпляр перевода с комментариями

---

[116] ნ. მარის აღნიშნული წერილი დაცულია ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში — d 39/6, რომელიც, ნ. მარის სხვა წერილებთან ერთად გადმოვწერეთ 1981 წელს ოქსფორდში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს. შდრ. დ. ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი", 1957, № 4, გვ. 148; ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-უ რ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 113.

[117] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 328-329.

Вепхис-Ткаосани, сделанный Вашей незабвенной сестрой. Только в Англии умеют так прекрасно издавать книги!..

Вижу, что очень много труда и знания положено на него. Вообще же я несколько разхожусь с другими комментаторами и переводчиками этой поэмы относительно ее происхождения и содержания — она не только роман о дружбе и любви, а главным образом, учит, как государство должно существовать, чтобы быть счастливым и долговечным. Когда-нибудь мы об этом поговорим по-подробнее. Вы меня так много одолживаете! Я уже получил несколько экземпляров Вепхис-Ткаосани для раздачи знакомым» (d—38/6 (3), — წერდა ალ. ცაგარელი ოლივერ უორდროპს 1912 წლის 30 აპრილს პეტერბურგიდან, ხოლო ე. თაყაიშვილი 1912 წლის 10 აპრილს ასეთ პასუხს უგზავნის ინგლისელ მეგობარს: «...Перевод Руставели тоже получил, хорошее издание. К сожалению, я не владею английским языком и не могу судить. Показывал одному знающему Ваш язык и он был очень доволен. Несомненно, этот перевод сослужит большую службу для ознакомления Европы с поэмою Руставели. Очень также похвально, что Вы намерены следующее издание выпустить в исправленном виде. В этом отношении больше всех может помочь Н. Марр. К тому времени я напечатаю и перевод Полтарацкого, хотя уверен, что перевод Вашей сестры лучше перевода Полтарацкого» (Wardr. d—39/7 (5).

ცალკე აღნიშვნის ღირსია მარჯორი უორდროპის თარგმანისთვის წინასიტყვაობის სახით წამძღვარებული ოლივერ უორდროპის რუსთველოლოგიური ნარკვევი. მას თავის დროზე აღტაცებული შეფასება მისცეს ვაზიანმა (ვარლამ ჩერქეზიშვილმა) და თედო სახოკიამ ზემოთ დამოწმებულ წერილებში[118].

ოლივერ უორდროპის რუსთველოლოგიური ნარკვევის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებაში სათანადო წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებსაც, რომელთაც მადლიერების

---

[118] იხ. „სახალხო გაზეთი", 24. IV. 1912, № 582, 24. VI. 1912; № 633; 26. VI. 1912, № 634; 27. VI. 1912, № 635.

გრძნობით მოიხსენიებდა ინგლისელი ქართველოლოგი: „აქ ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ის პირნი, ვინც თავი არ დაზოგეს და დახმარება გაგვიწიეს საბეჭდავისათვის ამ წიგნის დასამზადებლად. ამ დახმარებაში წილი ისე ბევრს უდევს, რომ სათითაოდ მოხსენიება ყველასი შეუძლებლად გვეჩვენება. გარნა არ ძალგვიძს განსაკუთრებითი მადლობა არ შევსწიროთ ბ.-ნს მ ი ხ ე ი ლ წ ე რ ე თ ე ლ ს, რომელმაც კეთილ ინება და მთელი ხელთნაწერი გადაიკითხა, და აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ბ.-ნს ნ ი კ ო მ ა რ რ ს, რომელმაც მოგვაწოდა მრავალი წყარო. და თან დაგვრთო ინგლისურად გვეთარგმნა და დამატებად დაგვებეჭდნა მისი რუსულ ენაზე დაწერილი გამოკვლევა პოემის წინასიტყვაობისა და უკანასიტყვაობაში მოთავსებულ ბუნდოვან ტაეპების შესახებ. იმედი გვაქვს, დამხმარენი და ხელისშემწყობნი თვისის შრომის ჯილდოდ მიითვლიან იმ გარემოებას, რომ თანამშრომლობა გაუწიეს იმ ადამიანს, რომელსაც ესდენ უყვარდა რუსთაველი და საქართველო“.

ოლივერ უორდროპის რუსთველოლოგიურმა ნარკვევმა გაუძლო დროის გამოცდას. ს. ცაიშვილის სიტყვებით: „ოლივერის ეს შრომა ერთი საუკეთესოთაგანია მათ შორის, რაც კი უცხოურ ენაზე გამოქვეყნებულა რუსთველსა და მის პოემაზე. კარგ ლიტერატურულ ანალიზთან ერთად, წერილის ავტორი ავლენს ქართული სინამდვილის შესანიშნავ ცოდნას. რუსთველის პოემა აქ განხილულია ფართო თვალთახედვით, მსოფლიოს ლიტერატურულ შედევრებთან შეპირისპირებით. ავტორი ვრცლად საუბრობს რუსთველის შემოქმედების ეროვნულ ძირებზე, თამარის დროის ძლიერ ქართულ სახელმწიფოზე, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ახლო აღმოსავლეთში. ქრისტიანული ქართული სახელმწიფო, ავტორის აზრით, ერთგვარ შემაერთებელ ხიდად გვევლინებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების დაახლოების საქმეში.

რუსთაველის მსოფლმხედველობაზე მსჯელობის დროს მკვლევარი სხვა რელიგიათა შორის ქრისტიანობას პირველ ადგილზე აყენებს. მაგრამ აქვე ხაზგასმულია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიდრეკილება თავისუფალი აზროვნებისკენ, რო-

მელსაც შუა საუკუნეების მოაზროვნეთაგან განსხვავებით, ვერ ბოჭავს რელიგიური ფანატიზმი.

საგულისხმოა ავტორის მოსაზრებები რუსთაველის გმირებზე, მათში გამოვლენილ ეროვნულ თვისებებზე. ავტორი ვრცლად განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხებს და აღნიშნავს, თუ რა თვალთახედვით უნდა მიუდგეს მათ აღმოსავლურ პოეზიაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი, რათა სრულყოფილად შეიცნოს „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალება“[119].

ოლივერ უორდროპის შრომის მნიშვნელობას კონკრეტული მაგალითით ნათელჰყოფს ა. გაწერელია. ეხება რა „ვეფხისტყაოსნის“ 1468-ე სტროფში მოხსენიებულ „ბრძენ დივნოსს“, მას მოჰყავს ამ სტროფთან დაკავშირებული ო. უორდროპის კომენტარი (იხ. 1912 წლის გამოცემის გვ. 239) და შენიშნავს: „ოლივერ უორდროპისათვის საეჭვო არაა, რომ „დივნოს“ — ფსევდო-დიონისე არეოპაგელია. უეჭველია, ოლივერ უორდროპს არეოპაგელის ტრაქტატის „საღმრთოთა სახელთათვის“ („დე დივინის ნომინიბუს“) სათანადო ადგილები აპოვნინა ვახტანგ VI-ის კომენტარმა. ვახტანგის გამოცემის შენიშვნები რომ მისთვის ცნობილი ყოფილა, ეს კარგად ჩანს ინგლისური თარგმანისათვის დართული ბიბლიოგრაფიიდან.

ამრიგად, რუსთველოლოგიაში პოეტის სტროფში („ამ საქმესა დაფარულსა...“) ასახული არეოპაგიტული მოძღვრება — ბოროტისა და კეთილის შესახებ — დოკუმენტური მითითებით პირველად გვხვდება უორდროპისეული თარგმანის (1912) შენიშვნებში. ეს ოლივერ უორდროპის დამსახურებაა და დავიწყებული არ უნდა იქნეს“ (ხაზგასმა ავტორისაა. — გ. შ.)[120].

რუსთველის უკვდავი პოემის 1912 წლის ინგლისურმა გა-

---

[119] ს. ცაიშვილი, ოლივერ უორდროპის წერილი „ვეფხისტყაოსანზე“, „ცისკარი“, 1966, № 3; შდრ. О. Уордроп, Зеркало жизни, подготовка текста к печати, предисловие и комментарий С. Цаишвили, «Лит. Грузия», 1966, № 9—10; ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 278-279.

[120] ა. გაწერელია, ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 21-22, იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 23-24.

მოცემამ უდიდესი როლი ითამაშა საკაცობრიო კულტურის საგანძურში „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის სახელის დამკვიდრების საქმეში.

კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანის მეოხებით გაეცნო შუა საუკუნეების ამ უდიდეს პოემას გამოჩენილი რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი (1867—1942) და სწორედ ამ თარგმანის შთაგონებით გადაწყვიტა მისი რუსულ ენაზე გადაღება. თუ როგორ მომხდარა ეს, ამის შესახებ პირველი ცნობა „რუსსკოე სლოვოდან“ 1912 წლის 13 აგვისტოს გადმობეჭდა გაზეთმა „თემმა“:

„რუსის გამოჩენილი პოეტი კ. ბალმონტი, რომელსაც მ. ლერმონტოვს ადარებენ და რომელიც იძულებულია სამშობლოს გარედ იცხოვროს,[121] დროგამოშვებით მოგზაურობს და თავის მშვენივრად და პოეტურად დაწერილ შთაბეჭდილებას უზიარებს ხოლმე რუსის მკითხველ საზოგადოებას გაზ. „რუსსკოე სლოვოს“ საშვალებით.

ერთ-ერთი ამ მოგზაურობის დროს, როდესაც სამხრეთ აფრიკაში მიდიოდა, გემზე შეხვედრია ჩვენი ერის ერთგული მეგობარი მისტეს ოლივერ უორდროპი, რომელსაც გამოჰბაასებია რუსის მწერალი.

აი, რას მოგვითხრობს თვითონ თავის იმ წერილში, რომელიც 29 ივლისს გაზ. „რუსსკოე სლოვოშია“ დასტამბული:

„სამხრეთ აფრიკა. კეპ-ტაუნი. ბედმა მარგუნა გზაში სიხარული. პირველსავე საღამოს გემზე დამელაპარაკა მე რუსულად ინგლისელი, რომელიც სადილათ ჩემ პირდაპირ იჯდა. ამის შემდეგ ტენერიფამდე, სადაც იგი მიდიოდა, მე და ის სულ რუსულად და ინგლისურად ვბაასობდით. ეს იყო ოლივერ უორდროპი. მან შეისწავლა რუსული ამას წინად გარდაცვალებულ უფროსი ჩემი მეგობრის, ოქსფორდის მეცნიერ

---

[121] როგორც ვიცით, „1907 წელს პარიზში გამოვიდა კ. ბალმონტის რევოლუციური ხასიათის ლექსების კრებული „შურისმაძიებლის სიმღერები“, რის გამოც მას ეკრძალა რუსეთში ცხოვრება. სასტიკად ისჯებოდა მისი წიგნის რუსეთში შემომტანიც. ამ პერიოდში ბალმონტი ბევრს მოგზაურობდა, ძირითადად კი ცხოვრობდა პარიზში“ (ლ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, ბალმონტი და საქართველო, თბ., 1972, გვ12).

უილიამ მორფილისაგან. მისტერ უორდროპის დას კარგად იცნობენ საქართველოს მცხოვრებნი. მან მშვენივრად სთარგმნა ინგლისურად რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი". მე ჩავსთვალე კეთილ ნიშნად ის გარემოებაც, რომ სანდომიანი და რუსეთის ხალხის თანამგრძნობი უორდროპი მუდამ სცხოვრობს ქალაქ სევენოუქსში, რომელიც ნიშნავს „შვიდმუსოვანს" მამულ ბელმონტში...

აქ ნახსენები მეცნიერი მორფილიც ქართულის მცოდნე იყო. საქართველოშიაც ყოფილა, მას შესწავლილი ჰქონდა ჩვენი სამშობლოს ისტორია და ლიტერატურა.

სიტყვამ მოიტანა და ამიტომ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ურიგო არ იქნებოდა „ვეფხისტყაოსანი" პროზით მაინც ვისმე გადაეთარგმნა რუსულად, რომ იმისთანა პოეტი, როგორიც კ. ბალმონტია, გაეცნოს მას მაინც სიცოცხლეში. აღმოსავლეთის პოეზიის მოყვარული და მცოდნე, საგანგებო მეტაფორეების და სიმბოლოების თაყვანისმცემელი რუსის პოეტი, უეჭველია ღირსეულად დააფასებს შოთას უკვდავ ნაწარმოებს და შეიძლება ითქვას კიდევაც ლექსად გადაიღოს ის"[122].

მართლაც, ქართველი საზოგადოებრიობის ეს სურვილი მალე განახორციელა კ. ბალმონტმა. რუსული პწკარედი მისთვის არავის შეუსრულებია, მაგრამ სამაგიეროდ მას ხელთ ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის" შესანიშნავი ინგლისური პროზაული თარგმანი, რომელიც გამოირჩეოდა სიზუსტით, ხოლო ინგლისური ენის ჩინებულ მცოდნეს კ. ბალმონტს ბევრი აღარ უფიქრია, რომ რუსეთისთვის გაეცნო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი".

ლ. ანდღულაძის ცნობით, „საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" ის ცალი, რომელიც ხელთ ჰქონდა ბალმონტს მუშაობის დროს. წიგნი გამოცემულია 1912 წელს, სატიტულო ფურცელზე ბალმონტის ხელითაც იგივე წელია აღნიშნული. ნაბეჭდ ტექსტში ფანქრით ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია შენიშვნები ინგლისურ ენაზე. რამ-

---

[122] „ვეფხისტყაოსანი", კ. ბალმონტი და ოლივერ უორდროპი, „თემი", 13. VIII. 1912. № 84.

დენიმე მომცრო ფურცელი, რომლებიც ჩატოვებულია წიგნის გვერდებს შორის, შევსებულია „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის პირველი ჩანაწერებით. სულ ოთხი ფურცელი, სამ ათეულამდე თარგმნილი სტროფით, მეტყველებს, რა მონდომებით დაეწაფა ბალმონტი ახლად გაცნობილ პოეტურ ქმნილებას, რომელსაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია“[123].

ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, კ. ბალმონტი სამჯერ (1914, 1915 და 1917 წწ.) ეწვია საქართველოს, რათა მისივე განცხადებით, „ყველა ნახული სილამაზის შემდეგ ენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“[124].

კ. ბალმონტმა 1915—17 წლებში ძირითადად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ეს იყო რუსთაველის პოემის რუსულ ენაზე შესრულებული პირველი სრული პოეტური თარგმანი, რომლის რამდენიმე კარი ჯერ 1917 წელს გამოქვეყნდა მოსკოვში, ხოლო 1933 წელს სრულად დაიბეჭდა პარიზში, შემდეგ კი რამდენიმეჯერ (1935, 1936, 1937 წწ.) გამოიცა თბილისსა და მოსკოვ-ლენინგრადში. კ. ბალმონტის თარგმანმა დიდი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში[125]. რუს მთარგმნელს წინასიტყვაობაში არ დავიწყებია რუსთაველის გაცნობაში და-ძმა უორდროპების ღვაწლის აღნიშვნა და პოეტურად აღწერა ეს დაუვიწყარი ფაქტი:

«Я впервые узнал Руставели в океанском просторе, невдали от Канарских островов, на английском корабле, носившем имя красиво-мудрой богини Афины, где я познакомился с Оливером Уордропом, который дал мне прочесть находившийся при нем в корректурах английский перевод «Витязя в тигровой шкуре», сделанный с великой любовью его сестрой Марджори Скотт Уордроп. Прикоснуться к грузинской розе в просторе океанских зорь, при благом соучастии Солнца, Моря,

---

[123] ლ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დას. ნაშრ. გვ. 11.

[124] ვ. ი ა შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტანტინე ბალმონტი, „თემი“, 11. IV. 1914, № 170.

[125] იხ. ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბალმონტისმიერი რუსული თარგმანი, თბ., 1964; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 329—331.

Звезд, Дружбы и Любви, и диких вихрей, и свирепой бури, это — впечатление, которого забыть нельзя... Народ, если он великий, создаст песню и выносит в лоне своем мирового поэта. Таким венценосцем в веках, еще доселе неузнанный русскими, был избранник Грузии, Шота Руставели, давший в XII в. своей родине знамя и зов — «Вепхис Ткаосани». Это лучшая поэма любви, какая когда-либо была создана в Европе, радуга любви, огневой мост, связующий небо и землю.

Как Гомер есть Эллада, Данте — Италия, Шекспир — Англия, Кальдерон и Сервантес — Испания, Руставели есть Грузия»[126].

და მაინც, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ბუნდოვანი წარმოდგენაა, თუ რატომ მაინცდამაინც ოკეანეში შეხვდნენ ერთმანეთს ოლივერ უორდროპი და კონსტანტინე ბალმონტი, კერძოდ, სად მოხდა მათი შეხვედრა და რა უნდოდა ამ დროს ოკეანეში ოლივერ უორდროპს?

როგორც ვთქვით, გაზ. „Русское слово"-ში 1912 წლის 29 ივლისს კ. ბალმონტი მიუთითებდა, რომ ინგლისურ გემ „ათენაზე" მას შეხვდა ოლივერ უორდროპი, რომელიც ტენერიფეში მიდიოდაო, ხოლო „ვეფხისტყაოსნის" 1917 წლის რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში იგი უფრო ზოგადად წერდა, რომ ინგლისელი თანამგზავრი გავიცანი შუა ოკეანეში, კანარის კუნძულების მახლობლადო.

მაშასადამე, კ. ბალმონტსა და ო. უორდროპს ერთმანეთი გაუცვნიათ ატლანტის ოკეანეში, კანარის კუნძულებთან ახლოს, ხოლო რა უნდოდა ამ დროს ო. უორდროპს აქ, ამაზე არაფერს წერენ.

როგორც ვიცით, მარჯორის გარდაცვალებამ (1909 წ. დეკემბერი) ძლიერ იმოქმედა ოლივერის ჯანმრთელობაზე და დიპლომატიურ სამსახურს თავი მიანება. როგორც ჩანს, 1912 წლის ზამთარში ო. უორდროპი დასასვენებლად გამგზავრებულა გემ „ათენათი" კანარის კუნძულებზე, კერძოდ, ტენე-

---

[126] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, поэма, перевод с грузинского К. Д. Бальмонта, издание второе, Academia, Москва-Ленинград, 1937, стр. 21—22; შდრ Шота Руставели, Носящий барсову шкуру, грузинская поэма XII в., перевод К. Бальмонта, Москва, издание М. и С. Сабашниковых, 1917, стр. 14—15; შდრ. с. 5, 7.

რიფზე, რასაც ვიგებთ ოლივერის 1912 წლის 10 აპრილს ინგლისიდან, სევენოუქსიდან ე. თაყაიშვილისადმი გამოგზავნილი ფრანგული წერილიდან:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო,

დავბრუნდი ტენერიფიდან, სადაც ორი თვე გავატარე...“[127].

მაშასადამე, როგორც ირკვევა, 1912 წლის თებერვალ-მარტი ოლივერ უორდროპს დასასვენებლად გაუტარებია ატლანტის ოკეანეში, კანარის კუნძულების ერთ-ერთ კუნძულ ტენერიფეზე. აი, სწორედ ამ დროს შეხვედრიან ერთმანეთს ატლანტის ოკეანეში ინგლისურ გემ „ათენაზე“ ოლივერ უორდროპი და კონსტანტინე ბალმონტი, რომელთაგან პირველი დასასვენებლად მიდიოდა კუნძულ ტენერიფეზე, რომელიც განთქმულია თავისი საზამთრო კურორტებით, და თან სამუშაოდ „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული ინგლისური თარგმანის სასტამბო კორექტურები მიჰქონდა, ხოლო მეორე სამოგზაუროდ სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ, კეიპტაუნში მიეშურებოდა. სწორედ ამ ბედნიერი შემთხვევითი შეხვედრის წყალობით გადაწყდა ბალმონტის მიერ რუსთაველის უკვდავი პოემის რუსულ ენაზე პირველი სრული პოეტური თარგმანის განხორციელების ბედი.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, მსოფლიოში ორ ყველაზე მეტად გავრცელებულ — ინგლისურ და რუსულ — ენებზე „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნა, პირველ რიგში, უკავშირდება მარჯორი უორდროპის სახელს!

* * *

როგორც უკვე ზევითაც შევნიშნეთ და დ. ლანგიც წერს — „მარჯორის გარდაცვალების (1909 წ.) შემდეგ ოლივერ უორდროპი მალევე იძულებული შეიქნა დიდი დაღლილობის გამო სახელმწიფო სამსახურიდან გადამდგარიყო და სამსახურს აღარც დაბრუნებია, ვიდრე ბედნიერმა ქორწინებამ და ხანგრძლივმა მოსვენებამ არ აღუდგინა ჯანმრთელობა. ამგვარად

[127] ო. უორდროპის წერილები ე. თაყაიშვილისადმი, ელ. კ ი ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ი ს პუბლიკაცია, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, ტ. III, თბ., 1961, გვ. 214, 219-220.

მას შესაძლებლობა მიეცა პირველი მსოფლიო ომის წინა წლების ფრიად დიდი ნაწილი ქართველთმცოდნეობისათვის შეეწირა"[128].

მართლაც, 1911 წლიდან მოყოლებული ოლივერ უორდროპი ზედიზედ აქვეყნებს თავის ქართველოლოგიურ ნაშრომებს.

ინგლისის „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალის" 1911 წლის ივლისის ნომერში დაიბეჭდა ო. უორდროპის მიერ შედგენილი „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი",[129] რომელსაც ახლახან საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ნ. აბესაძემ და მალე გამოქვეყნდება. ამავე წელს ერთ-ერთ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა ო. უორდროპის მიერ თარგმნილი პროფ. ალ. ცაგარლის ნაშრომი ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაზე,[130] ხოლო ალ. ცაგარლისავე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ო. უორდროპს უკვე 1894 წელს ჰქონია თარგმნილი[130ა].

1913 წელს ლონდონში გამოიცა ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ სომხურ და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, რომლის სომხური ნაწილი ეკუთვნოდა ფრედერიკ კონიბირს, ხოლო ქართული — ოლივერ უორდროპს[131].

ოლივერ უორდროპის ნაშრომის (გვ. 397—410) დასახასიათებლად მოვიხმობთ მოსე ჯანაშვილის 1913 წლის 1 ოქტომბრის „სახალხო გაზეთში" დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას:

---

[128] დ. ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი", 1957, № 4, გვ. 149.

[129] ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი, ინგლისურ-სვანური ლექსიკონი, „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალი", ივლისი, ლონდონი, 1911, გვ. 589—634.

[130] ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი, ათონის ქართული მონასტრის ხელნაწერები, „თეოლოგიური კვლევა-ძიების ჟურნალი", ტ. 12, № 48, ლონდონი, 1911.

[130ა] ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, „ბიბლიური ლიტერატურის ჟურნალი", ბოსტონი, 1894.

[131] ფ. კ ო ნ ი ბ ი რ ი, ბრიტანეთის მუზეუმის სომხურ ხელნაწერთა კატალოგი; ო. უ ო რ დ რ ო პ ი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, ლონდონი, 1913.

„ამ კატალოგში განხილულია სულ ექვსი ქართული წიგნი ბრიტანიის მუზეუმისა. მათგან ორი ტყავზე დაწერილი ხელნაწერია. პირველია კრებული, რომელშიაც მოთხრობილია ცხოვრებანი საბასი, ხარიტონისა, კვირიაკესი და სხვა მამებისა. აქა-იქ მოხსენიებულია წერილების გადამწერნი იოანე და სხვ.: „ქრისტე ადიდენ მოძღუარნი ჩემნი სულიერნი იოვანე და მამა გიორგი“; „ქრისტე შეიწყალენ სულითა ძმანი ჩემნი საყუარელნი გიორგი, მიქაელ და საბა“. მეორე ხელნაწერი შეიცავს საგალობლებს. მეოთხე წიგნის 125-ე გვერდზე ასეთი თარიღია: „ქრისტეს აქათ წელნი ათასი: ექვსასი: ოცდა: თუთხმეტი: ზედნადები 11: მზის მოქცევისა 3: მოქცევა მთვარისა 19: ქორონიკონი 324. მეექვსე №-ს წარმოადგენს ქართული ჟურნალი „მუშა“, რომელიც 1898 წელს შეუწირავს თ. ვარლამ ჩერქეზიშვილს. ბოლოში დართულია საკუთარი სახელების სია“[132].

როგორც ვხედავთ, მ. ჯანაშვილს რატომღაც გამოტოვებული აქვს ოლივერ უორდროპის კატალოგში მოცემული აღწერილობანი ბრიტანეთის მუზეუმში დაცული № 3 და № 5 ქართული ხელნაწერებისა[133].

1914 წელს ლონდონში ზედიზედ დაიბეჭდა ოლივერ უორდროპის ახალი თარგმანები: „ვისრამიანი“ და „გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება“.

„ვისრამიანის“ შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. ახლა, რაც შეეხება „გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდების“ ოლივერ უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანს:

აღნიშნული თარგმანი გამოქვეყნდა ინგლისის „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალის“ 1914 წლის ივლისის ნომერში[134]. მას პირველი გამოეხმაურა თედო სახოკია, რომლის „სახალხო ფურცელში“ 1915 წლის 9 ივნისს დაბეჭდილი რე-

---

[132] მ. ჯ., ოლივერ ვარდროპ, (ქართულ ხელნაწერთა კატალოგი), „სახალხო გაზეთი“, 1. X. 1913, № 1006.

[133] იხ. კატალოგი.., გვ. 406, 408.

[134] საქართველოს მეფის გიორგი V-ის ძეგლისდება, ინგლისური თარგმანი ო. უ ო რ დ რ ო პ ი ს ა, „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალი“, ივლისი, ლონდონი, 1914, გვ. 607—626.

ცენზია, „ვისრამიანს“ გარდა, წარმოდგენას გვიქმნის ინგლისელი ქართველოლოგის ახალ შრომაზეც:

„მეორე შრომა პატივცემულ ბ.-ნ უორდროპისა გახლავსთ თარგმანი გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებისა. დედნად უხმარია მთარგმნელს ხელნაწერი, რომელიც შეუძენია ტფილისში 1911 წელსა და რომელიც დღეს შეადგენს საკუთრებას ბოდლეის წიგნთსაცავისას (ოქსფორდში), სადაც მოთავსებულია ქართული ბიბლიოთეკა, უორდროპთა ოჯახის მიერ დაარსებული. ეს ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს ვახტანგ მეფის, გიორგი ბრწყინვალის, ათაბეგთა ბექა და აღბუღის, საქართველოს კათალიკოსის და სხვ. კანონებისას. გადაწერილია მეფის ბრძანებითა 1750 წელს იასე დეკანოზიშვილის მიერ და საკუთრება ყოფილა საქართველოს მეფის გიორგი მე-XIII-ის ძის დავითისა.

ამ კანონების შესახებ, როგორც ბ.-ნი უორდროპი ბრძანებს თარგმანის წინასიტყვაობაში, ევროპაში განაგონათ თუ ღა იციან რამე. ეს ძეგლისდება ქართულადაც კი არ არის დაბეჭდილი. დაბეჭდილია მხოლოდ, და ისიც რუსულად, ვახტანგ მეფის კანონები. ინგლისის საზოგადოებას და საერთოდ შედარებითის კანონმდებლობითის მკვლევართ კი პირველად ეძლევათ შემთხვევა გაეცნონ ქართულს კანონმდებლობას. როგორც გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება, ისე ვახტანგ მეფის კანონები დამყარებულია ქართველი ერის უძველეს ზნე-ჩვეულებაზე და, უორდროპის აზრით, სამართლიანად უნდა მოიპყრას ასირიოლოგისტების ყურადღება.

ბ.-ნ უორდროპის მიერ თარგმნილი ძეგლისდება გიორგი ბრწყინვალესი უუძველესი ნაწილია ქართულ კანონმდებლობისა. თან უნდა გვახსოვდეს, რომ ძეგლისდება სრულიად საქართველოში სახმარებელ კანონებს კი არ წარმოადგენს, არამედ ბრძანებას, საქართველოს კანონების გავლენით დაწერილს და ზნე-ჩვეულებაზე (ადათებზე) დამყარებულს. შედგენილი იყო ერთ განსაზღვრულ მხარეში სახმარებლად და ამ ადგილის მკვიდრთა დასამორჩილებლად. ძეგლისდება, მართალია, მთიულთა შორის სახმარებლად იყო შედგენილი, მაგრამ სარჩულად ედო პრინციპები ქართულ კანონმდებლობისა, რომელსაც ემორჩილებოდნენ როგორც მთასა, ისე ბარში.

აქვე სიამოვნებით უნდა დავსძინოთ ერთი ცნობა, რომელსაც ბ.-ნი უორდროპი გვაძლევს ვახტანგის კანონების შესახებ. ბუქარაში განუზრახავსთ მათი შემოღება და ამბობენ, თათრულ ენაზედაც არის გადათარგმნილი ამ ქვეყანაში სახმარებლად"[135].

საქმე ისაა, რომ 1911 წლის იანვარში, თბილისში ყოფნისას, ოლივერ უორდროპს სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად კომისიონერ ათანასიანისაგან შეუძენია დავით ბატონიშვილის ნაქონი ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის დიდად საყურადღებო ხელნაწერი, რომელშიც გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებაც ყოფილა შესული. მაშინ თბილისში გამოსაცემად ამზადებდნენ (ე. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ს. გორგაძე, კ. ცინცაძე, იუსტ. აბულაძე) ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნებს და ე. თაყაიშვილის თხოვნით, ოლივერ უორდროპს აღნიშნული ხელნაწერი დროებით სარგებლობისათვის თბილისში დაუტოვებია[136]. ე. თაყაიშვილს იგი აღუწერია კიდეც[137] და შემდეგ (1913 წ.) ოქსფორდში გადაუგზავნია მისი მფლობელისთვის[138]. დღეს ეს ხელნაწერი ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ ფონდშია დაცუ-

---

[135] თ. სახოკია, ბ.-ნ ოლივერ უორდროპის ახალი თარგმანები, 2. ძეგლისდება საქართველოს მეფე გიორგი მე-5 ბრწყინვალისა, „სახალხო ფურცელი", 9. VI. 1915, № 302.

[136] ელ. კელენჯერიძე, უორდროპისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობა ე. თაყაიშვილისა, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე" ტ. III, თბ., 1961, გვ. 190.

[137] E. Такаишвили, Рукописи Оксфордской библиотеки, приобретенные в Тифлисе Оливером Вардропом, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე", ტ. III, თბ., 1961, გვ. 195—198.

[138] ე. თაყაიშვილისადმი 1913 წლის 27 აპრილს გამოგზავნილ წერილში ო. უორდროპი იწერებოდა: «Нельзя-ли прислать мне ту рукопись Сборника Законов Вахтанга (экз. царевича Давида), которую я Вам передал для печатания до своего отъезда в 1911 г.?», ხოლო იმავე 1913 წლის 9 სექტემბრის ბარათიდან ირკვევა, რომ ოლივერს უკვე მიუღია ე. თაყაიშვილისგან გაგზავნილი ხელნაწერი: «Рукопись Сборника Законов получена. Очень Вам благодарен» (იხ. ო. უორდროპის წერილები ე. თაყაიშვილთან, ელ. კელენჯერიძის პუბლიკაცია, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე", ტ. III, თბ., 1961, გვ. 216).

ლი[139] და აღწერილი აქვთ ჯერ ო. უორდროპს,[140] შემდეგ — დ. ლანგსა[141] და დ. ბარეტს[142].

ოლივერ უორდროპს „ძეგლისდების“ ინგლისურად თარგმნისას ეს ხელნაწერი გამოუყენებია, უპირატესად, ვახტანგ VI-ის კანონების დ. ბაქრაძის რედაქციით 1887 წელს გამოცემულ ფრანკელისეულ რუსულ თარგმანთან[143] შედარებაშეჯერებისთვის, რომლის გათვალისწინებითაცაა შესრულებული აღნიშნული თარგმანი. ოლივერი წერს: „წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერიდან, რომელიც ერთი ვაჭრისგანაა შეძენილი 1911 წლის იანვარში და ახლა ბოდლის ბიბლიოთეკის კუთვნილებაა... ტექსტის ინტერპრეტაციისთვის უხვად იქნა გამოყენებული ბაქრაძის შენიშვნები და რუსულმა თარგმანმა გამიწია ფასდაუდებელი დახმრება“.

ი. დოლიძე იმდენად საყურადღებოდ თვლის „ძეგლისდების“ ინგლისური თარგმანისთვის წამძღვარებულ ოლივერისეულ წინასიტყვაობას, რომ მოჰყავს მისი თითქმის სრული ქართული თარგმანი,[144] ხოლო საკუთრივ ძეგლის ინგლისურ თარგმანს ასეთ შეფასებას აძლევს:

„ძეგლის დადების ო. უორდროპის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მთარგმნელს ხელთ არ ჰქონდა სამართლის წიგნის გამართული და დადგენილი ტექსტი, რასაც თვითონაც გულისტკივილით აღნიშნავდა: „არც გამოქვეყნებული ტექსტი არსებობს, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი ხელნაწერის შეჯერება“-ო[145]. თვით იმ ხელნაწერის

---

[139] Wardr. C—13.

[140] გიორგი V-ის ძეგლისდება, ლონდონი, 1914, გვ. 607—609.

[141] დ. ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ოქსფორდი, 1955.

[142] დ. ბ ა რ ე ტ ი, კატალოგი.., ოქსფორდი, 1973, გვ. 311.

[143] Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887.

[144] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 90—92.

[145] მართალია, 1913 წელს ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ გამოსცა „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, მაგრამ, ეტყობა, იგი ჯერ ხელთ არ ჰქონდა ო. უორდროპს. — გ. შ.

წარმოშობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინგლისურ თარგმანს, სათანადოდ შესწავლილი და გარკვეული არ არის. აღნიშნული ხელნაწერის წარმომავლობის დასადგენად საჭირო იყო სხვა ნუსხებთან მისი შეჯერება, რის შესაძლებლობასაც მთარგმნელი მოკლებული იყო... ძეგლის დადების ინგლისურ თარგმანს მთარგმნელის ხელი მაინც საკმაოდ ატყვია. ჩანს, რომ მთარგმნელი გულდასმით აჯერებდა ერთმანეთთან ქართულ ხელნაწერსა და რუსულ თარგმანს. ზოგიერთი მუხლი, რომელთა ტექსტი რუსულ თარგმანში შემოკლებითაა წარმოდგენილი, ინგლისურ თარგმანში აღდგენილია და მოცემულია უფრო სრულად. ინგლისური თარგმანის ღირსებად უნდა ჩაითვლაოს ისიც, რომ მთარგმნელი ცდილობს, რაც შეიძლება დაუახლოვოს თავისი თარგმანი ქართულ ტექსტს, ერიდება თავისუფალ და განვრცობილ თარგმანს, ტექსტში ჩამატებულ განმარტებებს. იქ, სადაც კანონთა ზოგიერთი მუხლის ტექსტი ბუნდოვანი და გაუგებარია, სქოლიოში აკეთებს შენიშვნებს, რომ თარგმანი საეჭვოა და არასიამედო. ასეთი შენიშვნები აქვს სამართლის წიგნის მე-2, მე-16, 29-ე, 41-ე, და 45-ე მუხლებს"[146].

ფ. კონიბირთან ერთად შესრულებული წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ქართულიდან შესრულებული ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი 1915 წელს გამოქვეყნდა პარიზში[147].

წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ქართული ვერსიის მეტად საინტერესო X ს.-ის ნუსხა დაცულია ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდში A-№ 86. მისი რუსული თარგმანი გამოკვლევითურთ 1908 წელს გამოსცა კ. კეკელიძემ,[148] რომლის მიხედვით, ფ. კონიბირი და ო. უორდროპი, ეტყობა, ადრიდანვე დაინტერესებულან ამ ძეგლით. კ. კეკელიძე ამის შესახებ პირადად წერდა 1912 წელს: «Этим памятником мы занимались года четыре тому назад; русский перевод его, данный нами в нашей диссертации (Литургичес-

---

[146] ი. დ ო ლ ი ძ ე, დას. ნაშრ. გვ. 92—94.

[147] წმ. იაკობის ჟამისწირვის ქართული ვერსია, ინგლისურად თარგმნილი ფ. კ ო ნ ი ბ ი რ ი ს ა და ო. უ ო რ დ რ ო პ ი ს მიერ, პარიზი, 1915.

[148] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники.., Тифлис, 1908, с. 1—32.

кие груз. памятники.., стр. 6—32), обратил на него внимание некоторых западно-европейских специалистов, которые, как напр., известный английский арменист, доктор Conybeare, неоднократно обращались с просьбой дать им подлинный грузинский текст памятника»[149].

უფრო კონკრეტულად, 1912 წლის 10 აპრილს ე. თაყაიშვილისადმი გამოგზავნილ ო. უორდროპის ფრანგული წერილიდან ვიგებთ, რომ წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ქართულ ვერსიას ის და კონიბირი გაცნობიან კ. კეკელიძისეული 1908 წლის რუსული თარგმანით და უთარგმნიათ კიდეც ინგლისურად, მაგრამ არ სურთ მისი გამოცემა, სანამ ქართულ დედანს არ შეადარებენ:

„კონიბირთან ერთად მე ვმუშაობდი წმ. იაკობის ლიტურგიის ტექსტის თარგმანზე დეკ. კეკელიძის ვერსიის მიხედვით, მაგრამ ჩვენ არ გვინდა მისი გამოცემა ტექსტთან შეჯერების გარეშე“[150].

ამასვე ატყობინებდა ო. უორდროპი თვით კ. კეკელიძეს 1912 წლის 9 აპრილის რუსულ ენაზე დაწერილ ბარათში, რომელშიც იგი მადლობას უხდიდა ქართველ მეცნიერს „Иерусалимский Канонарь“-ის გაგზავნისათვის და აცნობებდა, რომ კონიბირთან ერთად რუსულიდან თარგმნა იაკობის ჟამისწირვა და სურს შეადაროს იგი ქართულ დედანს[151].

ოქსფორდში ჩვენ მიერ ახლახან მოპოვებული დოკუმენტები ზედმიწევნით ადასტურებენ დიდი ქართველი მეცნიერისა და ინგლისელი ქართველოლოგის განცხადებებს:

როგორც ირკვევა, წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ქართული ტექსტი, A-№ 86 ხელნაწერის მიხედვით, ოლივერ უორდროპს ჯერ კიდევ 1911 წელს უთხოვია მოსე ჯანაშვი-

---

149 К. Кекелидзе, Древне-грузинский архиератикон, Тифлис, 1912. стр. III—IV.

150 ო. უორდროპის წერილები ე. თაყაიშვილისადმი, ელ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ი ს პუბლიკაცია, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, ტ. III, თბ., 1961, გვ. 215, 220.

151 ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. კეკელიძის პირადი საარქივო ფონდი, № 672; შდრ. კ. კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინა რ. კ ა ვ ი ლ ა ძ ე მ, თბ., 1979, გვ. 159.

ლისთვის, რაზედაც მ. ჯანაშვილი 1911 წლის 1 დეკემბერს ოლივერს ატყობინებს:

«Многоуважаемый Mr. Оливер.

...Просимую Вами рукопись (№ 86) не имеем в печатном издании. Она писана древними буквами «асомтаврули» и ее не умеет теперь читать не только семинарист, но и интеллигентный грузин, если он не специалист-палеограф, а число таких у нас в Тифлисе не больше 5—6-ти. Таким образом, остается мне самому взяться за дело и списать нужный Вам текст, занимающий в оригинале 166 страниц. Я хотя очень занят, но постараюсь к 10—20 января будущего 1912 года закончить всю работу и прислать Вам... М. Джанашвили».[152]

მ. ჯანაშვილის აღნიშნულ წერილზე ო. უორდროპი 1911 წლის 26 დეკემბერს ასეთ პასუხს უგზავნის ქართველ მეცნიერს:

«Многоуважаемый Mr. Монсей!

Благодарю Вас за письмо, сегодня полученное. Никак невозможно, чтобы Вы тратили свое драгоценное время списанием текста Литургии Св. Якова. Желательно, чтобы текст когда-нибудь был издан в Тифлисе, и тогда D-r Conybeare может им пользоваться. Меня только удивляет, что семинаристы не могут читать старогруз. текстов. Еще раз благодарю за Ваше чрезвычайно любезное предложение, но никак не могу допустить такого злоупотребления Вашего времени. Подождем пока текст явится в печати... О. Вардроп».[153]

ეტყობა, ო. უორდროპის წინადადებამ გაკვრა და დააჩქარა წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ქართული ტექსტის გამოცემა, რადგან ე. თაყაიშვილი 1912 წლის 10 აპრილის ერთ აქამდე უცნობ წერილში ოლივერს ატყობინებს:

«...Недавно [30 марта 1912 г.] на заседании Комитета Церковного Музея мы решили издать грузинский текст Литургии Якова, который Вас интересует, и издание поручили Кекелидзе, так что текст будет издан. Иеруса-

---

[152] ოქსფორდის ბოდლის სახ. ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი, d—38/ 2 (2).

[153] ოქსფორდის ბოდლის სახ. ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი, d—38/2 (2a).

лимский канонарь его тоже хорош.. Он у нас лучший литургист и знает свое дело... Е. Такайшвили».[154]

ამასობაში ო. უორდროპი დაკავშირებია თვით კორნელი კეკელიძეს, რასაც ვიგებთ ოლივერისადმი გაგზავნილ კ. კეკელიძის ორი უცნობი წერილიდან, რომლებიც დღეს ოქსფორდშია დაცული. პირველი წერილი 1912 წლის 28 მარტითაა დათარიღებული, რომლიდანაც ჩანს, რომ იგი თბილისში 1912 წელს გამოცემულ თავის „Иерусалимский Канонарь"-ს უგზავნის ფ. კონიბირსა და ო. უორდროპს, ხოლო 1912 წლის 18 აპრილის წერილით ატყობინებს, რომ მზადაა გაუგზავნოს წმ. იაკობ მოციქულის ეამისწირვის ქართული ტექსტი.

აი, ეს წერილებიც:

I

«15/28. III. 912,
г. Тифлис.

Милостивый государь!

Присылая Вам 2 экземпляра моей книги «Иерусалимский Канонарь», прошу Вас одну из них передать доктору Conybeare с покорнейшей просьбой от меня, чтобы он мне выслал свою книгу Rituale Armenorum с приложениями, деньги, сколько следует, я ему пришлю после получения книги.

С почтением
протойерей Корнелий Кекелидзе
Адрес мой: Тифлис, Андреевская № 42».

II

«1912 г. Апреля 5/18
г. Тифлис.

Милостивый государь!

Письмо Ваше я получил, из которого узнаю, что Вы с D. Conybeare интересуетесь грузинским текстом литургии Св. апостола Иакова. Долгом считаю уведомить Вас, что в настоящее время я уже издаю этот текст по поручению Комитета Церковного музея; издание будет строго критическим и к Сентябрю месяцу закончится, если

---

[154] ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი, d—39/7 (5).

какие-либо непредвиденные обстоятельства не помешают мне. Об этом можете уведомить также и M. Conybeare.

С совершенным почтением

прот. Кор. Кекелидзе».[155]

ამასვე ატყობინებს მოსე ჯანაშვილი ინგლისელ ქართველოლოგს ერთ თავის უთარიღო წერილით, რომელიც, ყველა ნიშნის მიხედვით, 1912 წლით უნდა დათარიღდეს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ოლივერ,

თქვენ მიერ მოთხოვნილი იაკობის ჟამისწირვა უკვე იბეჭდება და თავის დროზე მოგართმევთ...

მზა თქვენის სამსახურისა მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი“[156].

მართლაც, 1912 წელს, თბილისში, გამოიცა კ. კეკელიძის მიერ მომზადებული წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ქართული ტექსტი საეკლესიო მუზეუმის № 86 ნუსხის მიხედვით, რომელიც გაეგზავნათ ფ. კონიბირსა და ო. უორდროპს. მასზე დაყრდნობით კი, როგორც ვთქვით, 1915 წელს პარიზში გამოქვეყნდა ფ. კონიბირისა და ო. უორდროპის მიერ შესრულებული წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ქართული ვერსიის ინგლისური თარგმანი.

ოლივერ უორდროპის მიერ ქართულიდან შესრულებულ უკანასკნელ ინგლისურ თარგმანს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის ლექსი „ქართვლის დედას“, რომელიც 1919 წელს გამოქვეყნდა თბილისში ელ. ორბელიანის რედაქტორობით გამოცემულ ინგლისურ გაზეთში „საქართველოს მოამბე“ (ინგლ. ენაზე)[157].

ილიას ცნობილი ლექსი ოლივერ უორდროპს შეუმოკლებია: დედნის 32 სტრიქონიდან ინგლისურ თარგმანში 16 სტრიქონია დატოვებული; შინაარსობრივად თარგმანი დედანს მეცამეტე სტრიქონიდან („მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხუ-

---

155 ოქსფორდის ბოდლის სახ. ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი, d-39/7 (6), d-39/7 (2).

156 ოქსფორდის ბოდლის სახ. ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი, d-38/2 (3).

157 ამ გაზეთის შესახებ იხ. მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, გაზეთი „საქართველოს მოამბე“ (ინგლ. ენაზე) ქართული კულტურის შესახებ, „ცისკარი“, 1979, № 7, გვ. 130—137.

ლა...“) მიჰყვება. ოლივერის თარგმანი მეტად თავისუფალია, იგი დედანს სიტყვასიტყვით კი არ მისდევს, არამედ მის მთავარ იდეაზე, ძირითად აზრზე დაყრდნობით ქმნის ინგლისურ ვარიანტს, თუმცა, ამასთანავე, ინარჩუნებს ილიას ნაწარმოების ამაღლებულ კილოს. ო. უორდროპის თარგმანი შესრულებულია მაღალფარდოვანი ენით. მთარგმნელი ზოგან ხმარობს არქაიზმებს, რომლებიც თანამედროვე ინგლისურში აღარსად იხმარება, პოეზიის გარდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ილიას ლექსის საერთო ღირსება მაინც შენარჩუნებულია ოლივერისეულ თარგმანში, და შენარჩუნებულია მაღალმხატვრულ დონეზე[158].

---

[158] „ქართველის დედას“ ილია ჭავჭავაძისა, ინგლისური თარგმანი ოლივერ უორდროპისა, გაზ. „საქ. მოამბე, 1919, № 1, 23 თებერვალი, გვ. 4. „ქართველის დედის“ ოლივერისეული ინგლისური თარგმანი დედანს შეუდარა ახალგაზრდა სპეციალისტმა გ. გ ო კ ი ე ლ მ ა.

თავი მესამე

უორდროპები საქართველოში
(რევოლუციამდელი ქართული პრესის ქრონიკები)

რევოლუციამდელი ქართული პრესის ქრონიკები ჩვენ თვალწინ აცოცხლებენ მარჯორი და ოლივერ უორდროპების ცხოვრების იმ ბედნიერ წლებს, რომლებიც ასე თავდაუზოგავად შესწირეს მათ საქართველოს, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის შესწავლას, ინგლისურენოვანი სამყაროსთვის მისი, რაც შეიძლება უკეთ გაცნობის კეთილშობილურ მიზანს. მეორე მხრივ, ეს მასალები გვიცოცხლებენ მარჯორი და ოლივერ უორდროპების საქართველოში ყოფნის დღეებსა და ქართველ ხალხთან მათ დაუვიწყარ შეხვედრებს, აგრეთვე, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების, მთელი საქართველოს იმ სამაგიერო გულმხურვალე სიყვარულს, თანაგრძნობასა და მხარდაჭერას, რომელიც ასე უხვად მიაგეს ქართველობისთვის თავდადებულ ინგლისელ და-ძმას.

დაე, იმ გარდასულ დღეთა შესახებ თავად მოგვითხროს ქართლის ცხოვრების იმდროინდელმა მემატიანემ — ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“, გიორგი წერეთლის „კვალმა“, ანასტასია თუმანიშვილის საყმაწვილო „ჯეჯილმა“, ნინო ნაკაშიძის „ნაკადულმა“, იოსებ იმედაშვილის „თეატრმა და ცხოვრებამ“, აგრეთვე, „მწყემსმა“, „საქართველოს მოამბემ“, „დროებამ“, „თემმა“, „ცნობის ფურცელმა“, „სახალხო ფურცელმა“, „სახალხო გაზეთმა“...

* * *

მარჯორი უორდროპის სახლობა ქართველ ხალხს პირველად წარუდგინა „ივერიის“ ლონდონელმა კორესპონდენტმა

ვაზიანმა (ვარლამ ჩერქეზიშვილმა), რომელსაც ლონდონის მახლობლად, ჩიზლეჰორსტის აგარაკზე პირადად გაუცნია ინგლისელი ქართველოლოგი ქალი 1894 წლის ზაფხულში:

„ექვს მილიონ სულით დასახლებულს ლონდონში (1892 წელს „დიდს“ ლონდონში 5.633.322 სული მცხოვრები იყო) ერთი შეძლებული, საუკეთესო და სწორედ აღყვავებულ ქალაქს გარეთ სამყოფელ და საცხოვრებელ ადგილთაგანი ჩ ი ზ ლ ე ჰ ო რ ს ტ ი ა, სადაც ბინადრობს ქ.-ნი ვარდროპი.

ქალაქს გარეთ აშენებული ჩინებული საზაფხულო სადგომები და სახლებია, დიდად მოხდენილისა და მრავალგვარის ხუროთ-მოძღვრებისა, ბაღისა და ბახჩების მწვანილოვანში ჩამალული. ვისაც თავისის თვალით არ უნახავს მცენარეულობა და მშვენივრად ამწვანებული მინდორ-ველი ინგლისისა, ძნელად წარმოიდგენს, რომ ჰოლფსტრემის თბილს მდინარებასა და ჰაერის სინოტიეს ასეთი საოცარი გავლენა ჰქონდეს ამ შორეულ ჩრდილოეთ ქვეყნის მცენარეულობაზედ. ამასობაში-კი ხეხილი, განსაკუთრებით-კი, მუხა და ცაცხვი, გოლიათსავით იზრდება აქა და ეკალ-ღიჯა ამოსულ ხეხილებ გარშემო, კლდენანგრევსა და სახლებისა და ეკკლესიების კედლებზედ სასიამოვნოდ ახვეული ისე ამაღლდება ხოლმე, რომ იმისი ასეთი ზრდა არც ოსმალეთში მინახავს და არც სამხრეთ საფრანგეთსა და იტალიაში. თითქმის ყოველს ნაბიჯზედ შეჰხვდებით, რომ ოთხსართულიანი სახლების კედლები, სამრეკლოები და ეკკლესიების გუმბათები მწვანედ არის ბალახ-ხავსით მოსილი... და ინგლისელებს-კი უყვართ ეს კედლებზედ ახვეული ბალახი, რომელსაც თან ჩაურთავენ ხოლმე ვარდ-ყვავილებსა და ამერიკის ყურძენს.

ერთს ასეთს სახლში, რომელიც მწვანე ფოთოლშია ჩამალული და მეზობლად მყოფ სახლებისაგან განაწილებული, გაობლებულია ბაღითა და ბაღჩით, ვარდროპის სახლობა სცხოვრობს. როდესაც ჯერ ტალანში და შემდეგ სასტუმროში შევედი, სასტუმროში, რომელიც ინგლისელთა აწინდელს გემოვნებაზედ არის მორთული და მდიდრულის, სხვადასხვა გვარის ავეჯით მოწყობილია, ფიქრად გამიარა, ამ სახლის პატრონები წინ დამახვედრებენ-მეთქი მშრალს ზრდილობა-მართებულობას და გაზვიადებულს თავ-მომწონეობას შეძლებუ-

ლისა და კეთილშობილის კაცისას, მით უფრო, რომ ასეთი ამბავი ჩვენ ყველას ინგლისელთა შესახებ არაერთხელ გაგვიგონია და წაგვიკითხავს. მაგრამ შევხედე ოლივერ ვარდროპს, „ქართული სამეფოს" ავტორს, იმის შინაურს ტანთსაცმელს, რბილს უქუსლო ფეხთსაცმელს, პაწია, რბილს მაუდის ქუდს, ყოველსავე ამ წვრილმან მოწყობილებას ინგლისის სოფლის სადა, გართობა-შექცევით სავსე და თავისუფალ ცხოვრებისას, და ერთს წამს განმიქრა გულიდგან ყოველივე შიში.

მართლაც, თქვენის მოგზაურის დედა, ეს საუცხოო, დაუბერებელის სახის მანდილოსანი დიდის სტუმარმოყვარეობით დამიხვდა. ამ მასპინძლობის დროს არც ფრანგულ გადაჭარბებულ მოფერება-მოლაქუცებისთვის მიუმართავს, არც პრანჭვა-გრეხიაობისათვის და არც სურვილი გამოუმჟღავნებია „სხვა გვარად" თავის ჩვენებისა... არა, ყოველი მისი ყოფა-ქცევა სადა იყო, ადამიანური, მოსაწონი. პირველ სიტყვების თქმისთანავე ლაპარაკი შეეხო თქვენს მშვენიერ ქვეყანას, რომელსაც ქ.-ნი ვარდროპიც თვალყურს ადევნებს და რომლის ამბებსაც ისიც სიამოვნებით ისმენს. ეს თქვენის ქვეყნის სიყვარული თავის შვილებისაგან თუ გადასდებია. ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ თვით მისს ვარდროპი შემოვიდა...

მკითხველები, განსაკუთრებით-კი მკითხველი ქალები, რასაკვირველია, ახლა იმის მოლოდინში არიან, რომ ახალგაზრდა მეცნიერ-ქალის გარეგნობას ავუწერ. მერე როგორ ავწერო სურათი ადამიანისა და სიტყვების შემწეობით როგორ დავუყენო თქვენს მკითხველებს თვალ-წინ? თვით სიტყვის დიდთა ოსტატთა და ხელოვანთა მიერაც-კი აწერილი გმირნი ქალნი და კაცნი ფერ-მკრთალნი, კარგად დასურათხატებულნი არ არიან და ჩემის მხრივ ხომ სასაცილოც იქნება, ცოცხალის ადამიანის გარეგნობის დიდის ხელოვნებით აწერვა რომ განვიზრახო, და მერე ისიც ყმაწვილის ქალისა. მისს ვარდროპი-კი რომ ყმაწვილი ქალია — სულ ოცდაოთხის წლისაა, ხოლო ინგლისელთა აზრით-კი, ძალიან ნორჩიც არის, ეს თქვენც უწყით; ამასთან, იგი დიდად მოხდენილი და თავდაჭერილიც არის, რაც ინგლისის საუკეთესო განათლებულ დედათა თვისებას შეადგენს; არა, მისს ვარდროპი თავდაჭერილზედ მეტიც არის, იგი მეტად წყნარია და ცოტა მორცხვიც-კი, თუმ-

ცა, ამ უკანასკნელის გარემოების მიზეზი შეიძლება ჩემი, უცხოქვეყნელის იქ ყოფნაც იყო. მაგრამ ამ ტანადს, ნარნარს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვს ყმაწვილ ქალს დიდი ცოდნა აქვს, ცოდნა საკუთარის შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი. მაგალითებრ, ქართული ენა ლიტოღრაფიაში დაბეჭდილ ბროსეს გრამატიკით ისწავლა ისე, რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ გაუგონია, მხოლოდ ქართულს საბარებასა კითხულობდა. წარმოიდგინეთ, რამდენი მეცადინეობა და გულმოდგინეობა უნდა გამოეჩინა, და ესეც მაშინ, როდესაც მას ახალგაზრდობის საუკეთესო დრო უდგა, როდესაც გარს ათასი საზოგადო გასართობი, თავ-შესაქცევარი და გასამხიარულებელი ახვევია...

ვისურვოთ, რომ ამ არჩეულს ასპარეზზედ სრულიად გაემარჯვნოს და სახელი და დიდება დაემსახურებინოს"[1].

„ივერიაში" 1894 წლის 8 სექტემბერს მეველემ (დავით მიქელაძემ) რომ ილია ჭავჭავაძისადმი გამოგზავნილი მარჯორი უორდროპის მშვენიერი ქართულით დაწერილი ბარათი გამოაქვეყნა,[2] მას მალე მოჰყვა ჩიორას (არტემ ახნაზაროვის) პუბლიცისტური მგზნებარებით დაწერილი „სახელდახელო" ანუ „არც ყბად-ასაღები და არც წყალ-წასაღები ამბავი", რომელშიც ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და ილია ჭავჭავაძის თანამოსაგრე გულწრფელად წერდა:

„ნეტა ეხლა რაღას იტყვიან ჩვენი ქალები?! ძველად საქართველოში, ბალღმაც-კი იცის, წიგნის მცოდნენი ოჯახში ქალნი იყვნენ, ის „მარად ნეტარნი დედანი", რომელთაც მზითვადაც-კი ხელთ-ნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი" მიჰქონდათ ხოლმე და ეს შეადგენდა მზითვის თვალსაჩინო ნივთეულობას. მას შემდეგ დრონი იცვალნენ, ძველებურმა დიდებამ თავისი ელფერი, თავის ბრწყინვალება დაჰკარგა, მას შემდეგ „მწველელ ფურად გადავიქციეთ" თავი ჩვენი, „ის აღარ ვართ, რაც ვიყავით", ის რომ აღარ ვიქმნეთ, დიდი სიკეთე და მადლი იქნება ჩვენი ეროვნების თვით-არსებობისათვის.

---

[1] ვ. ვ ა ზ ი ა ნ ი, ინგლისის ეხლანდელი დედაკაცი, III. მწერალნი და მასწავლებელნი-ქალნი, „ივერია", 31. VII. 1894, № 163.

[2] მეველე [დავით მიქელაძე], მის მარჯორი ვარდროპი, „ივერია", 8. IX. 1894, № 191.

დიაღ, დაჰბერა ცხოვრების ახალმა სიომ და, როგორც პოეტი ამბობს, „ტკბილ-ტაროსი შეგვეცვალა“; ენა აირია, „ვეფხის-ტყაოსნის“ ადგილი პოლ დე-კოკისა და პონსონ დე-ტერაილის რომანებმა დაიჭირა, ისიც გერმანულს ენაზედ დაწერილმა; ტკბილი ქართული ენა წაირყვნა, ჩვენმა ქალმა სხვა ფრად დაიწყო ჟღურტული, ქართული იუკადრისა, აითვალისწუნა, ივანე „ვანიუხად“ გადიქცა და მარიამი „მაშინკად“.

ამ ცხოვრების „გავანიუხებასა“ და „გატერენტიებას“, რასაკვირველია, ის მოჰყვა, რაც მოსალოდნელი იყო. ქართულს ოჯახებში, მეტადრე ქალაქ ადგილას, სადაც უცხოთა გავლენას უფრო უკეთესი ნიადაგი ჰქონდა, ქართული ენა წაბორძიკდა, დაჩლუნგდა, დაბლაგვდა; ისევ არანასწავლ ქალთ თუ ჰნახავდით ტკბილის ქართულით, ისიც დროთა ვითარებისა გამო გადუხვირებულთ მოსაუბრეს, თორემ ნასწავლი ქალი სწავლასთან უეჭველად ქართულსაც ივიწყებდა. საკვირველი ის არის, რომ არც სცხვენოდათ დედა-ენის დავიწყება, თავმოსაწონებელად, საქებად მიაჩნდათ, „განათლების ნიშნადა“ სთვლიდნენ. ვისაც ესმოდა რამე და ჰგრძნობდა ამ სირცხვილს, ის კიდევ იმითი ჰმართლულობდა თავს, რომ სასწავლებლებში არ გვასწავლიან ქართულს და საიდან ვისწავლიდითო.

ამ გასამართლებელს საბუთს რომ ფეხები მოკლე აქვს და სავლელი მანძილი მცირე, ეს ყველასათვის აშკარაა, რადგან ასეთს გარემოებაში ისე უნდა იყოს საქმე მოწყობილი, რომ საძირკველი ქართულს ეხ\ს თვით ოჯახშივე ჰქონდეს ჩაყრილი და ყმაწვილი ოჯახშივე სწავლობდეს დედა-ენას საფუძვლიანად და სავსებით. ეს გამართლება მოკლე-ფეხებიანი იყო, მაგრამ მაინც სიტყვის მასალად გამოიყენებდნენ ხოლმე და „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი“ მაინც აკლდა.

ეხლა-კი ინგლისელმა ყმაწვილმა ქალმა, მისს მარეორი ვარდროპმა, ეს მიზეზიც, ეს თავის გასამართლებელი საბუთიც ჩამოართვა ჩვენს ქართველს ქალებს და ნეტა ვიცოდეთ, ამიერიდან „მიზეზ-მიზეზობას“ რაღა გაუწევს! ხომ წაიკითხეთ ამ ყმაწვილის ქალის წერილი, ილია ჭავჭავაძეს სახელობაზედ წარმოგზავნილი და შეუმოკლებლად, სავსებით დაბეჭდილი „ივერიის“ მე-191 №-ში. წერილი კარგის ქართულით არის

დაწერილი, ისეთის კარგის ქართულით, რომ ნეტა საქართველოს ყველა ყმაწვილმა ქალმა შესძლოს ასე დაწერა.

მერე როგორ უსწავლია ეს ქართული მისს მარჟორი ვარდროპს? ი, რას გვაუწყებს ამ ყმაწვილის ქალის შესახებ ბ.-ნი ვ. ვაზიანი, ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტი:

მისს ვარდროპი ყმაწვილი ქალია — სულ ოცდაოთხის წლისაა, ხოლო ინგლისელთა აზრით-კი ძალიან ნორჩიც არის; ამასთან იგი დიდად მოხდენილი და თავ-დაჭერილია, რაც ინგლისის საუკეთესო განათლებულ დედათა თვისებას შეადგენს; იგი მეტად წყნარია და ცოტა მორცხვიც-კი, მაგრამ ამ ტანადს, ნარნარს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვს ყმაწვილ ქალს დიდი ცოდნა აქვს, საკუთარის შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი. მაგალითებრ, ქართული ენა ლიტოგრაფიაში დაბეჭდილ ბროსეს გრამატიკით ისწავლა, ისე, რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ გაუგონია, მხოლოდ ქართულს სახარებასა კითხულობდა. წარმოიდგინეთ, რამდენი მეცადინეობა და გულ-მოდგინეობა უნდა გამოეჩინა, და ესეც მაშინ, როდესაც მას ახალგაზრდობის საუკეთესო დრო უდგა, როდესაც გარს ათასი საზოგადო გასართობი, თავ-შესაქცევარი და გასამხიარულებელი ახვევია... (იხ. „ივერია“, № 163).

ახლა რაღას იტყვით, ქალბატონნო, მშვენიერნო და არა-მშვენიერნო, ტურფანო და ჰაეროვანნო არსებანო?! თუ ინგლისელმა ყმაწვილმა ქალმა შესძლო ლონდონში, ქართულის ერთის სიტყვის გაუგონრადაც-კი, ასე ლამაზად შესწავლა ქართულის ენისა, ნუთუ აქ, საქართველოში, თქვენ არ შეგიძლიანთ ქართული შეისწავლოთ, ის ენა, რომლის „ნანათიც“ ურწევია დედას თქვენი აკვანი, რომელიც დაბადებითვე ყურში გაქვთ ჩაწვეთებული?!. სდუმთ განა, სდუმთ იმიტომ, რომ ალარა გეთქმით-რა, მაგრამ აქ დუმილი არ კმარა, მიჰბაძეთ ჩქარა თქვენს უცხოელს დას, შეისწავლეთ ქართული ენა და თქვენც განითავისუფლეთ თავი სირცხვილისაგან და ჩვენი ქვეყანაც ააშორეთ სირცხვილს.

საიდუმლოდ ერთს ამბავსაც გეტყვით: როგორც ყური მოვკარით, ქართველს ყმაწვილს კაცებს, რომელთაც-კი მისს მარჟორი ვარდროპის წერილი წაუკითხავთ, გადაუწყვეტიათ, რომ არც ერთი ქართველი ქალი არ შევირთოთ, თუ საფუძვლიანად არ იცის ქართული ენაო.

ეხლა რაღას იტყვით, ნუთუ არც ეს გასჭრის?!"[3].

ჩიორას ამ ფელეტონმა დიდი კამათი და „ივერიაში" ქართველი არისტოკრატი ქალების (ეკ. გაბაშვილი, მ. დემურია, ბ. სულხანიშვილი, ბ. ხერხეულიძე, ნ. ყიფიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, მ. საგინაშვილი და სხვ.) არაერთი გამოხმაურება გამოიწვია[4].

ამასობაში, 1894 წლის 24 ოქტომბერს თბილისს მეორედ ეწვია ოლივერ უორდროპი, რაც თავის მკითხველს მაშინვე აუწყა ილია ჭავჭავაძის „ივერიამ":

„სამი დღეა, რაც ქალაქში ჩამოვიდა ლონდონიდგან ინგლისის მწერალი ბატონი ოლივერ ვარდროპი. პატივცემულმა უცხოელმა აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ქართულის ისტორიის და მწერლობის შესწავლას მიჰყო ხელი. ბ.-ნმა ვარდროპმა კიდეც დაბეჭდა საქართველოს შესახებ თხზულება, რომელსაც ეწოდება „საქართველოს სამეფო". ეხლა ინგლისელი მწერალი ჩამოსულა ჩვენში ქართული ენის შესასწავლად. ჩვენს საზოგადოებას დიდი ხანია ღრმა პატივისცემა ჰქონდა კეთილშობილის ალბიონის შვილისა და ეხლა კი რაკი ბატონი ვარდროპი დარჩება აქ, ქართველს საზოგადოებას, უეჭველია, არაერთხელ ექმნება შემთხვევა დაუმტკიცოს თავისი უგულითადესი პატივისცემა და სიმპატია. საგანგებოდ ბატონი ვარდროპი მოელის თავისს დას ქ.-ნს მარეორი ვარდროპს, რომელიც თავისს ძმასავით დიდის სიამოვნებითა და გულმოდგინებით სწავლობს ქართულს ენასა და მწერლობას. ჩვენის გაზეთის მკითხველი, უეჭველია, კარგად იცნობს ამ საპატიო ახალგაზრდა ინგლისელ მწერალ ქალს, რომლის წერილის გამო ამჟამად დიდი კამათობა აქვთ ქართველს ქალებს ატეხილი. ამ ქალის ვინაობა და ღვაწლი საკმაოდ გვქონდა აწერილი ჩვენს გაზეთში და ამიტომ საჭიროდ აღარა ვსთვლით იმის განმეორებას"[5].

---

[3] ჩ ი ო რ ა [არტემ ახნაზაროვი], სახელდახელო (არც ყბად-ასაღები და არც წყალ-წასაღები ამბავი), „ივერია", 11. IX. 1894, № 193.

[4] იხ. „ივერია", 1894, №№ 209, 213, 221, 224, 229, 233; 235; 240, 244, 246, 248, 256.

[5] ახალი ამბავი, „ივერია", 27. X. 1894 წ., № 227.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, 1894 წლის ოქტომბერში თბილისში მეორედ ჩამოსულ ოლივერ უორდროპს მაშინ მარჯორი თან არ ხლებია. რაც შეეხება მანამდე, კერძოდ 1887 წელს, ოლივერ უორდროპის თბილისში, და, საერთოდ, საქართველოში პირველად ყოფნის დროს, სამწუხაროდ, მაშინდელ ქართულ პრესაში ინგლისელ სტუმარზე არაფერი არ დაბეჭდილა. ამ ხარვეზს ავსებს კ. ანდრონიკაშვილის მოგვიანებით გამოქვეყნებული ერთი მოგონება:

„მე ვიყავი გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე, როდესაც გავიცანი ოლივერ უორდროპი.

ეს იყო მისი პირველი ჩამოსვლა თფილისში.

ერთ დღეს იმ ბავშვთა პანსიონში მამადავითის მოედანზე, სადაც მე მქონდა ბინა (ამ პანსიონის გამგეებათ იყვნენ ლევან ვაჩნაძე და მწერალი პუბლიცისტი-ქალი თ. შიდლოვსკაია) გაზეთში წავიკითხეთ განცხადება, რომ ჩამოსული თფილისში ერთი ინგლისელი ეძებს ინტელიგენტურ ოჯახს რუსული ენის შესასწავლად. პანსიონის გამგეებმა აცნობეს ინგლისელს თავისი პირობები და შეუთვალეს მისამართი.

ამ მისამართით მობრძანდა უორდროპი პანსიონში. ჩვენ ბავშვებს არასდროს არ გვენახა ინგლისელი და ძალიან გვაინტერესებდა მისი მოსვლა.

უორდროპის მოსვლისთანავე ჩვენ ყველანი ოთახებიდან გამოვცვივდით.

ჩვენ წინ წარმოსდგა მაღალი, გამხდარი კაცი, გრძელი მკლავებით, მოგრძო ცხვირით, ფრიად სათნოიანი თვალებით.

ჩვენ, ბავშვები, ჯერ განზე დავდექით და მოკრძალებით ვუცქერდით ინგლისელს.

მან ტკბილად გაგვიღიმა. ამ ღიმილმა ჩვენ სწრაფად მოგვისყიდა და ინგლისელს შემოვეხვიენით. მიეხვდით, რომ მას ჩვენი უფროსების ნახვა უნდოდა. გავუძეხით წინ და შევიყვანეთ მისაღებ ოთახში, სადაც დაუხვდნენ პანსიონის გამგენი. ბავშვები ოთახიდან გამოგვრეკეს. ჩვენ აივანზე დავრჩით. იმედს არ ვიკარგავდით, რომ სტუმარი ინგლისელი გახდება ჩვენი ოჯახის წევრათ.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენი უფროსები გამოვიდნენ მოსულ სტუმრით აივანზე და გამოგვიცხადეს, რომ მის-

ტერ ოლივერ უორდროპი დღეიდან ჩვენი პატივსაცემი სტუმარი იქნება.

ჩვენ ყველამ მოწიწებით თაეი დავუკარით, გულში სიამოვნება ვიგრძენით.

უმეტეს დროს უორდროპი ატარებდა პანსიონში. ალბათ, რუსული ენის შესასწავლად, ხშირად ბავშვებში ტრიალებდა.

პანსიონში უფროსები და ბავშვები ვსადილობდით ერთ სუფრაზე.

მე გახლდით ნებიერი მწერალი ქალისა შიდლოვსკაიასი.

სადილობის დროს მის გვერდით ვიჯექ. ჩემს პირდაპირ ადგილი დაიჭირა ოლივერ უორდროპმა.

ალბათ, ამ გარემოებამ მიაქცია ჩემზე მისი ყურადღება და ერთხელ შეეკითხა შიდლოვსკაიას ფრანგულად: „ვინაა ეს ბავშვიო?“. პასუხათ მიიღო: „ეს ჩემი ნებიერია, პატარა თავადი“.

ამ დღიდან მე უორდროპისაც ნებიერი შევიქენ, დამიახლოვდა. მაძლევდა ინგლისურ ენაზე პატარა ჟურნალებს ზედ წარწერებით: „ჩემ პატარა მეგობარ კოტეს“.

მე ინგლისურისა არა მესმოდა რა, მაგრამ მაინც მოწიწებით ვართმევდი და ვინახავდი. მესმოდა, რომ ეს საჩუქარი იყო დიდი ბრიტანეთის შვილისა. მაშინ ინგლისზე მქონდა ცოტა წარმოდგენა.

ჩვენ ბავშვებს გვაკვირვებდა უორდროპის ნიჭი: ორ თვეში ისე შეისწავლა რუსული ენა, რომ თავისუფლად ლაპარაკობდა. პანსიონში ბავშვები ყველა ქართველები ვიყავით. რადგან უორდროპი ხშირად ჩვენთან ატარებდა დროს, ქართულიც ნელნელა შეისწავლა... უორდროპს შეუყვარდა ქართველები მათი გულახდილობით და გულწრფელობით, მოსწონდა ქართული ჩაცმულობა. ერთ დროს კიდევაც ატარა ჩერქესკა.

ასე თავის პირველ ჩამოსვლაზე საქართველოში უორდროპი გაეცნო ქართველთა გარეგნულ კულტურას, ზნე-ჩვეულებას, ყოფა-ცხოვრებას და დაბრუნდა ლონდონში...“[6].

კ. ანდრონიკაშვილის მოგონებას სარწმუნოს ხდის აგრეთვე თ. შიდლოვსკაიასა და ლევან ვაჩნაძის ოლივერ უორდრო-

---

[6] კ. ანდრონიკაშვილი, ოლივერ უორდროპის მოსვლა (მოგონება), „ერთობა“, 1. IX. 1919, № 196.

პისადმი გაგზავნილი იმდროინდელი ბარათები, რომლებიც დღეს ოქსფორდშია დაცული (wardr. C—27)[7].

როგორც ვთქვით, 1894 წლის ოქტომბერში თბილისში მეორედ ჩამოსული ოლივერ უორდროპი ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. 1894 წლის 12 ნოემბერს „ივერია“ აქვეყნებს ასეთს „ახალ ამბავს“:

„გუშინ-წინ, 10 ნოემბერს, საღამოზედ, ქართველმა ყმაწვილ-კაცობამ ვახშამი გაუმართა სასტუმრო „პურ-ღვინოში“ ინგლისელს მწერალს მისტერ ოლივერ ვარდროპს, რომელსაც მთელი თხზულება აქვს დაწერილი ინგლისურს ენაზედ საქართველოს შესახებ და ამ ჟამად საქართველოში ჩამოსულია ქართული ენის შესასწავლად. ჩვეულებრივი სადღეგრძელოები წარმოსთქვეს ვახშამზედ ქართულსა, რუსულსა და ფრანგულს ენაზედ. თვით მისტერ ოლივერ ვარდროპმა ქართულადა სთქვა: „დიდად მადლობელი ვარ. ამ შვიდის წლის უკან ვიყავი საქართველოში. შვიდი წელიწადია, რაც საქართველო სულით და გულით მიყვარს... ორი სიტყვა კიდევ: შრომა და ერთობა და საქართველო ბედნიერი იქნება“. ნადიმს შეექცნენ ნაშუაღამევამდე“[8].

თბილისს იმავე დღეს მოსულა მარჯორი უორდროპის ინგლისიდან საქართველოში გამომგზავრების ამბავი:

„როგორც ჩვენ შევიტყეთ, ინგლისელი ყმაწვილი ქალი მისს მარჯორი ვარდროპი, მთარგმნელი ინგლისურს ენაზედ ქართულის ბრაკებისა და „განდეგილისა“ უკვე წამოსულა ინგლისიდან და საქართველოში აპირებს ჩამოსვლას. მისი ძმა, ბ.-ნი ოლივერ ვარდროპი, რომელიც ამჟამად ტფილისში იმყოფება, დის შესახვედრად მიდის სტამბოლში“[9].

თბილისში მყოფი ოლივერი ცხოველ ინტერესს იჩენს ქართული თეატრისადმი. კერძოდ, 27 ნოემბერს, ქართული თეატრის სეზონის გახსნის დღეს, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინთან ერთად იგი დასწრებია ქართულ წარმოდგენებს: „პატარა კახი“

---

[7] იხ. დ. ბ ა რ ე ტ ი, უორდროპის კოლექციის კატალოგი.., ოქსფორდი, 1973, გვ. 315—316.

[8] ახალი ამბავი, „ივერია“, 12. XI. 1894 წ., № 241.

[9] იქვე.

და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“. მანოელიძე (არტემ ახნაზაროვი) „ივერიით“ მკითხველს აუწყებს:

„ქართულს წარმოდგენებსაც დაეწყო სეზონი. კვირას, 27 ნოემბერს პირველად გაიღო კარი ქართულის თეატრისა, სადაც „ამხანაგობის დასი“ ჰმართავდა წარმოდგენას. წარმოდგენად ამოერჩიათ ისტორიული დრამა თ. აკაკი წერეთლისა „პატარა კახი“ და ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“:

...დამსწრეთა შორის ჩვენ შევნიშნეთ ჩვენი ინგლისელი სტუმარი ბ.-ნი ოლივერ ვადროპი და მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტი ბ.-ნი ალექსანდრე ივანეს ძე იუჟინი (სუმბათაშვილი)“[10].

ქართველი საზოგადოებრიობის მოლოდინი გამართლდა. 1894 წლის 3 დეკემბერს „ივერია“ მკითხველს ამცნობდა:

„დღეს, შაბათს, 3 დეკემბერს, დილით ჩამოვა ტფილისში ლონდონიდგან მისს მარჯორი ვარდროპი, რომელიც ისე თანაგრძნობით ეკიდება ყოველსავე ქართულს და იმ აზრით არის ჩვენს სამშობლოში წამოსული, რომ ქართული ენა უფრო სავსებით შეისწავლოს. ყმაწვილს ქალთან ერთად მოდის იმისი ღედაც მისის ვარდროპი“[11].

თუ როგორი შეხვედრა მოუწყო ქართველმა საზოგადოებრიობამ მარჯორი უორდროპს, სამწუხაროდ, ამის შესახებ იმ-ღროინდელი პრესა არაფერს გვეუბნება. სამაგიეროდ, ჩვენ მოვიხმობთ ილიას მეუღლის — ოლღა ჭავჭავაძის 1894 წლის 4 დეკემბერს ცნობილი ქართველი მწერალი ქალის — ეკატერინე გაბაშვილისადმი გაგზავნილ ბარათს:

„ძვირფასო ქალბატონო კატო!

დღეს საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოდის ინგლისელი ქალი მარჯორი უორდროპი, რომელსაც სურს სთარგმნოს ინგლისურად „ვეფხვის-ტყაოსანი“ და ზოგიერთი ქართული პოეზიის შედევრები.

ილია გთხოვთ ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ მცხეთის სადგურზე უორდროპის შესახვედრად. თუ ინებებთ წამოსვ-

---

[10] მ ა ნ ო ე ლ ი ძ ე [არტემ ახნაზაროვი], თეატრის მატიანე, „ივერია“, 29. XI. 1894 წ., № 252.

[11] ახალი ამბავი, „ივერია“, 3. XII. 1894 წ., № 256.

ლას, საღამოს რვის ნახევარზე მობრძანდით ჩვენთან და იქიდან ერთად გავემგზავროთ მცხეთას"[12].

თვითონ ეკატერინე გაბაშვილის მოგონებით, „მე კარგად ვიცოდი, ვინც იყო მარჯორი უორდროპი და, რასაკვირველია, აღტაცებით შევეგებე ამ წინადადებას, მოვემზადე წასასვლელად.

ჯერ რვის ნახევარიც არ იყო, როდესაც ჭავჭავაძიანთ კარებთან ზარი დავრეკე. კარის გაღების უმალ სიხარულით ბვირბინე კიბეზე (მაშინ ილია სცხოვრობდა თავისი დის ელისაბედ საგინაშვილის გრუზინსკისაგან ახლად შეძენილ სახლში, ავჭალის ქუჩაზე).

გავიარე ოდნავ განათებული დიდი დარბაზი და შევედი [ილიას დის] ლიზას პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც დიდის გემოვნებით იყო მორთული... კუთხეში პატარა მაგიდაზე თვალწარმტაცი ყვავილების უშველებელი თაიგული იდგა (უთუოდ ძვირფასი სტუმრის მისართმეევად)... ტახტზედ ისხდნენ მდიდარი ქართული კაბებით და სარტყელ-გულისპირით გამოწყობილნი სამი მანდილოსანი: კნეინა სალომე — ლევან ჯანდიერის მეუღლე, ცნობილი მშვენიერი ბაბალე — კნეინა ბარათაშვილისა, და დიასახლისი — ელისაბედ საგინაშვილისა (ილიას და, გენერალ საგინაშვილის ქვრივი). ქალები კრიალოსნებს ათამაშებდნენ და მეგობრულად ბაასობდნენ. ჩემს შესვლაზედ დარბაისელი კნეინები, რასაკვირველია, არ გარჯილან ფეხზე წამოსადგომად, მხოლოდ ალერსიანი ღიმილით მითხრეს: „გაუმარჯოს ჩვენს კატოს". ელისაბედმა მიმიწვია თავის ახლოს, სავარძელში დაჯდომა მთხოვა, ამასთან, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თუ რამდენად შესაფერად ვიყავ ჩაცმული წასასვლელად.

იმავ წამს მეორე ოთახიდან ჩქარის ნაბიჯით გამოვიდა ოლღა და მისთვის ჩვეული სისადავით, მეგობრულად გადამეხვია: „წარმოიდგინეთ, ილია ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა" — გვითხრა შეწუხებული ხმით. მერე მომიბრუნდა მე და ილიას

---

[12] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი — № 23452; შდრ. გ. მ ი ხ ე ლ ი ძ ე, ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძის სტუმრები საგურამოში, „საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები", I, თბ., 1958, გვ. 37.

დაგვიანების მიზეზის ასახსნელად თქვა: — ილია კვირაობით ყოველთვის დათიკო სარაჯიშვილთან სადილობს. იქვე იკრიბებიან ის პირნი, რომელთაც ილიასთან საზოგადო საქმეზედ სალაპარაკო აქვთ რამე და ბაასის დროს ნელ-ნელა ღვინოს შეექცევიან. მეშინია, როგორც ჩვეულებრივ, დღესაც სადილი არ გაგრძელდეს და ილიას არ დაუგვიანდეს, — სთქვა ოლღამ და გავიდა საჩქაროდ ოთახიდან.

პატარა ხანს უკან ლაზათიანად გამოწყობილმა მოახლემ ჩაი შემოგვიტანა და გვახარა, რომ კნიაზი უკვე მობრძანდა, თან ეშმაკურად ჩაიცინა და დაუმატა: შექეიფიანებული ბრძანდება, თავის ოთახში შებრძანდა და ყელსახვევი შეიხსნა.

ჯერ ჩაის სმას არც კი შევდგომოდით, რომ ოთახში ხელიხელჩაკიდებული ილია და ოლღა შემოვიდნენ. ილიას საყელოგახსნილ პერანგზედ თავისი საყვარელი გარუსის ჭრელი ჯუბა გადაეცვა. ოლღამ ხარხარით წარმოგვიდგინა ილია, რომელიც „გადაკრული“ კაცის ღიმილით ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა...

ჩაის მოხტანი მოახლე ისევ შემოვიდა: „ეტლები უკვე გეახლნენო“...

პირველი კლასის კუპეში სწორედ მესამე ზარის დარეკვის დროს შევედით... რესორებიანი ვაგონი ნელის რხევით ირყეოდა, მატარებლის მონოტონური გუგუნი... დამაძინებლად მოქმედებდა და ჩვენც გამოურკვეველმა ბურანმა შეგვიპყრო. უცებ გაისმა მატარებლის გაგრძელებული წივილი მცხეთის სადგურის მიახლოვებისას.

ილია თოფნაკრავივით წამოხტა, საჩქაროდ გაიხადა პალტო და რაწამს მობრუნდა, ოლღამ ქაღალდზედ გაშლილი მორთულობა — შავი სერთუკი, ნარნარი პერანგი და ყელსახვევი მიაგება. ილიამ ოდნავი სიამოვნებით წარბი შეარხია და პაკეთი ჩამოართვა და საჩქაროდ საპირისფარეშო ოთახში გავიდა. ჩვენც დავფაცურდით. გადასასვლელად გავემზადეთ. ილიაც საჩქაროდ შემობრუნდა, მორთული, გაბრწყინებული მთელის თავისის მიმზიდველობის ძლიერებით. მხოლოდ ერთის წამით ჩაჯდა, მაგიდაზედ ხელი დააყრდნო, ოდნავ თავი დახარა და ღრმად ჩაფიქრდა. უთუოდ, სტუმრის მისასალმებლად მოსამზადებლად.

მატარებელი ქშენით და შიშინით სადგურის ბაქანთან შე-

ჩერდა. ბათუმის მატარებელი რამდენიმე წამით იდრე შეჩერებულიყო. ხალხი გაჩქარებული მიეშურებოდა ბუფეთისაკენ, ჩვენც გავეშურენით დარბაზისაკენ და ოთახის შუა ალაგას შევხვდით ოლივერ უორდროპს თავის დით, არა მშვენიერს, მაგრამ დიდის სიმპატიით აღსავსე, სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც დიდის სიწრფელით და სასიამოვნო ღიმილით მოგვეგება.

— ილია, ჩვენი თანამგზავრი ილია, მხოლოდ წამის წინად ძილიდგან გამოფხიზლებული, ახლა ნამდვილი ინგლისელი ლორდ-მერის ღირსებით იდგა ამ ყმაწვილ ქალის წინ და თავისებურის დარბაისლობით აღჭურვილი მარგალიტივით აკინძულ მისასალმებელ სიტყვას მოახსენებდა...“[13]

ეკატერინე გაბაშვილის ამ მოგონებას ავსებს თვით მარჯორი უორდროპის საქართველოში მაშინდელი მოგზაურობის დღიურების ერთი ადგილი:

„საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა მცხეთაში შეევედით, ძველ სამეფო დედაქალაქში, სადაც მეოთხე საუკუნეში წმ. ნინომ ქრისტიანობა იქადაგა და მეფე მირიანსა და მთელ საქართველოს მიაღებინა სარწმუნოება, რომლისთვისაც ასე მამაცურად იბრძოდა ივერიელი ერი.

მცხეთაში შევხვდით რამდენიმე კეთილშობილ ქართველს, რომლებიც შემოგვხვდნენ, რომ მოგვსალმებოდნენ და თან გაგვყოლოდნენ თავის დედაქალაქისაკენ. მათ შორის იყვნენ დიდი პოეტი თავადი ილია ჭავჭავაძე მეუღლით და დით და ეკატერინე გაბაშვილი, სახელგანთქმული მწერალი ქალი. მანძილი მცხეთიდან თბილისამდე მალე გავიარეთ და თერთმეტის ნახევარზე ჩამოვედით. დაღლილობას არ ვგრძნობდით, ვნანობდით მხოლოდ, რომ ეს სასიამოვნო მგზავრობა [ბათუმიდან თბილისამდე] დასასრულს მიუახლოვდა“[14].

მცხეთაში დაუვიწყარ შეხვედრას მარჯორი თოთხმეტი წლის შემდეგაც იგონებდა, რაც კარგად ჩანს 1908 წლის 21 მარტს

---

[13] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მოგონება: ილიასთან მოგზაურობა მცხეთას ინგლისელი მწერალი ქალის მარჯორი უორდროპის შესახვედრად, ლიტ. მუზ. № 23452-ბ.

[14] ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-ურ უ შ ა ძ ე, ნარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 36.

ბუქარესტიდან ოლღა ჭავჭავაძისადმი გამოგზავნილ წერილში: „არასოდეს არ დავივიწყებთ ილია და ილიას ცოლი და და. როდესაც პირველად გჰნახეთ მატარებელში მცხეთაში, თოთხმეტი წელიწადია, იმ წამში ყველა ჩამაჩნდი გულში და იქაც დარჩით სანამდის ცოცხალი ვიქმები"[15].

ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობებით დოკუმენტურად ზუსტდება, რომ 1894 წლის დეკემბერში საქართველოში პირველად ჩამოსვლისას მარჯორი უორდროპს თან დედაც ხლებია, ხოლო რამდენიმე თვით ადრე ჩამოსული ოლივერი დას და დედას აქედან სტამბოლში დახვედრია[16].

თბილისში ინგლისელი სტუმრები საყოველთაო ყურადღებით არიან გარემოსილნი:

„ეს ორი დღეა, რაც გვესტუმრა პატივცემული ინგლისელი მწერალი მისს მარჯორი ვარდროპი დედითურთ.

ეს საპატიო ასული ინგლისისა, ახლა საქართველოშია, რომლისასაც, როგორც იწერებოდა იგი ლონდონიდგან, „გულწრფელ სიყვარულს ჰგრძნობს".

იმედი გვაქვს ქართველი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ამ უცხო ახალგაზრდა ქალის სიყვარულს ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის მწერლობისას, რომელსაც იგი გულმოდგინედ სწავლობს...

მისს ვარდროპმა, როგორც ნათქვამი გვქონდა წინად, ქართული ენა ლონდონში შეისწავლა და მხოლოდ შემდეგ განიზრახა საქართველოში ჩამოსვლა. უეჭველია, ამ ყმაწვილს ქალს ექნება შემთხვევა გაიცნოს ჩვენი საზოგადოება", — წერდა „ივერია"[17].

ან კიდევ:

„კვირას, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის სულის მოსახსენებლად. მწირველად იყო მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელმაც შესაფერი და გრნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდის შესრულე-

---

[15] წერილები, გვ. 137.

[16] შდრ. ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-უ რ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 33.

[17] ახალი ამბავი, „ივერია", 6. XII. 1894 წ., № 258.

ბის დროს ჰგალობდნენ სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეები. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. აქვე იყვნენ ჩვენი ინგლისელი სტუმრები: ოლივერ ვარდროპი თავისს დედითა და დითთურთ"[18].

ცნობილმა ქართველმა პოეტმა ქალმა განდეგილმა (დომინიკა ერისთავმა-მდივანმა) მარჯორი უორდროპს უძღვნა საკუთარი ლექსი, რომელიც „ივერიაში" გამოქვეყნდა 1895 წლის 19 იანვარს:

„ზამთრის სუსხი სდგას: მთა-ბარსა
თეთრი ზეწარი ჰფენია,
სავარდ-ყვავილო ბულბულსა
ჯერ ბარსად დაუსტვენია!..

შორს მიჩქმალულა სადღაცა
გულით კოდილი მგმინავი
და სდუმს ტრფიალი ვარდისა
მისი ყმა, მისთვის მსტვინავი...

როდის-ღა მოვა მერცხალი,
მახარებელი გულისა,
ჭიკჭიკ-ყღურტულით მფრინავი
მორბედი გაზაფხულისა,

რომ მან ზამთრისგან ჩაგრულთა
გული დაატკბოს, ახაროს
და გაზაფხული, ცქრიალა,
მოგვიკისკასოს, გვახაროს!..

მაგრამ რას ვნატრობ! აჰა, ის,
ის კურთხეული ფრინველი,
ღმერთთან თავმდები ერისა,
გალობით მსხვერპლის მწირველი!

გადმოფრენილა შორიდგან,
მოსულა ჩვენსა ზღუდესა,
დაჰყურებს ზამთრის სუსხისგან
დანგრეულს ბულბულთ ბუდესა...

ემზერს და თანაც ჭიკჭიკებს:
„დღე უმოკლდება ზამთარსო,

[18] ახალი ამბავი, „ივერია", 13. XII. 1894 წ., № 263.

კოპწია, ცელქი აპრილი
თქვენთან სასტუმროდ მზად არსო...

იხარეთ!.. თქვენსა მთა-ბარსა
კვლავ ნახავთ ყვავილოსანსო,
ჩანგი კვლავ აუქღერდება
თქვენს გულ-დაწყვეტილ მგოსანსო!..

ნუთუ მერცხალო, ზამთარსა
თოვლ-სუსხი გაუწბილდება
და ჩემი ტურფა მამული
სულ ახლად აბიბინდება?!

თუ ეს ასეა, დიდებით
თაყვანს ვცემ შენსა ინდოსა
და, ვფიცავ, ჩემმა მთა-ბარმაც
შენ წრფელის გულით გინდოსა!..“[19].

უორდროპები საქართველოში ორ თვეს დარჩენილან: აქედან 1894 წლის დეკემბრის პირველი სამი კვირა თბილისში დაჰყვეს, ხოლო ბოლო დღეები და 1895 წლის იანვარი დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ, იმერეთსა და გურიაში გაატარეს.

საქართველოში თავისი პირველი მოგზაურობა მარჯორი უორდროპმა საკმაოდ ვრცლად აღწერა ხელნაწერ დღიურებში: „შენიშვნები 1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“, რომელიც დღეს ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება,[20] ხოლო ქართულად თარგმნა და 1958 წელს გამოაქვეყნა ლ. თაქთაქიშვილმა-ურუშაძემ[21].

მარჯორის ამ დღიურებით შესაძლებლობა გვეძლევა ზუსტად აღვადგინოთ ინგლისელი და-ძმისა და მათი დედის საქართველოში პირველი ერთობლივი მოგზაურობის მარშრუტი:

---

[19] გ ა ნ დ ე გ ი ლ ი [დომინიკა ერისთავი-მდივანი], *** (ეუძღვნი მისს მარჯორი ვარდროპს), „ივერია“, 19. I. 1895, № 13.

[20] მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი, შენიშვნები საქართველოში მოგზაურობაზე 1894—95 წლებში (ხელნაწერი).

[21] მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი, შენიშვნები 1894—95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ, თარგმნა ლ. თაქთაქიშვილმა-ურუშაძემ, „ცისკარი“, 1958, № 11, გვ. 146—155; გადაბეჭდილია წიგნში: ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-ურ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 35—49.

ბათუმი — თბილისი — ქუთაისი — გელათი — მოწამეთა — ნიგოითი — ჯუმათი — სუფსა — ოზურგეთი — შემოქმედი — ბათუმი, ხოლო ბათუმიდან ოდესაში, ოდესიდან კი ლონდონს გამგზავრებულან.

...ბათუმს გემით მიახლოებული ინგლისელი ქალის დღიურში ასეთი პირველი სტრიქონები ჩნდება:

„ჩვენი გემი ბათუმის ნავსადგურს უახლოვდება. რიჟრაჟი იყო და ქალაქი ბურუსში გახვეულიყო, მაგრამ დროდადრო შორეული მთები მაინც გაიელვებდნენ.

ეს იყო ჩემთვის პირველი ხილვა ქვეყნისა, რომელსაც ხშირად ვიხატავდი ჩემს გონებაში — ღამის ჩვენებებსა თუ დღის ოცნებებში, მას შემდეგ, რაც გამეღვიძა ინტერესი საქართველოს უძველესი სამეფოს, მის მშვენიერ სანახაობათა, მისი მამაცი და ლამაზი მკვიდრების, მისი მდიდარი ლიტერატურისა და, ყველაზედ მეტად, მისი სევდიანი, მაგრამ დიდებული ისტორიისადმი. ვნატრობდი იმ დღეს, როდესაც შევიძლებდი ვწვეოდი ადგილებს, რომელთა შესახებ ბევრს ვკითხულობდი და ვფიქრობდი, სადაც, ალბათ, შევხვდებოდი იმ პოეტებს, რომელთა ნაწერებს ჩემთვის ბევრი სიამოვნება მოუნიჭებიათ.

საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანა იყო და სწორედ ახლა შევდიოდი ამ მომაჯადოებელი ქვეყნის საზღვრებში“.

ბათუმიდან თბილისამდე მატარებლით მგზავრობის პოეტური აღწერის შემდეგ მარჯორი უორდროპი გაოცებული რჩება თბილისის ხილვით:

„თბილისი, სადაც სამი კვირა გავატარეთ, მომხიბლავი ქალაქია, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის დამახასიათებელი ნიშნებით. ინგლისელებს გააოცებდა საუკეთესო ქართული ოჯახების ფუფუნება და დახვეწილი გემოვნება; გააკვირვებდა მაღაზიები გოლოვინის პროსპექტზე, რომელიც რეგენტ სტრიტს წააგავს. მეორეს მხრივ, თუკი ერთს საათს გაატარებთ აღმოსავლურ ბაზარში, ნახავთ შავგვრემან სპარსელებსა და ჰაიკის შვილებს, რომლებიც ფეხმორთხმული სხედან თავიანთ საქონელთან და გამვლელებს ეპატიჟებიან.

თბილისის საუკეთესო ხედები წმ. დავითის მონასტრიდან — მთაწმინდიდან და ბოტანიკური ბაღიდან იშლება. ამ

უკანასკნელის სახელწოდების ისტორია მეტად უცნაურია: თავდაპირველად ქართველებმა მას ბატონის ბაღი უწოდეს, ვინაიდან იგი მათ მეფეს ეკუთვნოდა; როცა შემოვიდნენ რუსები, რომელთაც ქართული ენა არ ესმოდათ, „ბატონის ბაღის“ ნაცვლად მას „Ботанический сад“ უწოდეს და ახლა ის მართლაც ბოტანიკურ ბაღად იქცა. შენობათა სახურავები მეტწილად ბრტყელია, შეღებილია ლურჯად, ცისფრად და ძალზე ლამაზია. ციხე-სიმაგრე გადმოსცქერის ქალაქის შუაგულში მიმდინარე „მშვიდსა და მღვრიე“ მტკვარს... თბილისში ბევრი რამ არის საინტერესო. იქ არის რამდენიმე უძველესი ტაძარი. სიონი... უდიდესია მათ შორის, რომლის საკურთხეველის წინ დასვენებულია სუროს ორი რტოსაგან წმ. ნინოს თმით შეკრული ჯვარი, რომელიც მუდამ უწმინდესი რელიკვია იყო საქართველოში. მეტეხის ციხე-სიმაგრის ეკლესიაც აგრეთვე მე-5 საუკუნეს მიეკუთვნება, იქ განისვენებს წმ. შუშანიკი, მეფის წამებული ასული. მუშტაიდი მშვენიერი ბაღია მტკვრის ნაპირზე... თბილისში რამდენიმე თეატრია და თბილისელები, ისევე როგორც ყველა ქართველი, გართობის მოყვარულნი და გულმხიარულნი არიან. ქართული თეატრი ეროვნული დრამატურგების პიესებით საზრდოობს და მას მრავალი ნიჭიერი მსახიობი ჰყავს.

საქართველოში მრავალია მწერალი, რომელთა შორის ბევრია მწერალი ქალიც, რაც აღმოსავლეთისათვის უჩვეულო რამაა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველი ქალები უდიდეს გავლენას ახდენდნენ მთელ ერზე. ეს, ალბათ, ქრისტიანობის ადრეულ მიღებას უნდა მივაწეროთ... ქართული ენა შესანიშნავად ემორჩილება რიტმსა და რითმას. საქართველოში თითქმის ყველა ადამიანი ბუნებით მელექსეა...“

მარჯორი უორდროპი აქვე გვიხატავს მისდროინდელი სამი უდიდესი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ივანე მაჩაბლის შესანიშნავ პორტრეტებს:

„უამრავ ქართველ მწერალთა შორის თავად ილია ჭავჭავაძეს უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი არა მარტო პოეტია, არამედ ნოველისტიც, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი, ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთ „ივე-

რიის“ რედაქტორი. მისი ლექსები ღირსშესანიშნავია აზრის დიდებულებითა და ენის სიდარბაისლით, მისი ნაწარმოებები ღრმა პატრიოტიზმით სუნთქავენ. ბუნების მგზნებარე მოსიყვარულე და ამ ბუნების მიერვე შთაგონებული, იგი იგონებს თავისი ქვეყნის წარსულ დიდებას და ვერცხლისფერი არაგვის პირას დასტირის წარსულს, იგონებს იმ დღეებს, როცა იქ გრგვინავდა მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ხმა; იხსენებს, თუ რა ხშირად შეღებილა არაგვის ანკარა წყალი თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლით. როცა გაზაფხული მიწას ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს, პოეტი ნატრობს იმ დღეს, როცა მისი საყვარელი მამულიც აყვავდება.

თავადი აკაკი წერეთელი თანამედროვეთაგან ისევე ღრმად პატივცემული პოეტია, როგორც ილია ჭავჭავაძე. მისი მუზა უფრო მსუბუქია. მას მხიარულება უყვარს და თავის ძლიერ სატირას იყენებს აწმყოს გასაკრიტიკებლად. აკაკი თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის იღვწის და არაჩვეულებრივად პოპულარულია.

ინგლისელთა მხრივ უდიდესი ყურადღების ღირსია თავადი ივანე მაჩაბელი, როგორც შექსპირის შესანიშნავი მოწაფე. მან ბრწყინვალედ თარგმნა ქართულად შექსპირის რამდენიმე პიესა, რომლებმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა“.

მათთან ერთად, მარჯორი უორდროპმა მოგვცა დაუვიწყარი სახე შესანიშნავი ქართველი სასულიერო მოღვაწისა და მქადაგებლის — გაბრიელ ქიქოძე-ეპისკოპოსისა (1825—1896), რომელსაც ქუთაისში უორდროპები ესტუმრნენ 1895 წლის იანვარში:

„იმერეთის ახლანდელი ეპისკოპოსი თუმც მთლად თმადათოვლილი მოხუცია, მაგრამ მისი ძლიერი გავლენა არასოდეს განქარდება. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ორ ტომად, რომელიც გამოირჩევა ჰუმანურობით, ენის დახვეწილობითა და აზრით დიდებულებით, თბილისში გამოქვეყნდა (1865 წ.) და მას შემდეგ ბევრჯერ ხელახლა გამოიცა (1884—85 წწ.). აწ განსვენებულმა მალანმა ამ ქადაგებათაგან ზოგიერთი ინგლისურად თარგმნა (1867 წ., ოქსფორდი). არასოდეს დამავიწყდება ჩვენი სტუმრობა გაბრიელ ეპისკოპოსთან. ის თავის სამუშაო ოთახში იჯდა. მნახველი გულდამშვიდებით ვერ

შეხედავდა მისი მშვენიერი ცხოვრების დაისს. თმა თოვლივით გათეთრებოდა, თვალებსაც დაკარგვოდათ ახალგაზრდული ცეცხლი, მაგრამ მის დახეულ ნაკვთებში გამოსჭვიოდა კმაყოფილების მშვიდი გამომეტყველება, რაც იმ სიცოცხლის დასასრულზე მეტყველებდა, რომლის განმავლობაშიც ის ხალხს მხოლოდ სიკეთისაკენ მიუძღოდა".

აქ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს ამის შემდეგ, მართლაც, დიდხანს აღარ უცოცხლია: იგი გარდაიცვალა 1896 წლის 26 დეკემბერს. ეს სწორედ ის გაბრიელ ეპისკოპოსია, რომლის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძე ამბობდა:

„...დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ-ბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება... აი ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც-კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთადკი, მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა... მე. არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო, თუ სამღვდელო, — რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება... იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა... დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინის-ცემითა და მადლის ფენითა... დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად"[22].

---

[22] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 250 შდ.

1894 წლის დეკემბერში, თბილისში სამი კვირით ყოფნის შემდეგ, 1895 წლის იანვრის პირველი დღეები უორდროპებს იმერეთში გაუტარებიათ. მარჯორის დღიურებში ვკითხულობთ:

„ჩვენ იმერეთში ვართ, რომანტიულ ქვეყანაში. აქ, ქუთაისში, უძველეს ქუთაისში, კოლხეთში, რიონის ჩრდილოვან ტყეებს შორის მოსულა იაზონი ოქროს საწმისის საძებრად. აქ ჰპოვა მან ის განძიც, რომელსაც დიდხანს ეძებდა და აქვე ჩასჩურჩულებდა სიყვარულის ზღაპრებს მშვენიერ ჯადოქარ მედეას.

აი, აქ უფატრავდა გულს ზევსის სასტიკი ბრძანებით კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს ზეცის ფრთოსანი ძაღლი. მრავალი ძველი ლეგენდა შემოუნახავს გლეხთა მეხსიერებას. ერთი მათგანი არის ლეგენდა ამირანის შესახებ, რომელიც სხვა არა არის რა თუ არა კლასიკური მოთხრობა პრომეთეს შესახებ. მედეა და იაზონი დღემდე საკუთარ სახელებად იხმარება საქართველოში და თქვენ შეხვდებით ტელემაქს, იუნონას და ვენერასაც კი ამ საინტერესო ქვეყნის ლამაზ მკვიდრთა შორის.

ქუთაისი ერთ-ერთი საინტერესო ქალაქია. მას საუცხოო მდებარეობა აქვს. იგი მკერდზე ეკვრის რიონის დაბლობს, რომელსაც გარს ყოველი მხრიდან მაღალი მთები აკრავს. ქალაქს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები გადმოჰყურებს, ცოტა მოშორებით კი, ტყით დაფარულ გორაკზე ჩიტის ბუდესავით მოჩანს გელათის მშვენიერი თეთრი ტაძარი..., რომელიც მეფე დავით აღმაშენებლის მიერაა აგებული მე-11 საუკუნეში. მეტად ძნელი სავალი გზა რიონის კლდოვან ნაპირებს მიჰყვება და საუცხოო სურათებს გვიხატავს. როგორც იქნა, თანდათან ჩამოვედით ციცაბო კლდეზე და გელათს მივადექით. გელათის შესახებ აღტაცებით წერს ბევრი ქართველი პოეტი და მართლაც ლამაზი ადგილია, შემკული მდელოებითა და ტკბილსურნელოვანი ყვავილებით. აქ... მარხია მეფე დავითი — გიგანტური ძალისა და აგებულების მონარქი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თავისი ქვეყნისათვის ახალი ძეგლების აგებისა და ძველის აღდგენის საქმეში. არსებობს გადმოცემა, რომ მას თვით აუტანია ერთ-ერთი ქვა ეკლესიის ასაგებად. ეს უზარმაზარი ლოდი დღესაც კედელშია გამოშვერილი. დავითის საფლავის ქვაზე წარწერილია სიტყვები:

„როს ნაპარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქი, სპარსნი და არაბნი საზღუართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან ომერთა წყალთა შთამესხნეს,
ესე ამათსა მოქმედსა ჯელნი გულზედან დამესხნეს“.

დავითის შვილთაშვილი იყო ბრწყინვალე დედოფალი თამარი, რომლის მეფობა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ოქროს ხანაა. ზოგი ფიქრობს, რომ ისიც აქვე უნდა იყოს დაკრძალული...

გელათიდან სამი მილის მოშორებით მდებარეობს მოწამეთას (წამებულთა ადგილი) მონასტერი, რომელიც მე-11 საუკუნეში აუგია ბაგრატ დიდს. მონასტერი ხიდით უკავშირდება გარე სამყაროს. კლდე, რომელზედაც აღმართულია შენობა, ნახევარკუნძულს წააგავს. ხეებითა და სუროთი დაფარულ კლდეს ჩამოუდის სწრაფი წყალწითელა (ასე უწოდებენ მდინარეს, ვინაიდან ნიადაგის ქანების გამო, წითლად იღებება). ამაზე უფრო უდაბურსა და განმარტოებულ ადგილს ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი. აქ განისვენებენ დავით და კონსტანტინე, ორი ქართველი წმინდანი. გადმოცემის მიხედვით, მტრებთან ბრძოლაში მათი სისხლით შეღებილა მდინარის ტალღები და ამიტომაც დაურქმევიათ ამ მდინარისათვის „წყალწითელა“. სიკვდილის წინ გმირებს უთხოვიათ ღვთისთვის, რომ მათი სხეული გაუხრწნელად შეენახა და მათთვის კი განმკურნებელი ძალა მიენიჭებინა. დღესაც ბევრი გადმოცემა არსებობს იმ სასწაულების შესახებ, რაც მათი შეხებით ხდებოდა“.

იმერეთიდან უორდროპები გურიას სწვევიან. მარჯორის დღიურებს ახალი სტრიქონები ემატება:

„ქუთაისელებს დავპირდით, რომ კვლავ დავბრუნდებოდით, დავტოვეთ იქაურობა და ჩვენს თავაზიან მასპინძლებთან ერთად ვეწვიეთ თავად მაჭუტაძის მეუღლეს ნიგოითში. ეს ქალი ინგლისელია, თავისი სიკეთისათვის დიდად პატივცემული. იგი დღენიადაგ ზრუნავს თავის გლეხებზე, გულისხმიერი ადამიანია და გლეხობაც ავადმყოფობისა თუ გასაჭირის დროს მას ხშირად მიმართავს რჩევისა და ნუგეშისათვის. მისი შვილები ისევე თავისუფლად ლაპარაკობენ ინგლისურს, როგორც ქართულს. მაჭუტაძეები დიდი სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლდნენ“.

ვინ არის ეს „გულისხმიერი ინგლისელი ქალი“, „ნიგოითელი თავად მაჭუტაძის მეუღლე?“

ამის შესახებ მარჯორი უორდროპი, მართალია, სახელდებით არაფერს გვეუბნება, მაგრამ მაჭუტაძეთა საგვარეულო გადმოცემით, რომელიც ე. ნეფარიძეს მოუძიებია, იგი უეჭველად — ჰანა||ანა ტარსეი უნდა იყოს (იხ. „საქართველოს ქალი“, 1971 წ., № 2, გვ. 20; „კომუნისტური შრომა“, 20. III. 1971, № 33; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 17. X. 1981, № 124). ჩვენ მოგვიხდა აღგვედგინა ანა ტარსეის ნამდვილი ბიოგრაფია ჩვენამდე მოღწეული პირველწყაროების, კერძოდ, ლევ ტოლსტოისა და მისი ოჯახის წევრთა მოგონებების, დღიურებისა და პირადი წერილების გათვალისწინებით:

ანა ტარსეი დაბადებულა 1845 წელს, ლონდონში. იგი ყოფილა ვინძორის სამეფო სასახლის მებაღის ქალიშვილი, რომელიც ლევ ტოლსტოის თავისი შვილების აღმზრდელად მოუწვევია ლონდონიდან 1866 წელს, ერთი ნაცნობი ინგლისელი პასტორის დახმარებით. იასნაია პოლიანაში ანა ტარსეი ჩამოუყვანია მის უფროს დას — ჯენის, რომელიც მეზობელ თავად ლვოვების ოჯახის გუვერნანტი იყო (სხვათა შორის, მისი აღზდილია გ. ე. ლვოვი — შემდეგში დროებითი მთავრობის პრემიერი).

ანა ტარსეი იასნაია პოლიანაში 1866—72 წლებში ცხოვრობდა და ლევ ტოლსტოის უფროს შვილებს ზრდიდა (მაშინ ლ. ტოლსტოის უკვე ჰყავდა სერგეი, ტატიანა, ილია, ლევ და მარია). თავისი არაჩვეულებრივი სათნო ხასიათითა და შინაგანი კულტურით, ანა ტარსეის ტოლსტოის ოჯახის წევრთა ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. ის კი არა და ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია მას თავისი სახელოვანი მამისა და დედის გვერდითაც კი აყენებს:

„სამ ადამიანს ვუმადლი მე განსაკუთრებით ჩემს ბავშვობას: მამას, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩვენს ცხოვრებას და გვიქმნიდა იმ პირობებს, რომლებშიც ჩვენ ვიზრდებოდით; დედას, რომელიც ამ პირობებში ალამაზებდა ჩვენს ცხოვრებას ყველა იმ საშუალებით, რაც კი მას შეეძლო, და ანას, ჩვენს ინგლისელ აღმზრდელ ქალს, რომელმაც ჩვენს ოჯახში ექვს წელს იცხოვრა და გვაჩუქა ამდენი სიყვარული, მზრუნველობა და მტკიცე ზნეობრივი საფუძველი...

ანა ჩვენი სახლიდან მაშინ წავიდა, როდესაც მე მეცხრე წელში გადავდექი. და მის წასვლასთან ერთად გათავდა ჩემი ბავშვობაც და დამთავრდა ის უღრუბლო ბედნიერება, რომლითაც მე მანამდე ვცხოვრობდი" (მოგონებანი, მოსკოვი, 1976, გვ. 29-30).

ლევ ტოლსტოის მესამე შვილი — ილია ტოლსტოი ინგლისელ აღმზრდელთან გატარებულ ბავშვობის წლებს ასე იგონებს: „როდის ჩამოვიდა ჩვენთან ინგლისელი ანა ტარსეი, ზუსტად არ მახსოვს. მე მაშინ, ალბათ, ძლიერ პატარა ვიქნებოდი... ყოველთვის მშვიდი, კეთილი და მხიარული ანა ნათელ მოგონებად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. ჩვენ იგი გვიყვარდა და მას ყველაფერს ვუგონებდით" („ჩემი მოგონებანი", მოსკოვი, 1969, გვ. 41).

ახლა მოვუსმინოთ ლევ ტოლსტოის ცოლისდას — ტატიანა ბერსს, რომელიც ალ. კუზმინსკიზე იყო გათხოვილი და, როგორც ცნობილია, ლევ ტოლსტოიმ „ომსა და მშვიდობაში" ნატაშა როსტოვას პროტოტიპად გამოიყენა:

„ანა მე ძლიერ მომწონს, ცოცხალი, ენერგიული, ბავშვებთან მარჯვე და მხიარულია. სონია (ლევ ტოლსტოის მეუღლის — სოფიო ანდრიას ასულის შინაურული სახელი. — გ. შ.) მისით ძლიერ კმაყოფილია. ასევე მოსწონს იგი ლევ ნიკოლოზის ძესაც, ბავშვები უკვე შეეგუენ მას" (იხ. ტ. კუზმინსკაია, ჩემი ცხოვრება შინ და იასნაია პოლიანაში, ტულა, 1973, გვ. 403, 417, 426, 427).

დეიდის ამ სიტყვებს ადასტურებს მწერლის უფროსი ქალიშვილი — ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია: „მამაჩემმა ანა გამოიწერა პირდაპირ ინგლისიდან ჩვენთვის, სამი უფროსი შვილისთვის (სერიოჟა, ტანია, ილია). მამა ფიქრობდა, რომ ყველაზე საუკეთესო ლიტერატურა, განსაკუთრებით საბავშვო, ინგლისურია. მას სურდა, რომ ჩვენ ინგლისური გვესწავლა, რათა ეს წიგნები დედანში გვეკითხა...

მე იგი მახსოვს მუდამ მხიარული, მუდამ მხნე, მუდამ მშრომელი, — ზამთარ-ზაფხულ სუჯა ღია ფერის ჩითის კაბასა და წინსაფარში გამოწყობილი...

პირველი, რაც მან ჩვენთან შემოიღო, — ეს იყო ბავშვების ყოველდღიური ბანაობა. ამისათვის მან გამოიწერა აბაზანა

ინგლისიდან, რომელიც დღესაც დგას იასნაია პოლიანაში. ამის მერე მან ყურადღება მიაქცია იატაკების სისუფთავეს, როცა ნახა, რომ ჩვენთან არ იცოდნენ იატაკის სუფთად მორეცხვა. მან ინგლისიდან საგანგებოდ გამოიწერა ჯაგრისები იატაკების მოსარეცხად და თვითონვე რეცხავდა იმით იატაკს ჩვენს საბავშვო ოთახში. ინგლისიდანვე გამოიწერა მან ჩვენთვის ციგურები, რომლითაც სრიალი გვასწავლა" (მოგონებანი, მოსკოვი, 1976, გვ. 40—42).

ლევ ტოლსტოისადმი სხვადასხვა დროს მიწერილ წერილებში სოფიო ანდრიას ასული არაერთხელ მოიხსენიებს ანა ტარსეის (იხ. ს. ა. ტოლსტაია, წერილები ლ. ნ. ტოლსტოისადმი, მოსკოვი-ლენინგრადი, 1936, გვ. 67—70, 74, 80, 91, 93, 98, 103, 107, 109—112, 114, 117, 125). აი, მაგალითად, როგორ აღწერს იგი იასნაია პოლიანაში 1866 წლის 12 ნოემბერს ანა ტარსეის პირველად ჩასვლას იმხანად მოსკოვში მყოფ ლევ ტოლსტოისადმი მიწერილ, იმავე დღით დათარიღებულ წერილში:

„ჩემო საყვარელო მეგობარო ლიოვა! წარმოიდგინე, ახლა, სადილის წინ, უცებ მოგვადგა ლვოვების მაღალი, გრძელი ინგლისელი ქალი თავისი დით — ჩვენი ინგლისელით. მე სიცხე ამივარდა, ახლაც გონება მერევა, და აღელვებისაგან თავი მტკივა, არ ვიცი, როგორ უნდა გადმოგცე ყველაფერი ეს? ის ისეთია, როგორსაც მე მოველოდი. ძლიერ ახალგაზრდაა, საკმაოდ სათნო და სასიამოვნო სახე აქვს" (გვ. 67-68).

ანა ტარსეის სათანადო ადგილი უჭირავს სოფიო ანდრიას ასულის „დღიურებშიც" (იხ. ს. ა. ტოლსტაია, დღიურები, I-II, მოსკოვი, 1978, გვ. 80, 86).

მოსკოვიდან იასნაია პოლიანაში ახალდაბრუნებული ლევ ტოლსტოი ასე უზიარებს ანა ტარსეის გაცნობით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას გ. ს. ბაშილოვს 1866 წლის 19 ნოემბერს გაგზავნილ წერილში: „ყველანი ჯანმრთელად დამხვდნენ და ინგლისელი ქალითაც ძლიერ კმაყოფილი ვარ" (ლ. ტოლსტოი, თხზულებათა სრული კრებული 90 ტომად. ტ. 61, მოსკოვი, 1953, გვ. 151). 1870 წლის მარტში ლევ ტოლსტოი დ. ა. დიაკოვს სწერს: „ანა წავიდა, მაგრამ, ალბათ, მალე დაბრუნდება... მას ძლიერ სურს ჩვენთან ყოფნა და ჩვენც

იმედს არ ვკარგავთ. ბავშვები დარდობენ მასზე, განსაკუთრებით, ტანია“ (იქვე, გვ. 231), ხოლო 1873 წლის აპრილში ტ. ა. კუზმინსკაიასადმი მიწერილ ბარათში ლევ ტოლსტოი პირდაპირ ამბობს: „კნეინერმა (ტულელი ექიმი, რომელიც ლ. ტოლსტოის მკურნალობდა. — გ. შ.), ერთხელ, როგორღაც, ანაზე საუბრისას შენიშნა, ასეთი ქალი არ მინახავსო, და საერთოდ, ყველა ასე ფიქრობს ანას შესახებ, ვინც მას იცნობს და სხვებს ადარებს“ (ტ. 62, გვ. 22).

რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, ანა ტარსეი ლევ ტოლსტოის „ანა კარენინას“ ერთ-ერთი მოქმედი გმირის პროტოტიპად გამოუყენებია: სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „ანა კარენინაში“ ანას აღზრდილ ინგლისელ გოგონას ლ. ტოლსტოიმ, ანა ტარსეის მიხედვით, მისი სახელი დაარქვაო (იხ. ს. ა. ტოლსტაია, წერილები ლ. ნ. ტოლსტოისადმი, მოსკოვი-ლენინგრადი, 1936, გვ. 69).

იასნაია პოლიანაში ცხოვრების ბოლო წლებში ანა ტარსეის ჯანმრთელობა სერიოზულად შერყეულა, მას ციება შეჰყრია. ამ ამბით შეწუხებული სოფიო ლევ ტოლსტოის არაერთხელ სწერს:

„1871 წ. 21 ივნისი.

საწყალი ანა კვლავ უქეიფოდ არის, როგორ მინდა, რომ გამოვაკეთო. იგი კიდევ უფრო გახდა“ (წერილები, გვ. 98).

„1871 წ. 28 ივნისი.

...ანა ისევ ავად არის, მას კვლავ ციება სჭირს და სტკივა სახე და კბილები“ (წერილები, გვ. 103).

ლ. ტოლსტოიც უპასუხებს: „როგორ მაწამებს მისი ავადმყოფობა“ (ტ. 83, გვ. 132).

როგორც ირკვევა, ლევ ტოლსტოი იძულებული გამხდარა ანა ტარსეი ჭუთაისში, თავის ცოლისდასთან — „ნატაშა როსტოვასთან“ ანუ ტატიანა ბერსთან გამოეგზავნა გამოსაჯანმრთელებლად.

საქმე ის არის, რომ ტატიანა ბერსის (1846—1925) ქმარი — ალექსანდრე მიხეილის ძე კუზმინსკი (1843—1917) სამართალმცოდნეობის სასწავლებლის დამთავრების (1864 წ.) შემდეგ გამომძიებელი იყო ტულის საოლქო სასამართლოში. ამ დროს გაიცნო მან ლევ ტოლსტოის ცოლისდა — ტატიანა

ბერსი, რომელიც მაშინ მეტწილად იასნაია პოლიანაში ცხოვრობდა. ლევ ტოლსტოიმ კი, როგორც ცნობილია, სწორედ 1860-იან წლებში დაწერა „ომი და მშვიდობა“ და ნატაშა როსტოვას პროტოტიპად მასთან მცხოვრები თავისი ცოლისდა — ტატიანა ბერსი გამოიყენა. 1867 წელს ტატიანა ბერსი დაქორწინდა ალ. კუზმინსკიზე. ამის შემდეგ ალ. კუზმინსკი სხვადასხვა დროს მუშაობდა პეტერბურგისა და განაპირა მხარეების სასამართლო უწყებებში. 1871 წლიდან იგი ჯერ თბილისშია, 1872 წლიდან კი უკვე ქუთაისში მსახურობდა სასამართლოს მოხელედ და ოჯახიც თან ახლდა. აი, სწორედ მათთან გამოგზავნა ლევ ტოლსტოიმ ანა ტარსეი.

ამის შემდეგ, ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაიას სიტყვებით, „იასნაია პოლიანასა და ქუთაისს შორის გაცხოველებული მიმოწერა გაჩაღდა“ (მოგონებანი, მოსკოვი, 1976, გვ. 117).

ლევ ტოლსტოისა და სოფიო ანდრიას ასულის მიერ იასნაია პოლიანადან ქუთაისში გამოგზავნილი ბარათებიდან ვიგებთ, თუ რა დიდი ყურადღებით ადევნებდნენ ისინი თვალს ანას ჯანმრთელობას, თან რა მოუთმენლად მოელიან მის იასნაია პოლიანაში დაბრუნებას.

სოფიო ანდრიას ასული თავის დას — ტატიანას — ანას შესახებ სწერდა: „იყო დრო, როცა სიხარულსაც და მწუხარებასაც — ყველაფერს მე მას ვანდობდი...“, ან კიდევ: „მიხარია, რომ ანა უკეთესად არის. სთხოვე უფრო ხშირად და უფრო მეტი მოგვწეროს თავისი ჯანმრთელობის შესახებ. ჩვენ ყველანი ბევრს ვსაუბრობთ და მუდამ ვფიქრობთ მასზე“; „ტანიას ძლიერ სურს ქუთაისში წამოსვლა. ამბობს: მთელი ჩემი ბედნიერება იქაოო“ (მოგონებანი, გვ. 117).

ლევ ტოლსტოი, თურმე, ძლიერ განიცდიდა ანა ტარსეისთან განშორებას. ა. ფეტისადმი გაგზავნილ წერილებში იგი არაერთხელ ჩიოდა: „ჩვენ ყველანი, მადლობა ღმერთს, კარგად ვართ, მაგრამ ახალი უბედურება გვეწვია: წავიდა ჩვენი ინგლისელი ქალი“, „ანა მიდის კუზმინსკებთან ერთად ქუთაისში. და ჩვენ მარტონი დავრჩით ბავშვებთან“ (იხ. ლევ ტოლსტოი, მიმოწერა რუს მწერლებთან, ტ. I, მოსკოვი, 1978, გვ. 402, 418).

ქუთაისში, „ნატაშა როსტოვას“ — ტატიანა ბერს-კუზ-

მინსკაიას ოჯახში მცხოვრები ინგლისელი ქალი — ანა ტარსეი მოსწონებია და 1874 წელს ცოლად შეურთავს ქართველ თავადს დიმიტრი გიორგის ძე მაჭუტაძეს (იხ. ს. ა. ტოლსტაია. წერილები ლ. ნ. ტოლსტოისადმი, მოსკოვი-ლენინგრადი, 1936, გვ. 69).

ლევ ტოლსტოის უფროსი ქალიშვილი ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „...1874 წლის გაზაფხულზე მივიღეთ ანას დის — ჯენის წერილი, საიდანაც გავიგეთ, რომ ანა თხოვდებოდა ქართველ თავად მაჭუტაძეზე.

ამ ცნობამ ყველანი განგვაცვიფრა. როგორ? ანა თხოვდება?! ამას კი ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდით და აღარ ვიცოდით, გაგვეზიარებინა ეს სიხარული, თუ პირიქით, გავნაწყენებულიყავით.

ვაფრინეთ წერილები ქუთაისში და იქიდანაც მალე მივიღეთ პასუხი: ანა გვწერდა, თუ როგორ მოხდა მისი დანიშვნა და გვეპატიჟებოდა ქუთაისში.

ჩვენ, რასაკვირველია, შევპირდით, რომ ვესტუმრებოდით და, ჩვენის მხრივ, ვიწვევდით მას და მის ქმარს იასნაია პოლიანაში.

როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ანას თაფლობის თვეები სულაც არ ყოფილა ბედნიერი. მისი ქმრის მშობლები ძლიერ უკმაყოფილონი დარჩენილან ღარიბ უცხოელ ქალზე შვილის დაქორწინებით (როგორც მაჭუტაძეთა შთამომავლები გადმოგვცემენ, სიღარიბე აქ არაფერ შუაში ყოფილა, თურმე პატარძლის სარწმუნოებრივი სხვაობა იწვევდა შეშფოთებას: ურჯულო სახლში როგორ უნდა შემოვუშვაო, — იძახდა თურმე განრისხებული თავადი მაჭუტაძე. — გ. შ.). მაგრამ ახალგაზრდა თავადიშვილმა თავის მშობლებს ყური არ დაუგდო და მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ დაქორწინდა ანაზე.

რადგანაც მოხუცმა თავადმა — გიორგი მაჭუტაძემ და მისმა კნეინამ თავიანთ ვაჟიშვილს საარსებო წყაროს მიცემა შეუწყვიტეს, ახალგაზრდები ცალკე ცხოვრობდნენ და პირველ ხანებში ძლიერ უჭირდათ. ანა იმას დარდობდა, რომ მისი მიზეზით შვილი მშობლებს დააშორა.

ისინი თურმე პირველი შვილის დაბადებამ შეარიგა. როდესაც მოხუც თავადს უთხრეს, შვილიშვილი — ვაჟი შეგეძი-

ნაო, თან დარწმუნდა, რომ ანა იყო მოსიყვარულე და მოკრძალებული, თავმდაბალი ქალი, მიიყვანეს ახალგაზრდა ცოლქმარი შინ, შეურიგდნენ მათ და ერთად დაიწყეს ცხოვრება.

მოხუცი მაჭუტაძეები ცხოვრობდნენ ქუთაისის მახლობლად. (ლ. ტოლსტოის ქალიშვილი აქ ნიგოითს გულისხმობს. — გ. შ.) — მათთან დასახლებული ანა ისე აქტიურად ჩაება საოჯახო საქმეში და ისე კარგად წაიყვანა იგი, რომ მოხუცმა დედამთილმა და მამამთილმა მთელი ოჯახი მას ჩააბარეს.

იქ, ქუთაისის მახლობლად, თავისი ქმრის მამულში გაატარა ანამ მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება.

იასნაია პოლიანადან წასვლის პირველ ხანებში ჩვენ მასთან ხშირი მიმოწერა გვქონდა, რაც თანდათან, მართალია, უფრო იშვიათი გახდა, მაგრამ მაინც ბოლომდე გრძელდებოდა.

ანა გვწერდა, რომ იმედოვნებდა ოდესმე „ძვირფას ძველ იასნაიას“ კვლავ მონახულებას და თავისი გოგონას ჩამოყვანასაც გვპირდებოდა.

არც ერთ ნატვრას ახდომა არ ეწერა! სერიოჟას გარდა, ჩვენი ოჯახიდან იგი აღარავის უნახავს. მხოლოდ სერიოჟას ერგო ერთხელ წილად ეს ბედნიერება... უკვე დავაქაცებულმა, როცა საქმეზე იყო კავკასიაში, მოინახულა ჩვენი მოხუცი აღმზრდელი ქალი. მშურდა სერიოჟასი და იმედს არ ვკარგავდი, რომ ოდესმე მეც მომეცემოდა შემთხვევა მისი ნახვისა.

მერე მოვიდა ამბავი, რომ იგი სერიოზულად ავადმყოფობდა, ხოლო მალე ისიც გავიგეთ, რომ ჩვენი ანა უკვე ცოცხლებს შორის აღარ იყო!

მან სიბერემდე ვერც მიაღწია, ალბათ, ორმოცდაათს დიდად არ იქნებოდა გადაცილებული“ (მოგონებანი, გვ. 157—159).

მართლაც, მაჭუტაძეზე გათხოვების შემდეგაც ანა ტარსეის რომ მიმოწერა არ გაუწყვეტია ლევ ტოლსტოის ოჯახთან, ამას მოწმობს სოფიო ანდრიას ასულის არქივში დაცული ანას 1885 წლის 7 ოქტომბრის წერილი (იხ. ლევ ტოლსტოი, თხზულებათა სრული კრებული 90 ტომად, ტ. 83, მოსკოვი, 1938, გვ. 520).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ირკვევა, რომ 1895 წლის

იანვარში გურიის სოფელ ნიგოითში უორდროპებისათვის მასპინძლობა გაუწევია თავად დიმიტრი მაჭუტაძესა და მის მეუღლეს — წარმოშობით ლონდონელ ქალს, ერთ დროს ლევ ტოლსტოის შვილების აღმზრდელს იასნაია პოლიანაში ანა ტარსეის (იხ. გ. შარაძე, გაზ. „კომუნისტი", 22.VIII.1982).

ნიგოითის შემდეგ უორდროპებს ჯერ მოუხილავთ ჯუმათის მონასტერი, შემდეგ წასულან სუფსაში, სადაც ორი დღე გაუტარებიათ გურიის მთავრის რეზიდენციაში, კერძოდ, სწვევიან ტელემაქ გურიელის, ცნობილი ქართველი პოეტის — მამია გურიელის ძმის ოჯახს.

მარჯორი ასე გვიხატავს ტელემაქ გურიელის პორტრეტს: „...გურიელი იშვიათად ატარებს ქუდს, რადგან თმა კარგად იფარავს მას ზამთრის სიცივისა და ზაფხულის სიცხისაგან. მისი განსაკუთრებით სწორი და დახვეწილი ნაკვთები გასხივოსნებულია ისეთი გამომეტყველებით, რომელშიც ჩანს ინტელექტიცა და დაუცხრომელი სულიც... ტელემაქ გურიელი მშობლიური ლიტერატურის დიდი ენთუზიასტია".

სუფსიდან ინგლისელი სტუმრები გამგზავრებულან ოზურგეთს, რომელსაც მარჯორი „გურიის დედაქალაქს" უწოდებს. „ქალაქი პატარაა, ძლივს აღემატება დიდ სოფელს, მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავიანთი სტამბა და მრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ", — დასძენს მარჯორი უორდროპი.

უორდროპები აღტაცებას ვერ მალავენ ოზურგეთთან ახლოს მდებარე შემოქმედის მონასტრის ხილვისას, „რომელიც მდინარე ბეუჟის პირას მდებარეობს და სხვა ძველ მონასტერთა მსგავსად, წინათ გამაგრებული ციხე-სიმაგრე ყოფილა. მონასტერს თურმე დიდძალი მიწა ეკუთვნოდა და მთელი გურიაც მას ემორჩილებოდა. ტაძარი ორნავიანია, განათებულია რვაკუთხოვანი თაღებით. შენობა აგურისაა, გარედან დროთა ვითარებაში ძალიან შელახულა. აქვეა გურიელთა სამარხებიც".

ოზურგეთში უორდროპების ყოფნის ქრონიკას ავსებს და აზუსტებს გაზეთ „ივერიაში" 1895 წლის 2 თებერვალს დაბეჭდილი კორესპონდენცია, რომელიც ცნობილი მესტამბის კ. თავართქილაძის მიერაა ოზურგეთიდან გამოგზავნილი:

„ოზურგეთი. 25 ამ თვეს [იანვარს] ოზურგეთში გვეწვივნენ ინგლისელი სტუმრები და-ძმა ვარდროპნი და 26-ში დაათვალიერეს შემოქმედის მონასტერი, მისი ძვირფასი დიდი სიმდიდრე და ხელოვნება. ხოლო დღეს 27 იანვარს შემოვიდნენ ჩვენს წიგნის მაღაზიაში და წიგნთ-საცავში, საიდგანაც ათითორმეტი მანეთის წიგნები წაიღეს, რომელიც თფილისში ვერ ეშოვნათ. მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩემს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც მშვენიერის ქართულის კილოთი მითხრეს: „ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები რაც გაქვთ, მოიტანეთო". ჩვენი ქართველი „ბარიშნები" და „დამები" რომ შემოდიან მაღაზიაში, მეუბნებიან: „აკაკის „საჩინენიას" შენს „ტიპოგრაფიაში" რატომ არ ჰბეჭდავო, ან კიდევ, „ნოვოსენაკის" „ტიპოგრაფიაში" უფრო „დახოდი" გაქვს თუ ოზურგეთისაშიო?" და სხვ...

აბა, ამ დროს მოდი და ნუ მოხვალ აღტაცებაში, როდესაც იმ შესანიშნავს და ჩვენზედ დიდად დაშორებულ სახელმწიფოდგან, სადაც ხსენება ქართველის არ არის, მოდის ადამიანი, რომელსაც თავისით შეუსწავლია მშვენიერი ქართული ენა და გელაპარაკება ჩინებულის ქართულის ენით: „ახალსენაკისა და ოზურგეთის სტამბების გამოცემა მომაწოდეო"! დღესვე იყო ოზურგეთის საზოგადოებისაგან სამოქალაქო კლუბში გამართული სადილი ჩვენის იშვიათის სტუმრების პატივსაცემლად, სადაც 80-ზე მეტი კაცი და ქალი დაესწრო და სადღეგრძელოზედ ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა, რომელსაც სამწუხაროდ აქ ვერა ვსწერ და ადგილიც ნებას არ მაძლევს"[23].

მართლაც, საქართველოში უორდროპებს ყველგან გულუხვ მასპინძლობას უწევდნენ. მარჯორის დღიურებში ვკითხულობთ:

„ივერიელთა სტუმართმოყვარეობაში ეჭვი არასოდეს შეუტანია ვინმეს. მათი უდიდესი პოეტი რუსთაველი ამბობს: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია" და მის თანამემამულეებს არ უღალატნიათ ამ ნაანდერძევისათვის. ქართული გამოთქმა „სტუმარი ღვთისაა" საყოველთაოდაა ცნობილი და

---

[23] კ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე, კორესპონდენცია, „ივერია", 2. II. 1895 წ., № 25.

სიძუნწე მართლაც უცხოა ქართველისათვის. ამ გულთბილ, უბრალო, წარმოსახვის დიდი უნარით დაჯილდოებული ხალხის სოციალური ცხოვრება ძალზე მიმზიდველია მათთვის, ვინც მიჩვეულია თანამედროვე ცხოვრების პირობითობას. ისეთ სასიამოვნო მყუდროებას, რომელსაც ჰპოვებთ ზოგიერთ ქართულ სოფელში, ძნელად თუ შეხვდებით სადმე. აქ გლეხებსაც აქვთ თავისი კულტურა, დამყარებული თავის კლასიკოსთა საფუძვლიან ცოდნაზე...

...ქართველებს უყვართ სტუმარი. სტუმრის პატივისცემა მათი ერთ-ერთი პირველი ღირსებათაგანია. გარდა უცხოელისადმი მათი ბუნებრივი სიყვარულისა, ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჩვენით, რადგან ჩვენ ქართული ენა შევისწავლეთ და მათ სანახავად მოვედით.

გულითად და აღფრთოვანებულ შეხვედრებს გვიწყობდნენ ყველგან და ეს შეხვედრები გვინაზღაურებდნენ იმ დიდ ცდასა და მძიმე საათებს, რაც მათი ენისა და რთული ქართული ზმნის შესწავლას მოვანდომეთ".

დაბოლოს, მარჯორი უორდროპი ოზურგეთში მათ პატივსაცემად გურულების მოწყობილ ნადიმსა და ბათუმისკენ საზეიმო გაცილებას ასე გადმოგვცემს:

„ოზურგეთიდან გამგზავრებისას ქალაქმა გამოსამშვიდობებლად წვეულება გაგვიმართა კლუბში და მე არასოდეს დამავიწყდება ამ კეთილი გურულების ენთუზიაზმი და საუკეთესო სურვილები. ყველანი გვეპატიჟებოდნენ, უამრავი ოჯახი გვიწვევდა. წვეულება ორ საათს გაგრძელდა და მხოლოდ იმის გამო წამოვიშალეთ, რომ ბათუმში მიმავალ მატარებელს უნდა გავყოლოდით. გამომშვიდობებისას კეთილი მგზავრობა გვისურვეს და ერთ-ერთმა სულმოუთქმელად დალია ადგილობრივი შამპანიურის მთელი ბოთლი. ბოლოს, თავმოყრილ სტუმართა შეძახილებით დავტოვეთ ოზურგეთი და გზას გავუდექით".

ბათუმიდან უორდროპები გემით ოდესაში ჩასულან, საიდანაც 1895 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ლონდონისკენ გამგზავრებულან. სამშობლოში მიმავალი ინგლისელი სტუმრები ოდესის რკინიგზის სადგურში გაუცილებიათ იქ მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, რაც აღწერილია გაზეთ

„ივერიაში“ 1895 წლის 21 თებერვალს გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში:

„ოდესა. ბედმა ჩვენც გვარგუნა ჩვენის ძვირფასის სტუმრების — მისს-ისა და მისტერ ვარდროპის ნახვა. მე არა მგონია საჭირო იყოს იმ გულწრფელი გრძნობის აღწერა, რომელიც ჩვენში გამოიწვია ამ იშვიათმა მანდილოსანმა, ამ ძვირფასის სტუმრის გრძნობა ჩვენის ქვეყნისა და მწერლობისადმი, რომელიც უკვე გამოთქმული ჰქონდა თავისს წერილში „განდეგილის“ ავტორთან, ჩვენ ყველამ პირადად ვსცანით და ამ გრძნობამ ყველანი აღტაცებაში მოგვიყვანა.

6-ს თებერვალს უცხო სტუმრები გაემგზავრნენ ლონდონისაკენ. რკინის გზის სადგურზედ ქალბატონს ვარდროპს აქაურმა ქართველმა ახალგაზრდობამ მიართვა მშვენიერი თაიგული, რომლის ლენტზედაც შემდეგი ლექსი იყო წარწერილი:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, რომ ის გიყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“[24].

სულ მალე, ლონდონში დაბრუნებული ოლივერ უორდროპი ინგლისის კონსულად დაუნიშნავთ ქერჩში და 1895 წლის აპრილში, თავის უმცროს დასთან ერთად, ოდესის გავლით ყირიმში ჩამოსულა და ქერჩში დაუდვია ბინა.

ამის შესახებ პირველი ცნობა უკვე 1895 წლის 3 მაისს არის გამოქვეყნებული „ივერიაში“:

„ოდესიდგან გვატყობინებენ, რომ და-ძმა ვარდროპთ გამოუვლიათ იქ და ქერჩში წასულან; მისტერ ვარდროპი ინგლისის კონსულად იქმნა დანიშნული ქერჩში. მისს ვარდროპს განზრახვა აქვს თურმე ქერჩში პრაქტიკულად იმეცადინოს ქართულის ენის უკეთესად შესასწავლად“[25].

საქართველოსთან ფიზიკურად მოახლოებული მარჯორი უორდროპი კვლავ ოცნებობს ჩვენში ხელმეორედ ჩამოსვლაზე:

„ქერჩ მოწყენილი ქალაქია და საზოგადოებაც ცოტა არის,

---

[24] კორესპონდენცია, „ივერია“, 21. II. 1895 წ., № 38.
[25] ახალი ამბავი, „ივერია“, 3. V. 1895 წ., № 93.

მაგრამ საქართველოს ახლოს ვართ და ამისთვის მომწონს. რამდენჯერ ჩვენ აღმავალთ მიტრიდატეს მთაზედ, და შავსა ზღუას ვადევნებ თვალს ვიდრემდის კიდევ ვნახავ საქართველოს დიდებული მთები წვერთა მაღალთა ყინულით შემოსილთა, მისი ტყეები და ძველებური ციხეები რომელნისა ზღუდეებს იმრგულივ ლეგენდა და ადრინდელი მოთხრობა მრავლად მოხვეული ჯერ არის; კიდევ ვნახავ ჩვენი საყვარელი მეგობრები! ვაგლახ მე, რომ მხოლოდ სიზმარია". — სწერდა მარჯორი 1895 წლის 29 ივლისს ოლღა ჭავჭავაძეს;[26] ინგლისელი ქალი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელსაც ამავე განცდებს უზიარებს ქერჩიდან 1895 წლის 27 ივლისს გამოგზავნილ წერილში: „ჩვენ ბედნიერი ვართ ამისთვის, რომ საქართველოს ასეთი ახლოს ვცხოვრობთ, და ბევრჯელ ვლაპარაკობთ თქვენს მშვენიერს ქვეყანას და ძვირფასს ერს შესახებ; მეშინიან, რომ ამ ზაფხულს ვერ შეგვიძლიან მობრუნება იქით, მაგრამ ზამთარში დიდი სურვილი მაქუს კიდევ თქვენ განახოთ",[27] ხოლო 1895 წლის 30 ნოემბრის წერილში იგი შესჩივის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს: „ქერჩში ცხოვრება სულ მოწყენილი არის; ზამთარი მოდის...

ნეტა თუ ჩვენი საყვარელი საქართველოში შეგვიძლიან მოსვლა! ვაიმე! აქ ტყვენი ვართ"[28]. ახლა ვნახოთ, რას წერდა მარჯორი ქერჩიდან ტასო მაჩაბელს 1895 წლის 26 ივლისს: „ჩვენ ბევრჯელ აღმავალთ მიტრიდატეს მთაზედ; ზღუის პირზედ, და როდესაც საქართველოსკენ თუალს ვადევნებ, კიდევ შემიძლიან ნახვა მისი მწვანით დაფენილი მთები, მისი ყინულით ნაკვეთი წვერნი, და კიდევ ვნახავ ჩემი ძვირფასი ქართველი მეგობრები",[29] ან კიდევ: „არ ვიცი როდესაც ჩვენ კიდევ საქართველოში ვიქნებით. ახლოს ვართ და მითაც, ამისთვის რომ ძნელია არის წასვლა ქერჩიდგან. ნეტა თუ მალე

---

[26] მარჯორი უორდროპის წერილები, წიგნში: ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 130 (ქვემოთ: წერილები).

[27] წერილები, გვ. 147.

[28] წერილები, გვ. 148.

[29] წერილები, გვ. 157.

ვნახო თქვენი და ჩემიც საყვარელი საქართველო და ჩვენი მეგობრები იქ!“[30].

საქართველოში პირველი მოგზაურობით მიღებულ წარუშ-ლელ შთაბეჭდილებას ამქღავნებს მარჯორი უორდროპი 1896 წლის 15 იანვარს ქერჩიდან ოლღა ჭავჭავაძისათვის გამოგზავ-ნილ წერილშიც: „ერთი დღე არასოდეს არ გავიდა, როდესაც მე არ მგონებდი თქვენზე და ვცხოვრობ იმ დროში, როდე-საც კიდევ საქართველოში ვიყო“[31].

მართალია, 1896 წლის ზამთარში, ოლივერის მოუცლელო-ბის გამო, მარჯორიმ ვერ შეძლო საქართველოში მეორედ ჩამოსვლა, მაგრამ 1896 წლის მარტში იგი უკვე ასეთ ახალ გეგმას სთავაზობს ტასო მაჩაბელს:

„ჩვენი დედ-მამა და მეორე ძმა [თომას] აპირებენ ჩვენთან ზაფხულის გატარებას და მე მგონია, რომ ორი თვეში მოვიდ-ნენ [ინგლისიდან ქერჩში]. დიდი სურვილია, რომ საქართვე-ლოშიც მოგზაურობენ ჩემთან, მაგრამ ჯერ არ ვიცი ნამდვი-ლად. დიდი სასიამოვნება ჩვენთვის იქნება მათი ნახვა“[32].

ამის შესახებ მარჯორი უფრო ადრე (1896 წლის 15 იან-ვარს) ოლღა ჭავჭავაძესაც სწერდა:

„ჩვენი დედ-მამა, და შეიძლება მეორე ძმაც, აპირობენ ჩვენთან სტუმრად ყოფნა ამ გაზაფხულს, და სურვილი მაქვს, რომ მოახერხებენ თქვენ მშვენიერ სამშობლოს ნახვას. თუ დრო არის ჩვენც მათთან მოვბრძანოთ“[33].

მართლაც, 1896 წლის აპრილში მარჯორის დედ-მამა და უმცროსი ძმა თომასი უკვე ინგლისიდან ქერჩში ჩასულან და ემზადებიან მაისისთვის საქართველოში წამოსასვლელად, რა-საც ვიგებთ ოლღა ჭავჭავაძისადმი 1896 წლის 26 აპრილს ქერ-ჩიდან გამოგზავნილ მარჯორი უორდროპის წერილიდან:

„ჩვენი დედ-მამა და მეორე ძმა მოსულ არიან ქერჩში ერთი კვირაა; ვარდობისთვეში ვაპირებთ საქართველოში მობრ-ძანებას, და მოუთმენლად ველი თქვენს ნახვას“[34].

---

[30] წერილები, გვ. 158.
[31] წერილები, გვ. 132.
[32] წერილები, გვ. 159.
[33] წერილები, გვ. 132.
[34] წერილები, გვ. 131.

ბოლოს და ბოლოს, 1896 წლის ივნისის დასაწყისში, გარდა სამსახურით გადატვირთულ ოლივერისა, უორდროპების მთელი ოჯახი ყირიმიდან საქართველოში წამოსულან ასეთი გზით: ტაგანროგი—როსტოვი—ვლადიკავკაზი—თბილისი, რის თაობაზეც დოკუმენტურ ცნობას ვპოულობთ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისადმი 1896 წლის 28 მაისს ქერჩიდან გამოგზავნილ მარჯორი უორდროპის წერილში:

„ჩვენ — დედ-მამა, მეორე ძმა და მეც ვმოგზაურეთ ქრიმში, და მომავალს კვირას ვაპირებთ მობრძანება საქართველოში. პირველათ ვაატაროთ რამდენიმე დღე ტაგანროკში, როსტოვში, და მერე წავიდეთ ვლადიკავკაზში და თბილისში. დიდათ ვწუხვარ, რომ ოლივერიც ვერ შეიძლიან მობრძანება, მაგრამ საქმე ნამეტანი არის. მოუთმენლად ველით თქვენს ნახვას, მერე ყველაფერს ახალს ვამბობ“[35].

1896 წლის 16 ივნისს უორდროპების ოჯახი უკვე თბილისშია, რადგან „კვალი“ ამ დღეს იუწყებოდა:

„ამ ჟამათ თბილისში გვეწვია ქალბატონი მარჯორი ვორდროპი თავისი ოჯახით: მამით, დედით და ძმით“[36].

„კვალის“ ამავე ნომერში პოეტი ქალი — ნინო ორბელიანი ასეთი ლექსით მიესალმებოდა უცხოელ სტუმარს:

„ვუძღვნი მარჯორი ვორდროპის ქალს

უცხოსა მხრიდან მოფრენილო
უცხო სტუმარო,
გრძნობით აღსილო, მხიარულო,
ტკბილ-მოუბარო!
ჩვენს თანამგრძნობელს, აწ ჩვენ მცნობელს
და მეგობარსა,
მეც აწ მოგიძღვნი ტკბილათ სალამს,
ქართველთ მკობარსა,
რომ ჩვენი ენა შეიყვარე და შეითვისე,
ჩვენც თანაგრძნობით, როგორც ჩვენ შვილს
გიყურებთ ისე.
შენ გსურს გააცნო უცხო ტომთა
ჩვენი ზნეობა,
წარსულთა ძველთა, ქართველთ გმირთა
ბრძოლა, მხნეობა.

---

[35] წერილები, გვ. 149.

[36] „კვალი“, 16. VI. 1896 წ., № 26.

სისხლით მორწყული საქართველო
მტერთგან დევნილი,
მამა-პაპათა მძლავრი მკლავით
აწ განდევნილი.
შენ შეგვიყვარე, შეგვიერთდი
უცხო ტომთ სქესი,
ჩვენ გულში ღრმათ არს შენი ხსოვნა
შენგან ნათესი"[37].

ერთადერთი მოგონება, 1896 წლის ივნისში უორდროპთა ოჯახის თბილისში ჩამოსვლის შესახებ, ეკუთვნის თედო სახოკიას, რომელიც 1912 წელს წერდა:

„ამ სტრიქონების დამწერი ეკუთვნის იმ ქართველთა რიცხვს, რომელთაც 1896 წლის ზაფხულს განიცადეს უზენაესი სიამოვნება ჩვენს სამშობლოში მარჯორი უორდროპის ხილვისაგან. უკვე მეორეჯერ ჩამოდიოდა სტუმრად მისთვის თითქმის მეორე სამშობლოდ გადაქცეულ საქართველოში. რუსეთიდან მომავალ მატარებელს ტფილისში მოჰყავდა თითქმის მთელი ოჯახობა უორდროპთა. თუ პირველად მარტო გვეხილა წმიდა ასული დიდებულის ალბიონისა, ჩვენის ქვეყნის სიმშვენიერით მოხიბლულს მეორეჯერ თვისი მშობლებიც წამოეყვანა თან; მე კნინ-ღა გიამბეთ ამ საოცნებო ქვეყნის შესახებ, და რის თქმაც მე ენით ვერ მოვახერხე, თქვენ თქვენის თვალით იხილეთო. გზაში აწ განსვენებულს გაეცნო რუსეთიღან საზაფხულოდ დაბრუნებული ქართველი სტუდენტები და ისე ექცეოდა თურმე, თითქო მისი ღვიძლი და დიდის ხნის უნახავი ძმები ყოფილიყვნენ. ნავთლუღის პატარა სადგურზე რამდენისამე წუთით გაჩერდა მატარებელი. დავინახე ორი ხანში შესული ადამიანი, ნამდვილ ინგლისურის სიმაღლისა, ბატონი (აწ უკვე განსვენებული) უორდროპი, მისი მეუღლე და მაღალივე, სათნო სახის და ქალისათვის უჩვეულო მაღალი შუბლის პატრონი მათი ასული, რომელიც მხურვალედ გამოეთხოვა თავისს თანამგზავრთაგანს და ტკბილად, ქართულად, მშვიდობით დარჩენა უსურვა. წამ ერთს თვალთაგან მიგვეფარა მატარებელი და მასთან ერთად ძვირფასი სტუმრები

[37] კნ. ნინო ორბელიანისა, ვუძღვნი მარჯორი ეორდროპის ქალს, „კვალი", 16. VI. 1896 წ., № 26; ამ ლექსის ავტოგრაფი აღმოჩნდა ოქსფორდს, უორდროპთა ფონდში, d 20 (23), ფ. 53.

ჩვენის ქვეყნისა. პირველი იყო და, სავალალოდ, უკანასკნელიცა ჩემთვის ძვირფასის ადამიანის ნახვა, თან წამიერიცა, გარნა მისი ალერსიანი და არა ამ ქვეყნიურ სათნოების შუქმფენი სახე იმ სახეთაგანი იყო, რომელნიც მნახველის მახსოვრობაში მკაფიოდ და წაუშლელად აღიბეჭდებიან ხოლმე. ასეთნი სახენი ცხოვრების სიმწარეთა ღრუბლებ შორის შორეულ ვარსკვლავთა მსგავსად ციმციმებენ, ნიადაგ სიამით მოსაგონარნი არიან, ნიადაგ რაღაც შვებას გვანიჭებენ, იარაზე მალამოდ გვედებიან, გვამხნევებენ და გვამეორებინებენ უკვდავის შოთას სიტყვებს, რომ „ღმერთი ბოროტს არ დაჰბადებს“, „ბოროტსა სძლია კეთილმან“ და, ვინც რა უნდა სთქვას, ქვეყანა სატრფიალოა“[38].

თბილისში მარჯორი უორდროპი დედ-მამასთან და თომასთან ერთად სასტუმრო „ლონდონში“ (დღევანდელი ათონელის ქ. № 31) გაჩერებულა, რასაც ვიგებთ 1896 წლის 21 ივნისს მარჯორის მიერ იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან[39].

თბილისიდან უორდროპები თელავს სწვევიან. ილია ჭავჭავაძეს თელავში მცხოვრებ გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — ივანე როსტომაშვილისათვის წინასწარ გაუგზავნია წერილი:

„ძმაო ვანო!

ვამგზავრებ კახეთს სასიქადულო მეგობრებს და-ძმას უორდროპებს შენთან და აბა, შენ იცი, როგორ შენებურად დაათვალიერებინებ და გააცნობ ჩვენი მშვენიერი კახეთის ძველ ისტორიულ ნაშთებს, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებას, სანახაობას და სხვას“[40].

ივანე როსტომაშვილის მეუღლე — ელისაბედი იგონებს:

„ეს წერილი 1896 წელს მიიღო ჩემმა მეუღლემ ილია ჭავჭავაძისაგან. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ინგლისელი მარჯორი უორდროპი „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი იყო და ამიტომ ამ ცნობამ საერთო სიხარული გამოიწვია.

---

[38] „სახალხო გაზეთი“; 27. VI. 1912 წ., № 635.

[39] იხ. წერილები, გვ. 172.

[40] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 23. VI. 1956 წ., № 75.

და-ძმა დიდი სიყვარულით მივიღეთ თელავში და ჩვენთან დავაბინავეთ. ინგლისელი არისტოკრატის შვილები სადა, იშვიათი ადამიანები გამოდგნენ. მარჯორი ნაზი, ჰაეროვანი ქალი იყო. იგი მშვენიერი ძველი ქართული ენით ლაპარაკობდა. და-ძმას ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი და მუდამ ერთად დადიოდნენ.

სანუკვარი სტუმრები მალე შეგვეჩვივნენ. უპირველესად გავაცანით ჩვენი ოჯახის ისტორია, ვუამბეთ, რომ 1889 წელს აქედან გავისტუმრეთ თბილისის საავადმყოფოში მძიმედ დაავადებული ალექსანდრე ყაზბეგი, რომ აქ მოგვაბარა თავისი ნაწერები პოლიციისაგან დევნილმა მუშა-პოეტმა იოსებ დავითაშვილმა და აქვე განვიცადეთ მისი უდროო სიკვდილი. მარჯორი კარგად იცნობდა ჩვენს გამოჩენილ ადამიანებს და ინტერესით სწავლობდა ჩვენს ისტორიულ ძეგლებს. დავათვალიერებინეთ ერეკლე მეორის სასახლე, ყოფილი აკადემია (იყალთოში), შუამთის მონასტერი. როცა სტუმრები ალავერდში მივიყვანეთ, დიდი პატივით დაგვხვდნენ და გვიჩვენეს საიდუმლო საგანძურები. ათასგვარი, იშვიათი სილამაზისა და ფასის სიმდიდრე გადაიშალა ჩვენს თვალწინ. ამ სანახაობამ და ალავერდის ლამაზად მოხატულმა კედლებმა განცვიფრებაში მოიყვანა მრავლისმნახველი და-ძმა. დავასწარით კახურ ქორწილზეც.

თელავის საზოგადოებამ ვეებერთელა ჭადრის ქვეშ დიდი წვეულება გაუმართა სტუმრებს. აქ იყო რევაზ ყარალაშვილი თავისი ორთანელი გლეხების გუნდით, რომელთა ომახიანმა სიმღერებმა მოაჯადოვა უორდროპები. ნადიმს მაზრის უფროსი თავადი ჩოლოყაშვილიც ესწრებოდა. ეს მოქეიფე, ბანქოს მოთამაშე, უვიცი ადამიანი, გაკვირვებით შეეკითხა მარჯორის:

— კი, მაგრამ, ასე შესანიშნავად ქართული საიდან ისწავლეთ?

— დაბადებიდან, — უპასუხა ქალმა.

— როგორ თუ დაბადებიდან?! — გაკვირვებით შესძახა თავადმა.

მარჯორიმ დინჯად აუხსნა, რომ „დაბადება“ ძველი ქართული წიგნიაო, ბატონო!

ამ საუბარმა საერთო სიცილი გამოიწვია...

ისე შემეჩვია მარჯორი, რომ გვერდიდან არ მშორდებოდა, სამზარეულოში მეხმარებოდა და უკვირდა, თავადიშვილის ქალმა ასეთი დიასახლისობა ვიცოდი და შვილებსაც თვითონ ვზრდიდი. მან სიხარულით მონათლა ჩემი პატარა გოგონა [ელენე] და ამით უფრო მიმზიდველი გახდა ჩვენი მეგობრობა.

მათი წასვლისას თავი მოიყარეს ნაცნობ-მეგობრებმა, პატივისმცემლებმა და შუამთამდე გავაცილეთ ისინი. მშვენიერი სანახავი იყო ეტლში ნაზი, მომხიბლავი ქალი, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა მხედრებით გარშემორტყმული"[41].

თელავის შემდეგ, 1896 წლის 6 ივლისს, ინგლისელ სტუმრებს ღირსეულად დახვედრია სიღნაღი. „დამსწრეთაგანის" ხელმოწერით „კვალში" გამოგზავნილ კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„სიღნაღი. ამ თვის 6-ს თელავიდან ჩვენც გვესტუმრა ჩვენი ენა-ლიტერატურის მოყვარული ქალი მარჯორი უორდროპი თავის ძმა-მშობლებითურთ. სიღნაღ-ქიზიყის ინტელიგენციამ დიდი პატივით მიიღო ძვირფასი სტუმრები. ქალაქის დათვალიერების შემდეგ სასურველი სტუმრები წაბძანდენ წმიდა ნინოს მონასტერში, იქიდან ქვემო-მაჩხაანში და ინახულეს ქიზიყის სახალხო დეპოც. სიღნაღის მაღალ მთის კორწოხის ბაღში, რომელიც ამაყათ გადაყურებს დიდებულ სურათს — ალაზნის ველს, ქ.-ნ უორდროპის საპატივცემოთ იყო გამართული სადილი, რომელზედაც დაესწრო მთელი სიღნაღის შეგნებული ქართველობა: ქალი და კაცი. სადილზე შესაფერი და საგულისხმო სიტყვები წარმოთქვეს შემდეგ პირებმა: მ. დეკანოზმა, ს. ბეგიაშვილმა, დ. მაჩხანელმა, ა. ხაინდრავამ, კ. მაღალაშვილმა, მ. ნასიძემ და სხვებმა. მომღერალთა გუნდი საქებურათ მღეროდა „თამარის დროშა გაშალეს", „აღზდეგ,

---

[41] ელისაბედ როსტომაშვილი, ერთი მომენტი ინგლისსაქართველოს კულტურული ურთიერთობიდან, „ახალგაზრდა კომუნისტი", 23. VI. 1956 წ., № 75; შდრ. ლ. ივანეარაშვილი, მარჯორი უორდროპი თელავში, გაზ. „ალაზნის განთიადი", 22. X. 1966 წ., № 125; შ. მარკოზაშვილი, მარჯორი უორდროპი, „დროშა", 1969, № 12, გვ 10; მისივე, კახეთის სასურველი სტუმარი, „სამშობლო", 1976, ოქტომბერი, № 20.

გმირთ გმირო, ნუ გძინავს", „ქართველო, ხელი ხმალს იკარ" და ტკბილი დუდუკიც მწარე კვნესით ბანს აძლევდა იმათ ტკბილ-მწუხარე ხმას. საღამოზე გაიმართა ლეკური ცეკვა და ძვირფასი სტუმრები დიდათ ნასიამოვნები ქართველთა სტუმართმოყვარობით და ქიზიყის შვენიერი ბუნების დიდებულებით, გამოემშვიდობენ ყველა იქ მყოფთ. ბევრი ქართველი ქალი და კაცი დააფიქრა საკეთილოთ ქ.-ნ უორდროპის ტკბილმა ქართულმა სიტყვა-პასუხმა. სადილის მოთავეთა შორის განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან დანი კნ. ნ. და ვ. ანდრონიკაშვილის ასულნი და ბ.-ნნი კ. ბაღაშვილი და ვ. ბეგიაშვილი.

ამ თვის 9-ს სიღნაღიდამ ტფილისში გაემგზავრა ქ.-ნი უორდროპი, რომელმაც სიღნაღის მახლობელ მინდორში, ერთ მუხის ქვეშ შეკრიბა ახლო-მახლო ყანებიდან ქართველი მუშამომკელები, გადიღო ფოტოგრაფიული აპარატით მათი სურათი, დაპატიჟა მუშები პურ-ღვინოზე, უთხრა რამდენიმე ძმური სიტყვა და დაასაჩუქრა ფულითაც. მუშებმა რომ გაიგეს ქ.-ნ უორდროპის ვინაობა, გმირულ ხმაზე უმღერეს მუშური და აღტაცებული „გაუმარჯოს" ძახილით და ქუდების ქნევით გააცილეს ძვირფასი სტუმრები"[42].

კახეთში მოგზაურობიდან თბილისს მობრუნებული სტუმრები გამოჩენილ ქართველ მწერალს — გიორგი წერეთელს ყვირილის ხეობაში, სოფელ ჭალას მიუწვევია. ზემო იმერეთში უორდროპების სტუმრობას ვრცლად მოგვითხრობს „კვალში" 1896 წლის 28 ივლისს „სტუმრის" ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი „მარჯორი ვორდროპი ყვირილის ხეობაში":

„ჩვენი მოკეთე და ქართველთა ერის მოტრფიალე ქალბატონი მარჯორი ვორდროპი თავისი დედ-მამით და ძმით ივლისის შუა რიცხვებში ეწვია გ. ე. წერეთელს სოფ. ჭალას ყვირილის ხეობაში. იმათ უკვე მოევლოთ კახეთი და ახლა ჰსურდათ შუაგული წერტილი საქართველოს ერისა, სახელდობრ, ზემოიმერეთის ხალხი ყვირილის ხეობაში გაეცნოთ თავისი ძველებური ზნე-ჩვეულებით, ხასიათით, კულტურული თვისებით და პურ-მარილით.

---

[42] „კვალი", 14. VII. 1896 წ., № 30.

სოფ. ჭალა მდებარეობით ერთი უმშვენიერესი სოფელია საქართველოში. ეს შეუყვება მდინარე ყვირილის გაღმა-გამოღმით მოგრაგნილ მთების ყელს იმის მახლობლათ, სადაც ლიხის ქედი კავკასიის დიდი მთებიდან შტოთ გამოსული, მოიხრება დასავლეთისკენ და იკეთებს მრავალფეროვან ბუნებით შემკულს უბეს. აქ შფოთავენ და ქოთვენ დაუცხრომელ ყვირილასთან სხვა მრავალი ხევის წყლებიცა. ს. ჭალაში ცხოვრობენ ბარე სამოცდაათ კომლამდე ორი წარჩინებული გვარები წერეთლებისა და აბაშიძეებისა. თუმცა ეს ორი გვარი თთ. აბაშიძეებზე და წერეთლებზე უძველესი გვარები არიან, მაგრამ დახე დროთა ვითარებას, ესენი აქ ყველანი დღეს აზნაურებათ დარჩენილან. საჩხერელი წერეთლები და თირელი აბაშიძეები ბევრათ უფრო ახალი გვარები არიან წერეთელ ჯამოსბერიშვილზე, მუშათ-ხუციშვილებზე და ჭალელ აბაშიძეებზე. ამათი წინაპარი მეთოთხმეტე საუკუნეზე ადრე ყოფილან ზემოიმერეთის და არგვეთის ბატონები. თვით ჭალის ძველი წმიდის გიორგის ეკლესიის კედლებზე არიან ამათი წინაპრები დახატულნი: აბაშ აბაშიძე, მისი ძმები ნიანია და იანკო აბაშიძეები. დღეს ეს გვარი უკან ჩამორჩენილია: მათ მოდგმაზე სხვა ახალ ტალღას გადაუვლია. იმათ შერჩენიათ მხოლოდ ერთი საერთო დიდი მამული, რომელსაც მიელის ბრწყინვალე მოშავალი, რადგან ეს მამული, როგორც ფიქრობენ, მდიდარია მადნეულობით და ნავთის წყაროებით.

ს. ჭალის საზოგადოება ბრწყინვალეთ დაუხვდა და ძველებური სტუმართმოყვარეობა უჩვენა ვარდროპის ოჯახს. ჭალელმა ქალებმა გამართეს მასპინძლობა მდინარის ყვირილის პირზე. კაცებმა დაავალეს მდინარის ტოტის გადაგდება და უჩვენეს, თუ როგორ იჭერენ ხოლმე ქალი და კაცი თევზებს დაწრეტილ წყალში. მარჯორი ვორდროპი ისე გაიტაცა ამ სანახაობამ, რომ კინაღამ თვითონაც არ გაიძრო ფეხთ და არ ჩახტა წყალში, რომ მასაც დაეჭირა თევზი ხელით ქვებს ქვეშ. შემდეგ დასხდნენ დიდ კაკალს ქვეშ მდინარის პირათ, მწვანეზე, და გაშალეს ძველებურათ ნოშოზე სუფრა. მარჯორის ოჯახისთვის იყო ცალკე ამაღლებულ ძელზე სუფრა გაშლილი, მაგრამ მარჯორი და მისი ძმა გადმოხტენ ძირს და ქართულათ მუხლები მოიკეცეს ნოშოზე. იქვე დაანთეს ცეცხლი, მოხარ-

შეს უცბათ ცოცხალი კალმახები და შეიქნა ნადიმი. ამას მოჰ-ყვა სადღეგრძელოები. ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ამკობდენ ქ.-ნს მარჯორის და მის ოჯახს შვენიერი სიტყვებით; შემდეგ გაი-მართა მრავალნაირი ძველი და ახალი ჰანგების სიმღერები: „სუფრული", „ჩონგურო", „მიწურულ იყო ზაფხული", „არა-ლო", „ორი-დელა", „ხელ-ხვავი", „ძველი მრავალჟამიერი" და სხვ. განსაკუთრებით ისახელეს თავი შვენიერი და ნამდვილი ქართული კილოს სიმღერებით. ივანე აბაშიძის ქალებმა. ბო-ლოს გაიმართა მინდორზე ლეკური, დავლური და იმერული ცეკვა-როკვა.

ჭალიდან ვორდროპის ოჯახი გადაიწვია დიმიტრი აბაშიძემ ს. სავანეს, სადაც მარჯორიმ გაიცნო ძველი, დიდებული ნა-შენი, სავანის ეკლესია ბაგრატ მეოთხის დროისა და გადიღო ფოტოგრაფიით. აქედან ვორდროპები გავიდენ საჩხერეს და დაათვალიერეს მოდინახის ციხე.

საზოგადოთ, ამ პატივცემულს ინგლისელ ოჯახს დიდათ მოეწონა ზემოიმერეთი და აღუთქვეს გ. ე. წერეთელს უფრო ხანგრძლივათ წვეევა მომავალი დროისთვის.

დაბა საჩხერეს იმათ გაათიეს ერთი ღამე თ. ბეჟან წერეთ-ლის ოჯახში და დილით გაემგზავრენ ჭიათურას. ისინი ჩქა-რობდენ, რომ ოც მკათათვისათვის წვეოდნენ ილ. ჭავჭავაძეს საგურამოს"[43].

1896 წლის 20 ივლისს „ილიაობა" დღე უორდროპებმა უკვე საგურამოში მიულოცეს ილია ჭავჭავაძეს. ამის შესახებ თედო სახოკია მოგვითხრობს:

„... ილია ჭავჭავაძე საგურამოში დიდის ამბით დაუხვ-და ინგლისელ სტუმრებს. ილიაობას მისის დღეობის მო-სალოცად მოსული ქართველი საზოგადოება ესწრაფვოდა თვისი პატივისცემა და სიყვარული განეცხადებინა იმ ადამია-ნისათვის, რომელსაც ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენ-თვის არ ეშურებოდა. უორდროპის ასული ცდილობდა თვისს ახალ ნაცნობებთან ქართულად ეგაასნა, ქართულად გაეზია-რებინა თვისნი შთაბეჭდილებანი. მხოლოდ ხანდისხან უკვირ-

---

[43] ს ტ უ მ ა რ ი, მარჯორი ვორდროპი ყვირილის ხეობაში, „კვალი", 28. VII. 1896 წ., № 32.

და, რომ თანამობაასეთა, განსაკუთრებით, მანდილოსნების, სახეზე გაკვირვების ნიშანს ჰკითხულობდა და სწუხდა, ნუთუ გარკვევით ვერ გამოვსთქვი ქართულიო. თითქო იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ლაპარაკობდა, და დიდს ხანსაც გაგრძელდებოდა მისი გაოცება და დარდიცა, რომ არ აეხსნათ ეს გაუგებრობის მიზეზი. როგორც ვიცით, განსვენებულმა ქართულის სწავლა ინგლისში დაიწყო და პირველად ისწავლა არა თანამედროვე ენა, დღევანდელი ქართველი რომ ლაპარაკობს, არამედ ენა სახარებისა, მე-IX ან კიდევ უფრო ადრინდელ საუკუნეში ნახმარი; გარქვით — გითხარით-ის მაგიერ, არ ძალმედვა — არ შემეძლოს წილ და სხვ. სტუმარს აუხსნეს ჩვენის ქალების სისუსტე ძველის ქართულის ცოდნის მხრივ და დაამშვიდეს. ამ ამბავმა არა ერთი და ორი ქალი ჩააგდო თურმე გულისხმაში, არა ერთი და ორი დააფიქრა ჩვენ მიერ დედაენის დავიწყების შესახებ. და შემდეგში უცხოელის მაგალითი თვალწინ ედგათ თავიანთის ნაკლის მამხილებლად. და აი, სწორედ ამ ძველის ქართულის ცოდნამ გაუადვილა, სხვათა შორის, განსვენებულს შეთვისება რუსთაველის ენისა, რომელიც თვით თანამედროვე ქართველთა უმეტესობისათვის ძნელი გასაგებია"[44].

როგორც ზემოთ ითქვა, მარჯორი უორდროპი თავის დედამამასთან და უმცროს ძმასთან — თომასთან ერთად საგურამოში ყოფილა 1896 წლის 20 ივლისიდან 24 ივლისამდე, რადგან 25 ივლისს ისინი უკვე გორში ჩასულან.

უორდროპების საგურამოში ყოფნის თაობაზე 1920 წელს საგულისხმო მოგონება გამოაქვეყნა დეკანოზმა გ. ასათიანმა, რომელიც იმ დროს თურმე წინამძღვრიანთკარის სკოლაში მასწავლებლობდა. იგი დასწრებია 1896 წლის 20 ივლისს „ილიაობას" და პირადად უნახავს უორდროპები. ოღონდ მოგონების ავტორს მარჯორი უორდროპის უმცროსი ძმა — თომასი ერევა ოლივერში. ეს უკანასკნელი კი, როგორც აღვნიშნეთ, 1896 წელს მარჯორის საქართველოში თან არ ხლებია. სხვა მხრივ, მეტად საინტერესოა გ. ასათიანის მოგონება, იგი ჩვენს თვალწინ ასე აცოცხლებს ამ ამბავს:

---

[44] „სახალხო გაზეთი", 27. VI. 1912 წ., № 635.

„ყოველ წელიწადს, ილიაობას (20 მკათათვეს) ილია გრიგორის ძის ჭავჭავაძის სახელწოდების გამო, ნამდვილი ქართული დღესასწაული იმართებოდა ილიას სახლში. მთელი საგურამოს ველის გლეხ-კაცობა იყრიდა თავს ილიას მისალოცად. აქვე იყვნენ საქართველოს დაბა-ქალაქებიდან მრავალი ილიას პატივისმცემელნი და თბილისიდანაც ეშურებოდნენ მოსვლას და დღესასწაულის მოლოცვას. წინამძღვრიანთ კარის მოწაფეებიც თავის მასწავლებლებით, წირვისა და პარაკლისის გადახდის შემდეგ, ეკლესიიდან გაემგზავრებოდნენ ხოლმე ილიას სახლისაკენ თავიანთ მხცოვან საყვარელ ილია წინამძღვრისშვილის წინამძღოლობით. მიახლოვდებოდნენ თუ არა სახლს, ყმაწვილების ყიჟინა და სიმღერა მოსულ სტუმრებს გააგებინებდა, რომ მოსალოცად მოდიოდნენ ნორჩი ყრმანი. ამ სიმღერის ხმაზედ მოსული სტუმარნი წამოდგებოდნენ ფეხზედ და მიეგებებოდნენ ახალგაზრდობას. თითონ მასპინძელი ილია და მისი მეუღლე დაუვლიდნენ ყმაწვილებს და ტკბილი ალერსით მიიწვევდნენ სუფრაზე და ტკბილეულით გაუმასპინძლდებოდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა ყმაწვილების სიმღერა და თამაში, რითიც დიდათ ნასიამოვნები რჩებოდნენ როგორც სტუმარნი, აგრეთვე ადგილობრივი გლეხ-კაცობაც, რომლის შვილებიც ერივნენ ამ მოწაფეებში. ამასობაში მოახლოვდება სადილის დროც. პირველად გლეხ-კაცებს გაუშლიდნენ ლურჯ სუფრას, რომელსაც ასობით შემოუმწკრივდებოდნენ. ზედამდგომნი უზიდავდნენ აუარებელ სასმელ-საჭმელს, თვითონ გულუხვი მასპინძელი ილია თეთრ ტანისამოსში ვამოწყობილი თავ-შიშველა დასტრიალებდა ძვირფას სტუმრებს და აქეზებდა მერიქიფეებს: „აბა, ბიჭო! ჯამი გაუვსეთ, ღვინო არ მოაწყუროთ“-ო. როდესაც გლეხ-კაცობა იქ წითელი ღვინით ყელს ისველებდა, მაშინ დაბა-ქალაქებიდან მოსული უცხო სტუმარნი დიდი კაკლის ქვეშ შემოუსხდებოდნენ გაშლილ მაგიდას. ილია როცა შეატყობდა გლეხ-კაცობის შეზარხოშებას და მხიარულ მთვრალ ლაპარაკს, მიატოვებდა მათ და გადმოდიოდა ინტელიგენტ სტუმრებთან. აქაც ფეხზე დგომით დასტრიალებდა სტუმრებს, ხან ერთთან მივიდოდა სამუსაიფოდ, ხან მეორესთან. მუსაიფის დროს ნაკვესი ნაკვესს მოსდევდა, მეტადრე ამ სანაკვესოდ ილიას გამოიწვევდა ანდრო ღულაძე.

შიგა და შიგ მოისმოდა მშვენიერი მკაფიო კითხვა ილიას ნაწერებიდან. შესანიშნავ ადგილებს კითხულობდა კოლა ერისთავი, კითხვის დროს ილია კი ფეხზედ დადიოდა და იღიმებოდა.

გლეხ-კაცობა როცა კარგად შეზარხოშდებოდა, წამოიშლებოდა სუფრიდან და გაიმართებოდა ჭიდაობა. რა წამს კიჟინის ხმა გაისმოდა, ილია მაშინვე იმათკენ გაეშურებოდა, ჩადგებოდა წრეში და იწვევდა სხვა და სხვა სოფლიდან მოსულ მოჭიდავეთ. მთელი ინტელიგენციაც აიშლებოდა სუფრიდან და შეერეოდა გლეხ-კაცობაში. ჭიდაობას მოჰყვებოდა „ცანგალა და გოგონა“.

როცა ეს ლხინი დასრულდებოდა, ნასიამოვნები სტუმრები დაიშლებოდნენ და თავიანთ სოფლებისაკენ გასწევდნენ და მწყობრი სიმღერით დაეშვებოდნენ თავ-დაღმართზე. ქალაქებიდან მოსულნი ეტლებით გაემგზავრებოდნენ: ზოგი მცხეთისაკენ, ბევრიც იმ ღამეს ისევ ილიასთან დარჩებოდნენ.

ერთ ამ გვარ დღესასწაულზე ამ 25 წლის წინად დაესწრო ოლივერ უორდროპი მთელი ოჯახობით. მისმა მობრძანებამ ერთიორად გააორკეცა დღესასწაული და სიხარული... წინა დღესვე მოგვივიდა ამბავი შკოლაში, ილიასთან მოდიან ინგლისიდან სტუმრებიო. ის შესანიშნავი და-ძმა, რომელთაც ქართული ენა ისე შეისწავლეს, რომ ძვირფასი და „ხელი-ხელ საგოგმანები“ ვეფხისტყაოსანი გადათარგმნეს ქართულიდან ინგლისურად. ამით ინგლისის ერს გააცნეს ჩვენი წარსული გონებრივი სიმაღლე და ძლიერება. ამ ამბავმა ისეთი გავლენა იქონია წინამძღვრიანთ კარის შკოლაში მოზარდ თაობაზე, რომ ყმაწვილებს მთელი ღამე არა სძინებიათ; მოუთმენლად ელოდნენ გათენებულიყო, ენახათ თავიანთი თვალით ეს უცხო, მაგრამ მოკეთეზედ ძვირფასი სტუმარნი. მივედით თუ არა ილიას სახლში, ყმაწვილები გვთხოვდნენ გვეჩვენებინა მათთვის ეს ჩვენი მოკეთე და და ძმაი.

ამ დღესასწაულზე თბილისიდან, სხვათა შორის, მობრძანდა მხცოვანი მღვდელ მთავარი ეპისკოპოსი ალექსანდრე ილიას დღესასწაულის მოსალოცად და ძვირფასი სტუმრების სანახავად. ჩვეულებისამებრ დაიწყო დღესასწაული. დიდი კაკლის ქვეშ სუფრის თავში მიიწვიეს ეპ. ალექსანდრე. ეპისკო-

პოსის მარჯვნივ დაბრძანდა ილიას მეუღლე, მარცხნივ დამსვეს მე. უცხო სტუმართ არა ინებეს საპატიო ალაგის დაკავება. ისინი, როგორც შეშვენის თავისუფალ ევროპის ხალხს, სხვა სტუმრებთან ერთად, საცა მოხვდათ იქ დაბძანდნენ. სადილის დროს ალ. როინაშვილმა მოინდომა სურათის გადაღება (სხვა დროს თავისს კაცებს ჰგზავნიდა სურათის გადასაღებად, ამ წელ კი თვითონ მოვიდა საგანგებოდ, ძვირფასი სტუმრების გადასაღებად). როინაშვილმა მთხოვა როგორმე მომეყვანა და სუფრასთან დამესვა ეპისკოპოსთან ილია, რომელიც ფეხზე დასტრიალებდა სტუმრებს. მივედი და ეპისკოპოსის მაგივრად ვთხოვე მობრძანებულიყო ცოტა ხნით. როცა მობრძანდა, ჩემ ალაგას ვთხოვეთ დაბრძანება. ილია დაჯდა. როინაშვილმა უეცრად გადაიღო სურათი. სურათის გადაღების შემდეგ ილია წამოდგა და თავისებურად დასტრიალებდა სტუმრებს. სადილის, ჭიდაობისა და თამაშ-ლხინის შემდეგ გაისმა ხმა: სურათს იღებენ, სურათს იღებენო. ამ ხმაზედ დიდი და პატარა იქით გაემართა. დარბაზიდან გამოვიდნენ და კიბის თავზედ დადგნენ ილია და მარჯორი უორდროპი. მამა და შვილი უორდროპები კი ქვეით კიბეზედ დაბრძანდნენ. ასე გათავდა ეს დიდებული დღესასწაული. მაშინ დიდი და პატარა შევნატროდით ამ უცხო ქვეყნიდან მოსულ სტუმრებს"[45].

საგურამოში იმ დღეს ყოფილა ცნობილი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილიც, რომელიც თავის „მოგონებებში" გვიამბობს:

„მაგონდება „ილიაობა" საგურამოში. ილიობას აუარებელი საზოგადოება იყრიდა თავს საგურამოში... გლეხკაცობას უხვად უმასპინძლდებოდა ილია. საღვინით და ყანწით თავს ადგა და მერიქიფობას ეწეოდა. გლეხებიც მხიარულად, სიმღერით შეექცეოდნენ სადილს.

ეზოში დიდ კაკალ ქვეშ ცივი ანკარა წყარო გამოჩხრიალებდა; იქვე მახლობლად ქვის მაგიდები იდგა და ზედ წარჩინებული მოღვაწენი სადილობდნენ. მათ შორის ინგლისელი ქალი, „ვეფხის-ტყაოსნის" ინგლისურად მთარგმნელი მარჯორი უორ-

---

[45] „თეატრი და ცხოვრება", 1920, № I, 1 იანვარი.

დროპიც იყო თავისი ძმით და მამით. ილიას მეტად უხაროდა მათი სტუმრობა.

მარჯორი უორდროპი მე ძალიან დამიმეგობრდა, მოვწონდი, ხშირად მემუსაიფებოდა. მარჯორის ქალმა თავისი სურათი მაჩუქა და ზედ ქართულად წააწერა: „ჩემს ძვირფას ლიზოს მარჯორი უორდროპისაგან". ეს სურათი თეატრალურ მუზეუმს გადავეცი...

მარჯორი უორდროპი, ოლღა (ჭავჭავაძე) და მე აივნიდან გადავყურებდით გიუმაუ არაგვს და მის გარშემო ლამაზ მიდამოს. მარჯორის შეეკითხე:

— როგორ მოგწონთ ეს ბუნება და მკვირცხლი არაგვი?

მარჯორიმ შველის მსგავსი თვალები მიმოავლო ჩვენს ბუნებას და ღიმილით მიპასუხა:

— „ფრიად!"

მე მაშინ ძლიერ გამიკვირდა მისი ღრმა ქართულის ცოდნა"[46].

მარჯორის ქართული ენის ღრმა ცოდნის გამო განცვიფრებას გამოთქვამს აგრეთვე იაკობ მანსვეტაშვილი თავის „მოგონებებში":

„ჩამოვიდა მარჯორი საქართველოში. ქართული ენა უკვე შესწავლილი ჰქონდა, რასაკვირველია, მწიგნობრული. აქ უფრო მეტი წარმატებით შეისწავლა ენა. ადვილად კითხულობდა „ვეფხის-ტყაოსანს" და ილიას ნაწერებს. ლაპარაკსაც ცდილობდა ქართულად. ერთხელ ილიასთან იყო სტუმრად და ძალიან უნდოდა, რომ ქართულად ეთქვა რამე. მახსოვს კარგათ იმისი შემდეგი ფრაზა: „ლონდონი ფრიად ნისლიანია"...[47]

დავით სარაჯიშვილის სახლში საგანგებო შეხვედრაზე შეკრებილი ქართველი საზოგადოებაც ფრიად გაუოცებია მარჯორის ქართულს, რასაც ვიგებთ ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის მოგონებიდან:

„მარჯორი უორდროპი დ. სარაჯიშვილის ოჯახში გავიცანით. ჩვენ შორის პატარა საუბარი გაიმართა. მე შეეკითხე:

---

[46] ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მოგონებანი, თბ., 1941, გვ. 24-25.

[47] იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ლ. ასათიანის რედ., თბ., 1936, გვ. 141-142.

— ხომ კარგად იმგზავრეთ ზღვაზე, ხომ არ შეწუხდით?

— არა, დასაბამითგანვე ფურთუნა არ იყო, ზღვა მშვიდობიანად იყო.

— ჩვენი ქვეყანა როგორ მოგწონთ?

— ფრიად მომწონს, მშვენიერია.

— სად შეისწავლეთ ეგრე ღრმა ქართული?

— „სახარებაზე" და სხვა"[48].

საგურამოდან ინგლისელი სტუმრები, ეტყობა, პირდაპირ გორში წასულან, რადგან „კვალი" იტყობინება, რომ „25 ივლისს, აქ, გორში ჩამობრძანდა დიდათ ჩვენ მიერ პატივსაცემი ქალბატონი მარჯორი ვარდროპი თავის მამით, დედით და ძმით; აქ დაჰყვეს მხოლოთ ღამის ათ საათამდის. რკინის გზის სადგურზე, სხვათა შორის, ექვთიმე კოპლატაძემ ლექსიც უძღვნა.

ლექსისთვის დიდათ კმაყოფილი დარჩა მთელი ოჯახი და მადლობა გადაუხადეს ავტორს. სადგურის ქართველობამ დიდი აღტაცებით გააცილა პატივცემული სტუმრები ქალაქ ქუთაისს"[49].

მაშასადამე, 1896 წლის ზაფხულში (ივნისი-ივლისი) მარჯორი უორდროპის საქართველოში დედ-მამასთან და უმცროს ძმასთან — თომასთან ერთად მოგზაურობის მარშრუტი, როგორც ვხედავთ, ასეთი ყოფილა: თბილისი— თელავი—იყალთო — შუამთა — ალავერდი — სიღნაღი — ბოდბე — ქვემო მაჩხაანი — თბილისი — ჭალა — სავანე — საჩხერე — ჭიათურა — საგურამო — გორი — ქუთაისი, საიდანაც ისინი ბათუმში ჩასულან, ხოლო აქედან ქერჩს დაბრუნებულან, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, 1895 წლის მაისიდან ოლივერ უორდროპი დიდი ბრიტანეთის კონსულად მუშაობდა და მარჯორიც თან ჰყავდა წამოყვანილი.

საქართველოში მეორედ მოგზაურობიდან ქერჩში დაბრუნებული მარჯორი უორდროპი 1896 წლის 9 დეკემბერს ოლღა ჭავჭავაძეს სწერს:

---

[48] საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები, I, თბ., 1958, გვ. 39.

[49] გ. ძ ნ ე ლ ა ძ ე, ახალი ამბავი, „კვალი", 4.VIII.1896 წ., № 33.

„ბევრჯელ ვჰფიქრობ საქართველოზე; ახლა უფრო კარგათ გავიცანი ქართველი ხასიათი — მისი კეთილსულობა და ავობაც, და მომავალში იქმნება კიდევ მოვალთ და ვნახოთ“[50].

ტასო მაჩაბლისადმი 1897 წლის 29 ნოემბერს ქერჩიდან გამოგზავნილ წერილში კი მარჯორი ასე გვიხატავს თავის სანუკვარ ქვეყანაში ხელახლა ჩამოსვლის სურვილს:

„არ ვიცი როდესაც ჩვენ კიდევ საქართველოში ვიქმებით. ახლოს ვართ და მითაც, ამისთვის რომ ძნელია არის წასვლა ქერჩიდგან. ნეტა თუ მალე ვნახო თქვენი და ჩემიც საყვარელი საქართველო და ჩვენი მეგობრები იქ!“[51].

აი, კიდევ ერთი ადგილი მარჯორის 1900 წლის 8 დეკემბერს ოლღა ჭავჭავაძისადმი მიწერილი წერილიდან: „ჩვენი დედ-მამა და ძმა... ძალიან ხშირათ ლაპარაკობდენ თქვენზე და საქართველოზე და სურვილი აქვთ მეორეჯელ, თქვენი მშვენიერი ქვეყანას ნახვას“,[52] ხოლო 1909 წლის 18 იანვრის წერილში იგი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დედამისს თორმეტი წლის შემდეგაც კი არ დაჰვიწყნია საქართველოში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილება:

„საკვირველია რა კარგათ დედა მოიგონებს ყველაფერზე ნანახი საქართველოში. არ დაივიწყებს ნაცნობების სახე და არც სამოსელი. მე დავჰსწერე წერილში აკაკის იუბილეი და ვჰკითხე დედას თუ მოიგონებს მარიამ აბაშიძეო (რომელმაც იუბილეზე ჰსთქვა სიტყვა თეატრში), რომელთანაც ვიყავით სავანეში თორმეტი წელიწადიაო. დედამ პასუხს მომწერე ვრცელ აღწერით იმ დღის, რომელიც გავატარეთ სავანეში და ყველაფერი მართალი; არც დაივიწყო რომ ცხენის თავის ქალა იყო ღობეზედ სავანის ეკლესიას ახლო. რაც ვაკეთებთ თქვენი მშვენიერი საგურამოში ყველას ისე კარგათ მოიგონებს და ხშირათ ჰლაპარაკობს იმ ბედნიერ დროზე“[53].

როგორც ვთქვით, 1895 წლის მაისიდან იწყება ოლივერ უორდროპის ინტენსიური მოღვაწეობა დიპლომატიურ სარ-

---

[50] წერილები, გვ. 131.
[51] წერილები, გვ. 158.
[52] წერილები, გვ. 136.
[53] წერილები, გვ. 124.

ბიელზე და სადაც უნდა გაეგზავნათ იგი, მარჯორი განუყრელად, მუდამ მის გვერდით იყო.

ქართველი მწერლებისა და მოღვაწეებისადმი გამოგზავნილი წერილებით ჩვენ საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ ოლივერ და მარჯორი უორდროპების ბიოგრაფია 1895—1909 წლებში:

1895—1902 წლები ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა დაჰყვეს ქერჩში, სადაც ოლივერი დიდი ბრიტანეთის კონსულად მსახურობდა (წერილები, გვ. 127 შმდ.). ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა დროს ისინი ყოფილან პარიზში, სტოკჰოლმში, ბერლინში, პეტერბურგში, მოსკოვში და სხვაგან, ხოლო 1900 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე, შვიდი თვე ვარშავაში გაუტარებიათ, სადაც ოლივერ უორდროპი დროებით კაპიტან მორრის მაგივრად ასრულებდა დიდი ბრიტანეთის კონსულის მოვალეობას (წერილები, გვ. 152, 153, 161). ქერჩის შემდეგ, 1903 წელს, ერთი წლისა და ცოტა მეტი ხნის განმავლობაში და-ძმა უორდროპები ჰაიტის კუნძულზე ყოფილან, რადგან ოლივერი თავისი ქვეყნის მთავრობას იქ, ჰაიტის რესპუბლიკაში გაუმწესებია დიპლომატიურ სამსახურში (სხვათა შორის, ამ დროს — 1903 წელს გარდაცვლილა მათი მამა — თომას უორდროპი: „სამწუხაროთ, ჩვენი საყვარელი მამა გარდაიცვალა, როდესაც ჩვენ ჰაიტში ვიყავით“. — წერდა მარჯორი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს. იხ. წერილები, გვ. 156), ხოლო რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისას, 1904 წელს, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას ისინი კვლავ რუსეთში დაუბრუნებია, ოღონდ ამჯერად პეტერბურგში, სადაც ოლივერ უორდროპი კონსულად დაუნიშნავთ. პეტერბურგში ისინი თითქმის სამ წელს (1904—1906) დარჩენილან და ხშირად ხვდებოდნენ რუსეთის დედაქალაქში მცხოვრებ თუ იქ ჩასულ ქართველებს, მათ შორის ივანე მაჩაბლის ცოლისდას — ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილს, ოლღა მირზაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ამ დროს სახელმწიფო საბჭოში იყო არჩეული (იხ. წერილები, გვ. 124, 126, 155, 163 შმდ.).

1906 წლის 26 აპრილს მარჯორი გულმხურვალედ ეპატიჟება პეტერბურგში ჩასულ ილია ჭავჭავაძეს:

„ღრმათ პატივცემულო თავადო ილიავ,

დიდ სიამოვნით გავიგეთ, რომ თქვენ აქ მობრძანებულ-ხართ. მოგვილოცავს გულით თქვენი ამორჩევაზე.

ფრიად მოხარულნი ვიქმნებით თქვენი ნახვით. თუ შეიძ-ლება, გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან სადილათ, პარასკევს, საღამოთ რვის ნახევარზე.

ჩემმა ძმამ უგულითადესი მოკითხვა გიძღვნათ.

თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

მარჯორი უორდროპი"[54].

რუსეთში ყოფნის პერიოდში მარჯორი უორდროპი არ წყვეტს ცოცხალ კავშირს საქართველოსთან. ამიტომაცაა, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში დროდადრო გაიელვებს ხოლ-მე მარჯორი უორდროპის სახელი.

აი, რას სწერდა „მწყემსის" რედაქცია 1901 წლის 15 თებერვალს მარჯორი უორდროპს:

„რამდენადაც სამწუხაროა ჩვენთვის ჩვენი ქართველი ქალებისაგან ქართული ენის დავიწყება, იმდენად სასიხარულოა თქვენ, ინგლისელი ქალისაგან, აგრე კარგად ქართული ენის შესწავლა. დიდად ვისიამოვნეთ თქვენი წერილით. წარმოიდგინეთ, ჩვენი გაკვირვება: ინგლისელ ქალს „მწყემსი" საინტერესო საკითხავად მიგაჩნიათ და ფულს იგზავნებით მის დასაკვეთად მაშინ, როცა ზოგიერთი ჩვენი „წარჩინებული" მოძმენი არარად სთვლიან ამ გაზეთს!"[55]

გაზეთ „ივერიაში" 1904 წლის შემოდგომაზე, „ახალი ამბის" რუბრიკით ზედიზედ გამოქვეყნდა მარჯორი უორდროპის სამი ქართული წერილი სათანადო კომენტარებითურთ:

„მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ შვიდი-რვა წლის წინად ერთმა ქალმა მარჯორ უორდროპმა განიზრახა ქართულის ენის და მწერლობის შესწავლა და, მიუხედავად მრავალის დაბრკოლებისა (საჭირო სახელმძღვანელოების უქონლობა და სხვ.), მალე დახელოვნდა წერა-კითხვაში.

ამ დღეებში ჩვენს რედაქციას მოუვიდა ქ.-ნის მარჯორი

---

[54] წერილები, გვ. 124.

[55] რედაქციის პასუხი ქ.-ნ ვორდროპს, „მწყემსი", 15. II. 1901, № 3, გვ. 16.

უორდროპისაგან წერილი, რომელსაც აქვე შეუცვლელად ვბეჭ-დავთ იმის საჩვენებლად, თუ უცხო ქვეყნის ქალს როგორ და რაოდენად შეუსწავლია სხვის დაუხმარებლად ჩვენი ენა.

აი, თვით წერილი:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

თითქმის ორი წელიწადია არ მივიღე „ივერია". მეშინიან, რომ ჩემი ბრალია, ამისთვის რომ ჩემი ახალი ადრესი არ გა-მოგიგზავნე. მიზეზი ესაა: ჩემმა ძმამ და მეც უცებ შორეულ კუნძული ჰაიტში წავსულვართ და არ ვიცოდით, რამდენი ხანი დავრჩებით იქ.

ეხლა კი ჩემი ძმა დანიშნულია კონსული პეტერბურგში და დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ ინებოთ გამოგზავნოთ თქვენი პატივცემული გაზეთი, რომელიც მუდამ ვკითხულობ დიდ სიამოვნით და რომლისა გაგზავნისათვის აქამდისინ დიდ მად-ლობას მოგახსენებთ. საქართველოს ამბავი ჩვენთვის მეტად საყურადღებოა.

თქვენი პატივის მცემელი

მარჯორი უორდროპი"[58].

ახლა ვნახოთ მეორე წერილი:

„ბ.-ნს ი. იმედაშვილს შემდეგი წერილი მოუვიდა პეტერ-ბურგიდგან, ქ.-ნ მარჯორი ვორდროპისაგან:

„გთხოვთ მიგზავნოთ (с наложен. платеж. „უცხო სი-ტყვათა ლექსიკონი" და კატალოგიც ახალი ქართული წიგნე-ბისა შემდეგი ადრესით: (სწერია ადრესი). 19 მღვინობისთვე, 1904 წ.".

ბ.-ნ იმედაშვილს მაშინვე გაუგზავნია ხსენებული წიგნი და ამის გამო სამადლობელი წერილიც მიუღია პატივცემული მარჯორი ვორდროპის ასულისაგან:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

ბოდიშს ვიხდი, რომ სხვა და სხვა მიზეზთა გამო აქამდის ვერ მოგწერეთ წერილს. მივიღე თქვენი ფრიად საყურადღე-ბო თხზულება და გულითადი მადლობას მოგახსენებთ თქვენი

---

[58] ინგლისელი ქალის წერილი ქართულად, „ივერია", 14. X. 1904, № 235.

საჩუქრისათვის. ქართული წიგნი ყოველთვის მიეიღე სიამოვნით და უმეტესათ როდესაც მწერალი კეთილ ინებებს ხელის მოწერა. კიდევ მადლობას მოგახსენებთ.

თქვენი პატივის მცემელი

მარჯორი ვორდროპის ასული"[57].

ამას გარდა, საყურადღებოა ერთი ასეთი ფაქტიც: „ივერიის" ცნობით, 1902 წლის გაზაფხულზე რუსეთში მოელიან ინგლისელ მეურნეთ, რომლებიც „ფიქრობენ შეადგინონ სამეურნეო საზოგადოება რუსეთიდგან კვერცხისა, ფრინველებისა და სხვა სანოვაგის გასაზიდავად ინგლისში". ამასთან დაკავშირებით, „ივერიის" რედაქცია ასეთ მოსაზრებას სთავაზობს „ვისაც ჯერ არს":

„ინგლისურს ენაზედ არსებობს მთელი თხზულება ჩვენის კარგად ნაცნობის ოლივერ უორდროპისა „მოგზაურობა საქართველოში", რომლის ავტორიც ვრცლად იკვლევს იმ საგანს, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ორთავე მხარისათვის, რომ ინგლისელი სავაჭრო ფირმები პირდაპირ საქართველოს მუშა ხალხისაგან იძენდეს ხოლმე ლონდონის ბაზრისათვის ყოველნაირს სანოვაგეს. სასურველი იქნებოდა, რომ ამ საგნისათვის ზემოდ მოხსენებულ ჩამოსასვლელ სტუმრებს მიექციათ ჯეროვანი ყურადღება"[58].

პეტერბურგის ნესტიან ჰავას ცუდად უმოქმედია ოლივერ უორდროპის ჯანმრთელობაზე, რის გამოც იგი 1906 წლის შემოდგომაზე ბუქარესტში გადაუყვანიათ დიდი ბრიტანეთის კონსულად. ამის თაობაზე 1906 წლის 25 ოქტომბერს მარჯორი ტასო მაჩაბელს ატყობინებს: „სამწუხაროთ, პეტერბურგის ჰავა მავნებელია ჩემი ძმისთვის და ორი-სამი კვირას შემდეგ მივდივართ ბუხარესტში, სადაც ჩემი ძმა დანიშნულია კონსულათ"[59]. ამასვე სწერდა იგი ილია ჭყონიას მეუღლეს —

---

[57] კიდევ მარჯორი ვორდროპის წერილი, „ივერია", 3. XI. 1904 წ., № 251; იქვე შევნიშნავ, რომ მარჯორი უორდროპის აღნიშნულ წერილთა დედნები დღეს ინახება იოსებ იმედაშვილის ეაჟთან — პროფ. გაიოზ იმედაშვილთან.

[58] „ივერია", 7. II. 1902 წ., № 31.

[59] წერილები, გვ. 163.

ანეტა ჭყონიას 1909 წლის 31 მარტს: „იქ (პეტერბურგში) ვიყავით თითქმის სამი წელიწადი... ძალიან საინტერესო იყო: ნაცნობები ბევრი გვყანდა და მათ შორის ქართველები იყვნენ. მაგრამ პეტერბურგის ჰავა მავნებელია და ორივე ავათ ვიყავით. ამ მიზეზისათვის მთავრობამ დანიშნეს ოლივერ კონსული ბუხარესტში და ორი წელიწადია აქა ვართ“[60].

ასე რომ, 1907 წლიდან და-ძმა უორდროპები რუმინეთში, ბუქარესტში დასახლდნენ და ამის შემდეგ უკვე მარჯორის ქართული წერილები და საქართველოს ხელახლა ნახვის ოცნება ფოსტას თბილისში ბუქარესტიდან მოჰქონდა:

„ამ ზაფხულს მეშინიან რომ ვერ მოვდივართ საქართველოში... ნეტა გნახოთ მომავალში!“ (წერილი ანეტა ჭყონიასადმი, გვ. 126).

„ნეტა თუ ერთხელ კიდევ მოვდივართ საქართველოში? ვითა სამშობლო საყვარელი არის!“ (წერილი ოლღა ჭავჭავაძისადმი, გვ. 141).

„მრცხვენიან რომ აქამდის უფრო კარგათ ვერ შევისწავლე თქვენი მშვენიერი ენა. ჩემი პირიანი სურვილია რომ ოდესმე მოვალ საქართველოში და ძირიანათ გავიცანო მისს მშვენიერობას მის ენას და ხალხსაც“ (წერილი ანასტასია თუმანიშვილწერეთლისადმი, გვ. 155).

საუბედუროდ, არ ეღირსა საქართველოში ხელახლა ჩამოსვლა მასზე უსაზღვროდ შეყვარებულ და მისთვის უსაზღვროდ დამაშვრალ ინგლისელ ქალს.

1909 წლის 5 დეკემბერს გაზეთმა „დროებამ“ სამწუხარო ამბავი ამცნო ქართველ ხალხს:

“24 ნოემბერს, ბუქარესტში (რუმინიაში) გარდაიცვალა ინგლისელი მწერალი ქალი მარჯორი უორდროპი, რომელმაც გადასთარგმნა ინგლისურად ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და გამოსცა რამდენიმე თხზულება საქართველოს შესახებ“[61].

„დროების“ იმავე ნომერში დაბეჭდილია ნეკროლოგი „მარჯორი უორდროპი“, რომელშიც ვკითხულობთ:

„სამწუხარო ამბავი მოვიდა რუმინიის დედა-ქალაქ ბუხარისტიდან: ამ ქალაქში გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი

---

[60] წერილები, გვ. 126.

[61] „დროება“, 5. XII. 1909 წ., № 271, გვ. 1.

ინგლისელი მწერალი ქალი მარჯორი უორდროპი. განსვენებული თოთხმეტი წლის წინად ესტუმრა საქართველოს თავის ძმასთან ოლივერ უორდროპთან ერთად და მას შემდეგ დიდის სიყვარულით სწავლობდა ქართველთა ცხოვრებასა და ლიტერატურას და აცნობდა ინგლისელებს.

მარჯორი უორდროპმა ისე კარგად შეითვისა ქართული ენა, რომ სულ თავისუფლად კითხულობდა და სწერდა, თავის აქაურ მეგობრებთან და ნაცნობებთან მუდამ ქართულადა ჰქონდა მიწერ-მოწერა. კეთილშობილ გულის პატრონი იყო განსვენებული და გულწრფელად უყვარდა საქართველო: „საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა", — ამბობდა ხოლმე განსვენებული.

ინგლისელებმა თუ იციან რამე საქართველოზე და იცნობენ ქართველებს, მხოლოდ და მარტო განსვენებულის წყალობით. განსვენებული, როგორცა ვსთქვით, გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ ლიტერატურას და სთარგმნიდა საუკეთესო ნაწარმოებებს. გადასთარგმნა და გამოსცა ინგლისურად, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი". თუ არა ვცდებით, მანვე გადასთარგმნა საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუვე", აცნობდა ინგლისელებს ქართველების ცხოვრებას, აწმყოს და წარსულს, ზნე-ჩვეულებას და ხასიათს, ჩვენებურ ბუნებას.

აქაურ ნაცნობთაგან არავინ არ მოელოდა ასეთ სამწუხარო ამბავს. განსვენებული ჯერ ახალგაზრდა ქალი იყო და გულმოდგინედ მუშაობდა ახალ თხზულებების გამოსაცემად ქართველების შესახებ.

ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც „მოსავალის" რედაქტორმა ბ.-მა ვ. რცხილაძემ მარჯორი უარდროპისაგან წერილი მიიღო. აი, რასა სწერდა განსვენებული (წერილი ქართულად არის დაწერილი):

„დიდად პატივცემულო ბატონო რცხილაძე!

დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენი წერილი და ნაჩუქარი ჟურნალ-წიგნები; გულით მადლობას მოგახსენებთ. თქვენი თხზულებანი საყურადღებო შემატება იქნება ჩვენი ქართულ წიგნთ კრებულისა. ჩვენი სურვილია ყველა ქართულ წიგნის შეკრება, რაც შეიძლება. შემდეგში მივართმევთ ერთ ინგლი-

სელ მუზეუმს, ასე რომ ვისაც სურს ქართული ენის შესწავლა, ადვილად შეიძენს საჭირო მასალებს.

ერთი საათის წინად რომ მივიღე თქვენი წერილი, გამოვგზავნე მეორეთ იმ წიგნების სია, რომელიც მინდოდა და იმედია, მალე მივიღო. უკვე მომსვლია რამდენიმე სიმღერები.

ბოდიშს ვიხდი, რომ უქეიფობის გამო ამდენ ხანს თქვენი კეთილი წერილი უპასუხოთ დამრჩა. რასაც სწერთ საქართველოზე, ფრიად მაწუხებს. თქვენი მშვენიერი სამშობლო სულით და გულით მიყვარს და ვვედრებ მის ბედნიერებას. კიდევ ერთხელ გმადლობთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი

მ ა რ ჯ ო რ ი უ ა რ დ რ ო პ ი“.

განსვენებული ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს; ყოველ წლის დასაწყისში წერა-კითხვის საზოგადოებას ამისთვის მოსდიოდა მისგან ექვსი-შვიდი თუმანი.

განსვენებულის ცხედარს დაკრძალავენ ინგლისში, ბელმონტში, სადაც მისი მამაა დასაფლავებული.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო ადამიანო!

ადრესი იმათთვის, ვინც წერილს, ან დეპეშის გამოგზავნას მოისურვებს:

ოლივერ უორდროპს, ბელმონტი, სევენოუქსი“[62].

„დროების სურათებიანმა დამატებამ“ მალე მარჯორი უორდროპის სურათიც გამოაქვეყნა და ასეთი წარწერა გაუკეთა: „მარჯორი უორდროპი, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა და ინგლისურად გადასთარგმნა ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და სხვა თხზულებანი. გარდაიცვალა 24 ნოემბერს (იხ. „დროება“, № 271)“[63].

რამდენიმე დღის შემდეგ კი „დროებამ“ მარჯორის ღვაწლის შესახებ ახალი წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც ხელს აწერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი, ცნობილი ქართველი ჟურნა-

---

[62] მარჯორი უორდროპი, „დროება“, 5. XII. 1909 წ., № 271.

[63] „დროება, სურათებიანი დამატება“, 13. XII. 1909 წ., № 49.

ლისტი, ერთ დროს „ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტი — „ვაზიანის“ ფსევდონიმით რომ ბეჭდავდა წერილებს და, სხვათა შორის, პირადად იცნობდა ლონდონში ინგლისელ ქართველოლოგ ქალს. ვ. ჩერქეზიშვილი წერდა:

„ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ლიტერატურას დიდი მწუხარება ეწვია: ბუხარესტში მოულოდნელად გარდაიცვალა ჯერეთ ძალღონით სავსე და შრომით გატაცებული მარჯორი უორდროპი.

განსვენებულის სიკვდილით საქართველომ დაჰკარგა დიდი მცოდნე ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურისა და ამასთან ერთად ღრმად მოსიყვარულე და ერთგული მეგობარი. არ გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ განსვენებული სცოცხლობდა ჩვენის ქვეყნის სიხარულით და ვარამით. იგი დღითიდღე გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს ცხოვრებას ჩვენივე გაზეთებით. სადაც უნდა ყოფილიყვნენ განსვენებული და მისი უფროსი ძმა, კონსული და ავტორი წიგნისა „საქართველოს სამეფო“, ოლივერ უარდროპი, — ლონდონში, პეტერბურგში, ჰაიტის კუნძულებზე თუ ბუხარესტში — ქართული გაზეთები და ჟურნალები განუწყვეტლივ მოსდიოდათ, ჰქონდათ ხშირი მიწერ-მოწერა ქართველ მეგობრებთან და კავშირი საქართველოსთან არასოდეს არ შეუწყვეტიათ.

მარჯორი უარდროპს უკანასკნელ წუთამდე არც მუშაობა შეუწყვეტია საქართველოს ლიტერატურასა და ისტორიაზე. მან გამოსცა ინგლისურად:

1. ცხოვრება წმ. ნინოსი.

2. „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა. საუცხოვო თარგმანია ლექსად.

3. ქართული სახალხო ზღაპრები.

4. „სიბრძნე-სიცრუე“ საბა-სულხან ორბელიანისა (გადათარგმნა ძმასთან ერთად).

5. უდიდესი საქმე განსვენებულის ცხოვრების უკანასკნელი ათი წლისა იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი: სთარგმნიდა ამ პოემას ლექსად ძმასთან ერთად, მაგრამ განსვენებული დიდად აფასებდა ამ ნაწარმოებს და უნდოდა სავსებით გადაეღო ინგლისურად მისი სიმშვენიერე და სიმდიდრე. ამიტომ მთელი ათი წელიწადი მუშაობდა მასზე და დღემდე ვერ გაებედნა სტამბაში გადაცემა დასაბეჭდათ.

უდროო სიკვდილმა ბოლო მოუღო ამ დიდ და მეტად ნაყოფიერ შრომას.

მარჯორი უორდროპი დაიბადა 1869 წელს და განათლება შინ, თავის ოჯახში მიიღო. საუცხოო ლინგვისტმა მარჯორი უარდროპმა მშვენიერად იცოდა ენები, თავის სამშობლო ინგლისურს გარდა, ფრანგული, იტალიური, გერმანული, რუსული, რუმინიული და ქართული. ქართული ენით და საქართველოთი პირველად დაინტერესდა მაშინ, როცა მისმა ძმამ ოლივერმა გამოსცა თავისი მგზავრობა ამ სათაურით: „საქართველოს სამეფო". ბროსეს გრამატიკისა და ლექსიკონის შემწეობით განსვენებულმა სავსებით შეისწავლა ქართული ენა და მრავალი წლის განმავლობაში შეჰკრიბა მშვენიერი ქართული ბიბლიოთეკა.

მარჯორი უარდროპი თავის ორი ძმით, დედით და მამით ჩვენს ქვეყანას ეწვია, მოიარა და დაათვალიერა ყოველი კუთხე საქართველოსი. ამ მოგზაურობამ ჩაუნერგა სიყვარული ჩვენის ქვეყნისა და ხალხისა. აღტაცებული იყო საქართველოს მდიდარი ბუნებით. განსვენებულმა დიდი ხსოვნა დასტოვა ნაცნობ ქართველობაში. არც საკვირველია, რადგან იგი საუცხოო ადამიანი იყო, მასში შეერთებული იყო უმაღლესი და უკეთილშობილესი თვისებანი დედაკაცისა მამაკაცის გულადობასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად. ლმობიერი, მოსიყვარულე მისი გული ანდამანტი იყო. უბრალო მოსამსახურენიც, ერთხელვე მასთან დამდგარნი, არა შორდებოდნენ და თან მისდევდნენ რუსეთში, ჰაიტის კუნძულებზე ნეგრებთან, რუმინიაში — ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც-კი ბედი გადასტყორცნიდა. პატარა თავისუფალი ჩიტებიც კი — ბეღურები, შოშიები და შაშვები ჰგრძნობდნენ მის მოსიყვარულე გულს, მისი სახლი სავსე იყო ამ ფრინველებით და ხშირად თავს დასტრიალებდნენ. მახსოვს ერთი ჩიტი შემოფრინდა სასადილო ოთახში, როდესაც განსვენებული გარედან შემოვიდა, დაუჯდა მაგიდაზე და თეფშიდან ჰკენკავდა საჭმელს, ხშირად თავზედაც შეახტებოდა ხოლმე...

ასეთი იყო ეს მშვიდობიანი და ლმობიერი, ნასწავლი და ნიჭიერი მეგობარი ქართველებისა. მისი მშვენიერი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში და მომავალში იგი არა ერთ

ქართველ ქალს აღაფრთოვანებს შრომისა და სიყვარულისა და თანაგრძნობისათვის"[64].

არც სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები დარჩენილან ვალში ინგლისელი ქართველოლოგი ქალის ხსოვნის წინაშე: „საქართველოს მოამბეში" B-ს ფსევდონიმით ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა მიხ. წერეთელმა საგანგებო წერილი მიუძღვნა მარჯორი უორდროპს:

„ბუხარესტში წელს მიიცვალა მოულოდნელად საუკეთესო უცხოელი მეგობარი საქართველოსი და ქართველი ერისა მისს მარჯორი ვორდროპ, დაბადებული 1869 წელს ინგლისში.

მისს მარჯორი ვორდროპი განუყრელი მეგობარი იყო თავისის ძმის მისტერ ოლივერ ვორდროპისა, რომელიც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ქვეყნებში დიდი ბრიტანიის კონსული იყო ხოლმე. და-ძმანიც სარგებლობდნენ შემთხვევითა და სწავლობდნენ იმ ხალხის ენასა და ზნე-ჩვეულებას, სადაც ცხოვრება უხდებოდათ.

მისს მარჯორი ვორდროპი დააინტერესა მისი ძმის, მისტერ ოლივერის მოგზაურობამ საქართველოში და მისმა წიგნმა „საქართველოს სამეფო"-მ. მან ქართული ენის შესწავლაც დაიწყო და მალე მთელი თავისი ოჯახით ეწვია საქართველოს და ისე შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა, ისე გაიტაცა იგინი ჩვენი ქვეყნის მშვენიერებამ, ქართველთა წარსულმა და აწმყომ, რომ საუკუნოდ დაუმეგობრდნენ საქართველოსა და უკანასკნელ დრომდე არ დავიწყებიათ არც მისი ყოველ-დღიური ჭირ-ვარამი, არც თავიანთი ქართველი მეგობრები.

მისტერ ოლივერ ვორდროპმა დასწერა მთელი წიგნი საქართველოზედ: „საქართველოს სამეფო". მისს მარჯორი ვორდროპისთვის კი ქართული ლიტერატურა თითქმის მეორე სამშობლო ლიტერატურად შეიქმნა. იგი მშვენივრად სწერდა და კითხულობდა ქართულად; მან შეისწავლა ძველი და ახალი ლიტერატურა ქართველთა და მუდამ სცდილობდა ინგლისის საზოგადოებისათვის გაეცნო იგი. მისს მარჯორი ვორდროპმა ბევრი უცხო ენა იცოდა, მაგრამ ქართული ენა რაღაც განსა-

---

[64] ვ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი, მარჯორი უორდროპი, „დროება", 16. XII. 1909 წ., № 280.

კუთრებულის სიმპატიით უყვარდა და ერთი სტრიქონიც არ გამოუტოვებია, ისე გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი ახალი მწერლობის განვითარებას, ჩვენს პრესასა და უმნიშვნელო ბროშურებსაც კი.

ერთხელ წ.კ.გ.საზ.-ების წიგნის მაღაზიაში შეველ და ვნახე განსვენებულისაგან დაკვეთილი წიგნები. გამიკვირდა. განსვენებულს საინტერესო წიგნთა შორის ისეთი რაღაც წვრილმანები გამოეწერა, რომ ჩვენ, აქ მცხოვრებთაც კი არ წაგვიკითხავს და ყურადღებაც არ მიგვიქცევია. მისს მარჯორი ვორდროპს ქართული მწერლობა სავსებით აინტერესებდა, — ძველიცა და ახალიც, მნიშვნელოვანიც და წვრილმანიცა.

დიდი ღვაწლიც დასდო განსვენებულმა, რომ ქართული ლიტერატურა და კულტურა ინგლისისათვის გაეცნო. მან გამოსცა ინგლისურად 1) ცხოვრება წმინდა ნინოსი, 2) „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, თარგმანი. 3) ქართული ხალხური ზღაპრები, 4) „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ საბა-სულხან ორბელიანისა. მისს მარჯორი ვორდროპი ისეთი თაყვანისმცემელი იყო ჩვენის უკვდავის შოთა რუსთაველისა, რომ ზედ-მიწევნით შეისწავლა „ვეფხის ტყაოსანი“, და არა ისე ზერელედ, როგორც ბევრი უცხოელი სწავლობს ხოლმე. მან მოინდომა გადათარგმნა ინგლისურად „ვეფხის ტყაოსნისა“, და ნამდვილად გადათარგმნა, — არა ისე, როგორც ბევრი უცხოელი სთარგმნიდა ხოლმე ყოვლად უნიჭოდა და უშნოდ, ისე უხეიროდ, რომ ქართველი მკითხველი თავის „ვეფხის ტყაოსანს“ ვეღარც კი სცნობდა ხოლმე. მისი თარგმანი არ გავდა — «Был в Аравии Ростеван, покоритель многих стран»-ს; მისს ვორდროპი სცდილობდა „ვეფხის ტყაოსნის“ ენა, ორიგინალობა და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზედ, მისი მიზანი „ვეფხის ტყაოსნის“ სიტყვებისა და ფრაზების თარგმნა კი არ იყო, არამედ „ვეფხის ტყაოსნის“ შექმნა ინგლისურად, როგორც განსვენებულმა ივანე მაჩაბელმა შექსპირი შექმნა ქართულად.

ათ წელიწადს მუშაობდა მისს ვორდროპი ამ დიდი საქმის აღსასრულებლად, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უმუხთლა და შეაწყვეტინა ეს მისთვის სასიამოვნო შრომა. არ ვიცით, დაამთავრა თუ არა განსვენებულმა თვისი შრომა, მაგრამ უმე-

ტესი ნაწილი რომ დამთავრებული და შემუშავებული ჰქონდა, ეს კი გვსმენია. შეიძლება ვიხილოთ როდისმე იგი დაბეჭდილი, და მაშინ ნათლად დავინახავთ, თუ რა ნიჭი გამოუჩენია მას „ვეფხის ტყაოსნის“ ინგლისურად შექმნაში, რაიცა, განვიმეორებთ, დიდი და ძნელი საქმეა და უბრალო თარგმანს არ დაედრება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო და დიდბუნებოვანო ადამიანო; საუკუნოდ იყოს ხსენება შენი როგორც შენს განუყრელ ძმა-მეგობრის ოლივერისათვის და სხვა მეგობართა შორის, ისე ჩვენ შორის, შენთვის უცხო, მაგრამ ძვირფასს მეგობარ ქართველთა შორის. ღვაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე, და მადლობელი ქართველი ერიც ეცდება დაუვიწყარ ჰყოს შენი სახელი, სანამ საქართველო იარსებებს“[65].

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 1900-იან წლებში მიხ. წერეთელი დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა და-ძმა უორდროპებთან. კერძოდ, მას მონაწილეობა აქვს მიღებული „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული ინგლისური თარგმანის მომზადებასა და 1912 წელს, ლონდონში, მის ბეჭდურ გამოცემაში[66].

ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული მოზრდილთათვის“ ცნობილი მწერალი ქალის მარიამ დემურიას წერილით გამოეხმაურა მარჯორი უორდროპის გარდაცვალებას:

„ბუქარესტში მოულოდნელად გარდაიცვალა ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსე და შრომით გატაცებული მარჯორი უარდროპი. ბროსეს გრამატიკისა და ლექსიკონის შემწეობით ქართული ენა ზედმიწევნით შეისწავლა. პირველად ინგლისელმა ქალმა „ივერიაში“ დასტამბა წერილი, რომელმაც დიდი განცვიფრება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. შემდეგ მარჯორი უარდროპი დედ-მამით და თავის ორის ძმით ეწვია საქართველოს 1894 წელსა. ყველა კუთხე საქართველოსი მოიარეს, აღტაცებულნი იყვნენ ბუნების სიდიადით და მშვე-

---

[65] В [მიხ. წერეთელი], მისს მარჯორი ვორდროპ, „საქართველოს მოამბე“, 20. XII. 1909 წ., № 8.

[66] იხ. ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანისათვის, ლონდონი, 1912.

ნიერებით. მაშინ ჩაენერგა გულში მარჯორ უარდროპს ღრმა სიყვარული ჩვენის ქვეყნისა. მარჯორ უარდროპი და მისი უფროსი ძმა ოლივერი — კონსული და ავტორი თხზულებისა „საქართველოს სამეფო“, სადაც უნდა ყოფილიყვნენ, მაინც თავიანთ მეორე სამშობლოდ სთვლიდნენ საქართველოს და გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდნენ ჩვენს ცხოვრებას, რადგან ყოველი ქართული გაზეთი და ჟურნალი მოსდიოდათ. მარჯორ უარდროპმა ისე კარგად შეისწავლა ჩვენი ლიტერატურა და ისტორია, რომ ინგლისურად ლექსად გადასთარგმნა „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, ქართული ზღაპრები და „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და სხვა... ამ ბოლო დროს ძმასთან ერთად სთარგმნიდა შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს“. სრული ათი წელიწადი მუშაობდნენ და და ძმა, მაგრამ დაბეჭდვა ვერ გაბედეს, რაკი უდიდესი სიმშვენიერე რუსთაველის ლექსისა უნდოდათ ინგლისურად ლექსადვე მთლად დაეცვათ.

ნამდვილი ერთგული მეგობარი დაჰკარგა ჩვენმა ქვეყანამ. ღირსიც არის, რომ ყველა ქართველის გულში ჩაინერგოს მისი სიყვარულით ხსენება და მადლობით მოგონება“[67].

უბრწყინვალესი ლექსი უძღვნა მარჯორი უორდროპის ხსოვნას აკაკი წერეთელმა:

„სახელგანთქმულ ინგლისიდან
შემოფრინდა ჩვენში ობლად,
ვით მერცხალი მოჭიკჭიკე
გაზაფხულის მახარობლად!
აჭიკჭიკდა და აგვიხსნა
წინაპრების გზა და კვალი!
შეუწონა აწმყო წარსულს
და გვიქადა მომავალი...
გვითხრა: „ტყვილა გულს ნუ იტეხთ!
თქვენგან მე ბევრს გამოველი,
არ მოკვდება ის ერი, ვინც
წარმოშობა რუსთაველი!“
ეს გვითხრა და სხვაც რამ კიდევ
ბევრი დარჩა მას სათქმელი,
ვისაც ასე ჯერ უდროოდ

---

67 მ[არიამ] დ[ემურია], მარჯორ უარდროპი, „ნაკადული მოზრდილთათვის“, 1910, № I.

საუკუნოდ ჰფარავს ბნელი.
მაგრამ მაინც იმ ბნელიდან
მზის ციაგად მოგვფენს ნათელს,
და მიტომაც საქართველო
არ ივიწყებს იმის სახელს!"[68]

1911 წლის იანვარში ოლივერ უორდროპი მესამედ ჩამოვიდა საქართველოში. მარჯორის მოულოდნელი გარდაცვალებით დამწუხრებულ და ცალად დარჩენილ ინგლისელ ქართველოლოგს კიდევ უფრო მეტი ყურადღებითა და თანაგრძნობით დაუხვდა ქართველი საზოგადოებრიობა.

ამ დროს ოლივერ უორდროპს ქართული ენა სალაპარაკოდ უკვე საკმაოდ კარგად სცოდნია, ოღონდ, დების — მარი და ჩუტა ერისთავების (ეს უკანასკნელი ძველი თაობის ცნობილი კინომსახიობია) მოგონებით, რომლებიც პირადად იცნობდნენ ინგლისელ ქართველოლოგს, „ოლივერმა იცოდა წმინდა სალიტერატურო ქართული და ცდილობდა ნელა ელაპარაკნა. ქუთაისში ყოფნისას, ოლივერ უორდროპმა როცა მეეტლეს მიმართა „მიმიყვანეთ, საფრანგეთის სასტუმროშიო", მეეტლეს ვერ გაუგია, სად წაყვანას მთხოვს ეს კაცი. მაშინ იქვე მდგარ ერთ ქუთაისელს „აუხსნია": ვერ გაიგე, „გოსტინიცა ფრანციაში" გთხოვს"-ო[69].

„ტიფლისსკი კრუჟოკში", ახლანდელ ოფიცერთა სახლში რუსთაველის გამზირზე, ოლივერ უორდროპის პატივსაცემად გამართულა საგანგებო ნადიმი, რის შესახებ 1911 წლის 31 იანვრის გაზეთ „თემში" „დამსწრეს" ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ:

„ბ. ოლივერ უორდროპის პატივსაცემად „თფილისის კრუჟოკში" ორშაბათს, 24 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე ქართველმა საზოგადოებამ გამართა ნადიმი.

ბ. ოლივერ უორდროპი კარგა ხანია ცნობილია, როგორც ერთგული მეგობარი ქართველი ერისა. მან და მისმა დამ ბევ-

---

[68] აკაკი წერეთელი, ჩემი ნაწერები, I, ტფ., 1912, გვ. I.

[69] მარი და ჩუტა ერისთავები, რომლებმაც გვიამბეს ეს ეპიზოდი, ასულები გახლავან თავის დროზე პოპულარული პოეტისა („ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილის" ავტორის) და მოღვაწის, გურია-აჭარის თავადაზნაურთა მარშლის კოწია ერისთავისა, რომლის ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა ოლივერ უორდროპი.

რი ღვაწლი დასდეს ქართულ კულტურის საქმეში. მისმა დამ, განსვენებულმა მისს მარჯორიმ სთარგმნა ილიას „განდეგილი“ და საუკეთესო ადგილები შოთას „ვეფხვისტყაოსნიდან“. ამ და-ძმის წყალობით ინგლისის საზოგადოება გაეცნო ქართველი ერის წარსულსა და აწმყოს. ამ-ჟამად ბ. ოლივერი განუწყვეტლივ მუშაობს და აგროვებს ისტორიულ საბუთებს ქართველი ერის წარსულის დამახასიათებელს; მისი და მისი ოჯახის წყალობით დაარსდა ოქსფორდის უნივერსიტეტთან ქართული ენის და სიტყვიერების კათედრა და წიგნთსაცავი. ის მარტო ამ წიგნთსაცავისათვის არა ზრუნავს, იგი ჰფიქრობს აგრეთვე პარიჟის ნაციონალურ ბიბლიოთეკისა და პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ნაწილების გამდიდრებაზედაც. როდესაც იძენს ძველს ისტორიულ წიგნს ან საბუთს, ერთ პირს გზავნის პარიჟში, მეორეს — პეტერბურგში.

ეს მუდმივი ყურადღება ქართველებისადმი არ დარჩა შეუმჩნევლად ქართველ ინტელიგენციას. მან მოიწადინა რითიმე აღენიშნა პატივისცემა ბ. უორდროპისადმი და გადასწყვიტა ნადიმი გაემართა.

სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება ბ. უორდროპის წასვლის ორი დღის წინად მიიღო ინტელიგენციამ და ამიტომ ყველამ დროზე ვერ შეიტყო დრო და ადგილი ნადიმისა. ამისდა მიუხედავად, ნადიმს მაინც 80-ზე მეტი კაცი და ქალი დაესწრო. ნადიმმა მეტად მხიარულათ ჩაიარა. თავმჯდომარეთ აირჩიეს გრიგოლ დიასამიძე, მის თანაშემწედ იოსებ მაჭავარიანი. ამათ კიდევ თავის თანაშემწეებათ მიიწვიეს დავით გურამიშვილი (ცნობილი მხატვარი, ნიკო ნიკოლაძის ცოლისძმა. — გ. შ.) და დიმიტრი ჩოლოყაშვილი. სიტყვები უმეტესად ქართულად იყო წარმოთქმული. ზოგიერთი კი რუსულად, რადგანაც ეს ენა უფრო კარგათ ესმის ბ. ოლივერს, ვიდრე ქართული.

გრ. დიასამიძემ ჯერ პირველად ადღეგრძელა პატივცემული სტუმარი და მიმართა შესაფერი სიტყვით, რომელშიაც დაასურათა მორიდებული, მოკრძალებული ხასიათი და ღვაწლი ქართველი ერის მეგობრისა.

ნადიმს დაესწრნენ თითქმის ყველა ქართველ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: თავად-აზნაურობისა, წერა-კითხვის საზოგადოებისა, სკოლის საზოგადოებისა, პრესისა, ქარ-

თული ხელოვნებისა და მრეწველობისა, ბანკებისა, დრამატიული საზოგადოებისა. ყველა ამ დაწესებულებას და მის სათავეში მდგომ პირების სადღეგრძელოები წარმოსთქვა ნადიმის თავმჯდომარემ, შესაფერი სიტყვით დაახასიათა და ერთმანეთზე გადაკინძა, ასე რომ ერთი სადღეგრძელო მეორედან გამოდიოდა. ჩვენი მრეწველის და ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის და მისი მეუღლის სადღეგრძელოს დიდის ამბით დაუხვდა საზოგადოება. მძიმე ავადმყოფობაგამოვლილმა ბ. სარაჯიშვილმა ამისდა მიუხედავად მოიწადინა ნადიმზე დასწრება.

გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვეს: იოსებ მაჭავარიანმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ვასილ მაჩაბელმა და დიდი ტაშის კვრაც დაიმსახურეს. ვასილ მაჩაბელმა სთქვა, სხვათა შორის, რომ როგორც ვანო მაჩაბელმა გააცნო ქართველებს მსოფლიო გენიოსი შექსპირიო, ისე და-ძმა უორდროპებმა გააცნეს ჩვენი გენიოსი შოთა ინგლისის ერსაო.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ წაუკითხა გრძნობიერი ადრესი და მიართვა „ვეფხის-ტყაოსანი“ მშვენიერ ყდაში გაკეთებული.

ჩვენმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა ბოდიში მოიხადა, რომ ვერ დავესწრები ავადმყოფობის გამო ნადიმს, რომელსაც უმართავს „ქართველი ერის მოყვარესო“. მისი წერილი წაიკითხა გრ. დიასამიძემ და წარმოსთქვა მისი სადღეგრძელო, რომელიც დიდის თანაგრძნობით მიიღო დამსწრე საზოგადოებამ.

არ დაივიწყა საზოგადოებამ ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი, რომლის სადღეგრძელოს აღტაცებით შეხვდნენ.

დალიეს სადღეგრძელო აგრეთვე ინგლისში მცხოვრებ ქართველებისა, რომელნიც ჩვენთან ერთად პატივისცემით უცქერიან მისტერ ოლივერის მუშაობას.

ბოლოს ძველი წესისამებრ გაიხსენეს განსვენებული მოღვაწენი: მისს მარჟორი უორდროპი, ილია ჭავჭავაძე და ვანო მაჩაბელი. ნადიმის თავმჯდომარემ გრძნობიერი სიტყვით მოიხსენია დაუვიწყარი მოღვაწენი. მონადიმეებმა დიდი ტაშის კვრით მადლობა გადაუხადეს თავმჯდომარეს და დალიეს მისი სადღეგრძელო.

. ნადიმის შემდეგ ფოტოგრაფმა გადაიღო დამსწრეთა სურათი.

ნადიმი გათავდა საღამოს 8 საათზე. მონადიმეებმა მიაცილეს პატივცემული სტუმარი ბინამდე.

ნადიმის გამგენი იყვნენ ქ.-ნ ანასტასია მაჩაბლისა და ნიკ. და ვ. ერისთავი. მათვე ეკუთვნის თაოსნობა.

ბ. ოლივერ უორდროპი ოთხშაბათს, 26 იანვარს, დილით გაემგზავრა ლონდონისაკენ"[70].

მალე, იმავე გაზეთ „თემში" გამოქვეყნდა „სიტყვა თქმული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ოლივერ უორდროპის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე", რომლის აზრსა და დანიშნულებას მშვენივრად გვიხასიათებს სარედაქციო შენიშვნა: „ვბეჭდავთ ამ სიტყვას, რომ გავაცნოთ ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებს ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ბ. უორდროპს და მის ოჯახს ქართველი ერის წინაშე".

აი, ექვთიმე თაყაიშვილის ეს ნაკლებად ცნობილი სიტყვაც, რომელიც ამავე დროს ევროპაში ქართველოლოგიის აღმოცენების მოკლე, მაგრამ შესანიშნავი მეცნიერული მიმოხილვაცაა:

„ბატონებო!

ნადიმზე სიტყვის თქმას ჩვეული არა ვარ. ნადიმს შეშვენის მოლხენა, ქეიფი, სახუმარო სიტყვები და მე ეს არ მეხერხება, მაგრამ ეს ჩვეულება დაარღვია გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგმა და დინჯი ადრესით მიმართა ჩვენს სტუმარს. მეც ვარღვევ ამ ჩვეულებას და მოკლეთ გაგაცნობთ, თუ რისთვის და ვის პატივსაცემად არის გამართული დღევანდელი ნადიმი.

დღევანდელ ნადიმს მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოს შესწავლასთან ევროპიელების მიერ. საქართველო გააცვნეს ევროპიელებს პირველად იტალიელებმა. იტალიელების მოგზაურები ბევრ რამეს მოგვითხრობენ საქართველოს შესახებ. ამ მოგზაურებს მოჰყვენ იტალიელი მისიონერები. ესენი დიდხანს რჩებოდენ საქართველოში, სწავლობდენ ენას, ზნე-ჩვეულებას და ყოფა-მდგომარეობას ჩვენი ერისას. არა ერთ მათ-

---

[70] დ ა მ ს წ რ ე, ნადიმი, „თემი", 31. I. 1911 წ., № 4.

განს წარუდგენია ვრცელი მოხსენება პაპისათვის და დაუსტამბავს თავის თხზულება საქართველოს შესახებ. მაგრამ იტალიელი მისიონერები განზრახული მიზნით მოდიოდენ ჩვენში. მათი მიზანი იყო კათოლიკობის გავრცელება საქართველოში და ამ თავდათავ მიზანს უკავშირებდენ თავიანთ მოქმედებას. სპეციალურათ საქართველოს წარსულის შესწავლას ისინი არ ცდილან.

იტალიელი მისიონერები საქართველოს მემატიანენი არიან და არა მკვლევარნი. მათი თხზულებანი დღეს ჩვენთვის მასალას წარმოადგენს საქართველოს შესასწავლად.

მას შემდეგ, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, საქართველოს შესწავლას შეუდგენ ფრანგები. ფრანგთა მეცნიერთ პირველობა ეკუთვნით საქართველოს შესწავლაში. მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, მეცნიერ სენ-მარტენის თაოსნობით ძლიერ მუყაითად შეუდგენ ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლას პარიჟში. ამ სენ-მარტენის მიერ დაარსებულმა სკოლამ წარმოშობა მარი ბროსსე, რომელმაც ასე დიდი ამაგი დასდო ჩვენი წარსულის შესწავლას და თითქმის ყველა წყაროები ჩვენი ისტორიისა, რაც მის დროს ცნობილი იყო, გადათარგმნა ფრანგულად. ბროსსემ საქართველოს შესწავლა პარიჟში დაიწყო და შემდეგ რუსეთში განაგრძო და დაამთავრა. პარიჟის სკოლა სენ-მარტენის შემდეგ ჩაქრა და საქართველოს წარსულის შესწავლა საფრანგეთში მოისპო. ბოლო დროს გერმანელებმაც დაიწყეს საქართველოს შესწავლა, ქართული ენის კათედრის დაარსებაც დააპირეს ბერლინში, მაგრამ ჯერ ეს განზრახვა არ განუხორციელებიათ, ჩვენს ენას კი მუყაითად სწავლობენ ზოგიერთი პროფესორები.

ინგლისელები სხვა ევროპიელებს ბევრათ ჩამორჩნენ საქართველოს შესწავლაში. ეს მით უფრო გასაკვირალია, რომ საზოგადოთ ინგლისელები სხვა აღმოსავლეთის ხალხების შესწავლაში პირველნი არიან. ინგლისში ორმა-სამმა თუ იცოდა ცოტა რამ ქართულის ენის და ლიტერატურის (მათ შორის უფრო ცნობილი იყო პროფესორი მორფილი, რომელიც საქართველოში იყო ამ ოციოდე წლის წინათ), თორემ სხვებს სრული უცოდინარობა ემჩნეოდათ.

საქართველოს გაცნობა მოიწადინა ინგლისელებისათვის ამ ოციოდე წლის წინათ განსვენებულმა მარად სახსოვარმა მისს მარჟორი უორდროპმა. ეს განათლებული მანდილოსანი შეუდგა ქართული ენის შესწავლას და იმდენათ კარგათ შეისწავლა ქართული ენა, რომ შეიძლო ასეთი შრომის გადათარგმნა ინგლისურს ენაზე, როგორიც არის „ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“ ჩემი გამოცემული, მანვე გადათარგმნა „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა და სხვა ბევრი ნაწარმოები ჩვენი პოეტებისა. ის აცნობდა ინგლისის საზოგადოებას საქართველოს ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას, ბოლო დროს გადათარგმნა ინგლისურად მთელი „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ გამოცემას არ აუჩქარდა. ის ამბობდა, „ვეფხის ტყაოსანი“ ისეთი რამეა, რომ ასე ადვილად არ გამოიცემაო, ამ თარგმანზე კიდევ ათი წელიწადი უნდა ვიმუშავოო, მაგრამ აღარ დასცალდა. აქაც ბედმა გვიმუხთლა, და ეს განათლებული მანდილოსანი, ჩვენი მოჭირნახულე, უდროოდ გარდაიცვალა. ქართული „ვეფხისტყაოსანი“ მან თავიდან ბოლომდის ზეპირად იცოდა. წინად ჩვენმა ქალებმა იცოდენ ზეპირად „ვეფხისტყაოსანი“, ეხლა ჩვენებმა დაივიწყეს, მაგრამ უცხოელებმა შეიგნეს და შეიყვარეს ეს დიდებული ქმნილება. ერთ წაწილს ინგლისური თარგმანისას ეხლა ბეჭდავს ჩვენი სტუმარი. ნუ გგონიათ, რომ საქართველოს შესწავლა მოისპო ინგლისში მარჟორი უორდროპის გარდაცვალებით და მისი და მისი დაწყებული საქმე ჩაიშალა. არა, ეგ საქმე არა თუ არ ჩაშლილა, არამედ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დამყარდა. იქ სადაც ქართული ენის კათედრა არ არსებობს უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს შესწავლას შემთხვევითი ხასიათი აქვს. ასეთი შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა პარიჟის სკოლასაც და ამიტომ მშვენიერათ დაწყებული საქმე სენ-მარტენისა ჩაიშალა. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს შესწავლა და ქართული ენა დაკავშირებული იყო საზოგადოდ აღმოსავლეთის შესწავლასთან და განცალკევებული კათედრა არ არსებობდა უმაღლეს სასწავლებელში, არც განცალკავებული თანხა იყო გადადებული საქართველოს შესასწავლად. ეს კარგათ შეიგნო განათლებულმა დედამ მარჟორი უორდროპისამ და რომ საქართველოს შესწავლა ინგლისში სამუდამოთ დაეყენებინა

მკვიდრ ნიადაგზე, ოქსფორდის უნივერსიტეტს შესწირა თანხა ქართული კათედრის დასაარსებლად და საქართველოს შესასწავლად. ამ თანხის მოხმარებას განცალკევებული წესდება აქვს. თანხა ხელუხლებელი უნდა იყოს, ხოლო მისი სარგებლით უნდა მოიწვიონ ლექტორი და გამოსცენ შრომანი საქართველოს შესახებ როგორც ინგლისურ ენაზე, ისე ქართულზედაც, დიაღ, ქართულზედაც! ეს პირდაპირ წესდებაშია შეტანილი. ოქსფორდის უნივერსიტეტთან არის დაარსებული ბოდლეის წიგნთ-საცავი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის და ლიტერატურის შესასწავლად. ეს წიგნთ-საცავი ერთი უპირველესთაგანია არა თუ ინგლისში, არამედ მთელს დედა-მიწაზედ. აქ აუარებელი ძვირფასი ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები მოიპოვება ყველა აღმოსავლეთის ხალხების ენებზე. მარტო სანსკრიტულ ენაზე დაწერილი ხელთნაწერები ოთხი ათას ცალს აღემატება. ამ წიგნთსაცავს მარტო ჩვენი ქართული წიგნები და ხელთნაწერები აკლდა. ამ ნაკლის შევსება იკისრა ჩვენმა სტუმარმა, ბატონმა ოლივერ უორდროპმა. მას დაუვლია ევროპის ქალაქების მეწიგნეები, ბუკინისტები, ანტიკვარები და სადაც კი უნახავს ქართული წიგნები და ხელთნაწერები, შეუძენია მისს მარჟორი უორდროპის ბიბლიოთეკისათვის, რომელიც განყოფილება იქნება ბოდლეის წიგნთსაცავისა ოქსფორდში. ამ წიგნთსაცავის შესავსებად არაერთხელ მოჰმართა ჩვენმა სტუმარმა სხვადასხვა ჩვენს საზოგადოებას და სთხოვა გაეგზავნათ მისთვის მის მიერ აღნუსხული ქართული წიგნები, მაგრამ ჩვენი დაუდევრობით სურვილი ვერ ავუსრულეთ, წიგნები ვერ გავუგზავნეთ. დაუდევრობით ჩვენ ბევრი ზარალი მოგვდის, მაგრამ ამ შემთხვევაში დაუდევრობამ სარგებლობა მოგვიტანა: ბ.-ნი ოლივერ უორდროპი ტფილისში მოიყვანა და ჩვენ უფრო უკეთ, ვიდრე აქამდის ვიცნობდით, გაგვაცნო მისი თავი. ტფილისში დილიდან საღამომდის ბ.-ნი ოლივერი დადის წიგნების მაღაზიებში, ბაზარში და ბუკინისტებთან, ყიდულობს ძველ და ახალ გამოცემულ წიგნებს ქართულ ენაზე და აგრეთვე სხვა ენებზედაც, თუკი ეს წიგნები ეხებიან საქართველოს შესწავლას, და აგზავნის ოქსფორდში. ქართულ წიგნებს და ხელთნაწერებს ის ეძებს ყოველგან, სადაც ხელი მიუწვდება, სპარსეთში, სამარ-

ყანდში, სტამბოლში, ეგვიპტეში და სხვაგან. ერთი-ორი ეტ-
რატის ფურცელი უძველესი ქართული დაბადებისა ბ. ოლი-
ვერს ეგვიპტეში შეუძენია. ნუ გგონიათ, რომ ბ.-ნი ოლივერი
მარტო წიგნების შემგროვებელი იყოს. ამდენ ხანს ჩვენ გვე-
გონა, მარტო მისმა დამ იცოდა ქართული ენა და ქართული
ლიტერატურა, მაგრამ არანაკლებ შეუსწავლია ჩვენი ენა და
ლიტერატურა თვით ბ.-ნ ოლივერსაც. ის საკმაოდ კარგად
ლაპარაკობს ქართულს ენაზე, ჩვენი ნალაპარაკევი ყველა ეს-
მის, უფრო უკედ კითხულობს ქართულად არათუ ნაბეჭდ
წიგნებს, არამედ ხელთნაწერებსაც. ამ დღეებში მას შეეძინა
ექვსიოდე ქართული ხელთნაწერი, შემოვიდა ჩემთან და მი-
თხრა, ეს და ეს ხელთნაწერი შევიძინეო და ჩამოთვალა თი-
თოეულად და განმარტა მათი თარიღები. მე გულში ვიფიქრე,
სცდება-მეთქი, მაგრამ როდესაც გავსინჯე, დავრწმუნდი, რომ
ყველა ხელთნაწერი სწორედ აღენუსხა და თარიღებიც მარ-
თლად განერჩია. ამ ხელთნაწერებში ერთი ისეთი აღმოჩნდა,
რომელიც ჩვენ ტფილისში არ გვქონდა და არც ცნობილი იყო
ამდენ ხანს. ეს გახლავთ დავით ბატონიშვილის სამართალი,
შედგენილი 1800 წელს და დატანებული ერთი უძველესი ვახ-
ტანგ მეექვსის სამართლის ხელთნაწერის ბოლოს. ბატონი-
შვილი დავითის სამართალი, რასაკვირველია, ხმარებაში არ
ყოფილა საქართველოში, ის მარტო გეგმაა, „პროექტია“ კა-
ნონმდებლობისა, შედგენილი გიორგი მეთორმეტის ბრძანებით,
და დამახასიათებელია დროისა. ამ შრომას წინ მიუძღვის თვით
ბატონიშვილის დავითის ხელით დაწერილი წინასიტყვაობა.
ეს ხელთნაწერი ჩვენის თხოვნით ბ.-ნმა ოლივერმა დაგვი-
ტოვა ჩვენ გამოსაცემად. ხვალ ეს ჩვენი სტუმარი წასვლას
აპირებს სამშობლოში და დღეს დილას შეუძენია კიდევ ერთი
სპარსელისაგან ხუთი ქართული ხელთნაწერი. ამ ზაფხულში
ის აპირებს გაგზავნოს ფოტოგრაფი ან იერუსალიმში, ან სი-
ნას მთაზე და გადმოიღოს ფოტოგრაფიის საშუალებით იქაუ-
რი შესანიშნავი ქართული ხელთნაწერები.

ასეთია ღვაწლი უორდროპის ოჯახისა საქართველოს შეს-
წავლის საქმეში და ამიტომ ჩვენ მარტო ბ.-ნი ოლივერი კი არ
უნდა ვადღეგრძელოთ, არამედ მთელი ოჯახი უორდროპისა.
პირველად შენდობით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული მარად

სახსოვარი მისს მარჟორი და მის შესანდობათ ქართული ჩვეულების მიხედვით დავაწვეთოთ ღვინო პურზე, შემდეგ ვუსურვოთ დღეგრძელობა და ვთხოვოთ ჩვენს სტუმარს გადასცეს ჩვენი უგულითადესი მადლობა თავის დედას, რომელმაც მკვიდრი საფუძველი დაუდო ინგლისში საქართველოს შესწავლას, დაბოლოს, ვადღეგრძელოთ ჩვენი მეგობარი ბ.-ნი ოლივერიც, რომელიც ასე თავგანწირვით შრომობს, რომ თავის დის დაწყებული საქმე დააგვირგვინოს, საქართველოს შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს ინგლისში და მით დასდვას დაუფასებელი ღვაწლი, როგორც თავის სამშობლოს, ისე საქართველოს, რომელიც, მე ვგონებ, აწ ოლივერისათვის მეორე სამშობლო არის. ქართველობა არასოდეს არ დაივიწყებს საერთოდ უორდროპების ოჯახს"[71].

პირველი რეცენზია 1912 წელს ლონდონში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანის შესახებ დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში" 1912 წლის 24 აპრილს. იგი ეკუთვნის ვაზიანს (ვარლამ ჩერქეზიშვილს).

ქართველი მკითხველი საზოგადოება ვაზიანის ამ რეცენზიით გაეცნო ინგლისელი ქართველოლოგი ქალის ყველაზე დიადი ქმნილების ღირსებას, აგრეთვე, თარგმანისთვის ხელმოუწერლად წამძღვარებულ ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობის მეცნიერულ მნიშვნელობას, ამასთან, ბოლოში დართულ ფილოლოგიურ აპარატურას.

აი, ეს რეცენზიაც:

„ვეფხისტყაოსანი", რომანტიული პოემა შოთა რუსთაველისა. სიტყვა-სიტყვით თარგმნის ცდა ქართულიდან მარჯორი ვორდროპის მიერ, გამოცემული სამეფო საზოგადოების მიერ, ლონდონი, 1912 წ.

I

ამ სათაურით გამოვიდა ინგლისურ ენაზე დიადი ქმნილება უკვდავ შოთა რუსთაველისა. პოემა გამოცემულია ინგლისის

---

[71] სიტყვა თქმული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ოლივერ უორდროპის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე, „რემი", 7.II.1911 წ., № 5.

სამეფო სააზიო საზოგადოების მიერ და შეადგენს ერთს დიდ ტომს (291 გვ.). წიგნი სავსეა მეცნიერულ შენიშვნებით, აგრეთვე მას აქვს დამატება, სია საკუთარ სახელთა და აგრეთვე შესავალი თვით რუსთაველზედა და უდროოდ დაკარგულ მთარგმნელ მისს მარჯორი ვარდროპზე.

თარგმანი ისე უახლოვდება ორიგინალს, ისეთნაირად არის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაღებული ინგლისურად, რომ იგი შეუდარებელია. აგრეთვე მკითხველის აღტაცებას იწვევს კეთილშობილება, სიკეკლუცე და უმაღლესი პოეტური სიმშვენიერე თარგმანისა ინგლისურად. დიად ქმნილების გადაცემა უცხო ენაზედ მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლიან, რომელსაც თვითონ აქვს მაღალი და უწმინდესი სული, ვისაც გონება გაბრწყინვებული და სინათლით აღსავსე აქვს, ხოლო გული მოყვარული და ნაზი.

ქართულ ლიტერატურისა და თვით უკვდავ რუსთაველის საბედნიეროდ ყველა ეს თვისება მისს მარჯორი ვარდროპის არსებაში ჰარმონიულად იყო შეზავებული. მას ყოველმხრივი უმაღლესი განათლება ჰქონდა, მან ინგლისურსა და ქართულს გარდა, ფრანგული, იტალიური, გერმანული, რუსული და რუმინული ენები იცოდა. მან ზედ-მიწევნით იცოდა ამასთანავე მწერლობაც ამ ენათა. უდიდესნი წარმომადგენელნი მსოფლიო ლიტერატურისა ახლონი და ძვირფასნი იყვნენ მისთვის, მაგრამ მთელის თავისის მოყვარულისა და წმინდის გულით იგი რუსთაველის ქმნილებას დაუახლოვდა. იგი შეიყვარა, შემდეგ მთელს ჩვენს ლიტერატურაზე, ჩვენს ისტორიაზედა და ჩვენს ერზედაც გადმოიტანა ეს წმინდა სიყვარული.

მთელი თვრამეტი წელიწადი იმუშავა განსვენებულმა ქართულ ისტორიაზედ და ჩვენ მწერალთა ნაწარმოებთა ინგლისურად თარგმნაზე. უკვე 1894 წელს მან გამოსცა ლექსად ნათარგმნი „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა; 1900 წელს გამოვიდა მისი შრომა „ცხოვრება წმინდა ნინოსი“, — მშვენიერის ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობითა. ამას გარდა, მისს მარჯორი ვარდროპმა დასტოვა სხვა შრომები — თარგმანებიცა, შეუსწორებელი, ან დაუმთავრებელი.

ხოლო მისი ცხოვრების უმთავრესი ნაღვაწი არის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. მან დაიწყო „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნა

1891 წელს და დაამთავრა იგი 1898 წელს. მას შემდეგ იგი დაუღალავად შრომობდა, რომ თარგმანი ყოველის მხრით შეესწორებინა და გაეუმჯობესებინა. და მართლაც, თარგმანი შეუდარებელის ღირსებისა გამოვიდა. ვერც ერთი ცდა განათლებულ და თუ გინდ მეცნიერ ქართველ პროფესორთა, რუსულად გადაეცათ რუსთაველის ქმნილება, ვერ შეედრება მისს მარჯორი ვარდროპის თარგმანს. ტყუილად კი არ მიმხვდარან მყისვე აზიურ საზოგადოების მეცნიერნი, თუ რა ღირსებისა იყო ეს თარგმანი: საზოგადოებას მისცეს წინადადება დაებეჭდა თავის ჟურნალში მხოლოდ რამდენიმე თავი „ვეფხისტყაოსნისა“, მან კი, წაიკითხა რა ეს თავები, სურვილი განაცხადა, გამოეცა თავის ხარჯით მთელი პოემა ცალკე წიგნად.

ეს კარგი ნიშანია ჩვენთვის. მსგავსად ინგლისის აზიურ საზოგადოების მეცნიერთა, სხვა ქვეყნის მეცნიერნიც დაინტერესდებიან ჩვენის დიდის ეროვნულის პოემითა, რომელიც დასწერა მგოსანმა ვაჟკაცობისამ, გმირობისამ, სიკვდილამდის მეგობრობისამ, მგოსანმა სიყვარულისამ, რომელმაც ქალის ამაღლებული წმინდა სიყვარული და რაინდული გაღმერთება შეუდარებლად გამოსთქვა თავის უკვდავ ლექსებითა. ტყუილად კი არ არიან რუსთაველის მცოდნე ევროპიელები განცვიფრებულნი ჩვენის პოეტის გენიოსობითა, რომელიც გაიფურჩქნა სამი მეოთხედი საუკუნით დანტეს უწინარეს. საკმარისია მოვიხსენიოთ ბროსსე (მამა და შვილი), გულაკი და ლეისტი... თუმცა პროზით, მაგრამ უმაღლეს პოეტიურად და შეუდარებელის სისწორით ნათარგმნი „ვეფხის-ტყაოსანი“ მისს მარჯორი ვარდროპისა საშუალებას მისცემს ეხლა უმაღლეს პოეზიის მოტრფიალეთ, ლიტერატურის ისტორიკოსთ და მსწავლულ ორიენტალისტებს ღირსეულად დააფასონ რუსთაველის პოეზიის როგორც აზრთა, გრძნობათა სიმაღლე, ისე მე-12—13 საუკ. ეპოქა და კულტურა იმ ერისა, რომელმაც პოეტი წარმოშვა. მართლაც, სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა ესენი აღტაცებაში მოვლენ, როდესაც გაიცნობენ პოემას. ამაში სრულიადაც არ გვეპარება ეჭვი. ამის თავდებია, თუმცა პატარა, მაგრამ მშვენიერი შესავალი, რომელიც წინ უძღვის მისს მარჯორი ვარდროპის ინგლისურ თარგმანს.

II

მსწავლული ავტორი შესავლისა, რომელიც თავის სახელს არ აცხადებს, სცდილობს თავდაჭერით გამოსთქვას თავისი აღტაცება პოეტისადმი. იგი აღნიშნავს მხოლოდ პოეტის ქმნილებაში გატარებულ ჰუმანიზმსა და სარწმუნოებრივ აზრთა თავისუფლებას, ქალის მაღალ კულტსა და წმინდა სიყვარულს, ცხოვრებაზე ნათელსა და ხალისით აღსავსე შეხედულებას. „დამახასიათებელი შოთას პოეზიისა არის თავისუფლება აზრისა“-ო, — ამბობს ავტორი შესავალისა. — „როდესაც იგი პოემასა სწერდა, სჩანს მას არა ჰქონია სარწმუნოებრივი წინად-მოსაზრებანი“-ო, „მთელი პოემა სიცოცხლითა და მოქმედებით არის სავსე“-ო.

შესავალის ავტორის ეს სიტყვები მოკლეა, მაგრამ პოეტის მეტი დაფასებაც შეუძლებელია, იმ პოეტისა, რომელიც სცხოვრობდა საერთო სიბნელის ხანაში, სარწმუნოებრივ ფანატიზმსა და ქრისტიანთა და მუსულმანთა აღმოსავლეთის წინააღმდეგ ჯვაროსან ომების ხანაში. „აზრის თავისუფლება, სარწმუნოებრივი მოთმინება!“.. ბევრ ქვეყანაში ეხლაც კი, იმ დროიდან შვიდი საუკუნის შემდეგ, განა ეს პრინციპები სამართლიანადა და ჭეშმარიტად არის აღიარებული?.. სწორედ ამ ორივე სიტყვით აყენებს უმაღლეს ხარისხზედ შოთა რუსთაველს ავტორი შესავალისა. ტყუილად კი არ ამბობს იგი „ვეფხის-ტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ, რომ საიდგანაც უნდა იყოს აღებული ეს სიუჟეტი, დიდებას შოთასი ამით არაფერი აკლდებაო. ეხება რა გაკვრით ჩვენ (ქართველ) მკვლევართა პოლემიკას „ვეფხის-ტყაოსნის“ წარმოშობის შესახებ და აგრედვე იმ ჰიპოთეტიურ ფანტაზიას, თითქოს, რუსთაველს გადმოეთარგმნოს პოემა სპარსულ ორიგინალიდან, მსწავლული ავტორი დასძენს: „საკმარისია ვსთქვათ, რომ აქამდის ამ სპარსულ მოთხრობის კვალიც არსად არის აღმოჩენილი; და კიდევაც რომ აღმოჩნდეს, შოთას დიდებას არა მოაკლდება რა ისე, როგორც შექსპირის დრამებს არას აკლებს „ლუიჯი და პორტო“-ს ამბის არსებობა“ (გვ. XI).

დიახ, მსწავლულ ინგლისელისათვის ადვილი გასაგებია, რომ სანამ არ ნახვენ ჰიპოთეტიურ ორიგინალს, რუსთველისებურ მაღალის პოეზიით აღსავსეს, ქალის უღრმესის პატივის-

ცემისა და თითქმის გაღმერთების გამომხატველს ორიგინალს, რომელიც რუსთველისებურ მხატვრულ ლექსად იქნება თქმული, — მანამდე რუსთველის მთარგმნელად მოხსენების უფლება არავის არ აქვს. და კიდევაც რომ აღმოჩნდეს „ესე ამბავი სპარსული“, რომელსაც თვით რუსთაველი იხსენიებს, ჩვენი პოეტი მაინც დიდ შემოქმედად რჩება სიცოცხლით აღსავსე პოემისა ისე, როგორც დიდია შექსპირი, შემქმნელი „რომეო და ჯულიეტა“-სი, „ჰამლეტისა“ და სხვა დრამისა და ტრაგედიისა „ლუიჯი და პორტო“-სა, „საქსონ გრამატიკოსისა“ და სხვა სიუჟეტთა მიხედვით.

ასეთია მსჯავრი მსწავლულ ინგლისელისა; როგორც სჩანს, მის აზრს ეთანხმებიან მეცნიერნი წევრნიც სამეფო სააზიო საზოგადოებისა, რომელმაც თავისი ხარჯით გამოსცა დიადი ქმნილება შოთა რუსთაველისა, საუცხოვოდ თარგმნილი უდროოდ დაკარგულის მისს ვარდროპის მიერ. მაგრამ ავტორი შესავალისა არა ნაკლების სიმპატიით იხსენიებს იმ ერს, რომელმაც აღზარდა რუსთაველი, და იმ ეპოქას, როდესაც შეეძლო ფრთა გაეშალა პოეტის ძლიერ ნიჭსა, რომელმაც შესანიშნავ ქმნილებაში აღბეჭდა სიბრძნე ძველის საბერძნეთისა, ნეოპლატონიზმი და პოეზია აღმოსავლეთისა — ერთად.

„ქართველები მე-X და XI საუკუნეებში დაინტერესებულნი იყვნენ ფილოსოფიის იმავე საკითხებით, რომელშიაც გართული იყვნენ იმ დროის ქრისტიანობის საუკეთესო მოაზრენი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართველები სხვებზე უფრო ადრე აძლევდნენ პასუხს ფილოსოფიური აზრის ახალ მიმდინარეობას და იღვწოდნენ მაშინდელი დროისათვის შესანიშნავის კრიტიკის იარაღით და ხელმძღვანელობდნენ პირდაპირ ბერძნულის ორიგინალებით“-ო*.

---

* ეს ამონაწერი ამოღებული აქვს ავტორს პროფ. მარრის წიგნიდან: „Иоани Петрицкий (გვ. 61). ეს ერთად-ერთი ამონაწერია, რომელშიაც, ჩვენის ფიქრით, ინგლისელ მსწავლულს ქართულის მართლწერით უნდა გადმოეცა სახელი ქართველის ფილოსოფოსისა: ქართული „პეტრიწონელი“ და არა რუსული „Петрицкий“, რადგანაც ევროპიელ მკითხველს ეგონება, რომ ჩვენი ფილოსოფოსი მე-XI საუკუნისა სლავიანე იყო, ან და ისიც კი ეგონებ იქნება, რომ ქართველნი კუთვნილებითნი ზედ-შესრულნი სახელნი დაბოლოვდებიან სლავიანისამებრ „ცკი“-თა და „სკი“-თა, და არა „ელი“-თა და სხვა, მაგრამ ინგლისელმა ავტორმა განიმეორა ჩვენი პროფესსორის მარრის მართლწერა, და ამაში მას ბრალი არ დაედება.

შრომანი პეტრიწონელისა, თარგმანნი ბასილ კესარიელი-

იმოქმედოს სოლიდარულად თავის მეზობლებთან, ხელი შეუწყოს მათ გონებრივ განვითარებას მათვე სამშობლო ენაზე, მაშასადამე, შეაერთოს იგინი თანამედროვე ფილოსოფიისა და მეცნიერების ჭეშმარიტებათა ნიადაგზე, აღმოსავლეთ ევროპის, პროგრესულ კაცობრიობის იდეალებითა. როდესაც ასეთის შეგნებით ყოველი მოაზროვნე ადამიანი აღიჭურვება, მაშინ კვლავ განახლდება შემოქმედებითი შრომა ქართულის განათლებისა წარსულ საუკუნეთა.

პეტრიწონელს, მთაწმინდელს, რუსთაველსა და მრავალ სხვათა შორის საქართველოს გონებრივსა და სულიერ ცხოვრებაში შემოჰქონდათ ფილოსოფია საბერძნეთისა და მცნება ქრისტესი, ხოლო ეხლანდელმა შთამომავლობამ, განსაკუთრებით, ახალმა თაობამ, მსგავსად დიდ წინაპართა, უნდა გაუზიარონ ხალხს ნაყოფი თანამედროვე მეცნიერებისა და ფილოსოფიისა ხალხისათვის ერთადერთ გასაგებ ენაზე, — სამშობლო ენაზედო, — და მაშინ უეჭველია, კვლავ აყვავდება ძველებურად გონებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენის სამშობლოისა"[72].

„ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე გამოცემასთან დაკავშირებით, ცნობილ მოღვაწეს — ილია აგლაძეს თავისი არქივიდან „სახალხო გაზეთის" სურათებიანი დამატების რედაქციისთვის მიუწოდებია ბუქარესტიდან გამოგზავნილი მარჯორი უორდროპის 1908 წლის 5 აპრილის უცნობი წერილი, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებდა ინგლისელი ქალის ყოველდღიურ ინტერესს საქართველოსა და ქართული კულტურისადმი:

ბრიტანეთის საკონსულო, ბუქარესტი, რუმინეთი
5 იგრიკისა 1908 წ.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ილია!

თქვენი წერილი მივიღე და ჟურნალი „ნიშადურიც" მაკლია № 15. მადლობას მოგახსენებთ! „ამირანიც" მომდის, მაგრამ არა რიგიანად. აქამდის მაქვს მხოლოდ შემდეგი ნომ-

---

[72] ვ. ვ ა ზ ი ა ნ ი, „ვეფხის-ტყაოსანი" ინგლისურად, „სახალხო გაზეთი", 24. IV. 1912, № 582.

რები: 6, 7, 8, 9, 12, 13. ჩემი ადრესი დაგიწერიათ შეცდომით. გამოგიგზავნეთ შესწორებული ადრესი.

მწუხვარ, რომ დამიწერია შეცდომით იმედაშვილს ქუჩუკაშვილს მაგიერ. გუშინ მივჰსწერე ბუხარესტის მთავარ ფოსტაში და იმედი მაქვს, რომ ფული კი ახლა გადაცემულია ბ. შიო ქუჩუკაშვილს წერა-კითხვა საზოგადოებაში.

უკანასკნელი ნომერი „ისარისა“ ხომ გამოსულა 1 აპანისა? მასუკან მე 7 მირკანისამდე არ მივიღე არც ერთი ქართული გაზეთი.

თქვენი პატივისმცემელი

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ“[73].

არ გასულა ერთი თვეც, რომ იმავე „სახალხო გაზეთში“ 1912 წლის 24, 26 და 27 ივნისს გაგრძელებებით (№№ 633, 634, 635) დაიბეჭდა თედო სახოკიას წერილი „ვეფხისტყაოსანი ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული“. გარდა იმისა, რომ თედო სახოკიამ აქ მოგვცა ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობის პირველი ქართული თარგმანი, მან, თავის მხრივ, საკუთარი შეხედულებებიც გამოთქვა ქართული კულტურისათვის ამ მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო:

„ჩვენი მწერლობის სადღესასწაულო ამბის შესახებ გვინდა მკითხველს გამოვეხმაუროთ და მასთან ერთად გავიზიაროთ საერთო სიხარული მთელის ჩვენის ერისა. ქართველთა გენიოსის და მთელ მსოფლიოს წინაშე თავმოსაწონებელ ადამიანის გონების ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად გამოვიდა და ევროპიელ მკითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს ჩვენის ერის უკვდავ შვილის თხზულება, გაიცნოს თვით ამ გენიოსის სამშობლო, მისი დიდებული წარსული.

ასეთი სიკეთე ქართულს მწერლობას ქართველთათვის მოჭირნახულემ, აწ განსვენებულმა მარჯორი უორდროპის ასულმა დასდო. უორდროპის ასული ეკუთვნის იმ მცირე რიცხვს ევროპიელთა, რომელთაც შეისწავლეს ჩვენი ენა, ლიტერატუ-

---

[73] „სახალხო გაზეთი“, სურათებიანი დამატება, 6. V. 1912 წ., № 104. აქ დაბეჭდილია მარჯორის ამ წერილის ფოტოპირი და ფოტოსურათი წარწერით: „მარჯორი უორდროპ, ინგლისელი მწერალი ქალი, რომელმაც ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი“ სთარგმნა“.

რა და ისტორია, იმ განსხვავებით კი, რომ განსვენებულმა არამც თუ შეისწავლა ენა, ლიტერატურა და ისტორია ქართველთა, არამედ ყოველსავე ამასთან ერთად უანგარო სიყვარულით შეიყვარა ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ხალხი და ქვეყანაცა. უორდროპის ასულმა განათლებულ ევროპას გააცნო „განდეგილი“ ილ. ჭავჭავაძისა, „სიბრძნე-სიცრუე“ საბასულხან ორბელიანისა, ქართული ხალხური ზღაპრები, „ვეფხის-ტყაოსანი“; მრავალი კიდევ სხვაცა სთარგმნა, რომელთა დასრულება და გამოქვეყნება ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა. განსვენებულს აღარ დასცალდა საბეჭდავიდან გამოსული ეხილნა თავისი უმთავრესი ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, და ამ წიგნის გამოცემისათვის ზრუნვა წილად ჰხვდა მის დაობლებულ ძმას ბ.-ნს ოლივერ უორდროპს, ცნობილ ლინგვისტსა და აღმოსავლეთის ლიტერატურის, და მათ შორის ქართულისაც, მცოდნეს, რომელიც ჩვენდამი იმავე სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალული, როგორც იყო მისი განსვენებული და.

უეჭველია, იკითხავთ, თუ როგორ შესძლო ინგლისელმა მთარგმნელმა, „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნის დროს ეძლია ის სიძნელე, რომელსაც წარმოადგენს რუსთაველის ენის გაგება თანამედროვე ქართველთათვისაც-კი. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ მთარგმნელი, თვისდა სასახელოდ, მოჰრევია ხსენებულს სიძნელეს, მოჰრევია ისე, როგორც ეს შეეძლო მხოლოდ მხნე ასულს, რომლისათვისაც სიტყვა „შეუძლებელი“ არ არსებობს, რომლისათვისაც არსებობს „სიძნელე“, გარნა არა „უძლეველი“. ყოველთ უწინარეს, „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნას ვანსვენებულმა თითქმის ოცის წლის შრომა მოანდომა, ჰკრეფდა ყოველსავე, თუ რამე დაწერილია ან იწერებოდა ამ პოემისა და მის ავტორის შესახებ ქართულად, რუსულად, ფრანგულად, გერმანულად; იკვლევდა და იწვლილავდა ყოველის სიტყვის მნიშვნელობას ცალ-ცალკე, იშველიებდა ყველას, ვისაც კი შეეძლო საეჭვო ადგილი ასე თუ ისე განემარტებინა, საგრძნობელი იყო მისთვის, რომ ქართულად არ მოგვეპოვება, გარდა ორიოდ შრომისა, მეცნიერულნი გამოკვლევანი ჩვენის პოეტის და მისის ნაწარმოების შესახებ. გარნა დიდის ხნის რუდუნებისა და ხელნაწერის არა ერთგზის შესწორების შემ-

დ:ეგ შესაძლებლად სცნო შრომა დასრულებულად აღეარებინა. თარგმანი პროზადაა, მაგრამ ისეთის დახვეწილის პროზითა, რომელიც კარგს ლექსს არ ჩამოუვარდება. ყოველი სიტყვა ზედმიწევნის სისწორითაა ინგლისურად გადმოღებული, ხოლო მეტად გაუგებარ და საეჭვო სიტყვებს, რომლის ნამდვილი მნიშვნელობა სადავოდ არის აღიარებული თვით ქართველ მკვლევართა მიერვე, სხოლიოებში დართული აქვს განმარტება ყველა ავტორისა, ვისაც კი რამე უთქვამს ხსენებულ სადავო სიტყვის გინა ადგილის შესახებ, და ყოველივე ეს იმ გულდადებითა და პუნქტუალობითაა ნაკეთები, რომელიც ესდენ ახასიათებს ევროპიელ მკვლევარს. იქნება, ინგლისელის მიერ გაწეულმა ამ უებრო შრომამ გულისხმაში ჩაგვაგდოს ქართველობა და ჩვენს გონებრივს საუნჯეს უფრო მეტის ყურადღებითა და ზრუნვით მოვეპყრათ, ვიდრე აქამდე გამოგვიჩენია ეს ზრუნვა და ყურადღება. იქნება ჩვენც დავიარსოთ რუსთაველის პოემის და ენის შესასწავლი საზოვადოება (თუ საზოგადოებანი არა), მსგავსად იტალიელთა, რომელთაც თითქმის ყოველ ქალაქში აქვსთ დაარსებული ეგრეედწოდებული „დანტეს საზოგადოება“, სადაც მათის უკვდავის პოეტის და შოთას თითქმის თანამედროვე გენიოსის „ღვთაებრივ კომედიას“ მცოდნე პროფესორების ხელმძღვანელობითა სწავლობენ, იკვლევენ და ფართო მასისათვის ხელმისაწვდომად ხდიან მისს შინაარსსა და შიგ დაცულ საუნჯეს ენისას.

თარგმანს წინ უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა 15-გვერდიანი და ბოლოში დამატება აქვს დართული. ამ უკანასკნელში მოთავსებულია: ა) თარგმანი პროფესორ მარრის რუსულ გამოკვლევისა „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობისა და უკანასიტყვაობის შესახებ (261—265 გვ.), ბ) ბიბლიოგრაფია „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ დაწერილ წიგნებისა, და თუ საგაზეთო წერილებისა, მთარგმნელს რომ შეუგროვებია (რიცხვით 84) და რომელნიც ახლა ოკსფარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კუთვნილებას შეადგენენ (265—269 გვ.) და გ) რეფერანსები ან აღნიშვნა იმ ადგილებისა, სადაც ესა თუ ის პირნი, ადგილნი, ცხოველნი, მცენარენი, ლითონნი, სარწმუნოება და სხვა მოხსენებულნი არიან „ვეფხისტყაოსანში“ (269—273 გვ.). მეტად საყურადღებოა ხსენებული წინასი-

ტყვაობა, რომელიც მეცნიერულ გამოკვლევას შეადგენს პოემისას და ინგლისის მკითხველს უადვილებს პოემის შეგნებას. ავტორი ყოვლადის მიუკერძებლობით აფასებს ჩვენს წარსულ ცხოვრებას, თუ კი რამ ღირსება მოგვეპოვებოდა ინგლისელ მკითხველს უზიარებს, მისს თვალში გვამაღლებს და ეს სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენს გარშემო ყველა იმის ცდაშია, არამც თუ აგვამაღლოს, არამედ თუ კიდევ რამ პატივი მოგვეპოვება, აგვყაროს, მაღლიდან დაბლა ჩამოგვწიოს... თავისს ვინაობას, ნამდვილ ინგლისურ თავმდაბლობით, ავტორი არ აჩენს, მაგრამ აშკარად ეტყობა ზედმიწევნით ცოდნა ჩვენის ენისა, იმასაც იგივე განუზომელი სიმპატია და თანაგრძნობა უღვივის გულში ჩვენის ხალხისადმი, როგორც უღვივოდა თვით სულმნათს და ქართველთათვის გულში ხატად-სატარებელ მარჯორი უორდროპის ასულს. დასასრულ, ავტორი მკითხველს აცნობს თვით მთარგმნელის ხანმოკლე ცხოვრებას, ცხოვრებას უზენაესის კეთილშობილების შარავანდედით მოსილს.

სამწუხაროდ, ბევრს არ ექმნება ბედნიერი შემთხვევა ჩვენის მოყვარე ინგლისელ მკვლევარის მიერ გამოთქმულნი დასკვნანი თვით დედანში წაიკითხოს. ამიტომ იმის მაგიერ, რომ მისი შინაარსი გადმოგვეცა, საუმჯობესოდ და საჭიროდ ჩავსთვალეთ სრულიად გვეთარგმნა ქართულად.

აი, თვით ეს წინასიტყვაობაცა:[74]

* * *

„ეს ნაშრომი ცდაა პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით თარგმნილიყო ის წიგნი, რომელიც ერთ ბრწყინვალე წარსულის მექონე განათლებულ ერის სარკედ ითვლება. ეს სარკე ალაგ-ალაგ გაბზარული და დაზიანებულია დროისა და უბედობის

[74] ჩვენ აქ მოგვყავს ოლივერ უორდროპის ამ წინასიტყვაობის თედო სახოკიასეული ქართული თარგმანი, რადგან უკანასკნელი დროის გამოცემებთან (1966, 1974 წწ.) შედარებით იგი უფრო სრულია, თუმცა, ორიგინალთან შედარებით, მასაც აკლია სქოლიოებისა და მეცნიერული შენიშვნების თარგმანი. ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ 1912 წლის გამოცემის ოლივერ უორდროპისეული წინასიტყვაობის ახალი სრული ქართული თარგმანი კვლავ მომავლის საქმეა.

გაფლენით, გარნა სწავლულთა გულმოდგინე შრომას შეუძლია ისევ აღადგინოს მისი დაზიანებული ადგილები და დაუბრუნოს პირვანდული ბრწყინვალება. თვით იმ მდგომარეობაშიაც კი, რა სახითაც ეს ნაშრომი წარმოდგენილია, შეუძლია საზოგადო ყურადღება მიიპყროს, თავგადასავალი პოემისა ამ უკანასკნელს წაკითხვის ღირსადა ჰქმნის. ამ წიგნს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იმით, რომ მთელის შვიდის საუკუნის განმავლობაში მთელის ერის საკითხავ წიგნად ითვლებოდა, უკანასკნელ ხანამდე ახალგაზრდობა მას ზეპირად სწავლობდა; ყოველ გასათხოვარ ქალს მოეთხოვებოდა ყოველი სიტყვა ამ წიგნისა ზეპირად სცოდნოდა და გათხოვებისას მზითევში ამის ხელნაწერიც თან გაჰყოლოდა. ასეთი მოწიწება ამ წიგნისადმი, და მერე ამდენის ხნის განმავლობაში, საბუთია იმისი, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირის ამბავი წარმოადგენს ქართველთა ცხოვრების სურათს და მოწმობს იმ აზრის ჭეშმარიტებას, რომ მისი ღირსება ცხადქმნილი 700 წლის ცხოვრებითა, რომელიც უმეტეს წილად ტანჯვითა და წვალებით იყო სავსე, ცხადივე უნდა იყოს სხვა ერთათვისაც; რომ ასეთი წიგნი განძად უნდა ჩაითვალოს მთელის კაცობრიობისათვის, განსაკუთრებით კი ისეთ ერებისათვის, ვინც, მსგავსათ ქართველთა, ბერძნების და ქრისტეანობის იდეალების გავლენა განიცადეს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უცხო ერის ფსიხოლოგიასთან კი არა, არამედ თვით ხალხისავე სულიერ ცხოვრებასთან, რომელიც, მართალია, მეზობელ აზიის გონებრივის მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაინც მთელის ათასის წლის ბრძოლის განმავლობაში ცხადად ამტკიცებდა, რომ მისი ბუნებრივი მისწრაფება მიმართული იყო დასავლეთ ევროპისაკენ, პატეთურ გამუდმებით მისთვის მიეპყრო თვალნი. იბერია აღმოსავლეთისა და იბერია დასავლეთისა, არაბთა ბატონობის ეს უუძლიერესნი ქვეყნები, ორივე უხვად გაპოხიერდა სემიტურის სისხლითა, და თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, ამ ორის ქვეყნის ერებს ჰქონდათ თუ არა ძველი ეტნიური რამ ნათესაობა, ამ გარემოებამ მაინც არამცირედი საერთო დამახასიათებელი თვისებები დასტოვა ორსავე ხალხს შორის; ისპანიას ზურგს უკან ქრისტიანეთი ედგა, ხოლო საქართველო განმარტოებით იდგა და მარტოდმარტო ჰზიდა

თვისი მოწამებრივი და დიდებული ჯვაროსნული ბრძოლა, სანამ ამ ბრძოლაში ბედმა არ უღალატა და ამ ერთს საუკუნეს წინათ იძულებული არ გახდა რუსეთის იმპერიას დაპკავშირებოდა. თვისის საგეოგრაფიო და საპოლიტიკო მდებარეობის წყალობით საქართველო ისეთი მხარე იყო, რომელმაც ყველაზე უკეთ გვაჩვენა დასავლეთისა და აღმოსავლეთის აზროვნობის დაახლოვება, რაიცა დამახასიათებელი იყო ჯვაროსნობის ეპოქისათვის; ამ უკანასკნელ ხანებში ოსმალეთმა და სპარსეთმა თუ კიდევ გამოიჩინეს საკმარისი ცხოველმყოფელობა და რეფორმების შემოღებით სიცოცხლის გახანგრძლივებას სცდილობენ, ერთიცა და მეორეც იბერიელთა სისხლის შემორევას უნდა უმადლოდეს.

მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ის ხალხი, რომელმაც მთელი თავისი დღენი აზიასა და ევროპას შორის ქრისტიანობის ხიდის გასადებად დალია, ხელოვნობის აყვავებისათვის ზრუნვაში ჩააქსოვდა უკომპრომისო აღიარებას სარწმუნოებისას; გარნა შოთას დამახასიათებელია უმეტესად თავისუფლება აზროვნობისა, თვინიერ ფანატიზმისა, ასე რომ სხვა და სხვა ხანაში, თვით მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშიაც კი, მართლმადიდებელი სასულიერო წოდება სდევნიდა და სპობდა პოემის ხელნაწერებს, და პირველად 1712 წელს დაიბეჭდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისმა გვირგვინოსანმა გამომცემელმა პოემას დაურთო სარწმუნოებრივი მისტიკური განმარტება. პოემაში ნახსენებია მაჰმადი (1010-ე ტაეპი) და მექა (1144) და სამს ალაგას ყურანი (339, 514, 1144), ისლამის ოფიციალურნი წარმომადგენელნი, ცოტა არა, მოკრძალებულის თანაგრძნობით არიან მოხსენებულნი (339). ქრისტეანობა, როგორც საეკლესიო სისტემა, შეიძლება ვსთქვათ, გაკვრით იხსენიება (აღდგომა), (აღვსების დღე), ევა (536), ხატი (247), სახატე (1345), ბაკმა (226, 229, 1110, 1410); მოიპოვება ზოგიერთი ციტატა „დაბადებიდან“ („ნაღველი სიმწარისა“ 99; „ირემი და წყარო“ 835, 1564; „მოჟღერალნი ეჟვანნი“ 772; „წაუმხდარი სიყვარული“ 1520; „ბნელი, ცხადი“ 110, 656, 707, 1431; „დაფარული საუნჯე“ 832; „დასჯერდეს“, „არცა სხვათა უწუნობდეს“ 18; „ზღვათა შესდის და გაედინების“ 49); უცაბედად ნახსენებნი ბიბლიურნი პიროვნებანი

არიან: ადამი, ბელზებულ, ეზრა, გოლიათი, ლევი და სატანა; საგეოგრაფიო სახელწოდებანი: ეღემი, ეფრატი, ჯიჰონი, ფიზონი და გიბონი მსგავსადვე ნახმარნი არიან; ერთგან თითქო მეორედდაბადების (რეგენერაციის) დოკტრინასაც კი იხსენიებს ავტორი (184) და მეორეგან კიდევ ჯოჯოხეთსა (785). რუსთაველი, თვის პოემას რომ სწერდა, ეტყობა, არა ცდილობდა ერთი რომელიმე სარწმუნოება ღირსებით შეემკო, ხოლო მეორე დაემცირებინა, ესა თუ ის სარწმუნოება ამოჩემებული არა ჰქონია, განგებ სხვა სარწმუნოებაზე წინ არ აყენებდა, არამედ ყველას კრიტიკულის თვალით უცქეროდა, და თვითონ შეიმუშავა ცხოვრების შესახებ საკუთარი ფილოსოფია, საკუთარი მსოფლმხედველობა; არაბთა და სპარსთა აზროვნობის გავლენა თუმცა ცხადად ეტყობა, მაგრამ ერთშიაც და მეორეშიაც გარეული აქვს ქრისტეანობისა და ნეოპლატონიზმის აზრები იმდენად, რომ ორსავე დასავლურ მსოფლმხედველობას უახლოვებს. „ქართველები მეათე და მეთერთმეტე საუკუნეებში საფილოსოფიო სფეროში იმავე კითხვების კვლევა-ძიებაში იყვნენ, რა კითხვებიც იმ ხანის მოწინავე საქრისტიანო ქვეყნების მოაზრეთ აინტერესებდათ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ შემთხვევაში სხვებისაგან, სახელდობრ, ევროპიელთაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ იმ ხანებში ქართველებმა სხვებზე უწინ გასცეს პასუხი საფილოსოფიო აზროვნობის ახალს მიმართულებას და აღჭურვილნი იყვნენ იმ დროისათვის სამაგალითო კრიტიციზმითა, რომელსაც საგნად ჰქონდა ბერძენთა ნაწერების განხილვა თვით ორიგინალებშივე“ (მარი, იოანე პეტრიწონელი, ს.-პეტერბურგი, 1902, გვ. 61).

მთელს პოემაში სიცოცხლისა და საქმიანობის მიმართ ცხადი აღტაცებაა გამოხატული: ღმერთი ბოროტს არ დაჰბადებს (1468, 1485); ბოროტსა სძლია კეთილმან (1337); რადგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების! (687); ვინც რა უნდა სთქვას, ქვეყანა სატრფიალოა, მშვენიერი, რაც უნდა გადამხმარი უდაბნო ახლდეს; მის შემყურეს ზოგს ემღერება და მღერის იმიტომ, რომ ბედნიერია, და ზოგი კიდევ სცდილობს ბედნიერი იყოს და ემღერებოდეს (946); ქვეყანა შემკულია ყვავილებითა, რათა დავსტკბეთ მათის ჭვრეტითა, მუნაა

ღვინო სასმელად, მშვენიერი სამოსელი და სამკაული, რომ ტანი მოვირთოთ, ნადირი სანადიროდ, მუნაა სათამაშო, მტერნი შესაბმელად, მოყვარენი საყვარელად და შესაწევრად, მუნაა გასაჭირიცა, გარნა უნდა ვებრძოლოთ; წესი არის მამათაგან ბრძოლა და ჭირთა თმენა (776); ცდა და გამარჯვება ღმერთსა უნდეს (883); რაც უნდა გაჭირვება ადგეს კაცსა, გულის გატეხა მაინც არა ჰმართებს, „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა", თავის მოკვლა სატანას შესაფერი საქმეა (728, 768, 815, 854, 1169); ჭირსა გადრეკა არ უნდა; ღმერთი უხვია, თუმცა სოფელი ძვირია (911, 1338); ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა (1365), ადამიანის სიმამაცე ჭირსა შიგან იცნობის (945), სიცოცხლე ღამის სიზმარსა ჰგავს (1572), წამიერია და არავისაგან მისანდობელი (1575) და საქმე სოფლისა მხოლოდ ზღაპარია და ჩმახია (697); ცოდნა კიდევ იმისთვის გვინდა, რომ სიზმარსა და ამაოებას თავი დავაღწიოთ და დავიმკვიდროთ სასუფეველი, შევუერთდეთ „ზესთ მწყობრთა" გუნდსა (1771); სიყვარული აგვამაღლებს (772); ძმა ძმისა უნდა ძმობილი (914); უნდა ვუერთგულოდ ჩვენს მოყვარეს, რომელთანაც გვაკავშირებს უფრო მტკიცე კავშირი, ვიდრე კავშირი ნათესაური (სისხლისა); ასეთ მოყვარისათვის ჰხამს თავი არ დავრიდოთ სიკვდილსა და ჭირსა (296).

მთელი პოემა თავიდან ბოლომდე სავსეა მეგობრობის ქებაქებითა და მკითხველის თვალწინ იშლება ამბავი იმისა, თუ მნათობთა დარნი სამნი მეგობარნი, როგორ ევლებიან თავს ერთი-მეორეს (6); თვით უზენაესმა მიჯნურობამ ადამიანის გულში გზა უნდა უტიოს ამ უმაღლეს მოვალეობას (მეგობრობას); თვით დანიშნულმა, ახლათ ჯვარდაწერილმა უნდა დასთმოს ამ გრძნობისათვის ყოველივე (292, 685, 688, 1541); ადამიანი მოყვრისათვის გზად და ხიდად ედება (685), რომელზედაც მისს მოყვარეს უვნებლად შეუძლია გავლა; რომ ქალებიც იზიარებდნენ ასეთს მოყვარეობას, ტარიელისა და ასმათის დაძმობილებისაგან სჩანს, და ერის უმაღლესის კულტურის დამამტკიცებელია ისა, რომ ასეთი კავშირი დღესაც არსებობს; არ გვეგულება სხვა მხარე, სადაც კაცისა და ქალის ასეთი წმიდა კავშირი შესაძლებელი იყოს, სადაც ესენი ისე-

თის კავშირით იყვნენ შეკავშირებულნი, რომელთანაც აზრი ცოლქმრულის კავშირისა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდეს. ასეთ ჩვეულებათა გავლენას უნდა მივაწეროთ ერთის მხრით ერის უმაღლესი ცივილიზაცია; აგრედვე ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ ქალისადმი პატივისცემა ძველისძველ კულტურის ნიშანია. რუსთაველი მგოსანია მთელის ერისა; და გაწმინდაკებულს ზნე-ჩვეულებას ერის მხოლოდ ერთი რომელიმე წრე კი არა ჰქმნის, ეს ზნე-ჩვეულება რომელისამე წრის პრივილეგიას კი არ შეადგენს, არამედ შემოქმედებაა მთელის ერისა; ის ადგილი (234, 235), სადაც ავთანდილი წამიერად ივიწყებს თავის „ვაჟკაცობას", ყველა ქართველს სირცხვილითა სწვავს, და თვით დღევანდელს, შედარებით გადაგვარების ხანაში შეუძლებელია ქართველი მამაკაცი ქალის წინაშე უწესოდ მოიქცეს. ქალი მამაკაცის სწორია; ლომის ლეკვები იგივე ლომები არიან (39); პოემის სამი გმირი ქალი დედოფლები არიან, სრულის უფლებით მოსილნი; თავიანთის გათხოვების საქმეს სრულს თავიანთს ნება-სურვილზე სწყვეტენ, ჰმართავენ თავიანთს სამეფოს; ფატმანი, ვაჭართ-უხუცესის ცოლი, როცა ქმარი სხვაგანაა ხოლმე წასული, მისულ ვაჭრებისაგან ბაჟს იღებს, წინ უძღვის ვაჭართა ამქრის ცოლების კრებულს.

მოყვრობა ამნაირად, უმთავრესი საგანია ცხოვრებისა, უიმისოდ ცხოვრება არც კი ღირს; ხოლო მისი უმაღლესი გამოხატულება ის უკეთილშობილესი მიჯნურობაა (12), რომლის შესახებ პოემის შესავალ ტაეპებშია ლაპარაკი. მიჯნურობა საზეო აღმაფრენაა (27, 29), რომელსაც შეუძლია შეიპყროს გული მხოლოდ კეთილშობილის, ბრძენის, ტურფა, ქველის და ვაჟკაც ადამიანისა (9), ეს გრძნობა გონების მიერ ნაკარნახევ კანონებს აღარ ემორჩილება, წინ უძღვის ცოლ-ქმრობას, მიჯნურს ღვთის ხატებად გარდაქმნის და ეგრედ განამზადებს მას იმ შემოქმედებითის აქტისათვის, რომლის საშუალებითაც კაცობრიობა უკუნით უკუნისამდე ახლდება. მიჯნურობა ნაზი გრძნობაა (9), სპეტაკი და უმწიკვლო (10), იგი დაფარული უნდა იყოს გარეშეთაგან (12), მიჯნურმა თვისის მიჯნურობის საგანს სამაგიერო სიყვარული არ უნდა მოსთხოვოს, გაუძლოს საყვარელ საგნის წყორმასა (10), მიჯნურობის საგანი უცვ-

ლელი უნდა იყოს (11), ბოლომდე სიმტკიცედ ურყეველობა უნდა შეჰყვეს; როცა მიჯნურს სატრფო თანაუგრძნობს, სიკვდილიც ტკბილია ხოლმე მიჯნურისათვის, სიკვდილი აღარ უმძიმს, რადგან საიქიოში ნეტარებას დაიმკვიდრებს (128, 1282). აი, ამ გრძნობათა ღელვაში სცურავს შეუდრეკელი და სწორუპოვარი ტარიელი, მსგავსი ვეფხისა, რომლის ტყავიცა მასა ჰმოსია.

შოთა რუსთაველი იმ აზრს იცავს, რომ მიჯნურმა „გულის საქმენი" არავის არ უნდა გაუმჟღავნოს, რასაც გრძნობს, არ უნდა იმჩნევდეს, უნდა „ითამაშოს სათამაშო", ე. ი. მოხერხებულად, ოსტატურად ზარდოს გულში დასადგურებული გრძნობა, გარეგნულად კი არაფერი დაიმჩნიოს, თითქო გულგრილი იყოს. ამ მხრივ, ქართველ პოეტის აზრი ინგლისელ მკითხველის გულსა ხვდება. მისი აზრი ინგლისელის აზრს სრულიად შეესაბამება. გარნა რუსთაველის მსჯელობაში ორი ისეთი მუხლიცაა, რომელთა შესახებ იგივე ინგლისელი მკითხველი შეიძლება არ დაეთანხმოს, მისი აზრი არ გაიზიაროს. ეს გახლავსთ: ა) რუსთაველის მიერ გაზვიადებულად აღწერა გაყრისაგან გამოწვეულ ნაღვლისა და ბ) ხშირად ნახმარი შედარება ადამიანის სილამაზისა ცის მნათობებთან. თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი გაზვიადება სულიერ მღელვარებით მის მიერვეა დაწუნებული (855, 911); სულიერ მღელვარებით გადაჭარბების გამოხატვა ჩვენს მწერლობაშიაც მოგვეპოვება თვით მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდეც-კი; სოლო 806 და 1423 ტაეპების მსგავს ადგილების ანალოგიები მრავლათა გვხვდება საერთოდ დასავლეთის ლიტერატურაში; არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საყვარლის მოშორება მოყვრის მიერ ისეა მიჩნეული, როგორც უკანასკნელი წამი, რომლის შემდეგ მან თვისი მოყვარე შეიძლება, ან უკეთ, უფრო მოსალოდნელია, ვეღარ იხილოს, და ამიტომ ასეთი განშორება ყოველთვის სიკვდილს ემსგავსის მისთვის (994), სიკვდილის სამოსელით იმოსება მისს თვალში. მიჯნურობა პოემის გმირებისა, როგორც კაცისა, ისე ქალისა, აღწერილია უუბრწყინვალეს ზეციური ნათლითა, ამიტომ რომ მშვენიერ არსების მშვენიერი კდემამოსილება და ბრწყინვალება სულისა ბნელ მოქმედებასთან შეჯახების დროს უმეტესად შუქმფენია ხოლმე, ვიდრე ცის

მნათობნი, რომელნიც ძველად გაღმერთებისა და თაყვანისცემის საგნადა ჰქონდა დასახული ადამიანს.

გარდა ამისა, პოემაში სამი არასასიამოვნო შემთხვევაცაა მოთხრობილი: ავთანდილისაგან ჩაჩნაგირის მოკვლა და მისგან ფატმანის გამიჯნურება და ტარიელისაგან ხვარაზმშას მოკვლა. ჩვენ აზრად არა გვაქვს ზნეობრივ მოქმედებად ჩავთვალოთ ხსენებულნი საქციელნი პოემის გმირთა; გვირჩევნია ვიფიქროთ, რომ ასეთი საქციელი იმდენადვე საწყენი იყო რუსთაველისათვისაც, როგორადაც ჩვენთვის არის საწყენი; ასეთი ქცევა საჭირო იყო მხოლოდ ინტრიგის ნასკვნისათვის და სამივე საქმე ჩადენილი იყო ქალის გულისათვის თვით ქალებისავე პირდაპირის გავლენით. რაიცა შეეხება ტარიელის სიავკაცეს და მის მიერ როსტევანის ყმათა და ხატაველთა გაჟლეტას, იმ აზრისანი ვართ, რომ მისი სიავკაცე მისივე ბოდიშის მომხდელია; ამ შემთხვევაში ტარიელი ჰამლეტს ემსგავსის, რომელსაც მამის სიკვდილის გამო დარდმა, ტახტისა და ცოლის დაკარგვამ გონება წაართვა, გააგიჟა და ერთხანობად კაცის მკვლელადაც კი გახადა; მაგრამ ამ დროებითმა გონების უცნებელობამ გაუარა თუ არა, ბუნებრივი გულგრილობა კვლავ დაუბრუნდა და ყმაწვილურმა ლაღობამ სულისამ ისევ იჩინა თავი (1351, 1352).

რაცა ვსთქვით, საკმაოდ მიგვაჩნია, რომ მკითხველისათვის გვეჩვენებინა პოემის მთავარი დედა-აზრი, ხოლო დამატებაში მკითხველი იპოვის განსაკუთრებით საინტერესო ადგილების განმარტებას; როგორც კონკრეტულ, ისე აბსტრაკტულ სიტყვა-აზრების ახსნას.

ახლა კი საჭიროდა ვსთვლით ცოტა-რამ თვით პოეტის შესახებაცა ვსთქვათ, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ მის შესახებ უფრო ნაკლები ისტორიული ცნობებია დარჩენილი, ვიდრე შექსპირის შესახებ. რუსთაველს, როგორც სჩანს, უნდა ეცხოვროს 1172 და 1216 წლებს შუა. მისი სახელი შოთა წარმომდგარია აშოთასაგან. აშოთა კერპს არმაზს (არმუზდი) ერქვა და შემთხვევითა გვხვდება მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეთა ქრონიკებში. სიტყვა რუსთაველი ნიშნავს რუსთავის მცხოვრებს; ერთი რუსთავი სამღვდელმთავრო კათედრა იყო, ხოლო მეორე რუსთავი სოფელია, სადაც შოთა დაიბადა, რად-

გან თვითონა სწერს თავის თავზე — მესხი ვარ, რუსთავისა დაბისაო; ასე რომ, პოეტი დაბადებულია რუსთავში, ახალციხის მაზრაში; მაშასადამე, ჩამომავალია მესხთა ტომისა (შექმნათა X, 2; ფსალმუნი თავი 106, მუხლი 5; ეზეკია XXVII, 13; XXXII, 26). ზეპირგადმოცემის თანახმად, შოთა ყრმავე დაობლებულა, აღსაზრდელად აუყვანია ბიძა-მისს, რომელიც ბერად ყოფილა მონასტერში. პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება მიუღია რუსთავის სასულიერო სასწავლებელში და აგრედვე ტბეთისა, გრემისა და იყალთოს მონასტრებში; შემდეგ იმ დროების ჩვეულების თანახმად განსასწავლებლად გაუგზავნია ათინაში, ოლიმპს და იერუსამეთში. იქედან დაბრუნებულს დაუწერია შესხმა წმიდანად აღიარებულ თამარ მეფისა (1184—1212), რომლის მეფობაში სავსებით ფრთა გაშალა საქართველოს პოლიტიკურმა სიძლიერემ და მწერლობაც უმაღლესად განვითარდა. ამისთვის შოთა დიდებულის და კეთილ გვირგვინოსნის ბრწყინვალე სასახლის მოლარეთ-უხუცესად დაუნიშნავსთ. ამბობენ, რომ მისი სამშობლო სოფელი ჯამაგირის მაგიერ მისთვის სამკვიდრებლად უბოძებიათო. ტფილისის სასინოდო კანტორის არქივში დაცულია ერთი საბუთი 1190 (?) წლისა, ხელმოწერილი შოთას მიერ, როგორც მოლარეთ-უხუცესისა; ამ დროს შოთა სრულებით ყმაწვილი უნდა ყოფილიყო, თუ მართლა 1172 წ. დაიბადა. ზეპირგადმოცემავე მოგვითხრობს, რომ შოთას უიმედოდ ჰყვარებია თამარ მეფე და ამის მიზეზით ჯვარის მონასტერში (იერუსალეთში) ბერად შემდგარა. ამ მონასტერში ერთ სვეტზე დახატულ სურათის თავზე შემდეგი წარწერაა დარჩენილი: „შეუნდევ, უფალო, შოთას, ამის დამხატველს. ამინ. რუსთაველი". საკვირველია, რომ სიტყვა „რუსთაველი" „ამინ"-ის შემდეგაა მიწერილი; ყოველსავე შემთხვევაში არსებობს სურათი, რომელიც მკითხველს შეუძლია მიიჩნიოს ისეთად, რომელიც ეთანხმება პოემაში გამოყვანილ პირს. შოთას შესახებ ბევრი ლეგენდაა დარჩენილი; თანახმად ამ ლეგენდებისა, შოთას თამარ მეფე ჰყვარებია და ცოლად კი ერთი ვინმე მისი უღირსი ქალი შეურთავს.

„ვეფხის-ტყაოსნის" უძველეს ხელნაწერად უნდა მივიჩნიოთ ტყავზე დაწერილი და უთარიღო ხელნაწერი, რომელიც,

როგორც პლატონ იოსელიანი მოწმობს, თ. გრიგოლ წერეთლის კუთვნილება ყოფილა; მეორე ხელნაწერი ქაღალდზე ყოფილა გადაწერილი, როგორც ამბობენ, 1443 წელს; მესამე ხელნაწერს 1678 წლის თარიღი ჰქონია. ეს ხელნაწერები ჰქონია ხელთ მეფე ვახტანგ მე-VI-ეს, როცა 1712 წელს პირველად დაუბეჭდნია „ვეფხის-ტყაოსანი". მაგრამ, ეტყობა, სამივე ხსენებული ხელნაწერი დაკარგულა, და, რამდენადაც ვიცით, მე-XVII საუკუნის ადრინდელი ხელნაწერი არ არსებობს და 1646 წლისაზე ადრინდელი თარიღი არცერთ ხელნაწერს არ უზის. მეტად სასურველია, ყურადღებას მიაქცევდნენ ტექსტის განწმენდას.

პოემა დაწერილია ოთხ-სტრიქონიან ტაეპებად, თითოეული ტაეპი 16-მარცვლოვანია, ხმის ამაღლების მიხედვით ყოველივე სტრიქონი ორად იყოფა. შიგ მოხსენებულია „დავითის" ქნარზე (1574) სიმღერა, რომელიც შეიძლება ებრაელთ შემოეტანოსთ ბაბილონის ტყვეობის ჟამს. ხოლო საქართველოს მთა ადგილებში დღესაც გაიგონებს კაცი ტარიელის ამბავს მესაზანდრეთაგან.

აქ (ქართულად) ამოვსწერთ ერთს ტაეპს, რომელმაც შეიძლება მკითხველს წარმოადგენინოს ღირსება ლექსისა და ამით ქართულს ენას ააცილოს საყვედური, მისის უშნოობის შესახებ წამოსროლილი ზოგიერთ მწერალთა მიერ, რომელთაც ოდნავი წარმოდგენაც არა აქვსთ ამ ენის შესახებ:

1281-ე ტაეპი

ბზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას იახლე მისი ეტლი, არ თუ წბილი,
მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი.

ევროპიელთ, ვისაც კი გაუგონიათ ქართული, ჰგონიათ, ვითომ ეს ენა უხმო და ხორხისმიერ ასოთა ყურთასმენის წამღებ გროვას წარმოადგენს და შიგ ხმოვანი იშვიათად ერიოს. მართალია, უხმო ასოთა შეჯარვა, რაიცა ესდენ ეჩოთირება დასავლეთის კაცის ყურსა და თვალს, ქართულში ხშირათა გვხვედება და ამ ენის სიძლიერეც სწორედ ეს გახლავსთ. ერთი თანა-

მედროვე ოსმალთა პოეტი ერთ ქართველ ბანოვანს სიტყვებით მიჰმართავს: „შენ, ვისაც ლაპარაკი ლომის ენქას მიგიგავს!“. მაშასადამე, ეს შეჯარვა უხმო ასოთა მხოლოდ ფონეტიკური სახეა ქართულ ენისა, რომელიც სააშიკო და ყრმათა დასაძინებლად შეთხზულ ლექსებში შეიძლება ისეთივე ტკბილი და საალერსო იყვეს, როგორც იტალიური ენა („ტკბილ-ქართული“, 692), ხოლო საფილოსოფიო და სარიტორიო ნაწარმოებში იმდენადვე მკვეთრი და კეთილხმოვანია, რამდენადაც მკვეთრი და კეთილხმოვანია კასტილიური გამოთქმა ისპანურ ენისა. ქართული ენა უმწვერვალესად განვითარებული სამწერლო ენა იყო თვით ქრისტეანობის დასაწყისშივე და ლურსმულ წარწერათა მკვლევარნი იმ აზრს ადგებიან, რომ ამ ენაზე ლიტერატურა ისტორიის თვით უპირველეს ხანებში არსებობდაო; ისეთი სიმდიდრე აქვს სიტყვებისა და ისეთი სიძლიერე მათის მიმოხვრისა, რომ ბერძნულ სამეტაფიზიკო თხზულებანი არამცთუ სიტყვა-სიტყვით ითარგმნენ მისის საშუალებით, არამედ ზოგჯერ მარცვალ-მარცვლობითაც. როდოსში, პეტრიწოს მონასტერში, დღეს ბაჩკოვად წოდებულში, რომელიც დაარსებული თუ განახლებული იყო ქართველთა მიერ 1083 წელს და რომელსაც დღესაც ატყვია კვალი მათის პატრონობისა, საფილოსოფიო სემინარია არსებობდა და აქ ნეოპლატონისტური და სხვა მრავალი თხზულებანი სთარგმნეს ქართულად. ერთი ქართველ ბერთაგანი იოანე პეტრიწონელი მეთერთმეტე საუკუნის დასასრულსა თუ მეთორმეტეს დასაწყისში აი, რასა სწერდა: „სათეორიო და საფილოსოფიო თხზულებათა თარგმნის დროს საჭიროდ მიმაჩნია ვეცადო, რაც შეიძლება, მარტივად გადმოვიღო აზრი და თან ენის (დედანის) თავისებურობაც ზედმიწევნით დავიცვა ხოლმე“. ამ ამონაწერ ადგილს არჩევს პროფესორი მარრი* და სწერს:

„იოანე პეტრიწონელმა გადმოსთარგმნა არა მხოლოდ აზრი, არამედ სიტყვებიცა, თვით ის სიტყვებიც, რომელნიც ქართულში არსებობს: მარტო ტერმინებს არა სჯერდება მთარგმნელი, სანამ ეს ტერმინები დედანს ეტიმოლოგიურად არ შე-

---

* იოანე პეტრიწონელი, გვ. 35.

მოსავენ; ზოგ შემთხვევაში კიდევ დედანის მარტივების რიცხ-ეიც კი უმეტ-ნაკლებოდ არის ხოლმე ქართულად გადმოღე-ბული... მისი წყალობით დღეს ქართულს ენაზე მზა-მზარეული საფილოსოფიო ტერმინოლოგია მოგვეპოვება, მოგვეპოვება ზედმიწევნით და სხარტულად გამოთქმული ქართულ სიტყვიე-რების საშუალებით ყველა ის ტერმინები, რომელნიც ევრო-პიულს ენებში ლათინურ და ბერძნულ ენებთაგან არიან ნა-სესხნი".

აი, სწორედ ესეთი ენა აქვს ნახმარი რუსთაველს და მერე ისეთის უუსრულესის ხელოვნებითა, რომ უცხო მკვლევარს პირველად ეკარგება საშუალება პოემის თვით შინაარსის გა-გებისა. ყოველს ტაეპს ხშირად ოთხმარცვლოვანი დაბოლო-ება აქვს, და მკითხველსა ჰგონია, თითქო ერთი და იგივე იყოს (შაგალ. სიტყვა „ასადაგეს", 136), და ენის საკმაო ცოდ-ნა და კარგი დაფიქრებაა საჭირო, რომ გაიგოთ, რა აზრითაცაა თითოეული მათგანი ნახმარი. მკითხველს პირველად შეიძლება კიდეც მოეჩვენოს, თითქო პოემის აზრი უფრო სმენის დატკ-ბობა იყვეს, ვიდრე მოთხრობა რისამე; თითქო იმისთვის იყოს დაწერილი, რომ მკითხველი გაართოს და კარგ გუნებაზე დაა-ყენოს, ვიდრე გასაგებით მოუთხროს რამე მისს გონებას; მხ-ოლოდ საკმაო შრომის შემდეგ შეგიძლიათ არაკის ლოგიკური ერთიანობა თვალწინ ნათლად წარმოიდგინოთ.

დიდი პოლემიკა ატყდა იმ დრამატიულ ამბის გარშემო, რომელიც პოემის საფუძველს შეადგენს, და ბევრი სამელნე ამოცლილა ამ ადგილების გამო: „ესე ამბავი სპარსული ქარ-თულად ნათარგმანები" (16) და „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი" (15). უნდა ვსთქვათ, რომ დღემდე ამის მსგავს სპარსულ ამბის კვალიც კი არსად აღმოუჩენიათ; და აღმოჩენილიც რომ იყოს ასეთი რამ, ჩვენის ავტორის სახელსა და დიდებას ისე არა დააკლდება-რა, როგორც შექსპირისას არ დაჰკლებია ლუიჯი და-პორტოს ამბის არსებობის გამო. შეიძლება რუსთაველმა ისარგებლა უკვე არსებულის ამბითა, ეს აზრი, ყოველსავე შემთხვევაში, შეიძლება აღვიაროთ ერ-თად-ერთ და უბრალო გზად ავთანდილისა და ფატმანის გა-მიჯნურების ამბის წარმოსაშობად, რომლითაც რუსთაველი,

ცოტა არ იყოს, უხალისოდ სარგებლობს, თუმცა ამავე დროს ცდილობს ტარიელის პიროვნება გააშუქოს უძლიერესის შუქით, პიროვნება იმ ტარიელისა, რომელიც, როგორც უებრო მიჯნური, შედარებულია მისს ძმად-ნაფიცთან, უგულადეს და უდარბაისლეს კაცთან. და პოეტი არც კი შეთხზავდა მის პიროვნებას და პოემაში არც კი ჩაურთავდა, მისი გამოყვანა პოემის კვანძის გასახსნელად საჭირო რომ არ ყოფილიყო. მართალია, თითქმის ყველა მომქმედ პირთ სპარსული სახელები ჰქვიანთ, — შეიძლება მხოლოდ ტარიელი, თინათინი, დავარი და ავთანდილი იყვნენ ქართულნი (უკანასკნელი საეჭვოდ მიგვაჩნია) — და მართალია ისიცა, რომ პოემაში ბევრი სპარსული სიტყვაა ნახმარი; გარნა ამის მიზეზი უნდა იყოს, ერთის მხრით, განზრახვა რუსთაველისა თვალი აეხვია მკითხველისათვის, თანამედროვე ცხოვრების შესახებ კი არა, სულ სხვა ქვეყნისა და ხალხის შესახებ გელაპარაკებიო, და მეორეს მხრივ, იმ დროში მოდა იყო ასე ეწერათ, და ეს მოდა კიდევ ბუნებრივი შედეგი იყო იმ ლიტერატურულ სიმპატიისა, ამ ორ მეზობელ და განათლებულ ხალხს შორის რომ არსებობდა. ამ შემთხვევაში პროფესორ ალ. ხახანაშვილის თეორიაც შეიძლება საფუძვლიანი გამოდგეს, სახელდობრ ისა, რომ ტარიელისა და ავთანდილის ამბის ვარიანტები ხალხში ლექსად არის დარჩენილი, განსაკუთრებით, მთებში, და თამარის წინა ხანებში ეს ლექსები ზეპირსიტყვაობის ნაწილს შეადგენდა; თვითონ ისტორიული ფაქტი დიდებულ დედოფლის ტახტზე ასვლისა მამის სიცოცხლეშივე „ვეფხის-ტყაოსნის“ ამბავს წინასიტყვაობად დაედო.

ერთი გარემოებაც შეიძლება საყურადღებოდ მივიჩნიოთ: არაბულ მწერლობაში ერთი უძველესად ხმარებულ ფრაზათაგანია ფორმა ქებისა, მოკლე ეპიგრამატიკულ ლექსის სახით გამოთქმული. „ვეფხის-ტყაოსანში“ — კი საკვირველის სიხშირითაა ნახმარი სიტყვა „ქება“; რამდენსამე ასეულ ტაეპში გვხვდება ეს სიტყვა; აგრედვე გვხვდება არაბული სიტყვა „ხოტბა“ (3, 1009, 1025), თითქმის იმავე აზრით ნახმარი; აგრედვე ლაპარაკია პროფესიონალ ევლოგისტის, „მაქები კაცი“-ს (1527) შესახებ; დასასრულ, ერთ ადგილას ნათქვამია, რომ

პოემა „ქებათა“-გან არის შეთხზულიო (1574). მეცნიერთა საქმეა ეს საგანი გამოიკვლიონ და აღმოაჩინონ, იქმნება ეს მრავალრიცხოვანნი ქებანი უფრო ძველნი აღმოჩნდნენ ვიდრე თვით პოემა, და შეიძლება მიუხვდნენ მიზეზსაც, თუ რისთვის აირჩია შოთამ თვის პოემისათვის ლექსის სახე (შაირად წოდებული); ანა და, რუსთაველმა მართლა ზეპირ-სიტყვაობიდან ხომ არ აიღო ზოგი მოკლე ლექსი ერთიმეორის მსგავსი თვისის წყობილსიტყვაობითა, ერთად ხომ არ აჰკინძა და თავისი თხზულება ერთმანეთის მსგავს ლექსების გარშემო ხომ არ მოქსოვა; ათონის მთაზე 978 წელს ბერ სარდალ „თორნიკესათვის“ გადაწერილ ქართულ „დაბადების“ ხელნაწერში „ქება ქებათად“ არის თარგმნილი; აქედანა სჩანს, რომ ძველად საქართველოში ქება ან ევლოგიუმი განსაკუთრებით თვით პოემა იყო.

ინგლისურად მთარგმნელი ამ პოემისა ეცადა მკითხველისათვის გაეცნო ავტორის იდეა და მისი ენა, ამ იდეის გამოსათქმელად ნახმარი, ეცადა იმავე სისწორითა, რა სისწორითაც ქართველს მკითხველს შეუძლია თვით დედანში გაიგოს როგორც ერთი, ისე მეორე. ამის თარგმნას შეუდგა კენტში (ინგლისში) 1891 წელს და შავად თარგმნა დაასრულა ქერჩში 1898 წლის 1 ნოემბერს; მას შემდეგ მრავალჯერ შეასწორა და შეავსო ეს თარგმანი, მუშაობა არ შეუწყვეტია 1909 წლის ქრისტეშობისთვემდე. ამდენი შრომა გასწია, გარნა კმაყოფილი მაინც არ იყო, თარგმანი უნაკლულოდ მაინც არ ეჩვენებოდა. ყოველსავე შემთხვევაში, ათზე მეტის წლის შრომის შემდეგ გადასწყვიტა დასრულებულად მიეჩნია შრომა.* რაც უნდა იყოს, ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართულ ენის შესწავლის საქმეს ევროპაში და უნდა ჩაითვალოს იმ კიბის საფე-

---

* აქ თ. სახოკიას შეცდომა მოსვლია ტექსტის გაგებაში. სინამდვილეში ლაპარაკია იმაზე, რომ მარჯორი კიდევ ათი წლის განმავლობაში აპირებდა თარგმანზე მუშაობას მის დასამთავრებლადო: „... and the translator estimated that ten more years of study at least mould be required to bring it to its final shape“ (გვ. XIII. შდრ. ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1966, გვ. 93; კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ., 1976, გვ. 343).

ხურის ქვად, რომელიც სხვებს სიარულს გაუადვილებს ამ საძნელო საქმეში. რამდენადაც გაგვიგია, უნდა არსებობდეს რამდენიმე სიტყვა-სიტყვითი თარგმანი პოემისა რუსულად (მათ შორის, განსვენებულ ივ. პოლტარაცკისაც), და ერთიც ფრანგულად (ბ. იონა მეუნარგიასი), გარნა ვერას გზით მოხერხდა, რომ ამის მთარგმნელს ენახა ან ერთი და ან მეორე ხსენებულ თარგმანთაგანი. მისის გარდაცვალების შემდეგ ერთმა სცადა ტფილისში რუსული თარგმანი დაებეჭდა გაზეთში, მაგრამ საზოგადოებას არ მოეწონა ეს თარგმანი, და სამწუხაროდ, მთარგმნელი იძულებული გახდა შეეჩერებინა ბეჭდვა თარგმნისა. ბატონ არტურ ლეისტის მეტრიკული თარგმანი პარაფრაზით გერმანულად (დრეზდენსა და ლეიპციგში, უთარიღო) საუცხოოდ გადმოგვცემს შინაარსს პოემისას და მკითხველთ ვურჩევდით მისს წაკითხვას. როგორც ვიცით, დედანი პოემისა შერყვნილია, შიგ ბევრი ყალბი ადგილებია. ამასთან არ არსებობენ კრიტიკულნი გამოცემანი და მისნი მსგავსნი სახელმძღვანელონი ლექსიკოგრაფიულნი, გრამატიკულნი, ფილოლოგიურნი, ისტორიულნი, როგორიც ყოველივე ეს სხვა მწერლობის მკითხველთ აქვთ ხოლმე. ამის მიზეზით ბევრ ადგილის ზედმიწევნით ახსნა და განმარტება შეუძლებელი შეიქმნა, და ამიტომ ასეთი ადგილები სიტყვა-სიტყვით არის თარგმნილი. აქ ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ის პირნი, ვინც თავი არ დაზოგეს და დახმარება გაგვიწიეს საბეჭდავისათვის ამ წიგნის დასამზადებლად. ამ დახმარებაში წილი ისე ბევრს უდევს, რომ სათითაოდ მოხსენება ყველასი შეუძლებლად გვეჩვენება. გარნა არ ძალგვიძს განსაკუთრებითი მადლობა არ შევსწიროთ ბ.-ნს მიხეილ წერეთელს, რომელმაც კეთილ ინება და მთელი ხელთნაწერი გადაიკითხა, და აგრედვე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ბ.-ნს ნიკ. მარრს, რომელმაც მოგვაწოდა მრავალი წყარო და თან ნება დაგვრთო ინგლისურად გვეთარგმნა და დამატებად დაგვებეჭდნა მისი რუსულ ენაზე დაწერილი გამოკვლევა პოემის წინასიტყვაობისა და უკანასიტყვაობაში მოთავსებულ ბუნდოვან ტაეპების შესახებ. იმედი გვაქვს, დამხმარენი და ხელისშემწყობნი თვისის შრომის ჯილდოდ მიითვ-

ლიან იმ გარემოებას, რომ თანამშრომლობა გაუწიეს იმ ადამიანს, რომელსაც ესდენ უყვარდა რუსთაველი და საქართველო.

დასასრულ უნდა მოვახსენოთ მკითხველს, რომ ეს წიგნი მთარგმნელის მთავარი ნაშრომთაგანია და, მაშასადამე, უნდა შეიცავდეს ცოტაოდენ ცნობას მისის ცხოვრების შესახებ. დაიბადა ლონდონში 1869 წლის გიორგობისთვეში; გარდაიცვალა ქ. ბუქარესტში (რუმინიაში) 1909 წლის ქრისტეშობისთვეში; დასაფლავებულ იქმნა სევენოკსში (ინგლისში). ქართულ ენის სწავლა რომ დაიწყო, მისის მსწავლულის წინამოადგილის, მ. ფ. ბროსეს მსგავსად, ხელთ ჰქონდა ქართული ანბანი და ქართულივე სახარება, და ცოტაოდენი რომ ისწავლა, სახელმძღვანელოდ გაიხადა ბროსეს გრამატიკა და მისივე ქართულ-ფრანგული ლექსიკონი; ოცდაათის წლის ასულმა ქართულ ენის შესწავლა თვისის სიცოცხლის საგნად გაიხადა. საფუძვლიანის განათლებით იყო აღჭურვილი და თვისის საქმიანისა და მრავალფეროვან ცხოვრების დროს არამც თუ ხმარობდა ფრანგულსა, გერმანულსა, იტალიურსა, რუსულსა და რუმინიულს ენებს შინაურობაში თუ ნაცნობ-მეგობრებთან დამოკიდებულებაში, არამედ იკვლევდა ამ ენებსა და მათს ლიტერატურასაც. ახალგაზრდობითვე თითქმის მთელი თვისი სიცოცხლე უცხოეთში გაატარა: იტალიასა, საფრანგეთსა, სამხრეთ აფრიკაში შედარებით ცოტა ხანი; ჰაიტიში ერთ წელიწადზე მეტი; რუმინიაში სამი წელიწადი; რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილას თითქმის ათი წელიწადი. ინგლისურად სთარგმნა და გამოსცა: „ქართული ხალხური ზღაპრები“, ლონდონში, 1894; „განდეგილი“, ლეგენდა თ. ილია ჭავჭავაძისა (ლექსად), ლონდონში, 1895; „წმ. ნინოს ცხოვრება“, ოქსფორდში, 1900; „ვეფხის-ტყაოსანი“ და სხვა თარგმანები ხელნაწერებად დარჩა.

მისი ერთი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი მიწერილი, რომლითაც პოეტს მისის „განდეგილის“ თარგმნის ნებართვასა სთხოვდა, ჭავჭავაძემ თავის გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა 1894 წ. 8 ენკენისთვეს (ძვ. სტ.), როგორც ნიმუში სტილისა.

ამ წერილმა ქართველ ახალგაზრობას გაუცხოველა ინტერესი სამშობლო ენისა და ლიტერატურისადმი; 1894 წლის ქრისტეშობისთვეში პირველად რომ მოვიდა ამიერკავკასიაში, ქართველობა დიდის აღტაცებით დაუხვდა; მეორეჯერ მოსვლისას, 1896 წელს, უკვე შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა ქართველ საზოგადოების ყველა წოდებას. ბევრი გულწრფელი მეგობარი გაიჩინა და მათთან მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული ქართულად. საქართველოში იშვიათია ოჯახი, სადაც მისი სახელი არ გაეგონოსთ. ზოგმა ქართველთა ენა, ისტორია და ლიტერატურა შეისწავლა; განსვენებულმა ყოველსავე ამას დაურთო გულწრფელი და უანგარო სიყვარული თვით ქართველ ხალხისადმი, ცდილობდა მუდამ სცოდნოდა ყოველივე, რაც ქართველთა კეთილდღეობას შეეხებოდა, იღვწოდა მის სასიკეთოდ, მისთვის არაფერი ეშურებოდა, თავისზე ნაკლებდალხინებულ თანამემამულეს ვისაც კი შეხვდებოდა უცხოეთში, უეჭველად უნდა მიჰშველებოდა, გულწრფელი მეგობრობა უნდა გაეწია. მისის გარდაცვალების ამბავმა ყველა შეაწუხა, ისეთებიც კი, ვინც მხოლოდ ოდნავ იცნობდნენ, ამიტომ რომ, თავათ სათუთისა და სუსტის აგებულებისას, თავი არ ეზოგებოდა მოყვასთა მისაშველებლად, ნუგეშის საცემად. მისნი დაახლოებულნი მეგობარნი იცნობდნენ როგორც ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნეს, როგორსაც ინგლისური ოჯახი ზრდის ხოლმე, იცნობდნენ როგორც ადამიანს მხიარულ გუნებისას, საღის გონებისას, მხურვალე გულის პატრონს. განსვენებული ბუნებით თავმდაბალ და მოკრძალებულ ხასიათის იყო, ერიდებოდა თვისის ნაშრომების შესახებ ლაპარაკსა, ასე რომ, ვინც დამტკბარა მისის ოჯახებრივისა და საზოგადოებრივის ღირსებებითა, რამდენმამე თუ იცოდა, რომ თავისის თავისუფალ დროს განსვენებული მეცნიერებას ანდომებდა მშვიდად, მხიარულად, არა ერთხელ გაუსწორებია თვალი გადამდებ სენისა, ომისა და სხვა მრავალ განსაცდელისათვის; და სამგან, საცა მოუხდა ცხოვრება, ჰაიტის რესპუბლიკა (1902), ს.-პეტერბურგში (1905), ბუქარესტში (1907) — მოწამე გახდა ზარბაზნების გვრგვინვა-ჭექისა სამოქალაქო ბრძოლის დროს და გაი-

ნაწილა როგორც სიხარული, ისე განსაცდელი და მწუხარება იმ ხალხთა, რომელთა შორის ისა სცხოვრობდა. — მის მიერ არა ერთხელ გამოთქმულ სურვილის თანახმად, დაარსებულ იქმნა ფონდი ოქსფორდის უნივერსიტეტში ქართულ ენის შესწავლისათვის და მისი წიგნები და ხელ-ნაწერები კიდეც გადაეცა ბოდლეის წიგნთ-საცავს".

* * *

აი, პატივცემულ უსახელო ავტორის მიერ გამოთქმული და ინგლისელ მკითხველის სამსჯავროს წინაშე წარდგენილი მსჯელობა შოთას ნაწარმოებისა, ქართველ ერისა, მისის ცხოვრებისა და კერძოდ, ქართულ ენის შესახებ. ჩვენ, ჩვენის მხრივ, სხვა არა გვეთქმის-რა, თუ არ ისა, რომ ეს მეცნიერული კვლევა-ძიება „ვეფხისტყაოსნისა" ღირსეულად დაფასებული იქმნება როგორც საერთოდ ორიენტალისტთა, ისე ჩვენთა სპეციალისტთა მიერ, ხოლო ქართველ მკითხველისაგან-კი განუსაზღვრელ და გულწრფელ მადლობას გამოიწვევს"...[75].

საქართველოსთან ცოცხალ კავშირს ოლივერ უორდროპი არ წყვეტდა მარჯორის გარდაცვალების რამდენიმე წლის შემდეგაც. ამის დადასტურებას წარმოადგენს გაზეთ „თემში" 1914 წლის 23 ივნისს გამოქვეყნებული „ოლივერ უორდოპის აზრი ვანო მაჩაბლის შესახებ", სადაც ვკითხულობთ:

„ცნობილმა მეგობარმა ქართველი ხალხისამ ბ. ოლივერ უორდროპმა შარშან წერილი მოსწერა ივანე მაჩაბლის მეუღლეს კნ. ანასტასიას, რომლის ნებართვით მოგვყავს ამ წერილიდან შემდეგი საყურადღებო ადგილი:

„ძალიან კარგი გინებებიათ შექსპირის თხზულებათა საუცხოვო თარგმანის დაბეჭდვა რომ განგიზრახავთ და თქვენი ქმრის და ჩემი მეგობრის ბიოგრაფიის შიგ ჩართვა. რამდენ-

---

[75] თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული, „სახალხო გაზეთი", 24. VI, 26. VI, 27. VI. 1912 წ., №№ 633, 634, 635.

ჯერ მიფიქრია მის შესახებ განსაკუთრებით იმ მძიმე წუთებში, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში თქვენს ძვირფას სამშობლოს ხშირად განუცდია. მისი ხასიათის სიმტკიცე, მისი ბრწყინვალე გონიერება, მისი მომხიბლაობა, მისი თავგანწირულება საქართველოსათვის შესძლებდა აეცილებინა მრავალი უბედურება მისი თანამემამულეებისათვის. მის ცდას ფუჭად არ ჩაუვლია. მისი სული დღესაც ცოცხალია მათ შორის, ვინც მას უყვარდა და მისი სახელი მუდმივ პატივისცემაში იქნება"[76].

ორი წლის შემდეგ ოლივერ უორდროპის სახელი კვლავ ჩნდება ქართული პრესის ფურცლებზე, კერძოდ, 1916 წლის 27 მარტს „სახალხო ფურცელში" „პალადის" ფსევდონიმით გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში საუბარია ნორვეგიაში მყოფ ოლივერ უორდროპთან შეხვედრაზე და პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული სიძნელეების გამო მის მიერ ქართველოლოგიური მუშაობის შეფერხებაზე. აქვეა დიდად საყურადღებო ცნობა ოლივერ უორდროპის მიერ „ერთი ქართველი პუბლიცისტის" (ალბათ, ლონდონში მყოფ ვარლამ ჩერქეზიშვილის) დახმარებით „ქართლის ცხოვრების" ინგლისური თარგმანის წამოწყებაზე. აი, ეს წერილიც:

„ნორვეგიის დაქსაქსულ ფიორდებში, დასავლეთის მხრივ მდებარეობს პატარა ქალაქი ბერგენი, რომლის ირგვლივ სიჩუმით მოცული ქუჩები, ფადუმებულნი, მძინარე ტბები გიღვიძებენ ჟორჟ როდენბასის „მკვდარ ბრიუგეს" დავიწყებულ სურათებსა. აქ, პატარა პაწია ბერგენში, სადაც ოდესღაც ატარებდა სიყრმეს ნორვეგიისთვის უკვდავი ჰენრიხ ჰიბსენი, ამ ჟამად ცხოვრობს ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი ოლივერ უორდროპი. როგორც ვიცით, უორდროპი ეკუთვნის ინგლისის საზოგადოების იმ მცირე ჯგუფს, რომელსაც მიზნად დაუსახავს საქართველოს, მისი ისტორიის და ენის გაცნობა და შესწავლა. უკანასკნელ წლებში ინგლისურ ფილოლოგიაში დაიბადა სურვილი ძველი ქართული ლიტერატურის

---

[76] ოლივერ უორდროპის აზრი ვანო მაჩაბლის შესახებ, „თემი", 23. VI. 1914 წ., № 181.

ღრმა შესწავლისა, და ამას, მართლაც, გვიმტკიცებს ლონდონში გამოსული კრებული, სადაც მოიპოვება უორდროპის და აგრედვე სხვა, და სხვა მეცნიერულ დარგში მომუშავე ინგლისელთა წერილები საქართველოს ძველ ლიტერატურაზე, ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე.

საერთაშორისო ომის დაწყებამდე უორდროპი სისტემატიურად მუშაობდა ქართულ პრაგმატიულ და კულტურულ ისტორიის შესასწავლად, და ამასთანავე ერთ ქართველ პუბლიცისტის დახმარებით სთარგმნიდა ინგლისურად „ქართლის ცხოვრებას".

მაგრამ დღეს, როდესაც ქვეყნის ყურადღება ერთიან დაიპყრო თვალუწვდენელ სივრცეზე მძვინვარე ომის ცეცხლმა, და საერთაშორისო ომის ტრაღიკული საკითხი გახდა უდიდეს საკითხად, უორდროპი იძულებული შეიქნა დროებით შეეწყვიტა თავისი მეცადინეობა, და ალბად განაგრძობს მომავალში უფრო ნორმალურ პირობებში.

მაინც უორდროპს დღესაც საქართველოს დიდი სიყვარული აქვს. მახსოვს, როგორის ინტერესით მეკითხებოდა, თუ რა ცვლილებანი გამოიწვია ქართულ ცხოვრებაში საერთაშორისო ომმა? როგორ იმოქმედა თანამედროვე მდგომარეობამ ქართველ საზოგადოების პოტენციალურ ძალის გამოღვიძებაზე, საერთოდ, რას ფიქრობენ ქართველები და როგორია მდგომარეობა? გვაქვს თუ არა ცხადად გარკვეული შეხედულება თანამედროვე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაზე და ისტორიულ მომენტთან შეთანხმებული გეგმა შინაურ და საგარეო პოლიტიკურ მოქმედებისა? როგორია განწყობილება მეზობელ ერებთან და თანამედროვე ომმა როგორ იმოქმედა ამ ურთიერთობაზე? როგორ მიმდინარეობს ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, და რომელ მიმდინარეობას ეკუთვნის დღეს საზოგადოებრივ ცხოვრების თაოსნობა? როგორია მთავარი საკითხები ქართულ საქალაქო და სოფლური ცხოვრების მიერ წამოყენებული? აი, იმ საკითხთა მცირე ნაწილი, რომელსაც იწვევს უორდროპისთვის ნორვეგიიდან შორს მდებარე საქართველო.

უორდროპმა კარგად იცის აჭარის აკლებაც და ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ქართველი მაჰმადიანობა.

ქართული ჟურნალ-გაზეთები უორდროპს ეხლა ნაკლებად მოსდის და უმეტეს შემთხვევაში ქართულ ცხოვრებას იძულებულია თვალყური ადევნოს ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებით, სადაც აქა-იქ დროგამოშვებით იბეჭდება, სამწუხაროდ, საერო ხასიათის წერილები.

საერთაშორისო ომის საკითხში უორდროპი, როგორც ლონდონში მყოფი ჩვენი თანამემამულე ბ. ვარლამ ჩერქეზიშვილი, იზიარებს იმ შეხედულებას, რომლის უკეთეს გამომხატველად ინგლისში ითვლება ბ. ლოიდ ჯორჯი"[77].

მკითხველი, ალბათ, დაინტერესდება, რა უნდოდა ამ დროს ოლივერ უორდროპს ნორვეგიაში?

საქმე ისაა, რომ 1912 წლის 15 ოქტომბერს ოლივერ უორდროპმა ცოლად შეირთო ნორვეგიელი ქალი მარგარეტ კოლლეტი და ამის გამო გასაკვირი არაა, რომ მას ნორვეგიაში ხშირად ვხედავდეთ. ოლივერს მასთან სამი შვილი შეეძინა და სამივეს ქართული სახელი — ფარნაოზ, ანდრო და ნინო დაარქვა. პირველი ქართველი მეფის — ფარნაოზის, საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლის — ანდრია მოციქულისა და საქართველოს განმანათლებლის წმინდა ნინოს პატივსაცემად.

ოლივერ უორდროპის მეუღლემ დიდხანს იცოცხლა: მარგარეტ კოლლეტი გარდაიცვალა 1960 წლის 16 დეკემბერს. მას საკმაო ღვაწლი მიუძღვის ინგლისში ქართველოლოგიური მუშაობის წინსვლის საქმეში. ამიტომ ინტერესსმოკლებული არ იქნება აქ მკითხველს გავაცნოთ ქართული თარგმანი პროფ. დ. ლანგის წერილისა „ლედი უორდროპი", რომელიც ამ ღვაწლმოსილი ქალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1961 წელს, პარიზში, ჟურნალში „ბედი ქართლისა":

---

[77] ბ ა ლ ა დ ი, ოლივერ უორდროპთან, „სახალხო ფურცელი", 27. III. 1916 წ., № 537.

„1960 წლის 16 დეკემბერს, ინგლისში, სარის საგრაფოში, ჰინდჰედში გარდაიცვალა ბრიტანეთის იმპერიის II ხარისხისა და წმ. მიხეილისა და წმ. გიორგის III ხარისხის ორდენების კავალერის სერ ჯონ ოლივერ უორდროპის ქვრივი ლედი უორდროპი. ᲫᲘᲡ გარდაცვალებასთან ერთად წყდება მაკავშირებელი ჯაჭვი თავდადებულ და-ძმასთან, რომელთაც სხვებზე მეტი იღვაწეს, რათა ხელმისაწვდომი გაეხადათ ქართული კულტურის მონაპოვრები ინგლისურად მოლაპარაკე სამყაროსათვის და მით ურყევი საფუძველი ჩაუყარეს ბრიტანელ და ქართველ ერებს შორის კეთილმეგობრულ განწყობას.

წინამდებარე მოკლე ბიოგრაფია შედგენილია ლედი უორდროპის უმცროსი ვაჟიშვილის — ანდრო კოლლეტ უორდროპისა და ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორის — ჰანს ფოგტის კეთილი შემწეობით:

ლედი მარგარეტ კოლლეტი-უორდროპისა დაიბადა 1877 წლის 13 ივლისს. მამამისი — ემილ კოლლეტი, წარმოშობით ნორვეგიელი, ოსლოს მკვიდრი გახლდათ; ბებია — კამილლა უერგელანდი-კოლლეტისა, ნორვეგიის სახალხო პოეტის ჰენრიკ უერგელანდის და, — ცნობილი მწერალი იყო. მან სახელი გაითქვა რომანით, რომლითაც ილაშქრებდა ქალის უფლებაყრილი მდგომარეობის წინააღმდეგ...

მარგარეტ კოლლეტმა და ოლივერ უორდროპმა ერთმანეთი ოლივერის ნორვეგიაში დასასვენებლად ყოფნის დროს გაიცნეს და 1912 წლის 15 ოქტომბერს დაქორწინდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ოლივერი მივლინებულ იქნა ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს წარმომადგენლად, მისი მეუღლე შინ დარჩა. ლედი უორდროპი იმედოვნებდა, რომ თვითონაც ეწვეოდა საქართველოს. სამწუხაროდ, სუსტმა ჯანმრთელობამ ოლივერი იძულებული გახადა ვადაზე ადრე დაეტოვებინა სამსახური და მანამ დაბრუნებულიყო შინ, სანამ მისი მეუღლე ჩავიდოდა საქართველოში... 1920 წლიდან 1927 წლამდე — სამსახურიდან საბოლოოდ გადადგომამდე, ოლივერ უორდროპი სტრასბურგში იმყოფებოდა გენერალურ კონსულად. იგი გარდაიცვალა 1948 წელს, 84 წლის ასაკში. ლედი უორდროპი, ეს მომხიბლავი მანდილოსანი, სულით ხორცამდე იზიარებდა მეუღ-

ლის გატაცებას ყოველივე ქართულით. იგი მუდამ სიხარულით იღებდა და მასპინძლობდა ქართველ სტუმრებს ჯერ სტრასბურგში, შემდეგ მოგვიანებით, თავიანთ სახლში, ლონდონში. ლედი უორდროპი, წლების მანძილზე ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო ქართველ მანდილოსან — მისს ეკატერინე (ეკა) ჩერქეზიშვილთან (ჩერქეზთან). ოლივერ უორდროპის მიერ ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკისათვის ბოძებული ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი სწორედ მისს ეკამ შეადგინა. მასვე ეკუთვნის „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, რომელიც მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდის ხელშეწყობით გამოიცა 1950 წელს. ეს ფონდი დაარსებულ იქნა ოქსფორდის უნივერსიტეტში ქართველოლოგიური კვლევა-ძიების წასახალისებლად და დასახმარებლად. მეორე მსოფლიო ომის დროს ლედი უორდროპი დიდ დახმარებას უწევდა ნორვეგიის წითელი ჯვრის ორგანიზაციას, რისთვისაც მეფე ჰააკონ VII-მ ხოტბა შეასხა და დააჯილდოვა ნორვეგიის წითელი ჯვრის მედლით.

უორდროპებს სამი შვილი ჰყავდათ. სამივე ახლაც საღსალამათადაა. უფროსი — ჯეიმს (ფარნაოზ) კოლლეტ უორდროპი (დაიბადა 1913 წელს) მისი უდიდებულესობის საგარეო საქმეთა სამინისტროს წევრია და ამჟამად გენერალური კონსულის პოსტი უკავია ლუანდაში (ანგოლა). მას ჰყავს ერთი ვაჟი და ერთი ასული; უმცროსი ვაჟი — ანდრო კოლლეტ უორდროპი (დაიბადა 1914 წელს) საქმიანი წრის წარმომადგენელია, ჰყავს სამი ქალიშვილი და ცხოვრობს კენტის საგრაფოში, სევენოუქსში. იგი მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდის გამგეობის წევრია. უორდროპების ქალიშვილი ნინო დაიბადა 1916 წელს და სახელდებულ იქნა საქართველოს მფარველი წმინდანის სახელის მიხედვით. ამ გარემოებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე, რომ საქართველოში შეგროვებულ იქნა თანხა ნათლისღების საჩუქრის თვის და ნინოს ძვირფასი სამკაული გამოუგზავნეს ს.ჩუქრად. ნინო კოლლეტ უორდროპი გაუთხოვარია, პროფესიით ფსიქიატრია და ცხოვრობს ინგლისში (ქ. ჰენლიში, ლონდონსა და ოქსფორდს შუა. — გ. შ.).

ლედი უორდროპი სრულყოფილი მუსიკოსი გახლდათ და მისი შვილებიც დაჯილდოებული არიან მუსიკალური ნიჭით; ენებისადმი თანდაყოლილი მიდრეკილება აქვთ, — ეს, ალბათ, იმის შედეგიც არის, რომ მათ დედას უწყვეტი კავშირი ჰქონდა თავის სამშობლოსთან და შინაც ხშირად საუბრობდნენ ხოლმე ნორვეგიულად"[78].

ნინო უორდროპისთვის ქართველების მიერ საჩუქრად გაგზავნილ თუ რომელ „ძვირფას სამკაულზეა" საუბარი, ეს პროფ. დ. ლანგის წერილიდან არ ჩანს. ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცული საარქივო დოკუმენტებით საშუალება გვეძლევა ეს საკითხიც დავაზუსტოთ.

ირკვევა, რომ 1919 წლის მიწურულს, თბილისში შექმნილა „ქართველ ქალთა უორდროპის ქალის ნინოს საჩუქრის მისართმევი მომწყობი კომისია", რომლის ერთ-ერთ პირველ სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„[1920 წლის]... იანვარს შესდგა ქალთა ჯგუფი, რომელმაც იქონია რა მსჯელობა ოლივერ უორდროპის მადლობის აღსანიშნავად, გამოსთქვა სურვილი, რომ 14 იანვარს, ნინოობას, ქართველ ქალთა სახელით მიულოცოს ოლ. უორდროპის ასულ ნინოს ქართული ძვირფასი ჯვარი, არა ნაკლებ 130 ათას მანეთისა. შესდგა კომისია, რომელიც ფურცლების საშვალებით შეაგროვებს შეწირულებას საჭირო ნივთის სასყიდლად.

თავმჯდომარედ იქნა არჩეული ელ. ორბელიანი, მდივნად — ბარ. ყიფიანი. ხაზინადრად — თ. გელოვანი. ჯგუფში შედიან შემდეგი წევრნი: თარხნიშვილი, ღამბაშიძე, თ. ყანჩელი, გელოვანი"[79].

აი, ტექსტი „მოწოდებისა", რომლის საშუალებითაც გროვდებოდა შემოწირული თანხა: „ქართველ ქალთა ჯგუფი, რომელსაც სურს ქართველ ქალთა სახელით მიულოცოს ოლივერ უორდროპის ქალს ნინოს ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ი ქ ა რ თ უ ლ ი

---

[78] დ. ლ ა ნ გ ი, ლედი უორდროპი, ჟ. „ბედი ქართლისა", ტ. XI—XII, № 36—37, პარიზი, 1961, გვ. 92—93.

იხ. აგრეთვე, ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მარგარიტა უორდროპი, „ლიტერატურული გაზეთი", 24. III. 1961, № 13.

[79] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ბ. და ნ. ყიფიანების ფონდი, № 12, ფ. 1.

ძვირფასი გიორგი მეთორმეტეს ოქროს ჯვარი, მოგმართავთ თქვენ თხოვნით შეიტანოთ თქვენი წვლილი.

ჯვარი ღირს 130 ათასი მან., შეგროვილია მხოლოთ 55 ათასი მან".

აქვეა „იმ პირთა სია, რომელთაც სურს მიიღონ მონაწილეობა ოლივერ უორდროპის ასულის ნინოს საჩუქრის მირთმევაში ქართველ ქალთა სახსოვრად".

კომისია არ დაკმაყოფილებულა მარტო კერძო პირებით და 1920 წლის 28 იანვარს „იტალო-კავკასიის ბანკის" გამგეს ასეთი თხოვნით მიმართეს: „ქართველ ქალთა ჯგუფი აგროვებს თანხას რათა შეიძინოს ძველებური ძვირფასი ოქროს ჯვარი ოლივერ უორდროპის ასულისათვის ნინოსათვის მისართმევად სახსოვრად ქართველ ქალთაგან.

იმედი გვაქვს, რომ თქვენ და თქვენი თანამსახურენი არ დაიშურებთ თქვენს წვლილს ზემოხსენებულ თანხის გასაძლიერებლად"[80].

ამ ფაქტს ადასტურებს ივანე მაჩაბლის ქალიშვილის — ელენეს ნოგონებაც: „მახსოვს, შეაგროვეს ფული და დედაჩემს დაავალეს მდიდარი საჩუქარი შეეძინა და ნინოობას ოლივერისათვის გაეგზავნა ინგლისს, მისი ქალიშვილისათვის. დედაჩემმა მეც წამიყვანა საჩუქრის შესარჩევად. მივაგენით საუცხოო ოქროს სამკაულს, ძვირფასი თვლებით მოჭედილს. ეს სამკაული გავგზავნეთ ინგლისს, პატარა ნინოსთვის"[81].

მაშასადამე, ყველა ნიშნით ჩანს, რომ ინგლისში, ქ. ჰენლიში, სადაც დღეს ცხოვრობს ნინო ოლივერის ასული უორდროპი, უნდა ინახებოდეს გიორგი XII-ის ნაქონი ძვირფასი ოქროს ჯვარი, რომელიც უეჭველია, ქართული ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუში იქნება.

ამიტომ ჩვენ ვისარგებლეთ თბილისში, 1982 წლის ზამთარში, ინგლისელი ქართველოლოგის სტივენ ჯოუნსის ყოფნით, გავაცანით მას ეს დოკუმენტები და ვთხოვეთ ინგლისში

---

[80] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ბ. და ნ. ყიფიანების ფონდი, № 12, ფ. 26-27.

[81] ელენე მაჩაბელი-ჩერქეზიშვილი, მცირე მოგონება, „დროშა", 1965 წ., № 12, გვ. 10.

დაბრუნებისას ანდრო და ნინო უორდროპების მეშვეობით დაედგინა გიორგი მეთორმეტისეული ოქროს ჯვრის ამბავი.

და აი, ინგლისიდან მალე მივიღეთ სტივენ ჯოუნსის ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი, რომელშიც, სხვათა შორის, ამასაც გვწერს: „ანდრო უორდროპს ვკითხე გიორგი XII-ის ჯვრის შესახებ. მან მიპასუხა, რომ მის დას — ნინოს მართლაც აქვს ეს ჯვარი... ვფიქრობ, რომ ქართველთათვის დიდ ფასეულობას წარმოადგენს"[82].

ახლა დავუბრუნდეთ ისევ რევოლუციამდელი ქართული პრესის ქრონიკებს.

1919 წელს შესრულდა მარჯორი უორდროპის გარდაცვალების 10 წლისთავი, რასაც ფართოდ გამოხმაურებია „თეატრი და ცხოვრება", „ჯეჯილი"... აქ მოვიყვანთ იოსებ იმედაშვილის (არიმათიელის), ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა და ეკატერინე გაბაშვილის წერილებს, რომლებშიც ერთხელ კიდევ, ზოგჯერ, ახალი კუთხითაც დანახული და შეფასებულია მარჯორი უორდროპის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე:

„თეატრი და ცხოვრება", 1919 წ., № 10, ენკენისთვის 14

კეთილი სული

(მისს მარჯორი უორდროპის (1869—1909), გარდაცვალებიდან ათი წლის თავის გამო)

სწორედ კეთილი სული იყო, თითქო ზეცით მოვლენილი, მარჯორი უორდროპი, რომელიც ამ ოცდაოდე წლის წინად ესტუმრა ჩვენს ქვეყანას, შეგვიყვარა ისე, როგორც არც ერთმა უცხოელმა ქალმა; შეიტკბო, შეისისხლხორცა და განიცადა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ნაფიქრ-ნააზრი და დიდის ბრიტანეთის ერს გააცნო; მისმა მგზნებარე გულმა, სპეტაკმა სულმა და მშრომელმა მარჯვენამ შოთა, ნინო, საბასულხანი, ილია და სხვ. ინგლისის ერს გაუზიარა... ამითი აგვამაღლა და ჩვენს დღევანდელს უკეთეს მდგომარეობას ამ სუსტმა არსებამ სწორედ მაშინ ჩაუყარა საძირკველი...

---

[82] იხ. „კომუნისტი", 1.VIII.1982, № 178, გვ. 4 და აქვე „დამატება", გვ. 472—477.

და როცა ინგლისის სარდლობა ჩვენს ქვეყანაში ყალბის ცნობებით გაბერილი ჩამოვიდა, როცა ვხედავდით ზოგიერთი მათგანის ცალმხრივობას, ჩვენ ყოველთვის ღრმადა გვწამდა, რომ დიდებული ინგლისის ერი და სახელმწიფო მუდამ ასეთი შეცდომებით არ ივლიდა... რომ ერთხელაც არის მასში გაიღვიძებდა ჩვეულებრივი სამართლიანობის გრძნობა იმ ბრწყინვალე ასულისა მისს მარჯორი უორდროპისა, რომელმაც ინგლისს ჯერ კიდევ ოცი წლის წინად გააცნო ჩვენი ერის სულიერი კულტურა და ბრწყინვალე წარსული".

ი ო ს ე ბ ა რ ი მ ა თ ი ე ლ ი[83].

„ჯეჯილი", 1919 წ., № 10—11

მისს მარჟორი უორდროპი

უცხოელები ხშირათ მოდიან აღტაცებაში საქართველოს ნახვით და მისი ისტორიით; ხშირათ მოგზაურობენ და რამდენიმე ფურცელს უძღვნიან კიდეც მის ტურფა ბუნების აღწერას. მაგრამ საქართველოსთვის ისე გულწრფელათ არავის არ უმუშავნია, როგორც მარჟორი უორდროპს, რომლის სიკვდილის ათი წლის შესრულების გამო არ შეგვიძლიან არ გავაცნოთ ახალ თაობას საქართველოს მოამაგე ინგლისელი ქალის ღვაწლი. მარჟორი უორდროპმა, საუკეთესო განათლებულმა ქალმა, შეისწავლა ქართული ენა, ისტორია და ლიტერატურა, რამდენჯერმე იყო საქართველოში: საჩხერის მხარე, კახეთი — ყველა მოიარა თავისი ოჯახობით და საქართველო გაიხადა მეორე სამშობლოთ. მისი შეწუხება და გაჭირვება მიაჩნდა თავის შეწუხებათ...

რა თავდადებით და სერიოზულათ ეკიდებოდა თავის მუშაობას, ჩანს იმის წერილიდან ჩემთან: „ვეფხის ტყაოსანი კიდევ დასაწყისიდან გადავთარგმნე, ამისათვის, რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ეხლა ნახევარი გავათავე და სურვილი მაქვს რომ ზაფხულის წინეთ დავასრულო. ეს მხოლოთ კვახე თარგმანი იქნება და დიდი ხანი, შრომა და მოთმინება

---

[83] იოსებ არიმათიელი არის ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის იოსებ იმედაშვილის ფსევდონიმი.

უნდა წინეთ რომ დაიბეჭდოს. მე არ მინდა, რომ გლახათ იყოს და სურვილი მაქვს, რომ მშვენიერობა რუსთაველისა არ დაიკარგოს“.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, 40 წლისა არ იქნებოდა, რომ წყეულმა დამბლობამ ენა წაართვა. ის მთრთოლვარე ხელით ჰაერში სწერდა, როგორც გადმოგვცეს, სიტყვას „საქართველო“.

ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი.

„ჯეჯილი“, 1919 წ., № 10—11

მისს მარჟორი უორდროპი
მოგონება
(გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო)

„ილია გთხოვთ ჩვენთან ერთად დღეს საღამოს წამობრძანდეთ მცხეთას მისს მარჟორი უორდროპის შესახვედრად“ — მწერდა ოლღა ჭავჭავაძისა და მეც, რასაკვირველია, აღტაცებით შევხვდი ამ წინადადებას. გაგონილი მქონდა, რომ ინგლისელი ქალი უორდროპი იმდენათ დაინტერესებული იყო ჩვენი ქვეყნით, რომ ის შეუდგა ქართული ენის შესწავლას და ეხლა თვითონაც მოდიოდა პირად გასაცნობათ ჩვენი ქვეყნისა და იმის ისტორიის და ლიტერატურის შესასწავლათ. ვაგონის კუთხეში მიმჯდარი თვალწინ ვიყენებდი ინგლისელ ქალს ახოვანს, ამაყს, მკაცრი შეხედულობით, რომელიც მხოლოდ საქმეს იყენებს მიზნათ და სხვა გარეშე გრძნობას სრულიათ არ აქცევს ყურადღებას და ცოტა არ იყოს ვკრთებოდი და გამბედაობას ვკარგავდი იმის შესახვედრათ. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ჩემ განცვიფრებას, როდესაც მცხეთის ვაგზლის ფოიეში ჩვენ მოგვეგება ჯერ სრულიათ ყმაწვილი 17-18 წლის ქალიშვილი გასაოცარი ტკბილი ღიმილით და თვით ყმაწვილური მოკრძალებით და სათნოებით აღსავსე ქცევით გამოგვიწოდა მეგობრულათ ხელი.

იმის წაბლისფერ კულულებით შემკულ, ლამაზათ მოყვანილ თავს ანათებდა და აცხოველებდა მშვენიერიევე დიდრონი წაბლისფერი ნათლით გამჭვირვალე თვალები და ეს თვალები დაუვიწყრათ იზიდავდნენ კაცის გულს ამ თვალების პატრო-

ნისადმი და ჩვენც მოჯადოვებულნი იმის თავაზიანობით ქართველურათ გულახდით მივესალმეთ და გადავკოცნეთ.

მას შემდეგ მისს უორდროპი კარგა ხანს დარჩა საქართველოში. ინახულა კახეთი, საგურამო და სხვა კუთხეები საქართველოსი. და მე მრავალჯერ მქონდა შემთხვევა იმისი ნახვისა და ახლო გაცნობისა. მისს მარჟორი უორდროპი ერთი იმ იშვიათ ქალის ტიპის წარმომადგენელი იყო, რომელთა სიცოცხლე და არსებობა აშვენებს, ასპეტაკებს და წმინდათ ჰყოფს კაცთა შორის განწყობილებას. ბუნებით უკეთილშობილესი თვისებებით შემკულნი ისინი ჰხიბლავენ თავიანთ მნახველებს თავიანთი ქველობით, მაღალ სულოვნებით და უმწიკვლო ზნეობით და კაცთმოყვარეობით.

მისს უორდროპის კარგათ მცნობი და თვით სიმართლის ქურუმი და უმწიკვლო სიწმინდის კაცი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელმაც პირველმა გააცნო და შეაყვარა მარჟორის თავისი მშვენიერი სამშობლო და მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლი ქართველებისა „ვეფხის ტყაოსანი“, ამბობს მისს უორდროპის გარდაცვალების გამო, რომ მარჟორის უყვარდა ყოველი სულდგმული და ყოველ სულდგმულსაც მარჟორი, ვისაც კი განუცდია იმისი კეთილშობილური არსებობის სიახლოვე და ზნეობრივი სიმაღლე. თაყვანს სცემდენ მოსამსახურენი, თავს ევლებოდენ ახლობელნი და თვით ფრინველნიც კი, რომელნიც მუდამ გარს ეხვევნენ ამ სიკეთის დაუშრეტელ წყაროს. „ერთხელ იმასთან ვსადილობდი და ღია ფანჯრიდან შემოფრინდა პატარა ბეღურა ჩიტი, იმის თეფშიდან აჰკენკა საჭმელი, მერე თავზე შეახტა, შესჭიკჭიკა რაღაც, თითქოს მადლობა უთხრა მასპინძლობისათვის და ფანჯრიდანვე გასრიალდა...“.

მისს უორდროპი იმის გარდა, რომ იყო სათნო, საყვარელი, იშვიათი კეთილშობილებით და სისპეტაკით შემკული, ის იყო აგრეთვე ინგლისელი რასის ნამდვილი წარმომადგენელი, მტკიცე ხასიათის და სიტყვის საქმეთ მქცევი ადამიანი და ამ ხასიათის სიმკვიდრეს უნდა მივაწეროთ, რომ ყმაწვილმა ქალმა, ამასთან სუსტმა და ნაზის აგებულებისამ, გადალახა ყოველი დაბრკოლება და ინგლისიდან ამ სიშორეზე მოვიდა, ინახულა

აღთქმული ქვეყანა, შეიყვარა ის, შეისწავლა და მისცა სანუ-
გეშებლათ თავისი დიდი შრომა, გააცნო ეს ქვეყანა თავის
ქვეყანას არა სიტყვით, არამედ დიდის საქმით. იმან სთარგმნა
ჩვენი პოეზიის უმშვენიერესი ნაწილი ზეპირსიტყვაობა, ხალ-
ხური ზღაპრები საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკნი, ილიას
უკვდავი პოემა „განდეგილი“ და თვით უკვდავება ჩვენი უკვ-
დავი სულის სიმდიდრისა და გენიისა — „ვეფხის ტყაოსანი“.
და ამ თარგმანს ზედა შეალია მთელი თავისი სიყმაწვილე და
აღფრთოვანებული სული. ათი წელიწადი მოანდომა იმის ლექს-
თა წყობას, სიძნელის დამუშავებას, ბაირონის და რუსთველის
ენის კეთილხმოვანების შეთანხმებას. მაგრამ მუხთალმა სიკვ-
დილმა აქაც გვიმუხთლა და დიდი შრომა დაუმთავრებელი
დარჩა. მისს უორდროპი გარდიცვალა ჯერ სრულიად ყმაწვი-
ლი, მრავალის სურვილებით, მაღალი განძრახვით აღსავსე.
იმის დასაფლავებას ლონდონის მოახლოვებით უორდროპთა
საგვარეულო აკლდამაში დაესწრენ ოთხი ქართველთა წარმო-
მადგენელნი, შეამკეს მისი მცხედარი ცოცხალი ვარდების
გვირგვინით და ზედ წარწერით.

მარჯორი უორდროპის მშობლებმა და ძმამ ოლივერ უორ-
დროპმა თავისის კეთილშობილის განსვენებულის სამარადი-
სო სახსენებლათ და ქართველთა საბედნიეროთ შესწირეს დიდი
თანხა ოქსფორდის უნივერსიტეტთან ქართული ენის კათედ-
რის და ქართული ბიბლიოთეკის დასაარსებლათ. ამ რიგათ,
ინგლისელმა ქალმა ქართველთა ვინაობის ფართე შესწავლას
და მის დაახლოვებას ევროპის უწარჩინებულეს ერთან გზა
გაუხსნა.

საუკუნო იყოს ხსენება მისი და სამაგალითოთ დარჩეს მისი
ძვირფასი შრომა ჩვენ ახალთავობისათვის.

ეკ. გაბაშვილისა.

P.S. რუსეთის გამოჩენილმა პოეტმა ბალმონტმა ერთ თა-
ვის ლექციაში მოიხსენია, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ არსებობა
შემთხვევით, მოგზაურობის დროს ოლივერ უორდროპისაგან
შეიტყო.

ამას გარდა, „თეატრმა და ცხოვრებამ“ 1920 წლის 18 იან-
ვარს (№ 2) გამოაქვეყნა ფოტოსურათი „მისს მარჯორი უორდ-

როპი“, რომელსაც ასეთი დიდად საყურადღებო მინაწერი გაუკეთა:

„გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო, რომელმაც 20 წლის წინად ინგლისურად გადათარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, „განდეგილი“ და სხვ., რითაც ინგლისს გააცნო ჩვენი წარსული დიდება. საქართველო იმდენად უყვარდა, რომ სიკვდილის წინ სთქვა: „საქართველოდან თუ გვირგვინი მეღირსოს, სამარეში ჩამაყოლეთო“, და ასეც მოიქცნენ. ნეტარ ხსენება ინგლისის ტურფა ასულს მისს მარჯორის: მისმა შრომამ დიდად ინაყოფიერა საქართველოს საბედნიეროდ!“

თავი მეოთხე

ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე*

1. „შენს ადამიანობას მე ვალმერთებ...“

ასე წერდა ილია ჭავჭავაძის მეუღლე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და თავისი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა მარჯორი უორდროპს 1908 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში.

წინა თავებში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მარჯორი და ოლივერ უორდროპების ქართველოლოგიური ღვაწლის შესახებ. მაგრამ მარტო ამით არ ამოწურულა უორდროპთა დამსახურება ქართული კულტურის წინაშე: მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა წლების მანძილზე დიდი რუდუნებით შექმნეს ძველი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების მდიდარი კოლექცია (რომელშიც ინახება, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ორი საუკეთესო ხელნაწერი), ამასთან, გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან მიმოწერით დაგროვილი ძვირფასი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, უნიკალური წიგნები, ფოტოდოკუმენტები და პრესის მასალები, რომელიც დღეს დაცულია ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში.

უორდროპისეული ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ სხვადასხვა დროს ცალკეული შენიშვნები და აღწერილობანი გაჩოაქვეყნეს ე. თაყაიშვილმა,[1] გრ. ფერაძემ,[2] დ. ლანგ-

---

* შემოკლებით დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ 1981 წლის ნოემბერ-დეკემბერში: იხ. №№ 263, 269, 276, 281, 286, 295, 297; 298; 299.

[1] Е. С. Такайшвили, Рукописи Оксфордской библиотеки, приобретенные в Тифлисе Оливером Вардропом, 1911. ე. კელენჯერიძის პუბლიკაცია, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, III, ტბ., 1961, გვ. 195—206; გადაბეჭდილია: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 153—164.

[2] გ. ფ ე რ ა ძ ე, ქართული ხელნაწერები ინგლისში, ჟ. „გეორგიკა“, ტ. 1, № 1, 1935, გვ. 80—88 (ინგლ. ენაზე).

მა.[3] ბოდლის ბიბლიოთეკას მშვენიერი წერილი უძღვნა ცნობილმა საბჭოთა ჟურნალისტმა მ. სტურუამ.[4] უორდროპის ფონდის პირველი არასრული ხელნაწერი კატალოგი ჯერ კიდევ 1923 წელს შეადგინა ეკა ჩერქეზმა (ჩერქეზიშვილმა),[5] ხოლო 1973 წელს ოქსფორდში გამოიცა ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ ბარეტის „უორდროპთა კოლექციის კატალოგი",[6] საიდანაც ვიცოდით ქართული კულტურისათვის რაოდენ ფასდაუდებელი საუნჯე არის ამ ფონდში თავმოყრილი, რომლის შესწავლა ქართული საბჭოთა მეცნიერების ამოცანას წარმოადგენდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შუამდგომლობითა და სსრ კავშირისა და ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, 1981 წლის 28 სექტემბრიდან 27 ოქტომბრამდე მივლინებული ვიყავი ინგლისში (ლონდონი, ოქსფორდი) სამუშაოდ.

ინგლისში ჩემი მუშაობის მთავარ მიზანს შეადგენდა უორდროპთა კოლექციის შესწავლა, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალების გამომზეურება დიდი ქართველი მწერლის თხზულებათა იმ ახალ აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით, რომელსაც ამზადებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

2. „ძვირფასი გვირგვინი და დიდება სამშობლოს ოჯახისა, მამა საქართველოს ერისა..."

ბოდლი — ევროპის ერთ-ერთი უძველესი ეროვნული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა — მისი დამაარსებლის სერ თო-

---

[3] დ. ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ოქსფორდი, 1955; ქართული თარგმანი ალ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს ა, იხ. „ცისკარი", 1957, № 4, გვ. 139—151.

[4] М. С т у р у а, Руставели в Оксфорде, წიგნში: «Десять из тридцати», Тб., 1978, с. 306—314.

[5] ე კ ა ჩ ე რ ქ ე ზ ი, მარჯორი უორდროპის კოლექციის კატალოგი, ოქსფორდი, 1923. (მანქანაზე ნაბეჭდი 2 ტომად, 525 ფ., დაცულია ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში).

[6] დ. ბ ა რ ე ტ ი, უორდროპთა კოლექციის კატალოგი.., ოქსფორდი, 1973.

მას ბოდლის (1545—1613) სახელობისაა. იგი დაარსებულია 1598—1602 წლებში და დღეს ოქსფორდში რამდენიმე შენობაშია განლაგებული. მათ შორისაა ეგრეთ წოდებული ახალი ბიბლიოთეკის კორპუსი, რომელშიც დაცულია უორდროპთა კოლექცია, სადაც ქართული კულტურის ისტორიის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაშუქებლად ბევრ საგულისხმო ძეგლთან გველოდა შეხვედრა.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია აქ გამოვლენილი ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაშრომი, რომელიც „წმ. ნინოს ცხოვრების“ კომენტარებს წარმოადგენს და დღემდე ასახული არ ყოფილა ეკა ჩერქეზისა და დევიდ ბარეტის ზემოაღნიშნულ კატალოგებში, რადგან ხელმოუწერელია და ამდენად აქამდე დაუდგენელი იყო მისი ავტორის ვინაობა. საიდან ვიცით, რომ მისი ავტორი მაინცდამაინც ილია ჭავჭავაძეა?

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანზე მსჯელობისას ზემოთ ამის შესახებ უკვე დაწვრილებით ვისაუბრეთ და აქ მხოლოდ დავძენთ, რომ ხელნაწერი ილიას ავტოგრაფს წარმოადგენს (შესადარებლად ვიყენებდით ოქსფორდში დაცულ ილია ჭავჭავაძის 4 ავტოგრაფულ წერილს, გაგზავნილს მარჯორი უორდროპისადმი 1894—1904 წლებში). მაშასადამე, უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, *რომ ხელთა გვაქვს ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაშრომი, რომელიც ახალ ფურცელს შლის ძველი ქართული მწერლობის ძეგლებისადმი ილია ჭავჭავაძის შეუნელებელი ინტერესისა და მრავალმხრივი ცოდნის თაობაზე.*

აი ილიასეული განმარტებანიც:

« „ვადაგი“ იხმარება „ნინოს ცხოვრებაში“ (ახალი ვარიანტი, გვ. 13), ხოლო „ქართლის მოქცევაში“ (იხილე სამი ხრონიკა, გვ. 13—14) ამ სიტყვის მაგიერ ნახმარია „*ევადაგი*“. მნიშვნელობა ამ სიტყვებისა ძნელი ასახსნელია. შინაარსის მიხედვით უნდა გადითარგმნოს ისე, როგორც სხვა ვარიანტებშია, ესე იგი „*ნათესავი*“ ანუ „*ტომი*“ მეფეთა. შეიძლება ორივე ადგილას ხელნაწერში შეცთომა იყოს და ორივე შემთხვევაში ეგ სიტყვა ნახმარი იყოს „*დარგი*“-ს მაგიერ.

„ქინძაარი“ და „ღართი“ ადგილის სახელებია მცხეთის მახლობლათ.

კვართი უფლისა ჩაფლულია სვეტი ცხოველის ქვეშ სიდონიასთან ერთათ. იმ ადგილზე, სადაც კვართი იყო ჩაფლული, სასწაულით აღემართა სვეტიცხოველი. შაჰ-აბაზი ჩემობდა, რომ კვართი უფლისა მე წამოვიღეო და 1625 წელს ვითომ ეს კვართი კიდეც გაუგზავნა რუსეთში მიხაილ თეოდორეს ძეს და რუსები ამბობდნენ მრავალი სასწაული და კურნება მოახდინა კვართმა მოსკოვშიო, მაგრამ როდესაც რუსის მართებულობამ შეჰკითხა მეფე ალექსანდრეს 1635 წელს, მართალია თუ არა, რომ შაჰ-აბაზმა წაიღო კვართიო, ალექსანდრემ უპასუხა, რომ კვართი არავის არ წაუღია და აქამომდე ძევს მცხეთის საყდარშიო. ესევე მოახსენა რუსებს ნიკიფორე მიტროპოლიტმა 1641 წელს (ყველა ამაებზე იხილე Белокуров, Дело о присылке Шахом Абассом Риды Господней Царю Михаилу Феодоровичу в 1625 г., Москва, 1891 г.)».

აქვე ვნახეთ ილია ჭავჭავაძის მიერ 1894—1904 წლებში მარჯორი უორდროპისადმი გაგზავნილი 4 წერილის ავტოგრაფი, რომელთაც ადრე დ. ბარეტის მიერ მოწოდებული ფოტოპირების მიხედვით ვიცნობდით.[7] ამათგან, 1894 წლის 20 სექტემბრის წერილი ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ილიას „განდეგილის“ მარჯორისეული ინგლისური თარგმანის განხილვისას, აქ კი გთავაზობთ ილიას დანარჩენ სამ წერილს:

I

„მოწყალეო ბატონო!

თქვენი თარგმანი ჩემის „განდეგილის“, თქვენ მიერ ბოძებული, მივიღე თქვენს პატივცემულ წერილზე ბევრად გვიან. დიდად გმადლობთ ამ ჩემთვის ძვირფასს საჩუქრისათვის... თუ ოდესმე მინანია, რომ ინგლისური არ ვიცი, ეხლა უფრო მეტად ვნანობ, ხოლო ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ვისაც ინგლისურის მცოდნეს წავაკითხე, ყველამ ძალიან მოიწონა თქვენი თარგმანი და მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ამისათვის ჩემი გულითადი მადლობა განმეორებით მოგახსენოთ.

---

[7] იხ. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი სურათი და წერილები, „კომუნისტი“, 29. III. 1981.

თქვენ ქართულიდამ გითარგმნიათ საბა ორბელიანის ნაწერიცა. იმედი გვაქვს, რომ მარტო ამაებს არ იკმარებთ და ბევრს სხვას კიდევ გადასთარგმნით და მით დიდს ღვაწლს დაგვდებთ ქართველებს. ეს თქვენი ღვაწლი იმით კი არ მიხარიან, რომ სხვათა შორის ჩემი „განდეგილიც“ ღირს იქმნა ინგლისთათვის წასაკითხად, თუმცა თავმოწონებისათვის ესეც საკმაოა ჩემთვის საკუთრად. მე მიხარიან, რომ თქვენის განათლებულის შემწეობით დიდი ერი ინგლისისა, ცოტად თუ ბევრად, შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თავისი ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავისის სულის და გულის საუნჯესა. რა თქმა უნდა, ჩვენი ნაწარმოები ლიტერატურისა ინგლისის დიდებულ ლიტერატურისათვის ვერაფერს განძს ვერ შეადგენს, მისს სამსოფლიო სიდიადეს ვერა ფერს ვერ შეჰმატებს, მაგრამ დიდი იმისათვის არის დიდი, რომ პატარაცა სწამს, ვითარცა არსება, რომელსაც ვერავინ წაართმევს ღვთიურს უფლებას ქვეყანაზე ცხოვრებისას თავისებურად, თავისის საკუთარის სურვილისა და წყურვილისამებრ.

ამ მხრით თქვენი კეთილშობილური ღვაწლი ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოების თარგმანებისა დიდი სამსახურია ჩვენის პატარა და მივიწყებული ერის წინაშე და მე, ვითარცა შვილი ჩემის ქვეყნისა, ამასა ვგრძნობ და ამას შევხარი უღრმესის მადლობითა.

გთხოვთ ჩემი გულ-წრფელი პატივის-ცემა გადასცეთ თქვენს ძმას. აგრეცვე ინებოთ და მიიღოთ მოკითხვა ჩემის მეუღლისა და ჩემის დისაგან.

თქვენი მარად პატივისმცემელი და ყოველს კეთილის თქვენთვის მსურველი

ილია ჭავჭავაძე.
26 თებერვალი, 1896, [ტფილისი]“.

II

„დიდად პატივცემულო ბატონო მარჯორი!

მთელის ჩვენის სულით და გულით მადლობას მოგახსენებთ იმ დიდ სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენმა გულ-

თბილმა და გულტკბილმა წერილმა მოგვანიჭა. ჯერ ის გვიხარიან, რომ თქვენ და პატივ-ცემული თქვენი ძმა მშვიდობით და კარგად ბრძანდებით, მერმე ის, რომ თქვენ, დიდის ინგლისის ასული, ჩვენის პაწია ქვეყნის ენით ესე ლამაზად გველაპარაკებით და მერმე ისა, რომ თქვენი აქ ჩვენთან ყოფნა დღეს აქამომდე ასე სასიამოვნოდ დაგრჩენიათ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი აქ ყოფნა ჩვენთვისაც მარად ძვირფასი სახსოვარია და ვნატრულობთ, რომ ოდესმე კვლავ ერთ-მანეთი ვინახულოთ საგურამოში, რომელიც ისეთივე ტურფა სანახავია და ისეთივე გულგაშლით და სიხარულით დაგხვდებათ, როგორც ამ რვა წლის წინად. კვლავ მადლობას მოგახსენებთ ჩემის დღეობის მოლოცვისათვის. თქვენს პატივ-ცემულს ძმას გთხოვთ გარდასცეთ ჩემი გულითადი მოკითხვა. ოლგა და ჩემი და ლიზა მოკითხვას მოგახსენებენ.

თქვენი დიდი პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე

აგვისტოს 2-სა, 1904 წ., საგურამო".

III

„მოწყალეო ხელმწიფავ!

ხვალ, ესე იგი 21-ს მაისს, მე დიდის სიამოვნებით გიახლებით საუზმისათვის დანიშნულ საათზე. ძალიან ვწუხვარ, რომ კნეინა ოლგას ვერ შეუძლიან თქვენთან ხლება, რადგანაც ცოტად ავად არის.

თქვენი ღრმად პატივის-მცემელი

ილია ჭავჭავაძე.

20 მაისი, [1906, ს.-პეტერბურგი]".

ილია ჭავჭავაძის წერილებიდან კარგად ჩანს ის ღრმა პატივისცემა, რომლითაც იგი გამსჭვალული იყო საქართველოს დიდი მოყვარული ინგლისელი მწერალი ქალისადმი.

ამასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძის ღირსეული მეუღლისა და ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ოლგა გურამიშვილი-ჭავჭავაძის 50-მდე უცნობი წერილი მარჯორი და ოლივერ უორდროპებისადმი, რომელთაგან პირველი დათა-

რიღებულია 1894 წლის 24 ნოემბრით, ხოლო უკანასკნელი — 1911 წლის 5 ოქტომბრით. ამათგან ორი წერილი რუსულად, სამი ფრანგულად, დანარჩენი კი ყველა ქართულად არის დაწერილი.

ოლღა ჭავჭავაძის წერილებში გაცოცხლებულია ილიას ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი (1894—1907 წწ.), მისი ბიოგრაფიის ბევრი უცნობი ფაქტი, პოეტის მუხანათური მკვლელობის შემზარავი დღეები და წიწამურთან დატრიალებული ტრაგედიით გამოწვეული უმძიმესი სულიერი განცდები...

ამგვარად, ეს წერილები ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო წლების ყველაზე სანდო ქრონიკებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, ამასთან, ისინი თვალნათლივ გვარწმუნებენ იმ ურყევ ეშმარიტებაში, რომ თუ ილია ერის მამად იყო აღიარებული, მისი ღირსეული მეუღლისა და მამულიშვილის წმინდა სახება, უეჭველად, ერის დედად უნდა იქნეს შერაცხილი.

ოქსფორდში აღმოჩენილი ილია ჭავჭავაძის წერილები ქართული ეპისტოლარული ლიტერატურის ნამდვილი მშვენებაა! მოგვყავს ეს წერილები (Wardr. C—27 (77—8), C—30 (18, 40), d—20 (1—14, 67, 80), d—26 (1, d—26), 4 (5—8), d—38)1. მართლწერა დაცულია):

I

ღრმათ პატივცემულო ბატონო ოლივერ!

მე და ილია გთხოვთ ხვალ სადილათ მობრძანდეთ ჩვენთან და მით გვასიამოვნოთ. სადილი სამზადზედ იქნება.

დავრჩები მარად თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

1894 წ. 24 ნოემბერი, (ტფილისი).

II

1895 წლის 8/20 ივნისი, საგურამო.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო მარჯორ!

თქვენი სურათი და წერილი გუშინ მივიღე. ვერ წარმოიდ-

გენთ რა რიგათ გავიხარე, რომ არ დაგვიწყებივართ და თქვენის ანბით მასიამოვნეთ. თუმცა ხშირათ არ მქონდა შემხვევა თქვენთან ყოფნის, მაგრამ ჩემმა გულმა ისე შეგიყვარათ და შეგითვისათ, როგორც მახლობელი ნათესავი.

ერთი სიტყვით, ხართ ჩემთვის ძვირფასი, როგორც წარმომადგენელი უდიდესი ერისა. იმდენი შრომა და მეცადინეობა არ დაიშურეთ, რომ შეგესწავლათ ჩემი სამშობლოს ლიტერატურა, თუმცა დიდი წარსულის.

ამ კვირას გიახლებით საგურამოს, თან მიმაქვს თქვენი სურათი. იმედს არ ვკარგავ, რომ ზამთარს მაინც გვნახამთ; როგორც თქვენ მწერთ, გულით გინდათ რომ საგურამოს ამოხვიდეთ. დიდათ ვისიამოვნებთ თქვენი ძმის ნახვით.

ილიამ და ლიზამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენესთ და მადლობა ეგრეთვე ყველა თქვენმა ნაცნობებმა.

ბატონ ოლივერს ჩვენი ერთობ პატივისცემა და მოკითხვა გადაეცით.

დავრჩები მარად თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

P.S. იმედი მაქვს, როდესაც დრო გექნებათ, თქვენის წერილით მასიამოვნებთ. ჩვენს მაგიერ თქვენ ძმას ოლივერს პატივისცემა მოახსენეთ. მოგეხვევით ჩემს საყვარელს გულს და ჩემ ძვირფას თვალებს დედობრივის სიყვარულით დაგიკოცნით. ილიამ უნდაბლესი მადლობა და მოკითხვა მოგახსენათ. იყავით კარგათ, ნუ დამივიწყებთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და მოსიყვარულე მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

III

1896 წლის 12/24 თებერვალი, ტფილისი

ჩემთვის უძვირფასესო ტკბილო მარჯორე!

თქვენმა წერილმა თქვენ ნახვასავით გამახარა. არ ვიცი, რით დავიმსახურე თქვენი ეგრეთი ყურადღება. იმ ცოტა ხნის განმავლობაში, როცა აქ ბრძანდებოდით, ვერაფრით ვერ გასიამოვნეთ. თუ თქვენ ხსოვნაში არა ვარ დავიწყებული, სიტყვას ვერ ვჰყოფ, რომ გამოვსთქვა თქვენდამი მადლობა.

პირუთვნელად უნდა ვაღიარო თქვენ წინაშე: მას შემდეგ, რაც გაგიცანით, თქვენ შეადგენთ ჩემს სათაყვანო და სადიდებელ პირსთ. იქნება ამ სტრიქონის წაკითხვის დროს ღიმილი მოგივიდეთ და გეგონოთ, როგორც აზიელი, ყიზილბაშურ პატივისცემას გიცხადებთ; არა, დიდათ პატივცემულო ბატონო მარჯორე! თქვენ, დიდ ბრიტანის შვილმა, არ დაიზარეთ, შეისწავლეთ ჩემი საყვარელი დედა ენა იმ წერილობამდინ, რომ თქვენის ნათარგმნით გააცანით თქვენ განათლებულს ხალხს ჩემი პატარა დავიწყებული სამშობლო. ეხლა კიდენ გითარგმნიათ „ცხოვრება წმინდა ნინოსი", რომელმანც ჩვენი ერი გააანათლა და გააქრისტიანა. (აი, ახსნა იმ სიტყვებისა, რომელსაც მიბრძანებთ, ვრცელი ახსნილია). ამის შემდეგ არამც თუ მე, ვისაც კი გაუგონია თქვენი სახელი, იცის თქვენი შრომა, მოწამეა თქვენი ღრმა პატივისცემისა.

ვაზიანის (ვარლამ ჩერქეზიშვილის) კარგა ყოფნობამ გვასიამოვნა. მეტადრე კარგი იქნება მალე შეუდგეს „ივერიას" უგზავნოს ხოლმე თავისი წერილები. უკეთესი თანამშრომელთაგანი „ივერიას" (ვინ ეყოლება). დიდათ გავიხარებთ, თუ როგორც მიბრძანებთ, თქვენი დედ-მამა და ძმა გვესტუმრებიან, მეტადრე სასიამოვნო იქნება, თუ თქვენც ერთათ მობრძანდებით. ჩემმა მულმა გულითადი მადლობა და პატივისცემა მოგახსენათ. ეგრეთვე კნეინა ბარბარემ და ყველა იმ პირთ, ვისაც მიბრძანებთ თქვენი სალამი გადავცე.

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა გიძღვნათ და იმედი აქვს მალე გვნახამთ. რაც შეეხება წყალდიდობას, დიდ უბედურება და ზარალი მოუტანა მთელ საქართველოს. ყველა ცდილობს როგორმე მიაშველონ თავიანთი წვლილი. რაც შეეხება კომიტეტის დაარსებას, ავირჩიეთ ერთი დიდათ პატივცემული პირი და იმან მიმართა, სადაც ჯერ არს, მაგრამ არაფერი ნაყოფი არ გამოვიდა. მგონია, სესხიც არ მოგვცეს. თქვენი დალოცვილი ქვეყანა გგონიათ, სადაც ასე ადვილათ შესდგება მიტინგები და არსდება კომიტეტები. მიუხედავად ამისა, ყველგან, სადაც როგორი შეძლება აქვსთ, ისე შველიან იმ ოჯახებს, ვისაც დაატყდა ესეთი უბედურება.

ამ წერილს ვათავებდი, რომ ილიამ მიიღო თქვენგან ბოძებული ჩინებული და ხელოვნებით ნათარგმნი „განდეგილი".

ილიას სურათმა აღტაცებაში მომიყვანა, ისე ცოცხლათ არის გამოყვანილი, თითქო, საცაა დაილაპარაკებსო. ჩინებული განძი აჩუქეთ ჩემს ქმარს! ჩვენთან იყო კარგი მცოდნე ინგლისურის ენისა და განცვიფრებაში მოვიდა, ისე ჩინებული ოსტატობით გითარგმნიათ. გთხოვთ, მე და ილია, თქვენ ძმას ჩვენი პატივისცემა მოახსენოთ. დიდათ გავიხარებთ, თუ სამაგიერო თქვენის წერილით გვასიამოვნებთ.

დავრჩები მარად თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

IV

1896 წლის 16/28 მაისი, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო დაო ბატონო მარჯორი!

მაპატიეთ, რომ ესე დაგიგვიანეთ პასუხი იმ ფრიად ჩემთვის სასიამოვნო წერილისა, რომელიც მებოძა თქვენგან და იმ საჩუქრისა, რომლითაც თქვენ დამასაჩუქრეთ. დიდით დიდათ გმადლობთ.

თითქმის მთელი თვე ავათ გახლდით და ეს ერთი კვირაა, როცა უკეთ გავხდი და ვესწრაფი მოგწერო წერილი. დიდათ ვისიამოვნებთ თქვენის ნახვით; და ეგრეთვე თქვენი მამისა და ძმის გაცნობა ჩვენთვის დიდათ სასიამოვნო იქნება. საშინელი უამინდობაა, სულ წვიმს. შეწუხდა ხალხი, წყლები ადიდდა და რაც შარშან გადაურჩა, წელს ერთმაგათ ზარალი მიეცათ. გზები ყველგან შეკრულია და საშიში.

როგორც გათავდება თავადაზნაურობის ყრილობა და წერაკითხვის საზოგადოება საზაფხულოდ შეისვენებს, საგურამოს გიახლებით და იმედი მაქვს იქ გნახოთ. გთხოვთ ჩემს და ილიას მაგიერ თქვენ დედ-მამას და ერთობ ყველას გულითადი პატივისცემა მოახსენო. მოკითხვა ჩემი მულისაგან. მოგეხვევით და დაგკოცნი. ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ. არ ვიცი, როგორ გამოვთქვა მადლობა იმ საჩუქრისათვის, რომელიც თქვენ მიბოძეთ.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

V

1896 წლის 27 თიბათვეს, ხუთშაბათი, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო დაო ბატონო მარჯორი!

მე და ილია უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებთ თქვენ დედ-მამას და თქვენ ძმას. ამასთან გთხოვთ ერთობ კახეთიდან რომ დაბრუნდებით, საგურამო მოიგონოთ და თქვენი კარგი მეგობრები და შეგვატყობინოთ, როდის ვისიამოვნებთ თქვენის და თქვენის ოჯახის ნახვით. წერილით შეგვატყობინეთ, როდის ეკიპაჟი დაგახვედროთ რკინის გზაზედ.

ილიაობას ჩვენი სტუმრები ბრძანდებით. ვისურვებ ყოველ კეთილს და მხიარულებას.

დავრჩები მარად თქვენი ერთგული

ოლგა ჭავჭავაძისა.

VI

1899 წლის 2 იანვარს, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო დაო მარჯორი!

მეც მომეცით ნება მოგილოცოთ თქვენ და თქვენ ძმას ბატონ ოლივერს ახალი წელიწადი და ვისურვო ყოველი კეთილი და ბედნიერება ამა სოფლისა, იყავით დღეგრძელი და მრავალი წელიწადი მიეგებენით სიხარულით.

თქვენმა წიგნმა და კარგ ამბავმა თქვენ ნახვასავით მასიამოვნა. დიდი ხანია თქვენი ანბის მოკლებულმა, ნახეთ, არ ვიცოდით, კერჩში ბრძანდებით თუ ინგლისში. თქვენი და მეტადრე თქვენი ძმის კარგათ ყოფნობამ ძლიერ გვასიამოვნა მე და ილია.

მე და ილიამ უნდაბლესი პატივისცემით მოგიხსენეთ იმ შრომისათვის, რომელსაც თქვენ და თქვენი ძმა დაუღალავად ეკიდებით. კატალოგის შედგენა დიდი ღვაწლია ჩვენი პატარა საქართველოსთვის, მეტადრე, „ვისრამიანს“ გაიცნობს ევროპული მეცნიერებაო. არ ვიცი, რა სიტყვით გამოვთქვათ ჩვენი სიხარული. მაპატიეთ და უნდა მოგახსენოთ პირუთვნელათ:

ტყუილათ ემდურით თქვენ თავს, ვითომ მართლწერაში შეცთომით სწერიაო. უნდა გამოგიტყდეთ და მოგახსენოთ, ნეტავი ჩვენმა ქალებმა მესამედი იცოდნენ, რაც თქვენ იცით და დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი დაქვეითებულ ოჯახისათვის და საქართველოსთვის!

მიბრძანებთ, რომ კიდენ ფიქრავთ მოგზაურობას. სასიამოვნოდ ვისურვებ მხიარული იმოგზაუროთ. არ ვკარგამთ იმედს მე და ილია, რომ კიდენ მოიგონებთ ჩვენ საქართველოს და თქვენ პატივისმცემლებს და გვნახამთ და მით გავიხარებთ.

იყავით კარგათ და თქვენი ჩემ სასიამოვნო ანბით გასახარებლათ.

ილიამ და ლიზამ და ყველა თქვენმა გულით პატივისმცემლებმა უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა მოგახსენათ.

თქვენ კი არ უნდა მიბრძანოთ მადლობა, ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ „ივერიას" თქვენისთანა განათლებული პირი კითხულობს.

მოგეხვევით ჩემო საყვარელო გულო და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს.

დავრჩები მარად თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

VII

1900 წლის 3 მაისი, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და უძვირფასესო დაო მისს მარჯორე!

თქვენმა წერილმა თქვენ ნახვასავით გვასიამოვნა. ილიას ანბავს კითხულობთ. ეხლა უკეთ არის. ძალიან დაიღალა ბევრი მუშაობით და ასე არის, რომ გული დაუსუსტდა. ეხლა უკეთობა ეტყობოდა, სამძღვარგარეთ გიახლებით. ილია და მე ნოსაუში ვიქნებით, ელიზავეტ გრიგოლის ასული საგინოვისა— კარლსბადში. მე მომიხდება ბერლინში ყოფნა, ესე ერთი თვე დავრჩებით და იმედია, რომ სრულებით განიკურნოს ილია.

ჩვენ ბედზედ ქალაქს თბილისს გამოიარა პროფესორმა ვაგნერმა, რომელმაც გაშინჯა ილია და დარიგება მისცა ზედ, როგორ იწამლოს. დიდათ მოხარული ვიქნები თუ გამართლდა და ქალაქ თბილისში დასახლდებიო.

თქვენ, ჩემთვის უძვირფასესო, ტყუილათ უჩივით, ვითომ არ გემყოფებოდა ქართული წერა. რამდენიც წიგნი მომეახლა, თქვენი მართლწერით ყველა აღტაცებაში მოდის. თუ ჩვენ მხარეს ეწვევით, მაშინ ქართულს ისე შეისწავლით, რომ ყველა ჩვენ ქართველ ქალს აჯობებთ.

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ და ეგრეთვე ლიზა საგინოვისამ. იყავით კარგათ და არ დაგვივიწყოთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

VIII

1901 წლის იანვარი, ტფილისი.

მომეცით ნება დედობრივის სიყვარულით მოგეხვიოთ და მრავალჯერ დაგიკოცნოთ ჩემი საყვარელი თვალები.

დიდათ გმადლობთ მე და ილია. ყოველთვის თანაგრძნობით ეგებებით ჩვენ ავკარგიანობას. ეხლა ილია სულ სამძღვარგარეთ იყო და იწამლა სრულობით. კარგი და თავისზე დამოკიდებული თუ ზომიერათ იმუშავა და არ დაიღლება, სრულიად კარგა იქნება.

ჩვენ სამნიენი ბერლინში ლეიდენის სანატორიუმში ვიყავით. ვწუხართ, რომ თქვენ იქ ბრძანდებოდით და ჩვენ ვერ შეეხვდით ერთმანეთს. ბერლინი თავის აგარაკებით და შესანიშნავი ალაგებით და ნიშებით ყველა ვნახეთ და დავათვალიერეთ. ძალიან მოგვეწონა, მრეწველობა უმაღლეს წერტილამდინ არის აყვანილი.

დრეზდენშიც გახლდით და ვნახეთ იქაც შესანიშნავი სურათების გალერეია და ქანდაკებანი. უმშვენიერესი იმაზედ, მგონი, არა არის რა.* სამი თვე გახლდით და შინ რომ დავბრუნდით, ჩვენი საქართველო ერთ-ერთი მშვენიერი გვეჩვენა.

ილიამ და ლიზამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ თქვენ და თქვენ ძმას ოლივერს.

დავრჩები მარად თქვენი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

---

* ამით დოკუმენტურად დადასტურდა ჩვენი ვარაუდი ილია ჭავჭავაძის დრეზდენში ყოფნის თაობაზე: შდრ. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე ევროპაში, „ჭოროხი", 1982, № 2.

IX

1904 წლის 12 მაისი, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულით საყვარელო ბატონო მარჯორი!

ეს არის თქვენი წიგნი შემომიტანეს. თქვენს ნახვასავით გავიხარე. ვერ წარმოიდგენთ იმ ჩემ სიამოვნებას, რომელიც მაგრძნობინა თქვენმა ნათესაურმა მოკითხვამ. ეს ორი წელიწადი ჩემთვის გაუგებარი იყო. მიზეზს ვეძებდი თქვენ უანბობისას. მინდოდა მომეწერა და სწორეთ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდით. დიდხან იცოცხლეთ ბედნიერის ცხოვრებით, რომ მომიგონეთ, გამახარეთ თქვენის ანბით.

მე და ილია დიდათ შევწუხდით თქვენი ოჯახის მოვლენილ უბედურებას. წიგნს რომ სწერდეთ დედას თქვენს, გთხოვთ ჩვენს მაგიერ გამოუცხადოთ უსამზღვრო მწუხარება და სამძიმარი უდროოთ დაკარგული უმორჩილესი ქრმისა გამო. უზენაესმა ღმერთმა შეაძლებინოს მწუხარების ატანა, ღმერთმა თქვენი თავი უცოცხლოს და უბედნიეროს.

ჩემ დღეში არ დამავიწყდება ის ნეტარი დრო, როდესაც თქვენ და თქვენი დედ-მამა საგურამოს გვეწვიენით და მით ვისიამოვნეთ. იმის შემდეგ თქვენ და თქვენს ოჯახს ისე ვუყურებ, როგორც გულის ნათესავს.

მიბრძანებთ ვითომ თქვენ წიგნში შეცდომა შეგპარვოდეს მართლწერაში. მე მაგ საგანზედ არაფერს არ ვიტყვი, მარტო ამას მოგახსენებთ, ნეტავი ჩვენმა ახალმა თაობამ და მეტადრე ჩვენმა ქალებმა ისე მართლწერა იცოდნენ, როგორც თქვენ იცით და მაშინ ჩვენი ძველი ოჯახი ისევ ის იქნება, როგორც ძველათ იყო თავის ტრადიციით. რადგან სურვილი გაქვთ შეისწავლოთ ქართული ენა და მისი ისტორია და გრამატიკა, კარგს ინებებთ, რომ გაიცნოთ პროფესორი ქართული ენისა ცაგარელი ალექსანდრე, ჩინებული ადამიანი, დიდი მცოდნე თავის საგნისა, განათლებული და დიდი პატიოსანი. ის ყველაფერში დაგეხმარებათ და უფრო მალე მიაღწევთ მიზანსა. მანდ პეტერბურგში ბევრი ქართველობაა და ყველანი პატიოსანი არიან, რადგან მოშორებულნი არიან თავის მიწა-წყალს და სამშობლოს. სტუდენტობა მართლაც და ძალიან გაჭირე-

ბულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩემო ტკბილო და კარგო მეგობარო, ყველას ყურადღებით მოექეცით. ვერ წარმოიდგენთ, რა გულით მინდა თქვენი ნახვა, ბევრს საგულისხმიერო გულის ნადებს მოგახსენებდით, როგორც გულის და სულის მეგობარს.

ჩვენი დედაქალაქი არ შეცვლილა და ისეთი არაჩვეულებრივი არა მომხდარა რა. ისევ ის ფერი და იერი არის. ხოლო ეხლა ყველანი დიდ ფაცა-ფუცაში არიან, ჯარისკაცთა მზადებაში. აი, ეს არის ახალი ამბავი. ყველა ცვალებადია, დღეს რაც აქვს კაცს ანუ ერს, ხვალ შეიძლება ყველას გამოეცალოს ანუ უფრო წესიერი სამარცხვინო ბოძზედ იყოს მიკრული. სოფელი ტრიალებს ჩარხისავით. რაც ამ ორ წელიწადში წიგნები გამოვიდა, ყველას ილია მოგართმევთ, ხოლო რაც შეეხება გაზეთ „ივერიას", ილიამ ამ ორ წელიწადში სხვას გადასცა და თითონ აღარ ითვლება რედაკტორათა, რადგან ავადმყოფობის შემდეგ დიდ ჯაფას ვერ იტანდა და თქვენ უკეთ მოგეხსენებათ ყოველდღიური გაზეთი რა ჯაფას და ტვირთს ითხოვს. ეს ვერ შეძლო და სხვას გადასცა— სარაჯოვია გამომცემელი და რედაკტორი.

თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

X

1906 წლის 22 თიბათვეს, (ს.-პეტერბურგი).

ჩემო გულით საყვარელო და სანახავათ სანატრელო დაო მარჯორი!

ეს არის თქვენი წიგნი მივიღე. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ ისე, როგორც იმ თქვენმა სიამოვნებით მოწერილმა წიგნმა გაახარა ჩემი გული. დიდი დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, ისე დავრჩი, რომ ვერ გიახელი. უნდა მოგახსენოთ, ბრმა შემთხვევა იყო: მივდიოდი მაღაზიაში და გადავდიოდი გზას, დიდი ფურგუნი დამეტაკა და წამაქცია, იმ მხარეზე დავეცი, რომელიც დაშავებული მაქვს. ღმერთმა უშველოს, ვიღაც კაცი იყო, ამაყენა და შეეიძელ შინ მისვლა, რადგან ძალიან ახლო ვიყავ სახლთან. ეხლა რომ გავდივარ, ფეხით ან მეტადრე ეკიპაჟით, ძალიან შემაწუხებს ხოლმე და ისე ვიღ-

ლები, რომ მთელი საათები უნდა ვიწვე. ჩემმა უბედურებამ და ავადმყოფობამ ყველასთან დამაშორა.

წარმოდგენილი მაქვს როგორი სიამოვნებით ატარებთ დროს თქვენ სამშობლოში დედასთან და თქვენ ძმასთან და ყოველ თქვენ კეთილ ნაცნობებთან, მასთან, ბუნებაც შეჰფერის თქვენ სიამოვნებას. თუ მალე არ დაიშალა გოსუდარსტვენ დუმა, კიდენ მეღირსება თქვენი ნახვა. ჩემ მაგიერ უნდაბლესი პატივისცემა მოახსენეთ დედათქვენს და მადლობა რომ ვახსოვარ. თქვენ წიგნს ხშირათ ვკითხულობ და ფიქრით თქვენში ვტრიალებ ოცნებით. კიდევ თუ ღმერთი შემეწევა, უნდა ვიახლო დედათქვენს, როდესაც იქ იქნებით და დავტკბე თქვენთან ყოფნით და თქვენის ბედნიერების მყუდროებით.

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ და მადლობა თქვენ, დედათქვენს და თქვენ ძმებს ხსოვნისათვის.

აქ საშინელი სიცხეები დაიჭირა, ისე ხარ, როგორადაც ხატში. ისე ხატი უწყობს რუსის ხალხს.

ჩემ მაგიერ ბატონ ოლივერს და ბატონ თომას უნდაბლესი პატივისცემა და მოკითხვა გადაეცით.

მოგეხვევით და სიყვარულით დაგიკოცნით ჩემ საყვარელს თვალებს და გულს.

იყავით კარგათ, ნუ დამივიწყებთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XI

1906 წლის 1 ნოემბერი ანუ გიორგობისთვე, (ტფილისი).

უღრმესათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო ბატონო მარჯორიო!

თქვენმა ნაცნობმა ბატონმა ნევინსონმა მომიტანა თქვენი წიგნი და დედისაგან გამოგზავნილი ჩემთვის ძვირფასათ სახსოვარი ნივთი.

როდესაც ილიას ეწვია ბატონი ნევინსონი, მე შინ არ გახლდით და ვწუხვარ, ვერ ვნახე. ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ ბედნიერის ცხოვრებით ჩემდა სანუგეშოთ. თავის დღეში არ დავივიწყებ იმ გულით მაღალ ადამიანობას, რომელსაც იჩენთ

ყოველთვის ჩემდამი. თქვენ ხომ თქვენ სამშობლოში წაბრძანდით, ჩვენ დიდხან აღარ მოგვიხდა ყოფნა (ს.-პეტერბურგში). დუმამ ვერ იჩინა დარბაისლობა, ბავშურათ ყველაფერს ეტანებოდა და თხოულობდა და ძალაუფლებისთვის კი მომზადებული არ იყო.

მე და ილია, გახარებული, რომ მალე გვეღირსა შინ დაბრუნება, რა დღესაც შეატყობინეს— დუმა დაიშალაო, მეორე დღესვე წამოვედით. მარტო ეს მაღონებს — ძალიან შევიწროებული ცხოვრება. ხალხი ჯერ არ დაწყნარებულა, ღელავს და ბობოქრობს, ძალიან სისასტიკით ექცევიან და ულმობელათ. ის მშვენიერი და კოპწია გურია ხომ სულ მიწასთან არის გასწორებული. მგონი ჩვენ კიდენ თებერვალში ან უფრო მალე მოგვიხდება პეტერბურგს წასვლა. როგორც დუმა იქნება ამორჩეული, მაშინვე ილიას დაიბარებენ. მაშინ გაცილებით ჩემთვის დიდი გულის დანაკლისი იქნება თქვენი იქ არ ყოფნა. მე გულით გავიხარე, რომ ისეთ მშვენიერ ბუნებით სავსე მხარეს, როგორიც რუმინიაა, მოუხდა სამსახური ბატონ ოლივერს. რუსეთის ჰავა ძალიან მავნებელია. გარდა იმისა ეხლა განათლებულ ადამიანისთვის იქ ყოფნა აუტანელია. ჯერ ვერ დაწყნარდა ხალხი და ღმერთმა უწყის, როდის მოეღება ბოლო ჟლეტას და სიკვდილით სიცოცხლის მოსპობას.

ჩვენ ქალაქ თბილისშიც დღე არ გავა, რომ სადმე იქვე ქუჩაში ბომბი არ გაისროლონ და უდანაშაულო ხალხი საპყრობილეში არ მოათავსონ. ძალიან აუტანელი დროა!

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ, კარგათ გახლავსთ და ბევრს კითხულობს.

გთხოვთ მე და ილიასაგან უნდაბლესი პატივისცემა მოახსენოთ თქვენ ძმას ოლივერს და მიულოცოთ ახალ ადგილას კარგი ბედნიერი ცხოვრება.

ჩემო გულით საყვარელო, როდესაც დედათქვენს წიგნს წერდეთ, ჩემი უღრმესი პატივისცემა და ბოდიში გადაეცი სამსახურისათვის. თუ ღმერთი შემეწევა და როგორმე მოვხვდი ევროპას, უეჭველათ ვიახლები და ვისიამოვნებ იმის ნახვით.

იყავით კარგათ, ნუ დამივიწყებთ. ბევრს გაკოცებთ ჩემ საყვარელ გულს და თვალებს.

დავრჩები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XII

1908 წლის 16 მარტს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის დაუვიწყარო და სანახავათ სანატრელო შვილო მარჯორი!

ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ და ბედნიერათ კარგის დედის და ძმების სიცოცხლით. თქვენმა წერილმა ნუგეში მცა და გულს ესალბუნა. ვიცი, ჩემო კარგო და გულით საყვარელო დაო, ყოველთვის მომიგონებთ და შემიბრალებთ.

მე ისეთი უბედურება დამატყდა, უეცრათ სიტყვას ვერ ვპოვებ რომ გამოვთქვა. იმ ურჯულოებმა ჩემი ნუგეში და თვალის სინათლე მომიკლეს, მე დამასახიჩრეს. მარცხენა თვალით თითქმის არ ვხედამ. თავზე დიდი ჭრილობა მაქვს. ჯანი გავარდეს, ამას ისა ჯობდა, მეც მოვეკალი და მღირსებოდა ილიასთან დასაფლავება.

ეხლა დავრჩი მარტო ყრუ და უძლური. ნუ დამივიწყებთ, თქვენი ანბით მასულდგმულეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგათ გულმა გაიხარა და თვალმა ისიამოვნა კითხვით. თუ ღმერთი მომხედამს და დრო მექნება, უეჭველათ გნახამთ. მომეცით ნება, ჩემი დაუვიწყარი ილიას პორტრეტი მოგართვათ, გადავაღებინე და ვინახამდი.

მე იმედს არ ვკარგამდი, რომ დღე გამითენდებოდა და მომიგონებდით. გთხოვთ გადასცეთ ჩემ მაგიერ უღრმესი მადლობა და მოკითხვა დედათქვენს და თქვენს ძმებს.

იყავით კარგათ. ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნით და მოგეხვევით.

დავრჩები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

უბედური ოლგა ჭავჭავაძისა.

P.S. ჩემი ადრესი: Андреевская № 22.

XIII

1908 წლის 11 მაისი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო გულის ნადებო დაო მარჯორი!

ეხლა მიიღებდით, ამას წინეთ მოგართვით ილიას უკანასკნელათ გადაღებული სურათი.

მოგართვით, რაც ჩემი ბედნიერების და სათნოების საუნ-ჯეს შეადგენს. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა. თქვენი წიგნი რომ მებოძა, მოგწერეთ, თითონ არტურ ლაისტს დავაწერინე ად-რესი და არ ვიცი, მოგივიდათ თუ არა.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რადგან თქვენი ბარათი ჩემთვის ძვირფასია და დიდი გულის ნუგეში.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო გულსაკლავათ ვერ ვი-ნელებ ესეთ უბედურ მდგომარეობას. ფიქრში რომ წავალ, სულ იმედით ვცხოვრობ და მგონია შორს იმყოფება და რომ წარმოვიდგენ სინამდვილეს, აუტანელი მწუხარებაა და გული ვერ მომიბრუნებია. ვცდილობ ან ვიკითხო, ან რამ ვაკეთო და იმით ფიქრი გავიქარწყლო.

ჩემი თავის ტკივილი ვერას მაკეთებინებს. ჭრილობა ჯერ სულ არ არის მორჩენილი და ძალიან მაწუხებს.

მაპატიეთ, ყოველთვის გაბეზრებთ და გაწუხებთ, მაგრამ ვისაც გულით უფრო უნდა გინდა, იმას გსურს სულისკვეთე-ბა გაუზიარო!

დედათქვენს და თქვენს ძმებს უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებ. მოგეხვევით ჩემ საყვარელ გულს და დაგიკოც-ნით სიყვარულით. ნუ დამივიწყებთ და თქვენის ანბით მანუ-გეშეთ ან გამამხნევეთ.

დავრჩები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XIV

1908 წლის სექტემბერი, (ტფილისი).

ჩემო უძვირფასესო და დიდათ პატივცემულო და გულით საყვარელო მეგობარო დაო მარჯორი!

თქვენი ღია წერილი მივიღე, ღმერთმა ყოველი კეთილი ერთი-ორათ მოგანიჭოს იმ სიამოვნებისთვის, რომელიც მე იმ წერილმა გამახარა. თქვენ არ იცით ის გულით აღტაცება, როდესაც თქვენს წიგნს მივიღებ ხოლმე. თავის დღეს არ და-ვივიწყებ თქვენგან მიღებულ ლმობიერებას და ადამიანობას ჩემდამი.

დედათქვენსა და თქვენ ძმას ჩემი უნდაბლესი პატივისცემა

და მადლობა მოახსენეთ. ეგრეთვე როდესაც შინ დაბრუნდებით, ბატონ ოლივერს, თქვენ უფროს ძმას, უძღვენით ჩემი გულწრფელი სალამი.

მე სულ ავათ ვარ, ჩემი ჭრილობა უფრო იჩენს (თავს) და მაწუხებს. მასთან მარცხენა თვალი თითქმის არ ხედამს. ყურთ ხომ დიდი ხანია არ მესმის. თქვენი მტერი იყოს ისე შეწუხებული და დაავადებული, როგორც მე ვარ.

ვიცი, გიამებათ: წერა-კითხვის საზოგადოების კომისია ხვალ წავა საგურამოს და ხალხს გამოუცხადებს სკოლის გახსნას იმ სახლში, იქნება ხვალ, სადაც თქვენ და თქვენი ოჯახი ბრძანდებოდით.

ჩემი მამული ფონდათ მივართვი ილიას ხსოვნას და იმის სადიდებლათ.

ნუ დამივიწყებთ, როდესაც დრო გქონდეთ, მარტო ერთი სტრიქონით გამახარეთ ხოლმე.

თქვენი წიგნი ჯერ არ მიმიღია და მოულოდნელათ ველი.

მოგეხვევით და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს და გულს.

თქვენი ერთგული და უღრმესი პატივისმცემელი გულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XV

1908 წლის 25 სექტემბერი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და გულით საყვარელო მეგობარო მარჯორი!

გუშინ მივიღე თქვენი წიგნი. ძალიან გულს დამაკლდა, რომ შეუძლოთ ბრძანდებოდით. ღმერთსა ვთხოვდი თქვენ კარგს ყოფნობას. გენაცვალოს ჩემი თავი, კარგათ იყავით. თქვენ თავს გაუფრთხილდით და ყოველი დარიგება დედათქვენისა აასრულეთ. ხომ მოგეხსენებათ, დედის გული უღრმესი სიყვარულია შვილისადმი და ეს ერთი-ორათ არჩენს ადამიანს. ისიამოვნეთ და ნუ დაიღლებით.

გულით ვისიამოვნე, ბატონ ოლივერს რუმინიის ჰაერი მოხდენია. უწინ სადაც ბრძანდებოდით ძალიან სუსხიანი ადგილი

და ბევრი სხვადასხვა უსწორმასწორობაა. თქვენ დარიგებას კეთილად ავასრულებ, ვეცდები, გული დავიმშვიდო. ყოველთვის თქვენ ადამიანობას წინ წავიმძღვარებ. მაგრამ, ჩემო ნუგეშო, მე ისეთი ულმობელი უბედურება უეცრათ დამატყდა, ძნელი მოსანელებელია. ბევრჯერ, როდესაც მარტო დავრჩები, უნებლიეთ წარმოვიდგენ ხოლმე: მე უბედური ცოცხალი გადაურჩი იმ საშინელ სტიხიონს და ჩემი ნეტარება სიცოცხლე კი არ არის. წელიწადი შესრულდა, უფრო და უფრო სევდა მომემატა. თუ ის დღე მეღირსა, რომ თქვენ განახოთ, ის დღე ჩემთვის სანეტარო დღე იქნება. როდესაც დააპირო წამოსვლა, ერთი ათიოდ დღის წინ მაუწყეთ. ვისიამოვნე გულით, რომ ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილი) თავის ცოლით გინახამთ. დიდათ ვიკითხებ იმათ მაღალკეთილშობილება ადამიანობას, ორივენი შემკულნი არიან მაღალი გულკეთილობით. როდესაც ნახოთ, ან სწერდეთ, ჩემი უგულითადესი უღრმესი პატივისცემა უძღვენით.

ეს ჩემი წიგნი დაგხვდებათ რუმინიაში. გთხოვთ დედათქვენს და თქვენ ძმებს მადლობა და უღრმესი პატივისცემა მოახსენოთ.

მე თვალთ წარმომიდგა ის ოთახი, რომელიც დედათქვენმა აგირჩიათ და თქვენ ქართულ ოთახათ გადააკეთეთ. ნეტავი დრო მოვიდეს ისეთი, რომ მეც ვნახო ის ოთახი.

ჩემმა მულმა ლიზამ და ყველა თქვენ ნაცნობმა მოკითხვა მოგახსენესთ. ჩემო კარგო და ნეტარო ჩემის გულისა! კარგათ იყავი და ნუ დამივიწყებ. შენს ადამიანობას მე ვაღმერთებ! ნეტავი შენ იმ დროს ჩემთან ყოფილიყავ, მაშინ ჩემი მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა!

მოგეხვევი და ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნი.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XVI

1908 წლის 29 ღვინობისთვე, (ტფილისი).

ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო შვილო დაო მარჯორი!

თქვენი წერილები მასულდგმულებენ. მარტო ღმერთს შეუძლიან მოგანიჭოთ ყოველი კეთილი იმ სიამოვნებისათვის, რომელსაც იჩენთ ჩემდამი.

თქვენი წერილი მივიღე სწორეთ 27-ს, მთაწმინდიდან რომ ვბრუნდებოდი.

ჩემი დაუვიწყარი ილიას დაბადების დღე იყო და მე ვიყავ მთაწმინდის ეკლესიაში. პანაშვიდი გადაუხადე და იქ ცოტას ხნობით დავრჩი. უნდა მოგახსენოთ, იქ რომ ვარ ხოლმე, გული დამშვიდებული მაქვს, თითქო იმასთან ვიმყოფები. და ეს მალამოსავით მომეცხობა ხოლმე — აი ჩემი ყოფა და ცხოვრება.

მე ავათა ვარ. ჭრილობა თავისას იჩენს. მარცხენა თვალი არ ხედამს, ყოველდღე სინათლე აკლდება. ერთი სიამოვნება მქონდა — ვკითხულობდი და ესეც მესპობა.

თქვენ თავს გაუფრთხილდი. მანამ სულ კარგათ არ გახდეთ, მგზავრობას ნუ ინებებთ. ჩემ მაგიერ დედათქვენს და თქვენ ძმას თომას უნდაბლესი პატივისცემა მოახსენეთ. ბატონ ოლივერს ნახამთ, ჩემ უღრმეს პატივისცემას გადასცემთ.

აქ ჩინებული დღეებია, თითქო ზაფხულიაო. იყავით კარგათ და თქვენის კარგის ანბით მანუგეშეთ. ჩინებული არის ფოტოგრაფია დიდი ბრიტანის კოროლის. მე დიდი პატივისმცემელი ვარ მეფისა. დიდათ გმადლობთ, რომ იმისი სურათი მაჩუქეთ.

მოგეხვევი და დაგიკოცნი ჩემ საყვარელ გულს და თვალებს.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XVII

1908 წლის 5 ნოემბერს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო შვილო დაო მარჯორი!

ეს არის ეხლა მივიღე თქვენგან გამოგზავნილი ფოტოგრაფია თქვენი სახლკარმიდამოსი. გულით გავიხარე, როდესაც დავინახე ყველანი, ვინც ჩემთვის უძვირფასესნი ბრძანდებით.

ჩინებულათ ხართ გამოსულნი თქვენ, დედათქვენი და თქვენივ ორი ძმა.

ბევრი ვიტირე, მარტო სიხარულის ცრემლი იყო, ჩინებული კარ-მიდამო ბაღი და ბუჩქნარი მშვენიერათ არის მოწყობილი. ერთი-ორათ გავიხარე, როდესაც წავიკითხე, რომ დღეს მიბრძანდებით ბუხარესტში. ეს ის ნიშანია, რომ თქვენ სრულიათ განიკურნეთ, თქვენ დაღლილობას და ავადმყოფობას ბოლო მოეღო.

ღმერთს ვთხოვ თქვენ ბედნიერებას და კარგათ ყოფნას. თქვენი მაღალი შეუნელებელი ადამიანობა მე მასულდგმულებს. ყოველი სტრიქონი ჩემთვის მალამოსავით გადაიქცევა ხოლმე.

გთხოვთ ჩემ მაგიერ ბატონ ოლივერს უნდაბლესი პატივისცემით მოკითხვა განუცხადოთ.

იყავით კარგათ.

ათასჯერ მოგეხვევით და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს და გულს. დიდი მადლობელი ვარ, იმ ალბომში თქვენ სურათებს ჩავდებ, ხოლო ვწუხვარ, დედათქვენის პორტრეთი არა მაქვს. ეს იმერული თხოვნა გამოვიდა! მაშინ მთელი ოჯახი მეყოლება და როდესაც ალბომს გადავშლი მოსეირნე დაგინახამთ, ვითამ თქვენთან ვყოფილვარ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XVIII

1908 წლის 15 ნოემბერი ანუ გიორგობისთვე, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო შვილო დაო გულის ნადებო მარჯორე!

გთხოვთ (მიიღოთ) ეს ორი წიგნი ნემენცურ ენაზედ დაწერილი — ჩვენ სასიქადულო შოთა რუსთაველზედ დაწერილი და მეორე ლეისტის მიმოხილვა უფრო ვრცელი საქართველოზედ და ეს ხელსაქმე წმინდა ქართული, (რომელიც) ჩემმა ბიძაშვილმა კნეინა გურამოვისამ შემიკერა. ეს ყველა მიუმატეთ ნივთებს, რომელიც ამშვენებენ იმ ქართულ ოთახს, რომელიც თქვენ და თქვენმა ძმამ ოლივერმა მორთეთ და მოკაზ-

მეთ. ყოველთვის ის ოთახი, თუმცა არ მინახამს, განუყრელათ თვალთ მიდგას და გული ნახულით თქვენთან ვარ. თუ ღმერთმა შემაძლებინა, უეჭველათ გნახამთ. თქვენ ძმას ბატონ ოლივერს უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებ.

ეხლა იმედი მაქვს სახლი დალაგებული არის და თქვენც მგზავრობით დაღალვას აღარ გრძნობთ. არ ვიცი, მანდ როგორი ზამთარია და აქ კი ადრე გვეწვია ზამთარი და დიდი თოვლიც დადო, რაც ქალაქში იშვიათია.

იყავით კარგათ ჩემო კარგო მარჯორი და ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ლმობიერებას და ადამიანობას, რომლითაც მე ვნუგეშობ. მოგეხვევით, ჩემო საყვარელო, გულს და ჩემ მარად სანახავს თვალებს დაგიკოცნით.

თქვენი ერთგული და ღრმად პატივისმცემელი გულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XIX

1908 წლის 17 დეკემბერი ანუ ქრისტეშობისთვე, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო შვილო და დაო და გულის მეგობარო მარჯორი!

წუხელ მივიღე თქვენი წიგნი, რომელმან დიდათ მანუგეშა, ხოლო გულს მიწყალებს ხოლმე თქვენი უქეიფოთ მყოფობა. ეხლა თქვენ კარგათ ხართ და მხიარული და ბედნიერი. ეს ჩემთვის დიდი სიხარულია. იმ დღეს წერილში მოგახსენეთ, რომ მოგართვით მეთქი ორი წიგნი ნემენცურ ენაზედ ჩვენ საქართველოს შესახებ და ორი ხელსაქმე.

ჩვენი შეკერილი ხელოვნით ჩემდა გასაკვირველათ პოშტას არ მიუღია, ჯერ კარანტინია და ამ კვირას გიგზავნის ლეისტი. მგონი ეხლა საშიში არ არის. ეს იყო მიზეზი, რომ აქედან არ მოგვიდათ ის ნივთები, რომელიც მე მოგართვით. მწერთ, ჩემ ნახვას მოისურვებთ. მე ისე გულით მინდა თქვენი ნახვა, რომ კარგათ ვიყო, არ დავხედამდი სიშორეს და წამოვიდოდი ბუდაპეშთ(!) და ჩემ გულს გავახარებდი თქვენის ნახვით. აქ დიდი არაჩვეულებრივი ზამთარია. მე სულ შინ ვარ, ძრსად დაედი-

ვარ. არ ვიცი სიცივისგან თუ ისე, თავის ჭრილობა სულ მაწუხებს. მთელი თავის ქალა მტკივა. ისეც ძლივ ვწერდი და ეხლა მარცხენა თვალმა მიმტყუვნა და ძალიან მეღლება თვალი.

ჩემი მული კარგადაა და უნდაბლეს პატივისცემას მოგახსენებსთ, ეგრეთვე ყველა თქვენი ნაცნობები.

გაზეთიდან წაიკითხავდი, რა დიდებით გადაუხადეს ქართველებმა აკაკი წერეთელს (მოღვაწეობის) 50 წლის იუბილე. თქვენი თელეგრამა წავიკითხე.* როდესაც თქვენ მოწერილ წიგნს მივიღებ ხოლმე, ისე წავალ ფიქრში, რომ მგონია, თქვენ წინაშე ვდგევარ და გესაუბრებით. ჩემი უღრმესი პატივისცემა გადაეცით თქვენ ძმას ბატონ ოლივერს. მე წარმოდგენილი მაქვს რა კარგათ და მშვენივრათ არის თქვენი ახალი ბინა. სადაც თქვენისთანა მაღალი სულით აღსავსე პირი მოიკიდებს ფეხს, იქ წალკოთზედ უკეთესია.

ბევრს გაკოცებთ, ჩემო საყვარელო, გულს და გთხოვთ თქვენ თავს გაუფთხილდეთ და კარგათ იყოთ.

როდესაც დრო გქონდეთ ნუ დამივიწყებთ და თქვენ მაღალ ლმობიერ გულს ნუ მომაკლებთ. დედათქვენს რომ წერდეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა მოახსენეთ ხოლმე, ეგრეთვე, თქვენ ძმას ბატონ თომას.

თქვენი გულით და სულით მოსიყვარულე და უცვლელი პატივისმცემელი და მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XX

1909 წლის 16 იანვარს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო ღა გულის მეგობარო მარჯორი!

თქვენი ორი წიგნი მივიღე და თქვენ ნახვასავით გამახარა. გულით ვსიამოვნებ, რომ ბედნიერათ და მყუდროთ ცხოვრობთ. ამ ჩვენ დაუდგრომელ დროში დიდი ბედნიერებაა! ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ, იყავით კარგათ და თქვენ ადამიანობას და ნუგეშს ნუ მომაკლებთ. თუ ღმერთი შემეწევა

* შდრ. „დროება", 9. XII. 1908, № 18.

და როდისმე განახავთ, მაშინ ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ, რაც დრო გავიდა და არ მინახვიხართ.

საგურამოს შესახებ მკითხავ: ისევ ისეა, როგორც თქვენ დროს იყო, ხოლო სულ ქვევით სართულში სკოლა გახსნეს ილიას სახელობაზედ. მე შეძლება არ მქონდა ფულათ ფონდი შემეწირა და ჩემი მამული, რომელიც თქვენ მოგეწონათ, ფონდათ ვუძღვენ ილიას ხსოვნას და იქ ეხლა სკოლა გახსნა წერა-კითხვის საზოგადოებამ. ქალაქშიაც, სადაც მე ვდგევარ, იქ მომავალში მუზეუმს აპირებენ დაფუძნებას, ისიც ილიას საღიდებლათ. ოღონდ კი შემეძლოს იმის სახელი საუკუნო დიდებით მოვფინო, სულს არ დავიშურებ. რაც შეეხება ჩემ წიგნს, რომელიც „დროებაში" იყო დაბეჭდილი, გარემოებამ მიხელმძღვანელა, მეთხოვა პატიება.* წერილით სავსებით ვერ გაგა-

---

* იგულისხმება გაზეთ „დროებაში" 1908 წლის 13 დეკემბერს (№ 22) გამოქვეყნებული „ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა" თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი:

„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მრწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი, და თავის უბედურ, გზა-აბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის თხოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დაერჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთა, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამ ჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში. შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა, ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ეევედრებოდა შემომქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამე-თუ „არ იციან რასა იქმან".

გებინებთ და თუ ღმერთი მაღირსებს თქვენ ნახვას, მაშინ ყველაფერს თქვენ თვითონ გაითვალისწინებთ. ჩემი მული თავის სახლში ცხოვრობს, სადაც თქვენ პირველათ ბრძანდებოდით.**

მე იმ სახლში გახლავარ, რომელიც ილიამ თავის სიამოვნებით იყიდა და თავის ელფერით მორთო.***

მე ხშირათ ავალ ხოლმე მთაწმინდაში და იქ მყუდროებას და მოსვენებას ვგრძნობ ხოლმე. აი ესე ვატარებ ჩემ დაობლებულ და ბეჩავ გულდათუთქულ ცხოვრებას.

მაპატიეთ, ისეც ძალიან უსწორმასწორო წერა ვიცოდი, ეხლა მარცხენა თვალს ძალიან აკლდება სინათლე და მოწყეტილად ვარ ხალხთანაც და დიდხანიც ვერ ვკითხულობ. ნუ იწყენ, რომ ყოველთვის გაწუხებთ და ჩემ თავზე გელაპარაკებით. ჩვენ ქალაქშიც წელს დიდი ზამთარია, კვირა არ გავა, ორი დღე არ ითოვოს. მოელიან სუსხიან ზამთარსა.

ყველა თქვენი ნაცნობები ხშირათ მეკითხებიან ხოლმე თქვენ ანბავს და მეც სურათებს ვუძღვნი ხოლმე.

აკაკის იუბილეი საეროვნო დღესასწაული იყო, ისე რომ, ყველას ესიამოვნა და უკვირდათ. მთელი საქართველო ყველა კუთხეებიდან იყო მოზღვავებული. ნეტავი აქა ბრძანებულიყავით, მაშინ დარწმუნდებოდით, რომ საქართველო ღირსია თავისუფალი სამეფო იყოს!

გთხოვთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ, ეგრეთვე, დედათქვენს და ბატონ თომას ჩემი ულრმესი პატივისცემა.

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXI

1909 წლის 12 მარტი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო მარჯორი!

** იგულისხმება ილიას დის — ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის სახლი თბილისში, დღევანდელ კალინინის ქ. № 7-ში.

*** იგულისხმება ილია ჭავჭავაძის დღევანდელი სახლ-მუზეუმი თბილისში, ორჯონიკიძის ქ. № 22-ში.

დიდი ხანია თქვენგან არა ვიცი რა და გულს აკლია თქვენი კეთილი და ლმობიერი ადამიანობა.

ამას წინათ მოგწერეთ, თქვენგან გამოგზავნილი ალბომი მივიღე და ჩემი გახარებით, როდესაც გაზეთების კითხვას გავათავებ, მიუჯდები ხელახლა და გავშინჯამ და ისეთ ფიქრში გავერთობი ხოლმე, რომ თითქო თქვენთან გახლავარ და თქვენ გესაუბრები.

ანგარიშით, როგორც ლეისტმა იანგარიშა, მიღებული გექნებათ ორი ნემენცური წიგნი და ქართული ხელსაქმე. რაღაც კარანტინი რომ იყო, უკან დაგვიბრუნეს. მალე აღდგომა გაგვითენდება, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და ბედნიერის ცხოვრებით მხიარულათ მიგებებოდეთ კარგის დედითა და უსაყვარლესის ძმებით.

ნუ მომაკლებთ თქვენ გულკეთილობას და როდესაც დრო გქონდეთ, გამომელაპარაკეთ ხოლმე. თქვენ ძმას ბატონ ოლივერს უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებ.

მოგეხვევით, ჩემო საყვარელო, გულს და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს.

თქვენი ერთგული და ღრმათ პატივისმცემელი გულის მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXII

1909 წლის 31 მარტს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის დაუვიწყარო გულის მეგობარო მარჯორი!

წუხელ თქვენმა წიგნმა გამახარა. ძლივს კარანტინი გაუხსნიათ და ნივთი მოგერთვათ. ვწუხვარ წიგნებზედ. ლეისტს ვთხოვე, რათ დაუგვიანებიათ. დამპირდა შეიტყოს, რათა რადგან მეორე თვეა, რაც წიგნები გავაგზავნინე.

ვისიამოვნე, რომ მოგწონებიათ ჩვენი ქართული ხელსაქმე. რა მადლობა უნდა, მე ისე დავალებული ვარ თქვენგან. თქვენი მაღალი ლმობიერება და ადამიანობა ჩემთვის უძვირფასესი განძია. ღმერთმა დაგლოცოთ და ყოველი კეთილით აღგავსოთ მაცხოვარმა ღმერთმა. თუ ღმერთი შემეწევა და მეღირსება

თქვენი ნახვა, მაშინ გაიგებთ, რანაირია ჩემთვის თქვენი მოგონება და ხსოვნა ჩემი. ყოველთვის თქვენგან ბოძებულ ალბომს ვშინჯავ ხოლმე და ვსტკბები ნახვით.

ლეისტმა უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ. როდესაც თქვენთან ვაპირებ ხოლმე წერილის გაგზავნას, შევეხვეწები და ადრესს ის დამიწერს ხოლმე.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა თქვენ ძმას ბატონ ოლივერს. ეგრეთვე, რომ სწერდეთ დედათქვენს და თქვენ ძმას ბატონ თომას მიულოცეთ ბრწყინვალე აღდგომა და ჩემი უნდაბლესი პატივისცემა (გადაეცით).

ბევრს გაკოცებთ ჩემ საყვარელ თვალებს და გულს დაგიკოცნით.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXIII

1909 წლის 16 მაისი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო დაო და გულის მეგობარო მარჯორი!

თქვენი უანბობა გულს მიხუთავს. როგორ ბრძანდებით, ან ამ ზაფხულს სად გაატარებთ. როგორც იწერებოდით, ამ წელს არ მოგიხდებათ სამშობლოში წასვლა. თუ ინებებთ, წელს, თქვენ, დედათქვენი და თქვენი ძმა თომას გვეწვიეთ. ღმერთსა ვთხოვ ხოლმე ის დღე გამითენდეს, რომ გნახოთ და თქვენის ხილვით დავსტკბე. მე ჯერ ქალაქში ვარ და მგონი ისევ აბასთუმანს მომიხდება წასვლა. გთხოვთ მიბრძანოთ, რომელ გაზეთში იყო დასტამბული თქვენ მიერ აკაკის იუბილეს გამო წერილი. მე მინდოდა ის ნომერი მეყიდნა.

ყველა თქვენი ნაცნობები ხშირათ გიგონებენ და პატივისცემას გიძღვნიან. მე ხშირათ მთაწმინდაში ავალ ხოლმე და ჩემ ნუგეშს ილიას საფლავს ვემთხვევი ხოლმე. იქ რომ ვარ, თითქო, ჩემ ოჯახში ვიმყოფები, ისე მოსვენებას ვგრძნობ.

მაპატიეთ ისეც ძალიან გაურჩევლად ვწერდი და ეხლა მარცხენა თვალი თითქმის არ ხედამს და ძალიან მეძნელება გარჩევით წერა. იყავით კარგათ. ჩემი უნდაბლესი პატივისცემა

გადაეცით თქვენ ძმას ბატონ ილიეერს. გეხვევით და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ გულს და თვალებს.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით და სულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

P.S. ნუ დამივიწყებთ და ნუ მომაკლებთ თქვენ ადამიანობას, რითაც ვსულდგმულვარ.

ჩემო ბატონო და ჩემო გულით მეგობარო მარჯორე! ეს წიგნი დაწერილი იყო, როდესაც თქვენგან მივიღე ჩინებული რუმინული ხელსაქმე — სადარბაზო წერილების ჩასადები. ძალიან წააგავს ქართველ ქალის ხელით ნაქარგს. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ჩემდა ნუგეშათ. ვერ წარმოიდგენთ ჩემ გულის აღფრთოვანებას, როდესაც ორიოდე კალმის მოწერამ თქვენს ნახვასავით გამახარა. იყავით ჯანმრთელ და დღეგრძელი.

ნუ დამივიწყებთ და ნუ მომაკლებთ თქვენის ანბით. დედათქვენს და თქვენ ძმას ბატონ თომას წერილს წერდეთ, ჩემი უღრმესი პატივისცემა გადაეცით.

მარად ღრმათ პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXIV

1909 წლის 2 თიბათვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და სანახავათ სანატრელო ჩემთვის დაუფასებელო მეგობარო მარჯორე!

ეს არის თქვენი წიგნი მივიღე, რომელმაც გულით გამახარა. თუმცა თქვენ მიბრძანებთ, რომ დავაგვიანე წიგნის მოწერა. ჩემის ანგარიშით ჩემი წიგნი ეხლა მიღებული გექნებათ. პატარა სადარბაზო ბარათების ჩასაწყობი მივიღე და აღტაცებაში მომიყვანა იმის ხელოვნებამ, რადგან ძალიან მოაგავს ჩვენ ქალების ხელსაქმეს — ოქრომკედ ნაკეთობას, რომლისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. თქვენი ლმობიერება და ადამიანობა მასულდგმულებს. ფრიად გამეხარდა, რომ ჩემი ნატვრა ახდა და დედათქვენი და ბატონი თქვენი ძმა თომას მესტუმრებიან. ამას წინათ გწერდით და გკითხავდით მოელით იმათ მოსვლას. ეხლა თქვენ და თქვენი ოჯახი მხიარულათ გაატა-

რებთ ზაფხულს. ღმერთს ვთხოვ ყოველთვის კარგათ და მხიარულათ ბედნიერის ცხოვრებით ატარებდეთ დროს ძვირფას დედასთან და საყვარელ ძმებთან.

ძალიან იშვიათი წიგნი შეგიძენიათ, მაგისი ცალი წერაკითხვის საზოგადოებაშია და ერთი უმშვენიერესია. გამეხარდა, რომ თქვენ კარგათ გაარჩევთ და თვის ფასს დასდებდით და გააცნობთ მკითხველებს, როგორც უმაღლეს რაიმეს. თქვენგან გამოგზავნილი ლაისტთან წიგნი უკვე გაუგზავნე.

გთხოვ უნდაბლესი პატივისცემა და მოკითხვა მოახსენოთ ჩემ მაგიერ დედათქვენს და თქვენ ძმებს. იყავით კარგათ და ნუ მომაკლებთ თქვენ ლმობიერებას და თქვენის ანბით გამახარებთ ხოლმე. მე სულ ავადმყოფობ. ეხლა თავის ქალა მტკივა და მარცხენა თვალი თითქმის არ ხედამს. ჩემი მული ყოველთვის თავის სალამს გიძღვნით ხოლმე. და ყველა თქვენი ნაცნობი გულით გაიხარებენ ხოლმე, როდესაც ვაჩვენებ ხოლმე თქვენ მოწერილ წიგნს. წაკითხვით კი არავის ვაკითხებ. მოგეხვევი და დაგიკოცნი ჩემ საყვარელ თვალებს და გულს.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXV

1909 წლის 1 მკათათვეს, (აბასთუმანი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო ბატონო მარჯორ!

ეს მეორე დღეა, რაც აბასთუმანში გიახელით. ჩინებული ჰაერია და ჩემ მამიდაშვილთან კნიაუნა მუხრანსკისთან გახლავარ. მალე წამლობასაც დავიწყებ. დიდი ხანია თქვენი წერილი არ მიმიღია და გულს ეთანაღრება. თქვენი ანბავი და მოგონება ჩემთვის სადღესასწაულო დღეა ხოლმე. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ყოველთვის ჩემი ნუგეშის მცემელი ხართ. როდესაც მარტო დავრჩები ხოლმე ფიქრით გავერთობი ხოლმე და თქვენ ოთახში ვიმყოფები: გხედამთ თქვენ, დედათქვენს და თქვენ ძმებს. სიამოვნებით იმყოფებით და მეც იმ ფიქრში თითქო თქვენთან ვარ. ლეისტი საზღვარგარეთ გიახლათ, დავით სარაჯოვი თავის ცოლით (წაეიდა) და ლეისტი

იმათ გაუვა. გთხოვთ გადასცეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა დედათქვენს და თქვენ ძმებს — ბატონ ოლივერს და ბატონ თომას. ყველა თქვენმა ნაცნობმა პატივისცემა მოგახსენათ. აბასთუმანში ბევრი ქართველობაა და მათ შორის თქვენი ნაცნობნიც არიან.

ჩემო გულით საყვარელო მეგობარო, იყავით კარგათ და მხიარულათ გაატარეთ დრო. დიდი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანს დედა ყავს და ძმები. მოგეხვევით და ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნით.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით და სულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

ჩემი ადრესი: Абастумани, Княжне Багратион-Мухранской, собст. дача.

XXVI

1909 წლის 5 მარიამობისთვე, (აბასთუმანი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო და გულის მეგობარო მარჯორო!

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ბედნიერის ცხოვრებით და იხარეთ იმ ადამიანობისათვის, რომელსაც თქვენ ყოველთვის ჩემდამი იჩენთ. ეს არის თქვენი ღია წერილი მივიღე და მთელი დღე მოგონებაში ვიყავ. ჩემ თავს თქვენ შორის ყოფას ვგრძნობდი და მოუთმენლად ველი თქვენ წიგნს. მე მალე წავალ ქალაქს, რადგან იმედი მაქვს ნიკოლაძე მალე წამოვა და ჩემ დაუვიწყარ სულმნათ ილიას საფლავისთვის შეკვეთებულ ძეგლს წამოიღებს პარიჟიდან. აქაურ „დროებაში“ იყო გამოცხადებული ნიკოლაძემ დაამთავრაო ძეგლიო თიხაში და ქარხანაში გადასცაო, სადაც უნდა ჩამოასხანო. მე ისე ვფიქრობ, რომ მალე მეღირსება ძეგლის დადგმა და კურთხევა. მე ხშირათ დავდივარ, როდესაც ქალაქს ჩავალ, მაშინვე ავალ ხოლმე. ჩემთვის იქ ასვლა და ყოფნაა ნეტარება. გთხოვთ გადასცეთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა დედათქვენს და თქვენ ძმებს. დიდი მადლობელი ვარ, რომ ყოველთვის დედათქვენი მომიგონებს ხოლმე. იმედი მაქვს დედათქვენი დიდხან დარჩება

თქვენთან. ან ხომ არ აპირებთ ინგლისში ზამთრობით წასვლას.

იყავით კარგათ და ნუ დამივიწყებთ, ღმერთს ვთხოვ ყოველთვის მაღირსოს თქვენი ნახვა. ბევრს გაკოცებთ ჩემ საყვარელ თვალებს და გულს დაგიკოცნი.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

P.S. „დროებაში" წაიკითხავდით, რომ თბილისის ნაანდერძებ სახლში წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა მოათავსოს მუზეუმი: მე წელს იქ აღარ ვიდგები. წერა-კითხვის საზოგადოებამ მთხოვა, რომ დაუთმო იმათ სადგური. იმის მაგიერ მე სახლს დამიჭერენ და თითონ ქირას გაიღებენ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, როდესაც წიგნს მომწერთ, გთხოვთ ამ ადრესით: Елизаветская улица. Его Превосходительству Ивану Ивановичу Цинамдзгварову.
ჩემი საქმეები იმას აბარია ანდერძით, რაც ილიამ დამიტოვა და როგორც ნოტარიუსი განაგებს. მე ვთხოვ მთაწმინდის უბანში მიქირავოს სახლი.

ბევრს გაკოცებთ და მოგეხვევი.

ო. ჭ.

XXVII

1909 წლის 22 მარიამობისთვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულით მეგობარო მარჯორი!

ეს-ეს არის მივიღე ჩემთვის სანუკვარი თქვენი წიგნი და გულით აღსავსე მადლიანი წერილი. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და მე მეღირსოს თქვენი ნახვა. მიხარიან, რომ დედა-თქვენი კარგათ და ყოჩაღათ ბრძანდება, ეგრე უნდა, ჯანმრთელათ და ყმაწვილური მხნეობით იმყოფებოდეს, ბედნიერი ბრძანდება, რადგან გარს ახვევიხართ სამი შვილი, თავს ევლებით და ცდილობთ იმის კარგათ და მხიარულათ ყოფნას. ეს ისეთი ნაკურთხი ღვთაებრივი სამკაულია, რომ დედის გული აღსავსეა ბედნიერებით — შემკულნი სამი შვილი ყავს და მით ხარობს.

წუხელ გიახელით აბასთუმნიდამ, დღეს ჩემ სადგომში გა-

დავალ, მთაწმინდის ქუჩა № 20.* სამი ოთახია და მეოთხე — მოსამსახურისათვის, ყველაფრით მოწყობილი. კარგი ბალკონი აქვს. მთელი დღე ვფუსფუსებ და ვალაგებინებ ოთახებს. ქალაქში ისე აღარ ცხელა, მეტადრე ჩემ სახლში გრილა. ძალიან მოხარული ვარ, რომ მე ახლო ვარ მთაწმინდის ეკლესიაზედ, როდესაც მინდა, ავალ, ისე ახლოა, რომ შემიძლიან მარტოც ავიდე, დავწვები ხოლმე ჩემ დაუვიწყარ ილიას საფლავთან.

გთხოვთ, რომ სწერდეთ დედათქვენს, ჩემი უღრმესი პატივისცემა მოახსენეთ, ეგრეთვე, თქვენ ძმებს — ბატონ ოლიეერს და ბატონ თომას.

მოგეხვევით ჩემ საყვარელ გულს და დაგიკოცნი ჩემთვის ძვირფას თვალებს. იყავით კარგათ და როდესაც დრო გქონდეთ თქვენის ანბით გამახარეთ ხოლმე და ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ლმობიერებას და ადამიანობას.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXVIII

1909 წლის 21 სექტემბერი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულით საყვარელო მეგობარო მარჯორი!

დღეს ჩემთვის ფრიად სასიამოვნო დილა გათენდა, თქვენი ღია წერილი მივიღე, რომლითაც მე ვსულდგმულვარ, მიხარია, მალე მიბოძებთ დიდს და ვრცელ წერილს, ოღონდ თქვენი ანბავი ვიცოდე და თქვენი ადამიანობით სავსე პირისაგან გახარებული ვიყო. მაშინ სულ გული მაიმედებს ხოლმე და ჩემი ოცნებაა თქვენი ნახვა მეღირსოს.

მინდა რომ ნახოთ, როგორ მოვეწყვე ახალ სადგომში. ჩინებული ადგილია, ბაღი წინ, ქალაქს დიდი ბალკონი გადაჰყურებს, საცა საზაფხულო გასტინია გავმართე ესე იგი სადარბაზო ოთახი. სულ ოთხი ოთახია, კარგა მოზრდილი სასტუმ-

---

* იგულისხმება თბილისში, დღევანდელ ობოლაძის ქ. № 20-ში მდებარე სახლი, სადაც 1909—1927 წლებში ცხოვრობდა ოლგა ჭავჭავაძე. სასურველია ამ სახლს გაუკეთდეს მემორიალური დაფა.

რო, სასადილო, საწოლი ოთახი და მეოთხე, სადაც ჩემი მოსამსახურე ქალი იძინებს. მალე ელექტრონის სინათლეს გავაკეთებინებ, ისე რომ ყველაფერი მოწყობილი იქნება. აქ სულ მარტო ორი ვართ. ხშირათ შემოდიან ჩემი ნაცნობნი და მეზობლები, ძალიან ბევრს ვკითხულობ. ასე ვატარებ დროს.

ახლოა მთაწმინდის მიდამო და მეც ხშირათ ავდივარ და გულით მივესალმები ხოლმე იმ ადგილს, სადაც განისვენებს ჩემი დაუვიწყარი ილია. მე სულ ავადმყოფობ. ეხლა მთელი ქალა თავისა მტკივა და მარცხენა თვალი მეხუჭება, ძალიან თვალის სინათლე მაკლდება. ეს მაწუხებს.

გთხოვთ დედათქვენს რომ წერდეთ წიგნს, ჩემი უნდაბლესი პატივისცემა მოახსენოთ, ეგრეთვე, თქვენ ძმებს — ბატონ ოლივერს და ბატონ თომას. მაპატიეთ, რომ შეგაწუხებთ ხოლმე ჩემი წვრილმან მდგომარეობით. იყავით კარგათ და ბედნიერის ცხოვრებით, კარგის დედით და ძვირფასი ძმებით. იხარეთ. იცოცხლეთ დიდხან, ჩემდა ნუგეშათ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXIX

1909 წლის 5 ღვინობისთვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო ბატონო მარჯორი!

ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ და იმ ადამიანობისათვის, რომელსაც იჩენთ ჩემდამი. თქვენი ორი სადარბაზო ღია წერილი მივიღე და გულს მესალბუნა. მარტო ის გულს მიღონებს, მწერთ ავათმყოფობას. გენაცვალოს ჩემი თავი, თქვენ თავს გაუფრთხილდით. პირველი ბედნიერება ადამიანისთვის ჯანმრთელობაა, მერე — დანარჩენი, რაც შეადგენს ამა სოფლის ფუფუნებას. მე ავათ ვარ, თავის ქალა ძალიან მტკივა. მაინც მთელი დღე ვფუსფუსებ და ჩემ სასტუმრო ოთახს ვალაგებ. მინდა მყუდროთ მოვაწყო. იქნება მეღირსოს თქვენი ნახვა და გულით მინდა მოვაწყო ისე, რომ თქვენ მოგეწონოთ.

აქ თითქმის აცივდა, წვიმებმა გული წაიღეს. დიდ ბრიტანიის სამეფოს პოლიტიკას ვადევნებ თვალს და დიდ შთაბეჭ-

დილებას ახდენს იქაური პარლამენტის ახალი კანონპროექტის შეტანა. გამარჯვებას უსურვებ.

გთხოვთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს ჩემი უნდაბლესი პატივისცემა მოახსენოთ. დედათქვენს რომ სწერდეთ, ჩემი უღრმესი პატივისცემა განუცხადეთ. იყავით კარგათ და ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ლმობიერებას.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXX

1909 წლის 12 ღვინობისთვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო და გულის მეგობარო და შვილო მარჯორი!

თქვენი წერილი მებოძა და თქვენს ნახვასავით გამახარა. მარტო ის მაწუხებს ხოლმე, რომ მალი-მალ ცივდებით და ავათ ხდებით. თქვენ თავს არ უფრთხილდებით. ჯანმრთელობა პირველი საუნჯეა ადამიანისა. გთხოვთ და გევედრებით, თქვენ თავს ყურადღება უმეტესათ მიაქციოთ. ჩემი სადარბაზო ოთახი უნდა აგიწეროთ: დიდი ვრცელი ოთახი, ხუთი ფანჯარა აქვს და სამი კარი. ერთი კარიც მინისა, რადგან ბალკონზედ გადის. მე ბალკონის მხარეს ორი ფანჯარა დავხურე და თახჩებათ ვაქციე. სადაც მარჯვნივ ტახტი დგას, იმ თახჩაში მთელ ფანჯარას ფარდაგი დაუფინე და ზედ ყველა ქვეყნისა და მსოფლიო მწერლების, პოეტების, გამოჩენილ ხუროთმოძღვრების, ისტორიკოსების და რეფორმატორების სურათებით შევამკე. ჩარჩო ლოკონებით გაუკეთე. მარცხნივ, სადაც ჩემი სამწერლო მაგიდა დგას, დიდია. მასზე დავდგი სხვადასხვა წვრილმანი. მეორე მხარეს ევროპული მებელი სდგას. კედლებზედ ოთხი სურათი მიკიდია ჩემი დაუვიწყარ სულმნათის ილიას დიდი სურათი, რომელიც გაბაშვილმა გააკეთა მშვენიერათ. ნეტავი ის წუთი დადგეს, რომ თქვენი ნახვა მეღირსოს.

არ ვიცი, თქვენ მხარეს ეხლა რა არი და ჩვენში კი ზამთარი შემოგვეპარა. წვიმებმა თავი წაიღეს.

გთხოვთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს ჩემი უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა გადასცეთ. ღმერთმა გაცოცხლოთ ორივენი ჩემდა ნუგეშათ.

იყავით კარგათ და დღეგრძელი და ნუ დამივიწყებთ და თქვენ მაღალ ლმობიერებას ნუ მომაკლებთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXXI

1909 წლის 18 გიორგობისთვე, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო მარჯორი!

ეს-ეს არის თქვენმა ღია წერილმა ფრიად გამახარა. თქვენი ყოველი სტრიქონი ჩემთვის ძვირფასია და დიდი ნუგეში. მე ავათ ვარ, თავის ქალა ძალიან მტკივა და მერე ლავიწების ტკაცატკუცი გულს მიღონებს. უწინ არაფერს არ ვგრძნობდი, ეხლა ყოველი ასოს ძვალი მტკივა. ექიმები მოგახსენებენ, ძალიან დაბეჟილი და დამტვრეული მაქვს სხეული. პირველათ კარგათ არ გაუშინჯამთ, ეხლა გვიანღაა. მე ისე დაავადებული ვარ, ფეხების სიმსივნე თავის ძალას იჩენს, სიარული მიძნელდება. ყოველ ჩემ მთაწმინდაში ასვლის შემდეგ ორი დღე უნდა ვიწვე, რომ ცოტა ღონეზე მოვიდე. აი ჩემი არასასიამოვნო მდგომარეობა.

მე ვერთობი სახლში, წიგნებს ვკითხულობ და ოთახს ვცდილობ კარგად მოვრთო და იმაში გულს ვართობ და ველი პოშტას და როდესაც თქვენ წერილს მივიღებ ხოლმე, ბავშვივით დაუწყებ ალერსს და კოცნას.

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ბედნიერის ცხოვრებით, ძვირფასი დედით და ძმებით. მე მინდა ჩემი ოთახის ფოტოგრაფია მოგართვათ. გუშინ ქალები იყვნენ და ჩამაცივდნენ, გადააღებინეთ ეს ოთახიო. მეტადრე იმათ მოსწონთ ის ოთახი, სადაც მთელი მსოფლიოს წარჩინებული პირნი არიან გამოფენილნი, რომელთაც კაცობრიობისთვის თავისი ღვაწლმოსილობა შეუწირავს, უმუშავნიათ და თავისი დიდბუნებოვანი მუშაკობა უძღვნიათ საუკუნეობისათვის და ჩვენი ეხლანდელი ხალხისათვის.

ჩემ ილიას პორტრეტი, 1862 წელს გადაღებული, მოვათავსე გეინეს გვერდით და შელის ახლო და შილლერის პირდაპირ. ეს პირნი ყოველთვის უყვარდა.

ჩინებული შემოდგომა დადგა. ჩემ ოთახს მთელი დღე მზე დაჰყურებს. მოულოდნელად ველი თქვენ წიგნს. იყავით კარგათ ჩემო გულით საყვარელო მეგობარო. გთხოვთ ჩემი უღრმესი პატივისცემა გადასცეთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს.

მოგეხვევით და ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნით.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი
ოლგა ჭავჭავაძისა.

P.S. ნუ დამივიწყებ და ნუ მომაკლებთ თქვენ ლმობიერებას.

XXXII

4/17 დეკემბერი, 1909 წელი, ტფილისი.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

გამოუთქმელია ის ტკივილი, რომელსაც განვიცდი ჩვენი ძვირფასი მეგობრის — მარჯორის გარდაცვალების გამო. თქვენმა წერილმა წამართვა ყოველი ძალა და ისე დამამწუხრა, რომ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

ო, ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა იმის ფიქრი, რომ აღარ არის ასეთი ერთგული და ღირსეული მეგობარი, რომ ამ დიდებულმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა. რა გულით მანუგეშებდა იგი ჩემი საცოდავი მეუღლის დაღუპვის გამო!

სულმნათი მარჯორის წერილები მამხნევებდნენ და მე მათ ისე ვინახავ, როგორც ძვირფას განძს!

ძვირფასო ბატონო ოლივერ! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა თქვენი მეგობარი საქართველოში დამწუხრებულია თქვენი მძიმე დანაკლისის გამო და საწყალ მარჯორიზე საუკეთესო გრძნობები დიდხანს დარჩება მათ გულში.

მის მარჯორის გარდაცვალების ამბავი ხვალვე იქნება გამოქვეყნებული თბილისის ყველა ჟურნალ-გაზეთში და მე თქვენ გამოგიგზავნით ხვალის და მერმინდელ ნომრებსაც, როცა იქნება მათში წერილები მარჯორის ლიტერატურული ღვაწლის შესახებ.

ძვირფასო ბატონო ოლივერ! უმორჩილესად გთხოვთ, კეთილინებოთ და გამომიგზავნოთ ჩემი ძვირფასი სათნოებით

სავსე მარჯორის სურათი და ნუ გაწყვეტთ ჩვენს მეგობრობას. ანუგეშეთ თქვენი ძვირფასი დედა და ძმა.

დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი მწუხარება ჩემი მწუხარებაცაა და ნუ დაივიწყებთ თქვენს ძველ მეგობარს

ოლღა ჭავჭავაძისას*.

XXXIII

6 იანვარი, 1910 წელი, ტფილისი, მთაწმინდის ქ. № 20.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

მე თქვენ მოგწერეთ [მარჯორის გარდაცვალების შესახებ] თქვენი უწყების მიღებისთანავე. იმედი მაქვს, რომ ჩემმა წერილმა თქვენამდე უკვე მოაღწია.

თქვენ კარგად იცით, თუ რა სიყვარული მაკავშირებდა თქვენს ძვირფას დასთან. ალბათ წარმოიდგენთ, რა უდიდესი ტკივილი დატოვა მისმა სიკვდილმა ჩემს არსებაში.

მაშ, ნუ დამივიწყებთ და თქვენი ამბები ხშირად მომაწვდინეთ, რითაც მასულდგმულებთ და ისე ჩავთვლი, თითქოს, მარჯორისაგან ვღებულობდე მოკითხვას.

მთელი გულით ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და ღმერთს ვთხოვ, განუსვენოს ჩემს სულმნათ მარჯორის. იმედი მაქვს, რომ უფალი შეამსუბუქებს დედათქვენის და თქვენს ტანჯვას.

თქვენთვის თავდადებული

ოლღა ჭავჭავაძისა.*

XXXIV

29 თებერვალი 1910 წელი, ტფილისი, მთაწმინდის ქ. № 20.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ თქვენი თავაზიანი დაპირებისათვის თბილისში ჩამოსვლის შესახებ. ახლახან მივიღე თქვენი წერილი, რამაც ძალიან ამაღელვა.

---

* ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 30 (№ 18). დაწერილია ფრანგულად. ხელმოწერა ოლღა ჭავჭავაძისაა. თარგმანი მ ა ნ ა ნ ა ი ა მ ა ნ ი ძ ი ს ა.

* ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 30 (№ 19). დაწერილია ფრანგულად. თარგმანი მ. ი ა მ ა ნ ი ძ ი ს ა.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თბილისში, ასევე ჩემს სახლში, რომელიც გთხოვთ ჩათვალოთ ისე, როგორც თქვენი საკუთარი. მე ბედნიერი ვიქნები, თუკი პატივს დამდებთ ჩემთან თქვენი მობრძანებით.

მოუთმენლად ველოდები ამ სიამოვნებას და გთხოვთ, ძვირფასო ბატონო ოლივერ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

ოლღა ჭავჭავაძისა.*

XXXV

1911 წლის 20 იანვარს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

მოგართვი დამატებითი „სახალხო გაზეთისა" და „ფასკუნჯი", მოგართვით როგორც საკითხავ მასალათ ბევრი შესანიშნავი ძველი ქართული ჩვეულებისა არის და მასთან ბევრი ორნამენტები. გთხოვთ ეს პატარა ხალიჩა გადასცეთ ჩემ მაგიერ თქვენ ძმას ბატონ თომას სასსოვრათ საგურამოს ყოფნის დროსა. ჩემ უდიდეს ნატვრას ის შეადგენს, რომ ღმერთმა მაღირსოს თქვენი ქვეყნის ნახვა და ჩემი დაუვიწყარი სათნოებით სავსე მარჯორის საფლავის ნახვა და კრძალულებით იმის ნახატში ვემთხვიო.

ეს აზრი ჩემ ოცნებათ გადაქცეულა. ნუ დამივიწყებთ და თქვენ ლმობიერებას ნუ მომაკლებთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXXVI

1911 წლის 21 იანვარს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

ნუ გამიწყრებით, ბადრიჯნის მურაბა მოგართვით, ისე შევახვიე, რომ გზაზედ არ გატყდება და შინ კარგათ მივიდეს. იყავით კარგად და ღეგრძელი. ნუ მომაკლებთ თქვენ ადა-

* ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 38 (№ 36). დაწერილია ფრანგულად. თარგმანი მ. იამანიძისა.

მიანობას და ლმობიერებას. გთხოვთ ჩემი უღრმესი ბატივისცემა მოახსენოთ დედათქვენს და თქვენ ძმას, იმედს არ ვკარგავ, წასვლის დროს მნახამთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXXVII

1911 წლის 6 თებერვალი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

თქვენმა წერილმა ბათუმიდგან თქვენ ნახვასავით გამახარა. იმედს არ ვკარგავ, ღმერთი შემეწევა, ბერლინში რომ წავალ, იქედან მეღირსება სალამი გიძღვნათ, მოვიდე და ჩემი სულმნათი სათნოებით სავსე მარჯორის საფლავს ვემთხვიო და თქვენი ოჯახის ნახვით ვისიამოვნო. გთხოვთ დედათქვენს და თქვენ ძმას ჩემი უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ.

იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემ ნუგეშათ.

როდესაც თავისუფალი დრო გქონდეთ, თქვენის ანბით ორიოდ სტრიქონით მანუგეშეთ ხოლმე.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXXVIII

1911 წლის 14 მარტს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

არ ვიცი, რა სიტყვით გამოვსთქვა ის მადლობა და სიხარული იმ ადამიანობისათვის, რომ მეც გამაბედნიერეთ და გამხადეთ მონაწილე თქვენი ოჯახის ბედნიერებისა ძვირფასი ასულის დაბადებით.* მე არ ვცდები, რომელსაც დაერქმევა

* იგულისხმება მარჯორის უმცროსი ძმის — თომას უორდროპის ახლადშეძენილი შვილი. მომდევნო წერილიდან ირკვევა, რომ თვალში სინათლის ნაკლებობის გამო ოლღა ჭავჭავაძეს ოლივერის წერილში შეცთომით ქალი ამოუკითხავს, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, თომას უორდროპს ვაჟი შეეძინა.

ჩემი სანეტარო მარჯორის სახელი და იქნება სანეტარო ბავში
თავის ანგელოზებრივი სათნოებით და სიხარულით ოჯახს აღავსებს. ეხლა ერთი-ორათ მენატრებით, ღმერთმა შემაძლებინოს წავიდე ბერლინს, ჩემი ნატვრა ამისრულდეს, მეღირსოს ჩემი სათნო მარჯორის საფლავს თაყვანი ვცე და თქვენი და დედათქვენის და ბატონ თომას ბედნიერი ოჯახის ნახვით ეს სანეტარო ოცნება გამიმართლდეს. ფრანციცულ ენას ვსწავლობ და მანამ კარგ წერას არ შევძლებ, ქართულათ უფრო მეხერხება წერა.

გთხოვთ ჩემი უღრმესი პატივისცემა გადაეცით დედათქვენს და ბატონ თომას და თუმცა ცნობა არა მაქვს თქვენი რძლისა, მიულოცეთ ჩემ მაგიერ ბედნიერება თავის პატარა ასულით და მასთან ჩემი უნდაბლესი პატივისცემა (მოახსენეთ). იყავით კარგათ და დღეგრძელათ. ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ლმობიერებას. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ ნუგეშის ცემას, რომელსაც თქვენი წერილი მომავლენს ხოლმე. თქვენი ნათესაური მოკითხვა ნუგეშია ჩემთვის.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XXXIX

1911 წლის 14 მარტს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

თქვენმა წერილმა ისე გამახარა, რომ სამჯერ წავიკითხე და იმ აღტაცებაში ვიყავ, რომ თქვენ რძალს ქალი ყოლია, და ჩემ სათნო მარჯორის მაგიერობას ოჯახს გაგიწევთ და ეხლა მეოთხეთ რომ წავიკითხე, მაშინ ნათლათ დავინახე და გავარჩიე, რომ ვაჟი ეყოლა. ჩემი სიბრმავის შედეგია. თითქმის სინათლე თანდათან მაკლდება. ჩემ მაგიერ თქვენ ძმას და რძალს მიულოცეთ ვაჟიანობა და ბედნიერება ოჯახს გულით და სულით. მინდა ვეღირსო თქვენი ოჯახის ნახვას და პატარის ნახვას.

მე მგონია უფრო ის იყო მიზეზი გარკვევით ვერ გავარჩიე — სიბრმავე და სიყრუე აუტანელი ყოფილა. გულით შევ-

წუხდი და იმიტომ ამ მეორე წერილს ვწერ. ისე რომ, ჩემი ორივე წიგნი ერთ დღეს მოვიღოთ.

გთხოვთ ჩემი უღრმესი პატივისცემა გადასცეთ თქვენს ძმას ბატონ თომას და მის მეუღლეს. ჩემთვის დიდი სიხარული რომ მიგონებთ და თქვენი ოჯახის ბედნიერებაში მონაწილეობთ მაღალი, რომელშიც ჩემთვის უდიდესი ნუგეშის ცემა. ღვთისმშობელ ჩემ მაგიერ მიულოცეთ შვილიშვილის შემატება და ბედნიერება ოჯახისა. თქვენ თავს გაუფრთხილდით, ნუ გადაეკიდებით. კარგათ იყავით. ნუ მომაკლებთ თქვენ კეთილ გაცნობიერებას.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XL

1911 წლის 20 აპრილს, (ტფილისი).

ბატონო ოლივერ!

წუხელ მივიღე თქვენი წერილი. ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ იმ ადამიანობისათვის, რომლითაც მე მანუგეშებთ. თუ ღმერთი შემეწია და ჩემი ოცნება გამართლდა და მოვ-ხერხე საწამლებლათ წასვლა, უეჭველად გიახლებით და ვნახავ-თქვენს და თქვენ რძალს და ძმას და თქვენ თავს დაგიკრავთ და თქვენი საერთოთ ნახვით გავიხარებ.

რაც ხანი გადის უფრო ვსნეულდები და წამლობა ჩემ-თვის აუცილებელია. მიხარიან, რომ მყუდროთ და სიამოვნე-ბით ატარებთ დროს სახლში დედასთან. გაზაფხული დადგა და თავის მაცოცხლებელ ხალისს იძლევა.

გთხოვთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ დედა-თქვენს, ბატონ თომას და მის მეუღლეს. ვნატრულობ პატარის ნახვას, რომელიც ეხლა ყველას თქვენ გამხიარულებთ. იყა-ვით კარგათ და დღეგრძელი ჩემდა ნუგეშათ.

ბატონი სარაჯოვი თავის მეუღლით ბერლინშია და რომ დაბრუნდებიან გადავცემ თქვენ სალამს. ლეიტსაც უკვე გა-დავეცი თქვენი მოკითხვა. თქვენის ანბით მასიამოვნეთ ხოლმე.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XLI

1911 წლის 31 მაისს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ჩემო ბატონო ოლივერ!

თქვენი სადარბაზო ღია წერილი მივიღე, რომლისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. თქვენი მაღალი ადამიანური ნუგეშისცემა და მოგონება ჩემთვის დიდი საჩუქარია. მე სულ თითქმის წელია ვარ ისე ავათმყოფი. ნეტავი ჩემი ნატვრა ამიხდეს და ის დღე გამითენდეს, რომ გიხილოთ და თქვენ და დედათქვენს პირადათ მადლობა მოგახსენოთ იმ აუარებელი ნუგეშისცემით. მაპატიეთ, რომ ვბედავ თქვენ შეწუხებას: როდესაც სულ მორჩეთ თქვენ დიად მუშაობას და გთხოვთ „ვეფხის ტყაოსანი“ ერთი ცალი მიშოვოთ, რაც ეღირება მოგართმევთ. მუქთათ არავის არ უნდა უბოძოთ, რადგან მეზეუმს თავისი შემოსავალი არ აკლია, მასთან გთხოვთ ორი პაკეთი, როგორც იმ დღეს მიბოძეთ თქვენი ადრესით, ეხლაც მიბოძოთ. გაიცინებთ, რა ვქნა, როდესაც ვისაც ვთხოვ დამიწერონ ადრესი, ისე მართლწერა არ იციან. დიდი ჯაფა მოგივათ, რადგან ბევრი გასაკეთებელია. მიხარიან, რომ იბეჭდება და ჩემი სანეტარო მარჯორის სურვილი სრულდება. მე ისე წარმოდგენილი მაქვს, იმას ესმის თქვენი მუშაობის შესრულება და უხარია!

გთხოვთ დედათქვენს და თქვენ ძმას და რძალს ჩემი უღრმესი პატივისცემა მოახსენოთ. იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემდა სანუგეშოთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და მადიდებელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XLII

1911 წლის 4 მკათათვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის დაუვიწყარო ნუგეშის მცემელო ბატონო ოლივერ!

ეს არის თქვენი წერილი მივიღე, რამაც დიდათ მასიამოვნა. ვიცი, ბევრ საქმეებში ხართ გართული და დრო ცოტა გაქვს. მე თავის დღეში თქვენ არ შეგაწუხებთ. როდესაც სულ მოცლილი იქნებით, მომიგონეთ ხოლმე, ორიოდ კალმის მოსმით. მანუგეშეთ. მე თქვენ და თქვენ ოჯახს ისე ვუყურებ, როგორც

ჩემ გულით ნადებ მახლობელ ნათესავს. ჩემი სულმნათის მარჯორის ოჯახი ჩემთვის ნუგეშსა და მოსვენებას შეადგენს. იმიტომ ვბედამ და ასე კადნიერებით გთხოვთ ხოლმე მანუგეშოთ თქვენი და თქვენი ოჯახის ანბით. გთხოვთ და გეევედრებით თქვენ თავს გაუფრთხილდეთ, ბევრს ნუ იმუშავებთ.

მე სულ მარტო ვარ, ჩემი ნათესავები ყველანი სააგარაკოთ წავიდნენ. სულ ავათ ვარ. გულით მინდოდა ორიოდ თვე მომეხერხებინა საწამლებლათ წასვლა და ვერას გზით ვერ მოვახერხე.

უნდა მოგახსენოთ, უთუოთ გაზეთში წაიკითხავდით, ჩვენი კარგი ადამიანი 26 თიბათვეს დავით სარაჯოვი ეს ერთი კვირაა გარდაიცვალა და კვირას დაასაფლავეს. როგორც კარგი მამულიშვილი და ევროპულათ აღზრდილი და განათლებული მრეწველი, ისე დიდებულება გამოიჩინა თავის სამშობლოს ყველა კულტურული დაწესებულება უხვად დააჯილდოვა: წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა 300 000 მანეთი: 150 000 — მუზეუმის ასაშენებლათ, 150 000 — სტიპენდიის თანხათ უნდა იყოს. თავისი სასახლე უანდერძა თავის დედაქალაქს თბილისს, როგორც პირველმა მოქალაქემ და მის შვილმა. თავის ქარხნის მუშებს 125 000, ფორაქიშვილს — 100 000, ა. სარაჯოვს — 10 000, ლეისტს — 1 000, მიშა მაჩაბელს — 1 000, თავადაზნაურობის სკოლის შენობას — 2 500. დიდებულათ დაასაფლავეს დიდუბეში!

დიდი დანაკლისია ჩვენი ღარიბ უადამიანო მდგომარეობისთვის მაგისთანა მსნე და გამჭრიახე გონების პატრონის უდროოთ დაკარგვა. ოჯახი არ იყო, რომ თვისი მადლიანი ნუგეშით არ მოეევლო და არ ეპატრონა. თავის მხნეობით შეიძინა დიდი სიმდიდრე და თავის საყვარელ სამშობლოს უძღვნა. პირველი ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც მართლა უყვარდა ბეჩავი სახლი და ყველა ანუგეშა.

გთხოვთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ დედათქვენს და თქვენ რძალს და ძმას. იყავით კარგათ და დღეგრძელათ ჩემდა სანუგეშოთ. მიამა, ბექთაბეგოვი ყოფილა და თავისებურად მხიარული გაატარებდა დროს.

მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია არ გთხოვოთ თქვენ თავს გაუფრთხილდეთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

XLIII

1911 წლის აგვისტო, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ბატონო ჩემო ოლივერ!

ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ ჩემდა სასიქადულოთ იმ კაცთმოყვარეობისათვის, რომელსაც ჩემდამი იჩენთ. ვერ წარმოიდგენთ იმ სიხარულს და გულის სიმშვიდეს, რომელსაც თქვენის წერილის მიღება მანუგეშებს ხოლმე. თქვენი და თქვენი დედის კარგა ყოფნობა ჩემთვის სიხარულს შეადგენს. სიამოვნებით გაგიტარებიათ დრო და კარგათაც ბრძანებულა დედათქვენი. ერთიორათ გავიხარეთ. თქვენ ოჯახს და თქვენ ისე გიყურებთ, როგორც ჩემ ღვთაებრივ სასოებით სავსე მარჯორის. თუ დამიგვიანდება ხოლმე თქვენგან წერილი, ვიცი, რომ დრო არის მიზეზი უქონლობა და ველი.

სარაჯოვის ცოლმა მაშინვე შემატყობინა, როგორც მოუვიდა თქვენი სამძიმრის ბარათი. დიდათ და დიდათ მადლობელი იყო. საწყალი ძალიან ავათმყოფობს. ამ თვის ბოლოს, პირველ სეკდემბრის რიცხვში აპირებს ბერლინში საწამლებლათ წასვლას. ქრმის დამ ეკატერინე ერისთავისამ დავა აუტეხა ანდერძის შესახებ — ქალაქს სახლს არ დავანებებთო. ნება არ ქონდაო ქალაქისთვის ეანდერძნაო. ან 500 ათასი მოგვცენო, თუ არა და სახლს არ მივცემთო. ბევრს უსიამოვნებას იტანს იმათგან.

არ ვიცი, რა სიტყვით გამოვთქვა მადლობა „ვეფხის ტყაოსნის“ მობოძებით, ჩემი მარჯორის მაგივრობას გამიწევს.

გთხოვთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა მოახსენოთ დედათქვენს. იყავით კარგათ და თქვენის კარგის ანბით მანუგეშეთ ხოლმე.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

P.S. დიდი იმედი მქონდა, რომ ამ თვეში ძეგლს აკურ-

თხებდნენ ილიას საფლავზე, მაგრამ მასალის უქონლობამ სეკ-
დემბრამდინ გადადო.

მოუთმენლათ მოველი იმ დღეს, მეღირსება იმ დღის ნახვა, შესაფერათ იქნება შემკული საფლავი.

ო. ჭ.

XLIV

1911 წლის 26 სეკდემბერს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ბატონო ჩემო ოლივერ!

თქვენი წიგნი მივიღე, თქვენმა კარგმა ამბავმა თქვენ ნახ-
ვასავით მანუგეშა. მწერთ, რომ ჩინებული შემოდგომაა, აქაც
ძალიან კარგი დარი დაიჭირა. დედათქვენის და თქვენმა კარ-
გათ მყოფობამ გამახარა. იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემ-
და სანუგეშოთ. თქვენი ძმა და რძალი რომ დაბრუნდება, მო-
მიკითხეთ პატივისცემით.

მიხარია, რომ ქართველები იყვნენ თქვენთან სადარბაზოთ.
ბევრს საგულისხმიერო ანბავს მოგახსენებდნენ. ჩემ ანბავს
იკითხამ: ვერაფერს სანუგეშოს ჩემდამი ვერას მოგახსენებთ,
თავის ქალა ისე მტკივა, რომ თითქმის ნახევარ ადამიანათ ვარ
ქცეული. დედათქვენს უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებ
იმ კაცთმოყვარეობისთვის და ხსოვნისთვის, რომელსაც ჩემ-
დამი იჩენს ხოლმე.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოველი ჩემ სულმნათ მარჯო-
რის თარგმანს („ვეფხის ტყაოსნისას"). როგორც რუსთაველია
დიდებული და დაუვიწყარი, ისე ჩემი სათნოებით სავსე მარჯო-
რია. სასოებით აეიღებ ხელში იმის ნათარგმნს, როდესაც მი-
ბოძებთ.

ეკატერინე სარაჯოვისა იმ ღღეს ვნახე. არ არის კარგათ.
წუხელ ლეისტი იყო ჩემთან და მითხრა ორ ოკტომბერს ბერ-
ლინში მიდისო საწამლებლათო, უთუოთ ექიმებს არჩევს. მეო-
რეც ესაა, რომ ბევრი შარი არის, ყოველ მხრივ აწუხებენ,
იქ მოვლაც კარგი ექნება და მოსვენებულიც.

თქვენ მაღალკეთილშობილებას და ადამიანობას ნუ მომაკ-
ლებთ. იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემდა სანუგეშოთ.
თქვენ ოჯახს, როგორც მახლობელ ნათესავს, ისე ვუყურებ

და როდესაც მომივა თქვენი ანბავი, გავცოცხლდები ხოლმე.
თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

LXV

1911 წლის 5 ღვინობისთვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ბატონო ოლივერ!

გავიგე თქვენი აქ მობრძანება. გული მტკივა, რომ არ მნახეთ. გთხოვთ და გევედრებით, მობრძანდეთ და მნახოთ. თქვენ ისე გიყურებთ, როგორც ჩემ მახლობელ ნათესავს და გთხოვთ მნახოთ. ნუ მოერიდები ნურავის, ისე შემობრძანდით. თქვენი ნახვა და მოსვლა მანუგეშებს და სიცოცხლეს მომიმატებს. ბევრი რამ მაქვს სათქმელი.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

P.S. შავი კიბიდან ამობრძანდით, ჩემი დისწული გაგიღებთ. იმედს არ ვკარგავ მნახამთ.

ო. ჭ.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ ოქსფორდში დაცული ილიას უმცროსი დის ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძე-საგინაშვილის მიერ 1907 წლის 6 ნოემბერს მარჯორი უორდროპისადმი მიწერილი სამძიმრის პასუხი ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო.

ელისაბედ ჭავჭავაძის ეს უცნობი წერილი, ერთი მხრივ, უკვდავი ძეგლია და-ძმური სიყვარულისა, ხოლო, მეორე მხრივ, უბრწყინვალესი და სწორუპოვარი შეფასება სასიქადულო ძმის ღვაწლისა და ადგილისა სამშობლო ქვეყნის ისტორიაში:

„1907 წელს, 6 ნოემბერს, ტფილისი

საყვარელო დაო მარჯორ!

თქვენა და თქვენს ძმას მადლობას მოგახსენებთ, რომელთაც თქვენი ცრემლი შეუერთეთ ჩემს ცრემლს, ღრმა მწუხარება, გულის მტკივნეულობა გამომიცხადეთ სამგლოვიარო თქვენს წერილში ჩემის უძვირფასესის და დაუვიწყარის ძმის უბედური სიკვდილის გამო.

დავკარგე ჩემი სათაყვანებელი არსება, ერთათ-ერთი ძმა მშვენიერი ილია, ძვირფასი გვირგვინი და დიდება ჩემი და ჩემი სამშობლოს ოჯახისა, მამა საქართველოს ერისა.

დავრჩით მე და ოლგა ყოვლად უნუგეშოთ. საყვარელო დაო მარჯორ! გარდა ცრემლისა, ვაებისა და ღრმა მწუხარებისა, აღარა დამშთენია რა. ყოველივე ჩვენი სიხარული და ბედნიერება დაიმარხა ილიასთან, მისს სამარესთან. რათ ინება განგებამ ჩემი ასეთი მწარე სასჯელი, მე ცოცხალი ვიმყოფები, დავტირი ილიას ორი ტყვიით განგმირულს გულს და მშვენიერს შუბლს სისხლით გადმომდინარეს.

ბოდიშს ვითხოვ, თქვენთან პასუხი წერილისა დაგიგვიანეთ. შემდგომ ამ საშინელის უბედურებისა, ავათ ვიმყოფებოდი. ოლგა კარგად იმყოფება, გამთელდა წყლულება. ამასთან მოგართვით ჩემი სასიქადულო ძმის ილიას დასაფლავების აღწერა.

თქვენს პატივცემულს ძმას გულითადი მადლობა და მოკითხვა სალამი გარდაეცით. იმედი მაქვს უბედურებაში მყოფს ილიას დას არ დამივიწყებთ.

თქვენი მარად პატივის მცემელი და მოსიყვარულე და

ელისაბედ საგინოვისა"[8].

ილიას მკვლელობით შეძრწუნებულ საქართველოს და მის დიდებულ დასაფლავებას კარგად გვიხატავს აქვე გამოვლენილი ქუთაისელი პედაგოგის ვენერა ბერიძე-წერეთლის 1908 წლის 30 იანვრის წერილი მარჯორი უორდროპისადმი:

„1908 წლის 30 იანვარი, (ქუთაისი)

ჩემო უძვირფასესო მარჯორი!

მე დიდი ხანია მივიღე შენი ვრცელი წერილი, რომელმაც დიდათ, დიდათ მასიამოვნა და იმის შემდეგ კიდევ ღია წერილიც; მეც მსურდა პასუხის მოწერა და ისევ ვრცელი პასუხის. იმიტომ იყო, რომ დამიგვიანდა წერილის მოწერა, მინდოდა ყოველიფერზე პასუხი მომეცა, რასაც შენ შენს ბარათში მეკითხებოდი და ამასობაში ისეთი შემთხვევები შემხვდა, რომ შემიშალა ხელი შენთვის ვრცელი წერილი მომეწერა.

[8] ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი — d 20 (19).

...ამ წელიწადს მაინც სულ მწუხარება და ცუდი შემთხვევები იყო და ამდენის გადატანა გამიჭირდა. ილიას ისეთნაირმა მოკვლამ ხომ საშინელი თავზარი დაგვცა მთელ საქართველოს და თვითეულათ კიდევ ყველას დიდსა და პატარას, ყმაწვილს და მოხუცებულს. ჯერე რომ დავკარგეთ ასეთი საუცხოო და იშვიათი მამულისშვილი და მერე კიდევ რანაირად დავკარგეთ! რა სირცხვილი, რა სირცხვილი ჩვენს ქვეყანას და მის შვილებს! ჩვენვე ჩვენის ხელით მოვკალით...

ილიას დასაფლავებას დავესწარი. აქედან გაგვაგზავნეს რამოდენიმე ქალები ქუთაისის ქალების საზოგადოებამ და გვირგვინის წაღება დაგვავალეს, მათ შორის მეც ვიყავი. დასაფლავებამ კი დიდათ მანუგეშა, რადგანაც დავინახე, რომ ჯერ კიდევ საქართველო სცოცხლობს, სული უდგას და კიდევ ყავს სასახელო და საიმედო შვილები. არც ერთს დიდებულთაგანს არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც არ ღირსებია ასეთი გასვენება და დასაფლავება, არც ერთ მეფეს! ნეტაი შენ გენახა, მარჯორი, ეს დიდებული ცერემონია, ეს ყველას შემაერთებელი მწუხარება და სიამაყეც! ვინუგეშე სწორეთ მაშინ...

შენი მარად მოყვარული მეგობარი

ვ ე ნ ე რ ა ბ ე რ ი ძ ე"[9].

უორდროპთა კოლექციაში ილია ჭავჭავაძისადმი თაყვანისცემა გამეფებულა. მარჯორისეულ წიგნების ფონდში ინახება „თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა", გამოცემული მწერლის სიცოცხლეში ალ. ჯაბადარის ქართველთა წიგნის გამომცემელი აბხანაგობის მიერ 1892 წელს. პირველი და მეორე ტომი ცალცალკეა შინდისფერ მუყაოს ყუთში ჩადებული, რომელზეც ოქროს ასოებით ამოტვიფრულია „ილია ჭავჭავაძე", ხოლო შიგ დევს მუქი წითელი ხავერდის ყდიანი ტომები, რომლებიც მოჩარჩოებულია მოოქროვილი ორნამენტებით. ილიას ხელით საცავ ფურცელზე წარწერილია: „ნიშნად უღრმესის პატივისცემისა. ავტორი. 1894 წ. 13/XII".

ამდაგვარი ეგზემპლარები საქართველოში არ მოიპოვება. ეტყობა, ავტორმა საგანგებოდ შეუკვეთა ალ. ჯაბადარის გამომ-

---

[9] ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდი — d 20, ფ. 260.

ცემლობას უორდროპთა სასაჩუქრო ცალი. აქვეა ილია ჭავ-ჭავაძის თხზულებათა 1914 წლის მიხეილ გედევანიშვილისეუ-ლი მდიდრული გამოცემა, რომელზედაც ცნობილი საზოგადო მოღვაწის ხელით წაწერილია: „ყოველ ქართველისათვის დაუ-ვიწყარს ქ-ნს მარჯორი უორდროპის ხსოვნასთან ერთად ამ წიგნს პატივისცემით უძღვნის გამომცემელი ბ.-ნს ოლივერს უორდროპს დიდებულ ინგლისის ღირსეულს შვილს და პატა-რა საქართველოს გულითად მეგობარს. 10 ივლისი, 1914 წ. ქ. ტფილისი. უღრმესი პატივისცემით მ ი ხ ე ი ლ გ ე დ ე ვ ა-ნ ი შ ვ ი ლ ი“.

უორდროპების ფონდს საჩუქრად გადავეცი საქართველოს სიძველეთსაცავებში გამოვლენილი უნიკალური ფოტოსურა-თები, რომელზედაც გამოსახულია დედ-მამასთან და უმცროს ძმასთან თომასთან ერთად მარჯორი უორდროპის სტუმრობა ილია ჭავჭავაძესთან 1896 წლის 20 ივლისს, „ილიაობაზე“, სა-გურამოში.

3. „თავგანწირული მოღვაწე...“

ივანე მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, უორდროპთა სათაყვანო კერპი იყო. ჯერ კიდევ 1887 წელს, საქართველოში პირველი მოგზაურობისას, ოლივერ უორდროპს ერთ-ერთ მეგზურად ივანე მაჩაბელი ახლდა და გულით შეაყვარა ინგლისელ სტუმარს ჩვენი ქვეყანა. თავის მხრივ, ოლივერ უორდროპმა „საქართველოს სამეფოში“, რო-მელიც 1888 წელს გამოსცა ლონდონში, საქართველოს საუკე-თესო შვილთა რიცხვში ივანე მაჩაბელიც შეიყვანა, აქვე დაი-ბეჭდა პორტრეტი და ცნობები მის შესახებ.

უორდროპთა ფონდთან შესადარებლად ოქსფორდში ჩავი-ტანეთ საქართველოს მუზეუმებში დაცული მარჯორი და ოლი-ვერ უორდროპების წერილები ქართულ, ფრანგულ და ინგლი-სურ ენებზე, რომლებიც გადმოწერეს და მშვენივრად თარგმ-ნეს ახალგაზრდა სპეციალისტებმა მარინე ჩერქეზიშვილმა (ფრანგულიდან) და ფიქრია ლებანიძემ (ინგლისურიდან). ამათ-გან ოლივერ უორდროპის ერთი ინგლისური წერილი გამოყე-ნებული აქვს ჩვენს გამოჩენილ მწერალსა და მთარგმნელს ვახტანგ ჭელიძეს თავის ცნობილ ბიოგრაფიულ რომანში: „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“.

საქართველოდან ჩატანილმა უორდროპთა გამოუქვეყნებელმა წერილებმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უორდროპთა ფონდის კომიტეტზე (პრეზიდენტი — პროფესორი ჩარლზ დაუსეთი, წევრები — დეევიდ ლანგი, დეევიდ ბარეტი, ოლივერის ვაჟი — ანდრო უორდროპი და სხვ.), რომ მათ მიიღეს საგანგებო გადაწყვეტილება — მარჯორი უორდროპის სახელობის ფულადი ფონდიდან (რომელიც ანდერძით, მხოლოდ საქართველოს და ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის მოსახმარად არის დატოვებული), გარკვეული სახსრები გაღებულ იქნეს ოქსფორდში დაცულ ჩვენთვის საინტერესო მასალების ფოტოპირთა გადასაღებად და საქართველოში გაგზავნისაგზავნად, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად უორდროპთა მიმოწერის ერთობლივად გამოსაცემად.

ოქსფორდში ორივე წყაროზე მუშაობამ კი ნათელი მოჰფინა უორდროპების ივანე მაჩაბელთან და მის ოჯახთან ურთიერთობის აქამდე გაურკვეველ ბევრ საკითხს.

თურმე „საქართველოს სამეფოზე“ მუშაობისას მრავალი მასალა ივანე მაჩაბელს მიუწოდებია ოლივერ უორდროპისათვის. 1888 წლის ზაფხულში ივანე მაჩაბელი თბილისიდან ფრანგულად სწერდა ინგლისელ მეგობარს:

„[1888 წლის ზაფხული, თბილისი]

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

თქვენი გულითადი წერილი სოფელში ყოფნისას მივიღე და ამიტომ მაშინვე ვერ შეგისრულეთ ყველაფერი, რასაც მთხოვდით. ძალიან ვწუხვარ, რომ პასუხი შემიგვიანდა, მაგრამ იმედია, რომ მაპატიებთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ჩამოსვლისას თბილისში, სადაც ამჟამად საშინელი სიცხე დგას, ვერ ვნახე ის პირები, ვისთვისაც უნდა მეთხოვა თქვენთვის გამოსაგზავნი სურათები. ამ წერილთან ერთად გიგზავნით მეფე ერეკლე II-ის, ილია ჭავჭავაძის და ჩვენი საუკუნის რამდენიმე ქართველი პოეტის სურათებს. ესენია: გრიგოლ ორბელიანი (გარდ. 1883 წ.), — ზოგი რამ მისი პოეზიიდან გამოქვეყნებული იყო ბატონ ლაისტის წიგნში „ქართველი პოეტები“, ლაიფციგი, 1887, (გერმ. ენაზე), აკაკი წერეთელი, რომელიც

ამჟამად უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, ქართული თეატრის დამაარსებელი, აწ განსვენებული გიორგი ერისთავი და კიდევ ოციოდე სხვა. ეს ფოტოები შეგიძლიათ გადაიღოთ და გამოაქვეყნოთ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით. გიგზავნით აგრეთვე ჩემ სურათს, როგორც შორეული მეგობრის უბრალო მოსაგონარს. ჩემი წვლილი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში არც ისე მნიშვნელოვანია, რომ გავბედო და ადგილი დავიკავო თქვენს წიგნში, რომელსაც მოუთმენლად ველით.[1]

თქვენ მეკითხებით, თუ რითი შეგიძლიათ მემსახუროთ. ნება მომეცით, ძვირფასო ბატონო ოლივერ, შეგიბრუნოთ კითხვა და ჩემი დახმარება შემოგთავაზოთ. თუ ამაზე დამთანხმდებით, გარწმუნებთ, რომ ბედნიერად ჩავთვლი თავს გასიამოვნოთ და სამსახური გაგიწიოთ.

რაც შეეხება დასავლეთში ჩემს მოგზაურობას, სიამოვნებით ჩამოვიდოდი, ვისარგებლებდი ამ შემთხვევით და განვაახლებდი ჩვენს ურთიერთობას. მაგრამ, საუბედუროდ, აქ ბევრი რამ მაკავებს და კიდევ დიდხანს ალბათ ვერ ვიხელთებ დროს, რომ აქაურობა დავტოვო.

ის დიდი მოვლენები, დღეს რომ ინგლისში ხდება, ძალიან გვაინტერესებს. ჩვენ, ქართველი ლიტერატორები დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალს თქვენი დიდი მოღვაწის[2] წარმატებებს და მისი წინსვლის გარემოებებს. ეს უკანასკნელი, ეტყობა, მეტად დახელოვნებულია, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

თავს ნებას ვაძლევ შემოგთავაზოთ შექსპირის პიესების „ჰამლეტისა“ და „ოტელოს“ უკანასკნელი თარგმანები ინგლისურიდან[3]. ხომ ხედავთ ინგლისიდან ასე დაშორებულ კავკასიაშიც როგორ პატივს სცემენ თქვენს დიდ პოეტს.

---

[1] ივანე მაჩაბლის მიერ ოლივერ უორდროპისთვის გაგზავნილი აქ ჩამოთვლილი ფოტოსურათები, მათ შორის, თვითონ ივანე მაჩაბლისა, გამოქვეყნდა 1888 წლის შემოდგომაზე, ლონდონში დაბეჭდილ ოლივერ უორდროპის წიგნში — „საქართველოს სამეფო“.

[2] უნდა იგულისხმებოდეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უილიამ გლადსტონი (1809—1898).

[3] „ჰამლეტის“ (ტფ., 1887) და „ოტელოს“ (ტფ., 1888) ივანე მაჩაბ-

თავადი ილია ჭავჭავაძე მთხოვს მისგან მოკითხვა გადმოგცეთ.

იწამეთ, ძვირფასო ბატონო ოლივერ, ჩემი თქვენდამი საუკეთესო სურვილები და მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი.

ივანე მაჩაბელი"[4].

1891 წლის 20/1 თებერვალს ოქსფორდიდან, ბალიოლ-კოლეჯიდან ფრანგულად გამოგზავნილ წერილში ოლივერ უორდროპი სწერს ივანე მაჩაბელს: „...როგორც კი სულ გავთავისუფლდები, გამოვფრინდები საქართველოსაკენ, ამ მომხიბვლელი ქვეყნისაკენ, რომლის მომაჯადოებელი ძალა სულ უფრო და უფრო მიზიდავს... კიდევ ერთხელ გმადლობთ. გთხოვთ გადასცეთ თავად ილია ჭავჭავაძეს ჩემი უღრმესი პატივისცემა".[5]

მარჯორი უორდროპის პირველი ქართველოლოგიური ნაბიჯების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობების შემცველია ინგლისიდან, კენტის საგრაფოს ქ. ჩიზლჰერსტიდან 1894 წლის 3 იანვარს გამოგზავნილი ოლივერ უორდროპის ფრანგული წერილი ივანე მაჩაბლისადმი:

„ჩიზლჰერსტი, კენტი, ინგლისი, 3 იანვარი, 1894.

ძვირფასო თავადო, გილოცავთ ახალ წელს!

დიდი ხანია საქართველოდან არავითარი ცნობა არ მომსვლია, მაგრამ მე მუდამ სიყვარულით ვიგონებ თქვენს მშვენიერ ქვეყანას, სადაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი ხანა გავატარე.

ლისეული ქართული თარგმანები დღეს დაცულია ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში: Wardr. 19.3 და Wardr. 19.4, რომელთაც ამკობს ივანე მაჩაბლის მიძღვნითი წარწერები: „ბატონ ოლივერ უორდროპს პატივისცემით მთარგმნელი ი. მაჩაბელი".

[4] წერილის შავი დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში: 14226-ხ, ფრანგულ ენაზე, თარგმანი მ ა რ ი ნ ე ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

[5] ლიტერატურული მუზეუმი, 14218-ხ, ფრანგულ ენაზე. თარგმანი მ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა. შდრ. ნ. ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე, ოლიეერ უორდროპი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება", 1982, № 6, გვ. 89.

1892 წლის ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგში წამოვყევი პირად მდივნად აწ განსვენებულ სერ რობერტ მორიეს (დიდი ბრიტანეთის ელჩი რუსეთში, გ. შ.), რომლის სიკვდილს ახლაც განვიცდით. განზრახული მქონდა ზაფხულში კავკასიაში ჩამოვსულიყავი, მაგრამ საუბედუროდ ჩემმა საქმეებმა ამის საშუალება არ მომცა. ამჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ვიმყოფები ლონდონში. ვფიქრობ, რომ მალე დავინიშნები რაიმე თანამდებობაზე თქვენგან არც თუ ისე შორს.

სიამოვნებით ველი იმ მეგობრობის განახლებას თბილისში ჩემი სტუმრობის ჟამს (1887 წ., გ. შ.) რომ გვაკავშირებდა. მანამდე კი ვბედავ ვიფიქრო, რომ უარს არ მეტყვით გამიწოთ სამსახური, რისთვისაც მუდამ თქვენი მადლიერი ვიქნები.

ჩემი და გულდასმით შეუდგა ქართული ენის შესწავლას. მან თარგმნა რუსთაველის პოემის (1888 წლის გამოცემის მიხედვით, გ. შ.) თითქმის მესამედი და დაასრულა აღნიაშვილის ხალხური ზღაპრების (1891 წლის გამოცემა, გ. შ.) თარგმანი, რომლის გამოქვეყნებას სულ ცოტა ხანში ფიქრობს. ჩემი მეგობარი, პროფესორი ა. ა. ცაგარელი ხშირად უხსნიდა გაუგებარი სიტყვებისა და წინადადებების აზრს. მაგრამ მან, საუბედუროდ, ინგლისური ენა არ იცის. ამიტომ გთხოვთ ნება დაგვრთოთ გამოგიგზავნოთ ჩემი დის მიერ შესრულებული თარგმანების ცდები, რათა თქვენ დაგვეხმაროთ თავიდან ავიცილოთ უხეში შეცდომები იმ ვერსიაში, რომელიც ინგლისელ საზოგადოებას უნდა შევთავაზოთ.

თბილისიდან წიგნების მიღება ისევ ჭირს, ან ფული არ აღწევს მითითებული მისამართით, ან წიგნების გამოგზავნა ძალიან გვიან ხდება და ა. შ. ამიტომ გადავწყვიტე თქვენთვის მეთსოვა წიგნების გამოგზავნა. სიას აქვე დავურთავ.

გთხოვთ მაპატიოთ შეწუხებისთვის, მაგრამ ვფიქრობ, თქვენც ჩვენსავით ხართ მონდომებული, რომ დასავლეთში ქართულ ლიტერატურას გაეცნონ. როგორც კი საბოლოო ანგარიშის ჯამი მეცოდინება, გადმოვგზავნი ქვითარს. ეს გადახდის უფრო მარტივი საშუალებაა, ვიდრე ის, რასაც მე აქამდე ვიყენებდი. მადლობას წინასწარ გიხდით.

აღფრთოვანება, რომლითაც ჩემი და თქვენი ენის მიმართ

განიმსჭვალა, ნამდვილად არაჩვეულებრივია. ყოველდღიურად თქვენ კლასიკოს ავტორებს კითხულობს.

გასულ წელს ლონდონში გამოჩნდა ვინმე ივანე მახარაძე ოზურგეთიდან, რომელმაც ცხენზე ჯირითობის წარმოდგენები გამართა ჩვენს ქალაქში. უნდა გენახათ მისი გაკვირვება, როდესაც ინგლისელმა ქალიშვილმა მას მშობლიურ ენაზე მიმართა.

როგორც ჩანს, ინგლისში იმყოფება „ივერიის" კორესპონდენტი, სახელად ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილის ფსევდონიმია, გ. შ.). ხომ ვერ მეტყოდით მის მისამართს. ერთ საღამოს ერთ-ერთ ჩვენ მინისტრთან წვეულებაზე შევხვდი სომხური კოლონიის წევრებს. ვეცადე რაიმე შემეტყო ბატონი ვაზიანის შესახებ, მაგრამ ვერავინ ვერაფერი მითხრა.

ძალიან კმაყოფილი ვიქნებოდი ჩემი ძველი ქართველი მეგობრების შესახებ რომ მქონოდა რაიმე ცნობები. ხშირად ვიგონებ თავადებს ლევან და იოსებ ვაჩნაძეებს, სვიმონ წერეთელს და მრავალ სხვას. როგორ ბრძანდება მომხიბლავი თეოდოსია ვასილევნა შიდლოვსკაია? (გიმნაზიის მასწავლებელი თბილისში, გ. შ.).

გავიგე სათავადაზნაურო ბანკში შემდგარი კრებების შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ აზრთა ეს უმნიშვნელო სხვადასხვაობა ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს კეთილშობილ, ძმურ გრძნობებს, რომელიც ყველას გასულდგმულებთ და რომ პირადი საკითხები, რასაკვირველია, ვერ დათრგუნავს საერთო ინტერესების იდეას (იგულისხმება ე. წ. „ბანკოვიადა" ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის, გ. შ.).

თუ თქვენი მრავალრიცხოვანი საქმეები საშუალებას მოგცემთ, მომწერეთ და შემატყობინეთ თქვენი ამბები.

გულითადი მოკითხვა ყველა ჩემ ნაცნობს თბილისში.

გთხოვთ ირწმუნოთ ჩემი ურყევი მეგობრული გრძნობები.

მუდამ თქვენი ერთგული ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი"[6]

საპასუხო ბარათში იმავე წლის 17/29 იანვარს ივანე მაჩაბელი ოლივერ უორდროპს ატყობინებს:

---

[6] ლიტ. მუზეუმი: 14219-ხ, ფრანგულ ენაზე, თარგმანი მ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

„თბილისი, 17/29 იანვარი, 1894.

უძვირფასესო მეგობარო (ოლივერ)!

მადლობას გიხდით იმ სიამოვნებისთვის, რომელიც თქვენმა მომხიბლავმა და გულითადმა წერილმა მომანიჭა. თქვენი მეგობრები დიდად დაგვაიმედა იმ ამბავმა, რომ მალე ჩვენ შორის გიხილავთ და კვლავ განვაახლებთ მეგობრულ ურთიერთობას.[7] მოხიბლული ვართ თქვენი დის გულმოდგინებით ქართული ლიტერატურის შესასწავლად, რაც, უეჭველია, თქვენს წიგნთან[8] გაცნობის შედეგია, წიგნთან, რომელიც ასე სასახელოა ჩვენი ქვეყნისათვის.

ამ დღეებში ერთ მცირერიცხოვან საზოვადოებაში მოვუყეი ამბები, რომელიც თქვენგან შევიტყვე.[9] მეორე დღეს კი ეს ცნობები პატარა შენიშვნის სახით აქაურ ცნობილ გაზეთ „კავკაზში“ წავიკითხე. გიგზავნით ამ შენიშვნას და გთხოვთ პატიებას, თუ ჩემდა უნებურად ამის გამო რაიმე უსიამოვნება შეგხვდებათ.[10]

გთხოვთ ნუ მომერიდებით და შემატყობინეთ ყველა თქვენი სათხოვარი. ბედნიერი ვიქნები ეს უმნიშვნელო მეგობრული სამსახური გაგიწიოთ. ველი აღნიაშვილის ზღაპრების ინგ-

---

[7] იგულისხმება 1887 წლის შემდეგ ოლივერ უორდროპის საქართველოში მეორედ ჩამოსვლის განზრახვა, რაც მან განახორციელა კიდეც 1894 წლის დეკემბერსა და 1895 წლის იანვარში თავის დასთან — მარჯორისთან და დედასთან ერთად.

[8] იგულისხმება ოლივერ უორდროპის წიგნი „საქართველოს სამეფო“ (ლონდონი, 1888), რომლის გაცნობამ მარჯორი უორდროპი დაინტერესა შეესწავლა ქართული ენა და ლიტერატურა.

[9] იგულისხმება ოლივერ უორდროპის 1894 წლის 3 იანვრის წერილი ივანე მაჩაბლისადმი, რომელიც დღეს ლიტერატურულ მუზეუმში არის დაცული: 14219-ბ.

[10] იგულისხმება: Литературные новости: Перевод грузинских произведений на английский язык. «Кавказ». 14. I. 1894, № 12, с. 3, რომელშიც მოთხრობილი იყო მარჯორი უორდროპის ქართველოლოგიური მუშაობის ამბავი. ეს ცნობა მალე „ივერიამაც“ გადაბეჭდა: ახალი ამბავი, „ივერია“, 16. I. 1894, № 11.

ლისურად თარგმნის ცდებს[11] და გიგზავნით [თქვენ მიერ] შეკვეთილ წიგნებს. ჩემთვის ეს ახლა სულ იოლია, რადგან თბილისში ჩამოყალიბდა წიგნების საგამომცემლო საზოგადოება, რომელიც ყველა დაკვეთას ასრულებს.[12] მხოლოდ სამი წიგნი ვერ გიშოვეთ, ეტყობა, გაყიდულია, და თუ ხელახლა გამოიცა, უეჭველად გამოგიგზავნით.

წიგნის ცენტრალურ მაღაზიაში სულ 2 მანეთი გადავიხადე. „მოამბე" ყოველთვიური ჟურნალია და მისი გამოცემა „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის" საქმეა. ამ ამხანაგობის კომიტეტი მას უფასოდ გიგზავნით. თქვენ მხოლოდ გადმოგზავნის ხარჯები უნდა გასწიოთ. რაც შეეხება გაზეთ „ივერიას", მის გამომცემელ თავად ჭავჭავაძესთან კარგ დამოკიდებულებაში ან ვარ.[13] მაინც ვთხოვე ერთ საერთო ნაცნობს[14] და იმედი მაქვს, რომ გამოგიგზავნის.

თქვენ შესახებ საუბარი მქონდა ლევან ვაჩნაძესთან,[14ა] რომელიც ამ დღეებში წერილს გამოგიგზავნით. ჩვენი საერთო ნაცნობები გულითად სალამს გითვლიან და [საქართველოში] კეთილად ჩამობრძანებას გისურვებენ.

---

[11] იგულისხმება 1891 წელს ვლ. აღნიაშვილის მიერ გამოცემული „ქართული ხალხური ზღაპრების" მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, რომელიც 1894 წელს გამოქვეყნდა ლონდონში, მაგრამ როგორც ოლივერ უორდროპისა და ივანე მაჩაბლის ამ მიმოწერიდან ირკვევა, დაბეჭდვამდე მარჯორისეული ინგლისური თარგმანი ხელნაწერში გაუცნია ივანე მაჩაბელს, ოლივერის სიტყვები რომ დავიმოწმოთ, „რათა თავიდან ავიცილოთ უხეში შეცდომები ჩემი დის მიერ შესრულებული თარგმანის ცდებში, რომელიც ინგლისელ მკითხველს უნდა შეეთავაზოთ" (ლიტ. მუზ. 14219-ბ).

[12] იგულისხმება ალ. ჯაბადარის მიერ 1890 წელს დაარსებული ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობა.

[13] იგულისხმება ე. წ. „ბანკოვიადას" გამო 1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის გამწვავებული დამოკიდებულება.

[14] აქ უნდა იგულისხმებოდეს ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც ცდილობდა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის შერიგებას.

[14ა] ლევან ვაჩნაძე — თბილისის გიმნაზიის დირექტორი.

სამი დღეა, რაც [ქალიშვილის] მამა გაეხდი.[15] ჩემს ოჯახში თქვენი სტუმრობა ყველასთვის სასიხარულო იქნება.

თქვენი წერილის მოლოდინში მყოფი

მუდამ თქვენი ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი“[16].

აი, ოლივერ უორდროპის 1894 წლის 28 თებერვლის პასუხიც:

„ჩიზლჰერსტი, კენტი, ინგლისი. 28 თებერვალი, 1894.

ძვირფასო მეგობარო!

გმადლობთ გულითადი წერილისთვის. წიგნების დასტა ჩინებულ მდგომარეობაში ჩამოგვივიდა. ჩემი და მთხოვს გადმოგცეთ მადლობა იმ შესანიშნავი საჩუქრისთვის, რომელიც თქვენ მას ჟურნალ „მოამბე“-ს სახით გაუკეთეთ. ეს გამოცემა სასახელოა თქვენი ქვეყნისთვის და თქვენ თანამემამულეთა ლიტერატურული მოღვაწეობის ბრწყინვალე საბუთს წარმოადგენს.

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენი დაქორწინება (ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილზე, გ. შ.). გისურვებთ ბედნიერებას. მართალია ცოტა არ იყოს შემაგვიანდა, მიუხედავად ამისა ჩემი სურვილები არანაკლებ გულწრფელია. ვიმედოვნებ, რომ მექნება სიამოვნება გავიცნო ქალბატონი მაჩაბელი ჩემი მომავალი ჩამოსვლისას თბილისში; თუმცა, ღმერთმა უწყის, როდის მეღირსება ეს ბედნიერება.

ზუსტად არ ვიცი ჯერ სად ვიმუშავებ. ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებ ერთი თანამდებობისთვის... შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ გადაწყვეტით ჯერ არაფერი არ არის ცნობილი. [რამდენიმე] თვეში შევძლებ კვლავ მოვინახულო საქართველო.

მალე გამოგიგზავნით აღნიაშვილის ხალხური ზღაპრების თარგმანის ცდებს, გთხოვთ დამიბრუნოთ ისინი რაც შეიძლება

[15] იგულისხმება ივანე მაჩაბლის ასული ე ლ ე ნ ე (ე ლ ა) მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, რომელიც დაიბადა 1894 წლის 9/21 იანვარს.

[16] ეს წერილი არის პასუხი ოლივერ უორდროპის 1894 წლის 3 იანვრის წერილისა (ლიტ. მუზ. 14219-ხ, ფრანგულ ენაზე), რომლის შავი პირი დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში: 13797-ხ, ფრანგულ ენაზე. თარგმანი მ ა რ ი ნ ე ჩ ერ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

ალე. თქვენი შენიშვნებითურთ. ჩემი და ფიქრობს გამოაქვეყნოს იმავე ტომში ა. ცაგარელის „მეგრული ზღაპრები“ [სპბ., 1879] და «Грузинския народныя сказки, собр. Бебур...» [СПб., 1884], რაც მთლიანობაში დაახლოებით 200 გვერდს შეადგენს.

ვინაიდან გამოცემული იქნება მხოლოდ 500 ეგზემპლარი, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა შემეტყობინებინა ეს თქვენთვის, რათა თქვენმა წიგნით მოვაჭრეებმა დროულად შეძლონ დაკვეთების მიცემა, სანამ ტირაჟი არ ამოწურულა. ვიცი, რომ თქვენში ბევრი არ არის ინგლისურის მცოდნე, მაგრამ შესაძლოა ზოგს სურდეს იქონიოს თავის ბიბლიოთეკაში პირველი ქართული წიგნი გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე. ფასი დაახლოებით 4 შილინგი იქნება, ხოლო გამომცემლის გვარია ბატონი დავით ნატი, 270 სტრენდი, ლონდონი (იგულისხმება მ. უორდროპის „ქართული ხალხური ზღაპრები“, ინგლისურ ენაზე თარგმნილი, ლონდონი, 1894, გ. შ.).

ამ შრომას ცოტა ხნის შემდეგ მოყვება რუსთაველის პოემიდან 200 ბწკარის ლიტერატურული თარგმანი პროზად, მაგრამ ვიდრე ამ ნაშრომს დასაბეჭდად გავგზავნიდეთ, საჭიროა რამოდენიმე ადგილის ახსნა-განმარტება, რაც მეტად გაუჭირდა ჩემ დას. ხომ არ ინებებდით აგეხსნათ ჩემთვის შემდეგი სტროფების ზუსტი მნიშვნელობა:

17. „თვალთა მისგან უნათლოთა“ და ა. შ.
18. „რაცა ვის რა ბედმან“ და ა. შ.
19. „შაირობა პირველადვე“ და ა. შ.
26—31. „ჩემი აწ სცანით... კაცთა იახლების“-მდე.

ეს სტროფები პოემის შესავალშია.

საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას“ თარგმნა დავასრულე. ჩემმა დამ ის ორიგინალის ტექსტს შეადარა. ახლა ვამომცემლის ძებნაში ვარ.

ბატონი ვაზიანი ამჟამად შოტლანდიაში იმყოფება, მაგრამ იმედია, სიამოვნება მექნება გავიცნო იგი დაბრუნებისას, აპრილის თვეში.

კიდევ ერთი ცნობა მჭირდება: ხომ ვერ მეტყოდით რა ლეგენდა არსებობს საქართველოს სამეფო იარაღის შესახებ. ვახტანგის მიერ მოსკოვში გამოქვეყნებულ ბიბლიაში ასოების გარჩევა ჭირს.

ამ კონვერტში თქვენ ნახავთ ქვითარს 45 მანეთსა და 70 კაპიკზე. მე თქვენი მმართებს 29 მან., და 14 კაპ., მაშასადამე რჩება 16 მან., 56 კაპ. გთხოვთ გადაიხადოთ „ივერიის“ ხელმოწერის 3 მან. 50 კაპ., რათა ეს გაზეთი ივნისის თვემდე გამომიგზავნონ. გთხოვთ გადმომიგზავნოთ აგრეთვე მ. საბინინის წიგნი „საქართველოს სამოთხე“, სანკტ-პეტერბურგი, 1882, 10 მან. თუ დარჩენილი ფულიდან გადახდის შემდეგ კიდევ რამე დაგრჩათ, გამომიგზავნეთ, გეთაყვა, განსვენებული ყაზბეგის თხზულებათა ტომი.

ჩემი და ჩემთან ერთად უღრმეს მადლობას გითვლით ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ. მე კვლავ მალე მოგწერთ.

თქვენი ერთგული ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი“[17].

ამას მოჰყვა ოლივერ უორდროპის იმავე 1894 წლის 15 აგვისტოს გამოგზავნილი შემდეგი წერილი:

„ჩიზლჰერსტი, კენტი, ინგლისი, 15 აგვისტო, 1894.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ვჩქარობ გიპასუხოთ 1/13 ივლისს გამოგზავნილ, გულთბილ წერილზე, რომელიც ამ დღეებში მომივიდა.

საუბედუროდ ჯერ არ ვიცი შევძლებ თუ არა ამ წელს თქვენთან ჩამოსვლას. მაგრამ თუ ჩამოვედი ბევრი რამ მექნება თქვენთვის მოსაყოლი. ახლა კი კვლავ უნდა შეგაწუხოთ ახალი თხოვნით. გთხოვთ მაპატიოთ, რომ ჩვენი სურვილი, შევადგინოთ ქართული წიგნების რაც შეიძლება სრული ბიბლიოთეკა, თქვენგან ამდენ წვალებას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა გიგზავნით ახალ სიას იმ წიგნებისა, რომელიც მინდა ვიქონიო, გთხოვთ აგრეთვე ზედ დაურთოთ ახალი კატალოგი. თუ რაიმე საშუალება არის დაძებნეთ ბუკინისტებთან საინტერესო ძველი წიგნები, ან ისეთები, რომელიც გასაყიდად აღარ არის. დიდად მადლობელი ვიქნები თუ ინებებთ მათ გადმოგზავნას. მაგ. ანტონის „Мертное слово“, „კალმასობა“, ჩუბინოვის „ქრესტომატია“, პლ. იოსელიანის

[17] ოქსფორდი, (Wardr. C—27/54); ლიტ. მუზეუმი: 14220-ბ, ფრანგულ ენაზე, თარგმანი მ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

ისტორიული შრომები, ხუცური დამწერლობის ძეგლები და ა. შ., რაც შეეხება ახალ გამოცემებს, ჩვენ გვინდა ვიქონიოთ ყველაფერი, რაც ღირსშესანიშნავია ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით.

უნდა გითხრათ, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტების“ ეგზემპლარი სრული არ არის, XXXI—XLVI გვერდები აკლია. მოთხოვეთ, გეთაყვა, გამომცემლებს ნაკლული გვერდები.

აგვისტოს თვის „მოამბე“ მე-4-ე ნომრიდან მოყოლებული ჯერაც არ მიგვიღია. იმედი მაქვს, რომ ეს ჟურნალი დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი შეძენა კიდეც ვურჩიე ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკას. რაც შეეხება „ივერიას“, არც ვიცი, რა ვადით გვაქვს გადახდილი მისი ხელმოწერა. საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ ის განაახლოთ.

ნამდვილად მრცხვენია კიდევ რაიმე გთხოვოთ, მაგრამ ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნა იქნება დღეისთვის. დიდი მადლობელი ვიქნებით თუ შეგვატყობინებთ რუსთაველის პოემის შესავალში № 17, 28, 29, 30, 31, სტროფების მიახლოებით მნიშვნელობას.

„ლიტერატურული საზოგადოების“ ანგარიშისა და სხვა ხარჯების დასაფარავად, რომელიც თქვენ გექნებათ, გიგზავნით 5L ღირებულების საბანკო ბილეთს. მისი მიღება გთხოვთ მაცნობოთ.

ჩვენ მეგობარ ლევან ვაჩნაძისა კვლავ არაფერი ვიცი, მე თვითონ მივწერდი, მაგრამ მისი მისამართი არ ვიცი.

ბატონმა ვაზიანმა, „ივერიის“ კორესპონდენტმა პატივი დაგვდო და ჩვენთვის ქართული სალაპარაკო ენის გაკვეთილების ჩატარება ითავა. როგორც გვარწმუნებს, წარმატება გვეტყობა და ორი-სამი თვე თქვენთან რომ გავატაროთ, საკმაოდ თავისუფლად ვილაპარაკებთ.

„ქართულ ხალხურ ზღაპრებს“ დიდი წარმატება ჰქონდა და გამომცემლები ფასის გადიდებას აპირებენ 4-დან 5 შილინგამდე.

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს თარგმანი თითქმის მზად არის და ვიმედოვნებ, რომ მომავალი თვის დასაწყისში ერთ ეგზემპლარს გამოგიგზავნით.

არ ვიცი, გითხარით თუ არა, რომ ივნისის თვეში სანტკ-პეტერბურგსა და მოსკოვში გახლდით. რუსეთში რვა დღე დავრჩი, იმედი მქონდა რომ მოგზაურობას კავკასიამდე გავაგრ-ძელებდი, მაგრამ იძულებული შეეიქმენ ლონდონში საჩქაროდ დავბრუნებულიყავი.

ჩემს შესახებ კიდევ მალე მოგწერთ. გარწმუნებთ, რომ თუ საშუალება მექნა, თბილისში წლის დამლევამდე ჩამოვალ.

ჩემი და მოკითხვას გითვლით და კიდევ ერთხელ მადლო-ბას გიხდით ყველაფრისთვის.

პატივისცემით მოიკითხეთ ქალბატონი მაჩაბელი. ხელს ვართმევ ჩემ თბილისელ მეგობრებს.

თქვენი ოლივერ უორდროპი"[18].

1894 წლის დეკემბერში ოლივერ და მარჯორი უორდრო-პები ეწვივნენ საქართველოს. ქართველ მეგობრებთან ახალი შეხვედრებითა და შთაბეჭდილებებით აღსავსე ოლივერი უკან დაბრუნების შემდეგ 1895 წლის 19 ივნისის წერილში ქერჩის ბრიტანეთის საკონსულოდან ატყობინებს ივანე მაჩაბელს:

„ქერჩი, 19 ივნისი 1895 წ., დიდი ბრიტანეთის ვიცე-სა-კონსულო.

ძვირფასო მეგობარო!

პატიებას გთხოვთ უფრო ადრე რომ არ მოგწერეთ. ჩა-მოსვლის შემდეგ ბევრი საქმე მქონდა და თანაც ცოტა შეუძ-ლოდ ვიყავი.

ზედმეტია იმის თქმა, რომ სულ ერთთავად თქვენზე ვლა-პარაკობთ. ყოველ დღე ვნატრობთ კვლავ ვინახულოთ თქვენი მშვენიერი ქვეყანა.

რამდენიმე დღეა რაც გამოგიგზავნეთ ოქსფორდში დაბეჭ-დილი გამოცემა შექსპირისა, მიიღეთ როგორც მცირედი სახ-სოვარი. დღეს გიგზავნით დაპირებულ ფოტოსურათს. კნეინა ბაბომ, თქვენმა ცოლის დამ მთხოვა ჩემი პორტრეტი თავისი სურათის სანაცვლოდ. ვუგზავნი მას დიდ მოკითხვასთან ერ-თად.

---

[18] ლიტ. მუზეუმი: 14221-ბ, ფრანგულ ენაზე, თარგმანი მ. ჩ ე რ ქ ე-ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

ამჟამად თითქმის მოვეწყვეთ. ჩვენი სახლი საკმაოდ კეთილმოწყობილია და კარგ ადგილას დგას. საშინლად მოწყენილები ვართ, საზოგადოება გვაკლია. აბა თქვენ იცით, თუ ჩამოხვალთ და გვანუგეშებთ. ერთი-ორი ოთახი ყოველთვის თქვენ განკარგულებაში იქნება.

წიგნების კითხვის საშუალებასაც მოკლებული ვარ. წარმოიდგინეთ! ჩემი წიგნები ჯერ კიდევ საბაჟოში იმყოფება. უნდოდათ ისინი ჟანდარმერიის უფროსს გაესინჯა. მე კი ცივ უარზე ვარ და ამ გასინჯვაზე არ ვთანხმდები ჩემი უფროსების ბრძანების გარეშე. საკითხი ალბათ წლის დასასრულამდე გადაწყდება.

სიკეთე მიყავით და ქართულ ტიპოგრაფიულ საზოგადოებას შეატყობინეთ გამომიგზავნონ ყველა ახალი წიგნი გამოქვეყნებული ჩვენი წამოსვლის შემდეგ. გაზეთი „ივერია“ ხშირად გვატყობინებს ხოლმე ამის შესახებ. ანგარიში ყოველთვიურად გამომიგზავნონ, მე კი ერთიანად გადავიხდი თბილისზე გადაგზავნილი ქვითრის საშუალებით. რამოდენიმე თვეა არ მიგვიღია „მოამბე“, შესაძლოა რედაქციამ ჩვენი ახალი მისამართი არ იცის.

ჩემმა დამ რამოდენიმე დღის წინ მისწერა კნეინა მაჩაბელს. ახლა კი მთხოვს საუკეთესო სურვილები გადმოგცეთ თქვენ და ყველა ჩვენ მეგობარს თბილისში.

გადაეცით ჩემი ღრმა პატივისცემა კნეინა ტასოს და კნეინა ბაბოს. მეგობრული სალამი თავად მიშოს, გიზო დიასამიძეს, კოტე დოდაშვილს, ქალბატონ დემურიას — მოკლედ ყველას. ყოველ დღე ბევრს ვსაუბრობთ თქვენზე. აუცილებლად გვინახულეთ. სიამოვნებით ჩამოვიდოდი თქვენთან, მაგრამ საუბედუროდ აქ ვარ გამომწყვდეული.

მაგრად გართმევთ ხელს, თქვენი
ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი“[19].

შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანებით აღფრთოვანებული ოლივერ უორდროპი 1896 წლის 28 მაისის ინგლისურად დაწერილ წერილში გენიოსს უწოდებს ქართველ მთარგმნელს:

---

[19] ლიტ. მუზეუმი: 14222-ხ, ფრანგულ ენაზე; თარგმანი მ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

„ქერჩი, 28 მაისი, 1896.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოგწერეთ. აქ, ქერჩში, ისეთი ერთფეროვანია ცხოვრება, რომ არც არის რაიმე მოსაწერი.

დაახლოებით ექვსი კვირის წინ ჩემი დედ-მამა და ძმა ჩამოვიდნენ ქერჩში. ჩემი დის წინამძღოლობით უკვე მოიარეს და დაათვალიერეს ყირიმის უმთავრესი ღირსშესანიშნავი ადგილები და შემდეგ კვირას მისივე თანხლებით კავკასიაში მოეშურებიან. უეჭველად თქვენი სტუმრებიც იქნებიან, ასე, 1/13 ივნისისათვის, თუ, რა თქმა უნდა, იმ დროისთვის ჯერ კიდევ თბილისში იქნებით.

„იულიუს კეისრის“ თქვენეული თარგმანი სწორედ რომ საამაყოა: ეს არის თქვენი გენიისა და ამავე დროს თქვენი ენის განსაცვიფრებელი სიმდიდრის მტკიცება. მე წაკითხული მაქვს ამ პიესის ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული თარგმანები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დედანთან ისე სარწმუნო, როგორც თქვენი. თანამედროვეთ რომც არ დაგაფასონ სათანადოდ, თქვენ ისეთი რამ შეჰქმენით, რითაც შთამომავლობა აღფრთოვანებული იქნება. ვიმედოვნებ, რომ დროთა განმავლობაში სრულად თარგმნით შექსპირს.

ჩემი და გიამბობთ ახალ ამბებს, როდესაც გიხილავთ. მეც სულით და გულით მინდა ჩამოსვლა, მაგრამ დღესღეობით ეს შეუძლებელია.

გთხოვთ, უმორჩილესი სალამი გადასცეთ კნეინებს — ტასოს და ბაბოს.

ჩემს დას უნდოდა წერილი მოეწერა თქვენი მეუღლისათვის, მაგრამ ისეა დაკავებული, რომ დრო ვერ გამონახა.

მომიკითხეთ ჩემი ძვირფასი თბილისელი მეგობრები.

მერწმუნეთ, მუდამ თქვენი ერთგული

ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ ი“[20].

---

[20] ლიტ. მუზეუმი: № 14223-ბ, ინგლისურ ენაზე. თარგმანი ფ ი ქ რ ი ა ლ ე ბ ა ნ ი ძ ი ს ა; შდრ. ვ. ჭ ე ლ ი ძ ე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., 1957, გვ. 352; ნ. ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე, დას. წერილი, გვ. 90.

ოქსფორდში დაცულია ივანე მაჩაბლის 1898 წლის 12/24 აპრილის ფრანგულად დაწერილი წერილის დედანი ოლივერ უორდროპისადმი, რომელშიც იგი აგვიწერს თავისი შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობას და შემოქმედებითი შრომის უკანასკნელ დღეებს:

„თბილისი, 12/24 აპრილი, 1898.

ძვირფასო მეგობარო ოლივერ!

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი მაშინვე მეპასუხნა უკანასკნელად მიღებულ წერილზე.[21] აი, უკვე ერთი წელია, რაც ავად ვარ. ორჯერ გამიკეთეს ოპერაცია: ჯერ ნაწლავების ანთება მქონდა, შემდეგ კი პლევრიტი დამემართა.[22] ახლა, თუმცა მთლად ვერ მოვმჯობინდი, თავს მაინც უკეთ ვგრძნობ და ნაოპერაციევი იარები წერას აღარ მიშლის.

თქვენი დის წარმატებები ქართულ ენაში იმედს გვაძლევს, რომ მალე ჩვენს განთქმულ „ვეფხისტყაოსანს“ ინგლისურად წავიკითხავთ.

თარგმნას მეც განვაგრძობ, ჩვენს საზოგადოებას შექსპირს ვაცნობ. ავადმყოფობის წინ ვთარგმნე „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „კორიოლანოს“. პიესები ჯერ არ დაბეჭდილა, მაგრამ გამოქვეყნებისთვის სულ მზად მაქვს[23].

მე და ჩემმა მეგობრებმა წამოვიწყეთ სავაჭრო საქმე, რათა გავაადვილოთ კავშირი მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. აქამდე ქართველი მეწარმეები ჩავარდნილი იყვნენ შუამავალთა ხელში, რომელნიც მათ საშინლად ყვლეფდნენ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საზოგადოება მათ ამ მარწუხებიდან

---

[21] იგულისხმება ოლივერ უორდროპის 1898 წლის 15/27 თებერვალს ქერჩიდან გამოგზავნილი წერილი (დაცულია ლიტ. მუზეუმში—14225-ბ, ფრანგულ ენაზე).

[22] ივანე მაჩაბელს უკანასკნელად ოპერაცია გაუკეთა სამხედრო ქირურგმა ვ ო ი ნ ო მ 1897 წლის 19 ივნისს, რომლის დროსაც ამოკრა სამი ნეკნის ძვალი. ოპერაციას ესწრებოდა ივანე მაჩაბლის მკურნალი ექიმი გ ე გ ე მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი.

[23] „ანტონიოს და კლეოპატრას“ და „კორიოლანოსის“ ივანე მაჩაბლისეული ქართული თარგმანები თბილისში გამოქვეყნდა 1898 წელს ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ დაკარგვის (1898 წლის 26 ივნისს) შემდეგ.

დაიხსნის[24]. ამავე დროს ჩვენ ვხსნით მაღაზიებს, მწარმოებლებს მათთვის საჭირო საგნები რომ მივაწოდოთ.

ამ დღეებში გამოგიგზავნით ჩვენი საზოგადოების წესდებას და გასული წლის ანგარიშს, ალბათ, ხელსაყრელი იქნებოდა ინგლისელ კომერსანტებთან რომ დაგვეჭირა საქმე. თუ ეს შესაძლებელი იქნება, გამოგიგზავნით ჩვენთვის საჭირო საქონლის სიას, თქვენ მას გადასცემთ თქვენს თანამემამულეებს და თუ მათი ნაწარმი უფრო იაფი და უკეთესი ხარისხისა იქნა, ვიდრე ის, რასაც ახლა ჩვენ ვშოულობთ, ინგლისელ ვაჭრებს ერთი სოლიდური მყიდველი შეემატება.

ჩემი გულწრფელი მოკითხვა თქვენს დას.

მუდამ თქვენი ი. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი"[25].

ეს წერილი პასუხია ოლივერ უორდროპის 1898 წლის 15/27 თებერვლის ბარათისა:

„ქერჩი, 15/27 თებერვალი, 1898.

ძვირფასო მეგობარო!

სულ რამდენიმე დღეა შევიტყვე, რომ სერიოზულად ყოფილხართ ავად. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა, მთელი გულით გისურვებთ სწრაფ და სრულ გამოჯანმრთელებას.

ძალიან იშვიათად იმიტომ გწერთ, რომ არაფერი საინტერესო არ მაქვს გასაზიარებელი. ქერჩში ჩვენი ცხოვრება ისეთი ერთფეროვანი და მოსაწყენია, რომ თითქმის არავითარ საბაბს არ იძლევა წერილისთვის.

---

[24] იგულისხმება 1896 წელს ივანე მაჩაბლის თაოსნობით დაარსებული სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი, რომლის გამგეობის და საწყობების ბინად არჩეულ იქნა რკინიგზის სადგური გოში. გარდა ამისა, მისივე თაოსნობით და მონაწილეობით ეწყობოდა სინდიკატისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნდობის საზოგადოება, შედგენილ იქნა კიდეც მისი წესდება, ხოლო სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე მაჩაბელი (დაწვრილებით იხ. ი ლ ი ა ჭ ყ ო ნ ი ა, მცირე შენიშვნა ივანე მაჩაბელზე, ლიტ. მუზ. — № 10125).

[25] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი: d 20/96 (წერილის შავი პირი დაცულია ლიტ. მუზეუმში: 13799-ხ), ფრანგულ ენაზე; თარგმანი მ ა რ ი ნ ე ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

განზრახული გვაქვს გავემგზავროთ ლონდონს აპრილის თვეში; ინვლისში ივლისამდე დავრჩებით.

ჩვენმა ოჯახმა ბინა ქალაქის ცენტრში დაიკავა, რაც ჩვენს იქ ყოფნას უფრო მხიარულს გახდის.

ნოემბრის თვიდან არავითარი ცნობა არ გვაქვს ჟურნალ „მოამბე"-ს შესახებ, იმედია, რომ მისი გამოცემა გრძელდება. რედაქციამ პატივი დაგვდო და უფასოდ გვიგზავნის ჟურნალს, მაგრამ ეგებ აჯობებდა ამიერიდან აღარ გვესარგებლა სულგრძელობით, რომელიც ასე ძვირად უჯდება ბატონ [ილია] ჭყონიას.

ჩემ დას წინსვლა ეტყობა, რუსთაველის თარგმანი კარგად მიდის, განზრახული აქვს სამუშაო ლონდონში ჩვენს გამგზავრებამდე დაასრულოს. რასაკვირველია, გამოქვეყნებას ჯერ ვერ შესძლებს, სანამ არ ჩაასწორებს, რაც მძიმე და ხანგრძლივ შრომას მოითხოვს.

„წმინდა ნინოს ცხოვრება" უკვე ნაწილობრივ დაბეჭდილია ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა „კლარანდონის" მიერ.

მოუთმენლად ველი თქვენი სრული განკურნვის ამბავს. ირწმუნეთ ჩემი გულწრფელი სიმპათია თქვენდამი. დიდი მოკითხვა ჩემგან კნეინა ტასოს, მთელ თქვენ ოჯახს და ჩემ თბილისელ მეგობრებს.

თქვენი ოლივერ უორდროპი"[20].

უორდროპთა ნაქონ წიგნად ფონდში აღმოჩნდა ივანე მაჩაბლის მიერ ნაჩუქარი წიგნები, უმეტესად მისეული თარგმანები: „იულიუს კეისარი" (1896 წ.), „მაკბეტ" (1892 წ.), „რიჩარდ მესამე" (1893 წ.), „ოტელო" (1888 წ.), „ჰამლეტ" (1887 წ.) და სხვები. მათ ამკობთ ივანე მაჩაბლის მიერ ინგლისურად, ფრანგულად და ქართულად წარწერილი მიძღვნები: „ჩემს მეგობარს მარჯორი ვარდროპს ი. მაჩაბლისაგან", „ბატონ ოლივერ ვარდროპს პატივისცემით მთარგმნელისაგან" და ა. შ. ამათ გარდა, აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის ქართველიშვილისეული მდიდრული გამოცემის ის ეგზემპლა-

---

[20] ლიტ. მუზეუმი: № 14225-ბ, ფრანგულ ენაზე; თარგმანი მ. ჩერქეზიშვილისა.

რი, რომელზეც 1889 წლის აგვისტოში ოლივერ უორდროპის ხელით გაკეთებული ინგლისური წარწერიდან ირკვევა, რომ აღნიშნული გამოცემა მისთვის ივანე მაჩაბელს გაუგზავნია საჩუქრად. ამასთან დაკავშირებით დამატებით შევნიშნავ, რომ გრ. ჩარკვიანისეულ 1887 წლის გამოცემასთან ერთად, ეს „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის სწორედ ის ცალია, საიდანაც თარგმნა შემდეგ მარჯორი უორდროპმა ინგლისურად „რუსთაველის უკვდავი პოემა!

* * *

ივანე მაჩაბლის დაკარგვამ უზომო მწუხარება გამოიწვია უორდროპთა ოჯახში. ტასო მაჩაბლისადმი 1899 წლის 24 ოქტომბერს (5 ნოემბერს) ქერჩიდან ფრანგულ ენაზე გამოგზავნილ ერთ გამოუქვეყნებელ წერილში მარჯორი უორდროპი წერს:

„ქერჩი, 24 ოქტ./5 ნოემბერი 1899.

ძვირფასო კნეინა ტასო!

ამ დილას მოგწერეთ წერილი ქართულად, მაგრამ ვშიშობ, რომ შესაძლოა, ცუდად გამოვხატე სათქმელი და თქვენ ვერ შესძლებთ მის გაგებას.

როგორც კი თქვენი წერილი მივიღე, მაშინვე მივწერე ჩემს ძმას [თომასს] ლონდონში და ვკითხე, შესაძლოა თუ არა თავადი მაჩაბელი ყოფილიყო ინგლისში. მან ნახა ვაზიანი, ელაპარაკა მას და ამ უკანასკნელმა დაარწმუნა, რომ ეს სრულიად შეუძლებელი ამბავია. ჩვენი ოჯახიდან ვინმეს რომ სცოდნოდა თქვენი ქმრის ადგილსამყოფელი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამის შეტყობინება იქნებოდა უპირველესი ჩვენი მოვალეობა და სიხარული. მაგრამ ვაგლახ, რომ ჩვენ სხვებზე მეტი არა ვიცით რა. ჩვენის აზრით უდავოა, რომ ის აღარაა ცოცხალი.

დიდად გმადლობთ შექსპირის ორი დრამის თარგმანისთვის. ისინი მუდამ გამოიწვევს ჩვენში ნაღველს, როგორც ჩვენი მეგობრის უკანასკნელი ნამუშევრები.

ჩემი მშობლები და უმცროსი ძმა [თომასი] გამოხატავენ ღრმა სიმპათიას თქვენსა და თქვენი ბავშვების მიმართ.

თუ კიდევ ჩამოვედით კავკასიაში, და მე იმედი მაქვს, რომ კვლავ ვიხილავთ ამ მშვენიერ ქვეყანას და ყველა ჩვენს მეგობარს, აუცილებლად გინახულებთ.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი და ჩემი ძმის [ოლივერის] გულწრფელი სურვილები თქვენს დებს და დამიკოცნოთ ბავშვები.

მომწერეთ, გეთაყვა და შემდეგში ქართულად გიპასუხებთ.

დარწმუნებული იყავით ჩემს ღრმა სიყვარულში.

თქვენი ერთგული მარჯორი უორდროპი"[27].

ივანე მაჩაბლის დაკარგვასთან დაკავშირებით ჩვენმა ცნობილმა ბიბლიოფილმა და კოლექციონერმა ახლახან განსვენებულმა პაპუნა წერეთელმა მომაწოდა გამოჩენილი ქართველი ექიმის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ელიაშვილის ნაამბობი:

„დაკარგვამდე რამდენიმე დღით ადრე მე ვნახე ივანე მაჩაბელი, იწვა ფანჩატურში.

როგორ ხარო! — ვკითხე.

თავი უნდა მოვიკლაო! — მიპასუხა.

— რატომ, ვანიჩქა, გენაცვალეო!

— ჩემს მტრებს ვეღარ ვერევიო, ავადმყოფობა მომეძალაო!"

რაც შეეხება ოლივერ უორდროპის 1913 წლის 9 ივლისის ასევე გამოუქვეყნებელ ფრანგულად დაწერილ წერილს ტასო მაჩაბლისადმი, იგი წარმოადგენს ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი პორტრეტის შესანიშნავ დახასიათებას:

„სევენოუქსი, ინგლისი, 9 ივლისი, 1913.

ძვირფასო ქნეინა ტასო!

დიდად გმადლობთ წერილისთვის, რომელიც მხოლოდ ამ დღეებში მივიღე. ნიკოს გამოჯანმრთელების კეთილმა ამბავმა

---

[27] ლიტ. მუზეუმი: № 11445-ხ, ფრანგულ ენაზე, თარგმანი მ. ჩერქეზიშვილისა.

მეტად გამახარა. იმედი მაქვს, რომ ცხოვრება კიდევ მოგიტანთ ბედნიერებას და რომ თქვენ და [თქვენი შვილები] ელენე და ნიკო მომავალში ჯანმრთელად იქნებით.

ჩინებული საქმე წამოგიწყიათ, ხელახლა რომ აპირებთ შექსპირის შესანიშნავი თარგმანების გამოქვეყნებას და ზედ ურთავთ თქვენი ქმრისა და ჩემი მეგობრის ბიოგრაფიას. რამდენჯერ მიფიქრია მასზე, განსაკუთრებით იმ მძიმე წუთებში, რომელიც თქვენმა სამშობლომ ამ უკანასკნელ წლებში გამოიარა. მისი ძლიერი ხასიათი, ბრწყინვალე გონება, ხელოვნება თავი შეეყვარებინა ყველასთვის, სამშობლოსადმი ერთგულება, მის თანამემამულეებს თავზე დამტყდარ ბევრ ჭირს შეუმსუბუქებდა. მაგრამ მის ცდას ამაოდ არ ჩაუვლია. მისი სული დარჩა მათ შორის, ვინც მას უყვარდა და მისი სახელი მუდამ სათაყვანო იქნება!

ჩემს მიწერ-მოწერაში დავძებნი მის წერილებს, მაგრამ ამჟამად მთელი ჩემი ქაღალდები საშინლად არეულია. ჩვენ ესესაა გადმოვსახლდით საკუთარ პატარა სახლში და ცოტა არ იყოს ძნელად ვპოულობთ იმას, რაც გვჭირდება.

სიხარულით ველოდებით ოჯახის გაბედნიერებას [შვილის დაბადებას], აგვისტოს თვეში; უთუოდ შეგატყობინებთ როგორც კი ეს ამბავი მოხდება.

სწორედ ამ გარემოების გამო ვერ შევძელით კავკასიაში წამოსვლა, რაც ასე გულით გვეწადა. მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს.

გასულ კვირას დედაჩემთან რომ ვიყავით, გვეწვია ორი ქალბატონი, მათ ჩემი საყვარელი დის საფლავზე თეთრი შროშანების გვირგვინი მოეტანათ. ეს ბრძანდებოდა ქალბატონი ბერელაშვილი თავისი ქალიშვილით, რომელიც პარიზში სწავლობს. ჩვენ მეტად აგვაღელვა ამ თანაგრძნობამ.

მომიკითხეთ ყველა ჩვენი მეგობარი, განსაკუთრებით თქვენი დები — კნეინა ნინო და კნეინა ბაბო, ასევე თქვენი შვილები — ელენე და ნიკო.

გარწმუნებთ, ძვირფასო კნეინა ტასო, თქვენდამი ჩემს მუდმივ ერთგულებაში.

ოლივერ უორდროპი"[28].

---

[28] ლიტ. მუზეუმი: № 14450-ბ, ფრანგულ ენაზე, თარგმანი მ. ჩერქეზიშვილისა.

ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი მოღვაწეობის, მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ ფასდაუდებელი ცნობების შემცველია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მეუღლის — ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის უცნობი წერილები მარჯორი უორდროპისადმი, რომლებიც ოქსფორდშია დაცული. სულ გამოვლენილია 12 წერილი, ამათგან ათი ქართულ ენაზეა მიწერილი მარჯორისადმი 1895—1902 წლებში, ხოლო დანარჩენი დათარიღებულია 1910—1914 წლებით და ფრანგულად არის მიწერილი ოლივერ უორდროპისადმი. აი, ისინიც (მართლწერა დაცულია):

I

„1895 წლის 2 მკათათვეს, ქართლი, [სოფ. ფცა]

დიდათ პატივცემულო ბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდინ ვერ მოგწერეთ წერილი. დარწმუნებული ვარ, რომ მომიტევებთ, როცა გაიგებთ მიზეზს. ბავშვები ავათ მყვანდნენ და ვეჩქარებოდით თფილისიდან გამოსვლას სოფელში, რადგანაც ზაფხულში საშინლათ ცხელა იქ.

თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა. ჯერ იმითი, რომ აგრე შეისწავლეთ ჩვენი ენა, რომ შეგიძლიანთ აგრე ჩინებულათ წერილების მოწერა, მეორე იმითი, რომ არ დაგავიწყდით და მოგვიგონეთ.

თქვენი სურათი მივიღეთ და დიდი მადლობელი ვართ მე და ჩემი და ბაბო. ეხლა კერჩში დაბინავებული იქნებით. როგორ ატარებთ დროს? ქართულს წიგნებს კითხულობთ თუ არა? წერილები ხშირათ მომწერეთ ხოლმე, მეც არ დავიზარებ და მალე მოგწერთ პასუხს და ამ მიწერ-მოწერაში გაიადვილებთ ქართულ ენას.

ზაფხულში თუ გეძნელებათ ჩვენ ქვეყანაში მოსვლა, ამ ზამთარს კიდე უნდა გვეწვიოთ თქვენც და თქვენი ძმაც.

დედათქვენი სადა ბრძანდება? ჩემი უგულითადესი მადლობა მოახსენეთ. ბაბომ, ჩემმა ქმარმა მოგიკითხათ, აგრეთვე თქვენი ძმა. ჩემ მაგიერათაც გადაეცით მოკითხვა.

დემურიას ცოლმა[29] სიყვარულით მოგიკითხათ.
ნუ დამივიწყებთ, მომწერეთ ხოლმე.
თქვენი ერთგული
ტ ა ს ო მ ა ჩ ა ბ ე ლ ი“[30].

II

„1896 წელს 22 მარტს, ქალ. თფილისი.

დიდად პატივცემულო ბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდის ვერ მოგწერეთ წერილი. მიზეზი ის არის, რომ ამ ზამთარს აქ ჩემი და[31] იყო თავის პატარა ავადმყოფი ქალით და ეს ორი კვირა არის, რაც გარდაიცვალა.[32] მეტად შეწუხებული ვიყავით და დრო ვერ ვიშოვე, რომ მომეწერა.

თქვენი ნათარგმნი „განდეგილი“ მივიღეთ, დიდათ გმადლობთ პატივისცემისათვის. ჩემმა ქმარმა წაიკითხა და ძალიან მოსწონს, მხოლოდ ერთ ალაგას შემღეგი შეცდომა მოგსვლიათ: ბერი ეუბნება ქალს, შემოდი ჩემთან, „გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა“, ესე იგი წილს მოგცემ ჩემს ოთახშიო. ინგლისურად: „Jevill partake my cell wits thee“; თქვენს თარგმანში კი ნათქვამია:

„Let us communion take, kneel down and pray,
This is my cell, and lo! it is God's house;
Here many a knee hath bent before this day“.[33]

პირველი სტრიქონი შეცდომით არის გადათარგმნილი, აგრეთვე მესამეც. ნამდვილათ ასეა:

---

29 მ ა რ ი ა მ ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი-დ ე მ უ რ ი ა (1860—1910) — ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი.

30 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 97.

31 ნ ი ნ ო (ნ ი ცა) ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საჩხერელი თავადის — ბეჟან წერეთლის მეუღლე.

32 იგულისხმება ი ვ ლ ი ტ ა (ლ ი ტ ა) ბ ე ჟ ა ნ ი ს ა ს უ ლ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

33 იხ. განდეგილი, ლეგენდა ილია ჭავჭავაძისა, თარგმანი ქართულიდან მარჯორი უორდროპისა, ლონდონი, 1895, გვ. 20.

Ici il y a assez de place comme
Pour toi, également pour beaucoup
d'autres suppliants",

დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გწერთ აზრს „ქართლის მოქცევის" სტრიქონებისას: „რომლისა საქმჱ მისი გამოიძია" signifie: la reine voulait connaître les circonstances de la vie de Nino. Quant á „იგი" il correspondá „რიფსიმე", როგორც ვფიქრობ.

ჩვენ გავიგეთ, ვითომ თქვენ ძმას ბათუმში ნიშნავენ კონსულათ. თუ მართალია, ძალიან სასიამოვნო ამბავია.

ჩემი ქმრის ნათარგმნი „იულიოს კეისარი" ჯერ სრულათ არ დაბეჭდილა და როცა დაიბეჭდება გამოგიგზავნით.

თქვენი ძმა მოიკითხეთ ჩვენ მაგიერათ. ჩემმა ქმარმა და და დამ[34] მოგიკითხეს. ამ ზაფხულს მოგელით კიდევ.

გაკოცებთ ბევრს.

დავრჩები თქვენი მოყვარული

ტასო მაჩაბლისა"[35].

III

„1897 წლის 8 მარტს, სოფ. ფცაში.

უძვირფასესო და საყვარელო ბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ ამდენი ხანი არ მოგწერეთ პასუხი თქვენს წერილზე. მომიტევეთ, რადგან დრო არ მქონდა და რადგანაც სოფელში ვართ, გვიან მივიღე თქვენი წერილი. ეს ზამთარი გავატარეთ სოფელში ჩემ ძმასთან[36] და ძალიან კმაყოფილი ვართ, დავისვენეთ ქალაქის ხმაურობისაგან. საერთოთ, ქალაქი საშინლათ ღალავს და მოუსვენარი ცხოვრება არის, სოფელში კი სულ სხვა არის — სიჩუმე და სიმშვიდე. ამ ზაფხულს საჩხერეში მივდივართ და თქვენ და ბატონ ოლივერს გულით, როგორც პირობა იყო, მოგელით. იმედი მაქვს არ დაარღვევეთ თქვენს სიტყვას. ჩემმა დამ მითხრა,

---

34 ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი.

35 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 98.

36 იგულისხმება ფათა ბაგრატიონ-დავითაშვილი — უმცროსი ძმა ტასო მაჩაბლისა.

რომ მოგწერათ წერილი და გელით უეჭველათ. თქვენი ძმის ავადმყოფობა რომ შევიტყვეთ, ძალიან შეგვაწუხა, მაგრამ მალე კაი ამბავიც გავიგეთ, რომ მორჩენილა. თქვენ იწერებით, რომ კითხულობთ ქართულ ჟურნალებს. განა იმდენი დრო გაქვთ, რომ იკითხოთ? ხომ არაფერს თარგმნით ახალს? თქვენი ძმა სულ თავის საქმეში იქნება გართული და დაავიწყდებოდა ქართული კითხვა და ლაპარაკი და რომ ისევ მოიგონოს, კიდევ უნდა მობრძანდეთ საქართველოში.

ველი თქვენს ამბავს, ნუ დაგვივიწყებთ. ჩემმა დამ ბაბომ და ჩემმა ქმარმა მოკითხვა მოგახსენათ. თქვენ და თქვენ ძმას — ბატონ ოლივერს. ჩემი უგულითადესი მოკითხვა გადაეცით ბატონ ოლივერს.

დავრჩები თქვენი მოყვარული

ტ ა ს ო მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ა“.[37]

IV

„26 იანვარს, თბილისი, 1898 წელსა, [თბილისი].

უძვირფასესო და საყვარელო ბატონო მარჯორ!

მომიტევეთ, რომ აქამდინ პასუხი ვერ მოგწერეთ. მიზეზი იმაშია, რომ დრო არ მქონდა, ჩემი ქმარი ძალიან ავად იყო, ეხლაც ავად არის, მხოლოთ ცოტა უკეთ არის. აპრილიდან აქამდინ სულ ლოგინში წევს, ორჯერ ოპერაცია გაუკეთეს.[38] სიცხეს აძლევდა, მადა არაფრის არ ჰქონდა და ძალიან მძიმედ იყო. ღმერთმა გვიფარა და უკეთ არის, ლოგინიდამ კი ჯერ არ ამდგარა.

თქვენი წერილი რომ მივიღე ძალიან გამეხარდა, მე მეგონა, რომ ჩვენ კიდეც დაგავიწყდით. დიდათ გმადლობთ პატივისცემისთვის. დიდი მოკითხვა გადაეცით თქვენ ძმას. მე სულ შინ ვარ და არაფერი ამბავი არა ვიცი რა. ჩემმა დებმა და

---

[37] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 99.

[38] ივანე მაჩაბელს ოპერაცია გაუკეთა (ნეკნის ძვლები ამოჭრა) სამხედრო ქირურგმა ვოინომ 1897 წლის 19 ივნისს, თბილისში. ოპერაციას დაესწრო ი. მაჩაბლის მკურნალი ექიმი გეგე მაღალაშვილი. ოპერაციის ღროს ამოჭრილი ივანე მაჩაბლის ნეკნის ძვლები დღეს მის ოჯახში ინახება.

ქმარმა ბევრი მოკითხვა შემოგითვალათ, აგრეთვე, თქვენ ძმას.

ბევრს გაკოცებთ.

დავრჩები თქვენი ერთგული და მოყვარული

ტასო მაჩაბლისა"[39].

V

„1899 წლის 21 ენკენისთვე, Станция Гоми.

ძვირფასო და საყვარელო ბატონო მარჯორი!

დიდათ და დიდათ მასიამოვნა თქვენმა წერილმა, ჩემო კარგო მეგობარო. საშინლათ მიამა, რომ არც თქვენ და არც ბატონმა თქვენმა ძმამ არ დაგვიივიწყეთ, მეტადრე, ჩემი უბედური ქმარი.[40] ვერ ვპოვებ სიტყვებს მადლობის გადასახდელათ. თქვენი წერილი ისეთი კარგია, თქვენი გრძნობა ისე ნავსებით არის გამოყვანილი წერილში, ისეთი ტკბილი და სასიამოვნოა, რომ ამ წერილს ვუნახამ ჩემ პაწაწა შვილებს,[41] რომ იცოდნენ, იყვნენ იმისთანა ორი და-ძმა უცხო ქვეყანისა, რომელნიც გულით სწუხდნენ მართლა რომ დაკარგვას როგორც კარგი კაცისა, ისე კარგი და თავგანწირული მოღვაწისა. ჩემი ქმარი თქვენი ძალიან პატივისმცემელი იყო და ამ ჩემ უბედურობაში რომ არ მომიგონეთ და არ მომწერეთ წერილი, საშინლათ მიკვირდა. ეხლა მიხარიან, რომ გავიგე მიზეზი:

თქვენ გეგონათ, რომ მე ვიცოდი იმის წასვლა და ბინა. ეგ მართალი არ არის, ჩემო კარგო. მე მგონი თქვენ იცით კარგათ იმის ისტორია, ბატონ ოლივერმაც იცის, ჩვენმა საზოგადოებამ იქამდინ მიიყვანა. ვერ გაიგეს ჩემი ქმრის ფიქრები, მოღვაწეობა; ბევრი მტერი გამოუჩნდა და რვა წელიწადი სულ ბრძოლაში იყო. მერე ავათ გახდა, ძალიან ავათ იყო ორი წელიწადი, ისე რომ უკანასკნელ დღეში იყო. ოპერაცია გაუკეთეს, სამი ძვალი ამოსჭრეს. ძალიან ტანჯვა გამოიარა. მერე მორჩა, მხოლოთ ის აწუხებდა, რომ საზოგადოება უსამართ-

---

[39] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 99.

[40] ივანე მაჩაბელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1898 წლის 26 ივნისს.

[41] ნიკო — ნიკუშა (დაიბადა. 1892 წელს) და ელენე — ელა (დაიბადა 1894 წელს) მაჩაბლები.

ლოთ მოექცა და უნდოდა და ფიქრობდა —„სიმართლე გამოვაჩინოვო“. ამ ფიქრებში იყო, მერე მორჩა სრულებით. იმ ზაფხულს ვაპირებდით აბასთუმანში წასელას. თითონ ჩემ უბედურ ვანომ მისწერა წერილი ექიმს აბასთუმანში, ფული გაუგზავნეთ, აგარაკი დავიჭირეთ. ეს იყო 1898 წელს 24 ივნისს. 25-ში კარგათ იყო, მხიარულათ, საღამოზე ნარდი ითამაშა, მერე ვახშმის შემდეგ დაიძინა და 26-ში დილით რომ შეეედი იმის ოთახში, აღარ დამიხვდა. და არ ვიცით ეხლა თავი მოიკლა, თუ მოკლეს, ან სადმე წავიდა. ვარ ასე ტანჯვაში. არ ვიცი როგორ ვილოცო, როგორც ცოცხალზე თუ როგორც მიცვალებულზე.

ჩვენი საზოგადოება სამათ გაიყო: ზოგი ამბობს თავი მოიკლა, ვეღარ აიტანა ტანჯვაო. ზოგი ამბობს მოკლეს, ფული უნდა წაეღოთო, ზოგი — გავიდა ინგლისში, საზოგადო საქმე უნდა გააკეთოს და დაბრუნდებაო. თქვეს კიდეც, რომ ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილი) და ვანო მაჩაბელი ერთათ არიან და უორდროპებსაც ეცოდინებათო. მაგრამ ეგ მხოლოთ აგრე ფიქრობს ადამიანი და სხვა არაფერი იცის. რამდენჯერმე მინდოდა თქვენთან წერილის მოწერა და არ ვიცოდი, თუ გახსოვდით კიდე.

თუ მიწერ-მოწერა გაქვთ ვაზიანთან, მისწერეთ ეს ამბავი, იქნება არც კი იცის, რომ ჩემი უბედური ქმარი დაიკარგა და პასუხი რომ მოგივათ, მომწერეთ.

ბოდიშს ვიხდი, რომ ასე გრძელი წერილით შეგაწუხეთ.

ეხლა მე სოფელში ვცხოვრობ. ჩემი სახლები ქირით მივეცი. პატარა ნიკუშკა პანსიონში მიეეცი და ჩემი ელა და მე სოფელში ვართ.

ამ დღეებში თბილისში ჩავალ და გამოგიგზავნით უკანასკნელ თარგმანს ჩემი ქმრისას „ანტონიო და კლეოპატრას“ და „კორიოლანს“.

კორიოლანი და მისი ცხოვრება და ბედი, ხასიათი საშინლათ მიაგავს ჩემ უბედურ ქმარს!

ჩემი ქმრის სურათი არ ვიცი, გაქვთ თუ არა?

ნუ დაიზარებთ, თუ დრო გექნებათ, მომწერეთ წერილი. საშინლათ სასიამოვნო და ტკბილი წერილებია და ამ უბედურობაში ისეა, როგორც ავათმყოფისათვის წამალი.

ამ შემთხვევაში ავათმყოფი მე ვარ, თქვენ — ექიმი და თქვენი წერილი — წამალი და ნუ მომაკლებთ თქვენ წამალს!

დიდი მადლობა და მოკითხვა ბატონ ოლივერს. თქვენი დედა და მამა როგორ ბრძანდებიან? თუ მოხვალთ კიდე საქართველოში, ნუ დამივიწყებთ და სოფელში მეწვიეთ.

ჩემმა დებმა და ელამ მოგიკითხათ გულით თქვენ და ბატონი თქვენი ძმა. ბევრს გაკოცებთ მე.

ნუ დამივიწყებთ უბედურ ტასო მაჩაბლისას.

ჩემი ადრესი: Станция Гоми".[42]

VI

„1899 წელი, 15/27 ნოემბერს, გომი.

ძვირფასო და საყვარელო ბატონო მარჯორი!

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდინ წერილი ვერ მოგწერეთ. ცოტა არ შემეძლო, ავათ ვიყავი, და ეს იყო მიზეზი ჩემი სიჩუმისა.

თქვენმა წერილმა მასიამოვნა და კიდეც შემაწუხა. მასიამოვნა იმიტომ, რომ კიდევ გახსოვართ და აგრე ყურადღებით ხართ ჩემთან, და ჩემი უბედურობა აგრე გაწუხებთ.

შემაწუხა თქვენმა წერილმა იმიტომ, რომ მაშ დამეკარგა იმედი, რომ როდისმე კიდევ ვნახო ჩემი საყვარელი მეგობარი ვანო. მე თქვენ წერილს ისე მოველოდი, რომ უთუოთ საიმედო რამე უნდა მოგეწერათ.

აქ დამარწმუნეს, რომ ჩემი უბედური ქმარი არის ვაზიანთან, ვითომ ვაზიანი იმ დროს, როცა უბედურობა დაგვემართა, აქ იყო და ერთათ წავიდნენ. ისიც თქვეს, რომ ინგლისში წავიდა და ვითომ თქვენ იცით. ეხლა თქვენმა წერილმა დამარწმუნა, რომ არც თქვენ და არც ვაზიანმა არ იცით, სადაც იმყოფება ჩემი უბედური ქმარი. დარწმუნებულიც ვარ, რომ იცოდეთ, შემატყობინებთ. მაგრამ მე ჩემი ბედის არა მწამს რა და მეც ვფიქრობ, რომ ველარ ვნახამ ჩემს ქმარს და ჩემი უბედური შვილები — თავის კარგ და საყვარელ მამას.

ჩემ შვილებს ჰგონიათ, რომ შორს წავიდა და სულ ელიან იმის წერილს. ჩემი ვაჟიშვილი წერილს მისწერს ხოლმე და

---

[42] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 101—102.

რასაკვირველია, მე ეხლე, და რომ ეუთხრა, მაშა ალარ არის, სა-
შინლათ ტირიან — და შეც ეეუბნები, რომ მალე მოვა.

რომ არ ვიცი, ვერც ცოცხალი ეხლანდელ და ვერც მკვდარი.
რა დავუშავეთ ღმერთს ასე, რომ საფლავიც

ვერ ვიპოვეთ?!

კიდევ დიდათ გმადლობთ, ჩემო კარგო, ალალი მადლობა
გადაეცით ბატონ ოლიეერს, რომ ავრე სიყვარულით და მეგობ-
რულათ მოიქეცით, შესწუხდით და იმწამსვე გოგეფი ავგუ-
ფერი ვაზიანთან. ბოდიშს ვიხდი, თუ შეგწუხეთ. სად არის
ეხლა ვაზიანი, არ შეიძლება რომ მე მომწერეთ?

გთხოვთ გადასცეთ თქვენ მშობლებს გულითადი მადლობა
ჩემგან და ჩემი შვილებისაგან ყურადღებისათვის.

რატომ არ მომწერეთ თქვენი აზრი — უკანასკნელი თარგ-
მანი ჩემი ქმრისა როგორ მოგეწონათ, ითქონ ალარ იყო და
კორექტურა არ გაუსწორებია.[43]

როცა ჩამობრძანდებით, არ დამივიწყოთ და თუ არ შეშინ-
დებით, მნახეთ.

თქვენ მშობლებს და ძმებს მრავალი მოკითხვა. ბევრს გა-
კოცებთ. ჩემმა დებმა და შვილებმა ბევრი გაკოცეს და მოკი-
თხვა შემოუთვალეს ყველას ერთობით.

ნუ დაივიწყებთ უბედურ ტასო მაჩაბლისასა[44].

VII

„1900 წელი, 1 ნოემბერს, თბილისი.

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

რათ დამივიწყეთ, ალარ მომწერეთ წერილი. არ ვიცი, ეს-
ეამათ სად ბრძანდებით. მე ეხლა თბილისში ვარ მთელი ზა-
თრობით. ჩემი პატარა ვაჟიშვილი სწავლობს პანსიონში. ჩვენ
უნცროსი და პარიეშია, იქიდამ უნდა ლონდონში წავიდეს და
კითხულობს, რომ ადრესი გამოუგზავნოთ თქვენი დედა-ბაბისა,
იქ რომ მივა, ნახავს.

მომწერეთ მე და გაუგზავნი. ჩემი დის[45] ადრესი ეს არის:

---

43 იგულისხმება ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნი უ. შექსპირის „ან-
ტონიოს და კლეოპატრა" (ტფ., 1898) და „კორიოლანოს" (ტფ., 1898).

44 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 103.

45 ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი, რომელიც ამ დროს პარიზში ცხოვ-
რობდა.

პარიზი, ვოვოს ქუჩა № 35, ქ-ნ ნიკოლაძეს. ქ-ნ ბაგრატიონ-დავითაშვილისათვის.

თქვენი ძმები და დედ-მამა როგორ ბრძანდებიან. ხომ არ აპირებთ თბილისში ჩამოსვლას? ხომ არაფერს თარგმნით? ბატონი ოლივერი როგორ ბრძანდება? გადაეცით გულითადი მოკითხვა. ნუ დამივიწყებთ. ბევრს გაკოცებთ, ჩემო კარგო.

დიდათ პატივისმცემელი თქვენი ტ ა ს ო მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ა.

ჩემი ადრესი: Тифлис, Чавчавадзевская улица № 12.

ველი თქვენ წერილს"[46].

VIII

„1900 წლის 24 დეკემბერს, თბილისი, Чавчавадзевская № 12.

დიდათ პატივცემულო ბატონო მარჯორი!

მოგილოცავთ ახალ წელიწადს, ღმერთმა მრავალს დაგასწროთ თქვენი მშობლებით და ძმებით. აქამდინ ვერ მოგწერეთ წერილი, ავათ ვიყავი და ერთი თვე ლოგინში ვიწექი. ეხლა კარგათ ვარ. თქვენ როგორ ბრძანდებით, ან ბატონი ოლივერი? მოგდით თუ არა ქართული ჟურნალები? ხომ არაფერს სწერთ ახალ რამეს, ან იქნება თარგმნით? ხომ არ აპირებთ აქ მოსვლას? თუ მობრძანდებით, ძალიან გვასიამოვნებთ. ნუ დამივიწყებთ, თქვენი ამბავი მომწერეთ.

ბევრს გაკოცებთ ჩემი და და ბავშვები. მომიკითხეთ სიყვარულით ბატონი ოლივერი, თუ კიდევ ვახსოვარ.

დავრჩები თქვენი კეთილისმსურველი

ტ ა ს ო მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ა"[47].

IX

„1901 წლის 28 მარტი, თბილისი.

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომას, ღმერთმა მრავალს აღდგომას დაგასწროთ მხიარულათ და ჯანმრთელათ თქვენი მშობლებით. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ვერც პასუხი მოგწერეთ და ვერც მადლობა მოგონებისათვის. თქვენი წერილი მივიღე

---

[46] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 104.

[47] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 96.

და წიგნიც — თქვენი თარგმანი[48]. დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ და თქვენს ძმას ბატონ ოლივერს. აქამდინ ვერ მოგწერეთ იმიტომ, რომ კიდევ დიდი უბედურება მოგვივიდა: ჩემ დას[49] მოუკვდა უმფროსი შვილი თოთხმეტი წლის და დიდ მწუხარებაში ვიყავით. მერე მე ვიყავი ავათ და მერე ჩემი შვილი, და აი, მიზეზი ჩემი სიჩუმისა.

არ ვიცი კი სად ბრძანდებით, მომწერეთ წერილი თუ დრო გექნეთ. ჩემი მეორე და[50] ისევ პარიჟშია და ამ ერთი თვის უკან მოვა. იქნებ კერჩში იყოს და მაშინ განახამთ. მე ამ ორ თვეს აქ, თბილისში ვიქნები და მერე იმერეთში — საჩხერეში, ჩემ დასთან[51] ვიქნები ამ ზაფხულს. იქნება თქვენ და ბატონი ოლივერი მობრძანდეთ, გვეწვიოთ, დიდი მადლობელი ვიქნებით. ახლა რას თარგმნით? თქვენი მშობლები როგორ ბრძანდებიან? დიდი მოკითხვა გადაეცით ჩემ მაგიერათ. აგრეთვე გულით მოგიკითხამთ თქვენ და ბატონ ოლივერს.

დავრჩები თქვენი ღრმა პატივისმცემელი

ტასო მაჩაბლისა".[52]

X

„1901 წლის 3 აპრილს, თბილისი.

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

ჩემ დას[53] თქვენი წერილი მოუვიდა. იმისთანა ტკბილი და სასიამოვნო, რომ არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ. დიდ მადლობას მოვახსენებ აგრეთვე ბატონ ოლივერს მაგისთანა ყურადღებისათვის. ახლა ჩემი და კიდეც გამოემგზავრა თქვენსკენ. საშინლათ მწყინს, რომ მეც არა ვარ ერთათ თქვენთან. ძალიან მსურს თქვენი ნახვა. ძალიან დაიგვიანეთ აქ სა-

---

48 იგულისხმება „წმინდა ნინოს ცხოვრების" ინგლისური თარგმანი. შესრულებული მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ, ოქსფორდი, 1900.

49 ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილი-წერეთლისა.

50 ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი.

51 ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილი-წერეთლისა, რომელიც საჩხერეში, ქმრის მამულში ცხოვრობდა.

52 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 105.

53 ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი.

ქართველოში ჩამოსვლა, რათ დაგვივიწყეთ, მალე გვნახეთ. გიგზავნით ჩემ სურათს ბავშვებთან ერთათ.[54] ცოტა კარგათ ვერ არის, მაგრამ მალე გამოგიგზავნით უფრო კარგ სურათს. დავბერდი არა, ბატონო მარჯორი, მას შემდეგ, რაც არ გინახივარ? აღარ მოგაწყენთ ჩემი წერილით, იყავით მშვიდობით და კარგათ. გულითადი მოკითხვა თქვენ და ბატონ ოლივერს, აგრეთვე ჩემმა შვილებმა მოკითხვა შემოგითვალეს.

დავრჩები მარად ერთგული თქვენი

ტასო მაჩაბლისა".[55]

XI

„1901 წლის 9 აპრილს, თბილისი.

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

ჩემი და[56] გამოემგზავრა და დიდ საქმეს იწყობს.[57] მეშინიან, რომ ცოტათ მძიმე საქმეა და ჩემი და ჯერ არ იცნობს მაგ საქმეს და ვაი, თუ ვერ წავიდეს საქმე კარგათ, მეტადრე, პირველ დაწყობაზე მეტათ ძნელი იქნება, თქვენი დიდი იმედი მაქვს, რომ ხელს შეუწყობთ ჩვენი ძველი მეგობრობისათვის და ჩემი უბედური ქმრის პატივისცემით. თქვენ ასწავლეთ და დაარიგეთ როგორც უნდა, აგრეთვე ჩემ მაგიერათ სთხოვეთ ბატონ ოლივერს. ჩემი და თითონ გადმოგცემთ ყველაფერს დაწვრილებით. რაღა ბევრი გეხვეწოთ, თქვენი იმედით ვარ. ვეცდები მეც რითიმე გადაგიხადოთ პატივისცემა. როგორც ჩემი და მოვა თქვენთან, მომწერეთ წერილი რა მოიფიქრეთ, ან როგორ შესცვალეთ ჩემი დის დაწყობილება. ბევრს და ტკბილათ გაკოცებთ. გულითადი მოკითხვა ბატონ ოლივერს.

დავრჩები თქვენი კეთილის მსურველი

ტასო მაჩაბლისა".[58]

---

[54] ეს სურათი დღეს ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდშია დაცული: Wardr. 13.25[a]. აქვეა ივანე მაჩაბლის და მისი ცოლ-შვილის — ტასოს, ნიკოსა და ელენეს, აგრეთვე, ცოლისდის — ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილის სხვა სურათებიც, სამახსოვრო წარწერებით.

[55] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 106.

[56] ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი.

[57] ალბათ, იგულისხმება ბაბო ბაგრატიონის განზრახვა — გაეხსნა საქველმოქმედო სამკერვალო სახელოსნო ხელმოკლე ქალების დასასაქმებლად, რომელიც მან შემდგომში განახორციელა კიდეც.

[58] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 106.

XII

„1902 წლის 19 იანვარს, თბილისი.

ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდინ ვერა მოგწერეთ რა. მე სულ საქმეებში ვიყავი გართული და ნამდვილათ არც ეხლა ვიცი, სადაც იმყოფებით. თქვენც დამივიწყეთ. მე ეხლა თბილისში ვარ, ისევ ჩემ სახლებში ვცხოვრობ. ჩემი ვაჟიშვილი გიმნაზიაში სწავლობს და პატარა ჩემი ქალი კი შინ. ჩემი უმფროსი და სცხოვრობს ქუთაისში, თავისი შვილებიც[59] იქ გადაიყვანა სასწავლებელში. ჩემი უნცროსი და კი ამჟამათ აქ იმყოფება ჩემთან და ეხლა აპირებს კიდე სამზღვარგარეთ მოგზაურობას. თქვენთვინ წერილი მოუწერია პარიჟიდამ და პასუხი არ მიუღია. საშინლათ სწუხდა, არ იცოდა რა მიზეზია, რომ თქვენ უპასუხოთ დასტოვეთ იმისი წერილი. თქვენი ნახვა ძალიან უნდოდა, რაღაც საქმე აქვს თქვენთან და გთხოვთ, თუ ნებას დართავთ, რომ ერთი დღით შემოიაროს თქვენთან კერჩში ცნობების ასაღებათ თქვენგნივ.

რადგანაც მარტო მოდის იმიტომ გაწუხებთ და თუ თქვენთვის სამძიმოა ჩემი დის მიღება, მაშინ გთხოვთ, რომ სადგურზე დახვდეთ და ურჩიოთ რომელიმე სასტუმრო. წინა დღით დეპეშით გაცნობებთ. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მომიტევეთ. როგორც მიიღოთ ჩემი წერილი იმ წამსვე მომწერეთ პასუხი, რადგანაც ჩემი და ჩქარობს წასვლას.

გულითადი მოკითხვა ბატონ ოლივერს. ჩემმა დამ და ბავშვებმა მოკითხვა შემოგითვალეს ყველას ერთობით.

თქვენ მშობლებს მრავალი სალამი. ბევრს გაკოცებთ სიყვარულით.

დავრჩები თქვენი ერთგული მეგობარი

ტასო მაჩაბლისა.

ადრესი: Ольгинская улица № 40.
Анастасия Александровна Кн. Мачабели»[60]

---

[59] იგულისხმება ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილის შვილები — დათიკო, ნიკო და თამუნია წერეთლები. როგორც ცნობილია, სილამაზით განთქმულ თამუნია წერეთელს ტიციან ტაბიძემ უძღვნა თავისი რამდენიმე შესანიშნავი ლექსი.

[60] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/3 (9).

XIII

[1911 წლის ივლისი, თბილისი].

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

უეჭველია, მიხვდებოდით, რომ ჩემი ასეთი დიდი ხნის სიჩუმე სერიოზული მიზეზებით იყო გამოწვეული. ჯერ ერთი, დავკარგეთ ჩვენი შესანიშნავი მეგობარი, ბატონი სარაჯოვი.[61] კავკასიაში მომაკვდავი ჩამოიყვანეს (გერმანიიდან, სადაც იგი მკურნალობდა, გ. შ.). ავადმყოფობა უეცრად სასიკვდილო აღმოჩნდა და მან ისურვა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თავის ქვეყანაში დაელია სული. თბილისში ცოტა ხანს კი იცოცხლა, მაგრამ გონზე აღარ იყო და ლაპარაკიც არ შეეძლო. ეს მძიმე დანაკარგია მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა თუ ნათესავებისათვის. დაკრძალვა გრანდიოზული იყო, მთელი ქალაქი მწუხარებას მოეცვა. კიდევ დიდხანს ვერ შევეჩვიე იმ აზრს, რომ ეს მომხიბლავი კაცი ასეთი ენერგიული, მოსიყვარულე და მხიარული აღარ არის ამ ქვეყნად.

ძლივს რომ მოვედი გონს ამ ამბის შემდეგ, ჩემი საცოდავი გოგონა, ჩემი საყვარელი ელა გამიხდა ავად ტიფით. დიდი გაჭირვებით გამოვგლიჯეთ სიკვდილს კლანჭებიდან. ახლა ჯერ კიდევ სუსტად არის და თუმცა საშიშროება მოგვშორდა, მე სულ ერთიანად ვკანკალებ, იმდენი გადავიტანე ამ საშინელი განსაცდელის დროს. ო, შვილი რომ დამკარგოდა, ამ ტანჯვას ვერ გადავიტანდი. ერთ ხანს რომ ვნახე, აგერ, ხელიდან მეცლება-მეთქი, მზად ვიყავი, დამესწრო იმ ქვეყნად წასვლა, ოღონდ ამ საშინელი სიკვდილის მომსწრე არ გავმხდარიყავი. ბოლოს, როგორც იქნა, დამიბრუნდა და მეც იმედი მომეცა. სიცოცხლემ კიდევ ერთი ღიმილი მაჩუქა, მე, რომელსაც ყველაფერი დაკარგული მეგონა. ხომ ხედავთ, ძვირფასო ბატონო ოლივერ, ძალიან სერიოზული, უფრო სწორად კი სამწუხარო ამბები რომ არა, რასაკვირველია, არ გავწყვეტდი თქვენთან მიმოწერას, რომელიც ასე ძვირფასია ჩემთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ არ მიწყენთ [ამდენი ხნის სიჩუმეს] და ვისწრაფვი ჩაგაყენოთ ჩვენი ცხოვრების საქმის კურს-

---

[61] ცნობილი ქართველი მრეწველი და მეცენატი **დავით სარაჯიშვილი** გარდაიცვალა 1911 წლის 26 ივნისს.

ში, რომელიც, იმედია, ამიერიდან მაინც წყნარი და უშფოთველი იქნება, თორემ მეტის ატანას, ალბათ, ვერ შეეძლებ.

ელა გულითად სალამს გითვლით, ისევე როგორც ჩემი დეიდაშვილი ლიზა თარხანოვი, რომელიც ამ გასაჭირში გვერდიდან არ მომშორებია. მოკითხვა ჩვენგან თქვენს დედას. იმედი მაქვს, რომ ყველა ჯანმრთელად ბრძანდებით.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ტ ა ს ო მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ა"[62].

* * *

ტასო მაჩაბლის უდროოდ გარდაცვალების ამბავს დიდად დაუმწუხრებია იმჟამად ნორვეგიაში დიპლომატიურ სამსახურში მყოფი ოლივერ უორდროპი. 1917 წლის 28 სექტემბერს იგი წერდა ელენე და ნიკო მაჩაბლებს:

„დიდი ბრიტანეთის გენერალური საკონსულო,
ბერგენი, ნორვეგია, 28. IX. 17.

ძვირფასო ელენე და ძვირფასო ნიკო

დღეს შევიტყვე სამწუხარო ამბავი იმ დიდი დანაკლისის შესახებ, რომელიც თქვენი ძვირფასი დედის სიკვდილმა გამოიწვია. მთელი გულით ვიზიარებ თქვენ მწუხარებას, ღმერთს ვევედრები, რომ დაგეხმაროთ ამ მძიმე უბედურების ატანაში. ღმერთმა ქნას, რომ თქვენი დაძმური სიყვარული უფრო განმტკიცდეს და თქვენ სულ უფრო და უფრო ღირსნი გახდეთ თქვენი დედისა და მამის, ვინც ასე მიყვარდა და მუდამ მეყვარება.

უკვე ოცდაათი წელია, რაც გავიცანი და მიყვარს თქვენი ოჯახი.

იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს გინახულებთ და გაგაცნობთ ჩემ ოჯახს და სამ შვილს [ფარნაოზს, ანდროს და ნინოს, გ. შ.].

სიკეთე მიყავით და გადაეცით ჩემი ღრმა სიმპათია მთელ

---

[62] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 30 (40). დაწერილია ფრანგულად. ამ წერილის შავი პირი დაცულია საქართველოს ლიტ. მუზეუმში: 13317-ხ. თარგმანი მ ა რ ი ნ ე ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

თქვენ ოჯახს, განსაკუთრებით კი თქვენ საჩხერელ დეიდას, კნეინა ნიცა წერეთელს. მომიკითხეთ ყველა ჩვენი მეგობარი თბილისში.

თქვენი ო. უ ო რ დ რ ო პ ი.

იცით თუ არა, რომ ჩემ ქალიშვილს (11 თვისაა) ქართული სახელი ნინო დავარქვით?"[63]

* * *

ქართველ საზოგადოებრიობას გვსურს ვაუწყოთ, რომ ივანე მაჩაბლის ოჯახში, მისი ქალიშვილის, აწ განსვენებულ ელენე მაჩაბლის მემკვიდრეებთან დაცულია დაკარგვამდე ცოტა ხნით ადრე, ივანე მაჩაბლისთვის ოპერაციის დროს ამოჭრილი ნეკნის ძვლები, რის შესახებაც თვითონ ივანე და ტასო მაჩაბლებიც სწერდნენ უორდროპებს ზემომოყვანილ წერილებში. ძვლები სათითაოდ გახვეულია ქაღალდში და ბამბაში, რომელიც ძევს იმდროინდელ ყუთში. ერთ-ერთ ქაღალდს ტასო მაჩაბლის ხელით რუსულად აწერია: „ვოინო. მაღალოვი. 1897 წლის 19 ივნისი. ქ. ტფილისი". აქ მოხსენიებული ვოინო სამხედრო ქირურგია, რომელმაც ამოჭრა ივანე მაჩაბელს ნეკნის ძვალი, ხოლო მაღალოვი კი — გეგე მაღალაშვილია, ივანე მაჩაბლის მკურნალი, რომელიც ესწრებოდა ოპერაციას.

დღეს ივანე მაჩაბლის სახელი საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით არის გარემოსილი. იბეჭდება და იდგმება ივანე მაჩაბლისეული თარგმანები, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული თეატრის უდიდესი გამარჯვებანი. მხატვრული თარგმანის დარგში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებებისთვის დაწესებულია ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პრემია; ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი მუშაობს ივანე მაჩაბლის ბარელიეფის შექმნაზე, რომელიც გამიზნულია ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატთა სამკერდე ნიშნისთვის. მწერლის მშობლიურ სოფელ თამარაშენში მალე გაიხსნება ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი. იქვე

---

[63] ლიტ. მუზეუმი: № 13889-ხ, ფრანგულ ენაზე, თარგმანი მ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

შენდება მთარგმნელთა შემოქმედებითი სახლი; მომწიფდა ივანე მაჩაბლის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოცემის საკითხი. ხომ არ დადგა დრო, ოჯახში დღემდე დაცულ ივანე მაჩაბლის სანაწილეს საუკუნო განსასვენებელი მივუჩინოთ უწმინდეს ალაგას, დიდი ქართველი მამულიშვილების გვერდით, რათა ერთგვარად მოვიშუშოთ, ოლივერ უორდროპის სიტყვებით რომ ვთქვათ, გენიალური ქართველი მთარგმნელისა და დიდებული საზოგადო მოღვაწის დაკარგვით გამოწვეული სულიერი ჭრილობა, რის შემდეგაც გვექნება ადგილი ივანე მაჩაბლის ხსოვნისა და თაყვანისცემისა!

4. „სამაგალითო მოყვარე ქართველის ერისა...“

თბილისსა და ოქსფორდში დაცული უორდროპების მიმოწერის შეპირისპირებითი შესწავლა ინგლისელი ქართველოლოგი და-ძმის ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ურთიერთობის ბევრ საგულისხმო მხარეს ჰფენს ახალ შუქს.

შევეხებით რამდენიმე მათგანს:

* * *

მარჯორი და ოლივერ უორდროპები დიდად აფასებდნენ აკაკი წერეთლის პოეტურ გენიას: „თქვენი ნაწარმოებები საუკუნეებში დარჩება, როგორც შედევრი თქვენი კეთილშობილი ქვეყნის ნიჭისა. მარჯორი მუდამ აღმერთებდა თქვენს გენიას, თქვენი ლექსები მას აღაფრთოვანებდა და ამავე დროს საგონებელში აგდებდა ფორმისა და ენის მშვენიერებით, რომლის უცხო ენაზე გადმოცემა შეუძლებელია. მან სცადა გადმოეთარგმნა თქვენი პოეზია. მე შენახულიც მაქვს რამოდენიმე ნიმუში, მაგრამ ჩემს დას თავისი თარგმანი არასოდეს არ აკმაყოფილებდა და ამიტომაც თქვენი არაფერი არ გამოუქვეყნებია. ხშირად ლაპარაკობდა თქვენზე, ორივეს გულში ჩაგვრჩა თქვენს მომაჯადოებელ საუბარში გატარებული საათების ძვირფასი მოგონება“ — წერდა ოლივერ უორდროპი 1913 წლის 25 მარტის ერთ გამოუქვეყნებელ ფრანგულ წერილში აკაკის.

ოქსფორდში, უორდროპების ფონდის შესწავლისას სწორედ აძ გამოუქვეყნებელ თარგმანებს ვეძებდი... მაგრამ ხელნაწერებში მხოლოდ აკაკის „სულიკოს“ მარჯორისეული თარგმანი ვიპოვე. გადავწყვიტე უორდროპთა ნაქონი აკაკის ქართული ბეჭდური გამოცემები მენახა. აქ აკაკის ორი გამოცემაა: „თხზულებანი“, I, 1893 და „ჩემი ნაწერები“, პირველი წიგნი, 1912. ამ უკანასკნელს პოეტისეული მიძღვნა ამკობს: „სახსოვრად უცხო მეგობარს ოლივერს უორდროპს. აკაკი, 1913“, ხოლო 1893 წლის გამოცემაში შესაბამის ლექსებთან ჩაწებებული აღმოჩნდა აკაკის „სალამურის“ და „იმერული ნანინას“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანები. „სალამურის“ მარჯორისეულ ინგლისურ თარგმანს თარიღად უზის 1909 წლის 14 იანვარი.

როგორც ცნობილია, 1912 წელს აკაკი წერეთელმა დაწერა ლექსი „მარჯორი უორდროპის სახსოვრად“ და შეიტანა თავისი ნაწერების 1912 წლის მანსვეტაშვილისეულ გამოცემაში, რომელიც, როგორც ეს ზემოთ გამოირკვა, საჩუქრად გაუგზავნია ოლივერ უორდროპისათვის. აღტაცებული ოლივერი 1913 წლის 25 მარტს სწერს პოეტს: „ძვირფასო და დიდად პატივცემულო თავადო აკაკი! ვჩქარობ მადლობა გადაგიხადოთ იმ მშვენიერი ნობათისათვის, რომელიც თქვენგან ამ დილას მივიღე. დედაჩემს და მე გული აგვიჩუყა იმ დიდმა პატივმა, რომელიც თქვენ ჩვენი ძვირფასი მარჯორის ხსოვნას დასდეთ — დაუკავშირეთ რა მისი სახელი თქვენს თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას... პირადად თქვენ, თქვენს ცნობილ მეგობრებს, თქვენს სამშობლოს ვუსურვებ, რაც შეიძლება დიდ ბედნიერებას. რა ხანია მინდა თქვენი ნახვა... გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და ბედნიერებას. მუდამ თქვენი ერთგული ოლივერ უორდროპი“.

მარჯორისეულ ხელნაწერთა ფონდს შემოუნახავს აკაკის ლექსთა ნუსხებიც, მათ შორის, „ხანჯალს“ და ერთი ნაკლებად ცნობილი ლექსის „ჯვარით, ცულით და მათრახით...“, ვფიქრობ, ავტოგრაფი. დიდი ქართველი პოეტისადმი თაყვანისცემა და-ძმა უორდროპებმა გამოხატეს 1908 წელს აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილის დღეებში გამოგზავნილი მოსალოცი დეპეშითაც[1].

[1] შდრ. გაზ. „დროება“, 9. XII. 1908; № 18.

• • •

ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობის ამბავი უორდროპებისთვის ბუქარესტში თურმე 1907 წლის 18 სექტემბერს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას შეუტყობინებია დეპეშით, რომელიც ახლა ოქსფორდში ინახება:

„ძვირფასი თავადი ილია მოკლეს. დავკრძალეთ კვირას. კნეინა ოლღა სასიკვდილოდ დაჭრილია. — ანასტასია“.

ამ საშინელი ცნობით შეძრწუნებული მარჯორი უორდროპი 1907 წლის 3 ოქტომბერს ფრანგულად მოწერილ გამოუქვეყნებელ წერილში ასეთ პასუხს უგზავნის ცნობილ ქართველ მწერალ ქალს და საზოგადო მოღვაწეს:

„ძვირფასო მეგობარო!

გმადლობთ, რომ დეპეშაზე გვიპასუხეთ, ვერაფრით ვერ დავიჯერეთ ჩვენს გაზეთებში დაბეჭდილი ცნობების სიმართლე[2]. ახლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ასე სასტიკად მოკლეს თავადი ილია, რომელიც აგრერიგად გვიყვარდა, და დაჭრეს სათნო და კეთილი კნეინა ოლღა. გული ნაღველით გვევსება. რა საშინელი დანაკლისია საქართველოსათვის! ღმერთმა ქნას, რომ უფრო ბედნიერი დრო დაუდგეს თქვენს საყვარელ სამშობლოს, რომელმაც ამდენი უბედურება გამოიარა...“

როგორც ცნობილია, კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ 1908 წლის 29 დეკემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელებს — თედო ლაბაურს, გიორგი ხიზანიშვილს და ივანე ინაშვილს ჩამოხრჩობა მიუსაჯა (მანამდე მეტეხის ციხიდან გაქცეული მკვლელობის მეოთხე მონაწილე — პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) იმავე წლის 18 დეკემბერს მოკლულ იქნა პოლიციის მიერ, ხოლო გიგლა ბერბიჭაშვილი ირანში გაიქცა). მართალია, საბოლოოდ ეს განაჩენი სისრულეში მაინც მოიყვანეს 1909 წლის 21 აგვისტოს,[3] მაგრამ იქამდე, წინასწარი გამოძიების

---

[2] აქედან ჩანს, რომ ინგლისური პრესა საგანგებოდ გამოხმაურებია წიწამურში დატრიალებულ ტრაგედიას. ცხადია, ეს გამოხმაურება დიდ ინტერესს იწვევს და ცალკე კვლევის საგანია.

[3] ი. ო დ ი შ ვ ი ლ ი, წიწამურის ტრაგედია, თბ., 1953, გვ. 34; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ., 1938.

პროცესში, გაზეთ „დროებაში“ 1908 წლის 13 დეკემბერს გამოქვეყნდა „ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა“ თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი, რომელშიც ოლღა ჭავჭავაძე წერდა:

„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მაზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მრწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი, და თავის უბედურ, გზა-დაბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის თხოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი; მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამ ჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში. შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა, ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემომქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამე-თუ „არ იციან რასა იქმან“[4].

აქ ოლღა ჭავჭავაძე გულისხობდა 1858 წლის 17 ივლისს

---

[4] „დროება“, 13. XII. 1908, № 22.

ტიარლეევოში (პეტერბურგთან ახლოს) დაწერილ ილიას ლექსს „ლოცვა“, რომელშიც ოციოდე წლის ჭაბუკი პოეტი წინასწარმეტყველურად წერდა:

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგეეარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნებმ სიყვარულით აღმენთოს გული.
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაგულს
ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე,— არ იციან, ღმერთო, რას
იქმან!“

ოლოლა ჭავჭავაძის ამ სიტყვებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

იაკობ გოგებაშვილმა მას მიუძღვნა საგანგებო წერილი „სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა“, რომლის „Post scriptum“-ში დიდი ქართველი პედაგოგი შენიშნავდა: „როდესაც ღრმა კაცთმოყვარეობით აღსავსე შუამდგომლობა ილიას მეუღლისა, რუსულად დაწერილი, დაიბეჭდა არა მარტო ადგილობრივს რუსულს გაზეთებში, არამედ სატახტო გამოცემებშიაცა, გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოახდინა რუსულ დაწინაურებულს საზოგადოებასა და სალიტერატურო სფერებში. ერთმა გამოჩენილმა და უმწიკვლო რუსთა ლიტერატორმა საუკეთესო რუსულ გაზეთში „Русския ведомости“ აღფრთოვანებული სტატია უძღვნა ამ შუამდგომლობას და, სხვათა შორის, სთქვა: როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე, და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსაო. „აქამდინ ვიცოდითო,— ამბობს ბოლოს ავტორი, — რომ ფიზიკური მზე აღ-

მოსავლეთიდან ამოდისო; ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოაშუქაო"[5].

როგორც აკაკი გაწერელიამ გამოარკვია, ი. გოგებაშვილის მიერ დასახელებული „გამოჩენილი და უმწიკვლო რუსთა ლიტერატორი" ყოფილა ივანე ივანეს ძე გორბუნოვ-პოსადოვი, გამომცემლობა „პოსრედნიკის" ხელმძღვანელი, ლევ ტოლსტოის ახლო მეგობარი და მიმდევარი, ცნობილი საბავშვო წერალი და სახალხო საკითხავი წიგნების მბეჭდავი, რომელსაც გაზეთ „Русские ведомости"-ში 1908 წლის 31 დეკემბერს (№ 302) მართლაც დაუბეჭდავს წერილი „სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის" („Ex oriente lux")[6]. ი. გორბუნოვ-პოსადოვის ამ წერილში მთლიანად არის მოყვანილი ოლღა ჭავჭავაძის თხოვნის ტექსტი, რომელსაც რუსი მწერალი შემდეგ სიტყვებს ურთავს: «Да будет благословенно имя той женщины, которая писала эти строки... Да будет благословенно имя княгини Чавчавадзе. Она возвращает нам веру в человека»[7].

ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ ა. გაწერელიას მიერვე მოპოვებული ცნობებით: „ი. გორბუნოვ-პოსადოვის სტატიის ბეოხებით ილიას ქვრივის შუამდგომლობას გასცნობია ლევ ტოლსტოი... და იასნაია პოლიანას გენიალური მკვიდრი გულწრფელად შეურხევია ტრაგიკულად დაღუპული ილიას ქვრივის ჰუმანურ ნაბიჯს". კერძოდ, ი. გორბანოვ-პოსადოვისადმი გაგზავნილ წერილში ლ. ტოლსტოის მიუწერია: „Получил Ваше прекрасное письмо с заявлением суду и Вашу статью о Чавчавадзе. Как трогательно!», ხოლო დ. მაკოვიცკი თავის „იასნოპოლიანურ ჩანაწერებში" ასე გადმოგვცემს ლევ ტოლსტოისთან 1909 წლის 3 იანვრის საუბარს: «...За обедом говорили об И. И. Горбунове и его статье «Ex oriente lux», напечатанной в «Русских ведомостях» 31 декабря, в которой он приводит письмо-прошение вдовы убитого грузинского князя Чавчавадзе кавказ-

---

[5] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 210.

[6] აკ. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ლევ ტოლსტოის ერთი გამოუქვეყნებელი ბარათის გამო, „რჩეული ნაწერები", ტ. I, თბ., 1962, გვ. 559—566.

[7] И. Горбунов-Посадов, Ex oriente lux, «Русские ведомости», 31. XII. 1908, № 302.

скому генерал-губернатору о том, чтобы он отменил смертный приговор трем убийцам ее мужа.

— Это письмо удивительно, — сказал Лев Николаевич — это такой ответ на вопрос: «А если бы вас убили?»[5]

ოლღა ჭავჭავაძის ამ კაცთმოყვარე თხოვნის ამბავს მარჯორი უორდროპამდეც მიუღწევია. 1909 წლის 5/18 იანვარს ბუქარესტიდან გამოგზავნილ წერილში იგი ქართულად წერს ილიას მეუღლეს: „დროებაში“ წავიკითხე თქვენი გულკეთილი თხოვნა გენერალ-გუბერნატორთან. თქვენმა მოწყალე გულმა შეაგონა ფრიად საქებელ საქმეს. თავის მკვლელის პატიება უფრო ადვილია, ვიდრე საყვარელ ქმრის მკვლელების პატიება“.

დღემდე სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ და „მგზავრის წერილების“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანები. ამათგან, „განდეგილის“ თარგმანი 1895 წელს გამოქვეყნდა ლონდონში, ხოლო ოქსფორდში ხელნაწერის სახით დაცული „მგზავრის წერილების“ მარჯორისეული თარგმანის შესახებ პირველი ცნობები ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინ დაბეჭდა ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძემ თავის ფრიად საყურადღებო ნარკვევებში (იხ. — „ცისკარი“, 1958, № 5; მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 74—79), თუმცა, თვით თარგმანის ტექსტს დღემდე არ იცნობს ჩვენი მკითხველი საზოგადოება.

ამას გარდა, ოქსფორდში, უორდროპების ფონდში დაცულია „კაცია-ადამიანისა“ და „გლახის ნაამბობის“ მარჯორისეული ინგლისური თარგმანები, როგორც ავტოგრაფის, ისე მანქანაზე დაბეჭდილი ხელნაწერების სახით. „კაცია-ადამიანის“ თარგმანის თარიღია 1900 წელი, ხოლო „გლახის ნაამბობის“ თარგმანის ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც ჩანს, ისიც ამავე წლებში უნდა იყოს შესრულებული.

აღნიშნულ თხზულებებთან ერთად აქვეა ილია ჭავჭავაძის „ავტობიოგრაფიის“ ინგლისური თარგმანი, რომელიც ოლივერ უორდროპს შეუსრულებია და საკუთარი შენიშვნებიც დაურ-

---

[5] აკ. გაწერელია, დას. წერილი, გვ. 564—566.

თავს. მკითხველის ყურადღება გვსურს მივაპყროთ, აგრეთვე ოქსფორდში დაცულ „განდეგილის“ მარჯორისეული თარგმანის სუფთად გადაწერილ ავტოგრაფზე, რომელიც ჩასმულია ძვირფას მოთეთრო ხავერდის ყდაში, ზემოდან კი ვარდისფერი ძაფით მარჯორს დიდი სიფაქიზით ინგლისურად ამოუქარგავს „განდეგილი“ და თავისი ინიციალები: „მ. უ.“. საცავ ფურცელზე გაკეთებული ინგლისური წარწერიდან ირკვევა, რომ მარჯორი უორდროპს ეს ხელნაწერი საგანგებოდ თავისი უფროსი ძმის — ოლივერისათვის დაუმზადებია და მისთვის მიუძღვნია: „ოლივერ უორდროპს მისი მოსიყვარულე დის მარჯორი უორდროპისაგან. ქერჩი, 10 ოქტომბერი, 1895“.

* * *

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ დუტუ მეგრელის ლექსის „ცრემლების“, ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანის) „სვანეთის“ („ივერია“, 1888), მოსე ჯანაშვილის „თამარ მეფის“ (ტფ., 1900) მარჯორი უორდროპისეული და პროფ. ალ. ცაგარლის რუსული სტატიის „საქართველოს“ (ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედია, ნაკვ. 18, სპბ., 1893, გვ. 795—801) ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოქსფორდში დაცული ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ (I, ტფ., 1908) მარჯორი უორდროპისეული უცნობი ფრაგმენტული თარგმანის აღმოჩენა. ხომ არა აქვს რაიმე კავშირი ამ თარგმანს ინგლისურ ჟურნალ „The Quest“-ში 1912 წელს (ტ. III, № 2—3) გამოქვეყნებულ ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ამავე ნაწილის ინგლისურ თარგმანთან, რომელსაც პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ მიაქცია ყურადღება (იხ. თსუ შრომები, № 184, თბ., 1977, გვ. 189—192). იქნებ ისიც მარჯორის თარგმანია?

მარჯორისეული ავტოგრაფების განხილვიდან ჩანს, თუ როგორ სწავლობდა ინგლისელი ქალი ქართულ ენას, როგორი სიბეჯითითა და ფანატიკური სიყვარულით გამოჰყავდა თითოეული ქართული ასო, ქართული სიტყვა... გამოირკვა, რომ

1905 წელს ოლივერ უორდროპის პეტერბურგში კონსულად ყოფნისას, მარჯორი უორდროპი რუსეთის სატახტო ქალაქში ქართული ენის გაკვეთილების კურსს გადიოდა ოლღა მირზაშვილის[9] მასწავლებლობით. მას თურმე ორიგინალური ხერხი ჰქონია ქართულის ცოდნის განსამტკიცებლად: მარჯორი ყოველ გაკვეთილზე ლამაზი ქართული კალიგრაფიით იწერდა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“ ცალკეულ მონაკვეთებად. ასე გადაუწერია მას თავიდან ბოლომდე ქართული პროზის მშვენება! შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია-ადამიანის“ ინგლისური თარგმანები, რომლებიც ხელნაწერის სახით დღეს ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაშია დაცული, მარჯორის სწორედ ამ გაკვეთილებზე უნდა ჰქონდეს შესრულებული. ამას გარდა, მასწავლებელსა და მოწაფეს ერთობლივად გადმოუთარგმნიათ ქართულად ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ 1905 წლის 9 დეკემბერს დაბეჭდილი კორესპონდენცია გურიის (!) შესახებ და საქართველოში გამოუგზავნიათ დასაბეჭდად. აქვეა მარჯორის მიერ შესრულე-

---

[9] ოლღა მირზაშვილის შესახებ ცნობები მომაწოდეს მისმა დისწულმა, დამსახურებულმა პედაგოგმა თ ა მ ა რ დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ-მ ე ტ რ ე ვ ე ლ-მ ა, აგრეთვე, ძმისწულმა რუსუდან მირზაშვილმა და ძმისწულის შვილმა მზია მირზაშვილმა. აი, რა გვიამბეს მათ: ოლღა ივანეს ასული მირზაშვილი დაიბადა თბილისში, 1874 წელს. თბილისში დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი, გაემგზავრა პეტერბურგში და ჩაირიცხა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. III კურსიდან მან სწავლა გააგრძელა საფრანგეთში (ლოზანაში), ორი წლის შემდეგ კი დაბრუნდა პეტერბურგში და იქ დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი. ოლღა მირზაშვილი ხანგრძლივად ცხოვრობდა პეტერბურგში და მუშაობდა თერაპევტ პროფესორ ლანგეს კლინიკაში. იგი ცოლად გაჰყვა მოხეელს, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგს მიხეილ ჩოფიკაშვილს, ახლო ნათესავს ჩვენი გამოჩენილი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისა, რომელთან ერთად დასახლდა კიევში. პირველი მსოფლიო ომის წინ ყოფილან საფრანგეთსა და შვეიცარიაში. მონაწილეობა მიუღიათ პირველ მსოფლიო ომში: მიხეილ ჩოფიკაშვილს პოლკოვნიკის ჩინი ჰქონია, ხოლო ოლღა ფრონტის ექიმად მსახურობდა.

რევოლუციის შემდეგ ოლღა მირზაშვილი მეუღლესთან ერთად ჩამოდის საქართველოში და უკვე მუდმივად ცხოვრობს თბილისში, იყო თბილისის ერთ-ერთი რაიონის მთავარი პედიატრი. ოლღა მირზაშვილი საფუძვლიანად ფლობდა ფრანგულ და ინგლისურ ენებს, იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი. ღრმად მოხუცი ოლღა მირზაშვილი გარდაიცვალა 1968 წლის მარტში.

ბული სავარჯიშოები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“, ქართული გრამატიკიდან (ზმნების უღვლილება), ამასთან, სხვადასხვა ტექსტებიდან (რუსთაველი, შავთელი, გრ. რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონები“...) ამოწერილი ქართული სიტყვები, ქართული ხალხური ზღაპრების ნიმუშები, ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შედგენის ცდები...

გავსინჯე უორდროპთა ფონდში დაცული ქართული პრესის მასალები — ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები, მათ შორის, „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“. ჩემი ყურადღება მიიქცია ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის მე-4 ნომერმა, რომელშიც დამატების სახით დაბეჭდილია ბუვიეს „იზას“ ქართული თარგმანის გაგრძელება. როგორც ვიცით, მთარგმნელის ვინაობა „ივერიაში“ მითითებული არ არის, ამიტომ ოლივერ უორდროპს ჟურნალის სარჩევში ფანქრით ინგლისურად მიუწერია: „იზა, რომანი ბუვიესი, თარგმანი ილია ჭავჭავაძისა“. ეს ცნობა სპეციალისტებს გამოადგებათ „იზას“ ქართული თარგმანის ისტორიისათვის.

* * *

„სამაგალითო მოყვარე ქართველის ერისა“ — ასე უწოდებს უორდროპებს დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ივანე მაჩაბლის ქვრივის — ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-მაჩაბლისადმი, რომელიც ოქსფორდში აღმოჩნდა და 1911 წლის 24 იანვრითაა დათარიღებული. ამ დღეს, როგორც ცნობილია, ქართველმა საზოგადოებრიობამ თბილისში შეხვედრა მოუწყო სტუმრად ჩამოსულ ოლივერ უორდროპს. სხვებთან ერთად ამ შეხვედრაზე მიწვეული ყოფილა იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ამ ღონისძიების თაოსანს — ტასო მაჩაბელს ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის:

„დიდად პატივცემულო ანასტასია ალექსანდრეს ასულო!

დიდად ვწუხვარ, რომ უქეიფობა, რომელმაც აგერ ორი თვეა ტუსაღსავით დამამწყვდია ჩემს სადგურში, ნებას არ მაძლევს დავესწრო დღევანდელს ნადიმს, რომელსაც უმართავს ქართული საზოგადოება იმისთანა სამაგალითო მოყვარეს ქარ-

თველის ერისას, როგორიცა ბრძანდება ბ-ნი უარდროპი. გთხოვთ ეს ჩემი სიმწუხარე განუცხადოთ პირადად თქვენს ძვირფას სტუმარს და ბოდიში მომხადოთ.

პირადად მე გავუგზავნე დეკემბერში ნიშნად პატივისცემისა ჩემი თხზულება შესაბამის ყდაში ჯეროვანის ზედწარწერით.

მარად თქვენი პატივისმცემელი

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი.

24 იანვარს 1911 წელსა"[10].

აქვეა დაცული იაკობ გოგებაშვილის კიდევ ორი უცნობი წერილი, რომელიც მას 1896 წლის 14 და 17 ივნისს თავის წიგნებთან ერთად გაუგზავნია საქართველოში ამ დროს უკვე მეორედ სტუმრად მყოფ მარჯორი უორდროპისათვის. აი, ისინიც:

I

ქართველთა ერის და ენის გულწრფელო მეგობარო, დიდად და ღრმად პატივცემულო მოწყალევ ხელმწიფეე ქალბა-
ტონო მარჯორი!

ნება მიბოძეთ მოგართვათ ჩემ მიერ შედგენილი ქართული წიგნები, როგორც პატარა ნიშანი უდიდესისი პატივისცემისა თქვენდამი. მეტად ვწუხვარ, რომ უქეიფობამ ნება არ მომცა პირადად მომერთმია მე თვითონ წიგნები და გამომეცადა მეც ის არაჩვეულებრივი ჭეშმარიტი სიამოვნება თქვენი პირადი გაცნობითა, რომელზედაც ღაღადებს ყოველი ქართველი, ვისაც კი ჰქონდა ბედნიერება დამტკბარიყო თქვენი ნახვით, საუბრით და დაებრივი მიგეგებით, მოპყრობით.

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი პატივისცემა თქვენს ძმას, აგრეთვე დიდს მეგობარს ქართველებისას და ყველა თქვენს თავისიანსა.

თქვენი მარად ჟამს უღრმესი პატივისმცემელი

უმორჩილესი მოსამსახურე

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი.

1896 წელსა ივნისის 14 დღესა[11].

---

[10] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 27 (75).

[11] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (64), ფ. 136.

II

უუპატივცემულესო ქალბატონო!

ნება მიბოძეთ მოგართვათ ეგრეთვე ეს რუსული წიგნიც, რომელიც დღესვე დილით გამოვიდა სტამბიდგანა და რომელშიაც იპოვნით 54—55 გვერდებზე ერთს ხანას ხალხის განათლებისას თქვენს მშვენიერს შოტლანდიაში.

თქვენი უგულითადესი პატივისმცემელი

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი.

1896 წელსა ივნისის 17 დღესა[12].

იაკობ გოგებაშვილის ამ უკანასკნელ წერილში იგულისხმება მისი წიგნი «Разбор учебных руководств по русскому языку», Тифлис, 1896, რომლის მითითებულ გვერდებზე შოტლანდიის მაგალითით დასაბუთებულია სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა. დიდი ქართველი პედაგოგი წერდა:

„Если мы обратимся к истории народного просвещения в Европе, то увидим, что везде, где в инородческой школе игнорировался более или менее родной язык учащихся, она являлась не только бесплодным учреждением, но и приводила к отрицательным результатам во всех отношениях: умственном, нравственном, религиозном, экономическом и политическом, служа источником не прогресса, а регресса. Напротив того, где только инородческая школа опиралась на родной язык, задавалась целями педагогическими, просветительными, она являлась благодетельным прогрессивным учреждением“.

ამის შემდეგ, იმოწმებდა რა ინგლისელი ისტორიკოსის მაკოლეის სიტყვებს მე-18 საუკუნეში შოტლანდიისა და შოტლანდიელების, კერძოდ, შოტლანდიის სკოლის დაწინაურების მიზეზების შესახებ, ი. გოგებაშვილი დაასკვნიდა: „Что обусловливало такой изумительный успех шотландских школ в восемнадцатом столетии?... Единственно тем, что сделала центром обучения родной язык, преподавала все предметы на нем, обучала им основательно через учителей, связанных с питомцами духовно и единством речи, стремилась к умственному развитию и нравственно-

---

[12] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (65), ფ. 138.

религиозному усовершенствованию своих питомцев, а через них всего населения... Пример Шотландии еще раз блестящим образом подтверждает ту мысль, что разъединяет народы одно только невежество и что для государственного единства, общности чувств и стремлений вернейшее средство—распространение просвещения в невежественной массе народа посредством родного языка, как лучшего проводника знания".[13]

იაკობ გოგებაშვილი თავის პოლემიკურ წერილებში თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ხშირად იმოწმებდა „უორდროპსა და იმის დასა", რომელთაც, მრავალ ენათა შორის, ქართული ენაც ზედმიწევნით შეუსწავლიათ", ან კიდევ, „ინგლისში უორდროპებს, ...უცხოელებს, რომელთაც ქართული ენის გარდა, ბევრი სხვა ენებიც კარგად იციან, შედარებითი მეთოდით აღჭურვილნი არიან". და თუ ეს მართლაც ასე იყო, ამაში დიდი წვლილი უდევს თვით ი. გოგებაშვილის „დედა ენას" და მის სხვა ქართულ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, რომელთაც დიდი ქართველი პედაგოგი და მამულიშვილი, როგორც ზემოთ მოყვანილი მისი დღემდე უცნობი წერილებიდანაც ჩანს, უგზავნიდა თავის უცხოელ მეგობრებს.

მართლაც, უორდროპისეულ წიგნების ფონდს შემოუნახავს იაკობ გოგებაშვილის მიერ ნაჩუქარი „დედა ენა" (ტფ., 1895), „იავნანამ რა ჰქმნა" (ტფ., 1895), „რანი ვიყავით გუშინ" (ტფ., 1892), „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები" (ტფ., 1896), „Разбор учебных руководств..." (Тиф., 1896), „ბუნების კარი" (ტფ., 1892), „რჩეული ნაწერები" (თბ., 1910)... ყველა მათგანზე ავტორის ბევრ საგულისხმო წარწერას ვკითხულობთ. მაგალითად: „ქართველთა ერის და ენის გულწრფელს მეგობარს ქალბატონ მარჯორი უორდროპსა, ნიშნად ღრმა პატივისცემისა. დამწერისგან. თფილისი, 1896 წელსა, მკათათვის 14 დღესა" („დედა ენა", „ბუნების კარი", „იავნანამ რა ჰქმნა"); „დიდად პატივცემულს მეგობარს ქართველის ერისას და ენისას ქალბატონ მარჯორი უარდროპსა, ავტორისაგან. თბილისი, 1896 წელსა ივნისის 17 დღესა" („რანი ვიყავით გუშინ"); „ქართველთა ერის და ენის

[13] იხ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 370, 402, 403.

ჰვირფასს მეგობარს და მოყვარეს ქალბატონს მარჯორი უარ-
დროპსა, ნიშნად გულითადის პატივისცემისა, დამწერისაგან.
თბილისი, 1896 წელსა მკათათვის 14 დღესა“ („მოსაელის
მცველნი“); „ქართველთა ერის და ენის მეგობარს და მოყვა-
რეს ქალბატონ მარჯორი უარტროპსა, ნიშნად გულწრფელის
პატივისცემისა, ავტორისაგან. თბილისი, 1896 წელსა ივნისის
17 დღესა“ („Разбор...“); „დიდებულის ინგლისის ყოვლად
ღირსეულს შვილსა და საქართველოს სამაგალითო მეგობარს
ბატონ ოლივერ უარდროპსა, ნიშნად უღრმესი პატივისცემისა,
ავტორისაგან. თბილისი 1910 წლის 7 დეკემბერსა“ („რჩეული
ნაწერები“)...

* * *

პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს და-ძმა უორდროპები
გაეცნენ 1892 წელს, პეტერბურგში, როდესაც ოლივერ უორ-
დროპი დიდი ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად გამოგზავ-
ნეს რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში და თავისი უმცრო-
სი დაც თან წამოიყვანა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ამ
დროს ქართული ენის და სიტყვიერების პროფესორი იყო
პეტერბურგის უნივერსიტეტში.

პროფესორი ალ. ცაგარელი თურმე მარჯორი უორდროპს
ასწავლიდა ქართულ ენას, ეხმარებოდა „ვეფხისტყაოსნისა“
და ლ. აღნიაშვილის მიერ გამოცემულ „ქართული ხალხური
ზღაპრების“ გადათარგმნაში, რასაც გვიდასტურებს ოლივერ
უორდროპის 1894 წლის 3 იანვრის ერთი გამოუქვეყნებელი
ფრანგული წერილი ივანე მაჩაბლისადმი: „...ჩემი და გულ-
დასმით შეუდგა ქართული ენის შესწავლას. მან თარგმნა რუს-
თაველის პოემის თითქმის მესამედი და დაასრულა აღნიაშვი-
ლის ხალხური ზღაპრების თარგმანი, რომლის გამოქვეყნებას
სულ ცოტა ხანში ფიქრობს. ჩემი მეგობარი პროფესორი
ა. ა. ცაგარელი ხშირად უხსნიდა გაუგებარი სიტყვებისა და
წინადადებების აზრს...“

ოქსფორდიდან ჩამოვიტანე ალექსანდრე ცაგარლის უც-
ნობი წერილები მარჯორი და ოლივერ უორდროპებისადმი.
სულ 10 წერილია, ამათგან სამი ქართულ ენაზეა მიწერილი

მარჯორისადმი, დანარჩენი შვიდი — რუსულ ენაზე, მიმართულია ოლივერისადმი. წერილები თარიღდება 1893—1912 წლებით. ალექსანდრე ცაგარლის ამ უცნობი წერილებიდან კარგად ირკვევა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ახლო მეგობრული და მეცნიერული თანამშრომლობა ინგლისელ და-ძმა ქართველოლოგებთან, აგრეთვე, წარმოაჩენს ჩვენი მეცნიერებისათვის საინტერესო ბევრ უცნობ მხარეს:

I

С.-Петербург, 2/15 Окт., 1893 г.

Любезный О. Вардроп,

Простите, что до сих пор я Вам не отвечал на Ваше любезное письмо от 9 сентября 1893 года. Я Вам пишу по-русски, так как Вы хорошо знаете этот язык; когда Вы будете знать так же хорошо грузинский язык, я Вам тогда буду писать по-грузински. По Вашему желанию я Вам посылаю: „Книгу Мудрости и Лжи", „Мингрельския сказки" и статью о грузинской истории и литературы, которую я напечатал недавно в здешнем „Энциклопедическом словаре". Очень рад, что Вы желаете их перевести и познакомить английскую и европейскую публику с грузинскою литературой, и с удовольствием даю Вам это право.

Присылаю Вам два выпуска моего сочинения „Сведения о памятниках грузинской письменности" для г. F. C. Conybeare, который так любезно прислал мне, через Вас, свой труд об армянском переводе Аристотеля и Порфирия; очень хорошо, если он будет заниматься и грузинским, — наша духовная литература очень богата. Если увидите г. Морфиля, прошу передать ему мой поклон!

К новому году (1894 г.) я кончу издание III выпуска „Сведений" и пришлю Вам.

В прошлом году (1892 г.) были на Синае (где я был в 1883 г.) две сестры-англичанки Люиз и Джибсан, и сняли до тысячи негативов с сирийских и грузинских рукописей; затем туда же отправились из Суеца проф. Гаррис, Бенсли и Беркит с женами, и занимались на Синае 40 дней чтением и разбором сирийских рукописей; грузинских же они, конечно, не разберут, потому не можете ли узнать куда отправили снимки с грузинских

рукописей? Если хотят прислать мне эти снимки, то я охотно займусь их чтением и разбором, пришлю обратно снимки и их разбор. Если можете, наведите об этом справки, — это открытие делает честь английской науке и английским женщинам. Об этих находках сообщают: „La Terre Sainte“, 1893 г., № II; „Die Warte des Tempels“, 1893 г., № 22.

Присылаю Вам мою фотографическую карточку, чтобы Вы меня не забыли. Этим летом я жил в Павловске, около Петербурга, и там снимался со своим верным другом догом «Ralf»-ом.[14]

Желает Вам здоровья и успехов преданный Вам

Ал. Цагарели.[15]

II

3 მარტს 1905 წ., [ს.-პეტერბურგი]

დიდათ პატივცემულო ქალბატონო [მარჯორი]!

დიდის სიამოვნებით მოვალ თქვენთან შაბათს, საღამოს $7^{1}/_{30}$ საათზედ, სადილათ, როგორც თქვენი წერილით მეპატიჟებით[16].

დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ალ. ცაგარელი.

გთხოვთ თქვენ ძმას გარდასცეთ ჩემი გულითადი სალამი[17].

III.

24 августа 1908 года, Баден-Баден

Многоуважаемый г-н Вардроп!

Простите, что я так поздно пишу Вам. За посланныя мною из С.-Петербурга книги г. Латышева Вы мне прислали 5 р., т. е. на 4 р. больше, чем они стоили мне, как

---

[14] პავლოვსკში დოგთან ერთად გადაღებული პროფ. ალ. ცაგარლის ეს სურათი დღეს ინახება ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში ასეთი წარწერით: „ბატონ ოლივერ უორდროპს პეტერბურგში შეხვედრის სახსოვრად ალ. ცაგარელი“, (Wardr. 13.25a—23).

[15] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 27 (48).

[16] ამ დროს (1905 წ.) ოლივერ უორდროპი დიდი ბრიტანეთის კონსულად მსახურობდა პეტერბურგში და მარჯორიც მასთან ერთად ცხოვრობდა რუსეთის სატახტო ქალაქში.

[17] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (38).

члену Археологического Общества. Буду рад, если поручите мне купить Вам что-нибудь на 4 р., иначе пришлю Вам обратно 4 р.

Был в Киссингене и приехал сюда [в Баден-Баден] для Nachkur-а[18]. Теперь здесь скачки и большое стечение приезжих. В начале сентября буду в С.-Петербурге. В Копенгагене был недавно Конгресс Ориенталистов, на котором я, к сожалению, не мог быть, хотя я был его членом.

Что Вы делаете и как поживаете? Какия события происходят в Персии и Турции! Где теперь бывший английский посланник в Персии, с которым я у Нас познакомился? Был я весною (в апреле и мае) в Тифлисе, там не совсем спокойно. Бедного экзарха убили, неизвестно, кто и зачем, он не был против автокефалии, говорят, что тут какой-то домашний скрывается... поживем, увидим.

Хотел Вас видеть и поговорить о многом, но не удается, не знаю, это письмо застанет ли Вас в Бухаресте?

Как Ваша сестрица поживает? Прошу передать ей мой почтительный поклон.

Прошу Вас не забывать страну „Wein, Weib und Gesang-а,[19] которая теперь несчастна.

На Ближнем Востоке возникнут события более важныя, чем до сих пор и Ваша дружба будет для Грузии очень дорога, с которой Вы познакомили Англию, хотя Европа еще мало знакома с Грузией.

Граф Воронцов-Дашков[20] выехал в Петербург, вероятно, не вернется на Кавказ! Неизвестно, кого назначут, останется ли Наместничество. Будущее Кавказа и Грузии темно и тревожно.

Будьте здоровы, дорогой друг, и не забываете душевно

Вам преданного

Ал. Цагарели[21].

---

[18] Nachkur (გერმ.) — დასვენება მკურნალობის შემდეგ (გ. შ.).

[19] აქ ალ. ცაგარელი გერმანულად თარგმნის სათაურს ოლივერ უორდროპის ინგლისური წიგნისა „საქართველოს სამეფო. ღვინის, ქალების და სიმღერის ქვეყანა“, რომელიც 1888 წელს გამოიცა ლონდონში.

[20] იმდროინდელი მეფისნაცვალი კავკასიაში. (გ. შ.).

[21] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 27 (68).

IV

2/15 января 1909 года, С.-Петербург

Многоуважаемый г. О. Вардроп!

Получил Вашу поздравительную карточку с изображением красавицы-румынки. А еще раньше Ваше же письмо. Я не забываю, что я Вам должен 4 рубля — жду Ваших заказов.

Рад, что Вы здоровы, здесь год холеры, осень и зима прескверная.

Между Турцией и Австрией кажется будет мир, но неизвестно, что будет в Персии...

Я последние годы занят Историей Церкви и Церковным Правом, чтобы разрешить грузинскую автокефалию, которой нет конца и дела в Грузии запутываются. Присылаю Вам статью, которую я напечатал в „Слово", умеренно-либеральном органе издаваемом М. М. Феодоровым, бывшим Министром Торговли. Хорошо бы было передать его содержание в английских газетах, так как Грузинский Церковный вопрос за границей очень мало известен и не знают причин безпорядков на Кавказе.

Австрия давно дала православной Сербской церкви (в Венгрии) автокефальнаго Патриарха, и теперь Православным Церквам в Босния и Герцоговине дает автокефалию, а Грузинская Церковь лишилась Католикоса уже 100 лет...

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ამავე ფონდიდან ჩვენს მიერ გადმოწერილი და ახლა უკვე საქართველოში ჩამოტანილი ცნობილი ქართველი მწერალი ქალის, გაზეთ „კვალის“ და საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორის, გამოჩენილი ქართველი მწერლის — გიორგი წერეთლის მეუღლისა და ერთგული მეგობრის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის, ცნობილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა — შიო ქუჩუკაშვილი-მღვიმელისა და სამსონ ფირცხალავას, აგრეთვე გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა — მოსე ჯანაშვილისა და კორნელი კეკელიძის უცნობი წერილები უორდროპებისადმი.

თითოეული მათგანი არაერთ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს საქართველოს ახალი ისტორიისა და ქართული ლიტერატურის, აგრეთვე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი საკვანძო საკითხის გამოსარკვევად.

მოგვყავს ეს წერილები ასეთი თანმიმდევრობით:

I.

7 თებერვალს 1896 წელს

ძვირფასო და საყვარელო დაო მარჯორი!

კალაბს ვერ ვიღებ ხელში ისე მრცხვენიან, რომ აქამდის ვერ მოგწერეთ წერილი. მაგრამ ვიცი უზრდელობათ არ ჩამომართმევთ და მაპატიებთ, რადგან შესაწყნარებელი საბუთიცა მაქვს. ზაფხულში რომ მომივიდა თქვენი წერილი და სურათი ძალიან და ძალიან გამეხარდა, მაგრამ ჩემი ქმარი[96] ჭალაში იყო, მეც უქეიფობდი და ბევრი საქმეებიცა მქონდა. მოვიდა თუ არა ჩემი ქმარი, ექიმმა სოფელში გამაგზავნა დასასვენებლათ და მინდოდა — ჩამოვალ თუ არა სოფლიდან გადამეღო ჩემი სურათი და ბარათთან ერთად მომერთმევინა, მაგრამ კრწანისის ველზე რომ გავედი — დიდი ტალახი იყო და

---

[95] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი: Wardr. II. 12:9.

[96] გიორგი წერეთელი — ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

გავხდი ავათ ტიფით (საოფლით) და სიკვდილს ძლივს გადა-
ურჩი. ცოტა უკეთობა რომ დამეტყო, მერე ჩემი ქმარი წავიდა
ამ დიდ ზამთარში ერთხელ ჰალას და ქუთაისს და ორჯერ რუ-
სეთში, ახლაც ხარკოვშია. „კვალის“ და „ჯეჯილის“ საქმეები
სულ მე დამეხვია თავს, „ჯეჯილი“ ახლა ყოველ თვე უნდა
გამოვიდეს და არ ვიცი როგორ გავუძღვები ამოდენა საქმეს.
მინდოდა ჩემი სურათის გამოგზავნა, მაგრამ ადრინდელი აღ-
რა მაქვს და ახლა ისეთი შეკრეჭილი ვარ (ავათ რომ ვიყავ
თმა გამიკრიჭეს), რომ ჯერ ვერ ავიღებ სურათს.

ჩვენში დიდი წყალდიდობა იყო, ახლა დიდი ზამთარია და
ხალხი მეტად შეწუხებული არის.

კნიაზი აკაკი [წერეთელი] თვენახევარია, რაც ხარკოვში
წავიდა თავის ცოლ-შვილთან, იქ ძალიან ავათ შეიქმნა, მაგ-
რამ ახლა უკეთ არის.

კლიშეებისთვის დიდათ გმადლობთ. ჟურნალ „Nops“-დან
გამოვიწერე 110 მანეთისა, ახლა გამოგზავნილია და მალე მი-
ვიღებ. კიდევ სხვა კლიშეებია გამოგზავნილი. Religions...
ract Society — იმათგანაც მალე მივიღებ; ბათუმში, მგონია,
მოსულა კიდეც. თქვენ ძალიან დამავალებთ, რომ მშველით
კლიშეების შეძენას, თორემ ძალიან მიძნელდება კლიშეების
შოვნა.

როდესაც მომივა — მოგწერთ ყველაფერს დაწვრილებით.
ახლა ვშიშობ თავი არ მოგაბეზროთ. ყველა თქვენი ნაცნობე-
ბი პატივისცემით და საყვარულით მოკითხვას გითვლიან. ნე-
ტავი დრო გვქონდეს, რომ გეწვიოთ. ჩემი ქმარი სულ იმას
გაიძახის, რა კარგი იქნება, რომ მოვახერხო და წავიდე მათ
სანახავათ.

ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცით თქვენ ძმას ბატონ
ოლივერს.

თქვენი ერთგული მეგობარი

ანასტასია წერეთლისა.[97]

---

[97] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(55).

II.

3 ღვინობისთვეს 1896 წელს, თბილისი

საყვარელო დაო მარჟორიავ!

დიდი ხანია მსურს სულით და გულით, რომ მოგწეროთ წერილი, მაგრამ ჩემი უთაურობით, უფრო იმიტომ, რომ ჩემი ქმარი გაერთო ჭალის მთის საქმეს და აქაური გაზეთის[98] საქმე სულ მე დამხვია თავს; „ჯეჯილსაც“ ყოველ თვე და „კვალს“ ვერ ვასწრობ და უნდა მაპატიონ ჩემ ნაცნობებმა. აღარც თქვენ რასმეს იწერებით, როგორ ბრძანდება თქვენი ძმა ბატონი ოლივერი?

ხომ რასმეზე არ მიწყრებით? ძალიან დამნაშავეთ ვთვლი ჩემ თავს, რომ ჭიათურამდის არ გამოგაცილეთ, მეც თქვენსავით ცხენით სიარულს თავს ვაშორებდი. ახლა იქით მხარეს გზები შვენივრათ გააკეთეს, დილიჟანები დადის, გიორგიმაც [წერეთელმა] გამართა ლინეიკა, თუ მობრძანდებით გაზაფხულს მოგზაურობა ადვილი იქნება. გიგზავნით მოსასხმელს, რომელიც დედა თქვენს დარჩა აბაშიძესთან. ჩემმა ასულმა ელიკომ[100] გაათავა სწავლა აქ, ეხლა უნდა რუსეთში წასვლა სასწავლებლათ, მაგრამ მე არ ვუშვებ. ვეუბნები უცხოეთის ლიტერატურა და ენები შეისწავლოს.

თავს მოგაბეზრებთ ამოდენა წერილით. იმედი მაქვს მომწერთ ორიოთ სიტყვას მაინც.

ყველა თქვენმა ნაცნობებმა სიყვარულით მოგიკითხათ.

გიორგი ეფთვიმეს ძე [წერეთელი] გეკითხებათ: როდის წავიკითხოთ [ინგლისურად] „ვეფხვის ტყაოსანიო“.

თქვენი მოსიყვარულე

ანასტასია წერეთლისა[101].

---

[98] იგულისხმება გაზეთი „კვალი“.

[99] იგულისხმება 1896 წლის ზაფხულში მარჯორის მოგზაურობა იმერეთში დედ-მამასთან და უმცროს ძმასთან — თომასთან ერთად.

[100] ელენე წერეთელი — გიორგი წერეთლის ასული პირველი ცოლის — ოლიმპიადა ნიკოლაძისაგან, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა ბელგიაში — ბრიუსელში.

[101] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (56).

III.

26 ნოემბერს 1897 წელს, თბილისი

დიდათ პატივცემულო დაო მარუორია!

ძალიან ვწუხვარ, რომ დიდი ხანია თქვენი ამბავი არა ვიცი რა. გამწყრალი ხომ არ ბრძანდებით ჩემზე და იმიტომ არა მწერთ არაფერს. რაც თქვენ წაბრძანდით ჭალიდამ, მას უკანველი თქვენ წერილს და არა მომსვლია რა. მე ჩამოვედი თუ არა ჭალიდან, მოგწერეთ ბარათი და დედათქვენის წამოსასხმელი, რომელიც დარჩენოდა ჩვენ სოფელში, უმალვე გამოვგზავნე და ისიც არ შევიტყვე, მიიღეთ თუ არა. შარშან ზამთარს მინდოდა მომეწერა ხელმეორედ წერილი და დავით მიქელაძემ ბრძანა, რომ თქვენ იტალიაში მოგზაურობთ. ახლა ალალ-ბედად ვგზავნი წერილს კერჩში, იქნება მანდა ბრძანდებით. გიგზავნით ჩემ სურათს, მხოლოდ ახლა გადავიღე. ჩვენ ამბავს თუ იკითხავთ, მოგახსენებთ, რომ ყველანი კარგათა ვართ და ისევ ისე ბევრი საქმეები გვაქვს. ჩემი ქმარი ხშირათ დაიარება ჭალაში და აქამდის „კომპანია“ ვერ უშოვია მადნების აღმოსაჩენათ, ახლა კი მგონია მალე მოაწყობს საქმეებს. ჩემი ქალი ელიკო რედაქციაში მუშაობს, ძალიან უნდა ევროპაში მოგზაურობა, იქაური ლიტერატურის შესწავლა, მაგრამ მარტო ვერ გამიშვია, ჯერ ახალგაზრდაა და ჩვენ კი იმდენი საქმეები გვაქვს, რომ ვერ წავყვებით. ჩემი ვაჟებიც[102] ახლა დიდრონი არიან, მალე გაათავებენ აქ სწავლას.

თქვენ და თქვენი მშობლები როგორ ბრძანდებით. ბატონი ოლიეერი განა არ აპირებს ჩვენსკენ მოგზაურობას? თქვენი „ვეფხვისტყაოსნის“ თარგმნა მალე გათავდება თუ არა? იქნება ამ ზაფხულს გვეწვიოთ! იმედია მოგვიგონებთ.

ჩვენ ერთობ ყველანი დიდი პატივისცემით მოგიკითხავთ.

დავშთები მარათ პატივისმცემელი

ანასტასია წერეთლისა.[103]

---

[102] ლევან და ირაკლი წერეთლები — გიორგი წერეთლის ვაჟები პირველი ცოლის — ოლიმპიადა ნიკოლაძისაგან. ამათგან ირაკლი წერეთელი შემდეგში ცნობილი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე გახდა.

[103] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(57).

IV.

8 მარტს 1899 წელს

დიდათ პატივცემულო საყვარელო მარჯორი!

ისეთი დიდი დანაშაულობა მიმიძღვის თქვენს წინაშე, რომ აქამდის თქვენ მოსიყვარულე წერილზე პასუხი ვერ გაახელით, რომ თავის გამართლება მეძნელება, ეიტყვი მხოლოდ, რომ „ინფლუენციით“ ძალიან ავათ ვიყავი. ჩემი ქმარიც საქმეებზე დაიარებოდა და ვეღარა გაცნობეთ რა ჩვენი ამბავი.

„ვეფხვისტყაოსნის“ ვარიანტს, რომელსაც თხოულობდით, დიდ ხანს ვეძებდი მეც და ჩემი ქმარიც, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვეთ, დაგვპირდენ კიდეც შოვნას, მაგრამ ჩვენ იმედი დავკარგეთ მისი პოვნისა.

თქვენ იწერებით, რომ გაზაფხულს ინგლისს მიემგზავრებით, რატომ ჩვენი მხარე დაივიწყეთ. ვიცი, რომ ჩვენს ამბავს იკითხავთ: უფროსი ჩვენი შვილი ლევან გიმნაზიას ათავებს და ზაფხულში უნდა პეტერბურგის უნივერსიტეტში წავიდეს.

ჩემი ქალი ელიკო დიდი შეწუხებულია, რომ ვერ მოვახერხეთ მისი გაგზავნა საზღვარ-გარეთ სამოგზაროთ და მსოფლიო ლიტერატურის შესასწავლათ. მარტო ვერ გაგვისტუმრებია და ჩვენ არც დრო და არც ჯიბე ნებას გვაძლევს წასასვლელად. ელიკოს ვუშოვეთ ერთი წლისთვის საჭირო ფული, მაგრამ უცნობებს ვერ ვენდობით, რომ გავატანოთ. დიდი დავალება იქნებოდა ჩვენთვის თქვენთან რომ წამოსულიყო და თქვენ გეპატრონებიათ, მაგრამ თქვენ შეწუხებას ვერიდებით. ელიკომ ზედ-მიწევნით იცის ქართული ენა და თუ ინგლისურს ისწავლიდა თქვენთან — ეს ძალიან გამოადგებოდა ჩვენ ლიტერატურას. ძალიან მადლობელი ვიქნებოდით, რომ თქვენი აზრი მოგეწერათ.

დიდი პატივისცემით მოვიკითხავ ბატონ ოლივერს.

დავშთები თქვენი მოსიყვარულე მეგობარი

ანასტასია წერეთლისა.

P S. ჩემმა ქმარმა პატივისცემით მოგიკითხათ და ოლივერს თავისი ახალი გამოკვლევა[104], გამოუგზავნა[105].

V.

16 თებერვალი 1901 წელსა, [თბილისი]

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო ქალბატონო მარჟორიაl

დიდი დანაშაული ვარ, რომ აქამდის თქვენ მოსიყვარულე წერილზე პასუხი არ შემოგითვალეთ და ნათხოვნი „ჯეჯილების“ გამოგზავნაც დამიგვიანდა. ახლა გიგზავნით ყველა ნომრებს, რომელიც გეთხოვნათ. ბევრი ნაღველი და შეწუხება მაქვს: გაზეთი „კვალის“ გამოცემა იანვრიდან გადავეცი ერთ ყმაწვილს კაცს — ჭიჭინაძეს,[106] თუმცა, ის ჯერ არ დაუმტკიცებიათ და მერე ვაპირებ რედაქტორობის გადაცემასაც. ნოე ჟორდანიას მიჰყავს, როგორც შარშან, გაზეთი და ბევრნი ძალიან კმაყოფილნი არიან. მე ველარ ვუძღვებოდი „კვალსაც“ და „ჯეჯილსაც“. ახლა მარტო „ჯეჯილს“ უნდა გაუძღვე.

ჩვენ იანვრიდან ორი ყოველდღიური გაზეთი გვაქვს: „ცნობის ფურცელმა“ აჯობა „ივერიას“. ჩვენები დიდის ამბით ემზადებიან რუსების შემოსვლის ასი წლის დღესასწაულს.

თქვენი შრომა „წმინდა ნინო“[107] მივიღე. დიდი მადლობელი ვარ. ახლა რაზე მუშაობთ, რატომ არ იწერებით. აქ მოიტანეს ამბავი, ვითომ ბატონ ოლივერს ნიშნავენ კონსულათ თბილისში. რა მოხარული ვიქნებით, თუ მართალი გამოდგა. იქნება ზაფხულში წამობრძანდეთ ჩვენკენ. შეგვატყობინეთ, ძალიან გაგვეხარდება.

---

[104] იგულისხმება: Г. Церетели, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью, «Мат. по арх. Кавказа», т. VII, М., 1898; დღეს დაცულია ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში (Wardr. 1. 14), რომელსაც ამკობს გიორგი წერეთლის წარწერა: „ძვირფასათ მოსაგონარს მარჟორი ვორდროპს სახსოვრათ ავტორისაგან. 1899 წ. 25 იანვარს“.

[105] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(58).

[106] ალბათ, ზაქარია ჭიჭინაძე.

[107] იგულისხმება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ, რომელიც 1900 წელს დაიბეჭდა ოქსფორდში.

ჩემი ორივე ვაჟები — ლევანი და ირაკლი მოსკოვში სტუდენტებათ არიან და ახლა იქ რომ არეულობაა, მაშინებს და მაწუხებს, ისინიც გარეული არიან და სწავლას მოცდებიან.

ელიკო ჩემ გვერდით არის, სწერს მოთხრობებს და რუსულათ თარგმნის მწერლების ნაწერებს, მეტადრე, თვისის ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲡ. ახლა გადათარგმნა „მამიდა ასმათი“ და უნდა დაეაბეჭდინოთ.

დიდი პატივისცემით მოვიკითხავთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს და თქვენ მშობლებს. მეც და ყველა ნაცნობები თქვენი სიყვარულით სალამს გითვლით.

თქვენი მოსიყვარულე მეგობარი

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ[108].

VI

17 ივნისი 1902 წელი

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ და ᲓᲘᲓᲐᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲐᲠᲯᲝᲠᲘ!

დიდი დამნაშავე ვარ, რომ ამოდენა ხანია აღარაფერი არ მომიწერია თქვენთვის, თუმცა თქვენ ამბავს შორიდან ყოველთვის ვტყობულობდი.

ცხოვრებას იმდენი დავიდარაბა და ნაღველი მოსდევს, რომ კაცი თავს ძლივს დაახწევს ხოლმე, რომ ათასში ერთხელ მაინც გამოელაპარაკოს თავის სასიქადულო ნაცნობებს და მეგობრებს. თუ ჩემ საკუთარ ამბავს იკითხავთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ორივე ვაჟიშვილები [ლევანი და ირაკლი] მოსკოვში გავგზავნე — უნივერსიტეტში და ერთმა [ლევანმა] საცოლეთ იშოვა რუსის ქალი და [მეორეს] ირაკლის თავი უკრეს სიბირში ხუთი წლით; ვერც ერთს ვერ ავაცდინე თავიდან ამგვარი რამ. ამ ჟამათ ჩემთან არის მხოლოდ ჩემი ქალი ელიკო, რომელიც დიდი სიყვარულით მოკითხვას გითვლისთ.

არც ჩვენი ლიტერატურაა კარგ მდგომარეობაში, ყველას ლაგამი აქვს პირზე აკრული. წელიწადნახევარზე მეტია, რაც მე „კვალი“ გადავეცი ახალგაზრდა ყმაწვილებს და აქამდის

---

[108] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(83).

„კვალს“ ჩემი სახელი ვერ ავახსნეინე. მის თანამშრომლებს წამდაუწუმ — ბიზეზითა და უმიზეზოდ იჭერენ. მე ახლა მხოლოდ ჟურნალ „ჯეჯილს“ ვუძღვები და სწორეთ დამნაშავე ვარ, რომ აქამდის ჩემი შოუცლელობით ვერც წერილი მოგწერეთ და ვერც ჟურნალი გამოგიგზავნეთ. ახლა გაახლებთ ამ 1902 წლის ნომრებს და გთხოვთ მაცნობოთ დანაკლისი შარშანდელი ნომრები და იმასაც გაახლებთ. „კვალსაც“ უთუოდ მიიღებთ და თუ რამე საქმე გექნებათ რედაქციასთან, პირდაპირ მიწერეთ რედაქციაში და დაუყოვნებლივ აასრულებენ თქვენ თხოვნას.

დიდი პატივისცემით მოვიკითხავ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს და თქვენ მშობლებს მდაბლათ თავს დავუკრავ.

თქვენი ერთგული მონა-მოსამსახურე

ანასტასია წერეთლისა.

ჩემი ადრესი: თბილისი, „ჯეჯილის“ რედაქცია,
არტილერიის ქუჩა № 5[109].

VII.

დეპეშა (თარგმანი ფრანგულიდან):

„ოლივერ უორდროპს, ბუქარესტი, ტფილისი 156, 12. IX. 1907

ძვირფასი თავადი [ილია] მოკლეს. დავკრძალეთ კვირას. კნეინა [ოლგა] სასიკვდილოდ დაჭრილია. — ანასტასია [წერეთლისა]“[110].

VIII

[ოქტომბერი,] 1907 წელი

ჩემო მეტათ ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო მარიორიავ!

თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა და თანაც დამაღონა, რადგან ქართულათ არ იყო დაწერილი — მეგონა დაგავიწყდათ ჩვენებური ყველაფერი. მე იმიტომ არა გწერდით, რომ არ ვიცოდი, სადა ხართ და არც ირავის მოუტანია ჩემთან

[109] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(59).

[110] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(61).

თქვენი წერილი. მე ბევრი განსაცდელი გადამხდა თავს და ხშირათ ნაღვლიანი ვარ.

რაც „კვალი“ დაიკეტა — მე ვადეგი მჩოლოთ „ჯეჯილის“ გამოცემას. ჯერ ხომ ისიც მიაყოლეს „კვალს“ და ერთი წელიწადი თითქმის მოუნდი ხელმეორეთ ნებართვის გამოტანას. ამ დროს დაიბადა „ნაკადული“[111] და ვინც მე მაძლევდა შემწეობას — ყველამ მომისპო, მე მაინც არ დავვარდი სულიერათ და განვაგრძე მუშაობა. მაგრამ არეულობის დროს, ესე იგი ჩვენი რევოლუციის დროს, ვიღასა ახსოვდა საყმაწვილო ჟურნალი და რადგან გამოცემაც ერთი ორათ ჯდებოდა — ერთ დროს კიდეც მოვისურვე სრულებით მომესპო ჟურნალი, მაგრამ როგორც დედა ვერ აიღებს ხელს შვილზე, თურმე ჩემთვისაც შეუძლებელი იყო „ჯეჯილის“ მოსპობა და ახლა ამ წელს ისევ განვაგრძე. გიგზავნით ორ უკანასკნელ წიგნს (№№ VIII და IX) და დიდი სიამოვნებით გაახლებთ წინანდელ ნომრებსაც.

თქვენი წერილი გარდავეცი მე თვითონ საგინაშვილს[112] და ახლა კნეინა ოლგაც[113] ისე კარგად შეიქნა, რომ უსათუოდ ძალიან ესიამოვნება თქვენი წერილი. კნიაზ ილიას მკვლელები ჯერ არ უპოვნიათ, მაგრამ საქმე ისე არის დაყენებული, რომ აღმოაჩენენ, სანამ ჩვენი ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები გაცხარებული ჩხუბობენ.

ყველა ჩვენმა ნაცნობმა სიყვარულით მოკითხვა შემოგითვალესთ.

ერთ დროს ჭალის მთის საქმე თითქოს კარგათ წავიდა, ჩემბერსმა (ინგლისელმა) იკისრა არენდით აღება, მაგრამ ამ კრიზისის დროს უკანვე დადგა და ჭალას არ ეღირსა თვისი მადნების მოხმარება.

თქვენი ნაცნობი ქალები ყველა გათხოვდა, თაფლო ჩვენმაც[114] ამ ცოტა ხანში დაიწერა ჯვარი, — ყიფიანმა შეირთო.

---

[111] „ნაკადული“ — საყმაწვილო ჟურნალი, როგორც მოზრდილთათვის, ისე მცირეწლოვანთათვის, დაარსდა 1904 წელს.

[112] ილია ჭავჭავაძის და — ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძე-საგინაშვილისა.

[113] ილია ჭავჭავაძის მეუღლე — ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა, რომელიც ამ დროს დაკრძალული იყო წიწამურთან თავადასხმის შემდეგ.

[114] თამარ (თაფლო) წერეთელი, რომელიც მეგობრობდა უორლროპებთან.

ამ ჟამთ თბილისშია და სიყვარულით მოკითხვას გითვლისთ.

ბე მომიხდა ცხოვრება მარტო; ელიკო დაბინავდა Montargès-ში და ირაკლი ისევ დაჭერილია პეტერბურგში — რუსები ასე აფასებენ თავიანთ ორატორებს!

დიდი პატივისცემით მოვიკითხავ ბატონ ოლივერს, თქვენ ძმას [თომას], თქვენ ძვირფას დედ-მამას[115] სალამს ვუთვლი.

ანასტასია წერეთლისა[116].

IX.

30. IX. 1898

ქალბატონო მარჯორი!

„ყარამანიანი“,[117] „რობინზონ კრუზო“ [118] და გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“[119] აღარ გახლავთ გასასყიდი. თუ შემთხვევით ვიშონით, ყველა ამ წიგნებს გაახლებთ შემდეგისათვის. ერთსა ჰქონდა აქ „ყარამანიანი“, მაგრამ ძალიან ძვირად დააფასა და ამიტომ არ ვიყიდეთ.

რაკი „დიდ-მოურავიანი“,[120] ჩვენს ანგარიშში ყოფილა ჩაწერილი და თქვენ კი არ მიგიღიათ, ამიტომ ახლა ამ წიგნის ფასს აღარ ვანგარიშობთ.

გაახლებთ წულუკიძის მიერ გამოცემულს „ვეფხვის-ტყაოსანს,“[121]. იქნება ეს გამოცემაც საინტერესო იყოს თქვენთვის.

თანახმად თქვენი ბრძანებისა, ამ ზაფხულს, აპრილის 27-ს გაახელით ინგლისში ფოსტით 2 მან. და 30 კაპ.-ის წიგნი, რომელთა ანგარიშსაც № 168 ამასთანავე გაახლებთ. წიგ-

---

[115] ანასტასია წერეთელს, ეტყობა, არ სცოდნია, რომ მარჯორის მამა უკვე 1903 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა.

[116] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(60).

[117] XIX ს-ში „ყარამანიანი“ რამდენიმეჯერ გამოიცა საქართველოში. აქ 1888—92 წწ. გამოცემა უნდა იგულისხმებოდეს.

[118] იგულისხმება „რობინზონ კრუზოს“ ქართული თარგმანის 1886 წლის გამოცემა.

[119] იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ 1887 წლის გრ. ჩარკვიანისეული გამოცემა.

[120] იგულისხმება ი. საკაძის (თბილელის) „დიდ-მოურავიანის“ 1897 წლის გამოცემა.

[121] იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ 1883 წელს, ქუთაისში, პ. წულუკიძის მიერ გამოცემული ტექსტი.

ნების გამოსაგზავნად დაგვეხარჯა 49 კაპ. ეს ფული ჯერ არ მიგვეღია თქვენგან, რადგან წიგნები ფასდაუდებლად გამოვგზავნეთ. გთხოვთ წიგნების ფული 2 მან. და 30 კაპ. და გამოსაგზავნი ხარჯი 49 კაპ. გამოგვიგზანოთ.

თქვენი პატივისმცემელი

შიო ქუჩუკაშვილი[121].

X.

24 ნოემბერი 1899 წელი

დიდად პატივცემულო მარჯორი უორდროპის ასულო!

არა გვქონდა გასასყიდი ახალი ქართლის ცხოვრება საბინინისა, ლექსები და ნაწყვეტები დათებაშვილისა და „Телавский уъезд“ ხახანაშვილისა.

ეს უკანასკნელი სულ გაიყიდა, ხოლო პირველი ორი წიგნი სრულებით არა გვქონია.

პატივისცემით

შიო ქუჩუკაშვილი[122].

XI.

4 მარტს 1900 წელს ქ. ტფილისი

დიდად პატივცემულო ქალბატონო მარჯორი!

„ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ“[123]. გადმოგვცა თქვენ მიერ გამოგზავნილი ექვსი მანეთი. ამ ფულში გაახელით 4 მანეთისა და 60 კაპ. წიგნები. წიგნების გამოსაგზავნად დაიხარჯა 55 კაპ. აქ დარჩა კიდევ თქვენი ფული 85 კაპ.

გთხოვთ გვაცნობოთ, რა წიგნები გამოგიგზავნოთ ამ ფულში.

საბინინის „ახალი ქართლის ცხოვრება“, დათებაშვილის ლექსები და ნაწყვეტები და ხახანაშვილის „Телавский уъедз“ აქ არავის აქვს და ამიტომ ვერ გამოვგზანეთ. ბ-ნი

---

121 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (178). შიო ქუჩუკაშვილი (მღვიმელი) ამ დროს იყო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიის გამგე.

122 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(176).

123 იგულისხმება ალ. ჯაბადარის მიერ 1890 წელს დაარსებული „წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა“.

მურიე თავის ჟურნალ „კაუკაზს“[124] ცალკე ნომრებათ არ ჰყიდის. წლიურად ვინც გაიწერს მხოლოთ მათ უგზავნის.

ხახანაშვილის წიგნი „იბერიაში“ შეცდომით ცხადდებოდა.

პატივისცემით შ. ქ უ ჩ უ კ ა შ ვ ი ლ ი.[125].

XII.

14 ოქტომბერი 1909 წ. ქ. ტფილისი

დიდათ პატივცემულო ქალბატონო მარკორი

დიდ ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე და უმორჩილესადა გთხოვთ, გვაპატიოთ, რომ შეცდომით და უნებურად თქვენი თხოვნა ამდენ ხანს შეუსრულებელი დარჩა.

საქმე ისაა, რომ შიო ქუჩუკაშვილი რამდენიმე თვე გავიდა წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიიდან და როცა მიდიოდა და არც შემდეგ არაფერი გადმოუცია ჩვენთვის, რომ თქვენ წიგნები დაიკვეთეთ ან რა და რა წიგნები.

ხოლო ახლა გვითხრეს ნაცნობებმა, რომელთაც თქვენგან მიუღიათ წერილი, რომ თქვენ წიგნები დაიკვეთეთ და დღემდის არ მიგიღიათ.

ვესწრაფვით ახლავე გამოგიგზავნოთ ზოგიერთი წიგნები. თქვენი შიოსთან მიწერილი წერილი არ გვინახავს, ამიტომ არ ვიცით, რას ითხოვდით. ძლიერ მადლობელი ვიქნებით, თუ კეთილინებებთ და ხელახლა მოგვწერთ, თუ რა წიგნები და გაზეთები გსურთ.

ამ წიგნებს ახლა ვარაუდით ვგზავნით.

გთხოვთ კიდევ გვაპატიოთ უნებური დანაშაულისათვის.

ღრმა პატივისცემით

მდივანი წერა-კითხვის საზოგადოებისა: ს ა მ ს ო ნ ფ ი რ ცხ ა ლ ა ვ ა[126].

აქვეა სამსონ ფირცხალავას წერილისთვის დართული წიგნების სია:

„წიგნის მაღაზია ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისა. ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავადაზნაურო სახლი.

---

[124] იგულისხმება ფრანგი ჟურნალისტი ჟიულ მურიე, რომელიც თბილისში სცემდა ფრანგულ ჟურნალს: „Le Caucase illustré“.

[125] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(179).

[126] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/5 (18).

ანგარიში

ქ-ნ უორდროპს ოქტომბრის 1909 წ.

1. აკაკის საიუბილეო კრებული — 40 კ.
2. აკაკი, გოგია მეჩონგურე — 5 კ.
3. ე. ნინოშვილი, გოგია უიშვილი — 5 კ.
4. ცრემლები, ვაჟა-ფშაველასი, 1909 — 50 კ.
5. ი. ჭავჭავაძე, კრიტიკული წერილები — 25 კ.
6. დუტუ მეგრელი, ლექსები — 70 კ.
7. მოლიერი, „სორაპნის" გამოცემა — 50 კ.
8. აკაკი, ნაცარქექია — 10 კ.
9. ი. ჭავჭავაძე, პოლემიკური წერილები — 10 კ.
10. ქართველი ერის ისტორია — 80 კ.
11. ქართული ხალხური ლექსები და სიმღერები.
12. ქართველთა განმანათლებელი მოციქულთ სწორი ნინო, პოემა აკაკისა.
13. ჩანგი — „სორაპნის" გამოცემა.

."[127]

XIII

(ნოემბერი, 1909) ტფილისი

დიდათ პატივცემულო ბატონო მარჟორი!

ამასთანავე გაახლებთ სიას-ანგარიშს იმ წიგნებისას, რომლებიც ფოსტით გამოგიგზავნეთ. წინად გაგზავნილ წიგნებს, იმედია, მიიღებდით.

ზოგი წიგნი აღარ იშოვება და ვერ გამოგიგზავნეთ.

სულ წიგნების ფასი და ფოსტის ხარჯი შეადგენს 77 მან. და 91 კაპ. ასე რომ, ჩვენთან არის დარჩენილი თქვენი ფული 2 მან. 09 კაპ.

კიდევ ბოდიშს ვიხდით, რომ უნებურად ასე დაგვიგვიანდა თქვენი თხოვნის შესრულება.

ღრმა პატივისცემით

მდივანი წ. კ. საზოგადოებისა სამსონ ფირცხალავა.[123]

---

[127] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/5 (18ª).

[128] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/5(19). აქვეა ქართულ წიგნთა სიაც.

XIV

11 мая 1911, г. Тифлис, Миниквицевская ул. 33.

Многоуважаемый Господин Оливер!

Приношу Вам глубокую благодарность за Ваше внимание и за Ваш подарок — сочин. Кондера о Хетитах и их языке.

Присылаю при сем наше новое издание — Проповеди Болнисского епископа Иоанна, жившего в X веке (ქადაგებანი იოანე ბოლნელ ეპისკოპოსისა),[129], а также и №-ра газеты „Закавк. речь", где имеются мои заметки по разным вопросам историко-археологического характера. Может быть, они пригодны будут для Вас.

Очень обяжете меня, если пришлете мне книгу об языке населения древн. Сузии и Эламитов. В таком учебнике я очень нуждаюсь.

Желаю Вам здоровья и успехов, остаюсь искренно уважающий Вас

Моисей Джанашвили.[130]

XV.

[1912 წ.], ტფილისი, მინკვიცევის ქ. № 33

დიდად პატივცემულო ბატონო ოლივერ!

თქვენ მიერ მოთხოვნილი იაკობის ჟამის-წირვა უკვე იბეჭდება[131]. და თავის დროზე მოგართმევთ.

ამასთანავე გიგზავნით რუსულს წიგნს „კ მატერიალამ პო ისტორიი ი დრ."...[132].

რადგან მაინტერესებს თქვენის ნეტარხსენებულ დის ქალ-

---

[129] იგულისხმება: იოანე ბოლნელი ეპისკოპოსის ქადაგებანი (მე-X საუკუნის ხელნაწერიდან), მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობით. საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილისი, 1911.

[130]. ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი: d 38/2(1).

[131] იგულისხმება: К. Кекелидзе, Древне-грузинский архиератикон, Тифлис, 1912.

[132] იგულისხმება: М. Джанашвили, К материалам по истории и древностям Грузии и России: заметки, переводы и комментарии, Тифлис, 1912.

ბატონ მარჯორის შრომა — ვეფხისტყაოსანი", ინგლისურად თარგმნილი, თუ გეშოვებათ, ერთი ცალი გამოგვიგზავნეთ.

მზა თქვენის სამსახურისა

მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი[133].

ოქსფორდიდან ჩამოტანილ წერილებს შორის მაინც გამოვყოფდი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალ „მოსავალის" რედაქტორის ვასილ რცხილაძის 1909 წლის 10 ოქტომბრის წერილს მარჯორი უორდროპისადმი:

„10 ღვინობისთვე 1909 წელი, ტფილისი

თქვენო ბრწყინვალებავ მისს მარჯორა!

ჩემი მეგობარი ვარლამ ჩერქეზიშვილისაგან მივიღე ლონდონიდან წერილი, რომელშიაც მთხოვს, რომ მე თქვენ წერილი მოგწეროთ და სხვათა შორის გაცნობოთ: რატომ თქვენ მიერ გამოგზავნილ ფულ'ში აქამდე არც წიგნები მოგდით და არც რაიმე პასუხი.

თქვენი პირისპირ გაცნობით მე არ მრგებია სიხარული, ხოლო შორიდან კი გიცნობთ კარგად და სიამოვნებით ვასრულებ ჩემი მეგობრის თხოვნას.

ვისაც ბედისაგან დაჩაგრულ ჩემი ქვეყნისადმი ცოტათი მაინც უძგერს გული, მას, თუ გინდ არა-მცნობს, თავმოდრეკით ვუწევ სამსახურს და ვესაუბრები.

ბაირონი, უკვდავი პოეტი, მით არის ზედმეტად პატივსაცემი, რომ პატარა დაჩაგრულ საბერძნეთისადმი უძგერდა გული. ესეა მუდამ. დიადი გული კიდით-კიდემდე ხედავს დაჩაგრულს და ესარჩლება...

არ ვიცი, იქნება გესიამოვნებოდათ, რომ ჩვენი ქვეყნის აწინდელ მდგომარეობაზე რაიმე მომეწერა. არც დაგზარდებოდით, რომ თქვენთვის სასიამოვნო გასაგები რამ ყოფილიყოს. ისევ ისეთი უუფლებობა, როგორიც თქვენს აქ ყოფნაში გახლდათ და ბევრით მაშინდელზე მეტი სიღატაკე და ყოვლის მხრით უსახსრობა, — აი, ჩვენი ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება.

როგორც ამიხსნეს, წერა-კითხვის საზოგადოებას თქვენი წერილი, სადაც მოყვანილი იყო ალბათ სია იმ წიგნებისა, რომელიც გსურდათ რომ გამოეგზავნათ, დაუკარგავთ და აქამდე

---

[133] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 38/2(3)

ვერა ბედავდნენ ამ ამბის თქვენთან გამომჟღავნებას და ხელმეორედ შემოკითხვას.

იმედი მაქვს, ეხლა მოიწერებიან, რაკი გისურვიათ ქართული წიგნების სისტემატიურად მიღება. გაგიკადნიერდებით და უღრმესი პატივისცემით მოგართმევთ ჩემს საკუთარ ნაშრომს აქამომდე. თუმცა იმედი არა მაქვს, მაგრამ მაინც იქნება თქვენს წიგნთა-კრებულს საყურადღებო თქვენთვის რამე შეემატო.

გიგზავნით სამს გამოცემას: ერთ ჩემს თარგმანს და ორს თხზულებას[134] და სამეურნეო ჟურნალს „მოსავალს", ყველა ნომრებს, რაც აქამდე დაბეჭდილა.[135]

თქვენი, — და-ძმათ ღრმად პატივისმცემელი

ვასილ რცხილაძე".[136]

ასევე გულში ჩამწვდომია სიღნაღში ოლივერ უორდროპისადმი მიმართული სანდრო შანშიაშვილის უცნობი სიტყვა:

„მისტერ უარდროპისადმი

სიტყვა თქმული ქ. სიღნაღში (1919 წლის 9 ნოემბერს).

სანდრო შანშიაშვილისაგან

სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო!

პატივცემულნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო!

არ შევაწუხებ გრძელის სიტყვით ძვირფას სტუმარს:

---

[134] იგულისხმება: ვ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, კრებული არითმეტიკული ამოცანებისა, ტფ., 1893; მ ი ს ი ვ ე, საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდამ: შვეიცარიის ძირითადი კანონები, ტფ., 1906; პ რ ო ფ. რ ო ს კ ო, ქიმია, თარგმანი ვ. რცხილაძისი, II გამოცემა, ტფ., 1907 (ეს წიგნები დღეს ოქსფორდში არის დაცული).

[135] ორკვირეული სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი" ვ. რცხილაძემ დააარსა 1909 წელს და სცემდა 1917 წლამდე.

[136] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/5 (17). ამ წერილის ასლი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არის დაცული: ბურე. პერიოდის განყ. დოკუმენტთა ფონდი, ფურც. № $\frac{5-61}{26}$; ამის შესახებ იხ. თ. ჩ ხ ე ი ძ ე, ქართველი აგრონომები, თბ., 1962, გვ. 68; შდრ. ვ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, დიდი შოთას მთარგმნელის საფლავთან, „ცისკარი", 1968, № 12, გვ. 117.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...“ ამ ნადიმზე გამოვსთქვამ გულის სიღრმიდან ამოხეთქილს მხოლოდ აღტაცებას, რომ მისტერ უარდროპი ეწვია საქართველოს კუთხეს — ქიზიყს. ამ ქიზიყის გლეხობამ მე დამავალა ვუძღვნა სალამი და სალამთან ერთად თხოვნა მცირედი.

ესენი მობრძანების ამბავი ხალხს ელვის სისწრაფით მოედო და სიხარულისაგან შეთონთქოლდა. ამბობდნენ: „იმის ძმა მოდის, ჩვენი შოთა რომ გადათარგმნაო!“ ჩვენს მდაბიო ხალხს გაგონილი აქვს თქვენი დის მისს მარჯორ უარდროპის მოღვაწეობა, რომ მან ინგლისურად ჩვენი სათაყვანებელი და საყვარელი „ვეფხის ტყაოსანი“ გადათარგმნა და თვით თქვენი და ამის გულისთვის ჩვენი ხალხისთვის სათაყვანებელი და საყვარელი შეიქმნა. მან ჩვენ ხალხს პატივი სცა და მისი სულის საუნჯე ევროპას გააცნო, ქართველი ხალხი ამით აამაღლა. ქართველი ხალხი ეხლა თქვენს დას ამაღლებს და მისი სახელი და ხსოვნა უკვდავ იქნება, სანამ უკანასკნელი ქართველი იცოცხლებს. თქვენც, მისტერ უარდროპ, საქართველოსთვის თქვენს დასაებრ კეთილი გსურთ — ამას ჩვენი ხალხი გულში იდუმალად ჰგრძნობს, თუნდაც რომ ამის შესახებ თქვენ ერთი სიტყვაც არ გაგვიცხადოთ. თქვენი დუმილი უფრო მჭევრმეტყველურია პატარა და მრავალტანჯულ საქართველოსთვის! დეე, აგრემც იყოს!

და აი, ის თხოვნაც, რომელიც მე, — ჩემი ერის პატარა მგოსანს — დამავალეს: როდესაც დაბრუნდებით შექსპირის, მარლოს, ბაირონის, შელლის და სხვა ბუმბერაზ მგოსნების სამშობლო-ბუდეში, მის ხალხს გარდაეცით, რომ პატარა რაინდ საქართველოს სწყურიან სიცოცხლე; რომ ჩვენც გული გვიცემს კეთილ და წესიერ ცხოვრებისათვის; გვწყურიან დანგრეულ კერის და ოჯახის აღორძინება. გვხოცამდნენ და არა ვკვდებოდით! გვმარხავდნენ, მაგრამ ფეხზე ვდგებოდით! გვდევნიდნენ, მაგრამ სიყვარულით ვიმარჯვებდით! უთხარით, რომ ჩვენც გვინდა, ვითა სულდგმულთ, შევნატროდეთ ამ მაღალ მთებიდან ამომავალ ოქროს მზის სხივებს და ვილოცოთ, როგორც შოთა ლოცულობდა. უთხარით თქვენს ხალხს და ყველგან უთხარით, სადაც კი ხმა მიგიწვდებათ, რომ ბევრი

ვიტანჯეთ ტარიელივით სატრფო-სამშობლოს ძიებაში. ბევრჯელ დაგვანგრიეს, მაგრამ აღვდექით...“[137].

* * *

აქვეა მარჯორი უორდროპისადმი მიძღვნილი ნინო ჯამბაკურ-ორბელიანის, დიმიტრი ალექსიძის, ლადო იაშვილის, ექვთიმე კოპლატაძის, სილოვან ხუნდაძისა და ბარბარე ჯორჯაძის ლექსთა ავტოგრაფები. ამათგან მხოლოდ ნ. ჯამბაკურ-ორბელიანის ლექსი იყო დღემდე ჟურნალ „კვალის“ პუბლიკაციის მიხედვით (1896, № 26) ცნობილი, დანარჩენს კი პირველად ვეცნობით, რომლებიც მარჯორი უორდროპისადმი საქართველოს ყველა კუთხის ნამდვილი საერთო-სახალხო სიყვარულის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს. ნინო ჯამბაკურ-ორბელიანის ლექსი „კვალის“ პუბლიკაციის მიხედვით ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ, ახლა ვბეჭდავთ მარჯორი უორდროპისადმი მიძღვნილ სხვა უცნობ ლექსებს:

I

უძღვნი დიდის პატივით მარჯორი ვარდროპის ქალს ნიშნად ქ. გორში მობრძანებისა
(1896 წელი, ივლისი)

. . . .

ინგლისის ქალსა, ტომითა უცხოს,
გულში აღგძვრია დიდი სურვილი,
ხელს გვაწვდი ბედკრულ ივერიელებს,
გიკვირს, რომა ვართ სევდა-ბურვილი.

შეგისწავლია ქართული ენა,
რომ მით გამოსცნო ერთა წყურვილი,
დობას და ძმობას ორივეს გვიწევ
ნუთუ თქვენ იგრძნეთ ჩვენი სურვილი?

---

[137] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 23. ს. შანშიაშვილის ავტოგრაფი. აქვეა მისი ინგლისური თარგმანი, შესრულებული ოლივერ უორდროპის მიერ.

თუმც არ განგებამ და ძალამ ღვთისამ
რამ შეგაყვარა ქართული ენა,
რომელიც დღეს არს მივიწყებული
და არვის ატკბობს ამისი სმენა?

უმრავლესობა, თვით კი მკვიდრნიცა
დღეს მას არ სდებენ ღირსეულ ფასსა,
შენ კი სიყვარულს მისას გულში ზრდი
მით დიდებულად იფასებ თავსა.

ღირს ხარ ციურის ამა ნიჭისთვის
შენს სადღეგრძელოდ ილოცოს ბერმა,
ღირს ხარ დიდების, ღირს ხარ მუდმივად
რომ შენ გადიდოს ქართველთა ერმა!

ექვთიმე ანტონის ძე კოპლატაძე[138].

II

მარჯორ ვარდროპს

ციურსა ნიჭსა კეთილსა
მუდამ ნათელი ჰფენია,
ნათელსა, ბროლსა ნათალსა
ბაგე სიბრძნითა ჰშვენია!
მისნი სპეტაკნი საქმენი
მნათობთა გარდაჰფენია!
ვარდი, ზამბახი ყოველთვის
მისგან ყოველგან ჰფენია!
დღეს თაიგული შემკული
ჩვენ შორის გამოგვრეევია!

დიმიტრი ალექსიძე
ჩყჟვ [1896] წელსა ივლისს ბ [2], ქ. თელავი.[139]

III.

მაღალის ნიჭის მქონებელი კეკლუცი ქალი
გვწვევიხარ, რომელ გადაგვაველო შენ ბრძნულად თვალი,

[138] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, d 20(22), ფ. 51.
[139] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, d 20 (26).

წარსულ ჩუნ დროსა შეუფარდო ეს დრო ახალი
და გაარკვიო პოეზია ღრმა და მაღალი.

რუსთველის ქნარი თუ ყურს გესმა დასატკბობელად,
იშით მიხვდები ქართუნლთ ერის ცხოვრებას ცხოველად,
ნაშინ სხვებსავით ძირს არ დაგვცემ დასამდაბლებლად
და განათლებულ შენ ჯელს მოგვცემ ჩუნ აღსადგენლად.

დაგვჩაგრეს, გვტანჯეს და წაგვართვეს საუნჯე ჩვენა,
მაგრამ დავიცეთ სჯული წმინდა და დედა ენა,
განვჰსდევნეთ მტერი, ჟლეტა, ფლეთა და სისხლთა დენა,
დღეს ვიმედოვნებთ კუნლავ ავჰყვავდეთ და გვაქვს მოთმენა,

რადგან ქართუნლებს შეურთდი ეგ უცხოელი,
შეგვისისხლხორცდი და იგრძენი ნამდვილ ყოველი,
ამისთჳსა ვარ გულ მხურვალედ მეც მადლობელი
ჩემს აჩრდილს გიძღვნი და შეიტკბე ვითა მშობელი.

ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა
1895 წელსა იანვრის 19, თელავით.[140]

IV.

სადღეგრძელო მარჟორი ვარდროპს

სულით მაღალო და გულით
პატიოსანო ცამდისა,
ვინც გაგაცნო საქართველო,
შეგაყვარა-შეგათვისა,
ვინც ეგ სათნო და ღვთიური
თქვენი თავი მოგვივლინა,
მას ვევედროთ სულით, გულით,
გრწამდეს, ქალო, ყოველთვინა,
რომ გვიცოცხლოს თქვენი თავი
და თქვენი ძმა ოლიეერი,

[140] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, d 20(27).

რომ ორნივე მხიარულათ
ყუნეთ მრავალ-ჟამიერი.

ლ ა დ ო ი ო ბ ი ს ძ ე ი ა შ ვ ი ლ ი

1896 წ. 16 მკათათვეს (თქმული სოფელ ჭალას საზოგადოებისაგან გამართულ სადილზე — კაკლის ქვეშ)[141].

V.

ქ-ნ მარჯორი ვარდროპის ასულს

კეკლუცი იცნობს მოკეთეს,
მის გულის წრფელად ძგერასა
და შეუერთებს თავის ხმას
იმის გალობას, მღერასა.
ჩაეკონება მას გულში
მადლობით სავსე გულითა,
დატკბება მასთან ალერსით
და წრფელი სიყვარულითა.

ს ი ლ ო ვ ა ნ ი [ხ უ ნ დ ა ძ ე]

სოფელი საჯავახო 1896 წ. მარიამობისთვის ვ-ს.[142].

ასევე საყურადღებოა თელავში სტუმრობისას 1896 წლის 2 ივნისს ცნობილი ქართველი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის მიერ მარჯორი უორდროპისთვის მიმართული სიტყვა, რომელიც ახლა ოქსფორდშია დაცული და ასე მთავრდება: „... ძვირფასო სტუმარო, დიდებულ ინგლისის ასულო! ქებულ და მარად ამოუშლელი ბრძანდებოდეთ ქართველთა გულიდამ ინგლისის სასიქადულო ასული, ვითარცა ქართველთა განმანათლებელი მოციქულთ-სწორი ასული ნინო!“[143].

---

[141] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, d 20(25).

[142] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი d 20(28). ეს ლექსი სულ 12-სტროფიანია. ჩვენ მოგვყავს უკანასკნელი მე-11-12 სტროფები.

[143] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, d 20(48).

* * *

მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს ოქსფორდში დაცული მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტების მიერ 1894 წლის 10 დეკემბერს საქართველოში მყოფი მარჯორი უორდროპისადმი გამოგზავნილი ღია წერილი. მისი არსებობის შესახებ აქამდე ვიცოდით მარჯორის 1896 წლის 1 მარტის ბარათიდან პროფესორ ალ. ხახანაშვილისადმი, რომელშიც მარჯორი მას „ჩინებულ წერილად" მოიხსენიებს და „ბევრჯელ წავიკითხე ხოლმეო" — დასძენს. დღემდე ჩვენთვის უცნობი იყო ამ „ჩინებული წერილის" ტექსტი, რომელსაც აქ მთლიანად ვაქვეყნებთ:

„ღრმად პატივცემულო მარჯორ!

როდესაც თავისს ქვეყნის რომელიმე საზოგადო ასპარეზზედ იღვწის ადამიანი, ეს ჩვენ საყოველთაოდ ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია, ვაფასებთ მას იმდენად, რამდენადაც ნაყოფიერია, სასარგებლო და წმინდა მისი მოღვაწეობა, რაშიც უნდა მდგომარეობდეს ეს უკანასკნელი — მწერლობასა, ხელოვნებასა თუ საზოგადო მოღვაწეობის რომელიმე სხვა დარგში. ხოლო არაჩვეულებრივია, იშვიათია ყოველთვის და მაშასადამე, ფრიად ძვირფასი და ერთობ პატივსაცემია საზოგადო ღვაწლი იმისთანა კაცისა, რომელსაც მიზნად დაუდვია თავის სამშობლოს ბედნიერებასთან ერთად კეთილდღეობა და ყოველი წარმატება უცხო ქვეყნისა. სწორეთ ამისთანა იშვიათ მაგალითს კი წარმოადგენთ თქვენ, დიდათ პატივცემულო მარჯორ, ჩვენის, თუმცა, პაწია, მაგრამ ბევრნაირ მადლით უხვად დაჯილდოებულ ქვეყნისათვის.

წინადაც არაერთხელ და არა ერთი უცხოელი მწერალი შესდგომია ჩვენის ქვეყნის შესწავლას, მის კვლევას და ყოველ-მხრივ გაცნობას, ხოლო ისეთი გულსმოდგინება, გულმხურვალება ჩვენ მწერლობისადმი, ისეთი თანაგრძნობა და სიყვარული ჩვენ ქვეყნისადმი, რომელსაც ეხლა ჩვენ ყველანი თქვენში ვხედავთ, ეს მართალი მოგახსენოთ, აროდეს შეგვხვედრია.

მართლაც-და, რამდენი შრომა, მოთმინებაა საჭირო, რომ უცხოეთში მყოფმა უცხო ადამიანმა შეითვისოს ისეთი განსხ-

ვავებული ხასიათის და ისე ძნელად მისაწვდომი არა ბუნებურ მკვიდრისათვის ენა, როგორიც არის ჩვენი სამშობლო ქართული ენა! რაოდენი გულწრფელი თანაგრძნობა და სურვილი სარგებლობის მოტანისა უნდა უღვიოდეს გულში იმ ადამიანს, რომელსაც არ დაუზოგვია თვით უკეთესი ხანა ახალგაზრდობისა, ჩაჰკირკიტებია მისთვის ძნელად გასაგებ ქართულ დაბადებას და სახარებას, აუღია ხელში გრამატიკა ენის შესასწავლად მხოლოდ იმ მიზნით, რომ სწადს გააცნოს თვისს სამშობლოს ძველი ივერის ლიტერატურის უკეთესი ნაშრომ-ნაღვაწი და ამ სახით ცოტად არის მაინც წასწიოს იგი ევროპის სახელმწიფოთა თვალში! რაოდენი სიყვარულით, კაცთმოყვარეობით უნდა იყოს გამსჭვალული ის ადამიანი, რომელიც თვისს სამშობლოდამ მიდის შორს, ძლიერ შორს, რათა თავისს თვალით ჰნახოს ის ქვეყანა, რომელიც მის სულს და გულს შეადგენს, სატრფიალო საგნად გაუხდია.

ყოველი ესე კი გამოაჩინეთ თქვენ, ღრმად პატივცემულო მარჯორ! თქვენ, თუ არ ვსცდებით, პირველმა ინგლისელთაგან, იკისრეთ ჩვენის მწერლობის უკეთესს თხზულებათა გაცნობა. ის, თქვენ მიერ უკვე გამოცემული წიგნი,[144] ვგონებთ, პირველი წიგნია ინგლისურ ენაზედ ქართულიდამ გადმოღებული.

ესეთია დასაწყისი, რომელიც თვისს თავად ჰღაღადებს მომავალზედაც!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ იმ დროს, როდესაც ევროპამ თითქმის სრულიად არაფერი იცის საქართველოს შესახებ, მის ზნე-ჩვეულებისა, ცხოვრების მიმდინარეობისა, საზოგადო მდგომარეობისა და თითქმის არსებობაზედაც-კი, მაშინ ყოველ ისეთ საქმეს, რომელიც ჯანყსა და ბურუსსა ჰფანტავს, მცირედ არს მაინც ჩვენსა და ევროპას შორის არღვევს ზღუდეს, აქამომდე მაღლად ამართულს, ყოველ ესეთ საქმეს, ვამბობთ, დიაღ დიდი და დიადი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, თანასწორე სამსახურს უწევენ ხოლმე მხოლოდ რჩეულნი თვისს სამშობლოს. მაშ, ნება მოგვეცით, დიდად პატივცემუ-

---

[144] იგულისხმება „ქართული ხალხური ზღაპრების" მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, გამოცემული ლონდონში 1894 წელს.

ლო მარჯორ, თქვენც აწ ჩვენ უკეთეს მამულიშვილად ჩაგრიცხოთ.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი ქვეყანა ჯეროვანად დააფასებს ყოველ თქვენ ღვაწლს ჩვენდამი მომართულს. საქართველო ნივთიერად ღარიბია, მაგრამ სულით კი მდიდარია. ამ ჟამად კი, კერძოდ, ქართული სტუდენტობა გულითად უღრმეს მადლობას გიცხადებთ იმ ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენ სამშობლოსადმი და იმედი აქვს, რომ აწ, მომავალშიაც არ მოაკლებთ მას თანაგრძნობასა და სიყვარულს.

მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტები
ქ. მოსკოვი
ი [10] ქრისტეშობისთვე ჩყჟდ [1894] წელსა".[145].

ეს მართლაცდა „ჩინებული წერილი" იმავ დროს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და მისთვის თავდადებული სამსახურის გრძნობით გულაღტყინებულ ქართველ სტუდენტთა ერთგვარი პატრიოტული ფიციცაა, არაჩვეულებრივი შინაგანი ემოციით, დიდი ექსპრესიით დაწერილი. ვინ იცის, რამდენი ახალი შინაგანი ძალა და შთაგონება მისცა ქართველი პატრიოტი ჭაბუკების ამ „ჩინებული წერილის ბევრჯერ წაკითხვამ" დამწყებ ინგლისელ ქართველოლოგ ქალს მის მრავალწლიან და დაძაბულ შემოქმედებით შრომაში.

* * *

ასეთი სამაგალითო სიყვარულითა და თანადგომით ეწეოდნენ ინგლისელი და-ძმა ორი ათეული წლის მანძილზე ქართული კულტურის თავდაუზოგავ სამსახურს, მაგრამ უცებ, 1909 წლის 7 დეკემბერს, ბუქარესტში, მარჯორი თავის უფროს ერთგულ ძმას ხელიდან გამოეცალა. დის მოულოდნელი სიკვდილით დამწუხრებული ოლივერ უორდროპი ერთ გამოუქვეყნებელ ფრანგულ წერილში ოლღა ჭავჭავაძეს ატყობინებს:

---

[145] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, d 20(20), ფ. 45.

„ბუქარესტი, 10 დეკემბერი, 1909 წ.

ძვირფასო ქნეინა ოლღა!

თქვენ ისეთი საშინელი ტანჯვა გამოიარეთ, რომ ალბათ, მთელი გულით მითანაგრძნობთ. ვაი რომ, თქვენი თანაგრძნობა ძალიან მჭირდება. ნუგეშად ის მაინც მექნება, რომ ჩემს უბედურებას სხვაც იზიარებს, თორემ სხვაგვარად ვერ აიტანდი იმ საშინელ დანაკლისს, რომელიც ახლახან განვიცადე. ცხოვრება სამუდამოდ დამსხვრეული მეჩვენება: ოთხშაბათს, 7 დეკემბერს (ახალი სტილით), დილის 8 საათსა და 45 წუთზე დაეკარგე ჩემი საბრალო მარჯორი — ადამიანი, ვინც სიცოცხლეს მერჩია. რამდენიმე დღეში ინგლისს მივემგზავრები, რათა გადავასვენო ცხედარი და მამაჩემის გვერდით დავმარხო. ჩემი მისამართი იქნება: ბელმონტი, სევენოუქსი. ინგლისი.

სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე სიყვარულით გიხსენებდათ, არასოდეს არ ივიწყებდა თავის ძვირფას საქართველოს.

მეტისმეტად ნუ იგლოვებთ, რადგან მარჯორი ვერ აიტანდა, რომ მისი მიზეზით ვინმე უბედური ყოფილიყო.

შეატყობინეთ მის მრავალრიცხოვან მეგობრებს საქართველოში ეს სამწუხარო ამბავი.

თქვენი ერთგული ოლივერ უორდროპი“.

მალე, მარჯორი უორდროპის საფლავთან მუხლმოსაყრელად სევენოუქსში ჩასულ ქართველებს, და მათ შორის, ცნობილ მწერალს თედო სახოკიას, იქ, „მაჯის“ (როგორც შინაურობაში საალერსოდ ეძახდნენ), დედა და უფროსი ძმა — ოლივერი დახვედრიათ.

როგორც „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის 27 ივნისის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სახოკიასეული ერცელი წერილის ბოლოში ვკითხულობთ, უძვირფასესი დის სამუდამოდ განშორების თვითმხილველი ძმის გადმოცემით, „სიკვდილის პირათ სარეცელზე მწოლარეს უკანასკნელ წამებში ენა ჩავარდნოდა. რაკი ენა აღარ ემორჩილებოდა, ჰაერში ხელით დაეხატნა სიტყვა „საქართველო“, სახელი იმ ქვეყნისა, რომელიც შეადგენდა მისის ზრუნვის საგანს, და სულიც განუტევებია“!

5. „ვერ ვპოვე სხვა ქვეყანა ასეთი მშვენიერი და საყვარელი, როგორც საქართველო“!..

თანამედროვეთა გადმოცემით, გრიგოლ ორბელიანი, თურმე, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეთა წერილებს „დაუჯდომელის ლოცვანივით“ პერანგზე მიკერებულ ჯიბეში გულით ატარებდაო (ცნობა იუნონა ტელემაქის ასულ გურიელი-დადიანისა).

ოქსფორდში აღმოჩენილი მარჯორი უორდროპის ქართული წერილები მართლაც რომ გულით სატარებელია.

* * *

მარჯორი უორდროპისა და თვალსაჩინო ქართველი მწერალი ქალის განდეგილის (დომინიკა ერისთავ-მდივნის) მეგობრული ურთიერთობის თაობაზე ჩვენთვის ცნობილია გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის 19 იანვარს გამოქვეყნებული განდეგილის უსათაურო ლექსი: „ზამთრის სუსხი დგას, მთაბარსა თეთრი ზეწარი ჰფენია...“, რომელიც მარჯორის საქართველოში პირველად ჩამოსვლას ეძღვნებოდა.

მაგრამ ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის დღემდე სრულიად უცნობია განდეგილის და მარჯორი უორდროპის მიმოწერა, რომელიც ოქსფორდშია დაცული.

განდეგილის წერილებში გადმოცემულია მწერალი ქალის მიერ უცხოელი მეგობრისთვის გამჟღავნებული უფაქიზესი სულიერი განცდები, ზოგჯერ ღრმა ტრაგიზმამდე მისული სასოწარკვეთილება და გულწრფელი აღსარება, რომელიც ახალი შტრიხებით ავსებს მის შემოქმედებითს პორტრეტს, ხასიათსა და მწერლურ ნიჭიერებას. ამ მხრივ, განდეგილის აღნიშნული წერილები ქართული ეპისტოლარული ლიტერატურის ნამდვილი შენაძენია. გთავაზობთ მათ:

I

10 ენკენისთვე, 1896 წელი, ტფილისი

ჩემო ძვირფასო მეგობარო მარჯორი!

აგერ ერთს თვეზედ მეტია, რაც წახველით, მაგრამ აქამდე ნამდვილად არ ვიცოდი ქერჩში იყავით თუ კიდევ მოგზაუ-

რობდით. ახლა, რაკი გავიგე, რომ მანდა ხართ, ვისწრაფვი მოგილოცო მშვიდობით მისვლა შენს ბინაზე და შორს მყოფმა მეგობრულის გრძნობით დაგკოცნო.

როგორა ხარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მოწყენილი ხომ არა ხარ? ივერიკომ[1] [მიქელაძემ] მითხრა კარგად არისო, მაგრამ მაინც მინდა საკუთრად შენგან ვიცოდე შენი ამბავი. ხშირად არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ ადამიანი სრულებით ჯანმრთელად არის, მაგრამ იმავე დროს ავად კი არის. მართალია, ადამიანი უმთავრესად ორი ელემენტისაგან არის შემდგარი: სულიერისა და ხორციელისაგან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ხორცი სულის სარკედ ვერ ხდება... შენი არ ვიცი და მე კი, რამდენადაც ჩემს თავს დავკვირვებივარ, გაოცებული ვარ ჩემის ორ-გვარობით. ბევრჯერ სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანს ხოლმე სულის აღშფოთებული მდგომარეობა, მაგრამ ჩემს გარეგნობას — სიმრთელეს სრულიად არ ეტყობა ესა. ასეთ წამებში ყველაფერი მეზიზღება, მეზიზღება თვით ჩემი საკუთარი თავი, ვგმობ ჩემს გაჩენას, ჩემს სულს, გრძნობას, რომ თავიანთი მწუხარების დაღს არ ასმენ ჩემს გარეგნობას... სულით ვიტანჯები და ხორცით კი კარგად ვარ! როგორ მოგწონს?

რომ მკითხო, — რა მტანჯავს, — გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემ. ჩემი გონება ვერ შერიგებია იმ უცვალებელ კანონს, რომ ქვეყანა, — ეს საუკეთესო გვირგვინი ბუნების ნაწარმოებთა შორის, — კაცის ფეხით ითელება. მერე, აფასებს ადამიანი ამ დიდებას? — არა, არ აფასებს. რომ აფასებდეს, მაშინ ამდენი საძაგლობაც არ იქნებოდა ქვეყანაზე, ყველა ძმურის კავშირით იქნებოდა შეერთებული. ახლა კი, საითაც გაიხედავ, ყველგან ღალატს, ორპირობას და მოტყუებას ჰხედავ; ცრუობს ყველა და ყველაფერი და ამიტომ თვით ცა და ქვეყანაც ცრუობად და არარაობად მეჩვენება... ბედნიერია ის, ვისაც სარწმუნოება შერჩენია. მე კი, ჩემო საყვარელო დაო, არასოდეს აღარ დამიბრუნდება ჩემი ბედნიერება, ვერავინ ვერ აღმიდგენს ჩემს წარწყმედილს რწმენას და ამიტომაც არის, რომ ავადმყოფი ვარ. ძნელია ასეთი ავადმყოფობა...

---

[1] ივერიკო მიქელაძე — ცნობილი ქართველი ჟურნალისტის დავით მიქელაძის (მეველის) უფროსი ვაჟი.

უკაცრავად ვარ, თავი მოგაბეზრე ამგვარი მსჯელობით. ნუ გაგიკვირდება, რომ ახლად გაცნობილს ასე გულახდილად გელაპარაკები, ამას თავისი მიზეზი აქვს. ბევრი მყავს დიდის ხნის ნაცნობი და ნათესავი, მაგრამ რასაც ეხლა წაიკითხავდი, გარწმუნებ, პირველად გადამაქვს ქაღალდზე.

მომწერე შენი ამბავი, როდის მიდიხარ ინგლისში, ან რა ჰქენი „ეფხვის ტყაოსნის“ შესახებ. მე ძალიან გულით მინდა, რომ ერთი კვირით მაინც მოვიდე შენთან, მაგრამ ბილეთი (паспорт) არა მაქვს და რანაირად წამოვიდე? რომ ვთხოვო მარშალს, ჩემი ქმრის ნება-დაურთველად არ მომცემს და ამიტომ ვერა ვბედავ, თორემ, უეჭველად წამოვიდოდი რამდენიმე დღის ვადით. მე მგონია, ბილეთს მომთხოვენ მანდ!

შენი ჰირიმე, მარჯორი, დიდის პატივისცემით მომიკითხე თქვენი დედ-მამა და ძმა. ვისურვებ ყველა მაგათს მშვიდობას. თომამ[2] რაც ინგლისური სიტყვები დამაწერინა, თითქმის ყველა ვისწავლე.

სხვა რა მოგწერო, ჩვენი რედაქცია,[3] მგონი, ამ თვის გასულს გაიხსნება. ილიამ თქვა, როგორც ჩამოვა შერემეტიევი,[4] ისე მივალო. 14 ამ თვეს მოელიან და ვნახოთ, რა იქნება.

წაიკითხე თუ არა „მოამბეში“ ჩემი მოთხრობა „თვალები“ — ივლისის ნომერში? თუ წაიკითხე, შემატყობინე შენი აზრი, რაც ნაკლულოვანება აქვს, მომწერე, მადლობელი ვიქნები.

შ ე ნ ი დ ო მ ი ნ ი კ ა.

დიდის პატივისცემით მოგიკითხათ ჩემმა დეიდაშვილმა ანდრია ღულაძემ[5]. ნუ დამივიწყებ. ჩემი ადრესი ხომ იცი: მიხეილის ქუჩა, № 134, დომინიკა ერისთავისას. გკოცნი სიყვარულით[6].

---

[2] თ ო მ ა ს უ ო რ დ რ ო პ ი — მარჯორის უმცროსი ძმა, რომელიც 1896 წლის ზაფხულში იყო საქართველოში მარჯორთან და დედ-მამასთან ერთად.

[3] იგულისხმება გაზეთ „ივერიის“ რედაქცია, რომელიც დროებით მაშინ დახურული იყო 1896 წლის 17 მაისიდან წლის ბოლომდე.

[4] იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი.

[5] ა ნ დ რ ი ა ღ უ ლ ა ძ ე — ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, საყმაწვილო ჟურნალ „ნობათისა“ და გაზეთ „დილას“ რედაქტორ-გამომცემელი.

[6] ოქსფორდი, უორდროპების ფონდი — d 20(75).

II

1 აგვისტო, 1897 წელი, ტფილისი

ჩემო ძვირფასო მეგობარო მარჯორი!

იქნება ისე განრისხებული ხართ ჩემზე, რომ ხელიც არ მოჰკიდოთ ამ ჩემს წერილს! მე სწორედ ღირსი გახლავართ ამისა, რადგან დიდათ დამნაშავე ვარ თქვენთან, რომ ამდენს ხანს წერილი ვერ მოგწერეთ, მაგრამ იმდენი დამაბრკოლებელი მიზეზები შემხვდა, რომ თუ ოდესმე მეღირსება თქვენი ნახვა და გიამბობთ, დარწმუნებული ვარ, მომიტევებთ.

თითქმის ამ ერთი წლის განმავლობაში ორი დღე მოსვენებით არ გამიტარებია, ისე უკუღმა მიდის ჩემი საქმე... ჯერ იყო და, ხომ იცით, „ივერია“ იმდენს ხანს დაკეტილი იყო, მეგონა, გაიხსნება და ჩემს ადგილს მევე დავიჭერ-მეთქი. ამ მოლოდინის უფლება მქონდა, რადგან ხუთ წელიწადს ერთგულად ვემსახურებოდი „ივერიას“ და ჩემი საუკეთესო ძალღონე მას შევსწირე. მაგრამ, წარმოიდგინე, ჩემს ადგილზე სხვა მიიღეს და მე — კი უადგილოდ დამაგდეს. დავით მიქელაძე მივიდა ილიასთან და უთხრა თურმე: დომინიკას რატომ არ აძლევთ თვისს ადგილსო. მაგრამ ილიამ უპასუხა: „ჩვენში ჩვეულება არ არის, რომ ქალმა სავაჟო საქმე გააკეთოს და კაცებთან ერთად იშრომოსო“.

ძალიან გამიკვირდა ეს, მით უფრო იმ კაცისაგან, რომელსაც კარგად ესმის, რომ ქალიც ისეთივე ადამიანია, როგორც კაცი, და შრომა თუ შეუძლია, სულ ერთი უნდა იყოს, ვინც იშრომებს.

რაღა დამრჩენოდა?! ძალას ხომ არ დავატანდი თვისს გაზეთში? „სტრიქონებით მივცემთ ფულს და გვიწეროსო“ — ეთქვა. მეც ვწერ ხრონიკას და ხანდახან ლექსს, მაგრამ ამის ჰონორარს გაზეთის ფასში მირიცხავენ, რადგან გაზეთს მიგზავნიან და მე კი ვარ ასე...

მართალია, ვწერდი „კვალში“, რაც შეეძლოთ კიდეც მაძლევდნენ, მაგრამ რა ჰქნან, როცა რედაქცია ღარიბია? ამიტომ მეც ვერ ვუწერ იმდენს, რამდენიც მე საცხოვრებლად მეყოფა. ხუთი თვეა, რაც „ცნობის ფურცელში“ დავიწყე მუშაობა, ვასწორებ სხვისი ნაწერების ანაქვსს (სტილი), რადგან

სხვა საჩემო განყოფილების პროგრამმა არა აქვს იმ გაზეთს, და თითქმის მუქთად ვმუშაობ, თვეში ოც მანეთად, მაგრამ ამ ხუთ თვეში სწორედ სამი თუმანი მიმიღია, არა აქვს შეძლება და საიდგან მომცენ. ხელის მომწერლები ბლომად ჰყავს, მაგრამ რედაქტორი[7] იმდენად უვიცია, რომ თეატრი აიღო იჯარით, მოიწვია საოპერეტო დასი და იზარალა. მეტი რა გზა ჰქონდა, გაზეთის შემოსავალით არტისტები გაისტუმრა და ჩვენ, თანაშრომლები კი უპუროდ ვზივართ.

ასეა ქართული მწერლობის საქმე, ჩემო ძვირფასო დაო და მეგობარო! ჩვენ თვითონ რომ არ ვარგივართ, მწერლობა რითი უნდა გვივარგოდეს!.. ბევრად უკეთესია, კაცი სადმე ქარხნის მუშათ იყოს, ვიდრე აქ ლიტერატურას შესწიროს თავი. ქარხნის მუშებს არსებითი პური მაინც აქვთ!.. და ჩვენ კი ამაზედაც ვზრუნავთ, თუმცა მუშაობით ბევრს ვმუშაობთ...

ყველა ამას იმიტომ გწერ, მეგობარო, რომ თუ ვრცლად არა, რამდენადმე მაინც იცოდე ჩვენი მდგომარეობა.

მომწერე წერილი და ნუ დამივიწყებ. დამერწმუნე, მუდამ მახსოვხარ და გულითად მეგობრად გთვლი, თორემ ასე გულახდილადაც არ მოგწერდით ჩემს ამბავს.

დიდის პატივისცემით მოვიკითხავ თქვენს მშობლებს და თომას, ღმერთს ვსთხოვ, რომ ყველანი კარგად ბრძანდებოდეთ. ნუ მიჰხედავთ ჩემს სიჩუმეს, მომწერეთ წერილი, თქვენი ჭირიმე.

დიდის პატივისცემით მოგიკითხეს ჩემმა ძმამ ურბნელმა[8] თვისის ცოლით[9] და შიო არაგვისპირელმა. რამდენჯერმე მთხოვა არაგვისპირელმა თქვენთვის მოკითხვა გადმომეცა.

მარჯორი, თუ ხახანაშვილს[10] წერილი მისწერო, ჩემს მაგივრად დიდი საყვედური შეუთვალეთ, რომ ამდენს ხანს პა-

---

[7] ამ დროს „ცნობის ფურცელის" რედაქტორ-გამომცემელი იყო ვალერიან გუნია.

[8] ნიკო ხიზანიშვილი.

[9] ცნობილი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

[10] პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი.

სუხი არ მომცა ჩემს წერილზე. აქ არ ჩამოსულა, მგონი, საზღვარ-გარეთ აპირებდა წასვლას წელს.

ველი, მეგობარო, შენს წერილს მალე.

სულით და გულით თქვენი ერთგული მეგობარი

დ ო მ ი ნ ი კ ა ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა ს უ ლ ი.

ჩემი ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 199, განდეგილს.

ამჟამად სად იმყოფებით, მაცნობეთ, რათა იქ გამოგიგზავნოთ წერილი. მოველი ვრცელ წერილს თქვენგან.[11]

III.

20 აპრილი 1907 წელი პეტერბურგი

დიდად პატივცემულო ბატონო ოლივერ!

გთხოვთ მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, მით უმეტეს, რომ თქვენ პირადათ არ გიცნობთ. თქვენი და — მარჯორი ვარდროპი, ჩემი კარგი მეგობარია, გულით მინდა იმისი ნახვა და არ ვიცი, ამ ჟამად სად არის. მინდა აგრეთვე თქვენი გაცნობა, როგორც სასახელო ინგლისელისა, რომელმაც ჩემი სამშობლო შეიყვარა. არ ვიცი, როდის შეიძლება თქვენი ნახვა. თუ შეიძლება, ორის სიტყვით მაცნობეთ პასუხი.

თქვენი პატივისმცემელი

გ ა ნ დ ე გ ი ლ ი.

ჩემი ადრესი: ნევის პროსპექტი № 75, ერისთვისა.[12]

ამის შემდეგ, დაე, თვითონ მკითხველმა განსაჯოს მარჯორი უორდროპის უცნობი ქართული წერილების ხიბლი, რომლებიც საქართველოში რეაქციის მძვინვარე 1907—1908 წლებშია გამოგზავნილი განდეგილისა და მილანის საოპერო თეატრის სახელგანთქმული ქართველი მომღერალი ქალის ელენე თარხნიშვილისადმი. მარჯორის ეს წერილები აქ პირველად ქვეყნდება (სტილი დაცულია):

---

[11] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(76).

[12] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(77).

I

ბრიტანეთის საკონსულო, ბუქარესტი, რუმინეთი
18/31 მკათათვე 1907 წ.

საყვარელო მეგობარო განდეგილი,

თითქმის ორი თვეა, რაც მივიღე თქვენი ბარათი, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზისათვის აქამდე ვერ მოგწერე წერილი. სამწუხაროთ, ჩვენ პეტერბურგიდან წასულვართ თქვენი მოსვლის წინ. როდის მობრძანებულხართ რუსეთში? ცხრა თვეა რუმინიაში ჩვენ მოსულვართ, პეტერბურგის ჰაერი ნამეტანი სასტიკი და შავნებელი იყო ჩემი ძმისთვის.[13]

როგორ ბრძანდებით? დიდი, დიდი ხანია თქვენი ამბავი აღარ მომდის, თუმცა ხანდახან ვჰკითხულობ თქვენ ლექსებს გაზეთებში. ბევრი გამოცველა ყოფილა თქვენ საყვარელ სამშობლოში და ვსტირ საქართველოს უბედურობას.

ღმერთმან ინებოს და მალე იყოს მშვიდობიანობა და ბედნიერება თქვენ ქვეყანაში!

ჩემი ძმა გმადლობს მრავალჯერ თქვენი ბარათისთვის და უნდა აგრეთვე თქვენი გაცნობა, როგორც სასახელო მწერალ ქართველ ქალისა. სურვილი მაქვს კიდევ გნახამთ ოდესმე. ხშირათ ვლაპარაკობთ საქართველოზე. კარგად მახსოვს ის ღამე, როდესაც პირველად გნახეთ საგურამოში. მშვენიერი, მთვარიანი ღამე იყო და ვიყავით ყველანი აივანზე და მე როგორც სანატრელ სიზმარში ვიყავი![14]

ვნახეთ პატივცემული თავადი ილია და კნეინა ოლგა პეტერბურგში შარშან; დიდათ, დიდათ ვისიამოვნეთ.[15] თუ თფილისში არიან ახლა?

---

[13] პეტერბურგის ჰავა მავნებელი აღმოჩნდა ოლიერ უორდროპის ჯანმრთელობისათვის, სადაც იგი ბრიტანეთის საელჩოში მსახურობდა. ამიტომ იგი 1906 წელს გადაიყვანეს კონტინენტური ჰავის ქვეყანაში, რუმინეთში — ბუქარესტში, ბრიტანეთის საკონსულოში სამუშაოდ.

[14] იგულისხმება 1896 წლის 20 ივლისს, ილიაობაზე, საგურამოში მარჯორი უორდროპის სტუმრობა ილია ჭავჭავაძესთან. მარჯორის მაშინ თან ახლდნენ დეღ-მამა და უმცროსი ძმა — თომასი.

[15] სახელმწიფო საბჭოში ახლადამორჩეული ილია ჭავჭავაძე შეუღლი-

სხვა რა მოგასსენოთ? ბევრს ვჰმოგზაურობთ ამ ათ წელიწადში, მაგრამ ვერ ვჰპოვე სხვა ქვეყანა ასეთი მშვენიერი და ჩემთვის საყვარელი როგორც საქართველო!

გთხოვთ მომწეროთ წერილი და მიამბოთ თქვენი ამბავი. ჩემმა დედამ და ძმებმა მრავალი მოკითხვა გიძღვენ.

ვინატრი თქვენს მშვიდობას

თქვენი ერთგული მეგობარი

მ ა რ ჯ ო რ ი.[16]

II.

ბრიტანეთის საკონსულო, ბუქარესტი
20/2 აპანისა 1908 წ.

ჩემო საყვარელო და ძვირფასო მეგობარო ელენე,

თქვენმა წერილმა ფრიად გამახარა; მუდამ მოხარული ვარ, როდესაც მომივა თქვენი ამბავი. ხშირათ მაგონდებით თქვენ და ბაბო[17] ამ ზაფხულს. ნეტა ჩვენც თქვენთან საქართველოში გიახლებოდით. თერთმეტი წელიწადია, რაც იქ არ ვყოფილვარ და ხანდახან მეშინიან, რომ არასოდეს არ ვჰნახავ კიდევ იმ მშვენიერ და ძვირფასს ქვეყანას.

ღვინობისთვეში ჩემმა ძმამ და მეც გავატარეთ სამი დღე კონსტანციაში, შავი ზღვის პირზე და ყოველთვის ვუყურებდით მისს ზვირთებს იქით საქართველოსკენ. მარტო ზღვა იყო ჩვენს და იმის შუა!

უეჭველია ბევრი დამაღონებდა თუ კვლავ ვიმოგზაურეთ იქ. სიკვდილმა წაგვართვა რამთონი ძვირფასი მეგობარი; რამთონი მშვენიერი სახლ-კარი, სადაც სტუმრათ ვიყავი, დღეს აოხრებულია და სადაც უწინ იყო მშვიდობა და სვიანობა, დღეს სუფევს ჩხუბი და შავი დღე. ღმერთმან ჰქმნას და მალე გათენდებოდეს დღე ბედნიერებისა!

თურთ 1906 წელს ჩავიდა პეტერბურგში, სადაც უნახულებია მარჯორი და ოლივერ უორდროპები. 1903—1906 წლებში ოლივერ უორდროპი ბრიტანეთის საელჩოში მსახურობდა პეტერბურგში და მარჯორიც თან ჰყავდა წამოყვანილი.

[16] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(68).

[17] ბაბო ბაგრატიონი, ტასო მაჩაბლის და.

ვჰკითხულობ, რომ პეტერბურგში დიდი სიცივეა. თქვენ საწყლებო! აქ აქამდის ზამთარი ზომიერი ყოფილა, მაგრამ ახლა ჩრდილოეთით ციკი ქარი ჰქრის და ჰთოვს.

თუ არ გაჭირდება და მოცლა გექნებათ, მე დიდი მადლობელი ვიქნებოდი თუ მითხარით, როდესაც მომწერთ, უმთავრესი შეცდომები ჩემს წერილში. მეც ვიცი, რა გლახათ ვჰსწერ ქართულად, და ჩემი სურვილია, რომ ყოველთვის უფრო და უფრო კარგათ შევისწავლო თქვენი მშვენიერი ენა. ახლა კი ჩემთვის სანანური არის, რომ პეტერბურგში ასეთი ზარმაცი ვიყავი. იქ მქონდა მრავალი შემთხვევა ქართულის შესწავლისა; აქ, სამწუხაროთ, არ არის ერთი ქართველი.

ჩემმა ძმამ გიძღვენს გულითადი მოკითხვას; თქვენ პატივცემულ მამას და ბიძისცოლს ვუძღვნი მრავალს მოკითხვას და აგრეთვე კნ. გელოვანისას.[18]

იმედია მალე მომწერთ თქვენს სასიამოვნო ამბავს. ნეტა თუ მეღირსება თქვენი საყვარელი სახის ნახვა და თქვენი მშვენიერი, მომხიბლავი მღერას სმენა.

გკოცნი ურიცხვს და ვინატრი თქვენს მშვიდობას. მოგვილოცავთ ახალი წელიწადი.

მარად თქვენი ერთგული და მოყვარული მეგობარი
მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ.

ახლა მივჰსწერ ბაბოსთან".[19]

ან, რამდენი ადამიანური სითბო და სათნოებაა ჩაქსოვილი მარჯორი უორდროპის 1908 წლის 23/6 იანვრის უცნობ წერილში ტასო მაჩაბლის დის — ბაბო ბაგრატიონისადმი, რომელიც ქართულ ენაზეა მოწერილი ბუქარესტიდან:

„ბუხარესტ. 23/6 აპანისა 1908 წ.

ჩემო საყვარელო მეგობარო [ბაბო],

მოგვილოცავს ახალ წელიწადს. ვინატრით თქვენს მშვიდობას და ბედნიერობას.

გუშინწინ მივჰსწერე ელენეს და დღეს წერილი ვჰსწერ

---

[18] ალბათ, იგულისხმება დ ე ს პ ი ნ ე გ ე ლ ო ვ ა ნ ი, ცნობილი ქართველი მწერალი ქალი, რომელიც წერდა ბ ა ნ ო ვ ა ნ ი ს ფსევდონიმით.

[19] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(69) აქვე არის შავი ამ წერილისა — d 20(70-71).

თქვენთან, თუმცა პასუხს ჯერ არ მივიღე თქვენგან. ნუ სწუხ-დებით პასუხის მოწერას, თუ მოცლა არ გექნება. მე ვიცი მუ-დამ რა საქმიანი ხართ და თუმცა უდიდეს სიამოვნით მი-ვიღე წერილები თქვენგან, არ მინდა რომ უფრო მეტი შრომა გეპირდებოდა.

ჩვენ ორივენი კარგათ ვართ. ხშირათ ვჰლაპარაკობთ თქვენ-ზე. სად აპირებთ მომავალ ზაფხულის გატარებას. მობრძან-დით ინგლისში კნ. ელენით და ჰნახეთ ერთი ჩვენი ქვეყანა! ჩვენ ვაპირებთ იქ ჩამოსვლას ვარდობისთვეში ანუ თიბისაში და დავჰრჩებით, თუ შეიძლება, რამდენიმე თვე.

ახალ წელიწადზე მე მქონდა წერილი ჯესი დრუმმონდის დედისაგან. მომწერს, რომ ჯესი კარგათ არისო, გაკვეთილე-ბიც აქვსო და რამთენიმე მეგობარიც ჰყავს ტფილისშიო. ბა-ტონი ნევინსონ ინდიაში მოგზაურობს.

გუშინ ღამით გნახეთ სიზმარში და თქვენ მწუხარებაში იყავით. ჩვენში ამბობენ, რომ ეს კარგი ნიშანია. ღმერთმან ჰქნას, რომ თქვენი სვიანობის ნიშანი იყოს. მე ვუწოდე სიზ-მარში ხმამაღლა ორჯელ — ბაბო! ბაბო!

აქ დარი ანაზდათ შეცვლილა და დიდი ყინვაც არის. მშვე-ნიერი მზიანი დღეები იყო.

იმედია, რომ კარგი ამბავი მოგდის თქვენი დებითგან.[20] ხომ ჰსწავლობს ბეჯითი ნიკო[21] ეხლა? მრავალი მოკითხვა და ნახვის ნატვრას ვუძღვნით ყველას.

ჩემმა ძმამ გიძღვენს გულითადი მოკითხვა. ბევრს და ბევრს გკოცნი ჩემო სულით და გულით მეგობარო.

მარად თქვენი ერთგული

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ".[22]

ოქსფორდში დაცული მარჯორი უორდროპის ორი ადრინ-დელი უცნობი წერილიდან ირკვევა, რომ პეტერბურგში ცხოვრებისას მარჯორს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქო-

---

[20] იგულისხმება ბაბო ბაგრატიონის დები — ნინო (ნიცა) ბაგრატიონი-წერეთლისა (საჩხერელი თავადის — ბეჟან წერეთლის მეუღლე) და ტასო ბაგრატიონი-მაჩაბლისა (ივანე მაჩაბლის მეუღლე).

[21] იგულისხმება ივანე მაჩაბლის ვაჟი — ნიკო მაჩაბელი (1892—1924), ბაბო ბაგრატიონის დისშვილი.

[22] ოქსფორდი, უორდროპების ფონდი — d 20(72).

ნია ბაბო ბაგრატიონსა და ზემოთ უკვე ნახსენებ ცნობილ ქართველ მომღერალ ქალთან — ელენე თარხნიშვილთან.

აი, მარჯოროს ეს უცნობი წერილებიც ბაბო ბაგრატიონისადმი:

I

(ბრიტანეთის საკონსულო, სანკტ-პეტერბურგი)
27. IV. 1905 წ.

ჩემო საყვარელო და ძვირფასო მეგობარო,

თქვენმა წერილმა დიდათ გამახარა. გუშინწინ მინდოდა თქვენთან მოსვლა, მაგრამ ავდარი იყო და ბერე დამიგვიანდა.

გთხოვთ გარდასცეთ უგულითადეს მადლობა თქვენს ნაცნობს[23] მისი გულკეთილი სურვილისათვის.

როდის მობრძანდებით კიდევ ჩვენთან? თუ შეიძლება მობრძანდით კვირას, თქვენი ნაცნობით; მისი გაცნობა ჩვენთვის სასიამოვნო იქნება. კვირას ჩვენ შინ ვიქნებით მეოთხე საათზე.

ჩემმა ძმამ მოკითხვა გიძღვნათ.

გკოცნი ურიცხვს და მოველი თქვენს ნახვას მალე.

თქვენი ერთგული მეგობარი

მარჯორი უორდროპი

II.

[ბრიტანეთის საკონსულო, სანკტ-პეტერბურგი]
შაბათს, 7/20 მაისი 1905 წ.

ჩემო საყვარელო და ძვირფასო მეგობარო,

დიდად ვსწუხვარ, რომ გუშინ შინ არ ვიყავით, როდესაც თქვენ და ქალბატონი თარხან-მოურავი[25] მობრძანებულხართ ჩვენთან.

თუ შეიძლება მობრძანდეთ ჩვენთან თქვენი ნაცნობით სადილად, მომავალ კვირას ოთხშაბათს, 7 ს. 30 წუთზე. თუ არ შეგიძლიანთ ოთხშაბათს, მომწერეთ, რომელი დღე თქვენ უფრო შეგეფერებათ.

---

[23] ელენე თარხნიშვილი.

[24] ოქსფორდი, უორდროპების ფონდი — d 20(88).

[25] ელენე თარხნიშვილი.

თქვენი ჩემი წერილის გასწორება ძალიან მომეწონა. დიდათ გმადლობთ. თუ არ მოგეწყინება, გთხოვთ შემდეგშიც გაასწორეთ ჩემი შეცდომა.

ჩემმა ძმამ მოგიკითხათ. გაკოცებთ ბევრს.

თქვენი მარად ერთგული მეგობარი

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი.

მარჯორი უორდროპის პირად არქივს ოქსფორდში შემოუნახავს აგრეთვე მისი იმ ქართულ წერილთა ასლები და შავი ცალები, რომელთა თეთრ ეგზემპლარებს დღეს საქართველოს სიძველეთსაცავებში დაუდევთ ბინა. მაგრამ ამ ასლებს თუ შავ ჩანაწერებს საბოლოოდ გადათეთრებულ დედნებთან შედარებით მაინც ბევრი ძვირფასი განსხვავებული სტრიქონი მოეპოვება, ხოლო ზოგიერთმა კი გადაგვირჩინა ჟამთა ვითარებაში ადრესატის მიერ უკვე სამუდამოდ დაკარგული წერილის ტექსტი. ესენია მარჯორი უორდროპის წერილები ოლღა ჭავჭავაძისადმი (d 20/4—1, 5, 6, 7, 8, 11[a]; e—33), ივანე და ელისაბედ როსტომაშვილებისადმი (d 20/4—11), ანეტა ჭყონიასადმი (d 26/4—12).[27]

მათ შორის აღმოჩნდა მარჯორის უცნობი ქართული წერილები ოლღა ჭავჭავაძის, პროფ. ალ. ცაგარლის, ცნობილი თეატრალური მოღვაწის, მწერლისა და ჟურნალისტის ნიკო ავალიშვილის, ვასილ რცხილაძისა და სამსონ ფირცხალავასადმი.

აი ისინიც:

I.

ო ლ ღ ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა დ მ ი:
ბუქარესტი 9 მარიამობისთვე 1909

ღრმათ პატივცემულო და უსაყვარლესო მეგობარო,

თქვენმა წერილმა ფრიად გამახარა. მადლობას გწირავთ ხსოვნისთვის. პასუხი დამიგვიანდა თქვენთან იმიტომ, რომ ამ ორი თვე დედა ჩვენთან ყოფილა და მოცლა არა მქონდა.

---

[26] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (87).

[27] შდრ. ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-უ რ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 127, 139, 140—144, 166—167.

ჩვენ ერთად გავატარეთ სამი კვირა კარპატიის მთებში, სოფელ პრედეალში და ოლივერ მოსულა ხოლმე ჩვენთან შაბათითგან ორშაბათამდე. ჰაერი იქ ჩინებულია და მშვენიერი ადგილია. ბუნება ცოტათ წააგავს საქართველოს (ბუსებით კი მომაგონდა საქართველო). ძმამ თომამ, სამწუხაროთ, მხოლოდ ერთი თვე რუმინიაში გაატარა ამისთვის, რომ საქმეები ჰქონდა ლონდონში.

ორშაბათს დედა აპირებს მოსლვას სახლში. მე თანა მოგზაური ვიქმნები ბუდაპეშტამდე და იქ გავატაროთ ორი დღე ერთად. მერე დედა მიდის ინგლისში და მე დავბრუნებ ოლივერისთან. დედის ყოფნა ჩვენთან ძალიან სასიამოვნო ყოფილა და მასთან გაყრა ძნელია...

(მოგეხვევით ჩემო საყვარელო ოლგა და გკოცნით ურიცხვს.

ვინატრი თქვენს ბედნიერობას

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ).[28]

II.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ც ა გ ა რ ლ ი ს ა დ მ ი:
„11 თიბისა 1909, [ბუქარესტი]

ღრმათ პატივცემულო პროფესორო,

ნუ გგონიათ, რომ ჩემგან დავიწყებულ არს ქართული ეკლესიის საქმე.[29] მივიღე თქვენი კეთილი წერილი[30] და სტატიები და მეყუსეულად მივსწერე ერთ ნაცნობ (გამოჩენილ) ანგლიელ კაცთან, რომელიც ძლიერი მეგობრები ჰყავს რუსეთში. მისგან პასუხი მაქვს მეტყველი თუ ვსწერეო მეგობრებთან და თანაგრძნეულ პასუხთ მომცემენო.

ჩვენ რამთენიმე კვირაა შევითვისეთ ერთი ძველებური

---

[28] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/4(2). წერილი გამოგზავნილია ბუქარესტიდან, როდესაც მარჯორი ოლივერის კონსულად ყოფნისას ცხოვრობდა რუმინეთში — 1907—1909 წლებში.

[29] იგულისხმება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლა, რომელიც გაიშალა 1900-იან წლებში.

[30] იგულისხმება ალ. ცაგარლის 1909 წლის 20 მარტის/2 აპრილის წერილი მარჯორისადმი, რომელიც დღეს ოქსფორდში, უორდროპთა ფონდშია დაცული.

ქართული ხელთნაწერი გერმანიითგან. სამწუხაროთ, დასაწყისი და ბოლო არ არის, მაგრამ ჯერ კიდევ 145 გვერდები შეიცავს. მშვენიერი ხუცური ხელით დაწერილია და ჰსჩანს, ხალკლესიო გალობანი არის. მყიდველი გვიამბობდა, რომ მე-XI ან XII საუკუნის ხელთნაწერია. გამოგიგზავნით მალე ერთ ორ გვერდის დახატული საფოტოგრაფიოს მანქანით და შეიძლება თქვენ შეადაროთ სხვა ხელთნაწერებთან და გვითხრობთ ძვირფასია თუ არა.

ვჰნახავ დღეს „დროებაში", რომ პროფესორ მარრისაგან გამოცემულია ახალი წიგნი „Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI-XII вв" გჰსთხოვთ, კეთილ ინებოთ, გამოგვიგზავნოთ ამ წიგნს და როდესაც ვიცოდი რამთენათ, გიგზავნით ფულს, ვალდებული ვარ.

საქართველოდან ხან და ხან მომდის ამბები. კნეინა ოლგა ჭავჭავაძე ძალიან ხშირათ მომწერს და მივიღე ჟურნალები ხოლმე.

დიდი ხანია არა მაქვს ოლგა მირზაშვილის[31] ამბავი და ვერ გავიგე მისი ადრესი. მივჰსწერე „Адресный стол"-ში, მაგრამ ამაოდ. თუ იცით, სად არის, მადლობელი ვიქმნები თუ მითხარით. მისი დის გარდაცვალებამ დიდათ მაწუხა.[32]

ჩვენი დედა და ძმა ახლა ზღვაზე მოგზაურობენ კონსტანტინოპოლში, სადაც ხვალ იქნებიან.

მომავალ კვირას ჩვენთან ჩამოდიან და აქ გაატარებენ რამდენიმე კვირა.

ჩემმა ძმა ოლივერმა მოგიკითხათ (გულითადი მოკითხვა). მალე მოგწერს წერილს.

გთხოვთ მაპატიოთ ყველა შეცდომა ჩემი წერილში. კარგათ ვიცი, რა გლახათ ვჰსწერ ქართულად!

გისურვებთ ყოველივე კეთილს და დავრჩები

თქვენი ღრმად პატივისმცემელი

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი.[33]

---

[31] ოლგა მირზაშვილი — მარჯორის ქართველი ენის მასწავლებელი პეტერბურგში.

[32] ოლგა მირზაშვილის უფროსმა დამ ნინომ კუკიის სასაფლაოზე, დედის საფლავზე მოიკლა თავი (თამარ დავითაშვილი-მეტრეველის ცნობა).

[33] ოქსფორდი, უორდროპების ფონდი — d 26/4(3).

III.

ნიკო ავალიშვილისადმი:

„4/17 ღვინობისთვე 1909 წ. [ბუქარესტი]

მოწყალეო ხელმწიფევ,

ამ წლის დასაწყისში და კიდევ ვარდობისთვეში მე მივსწერე ბ.-ნ ქუჩუკაშვილს და დავიბარე გაზეთები, ჟურნალები და წიგნებიც. პირველ წერილთან გამოვიგზავნე 40 მან. შარშანაც გამოვიგზავნე 40 მან. წ. კ. საზ. მივიღე ჟურნალები და ცოტანი წიგნებიც, მაგრამ არც წერილი, არც ანგარიში წ. კ. საზოგადოებითგან და არც ერთი წიგნი, რომელიც ვარდობისთვეში დავიბარე, დღესაც არ მოგვსვლია. გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, გამომიგზავნოთ წიგნები, რომლისაგან სიას აქ ეპორეთ გახლავს. ანგარიში გამომიგზავნეთ, ფულს გიგზავნით ანუ ჩექით ანუ რუსის ქაღალდებით.

იმედი მაქვს, რომ ეხლა არ იქნება ასეთი ძნელი ქართული გაზეთის და წიგნების მიღება ვითა აქამდის.

თქვენი პატივისმცემელი მარჯორი უორდროპ.

ჩემი ადრესი წიგნებისათვის: ბრიტანეთის დიპლომატური მისია[34].

IV.

ვასილ რცხილაძისადმი:

„[1909 წ. ოქტომბერი] ბუქარესტი

დიდათ პატივცემულო ბ.-ნო რცხილაძე,

მივიღე თქვენი წერილი და ნაჩუქარი ჟურნალი „მოსავალი“ და თქვენი თხზულებებთან. დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩვენ ქართულ წიგნთა კრებულის ძალიან საყურადღებო შემატება არის. ჩვენი სურვილია ყველა ქართული წიგნის შეკრება, რაც შეიძლება; მერე შემდეგში მოვართმევთ (ჩვენი სიკვდილის შემდეგ) ერთ ინგლისელ მუზეუმში. ასე რომ, მუდმივი ვინც სურს ქართული ენის შესწავლა, ადვილათ შეიძენს (იშოვნის), რაც საჭირო მასალები არის.

---

[34] ოქსფორდი, უორდროპების ფონდი — ◊ 33,1v — 2r.

ბოდიშს ვიხდი, რომ უქეიფობის გამო ამდენ ხანს თქვენი კეთილი წერილი უპასუხოთ დარჩა. ერთი საათის წინეთ რომ მივიღე თქვენი წერილი, გამოვიგზავნე მეორეთ იმ წიგნების სია, რომელიც მინდოდა და თუმცა ჯერ არ მომსვლია, უსათუოთ მალე მივიღო.

რაც მოსწერეთ საქართველოზე ფრიად მაწუხებს. თქვენი მშვენიერი სამშობლო ასე ღრმათ მიყვარს, რომ ჩემი უდიდესი სურვილი მისი ბედნიერებაა.

კიდევ ერთხელ გმადლობთ.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი

მარჯორი უორდროპი.[35]

V

სამსონ ფირცხალავასადმი:

[1909 წ. ნოემბერი] ბუქარესტი

ბ.-ნ ს. ფირცხალავას

დიდად პატივცემულო ბატონო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისათვის და წიგნებისათვის. მიხარიან რომ ახლა უფრო ადვილათ უნდა მივიღოთ ქართული წიგნები. მე ჯერ გიახელით ოქტომბერში ბ.-ნ ავალიშვილის სახელზე, მეორეთ იმ წიგნების სია, რომელიც მსურდა, რომ გამოგვიგზავნათ და იმედი მაქვს მალე მივიღებთ.

გთხოვთ ამ წლის დასასრულზე გამოგვიგზავნოთ სრული ანგარიში ყველა წიგნებისთვის...

(თქვენი ღრმა პატივისმცემელი

მარჯორი უორდროპ).[36]

ამას გარდა, ლიტერატურისა და ხელოვნების არქივში (ფ. 178, ანაწ. № 1, საქმე № 19) დაცულია მარჯორი უორდროპის 1909 წლის 4 ივნისის კიდევ ერთი უცნობი წერილი სამსონ ფირცხალავასადმი:

---

35 წარმოადგენს პასუხს ვ. რცხილაძის 1909 წლის 10 ოქტომბრის წერილზე: ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — ი 33, ფ. 2v.

36 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — ი 33, ფ. 3r.

„სამსონ ფირცხალავას
წერა-კითხვის საზოგადოება
თბილისი (კავკასია)

ქრისტესშობისთვეში გამოვიგზავნე 1909 წლის ხელის მოწერილი ფული „ფასკუნჯისა“ წ. კ. საზოგადოებაში ბ-ნ ჭუკუკაშვილთან. დიდი ხანია აღარ მივიღე თქვენი ჟურნალი. მაკლია № 11 და ყველა ნომერი შე-12-ს შემდეგ. გთხოვთ გამომიგზავნოთ და ნამდვილ ადრესით ასე:

თქვენი პატივისმცემელი

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი

4. VI. 09“.

შეტად საინტერესოა აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მუსიკოსის ფილიმონ ქორიძისა და მარჯორი უორდროპის უცნობი მიმოწერა, რომელიც ოქსფორდშია დაცული.

ფილიმონ ქორიძეს, როგორც ეს ზისი 1896 წლის 31 იანვრის წერილიდან ირკვევა, ოლივერისა და მარჯორისათვის გაუგზავნია ილია ჭავჭავაძის ახლო თანამშრომლის, ცნობილი მესტამბისა და მწიგნობრის მაქსიმე შარაძის მიერ 1895 წელს გამოცემული თავისი „ქართული გალობა“ და თან ასეთი ბარათიც მიუწერია ოლივერ უორდროპისათვის:

19/31 იანვარი 1896 წელი, ტფილისი

ღრმად პატივცემულო ბატონო ოლივერ უორდროპ!

სურვილისამებრ თქვენისა გამოგიგზავნეთ ორი წიგნი, ერთი თქვენთვის და მეორე თქვენი დისათვის, ახლად დაბეჭდილი წირეის გალობა.[37] თუ რამე ვერ გაიგოთ მუსიკალურის ანუ სიტყვების შესახებ, მაცნობეთ და ყველაფერს განგიმარტავთ. თუ საჭიროდ დაინახეთ, შემოთვალეთ და კიდევ გამოგიგზავნით მაგნაირ წიგნებს. თუმცაღა ამჟამად თქვენ გწერსთ იმ წიგნების ავტორი, რომელსაც თქვენ არ იცნობთ, მაგრამ თუ მოიგონებთ თქვენს ოზურგეთში ყოფნას, როდესაც სადი-

---

[37] იგულისხმება — ქართული გალობა: ლიტურგია იოანე ოქროპირისა, გადაღებული ფ. ქორიძის მიერ, მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტამბა, ტფ., 1895.

ლის შემდეგ საზოგადოებას ემშვიდობებოდით,[38] მე მაშინ გზა დაგილოცეთ იტალიანურად: Bovon vioggio-მეთქი გითხარით და თქვენც მიპასუხეთ: Gràzie. უმორჩილესად მოვიკითხავ თქვენს დას მარჯორიას და ორივეს თქვენს მშვიდობას, ვისურვებ.

თქვენთვის კეთილის მსურველი ფ ი ლ ი მ ო ნ ქ ო რ ი ძ ე

ადრესი: В Тифлис, Николаевская улица № 21,
В Типографии Шарадзе,[39]
передать г. Коридзе.[40]

მარჯორი უორდროპის სამადლობელი ბარათი, რომელიც ქართულადაა დაწერილი 1896 წლის 14 თებერვალს, მეტად საინტერესოა ქართულ მუსიკაზე მისი შეხედულების წარმოსადგენად (სტილი დაცულია):

„2/14 თებერვალს 1896

ღრმათ პატივცემულო ბატონო ფილიმონ ქორიძე!

დიდათ გმადლობთ ქართული გალობისათვის — ორი ეგზემპლარი. წიგნი ღირსია დიდი ქებისა — ქაღალდისათვის, დაბეჭდვისათვის და საზოგადოდ, მზრუნველობისათვის. როდესაც მთელი თხზულება გათავებული იქნება, უთუოდ სამუზიკო ერი ევროპაში დიდათ შეაგულიანის.

თუ წინასიტყვაობა იტალიანურად გეწეროთ და აჩვენოთ განთვისებულება და ისტორია მუზიკასი საქართველოში, ძალიან საყურადღებო იქნება. შეიძლება შემდეგი პარტიტურაში ეს დააპირებთ კვლავ, კარგი იქნება იტალიანურადაც სახელი წიგნისა და პატარა ლექსიკონი ბოლოში სიტყვების სამუზიკო ქართულად და იტალიანურადაც [დაურთოთ.]

ჩვენთვის საინტერესო იქნება ნახვა, როგორც იწერება განთვისებული გურული სიმღერა.

არ უნდა გეშინიან, რომ ჩვენ დაგივიწყებდეთ — არც

---

[38] მარჯორი და ოლივერ უორდროპები ოზურგეთს ეწვივნენ 1895 წლის 25 იანვარს, საიდანაც ისინი 27 იანვარს მატარებლით ბათუმს გაემგზავრნენ, იქიდან კი, ოდესის გავლით, ინგლისს დაბრუნდნენ. შდრ. „ივერია“, 2. II. 1895, № 25.

[39] მაქსიმე შარაძე — ცნობილი მესტამბე და მოღვაწე.

[40] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(46).

თქვენ, არც სასიამოვნება, მიღებული თქვენი სიმღერიდგან მშვენიერი ნადიმობა ოზურგეთში.

ბეკრჯელ ჩვენ ვლაპარაკობდეთ ამ წიგნისთვის.

ჩვენი ერთობ გულითადი მოკითხვა და მადლობა მოგახსენეთ.

თქვენთვის კეთილის მსურველი

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ".[41]

აქ მოხსენიებული „ოზურგეთის მშვენიერი ნადიმი" მარჯორი უორდროპს აღწერილი აქვს 1895 წლის ზამთარში გურიაში მოგზაურობის დღიურშიც: „...სუფსიდან ოზურგეთისაკენ — გურიის დედაქალაქისაკენ გავეშურეთ. ქალაქი პატარაა. ძლივს აღემატება დიდ სოფელს. მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავიანთი სტამბა და შრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ... ოზურგეთიდან წავედით შემოქმედის მონასტერში, რომელიც ბეუჟის პირას მდებარეობს და, სხვა ძველ მონასტერთა მსგავსად, წინათ, გამაგრებული ციხესიმაგრე ყოფილა... ოზურგეთიდან გამგზავრებისას ქალაქმა გამოსამშვიდობებელი ნადიმი გაგვიმართა კლუბში და მე არასოდეს დამავიწყდება ამ კეთილი გურულების ენთუზიაზმი და საუკეთესო სურვილები. ყველანი გვეპატიჟებოდნენ, უამრავი ოჯახი გვიწვევდა. ნადიმი ორ საათს გაგრძელდა და მხოლოდ იმის გამო წამოვიშალეთ, რომ ბათუმში მიმავალ მატარებელს უნდა გავყოლოდით. გამომშვიდობებისას კეთილი მგზავრობა გვისურვეს... ბოლოს, თავმოყრილ სტუმართა შეძახილებით დავტოვეთ ოზურგეთი და გზას გავუდექით".[42]

გაზეთ „ივერიაში" 1895 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებული კ. თავართქილაძის ოზურგეთიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია ავსებს მარჯორის დღიურის ზემომოყვანილ ადგილს, კერძოდ, აღნიშნული კორესპონდენცია ასე მთავრდება: „...დღესვე (27 იანვარს) იყო ოზურგეთის საზოგადოებისგან სამოქალაქო კლუბში გამართული სადილი ჩვენის იშვიათის სტუმრების პატივსაცემად, სადაც 80-ზე მეტი კაცი და

[41] ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20(45).

[42] იხ. ლ. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი-ურ უ შ ა ძ ე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 47.

ქალი დაესწრო და სადღეგრძელოზედ ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა".[43]

ის კი არა, მარჯორის გურიაში სტუმრობის მომსწრე ტელემაქ გურიელის ასულ იუნონას პაპუნა წერეთლისადმი გამოგზავნილი წერილებით, და როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, თითქოს, დიდი აკაკის მოწმობითაც, ირკვევა, რომ მარჯორი თურმე გურულ კილოზე უქცევდა:

„ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა ინგლისელი გამაცნეს, რომელიც კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ, მხოლოდ გურულათ კი უქცევდა კილოს. მე, რასაკვირველია, ის ჩვენში დაბადებული და აქვე გაზრდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრათ ყოფილა მოსული... და მას აქეთ, რაც მოსულა, ორი წელიწადის მეტი არ გასულა. გამიკვირდა და ვკითხე: ქართული ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ-მეთქი? სიცილით მიპასუხა: „თუკი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში კაცმა რომ ენა ვერ ისწავლოს, აბდალი უნდა იყოსო".[44]

ისტორიკოსმა ქველი ჩხატარაიშვილმა მომაწოდა ცნობა „სახალხო გაზეთის" 1910 წლის 1 ივლისის № 45-ში გამოქვეყნებულ ფრიად საყურადღებო წერილზე „მცირე მოგზაურობა გურიაში", რომლის ავტორი ტრ. ი-ძე (ტრიფონ ინასარიძე) მოგვითხრობს:

„დავათვალიერეთ დიდებული შემოქმედის მონასტერი, რომელიც ისეთ საუცხოო ადგილას არის აშენებული, რომ თვით ინგლისის შვილს — ჩვენი ქვეყნის მოტრფიალე მარჯორი უორდროპს ანატრა აქ სიკვდილი და ანდერძიც დასტოვა, დაემარხათ მის გალავანში, მაგრამ არ აუსრულეს ანდერძი და ბურუსიან ინგლისის მიწას მიაბარეს"...

6. სევენოუქსში, უორდროპებთან...

მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ინგლისში ჩასული ყოველი ქართველი კაცისათვის მარჯორი უორდროპის საფლავის მონახულება და ამ წმინდა ადგილის თაყვანისცემა არის ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი საზრუნავი!

---

[43] „ივერია", 2. II. 1895.

[44] აკაკი წერეთელი, საუბარი ინვლისელ ქალთან, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 377.

დიდი სურვილი მქონდა აგრეთვე საკუთარი თვალით მენახა უორდროპების სახლ-კარი, კერძოდ, მათი ბინაში მოწყობილი ეგრეთ წოდებული „ქართული ოთახი“, რომლის შესახებ მარჯორი 1908 წლის ერთ გამოუქვეყნებელ ფრანგულ წერილში ატყობინებდა ოლღა ჭავჭავაძეს: „...ძმამ და მე ამ წელს ინგლისში ბევრი ქართული წიგნი ჩამოვიტანეთ. დედამ თავის სახლში ცალკე ოთახი გამოგვიყო, სადაც ქართული ოთახის მოწყობა დავიწყეთ, კედლები ქართულ გმირთა სურათებით შევამკეთ, აქვე ჩამოვკიდეთ ძვირფასი თავადი ილიას მშვენიერი პორტრეტი, რომელიც თქვენ მაჩუქეთ. საქართველო მუდამ ჩვენს გულებშია და ჩვენი ყველაზე გულწრფელი სურვილი მისი კეთილდღეობაა!“, ხოლო თავის კარ-მიდამოს ასეთი ქართულით აღწერდა იგი: „ჩვენი ბაღი და აქაური სოფელი ასეთი მშვენიერებაა, თითქო საქართველოში იყო!“

სურვილს კიდევ უფრო მიძლიერებდა ოქსფორდში აღმოჩენილი ოლღა ჭავჭავაძის უცნობი წერილების ის ადგილები, საიდანაც ჩანდა, რომ უორდროპთა სახლ-კარის, და განსაკუთრებით, მათი „ქართული ოთახის“ ნახვა თავის დროზე ოცნებად ჰქონია გადაქცეული სახელოვან ქართველ მანდილოსანს: „მე თვალთ წარმომიდგა ის ოთახი, რომელიც დედათქვენმა აგირჩიათ და თქვენ ქართულ ოთახად გადააკეთეთ. ნეტავი დრო მოვიდეს ისეთი, რომ მეც ვნახო ის ოთახი“, ან კიდევ: „ეს არის ეხლა მივიღე თქვენგან გამოგზავნილი ფოტოგრაფია თქვენი სახლ-კარ-მიდამოსი. გულით გავიხარე... ბევრი ვიტირე, მარტო სიხარულის ცრემლი იყო. ჩინებული კარ-მიდამო და ბაღი და ბუჩქნარი მშვენიერათ არის მოწყობილი“, „ეს ხელსაქმე, წმინდა ქართული, ჩემმა ბიძაშვილმა კნეინა გურამიშვილისამ შემიკერა. ეს ყველა მიუმატეთ ნივთებს, რომელიც ამშვენებენ იმ ქართულ ოთახს, რომელიც თქვენ და თქვენმა ძმამ ოლივერმა მორთეთ და მოკაზმეთ. ყოველთვის ის ოთახი, თუმცა არ მინახავს განუყრელად თვალთ მიდგას და გულით თქვენთან ვარ. თუ ღმერთმა შემაძლებინა, უეჭველათ გნახავთ“ — წერდა 1908 წელს ოლღა ჭავჭავაძე მარჯორი უორდროპს.

...19 ოქტომბერს, ოქსფორდიდან ლონდონს დაბრუნები-

სას, დევიდ ლანგს გავუზიარე ჩემი საოცნებო აზრი. მან მაშინვე დარეკა სევენოუქსში ოლივერ უორდროპის უმცროს ვაჟთან — ანდროსთან. ყურმილი მისმა მეუღლემ აიღო: „ანდრო ყანაშია და თუ მოითმენთ, დავუძახებ და დაგალაპარაკებთო“ — მოგვესმა ქალის მშვიდი ხმა. მართლაც, რამდენიმე წუთში უკვე ანდრო უორდროპს ველაპარაკებოდით. რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავი ჩასული, მან აღტაცება ვერ დაფარა და დიდი სიხარულით მიგვიპატიჟა თავის საგვარეულო ბუმულში კვირა დღისთვის, 25 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, თან გაგვაფრთხილა, სევენოუქსში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან ვიდგები, რომლის ეზოშიცაა უორდროპთა საუკუნო განსასვენებელიო.

დათქმულ დღეს, 25 ოქტომბერს, დილის 10 საათსა და 35 წუთზე უკვე სევენოუქსში ვიყავი. სევენოუქსი, ანუ ქართულად „შვიდმუხა“, კოპწია ინგლისური სოფელია, რომელიც ლონდონიდან სულ რაღაც ორმოციოდე კილომეტრით არის დაშორებული. მე-13 საუკუნეში აშენებულ წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან იდგა სიმპათიური გარეგნობის შუა ხანს გადაცილებული ინგლისელი მამაკაცი, რომელიც ჩვენ გველოდა: „ანდრო ოლივერის ძე უორდროპი“ — გაგვეცნო იგი: „მამაჩემმა მე და ჩემ დას ქართული სახელები — ანდრო და ნინო დაგვარქვა. სამოცდაათ წელს მიტანებული ჩემი და (ვაუთხოვარია — ხომ ხედავთ, თავის მოსახელეს მიბაძა) ახლა სხვაგან ცხოვრობს, ჰენლიში, რომელიც ლონდონსა და ოქსფორდს შორის მდებარეობს“.

ამის თქმაზე ანდრო უორდროპს შევახსენე ოლივერ უორდროპის 1917 წლის 28 სექტემბრის ერთი გამოუქვეყნებელი წერილი, რომელშიც გახარებული ატყობინებდა ელენე და ნიკო მაჩაბლებს: „იცით, თუ არა, რომ ჩემს ქალიშვილს (11 თვისას) ქართული სახელი ნინო დავარქვი?“, ხოლო თვითონ ელენე მაჩაბლის მოგონებით, „ოლივერი შუატანისა იყო, ხმელხმელი, ძალიან სადა და მორიდებული: ერთხელ წავედით ქართულ წარმოდგენაზე თეატრში. გაიგო თუ არა ხალხმა, რომ დარბაზში უორდროპი შემოვიდა, წამოდგა ფეხზე და ტაშის გრიალით შეეგება სტუმარს. ოლივერი შეკრთა და ძალიან აღელდა ასეთი მოულოდნელი თბილი შეხვედრის

გამო. სამშობლოში დაბრუნებისას მან ცოლი შეირთო. რამდენიმე წლის შემდეგ თავისი ორი ვაჟისა და ერთი გოგონას სურათებიც გამოგვიგზავნა და იწერებოდა, რომ გოგონას ნინო დაარქვა საქართველოს სიყვარულით და მის მოსაგონებლად... საუცხოო ოქროს სამკაული ძვირფასი თვლებით მოჭედილი გავუგზავნეთ პატარა ნინოსთვის" (იხ. „დროშა", 1965, № 12, გვ. 10). ამასთან, ანდრო უორდროპს ვუამბე ოქსფორდში გაძოვლენილი გამოჩენილი ქართველი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის უცნობი წერილის შესახებ, რომელშიაც მოხსენებულია მისი და — ნინო უორდროპი: „წმ. ნინოობის დღეს, 14 იანვარს რამდენიმე ქართველ ქალთაგან არჩეული მანდილოსანნი და მათთან მეც უნდა გხლებოდით „ნინოობის" მოსალოცად და თქვენის ძვირფასი ქალიშვილის ნინოს სახელწოდების სახსოვრად გვეძღვნა მცირედი, მაგრამ წმინდის გულით და იმ დიდის მადლობის მოსახსენებლად, რომლის სიკეთეს, სიდიადეს და უდიდეს მნიშვნელობას განიცდის თქვენდამი ყოველი ქართველი და ქართველი დედაკაცი უაღრესად... ისინი მზათ არიან გიძღვნათ თქვენ, ჩვენ მხსნელს და ოქროპირს, მადლობა უღრმესი, უგულითადესი, რომელიც კი შეიძლება შესწიროს დედაკაცმა თავის სამშობლოს მხსნელს და უკეთილშობილესს მეგობარს"—სწერს ეკატერინე გაბაშვილი ოლივერ უორდროპს. მეტად ნასიამოვნები ანდრო შემპირდა, რომ უსათუოდ გადასცემდა ამ ამბავს თავის დას — ნინოს.

ანდრო უორდროპი, ეტყობოდა, დილაადრიან მოსულიყო სასაფლაოზე, ნაწვიმარი იყო და საფლავთან მისასვლელი ბილიკი ბალახებისაგან გაეცელა, რომ არ დავესველებინეთ. აქვე დაგვახვედრა რეზინის ჩექმებიც, რომლის ჩაცმაზე უბრალოდ უარი განვაცხადე: „მარჯორის სასაფლაო გზის ბალახები თუ დამასველებენ, ეს ჩემთვის ორმაგი ნეტარება იქნება-მეთქი"— მივუგე.

მივედი საფლავთან, რომელსაც ორფერდა წითელი მარმარილოს ლოდი ადევს. საფლავი შევამკეთ ლონდონიდან ჩატანილი ყვავილებითა და სამახსოვრო ქართული წარწერით: „საქართველო მუდამ ღრმა პატივისცემით და მოწიწებით შეი-

ნახავს მის დიდ მოჭირნახულეთა მარჯორი და ოლივერ უორ-
დროპების ხსოვნას“.

საფლავი საგვარეულოა. წითელი მარმარილოს ლოდის წი-
ნა მხარეს ვკითხულობთ:

„მარჯორი უორდროპი — 26 ნოემბერი 1869 — 7 დეკემ-
ბერი 1909.

თომას უორდროპი — 25 ნოემბერი 1867 — 22 მაისი 1932.

ოლივერ უორდროპი — 10 ოქტომბერი 1864 — 19 ოქტომ-
ბერი 1948.

მარგარეტ კოლეტი (ოლივერის მეუღლე) — 13 ივლისი
1877 — 16 დეკემბერი 1960“.

სასაფლაო ქვის მეორე ფერდზე მარჯორის დედ-მამის სა-
ხელებია ამოკვეთილი (თურმე, შვილებისთვის მშობლებს თა-
ვიანთი სახელები დაურქმევიათ):

„თომას უორდროპი — 25 თებერვალი 1836 — 22 აგვის-
ტო 1903.

მარჯორი უორდროპი — 12... 1839 — 1 სექტემბერი 1918“.

ირგვლივ სიმშვიდე და სიწყნარეა... მომაგონდა ოლივერ
უორდროპის მიერ ოლღა ჭავჭავაძისადმი 1910 წლის 27 იან-
ვარს სევენოუქსიდან მოწერილი ერთი გამოუქვეყნებელი ბა-
რათის სიტყვები:

„...ერთ თვეზე მეტია სოფელში ვარ დედაჩემთან. სულ
ახლოს ჩემი ძვირფასი მარჯორის საფლავთან, სადაც ის ყვა-
ვილებით დაფარული ასვენია ამწვანებული და მშვიდი მინდვ-
რებით გარშემორტყმულ ლამაზ ბორცვზე... ხომ რარიგ გიყ-
ვარდათ მარჯორი, თქვენც და ყველა მის მეგობარს, ვინც კი
იცნობდა! აბა, წარმოიდგინეთ რა იქნებოდა ჩემთვის მისი და-
კარგვა, ჩემთვის, ვინც ბავშვობიდანვე სულ ხელით დავატა-
რებდი, როგორც კი ფეხი აიდგა და სახლიდან გამოსვლა და-
იწყო, და მერეც 15 წელიწადზე მეტია, არც ერთი დღე გვერ-
დიდან არ მომიშორებია. თქვენ განსაკუთრებით უყვარდით
მარჯორის. როგორ უხაროდა თქვენი წერილების მიღება. ძა-
ლიან ხშირად, როგორი დაღლილი და ავადმყოფიც არ უნდა
ყოფილიყო, მაინც გწერდათ, ოღონდაც კი თქვენ სულის მშვი-
დობა გეგრძნოთ! უდიდესი აღფრთოვანებით ეკიდებოდა
თქვენი დიდებული მეუღლის ქმნილებებს. ბევრი მისი ნაწარ-

მოებიც თარგმნა. იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს გამოვაქვეყ-ნებ მათ...".

თვალწინ დამიდგა ოქსფორდში აღმოჩენილი ოლღა ჭაეჭა-ვაძის საპასუხო წერილის სტრიქონები: „ჩემს უდიდეს ნატვ-რას ის შეადგენს, რომ ღმერთმა მაღირსოს თქვენი ქვეყნის ნახვა და ჩემი დაუვიწყარი სათნოებით სავსე მარჯორის საფ-ლავის ნახვა და კრძალულებით იმის ხატს ვემთხვიო. ეს აზრი ჩემ ოცნებათ გადაქცეულა", ან კიდევ მისივე სიტყვები: „ღმერთმა შემაძლებინოს, ჩემი ნატვრა ამისრულდეს, მეღირ-სოს ჩემი სათნო მარჯორის საფლავს თაყვანი ვცე"...

ანდრო უორდროპმა მთხოვა, თუ შეიძლება ყვავილებს თქვენს სამახსოვრო ქართულ წარწერას ავხსნი და ჩემს საო-ჯახო არქივში შევინახავო, თანაც სახლში მიმიპატიჟა. მე სიამოვნებით დავთანხმდი. გზაზე ანდრომ ერთი შენობის წინ უცებ თავისი მანქანა გააჩერა: „აი, აქ ცხოვრობდნენ უწინ ჩემი წინაპრებიო". გუნება გამიფუჭდა, მანქანიდან გადმოვე-დი, ვეღარ ვნახავ უორდროპთა ძველ სახლ-კარს, ვეღარ ვიხი-ლავ მარჯორისეულ „ქართულ ოთახს", მის ქართულ მორთუ-ლობას. სახლზე გაკრულ შავ დაფას აწერია, რომ ახლა აქ მო-თავსებულია ჩინეთსა და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში კა-თოლიკობის გამავრცელებელი მისიონი. ანდროს სახლის გა-მოცვლის მიზეზის კითხვა ვერ შევკადრე, მომერიდა საოჯახო შინაური ამბების გამოძიება, არც მას უცდია მაინცდამაინც ამის მოყოლა... რამდენიმე წუთში უკვე უორდროპთა ახალ სახლში ვიყავი, სადაც შემოგვეგება ანდროს მეუღლე და ჩვენს შესახვედრად შეკრებილი ადგილობრივი ინტელიგენ-ცია, ჟურნალისტები.

ანდრო უორდროპს ორი ქალიშვილი ჰყავს: უფროსი — ელიზაბეტი ცხოვრობს ბარბადოსში (ამერიკა) და თავისი დი-დი პაპის — ოლივერის კვალს — დიპლომატობას გაჰყოლია: ამჟამად არის ბარბადოსის დიპლომატიური წარმომადგენლის მოადგილე კანადაში, ხოლო მეორე — ჰილარე ლონდონში ცხოვრობს და ერთ-ერთ საფეიქრო ფირმაში მუშაობს.

ანდრო უორდროპის სახლში მამისგან დარჩენილ ნივთებს შორის რამდენიმე ქართული ნივთი შევიცანი: ორი ვერცხლის აზარფეშა ქართული წარწერებით, რომელთაგან პირველი,

უედარებით მომცრო, მე-17 საუკუნისა უნდა იყოს, ხოლო მეორე მე-18-19 საუკუნეთა მიჯნას არ გადმოსცილდება. კედლებზე ჰკიდია ა. ზახაროვის „ძველი თბილისის“ და ი. ზანკოვსკის „მყინვარწვერის“ ორიგინალები, რომელთა ზურგზე გაკეთებული ოლივერისეული წარწერებიდან ჩანს, რომ ისინი თბილისში შეუძენია მას. ოლივერის გადმოცემით, რომელიც ანდრომ მიამბო, ზანკოვსკის მყინვარწვერის დიდებული სანახაობა მთაწმინდის კალთებიდან დაუხატავს. ამათ გარდა, სასტუმრო დარბაზის შუა კედელზე ჰკიდია შედარებით ახალი ორი ქართული ხატი ასომთავრული წარწერებით: „წ ა თამარ მეფე“ და „წ ა მეფე არჩილ“.

ანდრო უორდროპი ღირსეულად აგრძელებს თავისი სახელოვანი წინაპრების საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულის ტრადიციას: 1977 წელს, ლონდონში, მან საკუთარი წინასიტყვაობით ფოტოტიპურად ხელმეორედ დაბეჭდა ოლივერ უორდროპის 1888 წელს გამოცემული ცნობილი ნაშრომი „საქართველოს სამეფო“. ამასთან ერთად, იგი არის ოქსფორდში, უორდროპთა ფონდის კომიტეტის წევრი და ყოველნაირად უწყობს ხელს მის კეთილშობილურ მისიას ქართული კულტურის შესწავლისა და მეცნიერული პროპაგანდის საქმეში.

ანდრო უორდროპმა გულთბილი წარწერებით საჩუქრად გადმომცა ილიას „განდეგილის“ მარჯორისეული ინგლისური თარგმანი (ლონდონი, 1895) და „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული ინგლისური თარგმანის პირველი გამოცემა (ლონდონი, 1912), აგრეთვე „ვისრამიანის“ ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი (ლონდონი, 1914). „სიამოვნებით გისახსოვრებდით ოლივერის „საქართველოს სამეფოსაც“ (ლონდონი, 1888), მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი ცალის მეტი არ გამაჩნიაო“ — მომიბოდიშა საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა გულუხვმა მასპინძელმა, უორდროპთა გვარისა და ოჯახის შესანიშნავი ტრადიციების გამგრძელებელმა.

მოვდიოდი და გული სევდით მევსებოდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობ მშობლიურ და მახლობელ ოჯახს, ადგილებს ვტოვებდი...

7. „ვეფხისტყაოსნის“ კვალის მისაგნებად

ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია რუსთაველის უკვდავი პოემის ხელნაწერთა ისტორიაში, ყველამ კარგად იცის, თუ შედარებით რა გვიანდელი (მე-17-18 სს.) ხანის ნუსხებს მოუღწევია ჩვენამდე.

ამიტომ განუზომლად დიდი იყო ინტერესი მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პლატონ იოსელიანის (1809—1875) ცნობებისადმი „ვეფხისტყაოსნის“ ორი უძველესი ხელნაწერის თაობაზე.

საქმე ის გახლავთ, რომ 1870 წელს გაზეთ „კავკაზში“ შოთა რუსთაველის შესახებ გამოქვეყნებულ წერილში პლატონ იოსელიანი აუწყებდა მკითხველს: იმერელი თავადის, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის ხელში მე მინახავს „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ძველი, ეტრატზე მსხვილი მრგვალი მხედრული ასოებით ნაწერი ნაკლული ნუსხა, რომლის ჩარჩოები მოხატული იყო სინგურით აღმოსავლური რთულორნამენტიანი ფიგურებით. ხელნაწერის მდიდრული გაფორმება პლ. იოსელიანს აფიქრებინებდა, რომ თავის დროზე იგი მეფისათვის ან ვინმე მეფის გვარეულობის პირისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ამას გარდა, პლ. იოსელიანი იქვე გვაწვდიდა ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ მეორე უძველესი ნუსხის შესახებ, რომელიც გასანთლულ ქაღალდზე ყოფილა გადაწერილი 1443 წელს ალექსანდრე მეფისთვის და აზნაურ ნიკოლოზ ელიოზიშვილის ოჯახში ინახებოდა.

უკანასკნელ ხანს აკადემიკოსმა ე. თაყაიშვილმა თავის „მოგონებებში“ (იხ. „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 164; შდრ. მისივე, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968, გვ. 312, 314) პოემის პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული გრიგოლ წერეთლისეული ეტრატოვანი (პერგამენტი, ტყავი) ხელნაწერი გააიგივა „ვეფხისტყაოსნის“ ბომბიცინაზე (გასანთლულ ქაღალდზე) ნაწერ ნესტორ და პელაგია წერეთლისეულ გვიანდელ (მე-17-18 სს.) ნუსხასთან, რადგან პლ. იოსელიანს, როგორც ჩანს, ბომბიცინა და ეტრატი ერთმანეთში აერიაო.

აკადემიკოს ე. თაყაიშვილის ამ მოსაზრებას არ იზიარებს აკადემიკოსი ა. შანიძე. იგი ადრეც (1937 წ.) და შემდეგ

(1962 წ., 1965 წ., 1966 წ.) გამოქვეყნებულ ყველა ნაშრომში პლ. იოსელიანის ცნობას სანდოდ მიიჩნევს: „...არ შეიძლება, არ ვენდოთ ფრიად განათლებულსა და ცნობილ მეცნიერს, რომელსაც თანამედროვენი ფილოსოფოსს ეძახდნენ, როცა ის ორ ძველ ხელნაწერს ასახელებს და აგვიწერს კიდეც. ეს ხელნაწერები მის დროს ყოფილა, ამგრამ ამჟამად არ ჩანს. საკითხავია: რა მოუვიდათ მათ? თუ დაიღუპა, როდის და რა ვითარებაში? მე იმედი მაქვს, რომ ეს ორი ხელნაწერი არ არის დაღუპული, სადღაც არის და მიკვლევა უნდა. შეიძლება პატრონებმა გაყიდეს და ხელნაწერებმა სადმე ევროპაში ან ამერიკაში ამოყვეს თავი. საჭიროა მათი მოძებნა, მათი ტექსტის შესწავლა და გამოქვეყნება. ეს აუცილებელია უკვდავი პოემის ტექსტის დასადგენად, რომელიც ეგოდენ შერყვნილია უვიცი გადამწერლებისაგან, ამას მოითხოვს ქართული კულტურის ინტერესები“ (იხ. თხზულებანი, ტ. II, 1966, გვ. 64—65, აგრეთვე გვ. 214, 272—273).

გრიგოლ და ნესტორ წერეთლისეულ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხათა გაიგივებას რომ მყარი საფუძველი არ ჰქონდა, ახალი საბუთიანობით აღნიშნული აქვს პროფესორ ს. ცაიშვილს („ლიტერატურული წერილები“, 1966, გვ. 109, „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, ტ. II, 1970, გვ. 17—19).

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ელიოზიშვილისეულ ნუსხას, მისი ბედით ერთ დროს საგანგებოდ დაინტერესებულა ჩვენი დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე და ამ მიზნით 1936 წელს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის წევრს, ელიოზიშვილების ძველი ოჯახები გამოუკითხავს (იხ. თხზულებანი, ტ. XII, 1975, გვ. 133—137, 671).

მიუხედავად ამისა, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აკადემიკოს ე. თაყაიშვილის ავტორიტეტმა მაინც მოახდინა გავლენა გარკვეულ სამეცნიერო წრეებზე და ერთგვარად შენელდა კიდეც ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ ამ თითქოსდა უძველესი, მეტად საინტერესო ხელნაწერების ბედისადმი.

ამიტომ ჩვენ მოგვიხდა პლ. იოსელიანის ცნობების ხელახალი შემოწმება; სხვადასხვა ახალი ისტორიულ-ლიტერატუ-

რული წყაროების გამოვლენისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე დადგინდა, რომ პლ. იოსელიანის ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერების შესახებ ნდობის ღირსია და ამ მიმართულებით კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს (დაწვრილებით იხ. არქეოგრაფიული ძიებანი, 1973, გვ. 52—65; პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი, 1980, გვ. 115—139). სხვათა შორის, ამავე მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ჯერ კიდევ 1972 წლის 19 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ჩემივე წერილი „ძვირფას ხელნაწერს რომ მივაგნოთ“.

ინგლისში ყოფნისას თავში სულ აკაკი შანიძის სიტყვები მიტრიალებდა.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთაგან ვიცოდი, რომ ლონდონში ცხოვრობს ღრმად მოხუცებული ქართველი წარჩინებული ოჯახის შვილი სალომე ანდრონიკაშვილი, რომელსაც საინტერესო კერძო კოლექცია აქვს. მისი მისამართის დადგენას დიდი დრო და ენერგია მოვანდომე, დაბოლოს გავიგე კიდეც, მაგრამ ესეც უშედეგო აღმოჩნდა, რადგან მის ოჯახში შეღწევა არ მოხერხდა.

სამშობლოში დაბრუნებამდე სულ ოთხიოდე დღეღა მრჩებოდა, რომ 22 ოქტომბერს, ხუთშაბათ საღამოს, ლონდონში შევხვდი ესპანეთში მცხოვრებ შეძლებულ ქართველს ვახტანგ მაღალაშვილს, რომელმაც ფანტასტიკური ამბავი მომითხრო:

50-იანი წლების დამდეგს, თუ უფრო შუა ხანებში, ესპანეთიდან ლონდონში ვიყავი ჩამოსული და გავიგე მსოფლიოში ცნობილ ლონდონის საუქციონერო საზოგადოება „სოზბიში“. „ვეფხისტყაოსნის“ მე-14 საუკუნის ტყავზე ნაწერი ძველი ხელნაწერი იყიდებაო... „სოზბის“ ნაბეჭდ ინგლისურ კატალოგში პირდაპირ ეწერა: „შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, პერგამენტი, XIV ს.“ მაშინვე გავეშურე „სოზბიში“ და ვნახე კიდეც ეს ხელნაწერი; ზომით დაახლოებით 24×18 სმ იქნებოდა, სისქე 4 სმ, მხედრულად იყო ნაწერი და მოხატულიც გახლდათ. სამწუხაროდ, აუქციონის დღეს ესპანეთში აღმოჩნდი გადაუდებელი საქმეების გამო, ხოლო ჩემ მიერ ღატოვებულმა კაცმა 850 გირვანქა სტერლინგის შემდეგ, ჩემს უნებართვოდ, მეტის შეძლება ვერ გაბედა და საბოლოოდ

აუქციონზე ეს ხელნაწერი 1250 გირვანქად გაყიდულა. ეს თანხა ახლაც არ არის ცოტა, მაშინდელი გირვანქა სტერლინგი კი სულ ცოტა ათჯერ მეტია დღევანდელზეო. ესპანეთიდან ლონდონში რომ დავბრუნდი და ეს ამბავი დამახვედრეს, მაშინვე გავიქეცი „სოზბიში“, თან მახლდა ლონდონში მცხოვრები ქართველი მხატვარ-რესტავრატორი დავით მეტრეველი, უფრო სწორად, იმის მანქანით წავედითო (ეს ფაქტი ამ უკანასკნელმაც დაადასტურა), და ვთხოვე, ოღონდ მფლობელის ვინაობა ეთქვათ და ათმაგს მივცემდი. მაგრამ „სოზბის“ მკაცრი წესებით მფლობელის ვინაობის გამხელა აკრძალულია და იგი საიდუმლოდ რჩება, ამიტომ მეც უარით გამომისტუმრესო. სხვათა შორის, აქვე დავით მეტრეველმა დასძინა, იმავე ხანებში და იმავე „სოზბის“ აუქციონზე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი ძველი ნუსხაც გაიყიდაო.

გული კინაღამ გადამიბრუნდა...

აღარ დავეძებდი, რა იყო ამ ნაამბობში მეტ-ნაკლებად ზუსტი ან არაზუსტი. მთავარი მაინც ის იყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პლ. იოსელიანის მიერ მოხსენიებული ერთ-ერთი უძველესი ნუსხის კვალი ჩანდა.

ეს ცნობა დაადასტურა აგრეთვე ლონდონში მცხოვრებმა ქართველმა ექიმმა აკაკი რამიშვილმა, რომელმაც გაიხსენა, რომ აწ განსვენებული ლონდონის უნივერსიტეტის ქართული ენის მასწავლებელი, პროფესორ უ. ალენის ახლო მეგობარი და ჟურნალ „გეორგიკის“ ერთ-ერთი გამომცემელი ანდრო გუგუშვილი ბევრს დარბოდა, რომ სადმე ფული ეშოვა და „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი დაეხსნა, როგორმე დაკარგვას გადაერჩინა. მაგრამ ლონდონში მცხოვრებმა ხელმოკლე ქართველებმა ვერ შეძელით საამისო თანხის შეგროვებაო.

მეორე დღეს, 23 ოქტომბერს დილაადრიან უკვე „სოზბის“ საუქციონერო საზოგადოებაში ვიყავი. პირველად მეც უარი მითხრეს, საერთოდ მფლობელის ვინაობას ვერ გავცემთო. მაშინ ავუხსენი, რომ მე ვარ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური წარმომადგენელი და ბრიტანეთის აკადემიის სტუმარი, თან ვუჩვენე ბრიტანეთის აკადემიის მიერ მოცემული სარეკომენდაციო ბარათი, რომელიც გზას მიხს-

ნიდა ბრიტანეთის ყველა საცავში. მაშინ „სოზბის“ მესვეურებმა საუქციონერო საზოგადოების ხელნაწერთა განყოფილების დირექტორთან, დოქტორ ქრისტეფორ დე ჰამელთან შემახვედრეს. მან მკითხა, თუ იცით ზუსტად წელი, თვე და რიცხვი, როდესაც თქვენთვის საინტერესო ხელნაწერი გაიყიდაო. მაშინ ჩავხედავ ჩვენ საიდუმლო კატალოგებში და გეტყვით მფლობელის ვინაობას, ოღონდ წინასწარ უნდა მომცეთ წერილობითი პირობა, რომ თქვენ ამ ხელნაწერზე არაეითარი პრეტენზია არა გაქვთო. ამ პირობას დავთანხმდი და თან ვუპასუხე, მხოლოდ მიახლოებით შემიძლია გითხრათ დრო, კერძოდ, 50-იანი წლების შუა ხანებია-მეთქი. ეს ძნელი საქმეა, რადგან ჩვენთან თითქმის ყოველ კვირას არის სხვადასხვა აუქციონი, რომელთა კატალოგებსაც წინასწარ ვბეჭდავთ. ამიტომ მოგიხდებათ ამ პერიოდის კატალოგების გადათვალიერება და თუ იპოვით იქ ზუსტად წელს, თვეს და რიცხვს, როდის გაიყიდა ეს ხელნაწერი, მაშინ თქვენს სურვილს დავაკმაყოფილებთო, — მითხრა ქრ. ჰამელმა და განაგრძო: ჩვენ შაბათ-კვირას არ ვმუშაობთ, მაგრამ რადგან დრო ცოტა გქონიათ, შეგიძლიათ ჩვენი კატალოგები გასინჯოთ ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, რომელიც ამ უქმე დღეებში არ ისვენებს და სადაც თქვენ უყოყმანოდ დაგიშვებენო.

შაბათი და კვირა მთლიანად ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში დავყავი „სოზბის“ კატალოგთა უზარმაზარი ტომების გასაცნობად. დრო რომ მომეგო, დირექციის საგანგებო ნებართვით, პირდაპირ ფონდებში დამიშვეს სამუშაოდ: მოვასწარი მხოლოდ 1950—54 წლების კატალოგების გადათვალიერება. პირველსავე დღეს 1952 წლის ტომებს რომ მივადექი, № 1781 კატალოგში წავაწყდი ცნობას: „1952 წლის 28 იანვარს 450 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ნაწერია შავი მელნით, ზოგი შენიშვნა — სინგურით. აქვს 37 ფერადი მინიატურა, მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედი. შეძენილია პეტრე ბაგრატიონ-მუხრანსკის ოჯახიდან, რომელიც ვახტანგ VI-ის შთამომავალია. მფლობელის წარწერა: გ. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკი“.

ეს უკვე ნიშნავდა, რომ ნაწილობრივ გამართლდა მაღალა-

შვილ-მეტრეველის ცნობები. საღამოს დავურეკე, თუ გახსოვთ, „ვეფხისტყაოსანი“ საბას ლექსიკონის შემდეგ გაიყიდა თუ მანამდე-მეთქი: 2—3 წლის შემდეგო, მიპასუხეს.

კვირას, 25 ოქტომბერს № 1812 კატალოგში ვიპოვე მეორე ცნობა, რომ 1954 წლის 13 აპრილს გაყიდულა მე-10 საუკუნეში, 979 წელს ნუსხურით გადაწერილი სინას მთის ქართული ხელნაწერი, რომელიც პროფ. ალ. ცაგარლის ცნობილ კატალოგში, თავის დროს, № 81-ით იყო გატარებული:

„Творения Святых и некоторые Послания апостолов, $4^1/_2$ вершк. длин. $3^1/_4$ шир. 74 л., на пергаменте — палимпсесте, а 5 л. на бомбицине. Письмо некрасивое, церковное, строчное. Есть киноварные фразы, но без украшений. Рукопись эта писана известным Иоанном на Синае в 979 г. и посвящена им Синайскому монастырю: დაიწერა და განსრულდა დასაბამიდგან წელთა ქარᲬულთა ხფპგ (979 г.) ქესა რეთ (979 г.) ᲩᲔ შე გაბრიელ მოძღუარი და მიქაელ, კირილე, გიორგი, ეზრა დაიოანე, პიმენ და ყოველნი ქრისტიანენი ᲐᲜ.

წიგნსა ამას შინა სწერიან: ა) წ(ა)თა მოციქულთა კათოლიკენი სრულიად, ბ) წ(ს)ა მოციქულისა პეტრესი და გ) პიმენისა... და ქონქანი ᲨᲓ, და ანდერძი ᲨᲓ, და აგრეთვე სასამხრონი და სწავლანი წმ. პიმენისნი ᲨᲓ დ) და წმ. სტეფანე მძოვრისა სწავლანი და კანონისაგან განყენებანი ე) წინასწარმეტყველთა დღესასწაულთა თჳს. Содержание рукописи: соборные апостольские послания, 3-ье послание Петра, творения Св. Пимена, Стефана (Ал. Цагарели, Памятники грузинской старины в Св. Земле и на Синае, СПб., 1888, стр. 233).

როგორც ჩანს, მე-10 ს-ის ეს ქართული ხელნაწერი სინას მთიდან მოუპარავთ და 1954 წელს ლონდონის აუქციონზე გაუყიდიათ. ჟ. გარიტის ცნობით (ჟ. გარიტი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, ლუვენი, 1965, გვ. 8, (ფრანგულ ენაზე), ხელნაწერი დეტროიტში მოხვედრილა მ. ფიშერის კერძო კოლექციაში; ხოლო ამ ცოტა ხნის წინ თურმე ნიუ-იორკში მეორედ იყიდებოდა (შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, ელ. მეტრეველის შესავალი წერილი, თბ., 1978, გვ. 7). ახლახან ამერიკაში მოგ-

ზაურობიდან დაბრუნებულმა რ. თაბუკაშვილმა მაცნობა, რომ აღნიშნული ხელნაწერი დღეს ეკუთვნის ნიუ-იორკის ბუკინისტური წიგნის მაღაზიის მფლობელს ჰანს კრაუსს.

ორშაბათი, 26 ოქტომბერიც ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში გავატარე, მაგრამ 1955 წლის კატალოგების გადათვალიერება ველარ მოვასწარი. მეორე დღეს, 27 ოქტომბერს, დილით უკვე იწურებოდა ინგლისში ჩემი სამეცნიერო მივლინების ვადაც და უკვე საბშობლოში უნდა გამოვფრენილიყავი... ამასთან დაკავშირებით, მკითხველის ყურადღებას მივაქცევ აგრეთვე ჩვენი ცნობილი მწერლის აკაკი ბელიაშვილის ძმის — განსვენებული ლადო ბელიაშვილის მიერ 1956 წელს პარიზში გამოცემული წიგნის „რუსთაველის და დანტეს იდუმალის“ 75-ე გვერდზე მოწოდებულ ასეთ ცნობას: „ჩ ე მ ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი ყ ო ფ ნ ი ს დ რ ო ს პ ა რ ი ზ შ ი გ ა ყ ი დ უ ლ ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ე შ ი ხ ე ლ თ ნ ა წ ე რ ი ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც ა ბ ჟ ა მ ა დ ი მ ყ ო ფ ე ბ ა ლ ო ნ დ ო ნ ი ს წ ი გ ნ თ ს ა ც ა ვ შ ი. ს ა ჭ ი რ ო ა მ ი ს ი ფ ო ტ ო კ ო პ ი ი ს გ ა დ ა ღ ე ბ ა“.

ხომ არა აქვს რაიმე კავშირი მას ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ცნობებთან? ან რა შეიძლება ეწოდოს ამ ცნობებს — მისტიფიკაცია თუ სინამდვილე, ან უბრალოდ, ხომ არ ეშლებათ ეს ხელნაწერი ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში 1949 წელს მოხვედრილ „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ნუსხასთან, რომელიც d-27-ის შიფრით არის ცნობილი?

აქ კვლავ აკაკი შანიძის სიტყვები მაგონდება: „საჭიროა მათი მოძებნა... ამას მოითხოვს ქართული კულტურის ინტერესები“!

8. არჩილ მეფე და რომის პაპი

5 ოქტომბერს, ოქსფორდში მუშაობის კვირის თავზე, დევიდ ბარეტმა შესასწავლად გადმომცა ორი შეკვრა სახელგანთქმული „სოზბის“ აუქციონზე ახლახან ლონდონში გაყიდული უცნობი ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც ბოდლის ბიბლიოთეკას შეუძენია და ჯერ კატალოგში გატარებული არც არის. ხელისა და ქაღალდის მიხედვით მათი უმრავლესობა XVIII საუკუნისაა, ყოველ შემთხვევაში, XIX საუ-

კუნის დასაწყისს ვერ გადმოსცილდება და სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებს შეიცავს. მათ შორის, მოულოდნელად შევამჩნიე ერთი ძველი ფურცელი, რომელიც აღმოჩნდა არჩილ მეფის უცნობი წერილი კათოლიკე მისიონერებისადმი. იგი წარმოადგენს არჩილის ავტოგრაფს მისივე ხელრთვით (შონოგრამით). წერილი მეტად საყურადღებო შინაარსისაა. მართალია, მ. თამარაშვილის ცნობებით (იხ. „ისტორია კათოლიკობისა", ტფ., 1902, გვ. 259, 263), ერთხანს გაკათოლიკებულ გიორგი XI-ს მოსკოვში თავის ძმასთან არჩილთან რამდენჯერმე თითქოს უნდა გაეგზავნა კათოლიკე მისიონერები, მაგრამ დღემდე ჩვენ კათოლიკე მისიონერებთან და მათი საშუალებით რომის პაპთან არჩილის უშუალო კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაგვაჩნდა.

ოქსფორდში აღმოჩენილი არჩილის წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ, ვინაიდან მასში არჩილი იხსენიებს რომის პაპს ინოკენტი მეთორმეტეს (კაცს შეიძლებოდა აქ კალმისმიერი ლაფსუსის გამო ინოკენტი მეცამეტეც წაეკითხა, მაგრამ ეს უკანასკნელი პაპის ტახტზე 1721—1724 წლებში იჯდა, მაშინ როდესაც არჩილ მეფე უკვე ათი წლის გარდაცვლილი იყო), ამდენად, ადვილად ხერხდება მისი დათარიღება 1691—1700 წლებით, რადგან ინოკენტი მეთორმეტე სწორედ ამ წლებში იყო რომის პაპი.

წერილის შინაარსიდან ცხადი ხდება არჩილის ბიოგრაფიის ერთი უცნობი მხარე: მე-17 საუკუნის 90-იან წლებში რუსეთიდან ახლად დაბრუნებული პოლიტიკურად ხელმოცარული და სამეფო ტახტიდან რამდენჯერმე ჩამოგდებული არჩილი რომის პაპთან ეძიებდა თურმე მფარველობასა და მხარდაჭერას. აი ეს წერილიც:

„ქ. სიყვარულით მოგიკითხავ მეფე არჩილ პატრი გიორგის დავით ჯეჯუსტეს მერმე ველი შენის სიკეთისაგან რომელიც სიტყვები წმინდას აფენდი ინოკენტი მეათორმეტეს დიდს პაპასთან დაგაბარეთ ადრე მისწეროთ მის კარზე და მისი პასუხი კიდევ შენვე ამ გზით შეგვატყობინე. არჩილ".

9. გოგოლის უცნობი პორტრეტი კემბრიჯში

21 ოქტომბერს პროფესორმა დევიდ ლანგმა შემომთავაზა კემბრიჯში წასვლა. მე სიამოვნებით დავთანხმდი ამ წინადადებას.

კემბრიჯის დიდებულ სანახაობათა დათვალიერების შემდეგ ვეწვიეთ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს აკადემიკოს ჰაროლდ ბეილის, რომელიც აკადემიკოს გიორგი წერეთელთან მეგობრობდა და ნამყოფია საქართველოში 1966 წელს, რუსთაველის 800 წლის იუბილეზე. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა საქართველოში გატარებული დღეები და ქართველი კოლეგები. სხვათა შორის, ჩაი საგანგებოდ გამოგვიტანა გიორგი წერეთლის ნაჩუქარი სინით, რომელიც ქართველი ლითონმქანდაკებლის ნახელავია. შემდეგ მიჩვენა თავისი იშვიათი ბიბლიოთეკა (მათ შორის ბევრია ქართული წიგნი) და ძველ აღმოსავლურ ხელნაწერთა უნიკალური კოლექცია, რომელთა შორის ათამდე ძველი სომხური ნუსხაა.

ბაგრამ ყველაზე დიდი მოულოდნელობა თურმე წინ გველოდა: დ. ლანგმა წამიყვანა პროფესორ ელიზაბეტ ჰილთან, რომელიც მისი მასწავლებელი ყოფილა სლავისტიკაში კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლის დროს.

ელიზაბეტ ჰილი ამჟამად 81 წლისაა, საოცრად მოძრავი და ენერგიული, ბრწყინვალედ ლაპარაკობს რუსულად (პეტერბურგში დაბადებულა, მამამისს — ინგლისელ კომერსანტს იქ უმსახურია რევოლუციამდე), უხვად აქვს მომადლებული იუმორის ნიჭი. იგი გამოჩენილი მეცნიერი-სლავისტია, ჯერ კიდევ 1939 წელს უთარგმნია ინგლისურად და ნიუ-იორკში გამოუცია ვ. ი. ლენინის წერილების სქელტანიანი კრებული, რომელიც მიჩვენა კიდეც. ე. ჰილი რამდენჯერმეა ნამყოფი მოსკოვში, სლავისტთა საერთაშორისო კონგრესებზე. პროფესორის დიდ დამსახურებასა და მეცნიერულ აღიარებას მოწმობს ის ფაქტი, რომ ინგლისის დედოფლისაგან მინიჭებული აქვს სეფექალის („Dame“) საპატიო ტიტული და დაჯილდოებულია ბრიტანეთის იმპერიის ორდენით.

პროფესორმა ელიზაბეტ ჰილმა სიამოვნებით დამათვალიერებინა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა და სურათების კერძო

კოლექცია. მათ შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა კაცის პორტრეტმა თავისი არაჩვეულებრივი და განუმეორებელი ღიმილით. „აბა, თუ იცანითო“ — მკითხა მასპინძელმა ენობისმოყვარეობით. შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დავიბენი და მხრები ავიჩეჩე, ვფიქრობ, საიდან უნდა მეცნოს იტალიური ჩაჩით თავდახურული ახალგაზრდა კაციმეთქი. თუმცა ღიმილი კი მართლაც ნაცნობი აქვს, თითქოს სადღაც მინახავს კიდეც. ამასობაში მასპინძელი მომეშველა — ეს გოგოლი გახლავთ, 1839 წელს რომში ყოფნისას დაუხატავს იტალიელ მხატვარ საპორეტისო.

ელიზაბეტ ჰილმა სურათი კედლიდან ფრთხილად ჩამოხსნა და ამის დამამტკიცებელი მხატვრისეული წარწერაც მიჩვენა უკანა მხარეს. მართლაც, როგორც ვიცით, 1837—39 წლები ნ. გოგოლმა იტალიაში, რომში გაატარა, მუშაობდა „მკვდარ სულებზე“, იქვე დაამთავრა „შინელი“... ძალზე შეუყვარდა რომი, იზიდავდა იქაური ბუნება და ხელოვნების სიძველენი, დადიოდა მხატვართა სახელოსნოებში. და აი, ჩანს, იტალიელ მხატვარს საპორეტისაც სწორედ მაშინ დაუხატავს რუსეთის უდიდესი მწერალი!

ვკითხე, საიდან მოხვდა ეს სურათი თქვენთან-მეთქი?

— ემიგრანტი გრაფის შერემეტიევების ოჯახს ძალზე გაუჭირდა და მომყიდესო, მიპასუხა მან.

ჩემს უკანასკნელ შეკითხვაზე, ცნობილია თუ არა რუსი საზოგადოებრიობისთვის ამ სურათის არსებობა-მეთქი, აბა საიდანო, მომიგო და დასძინა: — დაწერეთ ამის შესახებ თქვენთან!..

10. „ჩემი კარგი ვეფხისტყაოსანი“...

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის ისტორია, რომელსაც თავიანთი გამოკვლევები მიუძღვნეს კ. კეკელიძემ, ე. თაყაიშვილმა, ა. შანიძემ, პ. ინგოროყვამ ალ. ბარამიძემ, ს. ყუბანეიშვილმა, ს. ცაიშვილმა და სხვებმა, ასევე კარგად ვიცით ამ გამოცემის ჩვენამდე მოღწეული ორი ათეული ცალი, რომლებიც დაცულია პარიზის, ლენინგრადისა და თბილისის წიგნთსაცავებში, აგრეთვე, კერძო პირებთან.

მათი აღწერილობანი აქვთ ე. თაყაიშვილს, ა. შანიძეს და ა. აბრამიშვილს (ნაწილობრივ ქრ. შარაშიძესაც). ერთ მათგანს, რომელიც 1967 წლის აპრილში თბილისის ბუკინისტურ მაღაზიაში იყიდებოდა, ჩვენ წავაწყდით, შევიძინეთ თბილისის უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტისთვის და დღესაც იქ არის დაცული, ამასთან, მისი აღწერილობაც გაგზავაქვეყნეთ (1967 წ.). მაგრამ ჩვენში უცნობია რუსთაველის პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის უორდროპისეული ცალი, რომელიც ოქსფორდში ინახება. მაგალითად, მ. სტურუას 1966 წელს ოქსფორდში ყოფნისას იგი ვერ უნახავს, რის გამოც თავის ცნობილ ნარკვევში „რუსთაველი ოქსფორდში" გვიამბობს: „ჩემ წინ ელაგა „ვეფხისტყაოსნის" ყველა გამოცემა, გარდა ვახტანგისეული პირველი გამოცემისა" (იხ. „კომუნისტი", 29. IX. 1966, № 219; „ლიტერატურული საქართველო", 5. I. 1979, № 1; აგრეთვე მ. სტურუა, „საზღვარგარეთული ნარკვევები", თბ., 1978, გვ. 306—314). მართალია, დ. ბარეტის კატალოგში (ოქსფორდი, 1973) უორდროპისეულ წიგნთა სათვალავში იგი აღნუსხულია (გვ. 216), მაგრამ მისი აღწერილობა დღემდე არ მოგვეპოვება.

„ვეფხისტყაოსნის" 1712 წლის გამოცემის უორდროპისეული ცალის ტყავის ყდა გადარჩენილა, ალაგ-ალაგ ფურცლები აღდგენილია, ზოგან კი ძველი კაბადონების მხოლოდ კიდეებია აღდგენილი ან გამაგრებული. ტექსტი თავბოლო ნაკლულია, იწყება აღდგენილი **ზ** ფურცლით: სტროფი **ლე** — „იგი წავა და სხვა მოვა...", ხოლო ვახტანგისეული გამოცემიდან გადარჩენილი პირველი ფურცელია **თ**, რომელიც იწყება **მზ** სტროფით: „მამისა ტახტსა საჯდომად..." ტექსტი წყდება **ტლ** ფურცლით **ღპე** სტროფის ვახტანგისეულ კომენტარზე: „არას გარგებს სწავლა არის...". როგორც ვხედავთ, პოემის პირველნაბეჭდი უორდროპისეული ცალი, ასეა თუ ისე, შედარებით მაინც სრულად არის შენახული: თავში ათამდე ფურცელი აკლია, ბოლოში კი შვიდი. ხელახლა აკინძვისას ერთგან **რლვ** ფურცელი უკუღმა არის ჩაკერებული. საინტერესო მინაწერებით ეს ცალი მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ისე ირკვევა, რომ ერთ დროს მისი მფლობელნი ჟამიერაშვილები ყოფილან: „გიორგი ჟამიერაშვილი", „ილია ჟამიერა-

შვილი", „იოანე ყამიერაშვილი"(მინაწერები ბოლო ფურცელზე), „ილია ყამიერაშვილმა გავაკეთებინე" (რდ ფურცელზე).

„ვეფხისტყაოსნის" სხვა ძველი გამოცემებიდან (დ. ჩუბინაშვილის, ვ. ყიფიანის, კ. თავართქილაძის, დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის, ი. აბულაძის...) აღსანიშნავია გრ. ჩარკვიანისეული 1887 წლის და გ. ქართველიშვილისეული 1888 წლის გამოცემები, რომელთა მიხედვით შეუსრულებია ძირითადად მარჯორი უორდროპს თავისი ინგლისური თარგმანი (გამოიცა ლონდონში, მისი სიკვდილის შემდეგ, 1912 წელს).

გრ. ჩარკვიანის მიერ 1887 წელს თბილისში დაბეჭდილი რუსთაველის პოემის უორდროპისეული ცალი, რომელშიც შემორჩენილია მარჯორის მიერ საქართველოში დაკრეფილი მინდვრის გამხმარი ყვავილები, ლამაზად აღწერა ცნობილმა ჟურნალისტმა მ. სტურუამ ზემოთ დასახელებულ ნარკვევში. ამასთან ერთად, მან ყურადღება მიაქცია ამ ეგზემპლარში მარჯორის ხელით ნასწორებ ფურცლებს: ამა თუ იმ სიტყვისათვის მარჯორს მიუწერია ვარიანტული წაკითხვა, ან ინგლისური შესატყვისი, ხოლო აფორიზმები მელნით გამოუხაზავს. თითოეული ნაბეჭდი ფურცლის შემდეგ ჩაკინძულია ახალი სუფთა ფურცელი, რომელსაც მთარგმნელი თავისი სამუშაოებისათვის იყენებდა. სატიტულო ფურცელზე მარჯორის ხელით ინგლისურად აწერია: „მარჯორი. უორდროპი. დეკემბერი, 1891".

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის ქართველიშვილისეულ მდიდრულ გამოცემას მიხაი ზიჩის განთქმული ილუსტრაციებით, უორდროპებს მისი ორი ეგზემპლარი ჰქონიათ: ერთი შემთხვევით ვიპოვე თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის გაცვლის წესით გამოსაგზავნ დუბლიკატებს შორის, რომლის სატიტულო ფურცელზე ოლივერ უორდროპის ხელით გაკეთებული ინგლისური წარწერიდან ჩანს, რომ იგი მისთვის 1889 წელს ივანე მაჩაბელს უსახსოვრებია. სხვათა შორის, მარჯორი, როგორც ჩანს, პოემის ინგლისურად თარგმნისას სწორედ ამ ცალს იყენებდა. მეორე ცალი კი, რომელიც უკეთ არის შენახული, ჩასმულია წარწერიან ბუდეში: „ბატონ ოლივერ უორდროპს, ტფილისი, 24

იანვარს, 1911 წ.", ხოლო საცავ ფურცელზე ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულ ბატონ ოლივერ ვორდროპს ნიშნად ღრმა პატივისცემისა სახსოვრად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისაგან. საზოგადოების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი, მდივანი ს. კაკაბაძე, ტფილისი, 24 იანვარს, 1911 წელს".

ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რა პირობებში მოხდა ოლივერ უორდროპისათვის „ვეფხისტყაოსნის" ამ მშვენიერ ყდაში ჩასმული წიგნის მირთმევა.

საქმე ის გახლავთ, რომ 1911 წლის 24 იანვარს, თბილისში სტუმრად მყოფი ოლივერ უორდროპის პატივსაცემად და განსვენებული მარჯორი უორდროპის ხსოვნის აღსანიშნავად, „თფილისის კრუჟოკის" შენობაში (დღევანდელი ოფიცერთა სახლი რუსთაველის გამზირზე) ქართველმა საზოგადოებამ მოაწყო საღამო. როგორც გაზეთ „თემში" 1911 წლის 31 იანვარს გამოქვეყნებული ანგარიში გვაუწყებს, საღამოს თაოსანი ტასო მაჩაბელი ყოფილა, ხოლო ინგლისელი სტუმრისთვის სიტყვებით მიუმართავთ ექვთიმე თაყაიშვილს, იოსებ მაჭავარიანს, გრიგოლ დიასამიძეს, „რომელმაც დაასურათა მორიდებული, მოკრძალებული ხასიათი და ღვაწლი ქართველი ერის მეგობრისა", ვასილ მაჩაბელს კი უთქვამს: „როგორც ივანე მაჩაბელმა გააცნო ქართველებს მსოფლიო გენიოსი შექსპირი, ისე და-ძმა უორდროპებმა გააცნეს ჩვენი გენიოსი შოთა ინგლისის ერსაო". ამის შემდეგ ოლივერ უორდროპს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ყაზბეგმა წაუკითხა „გრძნობიერი ადრესი", რომელშიც აღნუსხულია მარჯორი და ოლივერ უორდროპების ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, ხოლო იაკობ ნიკოლაძის მიერ მხატვრულად გაფორმებულ ფურცელზე (ჯვრის მონასტრის სილუეტი და საქართველოს მთებიდან ამომავალი მზე) საღამოს ყველა დამსწრეს ხელი მოუწერია, ამასთან, სამახსოვრო სურათიც გადაუღიათ. ყველა ეს დოკუმენტი დღეს ოქსფორდში ინახება. აქ მკითხველს ვთავაზობთ ცნობას მარჯორი უორდროპის ხსოვნის საღამოზე 1911 წლის 24 იანვარს „თფილისის კრუჟოკის" დარბაზში გადაღებული უცნობი სურათის შესახებ (დ. ბარე-

ტის მიერ ოქსფორდიდან გამოგზავნილი მისი ასლი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული), რომელზედაც გამოსახული არიან იმდროინდელი ძოწინავე ქართველი ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები და მხურვალე მამულიშვილები ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ყაზბეგი, კოტე მაყაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ილია ზურაბიშვილი, ვასილ მაჩაბელი, მხატვრები იაკობ ნიკოლაძე და დავით გურამიშვილი, ტასო მაჩაბელი, დავით სარაჯიშვილი, სარგის კაკაბაძე და სხვები. ცენტრში ზის ოლივერ უორდროპი. ფონზე მოჩანს უნიკალური ფარდა, რომელიც საინტერესოა ჩვენი თეატრის ისტორიკოსებისათვის. და აი, სწორედ ამ საღამოს მიურთმევიათ ოლივერ უორდროპისათვის „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის მდიდრული გამოცემის ზემოაღნიშნული ეგზემპლარიც.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის საკორექტურო ცალი, რომელიც ოლივერ უორდროპის ხელით არის ნასწორები (wardr. 11. 210). აქვეა ოლივერისეული შენიშვნები და სწორებები. რუსთაველის პოემის მარჯორისეული ინგლისური თარგმანის შესწავლა და გამოცემა მომავალში ამ ცალის და აქვე დაცული მარჯორისეული ავტოგრაფების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს: „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეულმა ინგლისურმა თარგმანმა, რომელსაც მან თავისი სიცოცხლის 18 წელიწადი შესწირა, ხომ მთელი ეპოქა შექმნა უკვდავი პოემის უცხო ენაზე ამეტყველებისა და გენიალური ქართველი პოეტის სახელის მთელ მსოფლიოში გატანის საქმეში. კარგად შენიშნავდა ამის თაობაზე პროფესორი მიხაკო წერეთელი მარჯორი უორდროპის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1909 წელს, Baton-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში: „მისს ვორდროპი სცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ ენა, ორიგინალობა და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზედ, მისი მიზანი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვების და ფრაზების თარგმნა კი არ იყო, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ შ ე ქ მ ნ ა ინგლისურად, როგორც ივანე მაჩაბელმა შექსპირი შ ე ქ მ ნ ა ქართულად“ (იხ. „საქართველოს მოამბე“, № 8, 1909, გვ. 10. ხაზგასმა ავტორისაა, გ. შ.).

„ჩემი კარგი ვეფხისტყაოსანი“ — ასეთი მინაწერი აქვს გაკეთებული ოქსფორდში დაცულ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ საუკეთესო ხელნაწერს.

მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე დიდი განძი უორდროპთა კოლექციისა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ძველი (მე-17 ს.) დასურათებული ხელნაწერი ნუსხებია (d-17 და d-27). ამათგან რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში შედარებით უკეთ არის ცნობილი d-27 (ახალი შიფრით Arch. 0,d-39) ნუსხა 21 ფერადი მინიატურით (ამ ხელნაწერიდან ამოჭრილი ერთი ფურცელი— 22-ე ფერადი მინიატურა ტექსტითურთ თბილისში აღმოჩნდა!). მის შესახებ ცნობები და ცალკეული აღწერილობანი გამოქვეყნებული აქვთ ე. თაყაიშვილს, ს. კაკაბაძეს, შ. ამირანაშვილს, ბ. გრეის, დ. ლანგს, ს. ყუბანეიშვილს, ს. ცაიშვილს, ელ. მაჭავარიანს, დ. ბარეტს. დაწვრილებით ვიცით ამ ნუსხის ხიფათიანი თავგადასავალიც და ბოლოს, 1949 წელს, უორდროპთა ფონდში მოხვედრის ამბავი.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ d-17 ნუსხას, დღემდე არაფერი ვიცოდით მისი წარმომავლობის შესახებ. აქამდე ადგილზე არც მისი დაწვრილებითი მეცნიერული აღწერა უცდია ვინმეს (დ. ლანგისა და ბ. ბარეტის აღწერილობანი კატალოგური ხასიათისაა, ს. ყუბანეიშვილისა და ს. ცაიშვილის აღწერილობანი კი ამ ხელნაწერის ოქსფორდიდან თბილისში მიღებულ ნაკლულ მიკროფილმზეა დამყარებული), რის გამოც ოქსფორდში ამ საკითხით საგანგებოდ დავინტერესდით.

d-17 ჩასმულია ხეზე გადაკრულ ტყავის ყდაში. წინა ყდის verso-ზე დაწებებულია წარწერიანი ქაღალდი. „Pr. George Tsereteli. თ-დი გიორგი სიმონის ძე წერეთლის, 1911 წელს 8 ოქტომბერს, ს. საჩხერე“. პოემის ნუსხაში პირველ ფურცლად ჩაკინძულია ინგლისურ ენაზე ოლივერ უორდროპის ხელით შესრულებული აღწერილობა და ხელნაწერის მოვების ისტორია. აი, ისიც:

„მარჯორი უორდროპის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი. გადმოეგზავნა ბოდლის წიგნთსაცავს 1914 წლის 6 ივლისს.

რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ზომა 19,5 სმ×28 სმ;

ტექსტი ფერად ჩარჩოში (ბორდიურში) არის მოთავსებული: 24,5 სმ×17 სმ; მოყვითალო ქაღალდზე, დასაწყისი აკლია და ბევრი ფურცელი დაკარგულია. ბევრიც ამოვარდნილი და გაფუჭებულია. ყდაზე გადაკრულია ტყავი.

(მარჯორი უორდროპის) ბიბლიოთეკას აჩუქა საჩხერელმა ბავადმა გიორგი სიმონის ძე წერეთელმა 1911 წლის 8 ოქტომბერს, კნეინა ვენერა წერეთლის მეშვეობით, რომელიც როსტომ წერეთლის მეუღლე და სიო (სიმონ) ბერიძის ასულია ხიდისთავიდან გურიაში. ვენერა [ბერიძე-წერეთლისა] მარჯორი უორდროპის საუკეთესო მეგობარი იყო.

ხელნაწერი XVIII საუკუნის დამდეგს უნდა მიეკუთვნებოდეს. შეიცავს 50 ფერად სურათს, ზოგი ძლიერ დაზიანებულია.

საგანგებოდ შეუდარა ოლივერმა (უორდროპმა) კარიჭაშვილის გამოცემას (ტფ., 1903 წ.) შედარება მოგვიანებით გადაიგზავნება ხელნაწერის უფრო დაწვრილებითი აღწერილობით, ხელნაწერი საინტერესოა მრავალრიცხოვანი ლეკური, თათრული და სხვა ენოვანი ლექსებით, რომლებიც მიწერილია ქართული ასოებით სურათების (მინიატურების) მეორე მხარეს.

ხელნაწერი წიგნი საჭიროებს სასწრაფო შეკეთებას (რესტავრაციას)".

როგორც ვხედავთ, ოლივერ უორდროპი უნიკალურ ცნობებს გვაწვდის „ვეფხისტყაოსნის" d-17 ნუსხის შესახებ. ირკვევა, რომ იგი წერეთლისეული, კერძოდ, გიორგი სიმონის ძე წერეთლის ნაქონი ყოფილა; თავადს იგი 1911 წლის 8 ოქტომბერს მიუძღვნია საჩუქრად საჩხერეში სტუმრად ჩასულ ოლივერ უორდროპისთვის მარჯორის ქართულ ბიბლიოთეკაში დასაცავად. მაშასადამე, წერეთლების საგვარეულო „ვეფხისტყაოსანთა" ნუსხების რიგს XVII-ის მიწურულისა თუ XVIII-ის დამდეგის კიდევ ერთი საუკეთესო ნუსხა მიემატა, რომელიც დღეს ოქსფორდში, უორდროპების ფონდში d-17 შიფრით არის დაცული.

ვინ იყო ეს ვენერა ბერიძე-წერეთლისა, ვისი მეშვეობითაც „ვეფხისტყაოსნის" აღნიშნული ხელნაწერი გიორგი სიმონის ძე წერეთელს უორდროპებისთვის უსახსოვრებია?

ოლივერ უორდროპის ზემოთ მოყვანილი აღწერილობის მიხედვით, ვენერა ბერიძე მარჯორი უორდროპის საუკეთესო მეგობარი ყოფილა.

მართლაც, ოქსფორდში მარჯორისეულ ხელნაწერთა ფონდს შემოუნახავს ვენერა ბერიძის 1895—1909 წლების რამდენიმე ათეული წერილი, საიდანაც ნათლად გამოსჩვივის ინგლისელ და ქართველ ასულთა შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა, ხოლო მარჯორისეულ ფოტოალბომში სასოებითაა ჩაკრული ვენერა ბერიძის ფოტოსურათი სამახსოვრო წარწერით: „სახსოვრად ძვირფას მეგობარს მარჯორი უორდროპისას ვენერა ბერიძისაგან, 1896 წელს 19 იანვარს“.

როგორც ვენერა ბერიძის ოქსფორდში დაცული წერილებიდან ირკვევა, მარჯორთან მის ნაცნობობას და მიმოწერას ინგლისელი ქალის საქართველოში პირველად ყოფნისას — 1895 წლიდან ჩაყრია საფუძველი, რომელიც მარჯორის სიკვდილის შემდეგ ოლივერ უორდროპთან გაგრძელებულა (აქვეა ადრინდელიც და 1910-11 წლებით დათარიღებული მისი წერილები ოლივერისადმი). სად შეეძლო ვენერა ბერიძეს პირადად გაეცნო მარჯორი და ოლივერ უორდროპები?

ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჩვენი ცნობილი კოლექციონერი და მწიგნობარი აწ განსვენებული პაპუნა წერეთელი. მისი გადმოცემით, რომელიც დამყარებულია იუნონა ტელემაქის ასულ გურიელის სანდო ცნობებზე, ტელემაქ გურიელს, ცნობილი პოეტის მამია გურიელის ძმას, ცოლად ჰყოლია ნინო სიოს ასული ბერიძე, ხოლო ვენერა მისი ცოლისდა ყოფილა. 1895 წლის იანვარში გურიაში მოგზაურობისას, მარჯორი და ოლივერ უორდროპები სუფსაში სტუმრად სწვევიან ტელემაქ გურიელს და აქ ორი დღე დაუყოიათ, რის თაობაზე თვითონ მარჯორიც წერს თავის „1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შენიშვნებში“:

„...ჯუმათიდან წავედით სუფსაში, სადაც ორი დღე გავატარეთ გურიის თავადის რეზიდენციაში. ეს თავადი მე-19 საუკუნის დასასრულამდე მართავდა მთელ პროვინციას. მთავრის ოჯახი ყოველმხრივ შესანიშნავია. მის წევრთა გარეგნობა მეტად განსხვავებულია. სხვა დამახასიათებელ თვისებათა შორის აღსანიშნავია მათი საუცხოო ხუპუჭა თმა. გურიელი იშ-

ვიათად ატარებს ქუდს, რადგან თმა კარგად იფარავს მას ზამთრის სიცივისა და ზაფხულის სიცხისაგან; მისი განსაკუთრებით სწორი და დასვეწილი ნაკვთები გასხივოსნებულია ისეთი გამოხეტყველებით, რომელშიც ჩანს ინტელექტიცა და დაუცხრომელი სურვილიც... გურიამ ქვეყანას მისცა ქართველ პოეტთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო — მამია გურიელი, რომელიც 1891 წელს გარდაიცვალა. მთელი ქვეყანა იცნობს მის ლექსებს, თუმცა ყველა მათგანი დასტამბული არ ყოფილა. ტელემაქ გურიელი — ოჯახის ახლანდელი უფროსი, მშობლიური ლიტერატურის დიდი ენთუზიასტია" (ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, „მარჯორი უორდროპი", 1965, გვ. 46). სწორედ აქ გაუცვნიათ და-ძმა უორდროპებს „კარგი აღნაგობის ყმაწვილი ქალი", რომელიც ვენერა ბერიძეა.

უორდროპებისა და ბერიძე-გურიელების ნაცნობობა ახლო, მჭიდრო მეგობრობაში გადაზრდილა. ოქსფორდში დაცულია ტელემაქ გურიელისა და მისი მეუღლის — ნინო ბერიძე-გურიელის მიერ 1895—1912 წლებში გაგზავნილი წერილები უორდროპებისადმი (სულ 5 წერილია), ხოლო ფოტოალბომში ჩაკრულია მამია გურიელისა და ნინო ბერიძე-გურიელის სურათები. ამას გარდა, ხელნაწერთა ფონდს შემოუნახავს მამია გურიელის „ალავერდის" მარჯორისეული ნუსხა.

პაპუნა წერეთლის სიტყვებით, „ოლივერ უორდროპს ნინო ბერიძე-გურიელის დიდად განათლებული დის — ვენერა ბერიძის შერთვა სდომებია, მაგრამ ნათესავებს არ უქნიათ, უთქვამთ, მაგ სიშორეს როგორ უნდა გავათხოვოთ, ხომ სამუდამოდ დაგვეკარგებაო. სიკვდილის წინ მარჯორი სთხოვდა თურმე ძმას: საქართველოში წადი, ვენერა შეირთე და ეს ჩემი ნივთები მას მიართვიო. ოლივერი ამ მიზნით ჩამოსულა კიდეც 1911 წელს საქართველოში, მაგრამ ვენერა უკვე როსტომ წერეთელზე ყოფილა დანიშნული. ოლივერი ინგლისში გაბრუნებულა, ოღონდ ვენერასათვის ჩამოტანილი ნივთები უკან აღარ წაუღია და მისთვის მიურთმევია, როგორც მარჯორის ნაანდერძევი. შემდეგში ოლივერმა ცოლი შეირთო (ნორვეგიელი ქალი მარგარეტ კოლეტი, გ. შ.), ვაჟი ეყოლა, რომელსაც სახელად ფარნაოზი დაარქვა („ქალი რომ ყოფილიყო ვენერას დავარქმევდიო", — იწერებოდა თურმე). სამ-

წუხაროდ, ამ დიდი მეგობრობის ნიშნად მცირე რამ დარჩა, მხოლოდ მარჯორისეული ქართულით დაწერილი ერთი ბარათი. „20/1 გიორგობისთვე 1895 წ.

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო კნეინა ნინო!

თქვენი მშვენიერი ბარათი მივიღე, რომლისათვისაც დიდათ გმადლობ.

დიდათ ვსწუხვარ, რომ თქვენ ასეთი ხანგრძლივი ავათ ჰბრძანებ, და სურვილი მაქვს რომ ახლა სულ განკურნებული ხართ. პასუხი თქვენს წერილს დამიგვიანდა. ამის მიზეზი იყო აქ ქერჩს ახალი ამბავი არ არის. ისე მოწყენილობაა როგორც პატარა სოფელი, მხოლოდ ბევრად უარესი. საზოგადოებას არაფერი არ არის, და ბუნება ნამეტანი ღარიბია. საქართველოში თუ ვიყავით სამოთხესავით იქნებოდა. სურვილი გვაქვს, რომ მალე კიდევ მოვალთ იმ მშვენიერს ქვეყანაში, მაგრამ ზამთარს ანუ გაზაფხულს უნდა იყოს.

ჩვენი დედ-მამა და ძმა აპირებთ ქერჩში მოსვლა ჩვენს ნახვა გაზაფხულს. დიდათ მოხარული ვარ ამის მიზეზისა თვის.

ალექსი ძალიან კარგად ბრძანებს, და უფრო მრთელი ვიდრე ნოვოროსისქშიც... შრომის მოყვარე არ არის, მაგრამ კარგი ბოვშვი არის, და მსურს რომ მალე სულ კარგათ შრომობს. ინგლისურათ ცუდას ლაპარაკობს და რუსულათაც.

გთხოვთ თ[ავად] ტელემაქს [გურიელს], თქვენს ძვირფას პატარა ქალებს და ყველას ნაცნობებს (თ. ტელემაქის ძმები, კნეინა და თავადი ვარლაამ ერისთავი და სხვ.) ჩვენ მაგიერ გარდასცეთ ჩვენი უგულითადესი მოკითხვა და სალამი.

მუდამ თქვენი მოყვარული

Marjory Wardrop*

უორდროპებს დიდი სურვილი ჰქონიათ ერთ-ერთი ქართველი ახალგაზრდა აღეზარდათ და კიდეც წაუყვანიათ თან პატარა ალექსი ბერიძე (მარჯორის აღნიშნულ ბარათში სწორედ მასზეა საუბარი, გ. შ.), რომელიც შემდეგში თბილისში მსახურობდა“ (იხ. პ. წერეთელი, „მამია გურიელი და მისი ძმები“, „საქართველოს ქალი“, 1973, № 1, გვ. 17-18).

---

* საქ. სსრ ლიტ. და ხელ. ცენტრ. სახელმწ. არქივი, ფ. 216, ანაწ. 1, საქმე № 48.

ვენერა ბერიძე ქუთაისში კარგად ცნობილი პედაგოგი და პატრიოტი ქალი ყოფილა. მისი ახლო ნათესავის, ჟურნალისტ ლეილა დადიანის მიერ მოწოდებული ცნობით, „ვენერა ბერიძე ფრანგულ ენას ასწავლიდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და მისი საყვარელი მოწაფეები იყვნენ შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები — აკადემიკოსი, პროფესორი გიორგი ახვლედიანი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ეუკოლ ბერიძე: „თქვენი ბებიდა ვენერა ბერიძე ჩვენი ყველაზე საყვარელი მასწავლებელი იყოო“, — მითხრა უნივერსიტეტში სწავლის დროს გამოცდის ჩაბარების შემდეგ აკად. გ. ახვლედიანმა. მარჯორის მიერ ვენერასადმი და ჩემი ბებიის — ნინოსადმი მოწერილი მრავალი წერილი, ფერადი ფოტოსურათი, რომელზეც მათი კოხტა სახლი სევენოუქსში იყო აღბეჭდილი, მათი სავიზიტო ბარათები, ასევე ინგლისის მეფე გეორგ მეოთხის მოსაწვევი ბარათი, რომლითაც იგი სასახლეში იწვევდა იმხანად „ჩაქურიანთა“ ამალით ინგლისში ჩასულ ბაბუაჩემს ტელემაქ გურიელს, — ყველაფერი ეს ინახებოდა ხის პატარა ლამაზი სახლის ფორმის მქონე ყუთში, რომელიც თავისი ხელით გაეკეთებინა მარჯორის და მხატვრულად მასვე ამოუწვავს. 1950 წელს ვიღაც უკეთურებმა ჩვენი ბინიდან ყველაფერი ეს წაიღეს და დღეს უკვე ძვირფას რელიქვიად ქცეული ნივთები სამუდამოდ დაგვეკარგა“.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერ ალბომში ჩაწერილია მარჯორი უორდროპისადმი მიძღვნილი ვენერა ბერიძის ლექსი:

მარჯორის

მსურს გაიმარჯვო ორივ ქვეყნისთვის
და ერთისადმი მომეტებულად.
არ დაეძლიოს გრძნობას სულისთვის
ორივ იგულვე შენად მამულად.

ორივ საქები სასიქადულო
ძველ-ახალისა ისტორიისა,
და შენთვის უფრო სასიხარულო,
რომ აღირჩივ მსჯობი სხვებისა.

ერთი ძველთაგან დიდებულია
ახლა დროებით დამცირებული
მაგრამ კმა ისიც, რომ განთქმულია
მის გმირ შვილები სახელქებული.

მეორე შენი სამშობლო მხარე
უძლეველია ყოვლით შემკული
მაგათ უყურე და მით იხარე
ორივეს ბედით გულ გამსჭვალული.

მაგრამ რად გინდა შენ ჩემი თხრობა
ისეც სავსე გაქვს გული გრძნობებით
შენს ნარნარ სახეს ანგელოზისა
ზედ აღწერია ლმობიერებით.

დამერწმუნე რომ ვალდებულათა
არც ჩვენა გრჩებით, გიხდით სავსებით,
წრფელ სიყვარულსა ჩვენც და-ძმურათა
და შემოგცქერით შენ დაუვავებით.

ვენერა ბერიძე
1896, ივლისი

(ლიტ. მუზეუმი, 12623-ხ; მიგვითითა ს. ლეკიშვილმა).

ვენერა ბერიძის ერთი შესანიშნავი უცნობი წერილი ილია ჭავჭავაძის მუხანათურ მკვლელობის შესახებ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ. აქ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ვენერა ბერიძის მეორე უცნობი წერილის ერთ ადგილზე, სადაც იგი 1908 წლის 10 ივნისს ქუთაისიდან წერს მარჯორი უორდროპს: „ახლა აკაკიც აქ არის. ძლიერ მოხუცდა... გაზეთებიდან შეიტყობდი რა ორი ძვირფასი მამულისშვილები დაჰკარგა კიდევ საქართველომ: პეტრიაშვილი და თარხნიშვილი. ასეა, სულ გვაკლდება და გვაკლდება ძველები, ახალი სამაგიერო კი არავინ არ გვემატება. ასეა ჩვენი ქვეყნის უკულმართი ბედი!“

აი, სწორედ ამ ვენერა ბერიძეს, წერეთლების ახლად დანიშნულ სასძლოს, 1911 წლის 8 ოქტომბერს, საჩხერეში მარჯორი უორდროპის ანდერძის აღსასრულებლად ჩასულ ოლივერ უორდროპისთვის უკანასკნელად გამქღავნებულ უართან ერთად ახალი სანათესაოს — საწერეთლოს უძვირფასესი

საგვარეულო რელიკვია — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძველი საუკეთესო ხელნაწერი უსახსოვრებია მასზე უიმედოდ შეყვარებული არისტოკრატის — ინგლისელი დიპლომატისათვის!

სამწუხარო ბედი სწვევია როსტომ წერეთლის ახლად შერთულ მეუღლეს: სულ მალე, 1912 წლის 4 თებერვალს სილოვან ხუნდაძე ქუთაისიდან ატყობინებდა ოლივერ უორდროპს, „ვენერა ბერიძე ორსულობას გადაჰყვაო“.

მაშასადამე, 1911 წლის ოქტომბრიდან კიდევ ერთმა წერეთლისეულმა „ვეფხისტყაოსანმა“ უორდროპთა ოჯახში დაიდო ბინა და დღეს ოქსფორდს ინახება.

ხელნაწერის აღწერილობისას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ მასში ჩართულ 48 ილუსტრაციას, სინამდვილეში კი 51 მინიატურას შეიცავს. ამას გარდა, ხელნაწერის ადგილზე გულდასმით შესწავლისას ირკვევა, რომ 174—195-ე ფურცლებს შორის 2 ფურცელი ამოხეულია, გადარჩენილია ყუები. ერთი მათგანი ილუსტრაცია უნდა ყოფილიყო, წარწერის ფრაგმენტია მოღწეული: „აქ...“. 175-176-ე ფურცლებს შორის კვლავ ამოხეული ფურცელი ისევ ილუსტრაცია ჩანს, რადგან გადარჩენილია წარწერის დასაწყისი „აქა ტარი...“, ხოლო 180-181 ფურცლებს შორის ამოხეული ფერადი მინიატურიდან მხოლოდ ყვავილის ტოტიღა მოჩანს. ასევე ფერადი მინიატურები ყოფილა 235-236-ე ფურცლებს შორის ამოხეულ ორ ფურცელზე. ასე რომ, ჩვენს ხელნაწერებში თავიდან სულ ცოტა 60-მდე ფერადი ილუსტრაცია უნდა ყოფილიყო ჩართული.

ხელნაწერზე სხვადასხვა დროს გაკეთებული დიდად საყურადღებო მინაწერებიდან რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მხოლოდ მზეხათუნ ბატონიშვილის (იმერეთის მეფის დავითის ასული, გარდ. 1830 წელს) ერთადერთი მინაწერია ცნობილი, აგრეთვე, ზოგადად მოხსენიებულია გოგია ბატონიშვილის ლექსები და ილუსტრაციების მეორე მხარეს ქართული ასოებით მიწერილი ქართული, სპარსული, ლეკური და თურქული ლექსები თუ წარწერები. მაგრამ ამათ გარდა, ხელნაწერში გვხვდება უფრო ძველი და დიდად საინტერესო მფლობელების მინაწერები: „ეს ვეფხის ტყაოსანი დიაღ ცუდი დაწყობილია, ნახატიც კარგია და ხელიც, მარა მის-მის ალაგს

არ არი“ (33r); „ესე წიგნი ვისი არის, ნახვა მისი მადლი არის“ (37V), „ჩემო სიცოცხლის მაამო დაო ბატონო ეკატერინე, შენი და დარეჯან ხელს გაკოცებ, მერმეთ ჩემო ბატონო...“ (42r), „ვლადიმერ ერმალოზის ძე წერეთელი (51v რუსულად), „ჩემო მაია, დედა შენი იტიტა პირს გაკოცებ, შენმა სიცოცხლემ წიგნი ისწავლე“ (65r), „ჩემო სულო და გულო ჩემო ძამია თეიმურაზ შენი და აგიაშვილის ქალი მაია მშვენიერს ქოჩორს გაკოცებ“ (91v), „ესე წიგნი ეკატერინესი არის და ღმერთმა მუახმაროს“ (92v), „ჩემო სიცოცხლე და სულის დგმავ ბატონო სალომე შენ და ეკატერინას ლამაზს თვალებს გაკოცებ...“ (116r), „ქავთარაძის ქალი მარიამ დაიბადა ოცდახუთს დეკემბერს. ღმერთო, აცხოვნე“ (122r), „აგიაშვილის ასული მაია“ (151r), „აგიაშვილის ასული მაია აქანა კითხულობს“ (163v), „ამილახვარი“ (167r), „დავით მდივნის შვილი იოსებ დაიბადა იანვრის...“, „ქ. პეტრეს ქალი მარიამ დაიბადა სამს მარტს დამდეგს“ (198r), „ქ. დაო ბატონო წერეთლის ასულო ეკატერინე... რომ ეს წიგნი...“ (199v), „იქ. შენი ჭირი შემეყაროს, შენგან შეტკბობილს დას ეკატერინეს და... ბატონო სალომე შენ და ეკატერინეს ლამაზს თვალებს ამოგიკოცნი“ (199V). ასევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს 22-ე და 23-ე ფურცლებს შემდეგ ჩამოხეულ კაბადონებს, რომლებზეც შემორჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ ორ ათეულამდე სტროფის დასაწყისი და ბოლო სარითმო სიტყვები („მთით ჩამოვ...“ და სხვ.). დღეს ისინი ფურცელთა სათვალავში არ შედის, არადა, ძველი ხელნაწერის ფრაგმენტს წარმოადგენს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ამ ხელნაწერის თავდაპირველი მოცულობისა და სტროფული შედგენილობის განსაზღვრა. (გაზეთ „კომუნისტში“ 1981 წლის 25 დეკემბერს (№ 295) გამოქვეყნებული ამ წერილის შემდეგ ჩვენი ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტზე, რომ ვეფხისტყაოსნის აღნიშნული ხელნაწერისა და მასზე გაკეთებული მინაწერების შესახებ (ფოტოპირის მიხედვით) სპეციალური ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული გ. მიქაძეს: ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერისათვის, კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VI, თბ., 1974, გვ. 114—147. მკვლევრის ბევრ ანგარიშგასაწევ და საგულისხმო, ზოგჯერ სადავო

ოდებულებათა მიუხედავად, ჩვენ ამჟამად უცვლელად ვტოვებთ ჩვენი ნარკვევის ამ ნაწილს და ვფიქრობთ, მომავალში საგანგებოდ დავუბრუნდეთ მას).

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ასევე საუკეთესო ნუსხის d-27-ის მინაწერებს, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ უცნობ, დიდად საყურადღებო მფლობელობის მინაწერს, რომელიც იმდენად გადასულა ჟამთა სრბოლაში, რომ ძლივს იკითხება: „ესე ვეფხვის ტყაოსანი მატვეი ივანიჩის არის, ვინც ამ წიგნს მოიპარავს, ნუ ეღირსოს ცხონება“ (55r). მფლობელის რუსული ფორმით მოხსენიება ხომ არ ნიშნავს, რომ იგი ერთ დროს ვახტანგ VI-ის კოლონიის რომელიმე წევრს ეკუთვნოდა, რუსეთში რომ იყო გადახვეწილი? რაც შეეხება მ. სტურუას ცნობას, თითქოს ოქსფორდში დაცული „ვეფხისტყაოსნის XVII საუკუნის ხელნაწერის „სატიტულო ფურცელზე ეწერა, რომ წიგნი მზითვად გაეტანებინოთ ვინმე კლდიაშვილის ასულისათვის“, არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. ვფიქრობთ, მას აგიაშვილის ნაცვლად კლდიაშვილი ამოუკითხავს.

11. მრავალი სახსოვარი...

ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის 1910 წლის 1 დეკემბრის კრებაზე ოლივერ უორდროპი აურჩევიათ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად, რასაც მოწმობს ოქსფორდში დაცული დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს ამ საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი.

ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების გარდა, მარჯორი და ოლივერ უორდროპები დიდი სიყვარულით აგროვებდნენ და ინახავდნენ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა, ულამაზეს ქართველ მანდილოსანთა ძვირფასი სახეების ფოტოსურათებს, საქართველოში მოგზაურობისას გადაღებულ ხედებს, ეკლესია-მონასტრების, ქართული საცხოვრებელი სახლებისა და ეზო-კარ-მიდამოების ფოტოანაბეჭდებს. მათ შორის ბევრი უნიკალური კადრია, რომელთა მსგავსი საქართველოში არც მოიპოვება.

f-9 წარმოადგენს საქართველოში 1887 წელს მოგზაურო-

ბისას ოლივერის მიერ გადაღებულ ფოტოებს (ყაზბეგი, ალექსანდრეს ბაღი თბილისში). ამასთან ძალიან საინტერესო ნეგატივებია მინაზე. Wardr. 13.60-ში დაცულია მარჯორი უორდროპის მიერ საქართველოში 1894-95 წლებში გადაღებული სურათები (ბაგრატის ტაძარი, ქუთაისი, ილია ჭყონიას სახლი ქუთაისში, ნიგოითის ტაძარი გურიაში).

ჩვენი იკონოგრაფისტებისათვის ძლიერ საინტერესოა მარჯორისეულ ფოტოალბომებში (Wardr. 13.25b) ჩაკრული სამახსოვრო წარწერიანი სურათები თამარ (თაფლო) წერეთლისა, მარიამ დემურიასი, თიკო მაყაშვილისა, ნინო წერეთელ-ჩოლოყაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა (31. 8. 88), პ. კარბელაშვილისა, ჯგუფური სურათი ბაბო ბაგრატიონის, ტასო, ელენე და ნიკუშა მაჩაბლებისა, ტასო მაჩაბლისა, ტასო მაჩაბლისა (სხვა), ჯგუფური სურათი ტასო, ელენე და ნიკუშა მაჩაბლებისა, ვარლამ ჩერქეზიშვილისა, ბაბო ბაგრატიონისა, ნინო გურიელისა, ბაბო ბაგრატიონისა და ნიკუშა მაჩაბლისა, ბარბარე ჯორჯაძისა, განდეგილისა, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა, ვახტანგ ორბელიანისა, ალექსანდრე ყაზბეგისა, აკაკი წერეთლისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა და ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა, ილია და ანეტა ჭყონიებისა, ივანე მაჩაბლისა, დიმიტრი ყიფიანის, რაფიელ ერისთავის, დიმიტრი ბაქრაძისა, ნინო ორბელიანისა, ალექსანდრე ცაგარლისა დოგთან ერთად, გენერალ მაყაშვილისა, გენერალ ივანე გივის ძე ამილახვრისა, ლევან ვაჩნაძის, ვაჟა-ფშაველასი, დავით ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, ივანე მაჩაბლისა (მეორე), ოლღა ჭავჭავაძისა, ელენე როსტომაშვილისა, ისევ აკაკი წერეთლისა, ტასო, ბაბო და ელენე ბაგრატიონებისა (ღია ბარათად დაბეჭდილი ერმაკოვის ფოტო), ილია ჭავჭავაძისა (ნაბეჭდი ოდესაში), კალისტრატე კათალიკოს-პატრიარქისა (ღია ბარათად ვარშავაში დაბეჭდილი), ექიმ მიხეილ გედევანიშვილისა.

Wardr. 1325-ში ჩართულია ქართველ მეფეთა (ერეკლე II, გიორგი XII) პორტრეტები, ხოლო ქართული სპორტის ისტორიკოსებს გამოადგებათ აქვე დაცული ქართველ ფალავანთა სურათები.

Wardr. 13.67 შეიცავს რიონოვის მიერ გადაღებულ სა-

ფარას, ზარზმას, თბილისის ხედს ბოტანიკური ბაღიდან, მო-, წამეთას, მცხეთას, ვარძიას, შემოქმედს. აქვეა ვეფხისტყაოსნის S-5006 ხელნაწერიდან ერთ დროს ამოჭრილი 10 მინიატურის ფოტოპირები.

Wardr. 13.58-ში უნიკალური ფოტოსურათებია 1910 წლის 3 მაისს მილანის სცენაზე გადაღებული ცნობილი ქართველი მომღერლის ელენე თარხნიშვილისა („სახსოვრად ძვირფას ბატონს ოლივერს, ელ. თარხან-მოურავი 3—5—910, მილანი", „ბატონ ოლივერს სახსოვრად ელ. თარხან-მოურავი, 3—5—910"). ისინი დიდი შენაძენი იქნება ჩვენი თეატრალური მუზეუმისათვის. აქვეა ძველი თბილისისა და სამხრეთ საქართველოს ხედების როინოვისეული დედნები.

ცალკე კონვერტებში (Wardr. 13. 66) ჩალაგებულია სავიზიტო ბარათები ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, ექვთიმე თაყაიშვილისა...

* * *

ძველი ქართული ხელნაწერებიდან დიდად საინტერესოა „არჩილიანის" ნუსხა, აგრეთვე „ლოთური მუხამბაზი", „სიმონ კოპაძის ლექსი" და სხვ. ჯერ მთლიანად შეუსწავლელია d-19 შეკვრა სხვადასხვა სიგელისა (ბაქარ ბატონიშვილისა, ანახანუმ დედოფლისა, ერეკლე II-ისა და სხვ). მაგრამ მათ შორის მაინც ყველაზე საყურადღებოა ხელნაწერი პლ. იოსელიანის განთქმული თხზულების „ცხოვრება მეფისა გიორგი XIII-ისა", რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს. ამას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიისათვის. საქმე ის არის, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პლ. იოსელიანის აღნიშნული თხზულების მხოლოდ ორი ნუსხაა ცნობილი (H-2301 და S-3053— ახლა გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში) და აქედან საუკეთესოდ H-2301 ხელნაწერია მიჩნეული, რომლის მიხედვით ტექსტი შესანიშნავი სამეცნიერო აპარატურის დართვით 1936 წელს გამოსცა აკაკი გაწერელიამ. თხზულების 1978 წლის ხელახალი გამოცემისას ჩვენ იგი შევუდარეთ საქართველოში დაცულ ხელნაწერებს (იხ. „რედაქტორისაგან") და ამიტომ

კარგად ვიცით ოქსფორდში აღმოჩენილი ნუსხის ფასი. იგი ყველაზე საუკეთესოა პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი XIII-ისას“ აქამდე ცნობილ ხელნაწერთა შორის და მომავალში ტექსტი მასზე დაყრდნობით უნდა გამოიცეს.

12. ქართველოლოგია ტეტჩერის წინააღმდეგ

ჯერ კიდევ 1910 წლიდან ოქსფორდში არსებობს მარჯორი უორდროპის სახელობის ფულადი ფონდი, რომლის მიზანსა და დანიშნულებას კარგად გვითვალისწინებს პროფ. ალ. ხახანაშვილისადმი 1910 წლის 1 აგვისტოს გამოგზავნილი ოლივერ უორდროპის გამოუქვეყნებელი წერილის შემდეგი ადგილი: „თავს ნებას ვაძლევ გამოგიგზავნოთ ოქსფორდის საუნივერსიტეტო გაზეთის ამონაჭერი, რომელიც შეეხება ჩემი დის სახელობის ფონდის დაარსებას ინგლისში. ამ ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის შესწავლას. იმედი მაქვს, რომ დროთა განმავლობაში ეს კარგ შედეგს გამოიღებს. ცოტა ხანში, ოქსფორდის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკას გადაეცემა ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია, რაც სწავლაში დაეხმარება უნივერსიტეტის იმ პირთ, ვინც თქვენი ქვეყნით დაინტერესდება“.

ინგლისში ქართული ბიბლიოთეკის დაარსება და მის საფუძველზე ქართველთმცოდნეობის შემდგომი წინსვლა-განვითარება თავიდანვე ოცნებად ჰქონია გადაქცეული მარჯორი უორდროპს, რასაც მოწმობს 1909 წლის შემოდგომაზე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვასილ რცხილაძისადმი მის მიერ გამოგზავნილი წერილის შემდეგი ადგილი: „ჩვენი სურვილია, ყველა ქართული წიგნის შეკრება რაც შეიძლება. მერე შემდეგში (ჩვენი სიკვდილის შემდეგ) მივართმევთ ერთ ინგლისელ მუზეუმს, ასე რომ, მუდმივ ვინც სურს ქართული ენის შესწავლა, ადვილათ შეიძენს (იშოვნის) რაც საჭირო მასალები არის...“.

ოლივერმა სულ მალე აღასრულა თავისი უძვირფასესი დის ნაანდერძევი, რასაც სიხარულით შეჰგებებია პროფ. ალ. ცაგარელი, რომელიც 1910 წლის 15 ოქტომბრის აქამდე უცნობ ერთ რუსულ ბარათში სწერს მეგობარ ინგლისელ ქართველო-

ლოგს: „ძლიერ კმაყოფილი ვარ, რომ ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას და დროს უთმობთ ჩემს მშობლიურ ენას და ლიტერატურას. ქართველები, ისე როგორც ევროპელი მეცნიერები, მუდამ იქნებიან თქვენი და თქვენი განსვენებული ტკბილი და კეთილშობილი დის, ჩვენი მარჯორის მადლიერი და მადლობელი იმისათვის, რომ თქვენ ოქსფორდის უნივერსიტეტისათვის თქვენი შეწირულებითა და თქვენი შრომებით, მტკიცე საძირკველი ჩაუყარეთ საქართველოს გაცნობას და მისი ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და სიძველეთა დამუშავება-შესწავლას როგორც თქვენი თანამემამულე ინგლისელების, ისე დანარჩენ ევროპელთა მხრივ“...

მართლაც, მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ დაწყებულ საქმეს დროთა განმავლობაში კეთილი შედეგი მოჰყვა: დღეს ინგლისში ერთ-ერთი ძლიერი ქართველოლოგიური სკოლაა შექმნილი. ინგლისელი ქართველოლოგები მოღვაწეობენ ლონდონში, ოქსფორდში, გლაზგოში, ჰულში, ედინბურგში... ყველამ კარგად ვიცით დევიდ ლანგის, რობერტ სტივენსონის, დევით ბარეტის, ქეთრინ ვივიენ-ეშტონის სახელები! მოდის ახალი თაობა სტივენ ჯოუნსის, დონალდ რაიფილდის, ჯორჯ ჰიუიტის, მაიკლ პარსონსის სახით... ლონდონის უნივერსიტეტის ასპირანტი სტივენ ჯოუნსი ინგლისში ჩემი ყოფნის დროს მარჯორი უორდროპის სახელობის სტიპენდიით ოქსფორდიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰარვარდის უნივერსიტეტში იყო მივლინებული ქართული ხელნაწერების შესასწავლად, ხოლო ამ დღეებში (1981 წ. ნოემბერი) იგი თავის მეუღლით და პატარა ვაჟიშვილით — ავთანდილით თბილისს ეწვია: სტივენ ჯოუნსი მუშაობს სადისერტაციო თემაზე ქართველი თერგდალეულების შესახებ, რომელსაც ლონდონის უნივერსიტეტში დაიცავს პროფესორ დ. ლანგის ხელმძღვანელობით. დონალდ რაიფილდი, რომელიც ლონდონში დედოფალ მერის კოლეჯში მუშაობს და გალაკტიონ ტაბიძის შესანიშნავ მთარგმნელად არის ცნობილი, ამჟამად თანამედროვე ქართული ლიტერატურის საკითხებს იკვლევს, ხოლო ჯორჯ ჰიუიტმა სწორედ ოქსფორდში ჩემი ყოფნისას მიიღო ადგილი ჰულის უნივერსიტეტში და ბრწყინვალე ქართულით დაწერილი და ქართულ მანქანაზე გადაბეჭდილი ბარათი გამომიგ-

ზაენა ოქსფორდშივე: „... ძალზე დასანანია, რომ აქ ჰულში უკვე დაიწყო აკადემიური წელიწადი და სულ ვერ მოვიცლი ჩამოსასვლელად. იმედი მაქვს, რომ მაპატიებთ. წელს დავამთავრე სადოქტორო დისერტაცია, რაც ქართულისა და აფხაზურის ქვეწყობილი წინადადებების სინტაქსის შედარება გახლავთ. მემანქანეს გაუძნელდა მისი ბეჭდვა და მხოლოდ შობაზე შემეძლება ჩავაბარო. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტების ფინანსური მდგომარეობა შავ დღეშია და საშინლათ ძნელია აკადემიური თანამდებობის დასაკუთრება. ჩემდა ბედად, უფრო ადრე, წელს თანამდებობა შემომთავაზეს ჰულის უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში. სხვა კურსების გარდა, მესამეკურსელებს უნდა ვასწავლო კავკასიურ ენათა სტრუქტურა. წელს მეყოლება ათამდე სტუდენტი. რაც შეეხება მომავალს, მიზნად მაქვს დასახული, რაც შეიძლება ბევრი სტუდენტი დავაინტერესო კავკასიური ენებით. ვნახოთ, რა გამოვა! ამასობაში, ყოველ კვირაში მექნება 5 ლექცია და 2 სემინარი დასამზადებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, საშინლად დაკავებული ვარ და ვიქნები კიდევაც ამ წელიწადის განმავლობაში. იმედი გვაქვს, რომ გაისად, ზაფხულში, სამ თვეს გავატარებთ საქართველოში (კერძოდ, აფხაზეთში). მანამდე, „ნაკადულმა“ უნდა გამოსცეს ვაჟას რამდენიმე ზღაპრის ჩემი ინგლისური თარგმანი. კარგი იქნება, თუ თბილისში ვიქნებით მაგ პატარა წიგნის გამოქვეყნებისას. იმედია, შინ დაბრუნდებით ოქსფორდში ყოფნით ძალზე კმაყოფილი. ჯორჯ ჰიუიტი. 6. X. 81 წ.“

ოქსფორდში ჩემი მუშაობის დროს ბოდლის ბიბლიოთეკაში შემოსული ქართული საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურის გასაცნობად დასავლეთ გერმანიიდან ჩამოვიდა ცნობილი ქართველოლოგი, ქ. ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბოედერი. იგი ზოგად ენათმეცნიერებაში მუშაობს, კერძოდ, ამჟამად ამუშავებს თემას: „ქონების აღმნიშვნელი ზმნები ქართულში“. მომგებიანი თემა აგირჩევიათ-მეთქი, ვეხუმრე. დამეთანხმა და ბევრი იცინა.

8 ოქტომბერს ბოდლის დიდ საგამოფენო დარბაზში მოეწყო თვალსაჩინო ქართველოლოგის დევიდ ბარეტის პენსიაზე გაცილების ცერემონიალი. იგი 67 წლისა გახდა და იქა-

ური კანონების მიხედვით ამ ასაკს მიღწეულნი ტოვებენ უნივერსიტეტს, ოღონდ შეუძლიათ მეცნიერული მუშაობა განაგრძონ კონსულტანტის შტატით.

დევიდ ბარეტის პენსიაზე გაცილებასთან დაკავშირებით ბოდლის არქიტექტურულად უძველეს და ულამაზეს საგამოფენო დარბაზში თავი მოიყარეს გამოჩენილმა ოქსფორდელმა მეცნიერებმა და მოწვეულმა სტუმრებმა. ოქსფორდის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ რამდენიმე დღით ადრე მოწვევის საგანგებო ბარათი მეც გამომიგზავნა (სხვათა შორის, მკითხველისთვის შეიძლება ინტერესმოკლებული არ იყოს, რომ დღეს ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო რექტორად ითვლება ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი).

დევიდ ბარეტმა თავის სამადლობელ სიტყვაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ იგი ბედნიერად გრძნობს თავს, რადგან მისი ცხოვრების ასეთ ღირსშესანიშნავ დღეს ესწრება ქართველი მეცნიერი, საქართველოს წარმომადგენელი, იმ ქვეყნის შვილი, რომლის უძველესი კულტურისა და ისტორიის შესწავლას შესწირა მან თავისი სიცოცხლის უკეთესი წლები... დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა.

დევიდ ბარეტი უკვე ამთავრებს ფუნდამენტურ „ქართულ-ინგლისურ განმარტებითს ლექსიკონს", რომელსაც მან უკანასკნელი 25 წელი შეალია. აქამდე ინგლისელი ქართველოლოგები, სხვა ლექსიკონებთან ერთად, ეკა ჩერქეზის (ჩერქეზიშვილის) მიერ შედგენილ „ქართულ-ინგლისური ლექსიკონით" სარგებლობენ, რომელიც 1950 წელს ოქსფორდშია გამოცემული. ჭაშნიკად დ. ბარეტმა თავისი ლექსიკონის ერთი ნაწილი საქართველოში გამომატანა. ამას გარდა, მან გადმოგვცა თავისი ხელნაწერი ქართველოლოგიური ნაშრომები, მათ შორის, შარშან იტალიაში ქ. ბარში წაკითხული მოხსენება ოლივერ უორდროპის ქართველოლოგიური ღვაწლის შესახებ, რომელთაც საბოლოოდ ხელნაწერთა ინსტიტუტს გადავცემ დასაცავად. დ. ბარეტმა მისახსოვრა აგრეთვე თავისი განთქმული ნაშრომი „უორდროპთა კოლექციის კატალოგი" (ოქსფორდი,1973), ხოლო მისმა უმცროსმა ვაჟმა, პროფესიით მხატვარმა, სოფელ ჩარლბოროს პეიზაჟი, სადაც თვითონ ცხოვრობს.

სხვა სტუმრებთან ერთად, დევიდ ბარეტის პატივსაცემად ოქსფორდში ჩამოვიდა ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი ქალი „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ქეთრინ ვივიენ-ეშტონი, რომელიც ახალდაბრუნებული იყო საქართველოში მეორედ მოგზაურობიდან. იგი აღტაცებით მესაუბრებოდა ქართველ ხალხზე, მის კულტურაზე, წინა მოგზაურობის (1973 წ.) შემდეგ მიღწეულ ახალ წარმატებებზე. მომავალში ოცნებობს თუშეთსა და ხევსურეთში წასვლაზე: „განსაკუთრებით გამეხარდა თუშეთში გზა რომ გაგიყვანიათო“, — კმაყოფილებით შენიშნა ინგლისელმა ქალმა. ქეთრინ ვივიენი ამჟამად გატაცებით მუშაობს სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას“ ახალ ინგლისურ თარგმანზე, რომელიც მალე გამოიცემა: „თქვენ მეორე მარჯორი უორდროპი ბრძანდებით-მეთქი“, ვუთხარი, რაც იქ დამსწრეთ ერთხმად გაიზიარეს (ამჟამად ქეთრინ ვივიენისეული ეს თარგმანი უკვე გამოცემულია, ლონდონი, 1982 წ).

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თანამოსაუბრეზე მარჯორი უორდროპის ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი ჩარლზ დაუსეთი. მისი სადოქტორო დისერტაცია კავკასიის ალბანელებს ეძღვნებოდა და დიდად აფასებს ამ დარგში აკაკი შანიძისა და ილია აბულაძის ნაშრომებს. პროფესორი ჩ. დაუსეთი ოქსფორდის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ერთ-ერთ განყოფილებას განაგებს, სადაც 15 ოქტომბერს მიმიწვია. აქ სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა: დავესწარი ძველი ქართული ენის გაკვეთილს, რომელსაც პროფესორი ჩ. დაუსეთი ატარებდა ნ. მარი-მ. ბრიერის ცნობილი „ქართული ენის სახელმძღვანელოთი“ (პარიზი, 1931). მსმენელთა შორის იყვნენ კალიფორნიელი თომას სინკლერი, ახალზელანდიელი ვირჯილ სტრომეიერი და ჩვენი განსვენებული აკადემიკოსის გიორგი წერეთლის მეუღლის და ქალბატონი მარი გოიერი, რომელიც ოქსფორდელია. უნდა გენახათ, რა სიყვარულითა და მონდომებით ჩაჰკირკიტებდნენ ისინი ქართულ ტექსტს, ერთმანეთს უსწორებდნენ კითხვისას დაშვებულ შეცდომებს, ენას იტეხდნენ ქართულ საუბარში, რომელშიც სიამოვნებით მეც ჩამრთეს. კაბინეტის კედლებზე ეკიდა საქართველოს რუკა,

შოთა რუსთაველის, ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის პორტრეტები, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, მაგიდაზე ეწყო დ. ჩუბინაშვილის, ნ. ჩუბინაშვილის, ილ. აბულაძის ქართული ლექსიკონები, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის მიხეილ გედევანიშვილისეული გამოცემა. პროფესორი ჩარლზ დაუსეთი ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავების დიდი მოტრფიალეა. ერთი სული აქვს, როდის იშოვის ქართულ ჩონგურს, იგი ხომ შესანიშნავად უკრავს აღმოსავლურ ინსტრუმენტებზე, რომლის უმდიდრესი კოლექცია აქვს. ჩონგურის შოვნას შევპირდი, რომ მცოდნოდა წამოგიღებდით კიდეც-მეთქი (საქართველოში დაბრუნებისას ს. ჯოუნსის ხელით გურიაში დამზადებული ჩონგური გავუგზავნე ჩ. დაუსეთს, რითაც დიდად გაუხარია). პროფესორმა ჩ. დაუსეთმა მისახსოვრა 1835 წელს ინგლისურად დაბეჭდილი საქართველოს რუკა და ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის, აწ განსვენებული პროფესორ უ. ალენის მიერ 1970 წელს კემბრიჯში გამოცემული ორტომეული „რუსეთის ელჩობა საქართველოს სამეფოში 1589—1605 წწ.“ წამოსვლისას დაუსეთისეული ქართული ხალხური სიმღერების ფირფიტებიც ახმიანდა, გუგუნებდა კახური „მრავალჟამიერი“ იმერული „მგზავრული“... ერთი სიტყვით, დაუვიწყარი დღე იყო, თავი საქართველოში მეგონა!

მეორე დღეს პროფესორმა ჩარლზ დაუსეთმა გამაცნო ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერების ისტორიის მუზეუმის დირექტორი ფრანსიზ მედისონი, რომელმაც განმაცვიფრა ვახტანგ VI-ის მიერ ნათარგმნი ასტრონომიული ტრაქტატების ცოდნით.

ვცდილობდი არ დავრჩენილიყავი ვალში ინგლისელი კოლეგების წინაშე. უორდროპის ქართული წიგნების ფონდს საჩუქრად გადავეცი ქართველ მეცნიერთა სულ ახალი ნაშრომები, მათ შორის, პროფესორ ს. ჯორბენაძის „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“ და აკადემიკოს შ. ძიძიგურის „ბასკურ-კავკასიური პრობლემა“ (იგივე წიგნები ვუსახსოვრე შემდეგ პროფესორ დ. ლანგსაც) და სხვ. მეტად საინტერესო იყო ოქსფორდში მომხდარი ერთი ასეთი ფაქტი: ბოდლის ბიბლიოთეკაში საზეიმო ფიცის დადების შემდეგ, რომლის ძალი-

თაც გავხდი საპატიო წევრი, ბიბლიოთეკას მივუძღვენი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადების 550-ე წლისთავისათვის თბილისში გამოცემული ქართული ფერადი პლაკატი „ძველი ქართული სამედიცინო წყაროები და ხელსაწყოები". იგი აქ იმდენად მოეწონათ, რომ სასწრაფოდ მიუჩინეს მას გამორჩეული ადგილი აღმოსავლური ლიტერატურის ვრცელ სამკითხველო დარბაზში ირანულ, არაბულ და ჩინურ პლაკატთა გვერდით.

ლონდონში იტალიიდან ახალდაბრუნებული დევიდ ლანგი მელოდა. პროფესორი დ. ლანგი ინგლისში საყოველთაოდ აღიარებული ქართველოლოგია (მუშაობს არმენისტიკაშიც, მაგრამ სომხური ენა და წერა-კითხვა არ იცის) და მისი ენერგია პირდაპირ დაუშრეტელია: იგი ერთდროულად არის ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის კავკასიოლოგიის განყოფილების გამგე და ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის ქართული წიგნების ბიბლიოთეკარ-კონსულტანტი. ამუშავებს საქართველოდან, განსაკუთრებით ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური ბიბლიოთეკიდან (დირექტორი — ს. ხადური) ყოველდღიურად მოსულ დიდძალ ლიტერატურას. დ. ლანგი აგრეთვე ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთ-ერთი მთავარი საერთო საცხოვრებლის დირექტორია, რომელშიც მეუღლესთან ერთად თვითონაც ცხოვრობს. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დ. ლანგს დიდი ავტორიტეტი და სიყვარული აქვს მოხვეჭილი. მე დავესწარი დ. ლანგის ქართული ენის გაკვეთილს, რომელსაც იგი უტარებდა ავსტრალიელ ასპირანტს მარტინ პრიორს და კელნის უნივერსიტეტის სტუდენტს გაბრიელა ვილდეს, რომელიც ლონდონის უნივერსიტეტში ერთ წელიწადს ისწავლის.

დ. ლანგმა საჩუქრად მომიძღვნა ბულგარელი მეცნიერის ელკა ბაკალოვას ნაშრომი „ბაჩკოვოს საძვალე" (სოფია, 1977), რომელიც მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს პეტრიწონის ქართული მონასტრის ისტორიისათვის. ამას გარდა, რომ გაიგო ქართული სტამბის ისტორიის საკითხებზე ვმუშაობდი, დ. ლანგმა საკუთარი არქივიდან უშურველად გადმომცა უძვირფასესი მასალა ქართული სტამბის ისტორიისათვის, კერ-

ძოდ, შვედი მეცნიერის ერიკ გრენის წერილები და ამ უკანასკნელის ნაბეჭდი შრომა, რომელმაც ერთხელ კიდევ დამარწმუნა იმ მოსაზრების სისწორეში, რომ შვეციის ქალაქ უფსალის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაცული ალექსანდრე არჩილის ძისეული უნიკალური ქართული სასტამბო ანაბეჭდები კარგა ხნის წინათ ჰქონია ერიკ გრენს აღმოჩენილი[1]

დევიდ ლანგი ქართული მეცნიერებისა და კულტურის მხურვალე პატრიოტი და პროპაგანდისტია. მან დიდი სიამაყით წამიყვანა „რაუნდჰაუზში", სადაც ასეთი ტრიუმფით ჩაიარა რუსთაველის თეატრის გასტროლებმა. იგი აღფრთოვანებული იყო აგრეთვე ინგლისში ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ რუსთაველელთა და დინამოელთა ოსტატობით გამოწვეული აღტაცების ექო ინგლისში დღემდე გრძელდება, რომლის მოწმეც, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხდებოდი... ინგლისელ კოლეგებს შორის ასევე კეთილი სახელი აქვთ მოხვეჭილი ჩვენი ქვეყნის ღირსეულ წარმომადგენლებს — ქართველ ჟურნალისტებს, საბჭოთა რადიოს და ახალი ამბების სააგენტოს კორესპოდენტებს ვალერი მაისურაძესა და იური კობალაძეს, რომლებიც ყოველნაირად მიწყობდნენ ხელს ლონდონში მუშაობისას.

მოწმე გავხდი აგრეთვე დევიდ ლანგის მგზნებარე საჯარო გამოსვლისა ინგლისის პრემიერის მარგარეტ ტეტჩერის წინააღმდეგ, რომელიც, თურმე, ფინანსური სიძნელეების მომიზეზებით, აპირებს აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში კავკასიოლოგიის განყოფილების დახურვას, ლონდონის უნივერსიტეტთან რომ არსებობს: დევიდ ლანგმა გვთხოვა საბჭოთა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ დაგმოს და პროტესტი გამოთქვას ამ განზრახვის წინააღმდეგ.

ამის შესახებ უკვე განვაცხადე ლონდონში 23 ოქტომბერს საბჭოთა საელჩოში გამართულ საღამოზე (საერთოდ, საბჭოთა საელჩოს ყურადღებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე

---

[1] დ. ლანგის მიერ გადმოცემული ეს დოკუმენტები შევიდა ახლახან გამოცემულ ჩემს მონოგრაფიაში: „მიკლოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა", თბ. 1982.

ვგრძნობდი), სადაც წავიკითხე მოხსენება „საქართველო-ინგლისის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი“. საბჭოთა დიპლომატებმა და ჟურნალისტებმა თავიანთ გამოსვლებში ერთხმად გაუსვეს ხაზი პროფესორ დ. ლანგის მოღვაწეობის მნიშვნელობას და მისთვის საბჭოთა მეცნიერული საზოგადოებრიობის დახმარების აუცილებლობას ამ მეტად ძნელი ბრძოლის მოსაგებად.

ბრიტანეთის აკადემიაში მიღებაზე კი აკადემიის მთავარი სწავლული მდივნის მოადგილემ პ. ბრაუნმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები აკადემიკოსები აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, არნოლდ ჩიქობავა ინგლისის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებათა საპატიო წევრებად არიან არჩეულნი, ხოლო აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ბრიტანეთის აკადემიის უცხოელი წევრია, რაც მოწმობს ქართული საბჭოთა მეცნიერების მაღალ პრესტიჟს და მის საერთაშორისო აღიარებას. ამასთან, გამოთქვა სურვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან უფრო ახლო კონტაქტების და ურთიერთობის დამყარებისა.

13. „მეოცე საუკუნის მუზა...“

ლონდონში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას, როგორც ზემოთ ვწერდი, შეევეცადე მომენახულებინა ჩვენი თანამემამულე, უკვე ღრმად მოხუცი სალომე ანდრონიკაშვილი, მაგრამ მოახლე ქალმა მასთან მისასვლელი ყველა გზა გადამიღობა. ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ქართველი მანდილოსანი კი ლოგინად იყო ჩავარდნილი და ტელეფონით პირადად გამოლაპარაკება ვერ მოვახერხე, რომ მასთან შეხვედრის სურვილი მეცნობებინა.

და აი, ამ ცოტა ხნის წინ, გავიგე, რომ 1982 წლის 8 მაისს, ლონდონში, 94 წლისა გარდაიცვალა სალომე ნიკოლოზის ასული ანდრონიკაშვილი.

სალომე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1888 წელს, თბილისში, ქართველი თავადის ნიკოლოზ ანდრონიკაშვილის ოჯახში.

900-იანი წლების დასაწყისში სალომე ანდრონიკაშვილი საცხოვრებლად პეტერბურგს გადავიდა. ახლახან გამოქვეყნებული ერთი თანამედროვის გადმოცემით, „სალომე ანდრო-

ნიკაშვილი ითვლებოდა პეტერბურგის იმდროინდელი მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლამაზმანად. იგი განთქმული იყო თავისი ჭკუით, მიმზიდველობითა და მახვილ-გონიერებით". სალომე ანდრონიკაშვილის მეგობრებს შორის იყვნენ გამოჩენილი რუსი პოეტები — ოსიპ მანდელშტამი, ანა ახმატოვა, მარინა ცვეტაევა, რომელთაც თავიანთ პოეზიაში სამუდამოდ უკვდავყვეს მისი სახელი, ხოლო უმშვენიერესი ქართველი ქალის სახე ტილოზე აღბეჭდეს რუსმა მხატვრებმა — კ. პეტროვ-ვოდკინმა, ვ. შუხაევმა, კ. სომოვმა, ა. იაკოვლევმა, ზ. სერებრიაკოვამ. მათ შორის, კ. პეტროვ-ვოდკინის მიერ შესრულებული სალომე ანდრონიკაშვილის პორტრეტი, ამჟამად ტრეტიაკოვის გალერეას ამშვენებს. იგი მუზეუმს ამ რამდენიმე წლის წინ ლონდონიდან საჩუქრად გამოუგზავნა თვით სალომე ანდრონიკაშვილმა.

ოსიპ მანდელშტამმა 1916 წელს სალომე ანდრონიკაშვილს მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ლექსების ციკლი „სალომინკა". აი, ორიოდე სტროფი ამ ლექსიდან:

«Соломка звонкая, соломинка сухая,
Всю смерть ты выпила и сделалась нежнней
Сломалась милая соломка нежная
Не Саломея, нет, соломинка скорей.
...Я научился вам, блаженные слова
Ленор, Саломинка, Лигея, Серафита.
В огромной комнате тяжелая Нева
И голубая кровь струится из гранита...“

